ჯორის სახსნელი უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული

№1

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2011 წლის 11 თებერვალს ჩატარებულ სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

სექციების ხელმძღვანელები:
ციური ბაქრაძე (სექცია „განათლება“)
ზურაბ ზერაკიძე (სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი“)
გელა შაქარაშვილი (სექცია „ბიზნესი და მართვა“, ქვესექცია „ბიზნესი და მართვა I“)
მაკა სოსანიძე (სექცია „ბიზნესი და მართვა“, ქვესექცია „ბიზნესი და მართვა II“)
მაია აზმაიფარაშვილი (სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“)
ლელა მახვილაძე (სექცია „ლინგვისტიკა“)
მარინა ცერცვაძე (სექცია „ლიტერატურა“)
ვაჟა ჩოჩია (სექცია „ისტორია“)

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ბერუაშვილი მაია - *НЕТРАДИЦИОННЫЕ ФОРМЫ УРОКОВ РКИ – 6*
თამლიანი გიორგი - *საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო არენაზე 1990-2010 წლებში – 9*
კაკაშვილი თათია, საათაშვილი თამარ - *ჯგუფური მუშაობა დაწყებით კლასებში – 11*
მაისურაძე მაია, ხაჩიძე ქსენია - *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების უფლებები – 13*
რევაზაშვილი მარინა - *СОВРЕМЕННЫЕ ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ТЕХНОЛОГИИ НА УРОКАХ РУССКОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ – 17*
ხარაიშვილი ანა - *სკოლა და მასწავლებელი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში – 20*
ხუბულაშვილი სოფიო - *თანამშრომლობითი სწავლება (ჯგუფური მუშაობის მეთოდი) – 23*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ნ ი

ბერუაშვილი ნათია, მიღრიჯანაშვილი თამარ - *ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები – 25*
ბერძენიშვილი ლანა - *ადამიანები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ სამყაროზე – 27*
გელაშვილი შორენა - *გარემოს ანთროპოგენული ცვლილებები და მისი მართვა – 29*
დარბაიძე ნინო - *ძალდებული კრებადობის შესახებ – 32*
ლომიძე ნინო, ნასყიდაშვილი ანი, ზუბაშვილი ეკა - *შიდა ქართლის ტურისტული რესურსები – 34*
მელაძე ცისნამი - *ცივილიზებული კაცობრიობის თანმდევი უარყოფითი პროცესები – 38*
ტერუნაშვილი მერი - *მემკვიდრეობითობის მექანიზმი – 40*
ფსუტური ანა - *გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილებების გამოვლინება საქართველოში – 44*
ფურცელაძე ნინო, ტიტვინიძე ავთანდილ - *მაღალი ტექნოლოგიების დადებითი და უარყოფითი მხარეები – 47*
ხანიშვილი ეკა - *ავტოტრანსპორტის ეკოლოგიური შემდგომქმედება გარემოზე – 50*
ჯღირაძე სოფიო, ქოთოლაშვილი ხატია - *ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები და მათი გამოყენება – 52*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

ანესაშვილი მაგული - *ფინანსური კრიზისი ქართულ ბანკებში – 56*
აწკარუნაშვილი ლიკა, სამხარაძე ანნა - *ჩრდილოვანი ეკონომიკა და კრიმინალური ბიზნესი – 58*
ბედოშვილი თამარ, ქაწაშვილი ქეთევან - *ლოგოტიპის მნიშვნელობა ბიზნესში – 61*
ბზიშვილი თამარ, ბალიაშვილი მერი - *ბიუჯეტის როლი და ადგილი ფულის მართვაში – 65*
ბუზიაშვილი მაკა - *საერთაშორისო სალიზინგო კომპანიები – 69*
გაგნიძე მანანა, ტერტერაშვილი ლიკა - *შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში – 71*
გიგაური მეგი, გოგიშვილი თეონა - *სასტუმროების ბიზნესი ძველ და ახალ ბათუმში – 75*
გოგიაშვილი მარიკა, სირბილაძე ფარვიზ - *მცირე ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი და სახელმწიფოს პოლიტიკა – 77*
გოდელაშვილი ლია - *ჩინური ბიზნესი საქართველოში – 80*
გუგუტიშვილი თათია, ტრამაკიძე ნინო - *საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები – 82*
დათუნაშვილი ნინო, ფერაძე მარინე, გაგლოშვილი ნათია, ეცადაშვილი ინა - *ინფლაცია - ეკონომიკის კოლაფსი – 88*
დემეტრაშვილი დემეტრე, დემეტრაშვილი თორნიკე - *გლობალური სასურსათო კრიზისი და მისი ანარეკლი ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე – 91*
დოთიაშვილი ელისო, ქველიძე თამარ - *ექსტრემალური ტურიზმის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 96*
დურული მარიკა, ხაჩიძე ქსენია - *პარფიუმერული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (კომპანია „Oriflame“-ის მაგალითზე) – 99*
ედიშერაშვილი მარიამ, სულეიმანაშვილი ანა - *ინფლაციის გავლენა საქართველოში – 103*
ვოსკანიანი მარიამ - *პროექტი მეფუტკრეობის შესახებ – 105*

ვოსკანიანი მარიამ - *საქართველოს ტურისტული ფირმების კულტურული ტურები – 110*
ზანგალაძე ბადრი - *ელექტრონული კომერციის ეკონომიკური და ტექნიკური წინაპირობები – 113*
იაზბარიანი ანნა, როსტიაშვილი მარიამ - *რომელი საათია? – 117*
კაპანაძე თამთა, კუბიევი სოფიკო - *რეკლამის არსი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში – 121*
მანველიშვილი ანი, კილასონია ეკა - *ტურიზმი - განათლების ახალი ხედვის პერსპექტივით – 123*
მახათაძე მარიამ, ოგანიანი რობერტ - *ელექტრონული წიგნების ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში – 125*
მინდიაშვილი ნათია, კაკაშვილი ლალი - *ფულადი გზავნილები და მათი მნიშვნელობა საქართველოსათვის – 130*
ტაბატაძე მანუჩარ - *შტრიხ-კოდი - საქონლის სავიზიტო ბარათი – 135*
ტერტერაშვილი ნინო, ჯულაბაშვილი ნათია - *ერთი ეკონომიკური მოდელის წარმოდგენა და მისი ამოხსნის თავისებურებანი – 137*
ტუსიაშვილი სოფიო, შავდათუაშვილი მარიამ - *კოსმეტიკური კომპანია „ორიფლეიმი“ საერთაშორისო და ქართულ ბაზარზე – 141*
ფანიაშვილი ანი, რომელაშვილი ნათია - *თანამედროვე საბანკო ინოვაციები ქართულ ბაზარზე – 144*
ფაცინაშვილი ქეთევან, ნასუაშვილი ნათია - *სასტუმროების როლი და მნიშვნელობა ტურიზმში – 146*
ღარიბაშვილი ნინო, ფარეხელაშვილი თამთა - *ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე – 151*
ღვინიაშვილი ნინო, პურიჭამიაშვილი ნინო - *ბათუმი - პირველი მანუფაქტურული ქალაქი საქართველოში – 153*
ყაჩლავაშვილი მირანდა - *ქართული ფულის წარმოშობის ისტორიულ-ეკონომიკური ასპექტები – 156*
ყაჩლავაშვილი ნინო, ყაჩლავაშვილი მირანდა - *ინტერნეტ-მომსახურების ძირითადი პაკეტები საქართველოში – 160*
ყველაშვილი ნუცა, გაგნიძე მერი - *მაკროეკონომიკური არასტაბილურობა: ინფლაციური პროცესების განვითარება – 164*
ყოჩიშვილი თამარი, დიასამიძე ნინო - *ტურიზმი - საქართველოს ეკონომიკის განვითარების რეალური შესაძლებლობა – 166*
ცეცხლაძე სოფიო - *საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები – 171*
წერეთელი ნატო, ახალბედაშვილი ანი - *ინფლაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე – 175*
ხაბაზიშვილი ამირან, ჩიტაშვილი ნინო - *მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში – 179*
ხუროშვილი ნატო - *საქართველოს საგადასახადო სისტემა – 184*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

არჩუაძე ნათია - *იმაუელ კანტი - დიდი გერმანელი ფილოსოფოსი – 186*
ბერუაშვილი ნინო - *პლატონი - უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი – 189*
ბუგიანიშვილი გიორგი - *თომას ჰობსი და ჯონ ლოკი სახელმწიფოს შესახებ – 192*
გოგიაშვილი ფიქრია - *სოკრატე - დაუწერელი ფილოსოფოსი – 194*
ეცადაშვილი თამარ - *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია – 196*
ლურსმანაშვილი ნათია - *პასუხისმგებლობა თანაამსრულებლობისათვის – 200*
მიხანაშვილი ანი - *წამების აკრძალვა – 202*
ოქროშიაშვილი თამარ - *უდანაშაულობის პრეზუმფცია – 205*
ოქროშიაშვილი თამარ - *ტელევიზია და თანამედროვე დიქტორთა მეტყველება – 207*
რიკაძე მერი - *განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – 209*
სოსიაშვილი ნინო - *ეროსის პრობლემა პლატონის ნაშრომის "ნადიმის" მიხედვით – 211*
ტატურაშვილი ბელა - *წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დანაშაულში – 214*
ტატურაშვილი ბელა, ლურსმანაშვილი ნათია - *სამოქალაქო საზოგადოება - წარსული და დღევანდელობა – 217*
ტერმაკოზაშვილი ირინე - *რენესანსის შესახებ – 219*
ტეტუნაშვილი ხატია, ღუღუნაძე ციცინო - *მასმედია და კონფლიქტების დარეგულირება (2008 წლის აგვისტოს მოვლენების მაგალითზე) – 221*

ყაჩლავაშვილი მაგდა - *შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფია (ნიკოლო კუზანელის ფილოსოფიური აზროვნება) – 224*
ჩიტაშვილი ნინო - *იმანუელ კანტი - კატეგორიული იმპერატივი – 227*
ჩიხლაძე ცირა, ბერუაშვილი ნათია - *რენე დეკარტი - „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ – 230*
ხარაიშვილი თამარ - *ქართული სამართლის ჰუმანურობის ისტორიიდან – 234*
ხარაიშვილი თამარ - *თანამედროვე ყვითელი პრესა და გრამატიკული ხარვეზები – 237*
ხმალაძე მირანდა - *სულის უკვდავების პრობლემა პლატონის ნაშრომის „ფედონის“ მიხედვით – 240*

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

აზალაძე თინათინ - *სახელზმნის ისტორიისათვის – 243*
განჯელაშვილი სოფიო - *ინგილოური დიალექტი – 247*
გელაშვილი თამარ - *სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ფრონეს ხეობის ტოპონიმიაში – 249*
გოგინაშვილი ჟანა - *თანამედროვე ქართულ ენობრივ სიტუაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი – 251*
იორამაშვილი ეკა - *კნინობითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და სოფელ ტინისხიდის მეტსახელები – 254*
კეჩხუაშვილი მალვინა - *ოთარ ჩხეიძის ენის ზოგიერთი თავისებურება რომან „2001 წლის“ მიხედვით – 257*
ლომიძე ლიკა - *გურამ დოჩანაშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება „სამოსელი პირველისა“ და „არის და იყოც უცნაური, ადამიანიც, წუთისოფელიც“ მიხედვით – 260*
ლომიძე მარიკა - *ონომასტიკის რაობა და ტერმინოლოგია – 263*
ოქროპირიძე მარიამ, თარაშვილი ეველინა - *ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ტოპონიმიკური მეცნიერების ფუძემდებელი – 266*
ხორგუაშვილი სოფიო - *თეორიები ბასკური და ქართული ენის ნათესაობის შესახებ – 271*

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ბაწაშვილი თინა - *ნოდარ დუმბაძე - „მზიანი გულის“ შემოქმედი – 273*
გომარელი ნინო - *კონსტანტინე გამსახურდია ექსპრესიონიზმის შესახებ და ექსპრესიონიზმის ნიშნები რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ – 275*
გრძელიშვილი გიულიეტა, სამადალაშვილი ნინო - *ОСОБЕННОСТИ РУССКОГО РОМАНТИЗМА – 279*
ვარდანაშვილი მაკა - *სენტიმენტალიზმი ინგლისურად – 283*
ვარდიშვილი ეთერ - *БАСНЯ КАК ЭПИЧЕСКИЙ ЖАНР – 288*
მარქაროვი ნინო - *СМЫСЛОВАЯ И КОМПОЗИЦИОННАЯ РОЛЬ СОНАТЫ БЕТХОВЕНА В РАССКАЗЕ А. КУПРИНА «ГРАНАТОВЫЙ БРАСЛЕТ» – 291*
მექვაბიშვილი მარიამ - *ТАЙНЫ СМЕРТИ СЕРГЕЯ ЕСЕНИНА – 293*
სოზიაშვილი ნინო - *ჯადოსნური ზღაპრის ზოგიერთი თავისებურება – 296*
ქურთაული თეონა - *XX საუკუნის საქართველო ოთარ ჩხეიძის რომანში „ლაზერშოუ“ – 299*
შატაკიშვილი მარიამი - *ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“ – 302*
წიწიკაშვილი თამარ, წიწიკაშვილი თეონა - *ОБРАЗ ЛЕСТНИЦЫ В ПОВЕСТИ Н.В. ГОГОЛЯ ”ШИНЕЛЬ” – 305*
ჯირკველიშვილი ელენე - *ეროვნული ზეპირსიტყვიერების ნიმუში გორის რაიონი ს. ქერეს მაგალითზე – 307*

ი ს ტ ო რ ი ა

ამბრიაშვილი ნინო - *შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან – 311*
კორაშვილი ნინო - *სოფელ ნიქოზის ისტორიიდან – 314*
ყაზარაშვილი ნინო, ფოცხვერაშვილი მზია, ხეტაშვილი ნინო - *მოდის ტენდენციები – 317*
ყაჩლავაშვილი მაგდა - *დემნა ბატონიშვილი – 320*
ხაბაზიშვილი ამირან - *დასავლეთი - ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი – 323*

НЕТРАДИЦИОННЫЕ ФОРМЫ УРОКОВ РУССКОГО КАК ИНОСТРАННОГО

Майя Беруашвили
маг. 2 курса спец. учит. рус. яз. и лит.
фак. образов.,естеств. и точн. наук
рук. ***Н.Хинчагашвили***

Проблема преподавания иностранного языка в школе в настоящее время особенно актуальна, т.к. изменения в характере образования все более явно ориентируют его на «свободное развитие человека», на творческую инициативу, самостоятельность обучаемых, конкурентоспособность, мобильность будущих специалистов. Известно, что целью обучения иностранному языку является формирование коммуникативной компетенции, включающей в себя как языковую, так и социокультурную компетенцию, ибо без знания социокультурного фона нельзя сформировать коммуникативную компетенцию даже в ограниченных пределах. Изучение иностранного языка призвано сформировать личность, способную и желающую участвовать в межкультурной коммуникации. Но такую личность невозможно формировать без знаний о социокуль-турных особенностях страны изучаемого языка. Изучение языка и культуры одновременно обеспечивает не только эффективное достижение практических, общеобразовательных и развивающих целей, но и содержит значительные возможности для вызова и дальнейшего поддержания мотивации обучаемых.

Формирование положительной мотивации должно рассматриваться учителем как специальная задача. Как правило, мотивы связаны с познавательными интересами учащихся, потребностью в овладении новыми знаниями, навыками, умениями. Но первая и естественная потребность изучающих иностранный язык – коммуникация. Для организации благоприятного климата, ориентирующего учащихся на коммуникацию, необходимо выбирать такие формы урока, которые будут стимулировать деятельность учащихся. Нетрадиционные формы проведения занятий направлены на повышение эффективности деятельности учащихся. К таким занятиям следует отнести: урок – спектакль, урок – праздник, урок – экскурсию, видеоурок и т.д. (1, 13).

Опыт школьных преподавателей и исследования педагогов-новаторов показали, что нетрадиционные формы проведения уроков поддерживают интерес учащихся к предмету и повышают мотивацию учения.

Главным достоинством нетрадиционных форм уроков является развитие и совершенствование социокультурной компетенции учащихся, расширение по сравне-нию с базовым уровнем знаний о культурном наследии стран изучаемого языка.

Исходя из вышесказанного, еще одна цель нашей работы – показать возмож- ность использования нетрадиционных форм урока в современной школе, направленной на решение задачи формирования социокультурной грамотности учащихся.

Феномен социокультурной грамотности предполагает развитие способности понимать и ценить культуру других народов, формирование непредвзятого взгляда на мир, ломку сложившихся стереотипов, искажающих восприятие иной культуры, обучение культуре общения.

Нетрадиционные формы урока русского языка реализуются, как правило, после изучения какой-либо темы или несколько тем, выполняя функции обучающего контроля. Такие уроки проходят в необычной, нетрадиционной обстановке. Подобная смена привычной обстановки целесообразна, поскольку она создает атмосферу праздника при подведении итогов проделанной работы, снимает психический барьер, возникающий в традиционных условиях из-за боязни совершить ошибку.

Нетрадиционные формы урока осуществляются при обязательном участии всех учеников группы/класса, а также реализуются с непременным использованием средств слуховой и зрительной нагляд-ности. На таких уроках удается достичь самых разных целей методического, педагогического и психологического характера, которые можно суммировать следующим образом:

- осуществляется контроль знаний, навыков и умений учащихся по определенной теме;
- обеспечивается деловая, рабочая атмосфера, серьезное отношение учащихся к уроку;
- предусматривается минимальное участие учителя на уроке. (6.67)

Нетрадиционные уроки нравятся детям, т.к. они творческие и необычные, а самое главное – эффективные. Но не следует слишком часто проводить нетрадиционные уроки, т.к. они станут традиционными и уровень эффективности снизится. К нетрадиционным урокам можно отнести урок – спектакль, урок – праздник, урок – экскурсию, видеоурок, урок - проект.

1. Уроки с использованием современных аудиовизуальных и технических средств обучения.

а. Интернет-урок

В связи со своими большими возможностями интернет давно привлек внимание преподавателей-практиков и методистов. Он используется сейчас для обучения самым различным предметам и особое значение приобрел и в преподавании иностранного языка. В связи с этим вспомним особенности этого предмета. Его основная цель – формирование коммуникативной компетенции, которая предусматривает формирование способности к межкультурному взаимодействию. Его ресурсы можно использовать в следующих целях:

1. для включения материалов сети в содержание урока;
2. для самостоятельного поиска информации учащихся в рамках работы над проектом;
3. для ликвидации пробелов в знаниях;

Используя информационные ресурсы сети интернет, можно, интегрируя их в учебный процесс, более эффективно решать целый ряд дидактических задач на уроке:

- совершенствовать умение аудирования на основе звуковых текстов сети интернет;
- пополнять словарный запас активной и пассивной лексикой современного языка;
- формировать устойчивую мотивацию иноязычной деятельности.

Существуют три области, в которых Интернет может вывести обучение русскому языку на новый уровень. Это коммуникация, информация и публикация. Коммуникация осуществляется с помощью электронной почты, огромные пласты информации заключены во всемирной паутине (World Wide Web), публикация может осуществляться путем создания собственной страницы в интернете. В принципе, все это можно делать и без интернета. Общаться можно с помощью писем или по телефону, за информацией ходить в библиотеку, а публиковать свои труды в журналах и газетах. Однако преимущество интернета заключается в доступности и актуальности материалов, а также в облегчении и ускорении межнациональной коммуникации.

б. Видео урок

Овладеть коммуникативной компетенцией на русском языке, не находясь в стране изучаемого языка, дело весьма трудное. Поэтому важной задачей учителя является создание реальных и воображаемых ситуаций общения на уроке иностранного языка с использованием различных приемов работы. Не менее важным считается приобщение школьников к культурным ценностям народа – носителя языка. В этих целях большое значение имеют видеофильмы. Их использование способствует постижению живой иноязычной культуры. Еще одним достоинством видеофильма является его эмоциональное воздействие на учащихся. Поэтому внимание должно быть направлено на формирование у школьников личностного отношения к увиденному. Использование видеофильма помогает также развитию различных сторон психической деятельности учащихся, и прежде всего внимания и памяти. Во время просмотра в классе возникает атмосфера совместной познавательной деятельности. В этих условиях даже невнимательный ученик становится внимательным. Для того, чтобы понять содержание фильма, школьникам необходимо приложить определенные усилия. Так, непроиз-вольное внимание переходит в произвольное, его интенсивность оказывает влияние на процесс запоминания. Использование различных каналов поступления информации (слуховое, зрительное, моторное восприятие) положительно влияет на прочность запечатления страноведческого и языкового материала. Т.о., психологические особен-ности воздействия учебных видеофильмов на учащихся способствует интенсификации учебного процесса и создает благоприятные условия для формирования коммуникативной компетенции учащихся. Практика показывает, что видео-уроки являются эффективной формой обучения (5,46).

Уроки, направленные на установление межпредметных связей

а. Интегрированный урок

Решению важных общедидактических, педагогических и методических задач, имеющих целью расширить общеобразовательный кругозор учащихся служит интеграция учебных дисциплин в процессе обучения иностранного языка. Исследования показывают, что повышение образовательного уровня обучения с помощью межпредметной интеграции усиливает его воспитывающие функции. Особенно заметно это проявляется в области гуманитарных предметов, поскольку науки гуманитарного цикла (литература, история) ставят предмет для разговора, повод для коммуникации. Предметы гуманитарного цикла обращены к личности человека, его духовным и нравственным ценностям. Использование интеграции формирует художественные вкусы учащихся, умение правильно понимать и ценить произведения искусства.

б. Урок-проект

Метод проектов приобретает в последнее время все больше сторонников. Он направлен на то, что бы развить активное самостоятельное мышление ребенка и научить его не просто запоминать и воспроизводить

знания, а уметь применять их на практике. Проектная методика отличается коллективным характером выполнения заданий при работе над проектом и ориентирована на личность учащегося и предполагает высокий уровень индивидуальной и коллективной ответственности за выполнение каждого задания по разработке проекта.

. Выполненный проект может быть представлен в самых разных формах: статья, рекомендации, альбом, коллаж и многие другие. Разнообразны и формы презентации проекта: доклад, конференция, конкурс, праздник, спектакль. Главным результатом работы над проектом будут актуализация имеющихся и приобретение новых знаний, навыков и умений и их творческое применение в новых условиях. Работа над проектом осуществляется в несколько этапов и обычно выходит за рамки учебной деятельности на уроках: выбор темы или проблемы проекта; формирование группы исполнителей; разработка плана работы над проектом, определение сроков; распределение заданий среди учащихся; выполнение заданий, обсуждение в группе результатов выполнения каждого задания; оформление совместного результата; отчет по проекту; оценка выполнения проекта. Работа по проектной методике требует от учащихся высокой степени самостоятельности поисковой деятельности, координации своих действий, активного исследовательского, исполнительского и коммуникативного взаимодействия. (3,24). Роль учителя заключается в подготовке учащихся к работе над проектом, выборе темы, в оказании помощи учащимся при планировании работы, в текущем контроле и консультировании учащихся по ходу выполнения проекта на правах соучастника.

Уроки творчества

а. Урок – экскурсия

В наше время, когда все шире и шире развиваются связи между разными странами и народами, знакомство с русской национальной культурой становится необходимым элементом процесса обучения русского языка. Ученик должен уметь провести экскурсию по городу, рассказать иностранным гостям о самобытности русской культуры и т.д. Принцип диалога культур предполагает использование культуроведческого материала о родной стране, который позволяет развивать культуру представления родной страны, а также формировать пред- ставления о культуре страны изучаемого языка.

б. Урок - спектакль

Эффективной и продуктивной формой обучения является урок-спектакль. Использование художественных произведений русской литературы на уроках языка совершенствует произносительные навыки учащихся, обеспечивает создание коммуникативной, познавательной и эстетической мотивации. Подготовка спектакля – творческая работа, которая способствует выработке навыков языкового общения детей и раскрытию их индивидуальных творческих способностей.

Такой вид работы активизирует мыслительную и речевую деятельность учащихся, развивает их интерес к литературе, служит лучшему усвоению культуры страны изучаемого языка, а также углубляет знание языка, поскольку при этом происходит процесс запоминания лексики. Наряду с формированием активного словаря школьников формируется так называемый пассивно-потенциальный словарь. И немаловажно, что учащиеся получают удовлетворение от такого вида работы.

в. Урок - праздник

Весьма интересной и плодотворной формой проведения уроков является урок-праздник. Эта форма урока расширяет знания учащихся о традициях и обычаях, существующих в стране изучаемого языка и развивает у школьников способности к русскоязычному общению, позволяющих участвовать в различных ситуациях межкультурной коммуникации.

г. Урок - интервью

Самым надежным свидетельством освоения изучаемого языка является способность учащихся вести беседу по конкретной теме. В данном случае целесообразно проводить урок-интервью. Урок-интервью – это своеобразный диалог по обмену информацией. На таком уроке, как правило, учащиеся овладевают определенным количеством частотных клише и пользуются ими в автоматическом режиме. В зависимости от поставленных задач тема урока может включать отдельные подтемы. Например: ”Свободное время”, “Планы на будущее”, “Биография” и т.д.Во всех этих случаях мы имеем дело с обменом значимой информацией. Однако при работе с такими темами, как "Моя школа" или "Мой город", равноправный диалог теряет смысл, поскольку партнерам незачем обмениваться информацией. Коммуникация приобретает чисто формальный характер. В такой ситуации логично прибегнуть к элементами ролевого диалога. При этом один из партнеров продолжает оставаться самим собой, то есть грузинским школьником, тогда как второй должен сыграть роль его российского сверстника.

Такая форма урока требует тщательной подготовки. Учащиеся самостоятельно работают над заданием по рекомендованной учителем страноведческой литературе, готовят вопросы, на которые хотят получить ответы.

д. Урок-мюзикл

Урок-мюзикл также способствует развитию социокультурной компетенции и ознакомлению с культурой России Методические преимущества песенного творчества в обучении иностранному языку очевидны. Известно, что в Древней Греции многие тексты разучивались пением, а во многих школах Франции это практикуется сейчас. Тоже можно сказать и об Индии, где в настоящее время в начальной школе азбуку и арифметику выучивают пением. Урок-мюзикл содействует эстетическому и нравственному воспитанию школьников, более полно раскрывает творческие способности каждого ученика. Благодаря пению мюзикла на уроке создается благоприятный психологический климат, снижается усталость, активизируется языковая деятельность. Во многих случаях он служит и разрядкой, снижающей напряжение и восстанавливает работоспособность учащихся.

В заключении заметим, что подготовка и проведение нетрадиционных уроков стимулирует учащихся к дальнейшему изучению иностранного языка, способствует углублению знаний в результате работы с различными источниками, а также расширяет кругозор.

ЛИТЕРАТУРА:

1. Бухбиндер В.А. Основные типы уроков иностранного языка и их дидактико-методические модели. М. 1991
2. Гальскова Н.Д. Современная методика обучения иностранным языкам. М. 2005.
3. Конаржевский, Ю.А. Анализ урока . М. 2003
4. Онищук, В.А. Типы, структура и методика урока в школе. Киев. 1976.
5. Поляков, Е.М. О системе и анализе урока. Киев. 1974.
6. Щукин А.Н.Методика преподавания русского языка как иностранного. М. 2003

საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო არენაზე 1990-2010 წლებში

გიორგი თამლიანი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ალექსანდრე იაშვილი,** აკადემიური დოქტორი

მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ქვეყნის საქართველოს ისტორია აღსავსეა როგორც აღმშენებლობის უნიკალური, ისე ტრაგიკული მოვლენებით. ქვეყანა შენდებოდა და ინგრეოდა, ინგრეოდა და შენდებოდა, ათასგზის გადარჩენილა ჩვენი სამშობლო შემოსეული მტრებისაგან სრულ განადგურებას, ხალხი – გადაშენებას. საქართველო კულტურათა ჭიდილის სარბიელიც იყო, უნიკალური ხალხური შემოქმედების მხარდამხარ იქმნებოდა, ფუძნდებოდა და თაობიდან თაობაში გადადიოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხური ტრადიციები. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის უსაფუძვლო ვარაუდი, რომ ქართველური ტომები მონაწილეობდნენ ძველ ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში.

ცნობილია აგრეთვე, რომ ოდესღაც საქართველოს სამხრეთში იმართებოდა ბერძნული ოლიმპიური თამაშების მსგავსი მესხური თამაშები.

მეფის რუსეთის ქვეშევრდომობის პერიოდში და 1918-1921 წლებში, ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი, საქართველომ ვერ შეძლო გაწევრიანებულიყო მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახში და დამოუკიდებლად ესპარეზა ოლიმპიურ თამაშებში.

მხოლოდ საბჭოთა დელეგაციებში, 1952 წლიდან გავიდნენ საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ სარბიელზე, სადაც გამოვლინდა ქართველთა შესაძლებლობები.

საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე დამოუკიდებლად გასვლა საქართველოს სპორტსმენთა თაობების ოცნება იყო. ამ ოცნების ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა XX საუკუნის 90-იან წლებში, კერძოდ, 1989 წლის 6 ოქტომბერს დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. იმავე დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩეულ იქნა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი.

ახლადშექმნილი სეოკის (საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის) პირველ სხდომაზე პირველ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს სამგზის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვიქტორ

სანაევი, ვიცე-პრეზიდენტებად – თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი, გენერალურ მდივნად – დავით კინწურაშვილი.

საქართველოს სპორტის ისტორიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1993 წლის 22 სექტემბერი, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა საქართველოს ეროვნული კომიტეტი და მიიღო იგი თავის რიგებში.

ახდა საქართველოს სპორტსმენთა დიდი ხნის ოცნება, ამის შემდეგ ქართველ სპორტსმენებს მიეცათ უფლება დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ეასპარეზათ ნებისმიერი მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებებზე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სპორტულმა ფედერაციებმა დაიწყეს საბჭოთა კავშირის სპორტული ფედერაციებიდან გამოსვლა და ისინი გაერთიანდნენ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში.

საერთაშორისო ფედერაციებში გაერთიანდნენ ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის, ძიუდოს, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ცურვის, წყალბურთის, მკლავჭიდის, კრივისა და სხვა სახეობათა ფედერაციები.

განსაკუთრებული აღნიშვნის საგანი არის 1989 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის, ხოლო 1990 წლის 17 იანვარს რაგბის ფედერაციის რეგისტრაციაში გატარება.

ყოველივე ზემოთ ხსენებული ფაქტორი ხელს უწყობდა უახლოეს პერიოდში ქართველ სპორტსმენთა გამოსვლას საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით.

საქართველოს სპორტსმენები 1992 წელს უკანასკნელად მონაწილეობენ ბარსელონაში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის დელეგაციაში.

ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია 1994 წელი, როცა როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ, პირველად გაიტანა ეროვნული დროშა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სამზეოზე, ეს იყო ლილეჰამერში ზამთრის რიგით XVII ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც საქართველოს სპორტული დელეგაცია მსოფლიოს ოლიმპიური ქვეყნების მხარდამხარ მიაბიჯებდა თამაშების გახსნის ცერემონიალზე. სამ სახეობაში მივიღეთ მონაწილეობა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობილი ტრამპლინიდან მხტომელი კობა წაქაძის კვალს ხუთი ოლიმპიელი აგრძელებდა, ესენი იყვნენ მამის ტრადიციების გამგრძელებელი კახაბერ წაქაძე, მოციგურავეები კახა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი, სამთო მოთხილამურეები ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი.

ამის შემდეგ საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდები იწყებენ მზადებას XXVI ატლანტის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის.

1996 წელს 36 მონაწილით წარვდექით ატლანტის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე.

მართალია, რომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ ავიღეთ ოქროსა და ვერცხლის მედლები, მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის „სავიზიტო ბარათად“ იქცა ატლანტაში „ქართული სახლი“, რომელმაც ექვსი ათასამდე სტუმარს გააცნო საქართველო, მისი ისტორია და კულტურა, სპორტული მიღწევები, მსოფლიოს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილი (ატლანტის ოლიმპიადამდე ქართველ სპორტსმენებს მოპოვებული ჰქონდათ 31 ოქროს, 63 ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი).

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პარალელურად წარმატებით გამოდიან ქართველი სპორტსმენები მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე: ლუკა კურტანიძემ ზედიზედ ორჯერ – 2001 და 2002 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის მედალი თავისუფალ ჭიდაობაში.

1991 წელს გვასახელეს მკლავჭიდელებმა ერეკლე გურჩიანმა და ზაურ ცხადაძემ, მათ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერეკლე გურჩიანი არის პირველი მსოფლიო ჩემპიონი დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში, ხოლო ზაურ ცხადაძე არის მეორე მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც იმავე დღეს, გურჩიანის ჩემპიონად გახდომიდან ორი საათის შემდეგ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ამჯერად გვინდა შევეხოთ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების შედეგებს, რაც შეეხება მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე ქართველ სპორტსმენთა გამოსვლებს, გადაწყვეტილი გვაქვს, ამ მიმართულებით კვლავ გავაგრძელოთ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.

ამიტომ მინდა მოკლედ მიმოვიხილო სიდნეიში, ათენსა და პეკინში 2000, 2004, 2008 წლებში ჩატარებულ ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილთა შედეგები.

2000 წელს სიდნეიში მონაწილეობდა 36 სპორტსმენი, მათგან ექვსმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. 2004 წელს ათენის რიგით XXVIII ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა 33 სპორტსმენი, აქ ჩვენმა

წარგზავნილებმა მოიპოვეს 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი. ოქროს მედლები მოიპოვეს ძიუდოისტებმა ზურაბ ზვიადაურმა და ძალოსანმა გიორგი ასანიძემ.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ნესტორ ხერგიანმა ძიუდოში და რამაზ ნოზაძემ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში).

პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე მონაწილეობდა 35 სპორტსმენი. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას საქართველო იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში, ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს სამი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი.

ოქროს მედლები მოიპოვეს ძიუდოისტმა ირაკლი ცირეკიძემ, თავისუფალი სტილით მოჭიდავემ რევაზ მინდორაშვილმა და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ მანუჩარ კვირკველიამ. ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ტყვიით მსროლელმა ნინო სალუქვაძემ, ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის სპეციალობის კურსდამთავრებულმა ოთარ თუშიშვილმა და გორელმა გიორგი გოგშელიძემ თავისუფალ ჭიდაობაში.

იმედია, რომ ქართველი სპორტსმენები და, მათ შორის, ჩემი თანაკურსელები პაატა მერაბაშვილი, ზაზა დავაძე, დავით კარბელაშვილი და ბექა ლობჟანიძე კვლავ გააგრძელებენ ქართველ სპორტსმენთა სახელოვან სპორტულ ტრადიციებს და ახალ-ახალი წარმატებებით გაახარებენ ჩვენს თანამემამულეებს.

ლიტერატურა:

1. ავთანდილ ციბაძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, თბ., 1991;
2. ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი, ოლიმპიზმი საქართველოში, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 1996;
3. ნოდარ გუგუშვილი, ოლიმპიური ენციკლოპედია, თბ., 1997;
4. ჟურნალი „ოლიმპიელი“, №1, 1999;
5. ქართველი ოლიმპიელები სიდნეიში, თბ., 2000;
6. თენგიზ გაჩეჩილაძე, 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში, თბ., 1989-1999;
7. ჟურნალი „ ოლიმპიელი“, №2-4, 2002;
8. ჟურნალი „ოლიმპიელი“, №3-4, 2003;
9. თენგიზ გაჩეჩილაძე, საქართველოს ოლიმპიური უღელტეხილი, თბ., 2004;
10. დავით კინწურაშვილი, ოლიმპიური საქართველო, თბ., 2007;
11. გაზეთი „ლელო“, 28 დეკემბერი 2010;
12. გაზეთი „ლელო“, 13 იანვარი 2011.

ჯგუფური მუშაობა დაწყებით კლასებში

თათია კაკაშვილი, თამარ საათაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნოდარ მირაზანაშვილი,** სრული პროფესორი

ჯგუფური მუშაობა დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური თემაა სკოლებში. მისი გამოყენება ხდება, როგორც სწავლების პირველ საფეხურზე, ასევე მის შემდგომ საფეხურებზეც. ჯგუფური მუშაობა ემსახურება არა მხოლოდ ცოდნის შეძენას საგაკვეთილო პროცესში, არამედ მას აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც, რადგან მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის პროცესში უვითარდებათ თანამშრომლობის, პატივისცემისა და სხვისი დახმარების უნარი.

მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა სათავეს 1867 წლიდან იღებს. პირველ რიგში, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ჯგუფური მუშაობა და ჯგუფში მუშაობა. როცა ერთად შეკრებილი მოსწავლეები ერთსა და იმავე დავალებას ინდივიდუალურად ასრულებენ, ისინი მუშაობენ ჯგუფში, მაგრამ არ ასრულებენ ჯგუფურ სამუშაოს. ჯგუფური მუშაობა გულისხმობს მოსწავლეთა ორგანიზებულ თანამშრომლობას საერთო, კოლექტიური პროდუქტის შესაქმნელად. არ აქვს მნიშვნელობა იმას, რა სახის იქნება ეს პროდუქტი. ეს შეიძლება იყოს: ჰიპოთეზა, ვიდეო, აფიშა, გადაჭრილი პრობლემა, მიღებული გადაწყვეტილება, ტექსტი, სქემა და სხვა.

განათლების სპეციალისტები ხშირად დავობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ჯგუფებად დაყოფა. მოსწავლეთა ჯგუფებად დაყოფა არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით

შეიძლება მოგვეჩვენოს. აქ რამოდენიმე ასპექტია გასათვალისწინებელი. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები შეიძლება დავყოთ წყვილებად, ტრიადებად, 4-5 კაციან მცირე ჯგუფებად, ან უფრო დიდ ჯგუფებად. ჯგუფის ზომა დამოკიდებულია დავალების ხასიათსა და ბავშვების ცოდნის დონეზე.

წყვილებში მუშაობა ყველაზე მოსახერხებელია დაბალ კლასებში, ან ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობენ, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება. ამიტომ საწყის ეტაპზე სასურველია სწორედ ეს ფორმა გამოვიყენოთ.

ტრიადები (ანუ 3 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი) განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როცა ერთი ბავშვი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმძღვანელობით. ასევე სასურველია, ტრიადების გამოყენება იმ ეტაპზე, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ უჭირთ დისკუსიისას შეთანხმებამდე მისვლა და ამ დროს შეიძლება მესამე მოსწავლის აზრი გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

მცირე ჯგუფები (4-5 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი) ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ფაქტობრივად ყველა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ ამავე დროს შეიძლება დაწყებითი კლასების მოსწავლეებს საკმაოდ გაუჭირდეთ ამ ფორმით მუშაობა, რადგან რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია მისი მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზება.

დიდი ჯგუფი (6-10 მოსწავლე) საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან ბევრ პრობლემას ქმნის და ამგვარი დაჯგუფება შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ამას დავალება მოითხოვს. დიდ ჯგუფად დაყოფამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეთა პასიურობა. მორცხვ ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ დიდი აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა და დუმილი ამჯობინონ. ასე რომ 3-4 მოსწავლისაგან შემდგარი პატარა ჯგუფები უფრო ეფექტურია, ვიდრე დიდი ჯგუფები. დაჯგუფების მეთოდი ყველაზე ნაყოფიერია მაშინ, როცა კვირაში ერთხელ მაინც ტარდება.

ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა ნიშნით შევქმნით ამ ჯგუფებს. ჯგუფების დაყოფა არც თუ ისე მიზანშეწონილია შესაძლებლობების მიხედვით. მოსწავლეთა დაჯგუფება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მაგალითად: მათი ინტერესების, დაბადების თვეების, ტანსაცმლის ფერის, სახელისა და გვარის პირველი ასოების და სხვათა მიხედვით. თუ ჯგუფის შექმნას თავად ბავშვებს მივანდობთ, ალბათ მეგობრობა გახდება განმსაზღვრელი ფაქტორი. ამის დადებითი მხარე ის არის, რომ ბავშვები მეტი სიამოვნებით იმუშავებენ თავიანთ მიერვე შერჩეულ პარტნიორებთან, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარმა დაჯგუფებამ შეიძლება არეულობა და ქაოსი გამოიწვიოს კლასში, სანამ ბავშვები პარტნიორს ეძებენ. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ცოდნის დონეს, რომელიც ჯგუფის შექმნისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ზოგჯერ სასურველია შერეული დონის ჯგუფების შექმნა, რადგან უფრო ძლიერი მოსწავლეები დახმარებას უწევენ შედარებით სუსტ მოსწავლეებს და ამ პროცესში თავადაც უკეთ გაიაზრებენ დასმულ პრობლემას. მნიშვნელოვანი ფაქტორებია აქტივობის ხარისხის გამოყენება მოსწავლეთა დასაჯგუფებლად და შემთხვევითი დაჯგუფება, რომელიც გულისხმობს ჯგუფების შეკვრას ყველა განხილული კრიტერიუმის გაუთვალისწინებლად.

ჯგუფურმა მუშაობამ დაწყებით კლასებში შეიძლება სხვადასხვა პრობლემები გამოიწვიოს. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მოსწავლეები დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდებიან ჯგუფურ მუშაობას, რადგან დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის ეს იმდენად ახალი ფორმაა, რომ მათ უჭირთ ამ ყოველივესთან შეგუება. ამიტომ, სასურველია დრო არ დავინანოთ და მოსწავლეებს უკეთ გავაცნოთ ჯგუფური მუშაობის არსი და დადებითი მხრიდან დავანახოთ. ჯგუფური მუშაობა თანდაყოლილ უნარს არ წარმოადგენს - ის ისწავლება. ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეს უწევს სამუშაო წესების დაცვა, პრობლემების გაანალიზება და მათი გადაჭრის სხვადასხვა გზის მოფიქრება, ორგანიზება, საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება, განსხვავებული აზრის მოსმენა და სხვა. არ არსებობს ჯგუფური მუშაობის სწავლების ერთი უნიკალური მეთოდი, თუმცა არსებობს მიდგომები, რომელთა გამოყენება ჯგუფური მუშაობის წარმატებით ათვისებას შეუწყობს ხელს. მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის პროცესში შეიძლება გამოიყენოს მოსწავლეთათვის სხვადასხვა წამახალისებელი ფორმები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა თამაში, რომელიც გულისხმობს ცოდნის შეძენას თამაშის გზით, რაც სწავლების პირველ საფეხურზე საკმაოდ ეფექტურია.

მოსწავლეებს, რომ დავანახოთ ჯგუფური მუშაობის აზრი, სასურველია, მათ მივცეთ გარკვეული სირთულის მქონე ისეთი დავალება, რომლის წარმატებით შესრულებაც ინდივიდუალურად შეუძლებელი იქნება. დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ, რომ შედეგების გასაუმჯობესებლად იმავე დავალებაზე რამდენიმემ ერთად უნდა იმუშაოს. ცხადია, შედეგები გაუმჯობესდება. შემდეგ გაიმართება დისკუსია, რომლის დროსაც მოსწავლეები თავად გაარკვევენ რა უპირატესობა აღმოაჩნდა ასეთ მუშაობას ინდივიდუალურთან შედარებით.

განვიხილოთ ჩვენს მიერ ჩატარებული ჯგუფური მუშაობა, რომელიც ჩავატარეთ ქ. გორის მე-3 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებთან ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე, რომელზეც ახსნილი იქნა ჯგუფური მუშაობის საფუძველზე მურმან ლებანიძის ლექსი ,,ზამთრის პირი."

გაკვეთილის დაწყებისთანავე ბავშვები სხდებიან ჯგუფებში. გვაქვს ოთხი ჯგუფი: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. ისინი ამ ჯგუფებში ნაწილდებიან შეხვედრილი ფრაზების მიხედვით (რომლებიც ფურცლებზე წერია), თუ რომელ დროს მიაკუთვნებენ ამ ფრაზას. მაგალითად: ყვითლად აბრიალებული ხეები; ტყემალი-პატარძალი; აკაშკაშებული მზე და ა.შ. ამის შემდეგ ვურიგებთ ფურცლებს, რომლებზეც წერია ერთი სტროფის ერთი ხაზი და ამ სტროფის შემადგენელ სტრიქონებს ცალ-ცალკე დაჭრილს (ინდივიდუალურად, 8 ბავშვი - 8 სტროფი). აგრეთვე ჯგუფს ვაძლევთ ერთ ფურცელს, რომელზეც თანმიმდევრობით უნდა განალაგონ ეს სტროფები. ამაში მათ ხელს შეუწყობს ლექსის ფურცელზე სიტყვებად გაშლილი 8 და 7 სიტყვიანი აფორიზმები (ერთი სტროფი - ერთი სიტყვა). მოსწავლე აწყობს ერთ სტროფს და ჯგუფი ცდილობს ამ ლექსის გამთლიანებას. ამის შემდგომ თითოეული მოსწავლე სწავლობს ლექსის თითო სტროფს და ჯგუფი ახდენს მთლიანად ამ ლექსის პრეზენტაციას ზეპირად.

ასევე ჯგუფური მუშაობა ჩავატარეთ ამავე კლასში მათემატიკის გაკვეთილზე.

გაკვეთილის თემა იყო სივრცითი ფიგურები, რომლის ახსნის შემდეგაც ჩატარდა ჯგუფური მუშაობა, ცოდნის განმტკიცებისა და ახალი მასალის უკეთ შეთვისების მიზნით. მოსწავლეები დავყავით 4 – 5 ბავშვისაგან შემდგარ 6 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს დაურიგდათ ასანთის ღერები და პლასტელინები. შემდეგ მათ დაევალათ აეწყოთ მოცემული მასალებისგან სხვადასხვა სივრცითი ფიგურები. მაგალითად: კუბი, მართკუთხა პარალელეპიპედი, პირამიდა და ა.შ. მუშაობის დასრულების შემდეგ თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა ნამუშევარი და გააკეთა ამ ნამუშევრის პრეზენტაცია.

ჩვენს მიერ ჩატარებული ჯგუფური მუშაობა დაწყებით კლასში ვთვლით, რომ შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, რადგანაც ყველა იმ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა, რაც ზემოთ გვქონდა განხილული. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის პროცესში უვითარდებათ აზროვნება, ზეპირი მეტყველების კულტურა, ახალი მასალისა და ერთმანეთთან თანამშრომლობის უნარი, პასუხისმგებლიბის გრძნობა, სხვისი დახმარების სურვილი და ა.შ. ასე რომ ჯგუფური მუშაობა დღეისათვის სკოლებში და განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, უფრო აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული.

ლიტერატურა:

1. დიალოგი ალმანახი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2009;
2. რობერტ ჯ. მარზანო, დებრა ჯ. ფიქერინგი, ჯეინი ფ. ოლოქი, ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბ., 2009;
3. ნ. ნიჟარაძე; ქ. მაკლეინი; ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე; თ. ლოდია, სასწავლო და პროფესიული გარემო, თბ., 2009.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების უფლებები

მაია მაისურაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ქსენია ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** სრული პროფესორი

1993 წლის 20 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48-ე სესიამ მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები", რომელიც შემუშავდა ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე (1983-1992 წლები).

ამ წესების ძირითადი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ადამიანებს ისეთივე უფლებები მიანიჭოს და ისეთივე პასუხისმგებლობები დააკისროს, როგორც საზოგადოების სხვა წევრებს აქვთ.

ხელმისაწვდომობა, განათლება, დასაქმება, შემოსავლების უზრუნველყოფა და სოციალური დახმარება, ოჯახური ცხოვრება და პიროვნების თავისუფლება, კულტურა, დასვენება და სპორტი, რელიგია - ეს ის სფეროებია, სადაც დოკუმენტის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა შეიქმნას.

თუ მოვიშველიებთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებს, დავინახავთ, რომ სხვადასხვა სახის ინვალიდობა მსოფლიოს 600 მილიონ მცხოვრებს აქვს, აქედან 236280 საქართველოს მკვიდრია. როგორც საერთაშორისო მონაცემები ცხადყოფს, შშმ ადამიანების 80 პროცენტი ე.წ. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ცხოვრობს. მათი უმეტესობა ღარიბია და მოკლებულია დასაქმების, განათლების და რეაბილიტაციის შესაძლებლობებს. ეს პრობლემები განსაკუთრებით გარდამავალი განვითარების ქვეყნებში მწვავდება. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიცხვში შედის. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთ ჩვენთან ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა უხდებათ.

შშმ პირთათვის ერთ-ერთ განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წარმოადგენს განათლების მიღება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1945 წელს შშმ პირები არ იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და შესაბამისად ვერ ახერხებდნენ განათლების მიღებას. დღეისათვის კი შემუშავებულია ტენდენცია, რაც გულისხმობს თანაბარი შესაძლებლობების ქონას საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება, როგორც პრიორიტეტი 2004 წლიდან იქნა აღიარებული. ამით საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ აიღო ვალდებულება სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში და შექმნას ხელსაყრელი პირობები ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად.

პირველად ტერმინი „ინკლუზიური განათლება“ („იკლუზია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ქართულად „ჩართვას“ ნიშნავს) ნახსენებია 1945 წელს ერთა ლიგის მიერ გამოქვეყნებულ კონვენციაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება თანასწორ პირობებში. აქედან ეყრება საფუძველი ინკლუზიურ სწავლებას; ის ჯერ ამერიკაში დაინერგა, შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და მთელ ევროპაში, საბჭოთა კავშირში კი ამ დროს იგებოდა სპეციალური შენობები: ბაგა-ბაღები, სკოლები, საერთო საცხოვრებლები და შშმ ბავშვები იზრდებოდნენ იზოლირებულ გარემოში, ხოლო როცა საზოგადოებასთან ურთიერთობის დრო დგებოდა, ძნელდებოდა საკუთარი ადგილის პოვნა.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემაზე დღესდღეობით მთელი რიგი ორგანიზაციები მუშაობენ, ინკლუზიური განათლება თანდათან ინერგება, რაც ფუნდამენტია საზოგადოების თანასწორუფლებიანობისა. ოჯახის შემდეგ სწორედ ბაღსა და სკოლაში ეყრება საფუძველი ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებას.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნებისა და საჭიროების მქონე მოსწავლეებად ითვლებიან: შეზღუდული შესაძლებლობებისა და შეფერხებული განვითარების მქონე ბავშვები; აგრეთვე, სწავლის უნარის დაქვეითებისა და სოციალური ჩამორჩენის მქონენი.

ინკლუზიური განათლების მიზანია სკოლებში სათანადო პირობების შექმნა, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმაც მიიღონ განათლება, განავითარონ თავიანთი სულიერი სამყარო, დაიცვან საკუთარი აზრი, უფლებები და პიროვნული ღირსებები.

საზღვარგარეთ სპეცსკოლების უმეტესობა რამდენიმე სახის შეზღუდულობის მქონე მოზარდებისათვის არსებობს, ერთი სახის შეზღუდვის შემთხვევაში ბავშვები მხოლოდ დაწყებით განათლებას იღებენ ასეთ სკოლებში, შემდეგ კი სწავლას ჯანმრთელი ბავშვების გვერდით განაგრძობენ.

ადაპტირებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიც: გაკეთებულია პანდუსები, ზედა სართულზე ასასვლელად მოძრაობს ლიფტი, რომელშიც სართულის ნომრები აღნიშნულია ბრაილის შრიფტითაც, კაბინეტები და აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით. მაგალითად, სმენადაქვეითებულებისათვის საჭირო აპარატურით, რათა პედაგოგის ყოველი სიტყვა გაიგოს სტუდენტმა; უსინათლო სარგებლობს აუდიო ბიბლიოთეკებით, ხმოვანი კომპიუტერებით, ბრაილის პრინტრებით და სხვა.

საქართველო აღიარებს და უერთდება შშმ პირთა უფლებების განმსაზღვრელ საერთაშორისო დოკუმენტებს. ინკლუზიური განათლების დანერგვას ხელს უწყობს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, რომლის თანახმად, ინკლუზიური სწავლება საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი მიმართულებაა. სკოლამ სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და ყოველი მათგანისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი

ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგია შეიმუშაოს, რაც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების პროექტის ფარგლებში (დირექტორი მარიკა ზაქარეიშვილი). მისი თქმით, პროექტი წარმატებით მიმდინარეობს რეგიონებშიც, თბილისის თითქმის ყველა სკოლაში უკვე ჩატარდა ტრენინგები პედაგოგთა, მშობელთა და მოსწავლეთათვის. შშმ ბავშვები სწავლობენ ადაპტირებულ გარემოში. მათ შორის არიან სხვადასხვა სახის შეზღუდვის მქონენი, გარდა უსინათლოებისა (უსინათლოობა, სხვა სახის შეზღუდულობებთან შედარებით, უფრო სპეციფიკური ფორმაა). ასეთი ბავშვები, მცირე გამონაკლისის გარდა, თბილისის 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა-პანსიონში სწავლობენ. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით, რომლებშიც ჩატვირთულია ხმოვანი პროგრამები, ბრაილის პრინტერებით, მოსწავლეები დამოუკიდებლად სარგებლობენ ინტერნეტით, მოიპოვებენ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, კითხულობენ ელექტრონულ და აუდიო წიგნებს; მცირემხედველი ბავშვებისათვის სკოლას გააჩნია სათანადო ოპტიკური საშუალებები. კარგი იქნება, ასეთი გარემო მათ უმაღლეს სასწავლებლებშიც ხვდებოდეთ. ინკლუზიური განათლების პროექტს ხუთი უმაღლესი სასწავლებელი გამოეხმაურა: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი, ახალციხის, გორის, ბათუმის და ქუთაისის უნივერსიტეტები.

ინკლუზიური განათლების დაგეგმვა დაკავშირებულია გარკვეულ აუცილებელ პირობებთან, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა;
- მასწავლებლის როლის განსაზღვრა ინკლუზიურ განათლებაში; სასწავლო გარემოს ადაპტაცია.
- მოსწავლის შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიისა და კლასის მართვის პრინციპების ინკლუზიური განათლების შესაბამისად გათვალისწინება.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვა შშმ ადამიანებს უწევთ, სწორედ საზოგადოების დამოკიდებულებაა. ამ კუთხით დიდია მედიის როლი. პრესა და ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სერიოზულ იარაღს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საზოგადოების ფართო მასების მენტალურ ადაპტაციაში. მას აქვს საშუალება და შესაძლებლობაც შშმ პირთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაუცველობიდან საზოგადოების ინტერესი მათ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე გადაიტანოს. ყურადღება უნდა გავამახვილოთ მედიაში ინვალიდობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებაზეც, ასევე ისეთ ასპექტებზეც, როგორიცაა, მაგალითად, მასალის წარდგენის სტილი და ა.შ.

შშმ პირთა ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომებია: შიში, თანაგრძნობა, თავის არიდება, არაკეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა, ზერელე ტოლერანტობა. აღნიშნული მიდგომების გაცნობა დაგვეხმარება ჩვენი დამოკიდებულების ამოცნობასა და საჭიროების შემთხვევაში, შეცვლაში.

შიში - ზოგიერთი ადამიანი თვლის რომ შეზღუდული შესაძლებლობები გადამდებია და მათ ზიანს მიაყენებს, შშმ ბავშვებთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რადგან ისინი საზოგადოებისგან გაცალკევებულები და დეპრესიულები არიან. ამ შემთხვევაში ადვილია იმის დანახვა, თუ რატომ არის შიში ნეგატიური მიდგომა.

თანაგრძნობა - გაცილებით რთულია იმის დანახვა, თუ რატომ არის ნეგატიური დამოკიდებულება თანაგრძნობა. ხშირად გვესმის: „ოჰ, საწყალი“, „როგორ მეცოდება“. ასეთი თანაგრძნობა მხოლოდ ამცირებს ბავშვის ღირსებას.

თავის არიდება - არის შემთხვევები, როცა ადამიანი შშმ ბავშვთან ურთიერთობისას დისკომფორტს განიცდის და ცდილობს თავი აარიდოს ასეთ სიტუაციას.

გადამეტებული მზრუნველობა - თანაგრძნობის მსგავსად, გადამეტებული მზრუნველობა, ერთი შეხედვით, შეიძლება პოზიტიურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. გადამეტებული მზრუნველობის ქვეშ მოქცეული ბავშვები ხდებიან დაუცველები, დამოკიდებული მოზარდები და ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას.

ზერელე ტოლერანტობა შშმ ბავშვების მიმართ ყველაზე გავრცელებული ნეგატიური დამოკიდებულების ფორმაა. ისინი, ვასაც ასეთი დამოკიდებულება ახასიათებთ, მხოლოდ სიტყვიერი, ან ფინანსური დახმარებით შემოიფერგლებიან და თავს არიდებენ მათთან ღია კონტაქტს. ეს ყველაზე ნაკლებად გულწრფელი დამოკიდებულებაა. ამ გზით კიდევ უფრო ღრმავდება ის ზღვარი, რაც შშმ ბავშვებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს.

შშმ ბავშვების უმრავლესობა გამოირჩევა განსაკუთრებული მგრძნობიარობით და ინტუიციით, ისინი ადვილად განასხვავებენ სიყალბეს და ნამდვილ მეგობრობას. მათთან დამოკიდებულებაში, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს პირად თვისებებზე და შესაძლებლობებზე და არა პრობლემებზე.

სკოლაში ვერ ნახავთ თუნდაც ერთ კლასს, სადაც მინიმუმ ერთი ბავშვი მაინც არ სწავლობს გონებაგაფანტულობის (ყურადღების დეფიციტი) და გადამეტებული აქტიურობის (ჰიპერაქტიურობის) სინდრომით. ასეთი ბავშვები ბევრს მოძრაობენ, უჭირთ კონცენტრირება და ყურადღების მობილიზება, გაკვეთილის მსვლელობისას ხშირად დგებიან და დადიან, ამით ხელს უშლიან პედაგოგსაც და თანაკლასელებსაც.

ინკლუზიური განათლების უმნიშვნელოვანესი პრინციპია, მოსწავლის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინების საფუძველზე მოხდეს სასწავლო მასალისა და გარემოს ადაპტაცია. ინდივიდუალური მიდგომა ინკლუზიური განათლების სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ამ მიზნით სკოლა შშმ მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს. ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართული მოსწავლეები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობენ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აღწერს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს შშმ კონკრეტული მოსწავლე სასწავლო პროცესში და განსაზღვრავს იმ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და მოთხოვნებს, რომელიც მოსწავლის შესაძლებლობების ფარგლებში მოიაზრება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასახავს წლიურ სასწავლო მიზანსაც. ამ შემთხვევაში სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის მოსალოდნელ აკადემიურ წინსვლას. ეს მიზანი შშმ მოსწავლეებისათვის შეიძლება მარტივი ან ძალიან მარტივიც კი იყოს. თუ შშმ მოსწავლემ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზანი დაძლია, ეს ნიშნავს, რომ მაღალი აკადემიური შეფასება დაიმსახურა. ასეთ შემთხვევაში ამოსავალია მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება და ამ შესაძლებლობების შეფასება. რიგ შემთხვევაში შშმ მოსწავლემ შეიძლება სასწავლო სტანდარტის მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნა დააკმაყოფილოს, მაგრამ ის მაინც მაღალ შეფასებას იმსახურებდეს, რადგანაც თავისი შასაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია. ამ შემთხვევაში მოსწავლე კლასიდან კლასში მაღალი შეფასებით გადადის.

საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც ატარებდა სამეცნიერო-კვლევით ხასიათს.

გავესაუბრეთ ქ. გორის #9 საჯარო სკოლის ინკლუზიურ ბავშვთან მომუშავე პედაგოგს ქ-ნ ეკა კილასონიასა და ქ. გორის #4 საჯარო სკოლის ინკლუზიურ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტს ქ-ნ ეთერ ბერუაშვილს.

#9 საჯარო სკოლის პედაგოგმა აღნიშნა, რომ მასზე მიმაგრებულ მოსწავლეს აღენიშნება გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვები და მასთან მუშაობა საკმაოდ რთულია. აღნიშნული ბავშვის კლასის მოსწავლეებთან ინტეგრაცია იწვევს ამ უკანასკნელის გაღიზიანებას და დათრგუნვას იმ შემთხვევაში, თუ მისი თანაკლასელები იღებენ კარგ ნიშნებს. მაგალითისათვის განვიხილოთ ერთი შემთხვევა: მასწავლებელმა, პირობითად ქ-ნ (x), მისცა მოსწავლეებს დავალება, მისი გასწორების შემდეგ შედარებით უკეთესი ნაშრომის მქონე მოსწავლეებს დაუწერა ღიმილები, რამაც აგრესია გამოიწვია შშმ პიროვნების, პირობითად y-ის ქმედებაში.

ზოგადად კი ქ-ნი ეკა მიიჩნევს, რომ შშმ პიროვნებებს უნდა ჰქონდეთ განათლების მიღების შესაძლებლობა სკოლებში, მაგრამ იმ პირობით თუ ისინი სრული მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან, ხოლო, რაც შეეხება #4 საჯარო სკოლის სპეციალისტთან, ქ-ნ ეთერ ბერუაშვილთან ინტერვიუს, გადმოგცემთ მის მოკლე შინაარს: „სკოლაში 26 ინკლუზიური ბავშვი სწავლობს. ისინი შეიძლება დავყოთ გონებრივი შეზღუდვისა და ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლეებად. აღნიშნული მოსწავლეები ინტეგრირებულნი არიან კლასის მოსწავლეებთან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევა, მათზე მიმაგრებულ პედაგოგს ისინი გაჰყავს რესურს ოთახში. ამჟამად, სკოლაში მხოლოდ ორი მოსწავლეა, რომლებიც საჭიროებენ რესურსოთახში გაყვანას და ინდივიდუალურად მუშაობას.

ყველა მასწავლებელს აქვს ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, რის მიხედვითაც ისინი ბავშვებს აწვდიან მხოლოდ იმ მასალას, რომლის დაძლევაც შეუძლია ამა თუ იმ ინკლუზიურ მოსწავლეს. თითოეულ ინკლუზიურ ბავშვთან მომუშავე მასწავლებელი ხელმძღვანელობს სპეციალური წიგნების დახმარებით“.

საბოლოოდ, პედაგოგმა აღნიშნა, რომ ეთანხმება რეფორმას, ინკლუზიური ბავშვების ინტეგრირებას სკოლის მოსწავლეებში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს აქვს მცირე გონებრივი ჩამორჩენა და ფიზიკური შეზღუდვა. ხოლო არ ეთანხმება სრული გონებრივი ჩამორჩენის მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში, რადგან ისინი აფერხებენ სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, რის გამოც უკმაყოფილებას გამოთქვამენ მოსწავლეები და მათი მშობლები.

როგორც ვხედავთ, ინკლუზიური განათლების სფეროში მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამ კუთხით მუშაობა მასწავლებლისგან მოითხოვს:

- მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების სათანადოდ შეფასების უნარს;
- უნარს, რომ მოსწავლის განსაკუთრებული და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები ყოველთვის გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს;
- უნარს, რომ მოსწავლეს, მისი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, საგანმანათლებლო შედეგის, მაღალი აკადემიური მოსწრებისა თუ სხვა კონკრეტული წარმატების მოლოდინი შეუქმნას;
- უნარს, რომ იზრუნოს მოსწავლის ყოველდღიურ აკადემიურ წინსვლაზე.

ამდენად, ჩვენს მიერ განხილულ თემაში ნათლად გამოჩნდა ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც გააჩნია ინკლუზიურ განათლებას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეფორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს შედეგს, თუ სწავლება წარიმართება კანონით განსაზღვრული წესების დაცვით.

ლიტერატურა:

1. თ. ჭინჭარაული, მ. ბაგრატიონი, ა. ლაღიძე, თ. პაჭკორია, ინკლუზიური განათლება, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლება, 2010;.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სწავლება და შეფასება, 2008;.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009;
4. მ. კაპანაძე, ც, ბარქაია, ქ. თვეითერიდი, ი. შარიქაძე, თ. პაჭკორია; „ვისწავლოთ ერთად“. ინკლუზიური განათლება, 2008;
5. განათლების ფსიქოლოგია, სულხან-საბა ორბელიანის თბილისის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბ., 2005.

СОВРЕМЕННЫЕ ПЕДАГОГИЧЕСКИЕ ТЕХНОЛОГИИ НА УРОКАХ РУССКОГО ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ
(*МЕТОД ПРОЕКТОВ)*

Марина Ревазашвили
маг. 2 курса спец. учит. рус. яз. и лит.
фак. образов.,естеств. и точн. наук
рук. проф. ***Н. Хинчагашвили***

Цель нашей работы – выявить специфику использования метода проектов в преподавании русского языка и литературы в общеобразовательной школе. Соот- ветственно, задачами исследования являются определение сущности понятия "проек тная деятельность"; рассмотрение возможностей использования метода в школе, проанализировать проект, разработанный нами.

К современным развивающим технологиям в сфере филологического образования мы относим:

1. Технологию проблемного обучения
2. Технологию развития критического мышления через чтение и письмо
3. Технологию «Творческая мастерская»
4. Технологию «Метод проектов

Одним из лучших способов для совмещения современных информационных технологий, личностно-ориентированного обучения и самостоятельной работы учащихся является проектная деятельность. Обращение к методу проектов возможно на уроке при проверке домашнего задания (сообщение, доклад), при изучении новой темы (защита реферата, выполнение творческой работы и т. д.), при закреплении изученного (сочинение, создание сборников, альманахов, презентаций).

История метода проектов не является принципиально новым в мировой педагогике. Метод возник еще в начале нынешнего столетия в США. Его называли также методом проблем и он связывался с идеями гуманистического направления в философии и образовании, разработанными американским философом и педагогом Дж. Дьюи, а также его учеником В.Х.Килпатриком.

Родившись из идеи свободного воспитания, в настоящее время метод проектов становится интегрированным компонентом вполне разработанной и структурированной системы образования. Но суть ее остается прежней – стимули-ровать интерес учащихся к определенным проблемам, предполагающим владение определенной суммой знаний и через проектную деятельность, предусматривающим решение этих проблем.

Метод проектов привлек внимание русских педагогов еще в начале 20 века. Идеи проектного обучения возникли в России практически параллельно с разра ботками американских педагогов. Под

руководством русского педагога С.Т. Шацкого в 1905 году была организована небольшая группа сотрудников, пытавшаяся активно использовать проектные методы в практике преподавания.

В 1931 году метод проектов был осужден и с тех пор до недавнего времени в России больше не предпринималось сколько-нибудь серьезных попыток возродить этот метод в школьной практике.

Учебный проект — организационная форма работы, которая (в отличие от занятия или учебного мероприятия) ориентирована на изучение законченной учебной темы или учебного раздела и составляет часть стандартного учебного курса или нескольких курсов.

В школе его можно рассматривать как совместную учебно-познавательную, исследовательскую, творческую или игровую деятельность учащихся-партнеров, имеющую общую цель, согласованные методы, способы деятельности, направленную на достижение общего результата по решению какой-либо проблемы, значимой для участников проекта

В основе метода проектов лежит развитие познавательных навыков учащихся, умений самостоятельно конструировать свои знания, умений ориенти роваться в информационном пространстве, развитие критического и творческого мышления.

К основным требованиям к использованию метода проектов относятся: наличие в творческом плане проблемы, практическая, теоретическая, познавательная значимость предполагаемых результатов, самостоятельная (индивидуальная, парная, групповая) деятельность учащихся, структурирование содержательной части проекта (с указанием поэтапных результатов) использование исследовательских методов, предусматривающих определенную последовательность действий (2;18).

Для типологии проектов предлагаются следующие типологические признаки:

- доминирующая в проекте деятельность,
- предметно-содержательная область,
- характер координации проекта,
- количество участников проекта,
- продолжительность проекта.

В основе метода проектов лежит развитие познавательных навыков учащихся, умений самостоятельно конструировать свои знания, умений ориентироваться в информационном пространстве, развитие критического и творческого мышления. Метод проектов - это из области дидактики, частных методик, если он используется в рамках определенного предмета.

Метод - это дидактическая категория. Это совокупность приемов, операций овладения определенной областью практического или теоретического знания, той или иной деятельности. Это путь познания, способ организации процесса познания. Поэтому, если мы говорим о методе проектов, то имеем в виду именно способ достижения дидактической цели через детальную разработку проблемы (технологию), которая должна завершиться вполне реальным, осязаемым практическим результатом, оформленным тем или иным образом. Педагоги обратились к этому методу, чтобы решать свои дидактические задачи.

В основу метода проектов положена идея, составляющая суть понятия "проект", его прагматическая направленность на результат, который можно получить при решении той или иной практически или теоретически значимой проблемы (1;3). Этот результат можно увидеть, осмыслить, применить в реальной практической деятельности. Чтобы добиться такого результата, необходимо научить детей или взрослых студентов самостоятельно мыслить, находить и решать проблемы, привлекая для этой цели знания из разных областей, умения прогнозировать результаты и возможные последствия разных вариантов решения, умения устанавливать причинно-следственные связи.

Метод проектов всегда ориентирован на самостоятельную деятельность учащихся - индивидуальную, парную, групповую, которую учащиеся выполняют в течение определенного отрезка времени. Этот метод органично сочетается с групповыми методами. Метод проектов всегда предполагает решение какой-то проблемы. Решение проблемы предусматривает, с одной стороны, использование совокупности, разно образных методов, средств обучения, а с другой, предполагает необходимость интегрирования знаний, умений применять знания из различных областей науки, техники, технологии, творческих областей (1;56).

Результаты выполненных проектов должны быть, что называется, "осязаемыми", т.е., если это теоретическая проблема, то конкретное ее решение, если практическая – конкретный результат, готовый к использованию (на уроке, в школе, в реальной жизни). Если говорить о методе проектов как о педагогической технологии, то эта технология предполагает совокупность исследовательских, поисковых, проблемных методов, творческих по самой своей сути.

Основными требованиями к использованию метода проектов являются:

1. Наличие значимой в исследовательском, творческом плане проблемы /задачи, требующей интегрированного знания, исследовательского поиска для ее решения;
2. Практическая, теоретическая, познавательная значимость предполагаемых результатов (например, доклад, совместный выпуск газеты, альманаха с репортажами с места событий; план мероприятий, пр.);
3. Самостоятельная (индивидуальная, парная, групповая) деятельность учащихся;
4. Структурирование содержательной части проекта (с указанием поэтапных результатов).

Использование исследовательских методов, предусматривающих определенную последовательность действий:

- определение проблемы и вытекающих из нее задач исследования (использование в ходе совместного исследования метода "мозговой атаки", "круглого стола");
- выдвижение гипотез их решения;
- обсуждение методов исследования (статистических методов, экспериментальных, наблюдений, пр.);
- обсуждение способов оформление конечных результатов (презентаций, защиты, творческих отчетов, просмотров, пр.).
- сбор, систематизация и анализ полученных данных;
- подведение итогов, оформление результатов, их презентация;
- выводы, выдвижение новых проблем исследования.

Известный методист Е.С.Полат предлагает следующие признаки для типологии проектов:

1. Доминирующая в проекте деятельность: исследовательская, поисковая, творческая, ролевая, прикладная (практико-ориентированная), ознакомительно-ориентировочная, пр. (исследовательский проект, игровой, практико-ориентированный, творческий);

2. Предметно-содержательная область: моно-проект (в рамках одной области знания); межпредметный проект.

3. Характер координации проекта: непосредственный (жесткий, гибкий), скрытый (неявный, имитирующий участника проекта, характерно для телекоммуникационных проектов).

4. Х*арактер контактов* (среди участников одной школы, класса, города, региона, страны, разных стран мира).

5. Количество участников проекта.

6. Продолжительность проекта. (4;13).

Реализация метода проектов и исследовательского метода на практике ведет к изменению позиции учителя. Из носителя готовых знаний он превращается в организатора познавательной, исследовательской деятельности своих учеников. Изменяется и психологический климат в классе, так как учителю приходится переориентировать свою учебно-воспитательную работу и работу учащихся на разнообразные виды самостоятельной деятельности учащихся, на приоритет деятельности исследовательского, поискового, творческого характера (4;45).

Отдельно следует сказать о необходимости организации внешней оценки проектов, поскольку только таким образом можно отслеживать их эффективность, сбои, необходимость своевременной коррекции. Характер этой оценки в большой степени зависит как от типа проекта, так и от темы проекты (его содержания), условий проведения. Если это исследовательский проект, то он с неизбежностью включает этапность проведения, причем успех всего проекта во многом зависит от правильно организованной работы на отдельных этапах.

Следует остановиться и на общих подходах к структурированию проекта:

1. Начинать следует всегда с выбора темы проекта, его типа, количества участников.

2. Далее учителю необходимо продумать возможные варианты исследуемых проблем в рамках намеченной тематики. Сами же проблемы выдвигаются учащимися с подачи учителя (наводящие вопросы, ситуации, способствующие определению проблем, видеоряд с той же целью, т.д.). Здесь уместна "мозговая атака" с последующим коллективным обсуждением.

3. Распределение задач по группам, обсуждение возможных методов исследования, поиска информации, творческих решений.

4. Самостоятельная работа участников проекта по своим индивидуальным или групповым исследовательским, творческим задачам.

5. Промежуточные обсуждения полученных данных в группах (на уроках или на занятиях в научном обществе, в групповой работе в библиотеке, медиатеке, пр.).

6. Защита проектов, оппонирование.

7. Коллективное обсуждение, экспертиза, результаты внешней оценки, выводы.

Параметры внешней оценки проекта:

- значимость и актуальность выдвинутых проблем, адекватность их изучаемой тематике;
- корректность используемых методов исследования и методов обработки получаемых результатов;
- активность каждого участника проекта в соответствии с его индивидуальными возможностями;
- коллективный характер принимаемых решений
- характер общения и взаимопомощи участников проекта;
- необходимая и достаточная глубина проникновения в проблему; привлечение знаний из других областей;
- доказательность принимаемых решений, умение аргументировать свои заключения, выводы;
- эстетика оформления результатов проведенного проекта;

- умение отвечать на вопросы оппонентов, лаконичность и аргументированность ответов каждого члена группы.

Примерный план проекта

1. Аннотация проекта (описание проблемы, задачи, цель).
2. Механизм реализации проекта
3. Ожидаемые результаты
4. Формы организации деятельности детей:
5. Методические рекомендации

ЛИТЕРАТУРА:

1. Душеина Т.В. "Проектная методика на уроках иностранного языка". М., 2003;
2. Кларин М.В. Педагогические технологии в учебном процессе. М., 2009;
3. Селевко Г.К. Современные образовательные технологии. М., 2009;
4. Полат Е.С. Метод проектов на уроках иностранного языка / Иностранные языки в школе - № 2, 3/. 2000

სკოლა და მასწავლებელი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ანა ხარაიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** სრული პროფესორი

დიდი ქართველი მწერალი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, ქართველ განმანათლებელთა („თერგდალეულთა“) სახელოვანი მეთაური ილია ჭავჭავაძე, მის სხვა თანამებრძოლებთან ერთად, მტკიცედ და მიზანმიმართულად იბრძოდა არა მარტო მთელი ქართველი ხალხის ცხოვრების პროგრესულ ნიადაგზე მოწყობა-გარდაქმნისათვის, არამედ, ამასთან ერთად, ხალხში ფესვგადგმული უმეცრების, მოსახლეობის ჩამორჩენილობის, უკულტურობისა და სიღატაკის აღმოფხვრისათვის. მშრომელთა ცხოვრებისა და არსებობის პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ხალხში განათლების შუქის შეტანა და გონებრივი ჩამორჩენილობის მოსპობა. ილია ჭავჭავაძის, ამ დიდი შემოქმედის პედაგოგიური სისტემიდან ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხს - სკოლას და სახალხო მასწავლებლის დანიშნულებას შევეხებით.

1861 წელს პეტერბურგიდან სამშობლოსაკენ მომავალი დიდი ილია კვლავ ხვდება თერგსა და მყინვარს. ეს იყო უმშვენიერესი წამი პოეტის ცხოვრებაში, რომელმაც ერთბაშად გახადა ცნობილი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება თავის ქვეყანასთან, ხალხთან, მის წარსულთან მიმართებაში. იმ დღიდან მამულისათვის დაუცხრომელი, თავდაუზოგავი ბრძოლა იქცა ილია ჭავჭავაძის ცხოვრების მიზნად. ამ ბრძოლაში წინაპარ მთიელთა ამაყი სისხლი გამჟღავნდა მის არსებაში. და თუ მისი წინაპრები შიშველი ხმლებით, ფარების გარეშე ებრძოდნენ მომხდურთ, ილია ჭავჭავაძემ გონების მომნუსხველი ძალით შეუტია საქართველოს მტრებს. სიკვდილამდე არ გაუგდია კალამი ხელიდან. იგი ერთნაირად თავგამოდებით ებრძოდა შინაურსა თუ გარეულს, ვინც სამშობლოს მტრად მიაჩნდა თუ ეგულებოდა, იმ იმედით, რომ ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნებოდა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც დამონებული ხალხის შვილი, კარგად ხედავდა თავისი ხალხის ორმაგ უღელში ყოფნას და ამიტომ იყო, რომ ხმალამოღებული ებრძოდა სოციალურსა და ეროვნულ უსამართლობას. მას სწამდა, რომ წერა-კითხვის გავრცელება, მისი ხალხში შეტანა უზრუნველყოფდა სოციალური უსამართლობის მოსპობას. მისი აზრით, განათლების გავრცელებას თან უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფა, ზნეობრივი სიქველე კაცთა, სრული ჰარმონიის დამყარება სწავლის დანერგვითა და განათლებით.

ილია ჭავჭავაძე ჩვენი ხალხის წინსვლის, მისი ცხოვრების აღმავლობის, გონებრივი და ქონებრივი პროგრესის მთავარ ბერკეტად ახალგაზრდობას, მომავალ თაობას თვლიდა. მისი აზრით, ქვეყნის აღმავლობა, საზოგადოების გაჯანსაღება, ცხოვრების გაუმჯობესება, ხალხის დაწინაურება და მათი წინსვლა ახალგაზრდების ცოდნა-განათლებაზე, მოზარდი თაობის „გონების გახსნასა“ და „სულის სიმდიდრეზეა'' დამოკიდებული.

მწერლის შეხედულებით, „განათლება, ცოდნა - აი ერთად ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“. ამიტომ დიდი ილია ქართველ საზოგადოებას, მთელ ჩვენს მოსახლეობას მოუწოდებდა-ყოველი ეღონათ ამ „იშვიათი წამლის“ გასამრავლებლად, სკოლის ქსელის გასაფართოებლად, სახალხო სასწავლებელთა მოსაწყობად და სწავლა-განათლებით თავიანთი შვილების შესაიარაღებლად.

სოფლის სკოლა, სახალხო მასწავლებელი ილია ჭავჭავაძეს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების, მოსახლეობაში ცოდნის სხივების მოფენის, უვიცობის მოსპობის, გონებრივი სიბეცისა და ჩამორჩენილობის აღმოფხვრის ძირითად საშუალებად მიაჩნდა. ამიტომ, მისი შეხედულებით, „ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენათაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“. [ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, თბ. 1987 წ. გვ. 254]

დიდ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა, რომ „...უმეცრებისა და უსწავლელობის წამალი... სკოლაა“. ცოდნა განათლების მიღებისა და ზნეობრივი წრთობის „ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიება სასწავლებელია“.[ილია ჭავჭავაძე, ტ.VI, თბ. 1927წ. გვ.156]. ამიტომ, ქართველი თავადაზნაურების, გლეხობის, ინტელიგენციის, მეფის მთავრობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (თავადაზნაურთა და ვაჭართა საზოგადოების, საბანკო მუშათა, ღარიბ მუშათა დახმარებისა და სხვა) წინაშე ილია ჭავჭავაძე ხშირად აყენებდა საკითხს რეალურ ნიადაგზე განათლების მოწყობისა და დედაენის საფუძველზე სწავლების აგების შესახებ. „...თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს... ეგ სწავლა-ცოდნა ზნე ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ე.ი. იმ თვისების სწავლა ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების განახლებასაც შველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს“. [ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VIII, თბ. 1927 წ. გვ. 323]

სახელოვან ქართველ მოაზროვნეს სახალხო სკოლისა და განათლების უმთავრეს ნაკლად მიაჩნდა ყმაწვილების ცალმხრივი განვითარება, ნაწილობრივი წრთვნა, დოგმატური ცოდნის ნაფლეთებით ნორჩთა გონების „ამოვსება“, ინტელექტის ცალმხრივი ვარჯიში, სულისა და სხეულის, ზნეობისა და ბუნების წრთობის მოწყვეტა მათი საერთო განვითარების პროცესისაგან. მას მეტად აფიქრებდა არსებული სკოლის ტენდენცია ყმაწვილების ცალმხრივი აღზრდისა, რომელიც სრულიად უგულებელყოფდა ბავშვის ფიზიკურ გაკაჟებას, რაც მეტწილად ტანვარჯიშის გზით და ბუნების წიაღში ექსკურსია-ლაშქრობებით მიიღწევა. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ფრანგი ფრანსუა რაბლეს პედაგოგიური თეორიის მხარდამჭერი.

ახალი წესი, რაბლეს მიერ მოძღვრებული, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი რაც შეიძლება ნაკლებად იყოს მომწყვდეული ოთხ კედელს შუა, რადგანაც დახშული და დაბუღებული ჰაერი ოთახისა, უმოძრაოდ ყოფნა სჩაგრავს ყმაწვილსა. რაბლეს სისტემაში ტანის და აგებულობის ვარჯიშობას დიდი ადგილი უჭირავს. რაბლეს აზრით, მოზარდმა თავისი თვალით უნდა გაიცნოს ცხოვრება და მისი ავკარგიანობა თავისი ყურით გაიგონოს. ამიტომაც ოსტატი უნდა ატარებდეს ყმაწვილსა ფაბრიკებში, სამსჯავროში, სახელოსნოებში და ეკლესიებში ქადაგების სასმენლადაო, რაც საჭიროა და შესამჩნევი, შეამჩნევინოს და გააგებინოსო. მაგრამ დღევანდელი სკოლა ცალმხრივ მოქმედებს, ხასიათის წურთვნას თითქმის თავს ანებებს და ტან-აგებულობას ადამიანისას არამც-თუ ჰშველის, არამედ ჰღალავს.

ილია ჭავჭავაძე, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის მქადაგებელი, თავისუფალი შრომის, კეთილშობილური იდეების ქომაგად მოევლინა თვისტომთ. მას ყოველი ადამიანი, ბატონი იქნება ის თუ ყმა-გლეხი, სიცოცხლის და ცხოვრების გვირგვინად მიაჩნდა. იგი თანაბარუფლებიანად თვლიდა ყველას, ადამიანთა თანასწორუფლებიანობას აღიარებს და ქადაგებს.

დიდი ქართველი მოაზროვნე ვერ ურიგდებოდა აღზრდის დოგმატურ „წესებს“, უაზრო ზეპირობას, უსაგნო და უსაქმო სიტყვათა ზუთხვას.

სკოლის უმთავრესი დანიშნულება, დიდი ილიას აზრით, ,,ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდაა. პიროვნებისა, რომელიც მთელს თავის ცოდნა-გამჭრიახობას ხალხის სიდუხჭირის მოსპობას, მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლებას და მისი კეთილდღეობის დამკვიდრებას მოანდომებს.“ [ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 1987., გვ. 251]

ილია ჭავჭავაძე საჭიროდ თვლიდა ისეთი სკოლების გახსნა-დაფუძნებას, რომელნიც მეცნიერების ახალ მიღწევათა ცოდნით, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდით, მათი ყოველმხრივი მომზადება-

განვითარებით სამაგალითონი გახდებოდნენ. ახალი ტიპის სკოლები მისაბაძნი უნდა გამხდარიყვნენ როგორც გარეგნული მორთულობა-მოწყობილობით, ისე „...სწავლის მიმდინარეობითა..., როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს“.

იმედისა და სასოების სხივები ჩქერალივით იღვრება მისი ლექსებიდან, დიახ, პოეტმა მომავლის რწმენა რომ შთაუნერგოს თვისტომთ, ამისათვის უხმობს, აღანთებს, ანუგეშებს, მოუწოდებს:

ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაიხსნის შვილთა!
წარვლენ ეს წელნი ბნელის ჟამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა.

ილია ჭავჭავაძე სკოლის ჭეშმარიტ მოძღვარს „ხალხის განმანათლებელს“, „ცოდნის ოსტატს“, „შეგირდის სულიერ მწუვრთნელს“, „ნამუსიანობის მსაჯულს“, მოზარდის „გულის მესაიდუმლეს უწოდებდა“.

სკოლის ამ დიდი განმანათლებლის აზრით, ოსტატი, მოძღვარი, პედაგოგი უნდა იყოს ფართოდ განათლებული, თავისი საგნისა და მოსაზღვრე მეცნიერებების ღრმა მცოდნე, სწავლების მეთოდიკის საკითხებში (თეორიულად და პრაქტიკულად) განსწავლული, ზნე-ხასიათის გამაფაქიზებული, პატიოსნებით, ნამუსიანობით, კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის გრძნობით აღჭურვილი, ბავშვების გულწრფელად მოყვარული, თავისი პროფესიით გატაცებული ადამიანი, რომლის მსჯელობა და ყოფაქცევა ერთმანეთს შეეთანხმება.

მასწავლებელი უნდა ფლობდეს ბავშვის ფსიქიკური სამყაროს წვდომის, შინაგან „საიდუმლოებათა ამოხსნის“ და აღზრდა-სწავლების პროცესში მათი გამოყენების უნარ-ჩვევებს, რადგანაც პედაგოგიური პროცესის ეფექტიანი მართვა და ბავშვთა აღზრდაში წარმატებათა მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია. ბავშვის შინაგან საიდუმლოთა ამოცნობა რთული მოვლენაა, რომლის განხორციელება მასწავლებლის ღრმა ცოდნას, ბავშვის გულწრფელ სიყვარულს, მასთან დამეგობრებას და „გულის კარების“ მიგნება-გახსნის ოსტატობას მოითხოვს. ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის ცნობილი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფორმულა: „თუ წვრთვნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და მან შენ“, რაც ოსტატისა და შეგირდის ურთიერთნდობა-სიყვარულს ემყარება. მასწავლებელს ღრმა, საფუძვლიან ცოდნასთან ერთად უნდა ახასიათებდეს მიზნის სიცხადე, თავისი საქმის რწმენა, მორალური სიწმინდე, პირდაპირობა, ბავშვის სიყვარული, პასუხისმგებლობის გრძნობა, ობიექტურობა, მოსწავლეებისადმი ერთგულება, გონიერება, შორსმჭვრეტელობა, სამართლიანობა, თავდაჭერილობა და შრომისმოყვარეობა.

„ილია ჭავჭავაძე მკაცრად ამხელდა ანტიპედაგოგიური „აღზრდის“ სისტემის დამცველებს, „როზგვის“ და დამშინებელ ძალაზე დამყარებული სწავლების „წესების“ მეხოტბეებს, რომელთაც სათანადო განათლება არ გააჩნდათ. იგი პრაქტიკულად ზრუნავდა ქართულ სკოლებზე და ცდილობდა, სწავლა-აღზრდის საქმის ხელმძღვანელად სავსებით ღირსეული ადამიანები ჰყოლოდა“. [გიორგი ჯიბლაძე „თანამედროვე უკვდავი სული“, თბ., 1987 წ. გვ. 45]

იმისათვის, რომ სწორად წარიმართოს ყმაწვილის აღზრდა, პედაგოგი ღრმად უნდა იხედებოდეს ბავშვის სულში, საფუძვლიანად სწავლობდეს მის ფსიქიკურ, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, რათა ყოველივე ამას ითვალისწინებდეს აღსაზრდელის ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგს, ილიას შეხედულებით, უმთავრესად აკისრია სასწავლო-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია. პირველ შემთხვევაში - მისი მოვალეობაა აღჭურვოს ყმაწვილები საფუძვლიანი, ღრმა მეცნიერული ცოდნა-განათლებით. მეორე შემთხვევაში, ოსტატ-პედაგოგის მოვალეობა უფრო ძნელი და რთულია: ის უნდა ჩასწვდეს ბავშვის შინაგან სამყაროს, იმოქმედოს მის სულზე და გარდაქმნას, ჩამოაყალიბოს იგი ზნეობრივად სრულქმნილ ადამიანად.

ილია ჭავჭავაძე იყო საყოველთაო განათლების მქადაგებელი, ადამიანი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მამა-პაპისაგან დარჩენილ სამ ღვთაებრივ საუნჯეს: ენას, მამულს და სარწმუნოებას თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და უვნებლად გადავცეთ შთამომავლობას... დიდ ილიას კაცად ის მიაჩნდა ვინც თავისი გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს ხიდად გასდებს, რომ თუ არ თვითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს ამ ხიდზე. იგი იყო მომხრე ყოველგვარი ახლის სწავლების, რაც შუქს მოჰფენდა გონებას და მინიმუმამდე დაიყვანდა გაჭირვებულ, გაუნათლებელ ადამიანთა რიცხვს. ახლის, რომელიც ჰარმონიულად უნდა შერწყმოდა ქართველი ხალხის ბუნებას, ზნე-ხასიათს. უდავოა, რომ ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მოძღვრებასა და დღევანდელობას შორის ამ დარგში არა ერთი პარალელის გავლება შეიძლება. ეს არცაა გასაკვირი, რამეთუ: „ყველაფერი ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველია“.

ლიტერატურა:

1) გიორგი ჯიბლაძე, „თანამედროვე უკვდავი სული“, თბ., 1987;

3) ელგუჯა მაღრაძე, „მოძღვარი“, თბ., 1987;
4) აკაკი ბაქრაძე, სკოლას, თბ., 2004;
5) ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, თბ., 1987;
6) ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ., თბ., 1927.

თანამშრომლობითი სწავლება (ჯგუფური მუშაობის მეთოდი)

სოფიო ხუბულაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** სრული პროფესორი

მოსწავლეზე ორიენტირებულმა განათლებამ ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებას და დღეს ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის აღსანიშნავია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა ჭარბობს ფრონტალური გამოკითხვა, ძირითადად აქტიურობენ ძლიერი მოსწავლეები. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ და მასწავლებელიც მათ ეყრდნობა. სუსტი მოსწავლე კი ჩრდილშია და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს, ვინაიდან დრო არ ყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორად პასუხობს და... მოკლედ, აფერხებს გაკვეთილის მსვლელობას.

ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი, როცა მოსწავლეს ინდივიდუალურ დავალებებს ვაძლევთ და ის თავისთვის მეცადინეობს. ხშირად ის თავისი წარმატებებითა და წარუმატებლობებით საკუთარ ნაჭუჭში რჩება. მას ნაკლებად ანაღვლებს, თუ როგორა აქვს საქმე მის ამხანაგს და ძირითადად საკუთარი პრობლემებით არის დაკავებული.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა კი გვთავაზობს სხვანაირად სწავლას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგებია, რომელთაც უნდა დაეხმაროს ან დაეკითხოს, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია; შეუძლიათ ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ. როცა შენზეა დამოკიდებული ჯგუფის წარმატება, შეუძლებელია არ გააცნობიერო პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და ჯგუფის წინაშე, არ ისწავლო, არ იმუშაო, იზარმაცო და ა.შ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთობლივად სწავლა არამარტო უფრო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტიანიცაა. აღსანიშნავია, რომ ეს ეფექტიანობა ეხება როგორც აკადემიურ წარმატებებსა და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე – ზნეობრივ ზრდას.

ზემოჩამოთვლილ საბაზისო უნარ-ჩვევათა ნუსხაში, როგორც ვნახეთ, ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ჯგუფური მუშაობის უნარი. თანამშრომლობითი სწავლება თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად იყენებს კლასში ჯგუფური მუშაობის (მეცადინეობის) მეთოდს. ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც ხშირ შემთხვევაში ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ჯგუფურ მეცადინეობას სკოლაში განვიხილავთ როგორც კოლექტიურ ინტელექტუალურ მუშაობას, რაც ბავშვის გონების განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნის.

ურთიერთობათა თვალსაზრისით ჯგუფური მეცადინეობის დანიშნულება ის კი არაა, რომ ჯგუფი ემორჩილებოდეს მასწავლებელს, რამდენადაც ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგებს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობდეს.

პედაგოგის მიერ ორგანიზებულ ჯგუფურ მეცადინეობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როცა ხდება მოსწავლეთა პიროვნული განვითარება. ჯგუფი საუკეთესო საშუალებას იძლევა ისეთი შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად, რომელიც ჯგუფის წევრების განვითარებას უზრუნველყოფს.

ჯგუფური მუშაობისას უნდა წავაქეზოთ სამუშაოს მსვლელობისა და შედეგების ერთობლივი განხილვა, რჩევისთვის ერთმანეთთან მიმართვა და ურთიერთდახმარება. ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ყველა საჭირო შემთხვევაში მოსწავლეების მხრიდან ამხანაგების დახმარება. ჯგუფური მუშაობის დროს მასწავლებელი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს: ამოწმებს სამუშაოს მსვლელობას,

რეაგირებს კითხვებზე, არეგულირებს კამათსა და მუშაობის თანმიმდევრობას, აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარება ცალკეულ მოსწავლეს ან მთლიანად ჯგუფს. ამასთანავე, მაქსიმალურად უწყობს ხელს შედეგების განხილვასა და ურთიერთკონსულტაციებს.

მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს მთელი კლასის მუშაობას, მაგრამ არ უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ ის რომელიმე ჯგუფს თავზე ადგას, მასწავლებელი არ უდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსწავლეები ითხოვენ რაიმეს განმარტებას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს (ჯგუფის რომელიმე წევრი წერით შესრულებულ დავალებას კითხულობს ან იყენებს კომენტარისათვის). მასწავლებელს შეუძლია თვითონ შეარჩიოს პრეზენტატორი ან ჯგუფს მისცეს მისი უფლება. პრეზენტაციის დროს კამათი დაუშვებელია, რათა აზრი არ გავაწყვეტინოთ მოპასუხეს. შეკითხვების დასმა უნდა მოხდეს მხოლოდ პრეზენტაციის შემდეგ (პრეზენტაციის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ჯგუფური მეცადინეობის წარმატებით ჩასატარებლად პედაგოგი კლასს კარგად უნდა იცნობდეს (იგულისხმება არამარტო მოსწავლეთა ცოდნის დონე, არამედ მათი ხასიათებისა და ურთიერთობების თავისებურებანი). ჯგუფურ მეცადინეობას წინასწარ მომზადება და დაგეგმვა სჭირდება. მართალია, ამგვარი მუშაობა მასწავლებლისაგან დამატებითი დროის ხარჯვას მოითხოვს, მაგრამ სამაგიეროდ, პედაგოგიური ეფექტი საკმაოდ მაღალია.

ჯგუფური მუშაობის წარმატებით გამოყენება შეიძლება როგორც ახალი მასალის გადაცემის დროს, ისე შესწავლილი მასალის შემოწმებისა და შეფასებისას. მთავარია, მასწავლებელს არ აერიოს, რომ ჯგუფური მუშაობა მიზანი კი არ არის, არამედ – ქმედითი საშუალება გაკვეთილის მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

ჯგუფური მუშაობის ხერხს წამატებით ვიყენებთ ადამიანთა უფლებების სწავლების საქმეში. ქვემოთ სანიმუშოდ მოტანილია ისეთი გაკვეთილის მსვლელობა (კომენტარებით), რომლის დროსაც ყველა მონაწილე (მოსწავლე) მაქსიმალურად არის ჩართული სწავლის პროცესში და სრული პასუხისმგებლობით უდგება დავალების შესრულებას.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გადაინაცვლონ და შექმნან ახალი დროებითი ერთნაირნომრიანი ჯგუფები, ანუ ექვსივე პირველი ნომერი ქმნის ერთ ჯგუფს, ექვსი მეორე ნომერი – მეორე ჯგუფს, ექვსი მესამე – მესამე ჯგუფს და ექვსი მეოთხე – მეოთხეს. ამ ჯგუფებს ,,ექსპერტთა ჯგუფები“ ეწოდება და თითოეული ჯგუფის მოვალეობაა, ამომწურავად შეისწავლოს სტატიის ერთი მონაკვეთი. მათ უნდა წაიკითხონ თავიანთი მონაკვეთები და განიხილონ სრულ გაგებამდე. ამას გარდა ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა უნდა მოიფიქრონ შესწავლილი მასალის თავიანთი ძირითადი (თავდაპირველი) ჯგუფისათვის გადაცემის ეფექტური მეთოდი.

ამრიგად, თითოეული მოსწავლე თავის წილ დავალებას კითხულობს, იზიარებს, აანალიზებს; შემდეგ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მსჯელობს, აზუსტებს ბუნდოვან ან საკამათო ადგილებს, განმარტავს, უღრმავდება და სწავლობს იმ განწყობით, რომ შემდეგ ამ მიკრო თემის სხვებისთვის სწავლება შეძლოს. ასე, რომ იგი თავისი მასალის ,,ექსპერტი“ ხდება.

სასწავლო ჯგუფური მუშაობის შემდეგი ეტაპია პრეზენტაცია (ცოდნის გამჟღავნება, შესრულებული დავალების წარმოჩენა).

შემდეგ ეტაპზე სასურველია დისკუსიის მოწყობა. დისკუსიის საჭიროება თავისთავად ჩნდება, ვინაიდან პრეზენტაციის პროცესში მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც კითხვები უჩნდებათ. შეკითხვების დასმა პრეზენტაციის დროს არასასურველია, ვინაიდან მსჯელობის წყვეტა პრეზენტაციას მთლიანობასა და სიმწყობრეს უკარგავს. პრეზენტაციის დამთავრების შემდეგ კი წამოჭრილი კითხვების ირგვლივ უნდა ჩატარდეს დისკუსია. საკითხის სიღრმისეული წვდომის გარდა დისკუსია ხელს უწყობს მთელი რიგი სასარგებლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: აქტიური მოსმენა, საკუთარი აზრის გამოხატვა და მისი არგუმენტაცია, კამათის დროს ავტორიტეტის წინაშე გაჩენილი შიშის დაძლევა, მსჯელობა და სხვისი ნააზრევის შეფასების უნარი, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლობა. დისკუსიის პროცესი ამ თვისებების ჩამოყალიბებას მაშინ უწყობს ხელს, თუ თვითონ მასწავლებელი არის მათი მატარებელი და ნიმუში იმისა, რისი სწავლისკენაც მოუწოდებს სხვებს.

დისკუსია ყოველთვის მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომლებიც თავიდანვე იქნა ერთობლივად შემუშავებული მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის.

დისკუსიის შემდეგ, ჩვეულებრივ ხდება შეფასება. შეფასება მეტად ფაქიზი პროცესია და საჭიროებს ობიექტურ და ფრთხილ მიდგომას.

ჯგუფური მუშაობის დასასრულს სასურველია ე. წ. რეფლექსიის ჩატარება.

ტერმინი ,,რეფლექსია“ (,,რეფლექსირება“) ნიშნავს საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზს, ფიქრს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, როდესაც დაკვირვება მიმართულია ცნობიერების შინაგან მოქმედებაზე. მოკლედ, პედაგოგიური რეფლექსია შეიძლება განიმარტოს როგორც საკუთარი ქცევის, ამ შემთხვევაში, სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის გააზრება.

ამრიგად, გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი შემდეგი კითხვების მეშვეობით აანალიზებს გაკვეთილის მსვლელობას და ატარებს რეფლექსიას.

დასასრულ, მასწავლებელმა სასურველია მოკლედ შეაჯამოს გაკვეთილი და საშიანო დავალებად მისცეს ერთი-ორი სააზროვნო კითხვა.

ნათელი უნდა იყოს, რომ ყველა თემის ნაწილებად დაყოფა და ამ მეთოდით შესწავლა არ მოხერხდება. არც შემოთავაზებული გაკვეთილის ყველა ასპექტის მთლიანად 45 წუთში ჩატევა იქნება შესაძლებელი. ამიტომ მასწავლებელმა წინასწარ ისე უნდა დაგეგმოს და დააკონკრეტოს თავისი სამუშაო, რომ გაიაზროს გაკვეთილის თითოეული ეტაპი დროის მონაკვეთებში, ზოგ ეტაპს მეტი დრო დაუთმოს, ზოგს – ნაკლები. თუ შესასწავლი თემა ვრცელია, შეიძლება ორ გაკვეთილზე მოხდეს მისი დამუშავება. მთავარია მასწავლებელი ჩასწვდეს საგნისა და სწავლების მეთოდიკის არსს და თავისი შეხედულებისამებრ არეგულიროს სასწავლო პროცესი.

და ბოლოს, ჩვენი შრომა მინდა დავასრულო დიდი ქართველი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით. ჯერ კიდევ მე–19 საუკუნის ბოლოს სწორად შენიშნავდა დიდი იაკობი: „მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა ღრმა, შინაგან მხარეებს... ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისა.“

ლიტერატურა:

1. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006;
2. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2006;
3. სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2008;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სასწავლო გეგმა, თბ., 2008;
5. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2008;
6. თერნბული, ჯ. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009;
7. მარზანო, ჯ. ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009;
8. როგორ ვასწავლოთ მასწავლებლებს აზროვნება, ეროვნული სასწავლო გეგმისა და შეფასების ცენტრი, 2007;
9. ვებ გვერდი, http:\\www.ascd.org

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

ნათია ბერუაშვილი, თამარ მიღრიჯანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ეკოლოგია (ბერძნ. Oikos – სახლი, გარემო, და logos – შეცნობა, სწავლა) ბიოლოგიის ნაწილია, რომელიც ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირებს, აგრეთვე ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საცხოვრებელ გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას შეისწავლის.

ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ ცნების „გარემოს დაცვა“ აღსანიშნავადაც გამოიყენება, თუმცა ბოლო წლებში ამ ორი ტერმინის გამიჯვნის ტენდენცია შეიმჩნევა, სადაც „ეკოლოგია“ აღნიშნავს

ბიოლოგიის დარგს, ხოლო „გარემოს დაცვა“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად მისი გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

არსებობს ტერმინის „ეკოლოგია“ კიდევ რამდენიმე განმარტება:

- ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც მიმართულია ცოცხალ არსებათა განთავსების და განაწილების, მათ გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობის და წონასწორობის პირობების შეცნობისაკენ;
- ეკოლოგია ბუნების ეკონომიკაა;
- ეკოლოგია გარემოს ორგანულ და არაორგანულ კომპონენტებთან ცოცხალი ბუნების ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერებაა;
- ეკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ცოცხალ ბუნებაში არსებულ რთულ ურთიერთკავშირებს სწავლობს.

სიტყვა „ეკოლოგია“ დღეს ისეთივე პოპულარულია, როგორიც, მაგალითად, „ცივილიზაცია“, „ეკონომიკა“, „გარემო“ და სხვ. თანამედროვე პრობლემებით დაინტერესებული მრავალი მკვლევარი, ნებსით თუ უნებლიეთ, ეკოლოგიასთანაა დაკავშირებული. მაგრამ საკითხები, რომელსაც, მაგალითად, ბიოლოგი შეისწავლის, თავისი შინაარსით განსხვავდება გეოფიზიკოსის, ქიმიკოსის, სოციოლოგის, იურისტის ან ეკონომისტის პრობლემებისაგან. შესაბამისად, ყველა სპეციალისტი ამ ტერმინს იმდენად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ არასპეციალისტისათვის ძნელია გაგება; მაინც რა არის ეკოლოგია?

ბოლო წლებში ეკოლოგიის ამოცანები განუზომლად გაფართოვდა, მისი ტრადიციული ჩარჩოები ვიწრო გახდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისათვის. დღეს სავსებით გამოიკვეთა დედამიწაზე მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენისადმი ეკოლოგიური მიდგომის აუცილებლობა.

ატმოსფეროს გაბინძურება გლობალური პრობლემაა. მისი გაბინძურების წყარო ორი ჯგუფისაა: ბუნებრივი და ხელოვნური (ანთროპოგენური, უპირატესად ტექნოგენური). პირველს მიეკუთვნება ვულკანების მიერ ამოტყორცნილი ნაცარი და გაზები, ტყის ხანძრების პროდუქტები. ეროდირებული ნიადაგისა და უდაბნოს მტვრები, კოსმიური მტვერი, მცენარეული მტვრის მარცვალი და სხვ. ჩვეულებრივ, ბუნებრივი წყაროები არ იწვევენ ჰაერის რამდენადმე მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევაში ისიც შეიძლება აღმოჩნდეს ატმოსფეროს ძლიერი გაბინძურების მიზეზი. ასე, ვულკან კრაკატაუმ კუნძულ იავაზე 1883 წელს მტვრისა და ნაცრის ისეთი რაოდენობა ამოტყორცნა, რომ რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილზე მზის რადიაცია დიდი ხნის მანძილზე რამდენამდე დაქვეითებული იყო, რამაც თბური ბალანსის საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია. წყლის გაბინძურება თანამედროვეობისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. თუ ატმოსფეროს ცვლილება ჯერ-ჯერობით მხოლოდ პოტენციურ საშუალებას უქმნის ბიოსფეროს, კონტინენტური და ოკეანური წყლების გაბინძურება, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოველდღიური საზრუნავია.

მსოფლიო ოკეანე მილიონი წლების მანძილზე გიგანტური საფილტრაციო სისტემის როლს ასრულებდა, მაგრამ ამ ფუნქციას იგი თანდათან კარგავს, რადგან არ ძალუძს გადაამუშაოს აურაცხელი შხამქიმიკატი, სარეცხი საშუალება, პლასტიკური მასა, რომლის დიდი ნაწილი მისთვის ბოლო დრომდე უცხო იყო.

დიდ ქალაქებსა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ატმოსფეროს გაბინძურების ძირითადი წყარო ავტოტრანსპორტია. 80-იანი წლების მონაცემებით, ინდუსტრიულ ქვეყნებში გაბინძურების 60% ავტომანქანებზე მოდის, ზოგიერთ ქალაქში კი მისი მაჩვენებელი 80%-ს აღწევს. ატმოსფეროს გაბინძურების დონე ქალაქის თავზე დაახლოებით 15-ჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად და 100-150–ჯერ მაღალი, ვიდრე ოკეანურ სივრცეში.

ავტომანქანების გამონაბოლქვი 200-მდე კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან განსაკუთრებული ტოქსიკურობით CO, NO, ზოგიერთი ნახშირწყალბადი და ტყვია ხასიათდება.

ჰაერის დაბინძურების ყველაზე კარგი მაგალითია ე.წ. სმოგი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქალაქში გვხვდება. სმოგი ორი ინგლისური სიტყვის კომბინაციით არის წარმოქმნილი (smoke da fog). სმოგის წარმომქმნელი რეაგენტები მანქანებისა და სამრეწველო სექტორის გამონაბოლქვია. იგი მოყვითალო-რუხი ნისლით გამოიხატება, რომელიც ჰაერში წყლის წვეთების არსებობითაა განპირობებული. ისინი იმ ქიმიური რეაქციის პროდუქტებს შეიცავს, რომელსაც ადგილი აქვს ჰაერში, პოლუტანტებს შორის. სმოგს ხშირად არასასარგებლო სუნიც აქვს, რაც მასში გაზური კომპონენტის არსებობითაა განპირობებული. სმოგს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ჯანმრთელობაზე, დააზიანოს მცენარეები და ცხოველები.

სმოგს დიდ ქალაქებში ტრანსპორტის მნიშვნელოვანი ნაკადი და საწარმოთა გამონაბოლქვი იწვევს.

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასება საქართველოში განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რადგან ქვეყნის რელიეფური პირობები, პარალელური სატრანსპორტო მაგისტრალების არსებობა, დასახელებულ ადგილებში ავტოტრანსპორტის მჭიდრო ნაკადები მავნე ნივთიერებების მაღალ დონეს განაპირობებს. უკანასკნელ წლებში სამრეწველო საწარმოთა უდიდესი ნაწილის გაჩერებამ დაბინძურების საერთო მაჩვენებელი 3%-მდე შეამცირა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გარემოს დაბინძურებაზე უამრავი ფაქტორი ზემოქმედებს. ისეთ ზოგად და ბანალურ მაგალითებთან ერთად, როგორიცაა ჰაერის, წყლის დაბინძურება, შეიძლება სხვა მეტად მცირე, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზების დასახელებაც, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ გარემოს დაბინძურებაში. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ჩვენი პატარა ქალაქის გორის ეკოლოგიური პრობლემები და განვიხილოთ მისი გადაჭრის გზები.

როგორც სხვა ქალაქებში, ასევე გორშიც უამრავი ე.წ. მაწანწალა ძაღლი დადის, რომლებიც აბინძურებენ და ჯანმრთელობას უქმნიან პრობლემებს. აღსანიშნავია დასუფთავების სამსახურის მომსახურების გაუმჯობესება ბოლო პერიოდში, რამაც კარგი შედეგი მოუტანა ქალაქის ეკოლოგიას. თუმცა მეტ-ნაკლებად ნაგვის პრობლემა ყოველთვის არსებობს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მთავრობამ დააწესა ფულადი გადასახადის სახით სანქციები, რაც ითვალისწინებს ადამიანის მიერ ქუჩების დანაგვიანების შეზღუდვას. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს და ვფიქრობთ, რომ იგი ხელს შეუწყობს ქალაქის სისუფთავეს.

ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაცავად საჭიროა საზოგადოების მხრიდან მეტი აქტიურობა: სტუდენტების, მოსწავლეების და ზოგადად ახალგაზრდობის მეტი ინფორმირება და ჩართვა იმ ღონისძიებებში, რასაც ქალაქის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა ჰქვია,

ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტას ხელს შეუწყობს ბუკლეტების დარიგება ხალხის ინფორმირებისთვის, რათა გაითავისონ და გაიაზრონ ის ზიანი, რაც შეიძლება ქალაქებსა თუ სოფლებს დაბინძურებამ მოუტანოს.

ეკოლოგიური უსაფრთხოება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორგანული ნაწილია და იგი არა მარტო უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივი დოვლათია, სიმდიდრეა, არამედ ერთდროულად ქვეყნის პროგრესის აუცილებელი პირობაცაა.

ლიტერატურა:

1. ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკოლოგიური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, თბ., 2003;
2. გია ქაჯაია, ეკოლოგია (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ., 1999;
3. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია, ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992;
4. ნ. პეპანაშვილი, ლ. კლიმიაშვილი კ. მაღრაძე, გარემო და მდგრადი განვითარება, თბ., 2007;
5. http://ka.wikipedia.org/wiki/ეკოლოგია

ადამიანები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივ სამყაროზე

ლანა ბერძენიშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ადამიანის, როგორც კულტურული და ბიოლოგიური არსების გადაგვარების მიზეზებზე შეხედულებები გადმოცემულია ავსტრიელი ზოოლოგის ბრწყინვალე ნატურალისტისა და ეთოლოგის კონრად ლორენცის 1974 წელს გამოსულ წიგნში „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“.

ნაშრომში განვიხილავთ კონრად ლორენცის კონცეფციას, რომლის მიხედვით თითოეული ადამიანისათვის კარგი გარეგნობა, სიმდიდრე და წარმოშობა კი არა, ადამიანის გულწრფელობა და

სიკეთე უნდა იყოს ყველაზე დასაფასებელი ღირსება. როლანდ ჰარგრივსი, ფსიქიატრი თავის წერილში წერდა, კვლევისათვის საჭიროა დასვა კითხვა: პირველი - როგორია დარღვეული სისტემის ნორმალური სახეობის შემანარჩუნებელი მოქმედება, და, მეორე, როგორია ეს დარღვევა, განსაკუთრებით კი რამ გამოიწვია იგი, რომელიმე ნაწილობრივი სისტემის ზე თუ ქვე ფუნქციამ. (კ. ლორენცი, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, 2007). სწორედ ეს არის ძირითადი არსი ლორენცის ნაშრომისა. სისტემას კაცობრიობა წარმოადგენს. რაში არგიათ ადამიანებს თავისი უზომო გამრავლება, სიგიჟემდე მისული თავდავიწყებული შეჯიბრი საკუთარ თავთან, სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება, ტრადიციებისაგან მოწყვეტა, ინდოქტრინაცია, საშიში მზარდი შეიარაღება და ა. შ.

მოსახლეობის სიჭარბემ და ხშირმა სოციალურმა კონტაქტებმა ადამიანებში გამოიწვია ცივი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ჭარბი სოციალური კონტაქტების მოზღვავებამ ადამიანები გამიჯნა ერთმანეთისაგან. კულტურულ დიდ ქვეყნებში ადამიანებისათვის სტუმარი უკვე მიუღებელია. აღარ ახარებთ ერთმანეთის დანახვა. მომრავლდა ძალადობა და გაჭირვებულის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

გლეხმა იცის ის, რაც მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაივიწყა, კერძოდ ის, რომ მთელი პლანეტის სასიცოცხლო მარაგი ამოუწურავი როდია. ცივილიზებული კაცობრიობა თავის გარემომცველ და მარჩენალ ბუნებას ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური განადგურების საფრთხის წინაშე. არაფრის მიმართ არ რჩებათ მოწიწების გრძნობა, გარშემო ყველაფერი ადამიანის ნახელავია.

შეჯიბრი საკუთარ თავთან ადამიანს უფრო დაძაბულს ხდის და ბადებს შემდეგ აზრებს „კაცი კაცისთვის მგელია“, „დრო ფულია“. ეს კი, რა თქმა უნდა, ცუდად აისახება მის ფსიქიკაზე და ამიტომ ცივილიზებულ ადამიანს საკუთარ თავთან მარტო დარჩენის ეშინია იმიტომ, რომ იგი გაურბის თვითგაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების ყოველგვარ შესაძლებლობას. ადამიანის გადაგვარების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს „გრძნობის გაციება“, ადამიანები უარს ამბობენ გრძნობებზე ცხოვრების გაიოლების გზით. გრძნობები უფერულდება იმიტომ, რომ ყველაფრის ქონა აღარ ანიჭებს ადამიანებს სიხარულს.

თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში არ არის არავითარი ფაქტორი, რომელიც სელექციურ ზეგავლენას მოახდენს სოციალური ქცევის ნორმათა განვითარებასა და შენარჩუნებაზე, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ზრდასთან ერთად იგი სულ უფრო უცილო ხდება. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი ინფანტილიზმი, რაც დღევანდელ „მოჯანყე“ ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს სოციალურ პარაზიტებად აქცევს, გენეტიკურადაც იყოს განპირობებული.

ტრადიციისაგან მოწყვეტა თაობათა ურთიერთობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. უმცროსი თაობა კარგავს უფროს თაობასთან კულტურულ ურთიერთგაგებას იმიტომ, რომ მშობლები და შვილები დღესდღეისობით დაშორებულები არიან ერთმანეთს, არ აქვთ ხშირი კონტაქტები ერთმანეთთან და, ჩემი აზრით, სწორედ ეს იწვევს უმცროსი თაობის ტრადიციებისაგან მოწყვეტას.

კაცობრიობას ვნებს ინდოქტრინაციის ზრდა, როდესაც ერთ კულტურულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანთა რიცხობრივ ზრდას, ტექნიკურ საშუალებათა სრულქმნილებასთან ერთად, მივყავართ საზოგადოებრივი აზრის უნიფორმირებისაკენ.

დღეს მსოფლიოში ბირთვულ შეიარაღებას კაცობრიობისთვის დიდი საფრთხე მოაქვს, თუ ადამიანები დროულად არ იფიქრებენ ბირთვული საფრთხის შემცირებაზე, „მსოფლიო წარღვნისაგან“ თავის დაღწევა შეუძლებელი აღმოჩნდება.

ცივილიზაციას, განვითარებასთან ერთად, თან ახლავს უარყოფითი პროცესები რომლებმაც შეიძლება დედამიწა დაღუპვამდე მიიყვანონ. ჩვენი თვალით ვხედავთ თუ რა ხდება მსოფლიოში. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში 0,74-0,18 °C-ით გაიზარდა კლიმატის ცვლილებების სამთავრობოთაშორისო ჯგუფის დასკვნით IPCC „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით. რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქსა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს“. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე. შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმის ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კოიტოის ოქმს, რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები

იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა თუ ადაპტაცია არსებული და მოსალოდნელი ცვლილებებისადმი. საერთაშორისო ორგანიზაცია „Global Humanitarial Forum"-მა, რომლის თავმჯდომარეც გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი გახლდათ, გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის ზუსტი რაოდენობაა დაფიქსირებული. ამის შესახებ "New Scientist"-ი წერს მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე იმაშია, რომ კლიმატის ცვლა ბუნებრივი მოვლენების რაოდენობის ზრდას იწვევს. ისეთების როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. ამას გარდა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზე, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. „Global Humanetarial Forum"-ის მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი ნაწილი (90 %-ია) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 50 000-მდე გაიზრდება, რაც, ჩემი აზრით, კატასტროფულ შედეგამდე მიგვიყვანს, ამიტომ საჭიროა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ გარემოს. კონრად ლორენცი კი ის პიროვნებაა, რომელმაც მიგვითითა ჩვენს ცოდვებზე და დაგვანახა, თუ რა შედეგამდე შეიძლება მივიდეთ, რა გველის მომავალში. თუ ყველაფერი ამ ტემპით გაგრძელდება, რა თქმა უნდა, დედამიწა დაიღუპება და სამუდამოდ შეწყდება სიცოცხლე.

ლიტერატურა:

1. კონრად ლორენცი, ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, IV, თბ., 2007;
2. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., 2008;
3. რ. რიკლეფსი, გ. მილერი, ეკოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010;

ინტერნეტ რესურსები:

1. www.chm.moe.gov.ge

გარემოს ანთროპოგენული ცვლილებები და მისი მართვა

შორენა გელაშვილი

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

ადამიანთა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობა დედამიწის ბუნების გარსში მიმდინარეობს. ამ საქმიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა მისი ინტენსიური გავლენა ბუნებაზე ამ ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე გამოიხატა. ადამიანი თავდაპირველად უფრო იყო დამოკიდებული ბუნებაზე, რადგან ადამიანს მნიშვნელობანი ცვლილებების გამოწვევა არ შეეძლო. ეხლა კი ადამიანი და ბუნება პარალელურად ვითარდებიან და განუწყვეტლივ ურთიერთობაში იმყოფებიან. ნელი ბუნებრივი ევოლუციური პროცესისა და ძალიან სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სიჩქარეთა სხვადასხვაობა ხშირად იწვევს გარემოს უმართავი ფორმების წარმოქმნას, რასაც ბუნების დეგრადაციამდე მივყავართ. ბუნების დეგრადაციის მიზეზი ცხადია, ანთროპეგენური ფაქტორია, რომელიც თავისი ევოლუციის მიმართულებით საკმაო სიმძლავრით გამოირჩევა.

ადამიანთა საზოგადოებასა და გარემოს შორის ურთიერთობის შედეგად, ისტორიის მანძილზე ცალკეული კრიზისული მდგომარეობები წარმოიქმნებოდა, რაც თავის მხრივ, ადამიანებისგან საპასუხო რეაქციის - ეკოლოგიური რევოლუციის ჩამოყალიბებას იწვევდა. ამასთან, საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და ძლიერდებოდა ანთროპოგენური ზემოქმედება ბუნებაზე, რომელთა შორის აღსანიშნავია:

1. დედამიწის ზედაპირის ხელოვნური გარდაქმნები და რელიეფის ანთროპოგენური ცვლილებები, რომელიც გამოვლენილია ყორღანების, ტერიკონების, მიწაყრილების, ქვაბულების, თხრილების, სანგრების, გვირაბებისა და სხვათა წარმოქმნაში;

2. წყლის რესურსების ათვისება და მტკნარი წყლების პრობლემა. იგი უხსოვარი დროიდან არსებობს. წყალი გამოიყენება როგორც ენერგეტიკაში, ისე მორწყვის მიზნით. წყლის არათანაბარი გადანაწილების გამო, ადგილი აქვს ტბების, ჭაობების წარმოშობა–გაქრობასა და ზოგჯერ ჯებირებისა და არხების აგებას. ეს გარემოებები გარემოს ძირეულ ცვლილებებს იწვევს. მშრალ ადგილებს ოაზისები იკავებს, მდინარეთა შეგუბებით იქმნება წყალსაცავები, იცვლება მდინარეთა ეროზიისა და აკუმულაციის რეჟიმი, ჭაობების ამოშრობა ზრდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს;

3. ადგილობრივი ჰავის შეცვლა, რომლის ანთროპოგენური ფორმაა ტყის გაჩეხვა ან გაშენება, ჭაობების ამოშრობა, დატბორვა, ატმოსფეროში ნაშირბადის ხელოვნური შემოტანა და სხვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოაზისებში ჰაერის დღეღამური ტემპერატურა რამდენადმე ნიველირებულია, ვიდრე მიმდებარე უდაბნოში;

4. გარემოს ანთროპოგენული გარდაქმნა, რომელიც გამოვლინდა როგორც ორგანიზმების უზარმაზარი მასის განადგურებაში, ისე ახალი ჯიშების შექმნაში.

აღსანიშნავია რამდენიმე საგანგაშო მონაცემი გაეროს პროგრამიდან. 2002 წლის მონაცემებით, მსოფლიოში დეგრადირებულია ნიადაგის დაახლოებით 2000 მლნ. ჰა, რომლიც ხმელეთის 15 %-ია. ზოგჯერ ნიადაგი ისეა დეგრადირებული, რომ მათი აღდგენა შეუძლებელია (ეს ადამიანის ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგადაა), მსოფლიო მდინარეების დაახლოებით ნახევარზე მეტი დაბინძურებულია.

ძუძუმწოვრების 1130 (24%) და ფრინველების 1183 (12%) სახეობა დღეს გლობალური მოსპობა–გადაშენების საფრთხის წინაშეა.

ოზონის ფენამ, რომელიც იცავს სიცოცხლეს ულტრაიისფერი სხივებისაგან, დღეს მიაღწია რეკორდულ დონეს. 2000 წელს ოზონის ხვრელი ანტარქტიდის თავზე 28 მლნ. კვ. კმ-მდე გაიზარდა, რომელიც თანდათან ფართოვდება...

კარბონის დიოქსიდის დაგროვება, რომელთანაც დაკავშირებულია გლობალური დათბობა, 25 %-ით უფრო მაღალია, ვიდრე 150 წლის წინ. ასევე მაღალია მეთანისა და ჰალოგენკარბონატების კონცენტრაცია.

მსოფლიოს 80 ქვეყანა, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის 40 %, წყლის ნაკლებობით იტანჯება.

ყოველწლიურად დაახლოებით 11 მლნ. ბავშვი იღუპება მიზეზებით, რომელთა თავიდან აცილება მარტივია, თუ გაუმჯობესდება კვების, სანიტარული, მატერიალური, ჯანმრთელობისა და განათლების მდგომარეობა.

ამჟამად, ატმოსფეროს ცვლილება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის გამოისობით ხდება, რაც უარყოფითი მიმართულებით გამოიხატება ინტენსიური ტემპით დედამიწის საშუალო ტემპერატურის ზრდაში. გამოთვლებმა აჩვენა, რომ არსებული ტენდენციების შენარჩუნებით მოსალოდნელია მივიდეთ ისეთ კლიმატურ პირობებთან, რომელიც არსებობდა მესამეული პერიოდის II ნახევარში. ვარაუდობენ, რომ დღეისათვის არსებული ტენდენციების შენარჩუნებით მზის რადიაციის შემცირება და გამყინვარების ეპოქის დადგომა შესაძლოა ასეული ათასი წლის შემდეგ. ასეთ პირობებში ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შემცირებასთან ერთად მცირდება ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობაც და გამოთვლების თანახმად, ნახშირორჟანგის კონცენტრაციის შემცირებაც იმ დონემდე, როდესაც შესაძლებელია პლანეტის სრული გამყინვარება მოხდეს, რამდენიმე მილიონი წელი სჭირდება. ცხადია, რომ სრული გამყინვარება დედამიწაზე გამოიწვევს ბიოლოგიური განვითარების შეწყვეტას. ბიოსფერო უკვე იყო ახლო დარუპვასთან ბოლო გამყინვარების ეპოქაში, მაგრამ გამყინვარებამ არ მიაღწია იმ კრიტიკულ განედს, რის შედეგადაც ყინული ვრცელდება ეკვატორის მიმართულებით. დედამიწის კლიმატის მოდელირებამ აჩვენა, რომ ტემპერატურის რამდენიმე გრადუსის აწევა შესაძლებელია ვულკანური მოქმედების გააქტიურებით, რაც კატასტროფა იქნება დედამიწაზე სიცოცხლისათვის.

მთლიანად საქართველოში და კერძოდ შიდა ქართლის რეგიონში აღსანიშნავია მაგისტრალების ე.წ. ავტობანის მშენებლობის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ეკოლოგიურ-მდგრადი განვითარების პრობლემასთან. კერძოდ, სამშენებლო სამუშაოები ზიანს აყენებს ფლორასა და ფაუნას, აზიანებს ნიადაგს და შესაძლოა ეროზია გამოიწვიოს.

ხიდების მშენებლობის დროს ნარჩენები და ნავთობური ნახშირბადები იღვრება წყალში, რომელიც როგორც წყლის რესურსების, ასევე ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას იწვევს, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს მეორე, დადებითი მხარეც: ხიდების და ავტობანების მშენებლობა რა თქმა უნდა ძალიან კარგია, მაგრამ კომფორტიც რომ გვქონდეს და ეკოლოგიურად სუფთა გარემოც, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი: გარემოზე ზემოქმედების დასკვნის მიხედვით, მდინარეთა კალაპოტების, ხიდების რეკონსტრუქცია-გაფართოებით სამუშაოებთან დაკავშირებით საჭიროა კალაპოტის დროებით გადაგდებისას წყალგამტარებისა და არხების მოწყობა, თევზსავალისათვის საჭირო ნაკადების

(სანიტარული წყლის ხარჯვის) შენარჩუნებით; ასევე, მდინარეებში მომუშავე ტექნიკის ნავთობპროდუქტებით შევსება სანიტრული ნორმების დაცვით; მდინარეებში: თორთლა, მეჯუდა, ფშანა, ლიახვი წყლის ხარისხზე კონტროლის დაწესება; მდინარეთა კალაპოტებში, ასევე მიმდებარე ტერასებზე მომუშავე ტრანსპორტისა და სხვა მექანიზმების საწვავით შევსების დროს, ნავთობპროდუქტების შემთხვევითი ჩაღვრის თავიდან აცილება და ჩაღვრის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება. მშენებელმა კონსტრუქტორმა სამუშაოთა დაწყებამდე უნდა შეიმუშაოს აღნიშნულ ღონისძიებათა გეგმა. მანქანა-მექანიზმების მდინარეებში შესვლაზე ყოველდღიურად უნდა შემოწმდეს ჩაღვრის ყველაზე სუსტი ადგილების მდგომარეობა (ჰირალდიკური სითხის მილები, საწვავის ავზები და სხვა).

საზოგადოების აშკარა გამოფხიზლება გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები უფრო მეტად ვითარდებოდა, ხოლო ,,ღარიბები'' - ნაკლებად. მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო ახალი პარადიგმით, რომელიც გულისხმობდა დაბალანსებულ განვითარებას, ბოლო დროს, განვითარების მესამე მნიშვნელოვანი რგოლი გარემოს დაცვა გახდა, უკვე 80-იანი წლების დასაწყისში დაგროვდა დიდი მოცულობის ინფორმაცია, რაც ამტკიცებდა, რომ გარემოს დეგრადაცია შესაძლოა გახდეს ეკონომიკური განვითარების სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორი.

მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოიშვა XX ს-ის 80-იან წლებში, როგორც პასუხი ,,ეკონომიკური ზრდის'' იმ მდგომარეობისა, რომელიც დამანგრევლად მოქმედებდა საზოგადოებასა და გარემოზე. იდეა წარმოიქმნება გარემოსდაცვითი მოძრაობის წიაღში და მისი ერთ-ერთი პირველი ფორმულირება მოცემულია 1980 წლის ,,მსოფლიოს შენარჩუნების სტრატეგიაში" (World Concervation Strategy), რომელიც ერთობლივად წარმოადგინა გაეროს გარემოდაცვითმა პროგრამამ (UN Environment Programme), მსოფლიოს ბუნების დაცვის ფონდმა (World Wildlife Fund) და ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო გაერთიანებამ (International Union for Consprvetion of Noture and Natural Resources (UNEP) WWF/IUCNNR, 1980).

1983 წ. გაეროს ინიციატივით შეიქმნა „გარემოს პრობლემების და განვითარების საერთაშორისო კომისია" (World Commission on Enriroment and Development-WCED) 1987 წ. ამ კომისიამ გამოსცა შეტყობინება „ჩვენი საერთო მომავალი". WCED-მა მოგვაწოდა იმ თემების ნუსხა, რომლებიც მომავალში უნდა გახდეს მსჯელობის საგნად მდგრადი განვითარების შესახებ. ამოსავალი წერტილი კომისიის მუშაობისათვის გახდა ის ფაქტი, რომ კაცობრიობის მომავალი საფრთხეშია. დედამიწა ერთია, მაგრამ მსოფლიო კი არა.

პროგრამა 21 Brundtland-ის შეტყობინების შემდეგ, მოვლენებისა და ინიციატივების მთელმა რიგმა მოგვიტანა მდგრადი განვითარების მრავალმხრივი ინტერპრეტაცია. რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა კონფერენცია (1992 წ.), რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვასა და განვითარებას. ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო თითქმის 180 ქვეყნის წარმომადგენელმა. აქვე შეიქმნა 8 საკონტაქტო ჯგუფი: ფინანსური რესურსების, ტექნოლოგიების, ატმოსფეროს დაბინძურების და კლიმატის ცვლილებების, ბიომრავალფეროვნების და ბიოტექნოლოგიების, მტკნარი წყლის რესურსების, ტყეების დაცვის.

2000 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტის №191 ბრძანებულებით, დამტკიცებულ იქნა გარემოს დაცვით მოქმედებათა პირველი ეროვნული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს გარემოს დეგრადირების იმ პრობლემებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეხლახან საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, მექსიკის ქალაქ კანკუსში კლიმატის ცვლილებების კონფერენციაზე ჩამოაყალიბა შემდეგი ინიციატივები:

- საქართველო გახდება მდგრადი განვითარების სამოდელო ქვეყანა;
- საქართველო რეგიონებიდან პირველი უზრუნველყოფს განახლებული ენერგიის (ჰიდროენერგიის) ექსპორტს ევროპაში;
- საქართველო მიაღწევს კარბო-ნეიტრალური ქვეყნის სტატუსს;
-საქართველოში რეალიზებული იქნება პროგრამა „უფრო სუფთა ტრანსპორტის" დანერგვის მიზნით.
- საქართველოს ტერიტორიის 10%-ზე მეტი დაფარული იქნება ბუნებრივი ტყით.

შიდა ქარლის, კერძოდ გორსა და გორის რაიონის გეოგრაფიული ობიექტების ფარგლებში უკანასკნელ ხანებში უკვე გამოიყენება აღნიშნული ობიექტების მართვის პრინციპები: კერძოდ ლიახვზე, მეჯუდაზე, ტორტლასა და სხვა მდინარეებზე მიმართავენ მდინარეთა რეგულირების სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების დროს არ მოხდეს მდინარეთა კალაპოტიდან გადმოსვლა და ტერიტორიების დატბორვა; ამაგრებენ ხიდებს, ასუფთავებენ მდინარეთა კალაპოტებს, რისთვისაც იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების საკმაო რაოდენობა.

ლიტერატურა:
1. „საქართველოს გეოგრაფია“, მელორ ალფენიძე და კობა ხარაძის რედაქციით, თბ., 1999;
2. „გარემო და მდგრადი განვითარება“, ნინო პეპანაშვილისა და სხვათა ავტორობით, თბ., 2007;
3. რატი უფლისციხელი, „ავტობანის მშენებლობის საზოგადოებისათვის უცნობი დეტალები”, გაზეთი „ქართლის ხმა”, №18 (100) 20-26 სექტემბერი, 2010;
4. ბერუჩაშვილი ნ. და სხვ., საქართველოს გეოგრაფია. ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1996;
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ. 1984;
6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები, საქართველ;ოს ბუნების ფონდი, #1, თბ., 1997.

ძალდებული კრებადობის შესახებ

ნინო დარბაიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ზურაბ ზერაკიძე,** სრული პროფესორი

მოვიყვანოთ ზოგიერთი განმარტება.

განსაზღვრა 1. ვთქვათ $f_n(x), \quad n=1,2,....., \quad x\in[0,1]$. ვიტყვით, რომ ეს მიმდევრობა კრებადია $f(x)$ ფუნქციისაკენ x_0 წერტილში, თუ ნებისმიერი $\varepsilon>0$ რიცხვისათვის მოიძებნება ისეთი $\eta>0$, რომ როცა $|x-x_0|<\eta$, მაშინ $|f(x)-f(x_0)|<\varepsilon$. $f_n(x), \quad n=1,2,....., \quad x\in[0,1]$ კრებადია $f(x)$ ფუნქციისაკენ, თუ ეს მიმდევრობა კრებადია ყოველ წერტილში.

განსაზღვრა 2. ვთქვათ $\{\mathrm{E},S,\mu\}$ ალბათური სივრცეა. $f_n(x), \quad n=1,2,....$ ზომად ფუნქციათა მიმდევრობაა. ვიტყვით, რომ ეს მიმდევრობა ზომით კრებადია $f(x)$ ფუნქციისაკენ, თუ ნებისმიერი $\varepsilon>0$ რიცხვისათვის
$\mu\{x:|f_n(x)-f(x)|>\varepsilon\}\to 0$, როცა $n\to\infty$.

მაგალითი. განვიხილოთ ფუნქციათა მიმდევრობა:

$$f_i^{(k)}(x)=\begin{cases}1, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{i-1}{k},\dfrac{i}{k}\right)\\ 0, & \text{თუ} \quad x\notin\left[\dfrac{i-1}{k},\dfrac{i}{k}\right)\end{cases} \qquad \text{კერძოდ} \quad f_1^{(1)}(x)\equiv 1, \quad x\in[0,1) \ .$$

$f_i^{(2)}(x) \quad i=1,2.$

$$f_1^{(2)}(x)=\begin{cases}1, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{0}{2},\dfrac{1}{2}\right)\\ 0, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{1}{2},1\right)\end{cases} \qquad f_2^{(2)}(x)=\begin{cases}1, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{1}{2},1\right)\\ 0, & \text{თუ} \quad x\in\left[0,\dfrac{1}{2}\right)\end{cases}$$

$f_i^{(3)}(x), \quad i=1,2,3.$

$$f_1^{(3)}(x)=\begin{cases}1, & \text{თუ} \quad x\in\left[0,\dfrac{1}{3}\right)\\ 0, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{1}{3},1\right)\end{cases} \qquad f_2^{(3)}(x)=\begin{cases}1, & \text{თუ} \quad x\in\left[\dfrac{1}{3},\dfrac{2}{3}\right)\\ 0, & \text{თუ} \quad x\in\left[0,\dfrac{1}{3}\right)\cup\left[\dfrac{2}{3},1\right)\end{cases}$$

$$f_3^{(3)}(x)=\begin{cases}1, \text{ თუ } x\in\left[\frac{2}{3},1\right)\\ 0, \text{ თუ } x\in\left[0,\frac{2}{3}\right)\end{cases}$$

$f_i^{(4)}(x),\ \ i=1,2,3,4.$

$$f_1^{(4)}(x)=\begin{cases}1, \text{ თუ } x\in\left[0,\frac{1}{4}\right)\\ 0, \text{ თუ } x\in\left[\frac{1}{4},1\right)\end{cases}\qquad f_2^{(4)}(x)=\begin{cases}1, \text{ თუ } x\in\left[\frac{1}{4},\frac{2}{4}\right)\\ 0, \text{ თუ } x\in\left[0,\frac{1}{4}\right)\cup\left[\frac{2}{4},1\right)\end{cases}$$

$$f_3^{(4)}(x)=\begin{cases}1, \text{ თუ } x\in\left[\frac{2}{4},\frac{3}{4}\right)\\ 0, \text{ თუ } x\in\left[0,\frac{2}{4}\right)\cup\left[\frac{3}{4},1\right)\end{cases}\qquad f_4^{(4)}(x)=\begin{cases}1, \text{ თუ } x\in\left[\frac{3}{4},1\right)\\ 0, \text{ თუ } x\in\left[0,\frac{3}{4}\right)\end{cases}$$

და ა.შ.

გადავნომროთ მიღებულ ფუნქციათა შემდეგი მიმდევრობა

$Q_1(x)=f_1^1(x),\quad Q_2(x)=f_1^2(x),\quad Q_3(x)=f_2^{(2)}(x),\quad Q_4(x)=f_1^{(3)}(3),\quad Q_5(x)=f_2^{(3)}(x),$

$Q_6(x)=f_3^{(3)}(x),\quad Q_7(x)=f_1^{(4)}(x),\quad Q_8(x)=f_2^{(4)}(x),\quad Q_9(x)=f_3^{(4)}(x),\quad Q_{10}(x)=f_4^{(4)}(x),.....$

ვაჩვენოთ, რომ $Q_n(x)$ ფუნქციათა მიმდევრობა ლებეგის ზომის მიმართ $[0,1)$–ზე მიისწრაფის ნულისკენ. მართლაც $Q_n(x)=f_i^{(k)}(x)$ ნებისმიერი $\varepsilon>0$

იქნება $\qquad [x:|Q_n(x)-0|\geq\varepsilon\ ]=\left[\frac{i-1}{k},\frac{i}{k}\right),$

ხოლო ლებეგის ზომა $\left[\frac{i-1}{k},\frac{i}{k}\right)$ იქნება $\lambda\left[\frac{i-1}{k},\frac{i}{k}\right)=\frac{i}{k}-\frac{i-1}{k}=\frac{1}{k}.$

ცხადია, რომ რაც $k\to\infty$ მაშინ $n\to\infty$ და ვიღებთ

$\lambda[x:|Q_n(x)|\geq\varepsilon]=\frac{1}{k}$ და ამიტომ $\operatorname{Lim}\lambda[x:|Q_n(x)|\geq\varepsilon]=0$ და ე.ი.

$Q_n(x)\overset{\lambda}{\Rightarrow}0$ –კენ

ვაჩვენოთ, რომ $Q_n(x)$ არ მიისწრაფის 0–კენ არც ერთ x–სათვის ჩვეულებრივი გაგებით. მართლაც, თუ $x_0\in[0,1)$, მაშინ ყოველი k– სათვის მოიძებნება ისეთი i, რომ $x_0\in\left[\frac{i-1}{k},\frac{i}{k}\right)$, რომ $f_i^{(k)}(x)=1$. სხვანაირად რომ ვთქვათ $Q_n(x)$ რიცხვთა მიმდევრობაში, ჩვენ ყოველთვის შეგვხვდება 1–ები ე. ი. $Q_n(x)$ არ იკრიბება 0–კენ.

ლიტერატურა:

1. ჭელიძე ვ., ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, თბ., 1966.

შიდა ქართლის ტურისტული რესურსები

ანი ნასყიდაშვილი, ნინო ლომიძე, ეკა ზუბაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

შიდა ქართლი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია, რომელსაც ტურისტული რესურსების დიდი პოტენციალი გააჩნია. იგი გამოირჩევა თავისებური ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, რომელსაც განსაკუთრებული მომხიბვლელობა აქვს. მდინარეთა ხეობები, მდელოები, მრავალფეროვანი ბუნება და ხშირი ტყეები, მრავალი ტურისტის ინტერესს იწვევს. რეგიონი განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ფასეულობების სიუხვით ხასიათდება. ასობით ისტორიულ თუ არქიტექტურულ ძეგლებს შეუძლია აღტაცებაში მოიყვანოს ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი.

შიდა, ანუ ზემო ქართლი (ფართობი 9567 კვ/კმ, მოსახლეობა 314039 კაცი, 2002 წ. აღწერით) აღმოსავლეთ საქართველოში, მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედის ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, ჯავის, კასპის, ახალგორის, მცხეთის ადმინისტრაციული რაიონები და დუშეთის რაიონის ბარის ზონა.

მხარე საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა და მეზობლობს ისეთ განვითარებულ რეგიონებს, როგორიცაა იმერეთი და თბილისის ტერიტორია. მასზე გადის შიდა თუ გარე ეკონომიკური კავშირებისათვის აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო მაგისტრალი. შიდა ქართლიდან სწრაფად და მოხერხებულად შეიძლება ქვეყნის პერიფერიულ ნაწილებთან დაკავშირება. რუსეთის ფედერაციასთან უშუალო მიმოსვლა კი როკის გვირაბითა და საქართველოს სამხედრო გზით ხდება.

შიდა ქართლში გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავა (წლიური ნალექთა ჯამი 500 მმ აღწევს). რეგიონის ჰავის პირობებში შესაძლებელია როგორც სოფლის მეურნეობის რიგი დარგების, ისე ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება.

შიდა ქართლის ვაკეს მთელ სიგრძეზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მდ. მტკვარი კვეთს.

ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია ტყეები, რომლებსაც ძირითადად საკურორტო, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციები აქვთ. რეგიონში ტყიანობის კოეფიციენტი – 57,4–დან (ბორჯომის რ-ნი) 32,0%-მდე (კასპის რ-ნი) მერყეობს.

უკანასკნელ ხანებში ტყეების უკანონო ჭრის ფონზე მნიშვნელოვან ბუნებისდაცვით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნა, რომლის ტერიტორია შიდა ქართლის ფარგლებშიც (ბორჯომის და ხაშურის რაიონების ნაწილი) ექცევა. იგი ხელს შეუწყობს როგორც ტყეების, ცხოველთა და ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვას, ისე ტურისტულ საქმიანობას.

შიდა ქართლში 8 ქალაქია (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, მცხეთა, ბორჯომი, დუშეთი, ცხინვალი). 11 დაბა (აგარა, ყორნისი, სურამი, ზაჰესი, ახალგორი, ახალდაბა, ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ჟინვალი, ანდეზიტი).

სიდიდით და მნიშვნელობით გამორჩეულია „ქართლის გულად" წოდებული, საქართველოს ისტორიული ქალაქი გორი (მოსახლეობა – 68,2 ათასი კაცი).

გორი ცნობილია თავისი ინტელიგენციით, კულტურული და სპორტული ცხოვრებით.

გორში ფუნქციონირებს დიდების მუზეუმი, იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის კომპლექსი.

გორიდან საავტომობილო გზა როკის გვირაბით ჩრდილო კავკასიას უკავშირდება, მეორე ხაზი კი ცხინვალის გავლით რაჭისაკენ მიემართება.

რეგიონზე გადის ასევე მნიშვნელოვანი ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-სუფსა და გაზსადენები (ვლადიკავკაზი-თბილისი-ქუთაისი) თავისი განშტოებებით.

რეგიონს გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები (ტრრ).

ტრრ ორ ჯგუფად იყოფა: ბუნებრივი ანუ თავისთავად არსებული და ანთროპოგენური ანუ ადამიანის მიერ შექმნილი რესურსები.

ბუნებრივ ტრრ-ის ჯგუფში გამოყოფენ კლიმატური, ბალნეოლოგიური, ზღვის, თოვლ-მყინვარების, შიდა წყლების, ტყის და ზოგიერთ სხვა სახის რესურსებს.

ანთროპოგენურ ტრრ-ს მიეკუთვნება გამოჩენილი ადამიანების სახლ-მუზეუმები, ორიგინალური არქიტექტურის მქონე სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, თეატრები, მუზეუმები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები და ა.შ.

შიდა ქართლში ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გარდა, ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს;

ა) მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა მთავარ სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებთან, რის გამოც აქ არსებული კურორტები და საკურორტო ადგილები ადვილად მისადგომია დამსვენებლებისათვის,

ბ) რეგიონის მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე და დედაქალაქის სიახლოვე, რაც განაპირობებს მკურნალობასა და დასვენებაზე მზარდი მოთხოვნილებების არსებობას,

გ) კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, რომელიც ხილ-ბოსტნეულითა და მეცხოველეობის პროდუქციით ადგილობრივი ტურისტული ობიექტების მომარაგების საშუალებას იძლევა.

შიდა ქართლი გამოირჩევა მდინარეული ქსელის დიდი სიხშირით (მტკვარი, ლიახვი, ლეხურა, ფრონე, ტანა, თეძამი, ძამა და სხვა), რაც ქმნის საფუძველს ეკოტურიზმის განვითარებისათვის. განსაკუთრებით გამოირჩევა მდინარე ტანას ხეობა, რომელიც 30-40 კმ სიგრძისაა (მდინარის სათავიდან). მისი სათავე გაშლილ ხეობაშია, ხოლო სოფელ ბიისთან 5-6 კმ-ში იწყება კანიონი („ტანას კარი"). მდინარე ტანას ხეობის ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ბუნებაში დასვენების მოყვარული ტურისტებისათვის დროებითი საბანაკო ადგილები მოეწყოს.

მდ. ტანას ხეობაში მრავლადაა ჩანჩქერები, უხვადაა მთის წყაროები (ატენის, ბოშურის, ლევიტანას და სხვა). რაც შეეხება სატრანსპორტო გზებს, ხეობაში ერთადერთი მოასფალტებული არტერიაა გორი-ბოშურის გზატკეცილი.

ბუნებაში დასვენების მოყვარულთათვის ტანას ხეობა მეტად მიმზიდველია ზაფხულში ქვეითი ტურიზმისათვის და ზამთარში სათხილამურო ტურიზმის ყველა მიმართულებისათვის. ამასთან ტურისტთა განთავსება შესაძლებელია ხეობის დასახლებულ პუნქტებში (სოფლები: ატენი, ბიისი, ბოშური, ლევიტანა და სხვა).

უდიდესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მდ. ტანას ხეობაში წარმოდგენილია VI საუკუნის გარდატენის ეკლესიის, ვერეს ციხისა და ატენის სიონის სახით (VII საუკუნე).

ცნობილია ასევე IX-X სს. მთავარი საყდარი, X-XI სს. ნინოს ეკლესია, გვიან ფეოდალური ხანის წედისის ციხე და ეკლესია და სხვა.

უფლისციხე 3000 წლოვანი ციხე-ქალაქია (ქ. გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ით დაშორებული). იგი ანტიკურ და შუასაუკუნეობრივი, წარმართული და ქრისტიანული ნაგებობების რთულ კომპლექსს წარმოადგენს. ცალკეულ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია მეორე საუკუნის კლდეში გამოკვეთილი რომაული ყაიდის თეატრი, თამარ მეფის დარბაზი, ბაზარი და მტკვართან დაკავშირებული გვირაბი, რომლის ქვედა მისასვლელი მდ. მტკვრის სანაპირო ზოლის ნგრევის შედეგად ნაწილობრივ დაზიანებულია.

უფლისციხესთან მისასვლელი მრავალი გზა წარმოდგენილია გორი-უფლისციხის 8 კმ-იანი ტურისტული მარშრუტით.

კასპისა და მცხეთის ტურისტული რესურსები. უაღრესად მდიდარია მცხეთისა და მისი რაიონის ისტორია. მცხეთა ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი სატახტო ქალაქი იყო. მცხეთა ევროპისა და აზიის ქვეყნებს სავაჭრო გზების რთულ ქსელით უკავშირდებოდა. ცნობილია, რომ მტკვარი მსოფლიო მნიშვნელობის იმ დიდი სავაჭრო გზის ნაწილს წარმოადგენდა.

რვაასი წელი (ძვ. წ. აღ-ის IV საუკუნიდან ახ. წ. აღ-ის V საუკუნის ბოლომდე) მცხეთა წარმოადგენდა ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცენტრს. დედაქალაქობის დაკარგვის შემდეგ კი იგი ხდება ქართული ქრისტიანული ეკლესიის სასულიერო ცხოვრების ცენტრი და მისი ისტორიული მემკვიდრეობა ძირითადად სამონასტრო ნაგებობების სახით წარმოგვიდგება (ჯვრის მონასეტრი – VI ს., სვეტიცხოველი – XI სს., სამთავრო – XI ს., შიომღვიმის სამონასტრო ანსამბლი – VI-XIII სს., ზედაზენი – VI–VIII სს., ბებრის ციხე – ადრეული შუასაუკუნეები და მრავალი სხვა.

მცხეთის ჯვარი ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების განვითარების მწვერვალია და მის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს: ქრისტიანობის მიღების პირველ დღიდანვე (VI ს. ოცდაათიანი წლები) მცხეთის ჯვრის ტაძრის ადგილას წმ. ნინოს მითითებითა და მირიან მეფის ბრძანებით ხის დიდი ჯვარი ყოფილა აღმართული. მემატიანეთა გადმოცემით ქართლის ერისთავმა

გურამმა VI-ს-ის II ნახევარში ხის ჯვრის ჩრდილოეთით ააშენა პატარა ეკლესია, რომელსაც მცირე ტაძარს ან მცირე ჯვარს უწოდებდნენ.

ჯვარი აგებულია ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების პრინციპებზე. მცხეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ჩვენი წინაპრების უძველეს და მდიდარ კულტურაზე, ამავე დროს, გვახსენებენ იმ ავბედით დღეებს, რაც აქაურ მკვიდრთ გადაუტანიათ – ურიცხვი მტრის მოგერიება მათ საკუთარი სისხლის ფასად უხდებოდათ, რათა დაეცვათ თავისი მიწა-წყალი, ქართული ენა. კულტურის სიწმინდე და სარწმუნოება.

მცხეთის რაიონში 150-მდე ისტორიული ძეგლია. სამწუხაროდ, ჟამთა სიავეს ყველა ვერ გადაურჩა, ბევრი მათგანი მხოლოდ ნანგრევებადღაა შემორჩენილი.

კასპის რაიონში მდ. თეძამის ხეობა შიდა ქართლის ულამაზეს ხეობათა შორის კიდევ ერთ მშვენიერებას წარმოადგენს, რომელიც ჭვარებისა და თორის მთებიდან იწყება და სასირეთთან მდ. მტკვრის შერთვით მთავრდება. თეძამის ხეობის სათავე მთაგორიანია, ხოლო ქვედა მონაკვეთი კი მდ. მტკვართან შერწყმის ზონაში ვაკე რელიეფით და დიდი სიგანით ხასიათდება.

ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა ხეობებში, ჰავა აქაც ზომიერია და სასიამოვნო, ზამთარი თოვლიანია, ხოლო ზაფხული კი გრილი. ამიტომ ეს ხეობა კარგ სააგარაკო ადგილადაა მიჩნეული. არსებობს დასვენების მოყვარულთათვის ხელსაყრელი სამარშრუტო პირობები.

რაც შეეხება ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, მრავალი რეგიონიც კი ვერ დაიკვეხნის ასეთ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. ხეობა ოდითგანვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რამაც საუკუნეებგამოვლილ ძეგლებს დღესაც შემოუნახა სიდიადე. თეძამის ხეობაში უხვადაა მიმობნეული ისტორიული სიმდიდრე ციხე-დარბაზებისა და ეკლესია მონასტრების სახით. განსაკუთრებით გამოირჩევა რკონის სამონასტრო ანსამბლი (VII ს) თეძმის ხეობაში და გიორგი სააკაძის კოშკი სოფ. ნოსტეში (XVII ს).

შიდა ქართლის საკურორტო–ტურისტულ რაიონებში შედის: ბორჯომ-აბასთუმანის, ბორჯომ-ბაკურიანის, წაღვერის, სურამის ტურისტული რაიონები.

ბორჯომის რეკრეაციული კომპლექსი, რომლის ბირთვია კურორტი ბორჯომი, მოიცავს ბორჯომის ხეობაში განლაგებულ კურორტებს – ახალდაბას, ქვიშხეთს და საკმაოდ მრავალრიცხოვან სააგარაკო ადგილებს. მათი მთავარი სამკურნალო ფაქტორია მთის კლიმატი და მდიდარი წიწვოვანი ტყეები. ზოგიერთ პუნქტში არის აგრეთვე სამკურნალო მინერალური წყლების გამოსავლები.

მთელი ამ რაიონის ადმინისტრაციული, სავაჭრო და კულტურული ცენტრია ცნობილი კურორტი ბორჯომი, რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნეში ადგილობრივი უნიკალური სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური წყაროების ბაზაზე. ბორჯომის მინერალური წყლები გამოიყენება კუჭის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა სახის დაავადებების სამკურნალოდ. ტურისტების მომსახურების მიზნით ბორჯომში აგებულია ტურისტული ბაზა და სასტუმრო.

წაღვერის პირველადი რეკრეაციული კომპლექსის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვების დასვენება და მკურნალობა. წაღვერის კომპლექსი მოიცავს პოპულარულ სააგარაკო ადგილებს: ცემს, ტბას, პატარა ცემს. მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კურორტი ლიკანი, განკუთვნილი ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ.

ბაკურიანის კომპლექსი უმთავრესად განკუთვნილია ტურისტებისა და სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულთა მომსახურებისათვის. ზაფხულობით ბაკურიანი გამოიყენება აგრეთვე როგორც მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბავშვებისა და მოზრდილებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და მშვენიერია მდ. **ძამას ხეობა,** რომელიც ქარელის რაიონში მდებარეობს. სიგრძით იგი მდ. ტანას ხეობაზე ოდნავ მეტია. ხეობა წყაროების სიუხვით გამოირჩევა. მაგ: სოფ. ტყემლოვანასთან რკონის მაღალი შემცველობის წყარო განსაკუთრებით სასარგებლოა ანემიით დაბადებულთათვის. ხეობაში არის როგორც ფოთლოვანი, ისე წიწვოვანი ტყეები.

მდ. ძამას ხეობა საუკეთესო რესურსია ამ ზონაში ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ბუნებრივ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა ბუნებაში დასვენების მოყვარულთათვის დროებითი ტურისტული საბანაკო ადგილები მოეწყოს ტყემლოვანას, ქოზიფას, ტბეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. მდ. ძამას ხეობიდან შესაძლებელია გადასვლა ტანას ხეობაში, წაღვერში, ბორჯომსა და ბაკურიანში. სწორედ აქ გადიოდა ცნობილი ისტორიული სავაჭრო „აბრეშუმის გზაც".

მდ. ძამას ხეობის მშვენებაა ბატეთის ტბა, რომელიც საუკეთესო ადგილია ტურისტების ველად დასაბინავებლად. მეორე ტბა, რომელიც გორი-ხაშურის მაგისტრალთან, ქარელის

მახლობლად მდებარეობს, არის ბებნისის ტბა, რომლის გამოყენებაც ტურისტული თვალსაზრისით შესაძლებელია სპორტული თევზაობის, დასვენებისა და სხვა მიზნებისთვის.

მდ. ძამას ხეობა მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნებით ხასიათდება. უცხოელ ტურისტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ განსხვავებულ წეს-ჩვეულებებს, კულტურასა და ტრადიციებს.

განსაკუთრებულია ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა თავისი სიძველით: ქარელი (ღვთისმშობლის ეკლესია – 1850 წ); ურბნისი III ათასწლეული I ნახ, ურბნისის სიონი V ს. ბებნისი (ბერიკლდეების ნასოფლარი); რუისი (კვირათცხოვლის ეკლესია XVIII-XIX სს). ზღუდერი (ეკლესია VI ს.)

მდიდარი ისტორიული ძეგლები, როგორიცაა რუისის VIII საუკუნისა და ყინწვისის XII-XIII საუკუნეების სამონასტრო ანსამბლები კულტურული ტურიზმის განვითარების საფუძველსაც ქმნის.

ხაშური მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. სურამულას ნაპირზე, ზღვის დონიდან 700 მ. სიმაღლეზე. XIX ს. ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანის შემდეგ ხაშური თანდათან მსხვილი სატრანსპორტო კვანძი გახდა. აქედან მიემართება სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები ბორჯომის და ახალციხის მიმართულებით. ქალაქად გამოცხადდა 1921 წ. მოსახლეობა – 28,5 ათასი (2006 წ).

ხაშური მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია. ქალაქში მოქმედებს შუშის ტარის, კვების მრეწველობის საწარმოები, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები (სახალხო თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი). შემორჩენილი XVII ს. კოშკი.

სურამი ბალნეოლოგიურ-კლიმატური დანიშნულების საკურორტო დასასვენებელი და საუკეთესო გამაჯანსაღებელი ადგილია, განსაკუთრებით ტუბერკულოზით დაავადებულთათვის. უნიკალური ტყის ჯიშები გამოყოფენ „აეროზოლს", რაც ძალზედ სასარგებლოა. რეგიონი ტურისტული თვალსაზრისით ეკოლოგიურად სუფთა და საუკეთესოა რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის.

სურამისაკენ მიმავალ ტურისტებს არც ისტორიული ძეგლების ნაკლებობა მოაწყენს (ამაღლების ეკლესია, სურამის ციხე – XII-XIII სს., ღვთისმშობლის ეკლესია – 1831 წ.). ასევე ტურისტებს შეუძლიათ მოინახულონ ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი სურამში.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ტურისტული ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელია ყველა იმ ტურისტული რესურსების გამოყენება, რომელიც დღეს რეალურად გააჩნია რეგიონს და წარმოდგენილია ბუნებრივ-კლიმატური, სოციალურ-კულტურული, ისტორიული, არქიტექტურული, სამეცნიერო, სანახაობითი და სხვა ობიექტების სახით. აღნიშნული რესურსებრივი პოტენციალი აუცილებლად დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნილებებს თუკი რეგიონში იარსებებს ტურისტული ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული რესურსების მომხმარებლისა და ტურისტული მომსახურების მწარმოებელთა დაკავშირებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, ნაწილი II, თბ., 2003;
2. ე. კობახიძე. საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი. თბ., 1973;
3. ვ. მამუკაშვილი, გ. თათარაშვილი, მცხეთა და მისი შემოგარენი
4. ხათუნა მენაბდიშვილი და სხვები, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში, გორი, 2007;
5. ბერუჩაშვილი ნ., საქართველოს გეოგრაფია, წიგნი II, სოციალურ–ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1998;
6. ბლიაძე–ბორძიკული მ., საქართველოს რეკრეაციული რესურსები. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, #10, 1998 წ.

ცივილიზებული კაცობრიობის თანმდევი უარყოფითი პროცესები

ცისნამი მელაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ადამიანის განვითარება უძველესი დროიდან იწყება. ჯერ კიდევ ქვის ხანიდან მოყოლებული ადამიანი მისდევდა ნადირობას, მიწათმოქმედებას, ამასთანავე ეცნობოდა და ეგუებოდა გარემოს. დროთა განმავლობაში ადამიანმა ბუნების შესახებ უფრო მეტი ცოდნა მიიღო და უფრო მეტად განვითარდა. განვითარებულმა ადამიანმა დაივიწყა ნადირობა, სხვა ამგვარი საქმიანობა და თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის დაიწყო ზრუნვა. მას უფრო მეტი ენერგია სჭირდებოდა საკვების მოსაპოვებლად და რესურსების მოსაძიებლად, რამაც გამოიწვია ტყის ხშირი გაჩეხვა. ნეოლითში, მიწათმოქმედებასთან ერთად, ადამიანი იწყებს ტყეების განადგურებას. ბუნების განადგურება ინტენსიური გახდა ბოლო 100-200 წლის მანძილზე. ბიოსფეროს მკვეთრი ცვლა, პირველ რიგში, ადამიანთა უზომო გამრავლებამ გამოიწვია. (ა. შათირიშვილი და სხვ., თბ., 1999.)

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონრად ლორენცის წიგნმა „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“, რომელიც 1974 წელს გამოიცა. ავტორი საინტერესოდ აღწერს რვა ერთმანეთისაგან განსხვავებულ, თუმცა მიზეზობრივად მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესს, რომლებიც განადგურებით ემუქრებიან არა მხოლოდ ჩვენს დღევანდელ კულტურას, არამედ მთელ კაცობრიობას, როგორც სახეობას. ეს მოვლენებია: მოსახლეობის სიჭარბე; ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება; კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან; გრძნობის გაციება; გენეტიკური დაშლა; ტრადიციებისაგან მოწყვეტა; კაცობრიობის ინდოქტრინაციის ზრდა; ბირთვული იარაღი.

სოციალური კონტაქტების მოზღვავებამ „არაადამიანურად“ გამიჯნა ადამიანები ერთმანეთისაგან. მოსახლეობის სიჭარბე უარყოფითად აისახა ადამიანთა ურთიერთობაზე, მოხდა ერთმანეთის მიმართ გაუცხოება, რასაც დაემატა აგრესიის ფაქტორიც. მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში ადამიანებს აკლიათ წრფელი და გულთბილი ადამიანური სიყვარული. ადამიანმა ადამიანის წინააღმდეგ შეჯიბრი დაიწყო. დღეს მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას ღირებულად მხოლოდ ის მიაჩნია, რაც კონკურენციაში თანამოძმეზე გაამარჯვებინებს. ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაიწყო შეჯიბრი თავისივე მსგავსთან. ადამიანები იტანჯებიან ნერვული და სულიერი დაძაბულობისაგან, ყველაფერმა ამან უარყოფითი ასახვა ჰპოვა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ადამიანი თვლის, რომ ტექნოლოგიების განვითარება მას შრომას შეუმსუბუქებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. კაცობრიობამ, თავისდა საუბედუროდ, ისწავლა მთელი გარესამყაროს დამორჩილება. ადამიანმა იმდენად ღრმად შეისწავლა და შეითვისა გარემო, რომ იგი უკვე ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად დიდი ზიანის მიყენება შეუძლია სასიცოცხლო სივრცისათვის. გლეხმა იცის ის, რაც მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაივიწყა - რომ მთელი პლანეტის მარაგი ამოუწურავი როდია. დღეს ბოროტება ხდება ყველგან, სადაც ქიმიურ საშუალებებს იყენებენ. ავტომობილთა გაზრდილი რაოდენობის გამონაბოლქვი იწვევს გარემოს დაბინძურებას. გარემოს აბინძურებენ ნავთობით, რომელიც ძირითადად სანაოსნო გზებით ტრანსპორტირდება და ხშირად ხდება მისი ჩაღვრა ზღვებსა და ოკეანეებში. დაბინძურებულ წყალს ემატება ადამიანების მიერ სამრეწველო ნარჩენებით მდინარეების და ნიადაგის დაბინძურება. ეს ყოველივე უარყოფითად აისახება სასიცოცხლო გარემოზე. როგორც კონრად ლორენცი წერს: „ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს ეძლევა მის მიერ გარემომცველი ბუნების ღრმა წვდომის მეშვეობით, ტექნოლოგიის წინსვლა, რაც თითქოს მოწოდებულია ადამიანს ტანჯვა შეუმსუბუქოს, ავბედითად და პარადოქსულად სწორედ კაცობრიობის დასაღუპად იღვწის. იგი მას სწორედ იმით ემუქრება, რაც ცოცხალ სისტემებს ჩვეულებრივ არ ემართებათ, კერძოდ საკუთარ თავში ჩახრჩობით”.

ბუნებრივი რესურსების გახშირებულმა გამოყენებამ ადამიანები ეკოლოგიურ კრიზისამდე მიიყვანა. თანამედროვე ადამიანს უკვე აწუხებს დაბინძურებული გარემო, იგი ცდილობს, რომ ამ პრობლემას შეეჭიდოს, თუმცა უშედეგოდ. ბუნებრივი რესურსები თანდათან იწურება.

შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დღევანდელი ახალგაზრდა თაობა უფროს თაობას უპირისპირდება, ცდილობს მკვეთრად გაემიჯნოს მშობელთა თაობას და უგულებელყოს წინაპართა ტრადიციები. გრძნობის გაციებამ, სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგებამ, გენეტიკურმა რღვევამ და, ასევე,

შეჯიბრმა საკუთარ თავთან, გამოიწვია ტრადიციისაგან მოწყვეტა, ანუ ის ტრადიციები, რაც კაცობრიობამ კულტურის განვითარებასთან ერთად შეიძინა, დროის განვითარებამ თანდათან დავიწყებას მისცა.

დღეს ასევე აქტიურად დგას ინდოქტრინაციის საკითხი, ერთ კულტურულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანთა რიცხობრივ ზრდას, ტექნიკურ საშუალებათა სრულქმნილებასთან ერთად, მივყავართ საზოგადოებრივი აზრის, შეხედულებათა უნიფორმირებისაკენ. ყველაზე ცუდი ამ საკითხთან დაკავშირებით ის არის, რომ ვინც ამ შეხედულებას არ გაიზიარებს, მის წინააღმდეგ ცუდად არიან განწყობილნი და მას ერეტიკოსად მოიხსენიებენ. როგორც ავსტრიელი ეთოლოგი კონრად ლორენცი თვლის, უდიდესი ზიანი, რაც დღეს ბირთვული იარაღის საშიშროებას მოაქვს კაცობრიობისათვის, „მსოფლიო წარღვნის“ საერთო განწყობილების შექმნაა.

უკანასკნელ წლებში მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ატმოსფეროს შემცველი კომპონენტები განიცდიან ცვლილებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კლიმატის გლობალური შეცვლა. ეს ცვლილებები ძირითადად უკავშირდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას და ვლინდება ძირითადად ნახშირორჟანგის რაოდენობის გაზრდაში. დადგენილია, რომ ნახშირორჟანგის ბალანსი ატმოსფეროში თანამედროვე პერიოდში უფრო მეტადაა დამოკიდებული ანთროპოგენურ ფაქტორზე, ვიდრე ბუნებრივ პირობებზე.

ეკოლოგიური განათლება დაეხმარება ადამიანებს გარემოს უკეთ შეცნობაში და დიდ გავლენას მოახდენს ბუნების დაცვაზე. ამასთან, ყოველმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ყველა ის პრობლემა, რაც ლორენცს აქვს განხილული. ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ბიოსფეროზე -გაანადგურა ცოცხალი ორგანიზმის მრავალი სახეობა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ენერგიის გამოყენების სტრატეგიას, რადგან მოსახლეობის სიჭარბე, ენერგეტიკული რესურსების დახარჯვა და გარემოზე უარყოფითი მოქმედება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ერთი ხერხით არის შესაძლებელი, კერძოდ, ისეთი ბირთვული ენერგეტიკის, როგორიცაა მზის, ქარის ენერგიების გამოყენება და აგრეთვე გეოთერმული ენერგიის და ოკეანის სითბური ენერგიის ათვისება, მაგრამ თუ ზემოთ განხილული პრობლემების გადაჭრის შესაძლო ხერხებს არავინ გამოიყენებს, ან არავინ მიაქცევს ყურადღებას, ეს პრობლემები მაინც გადაუწყვეტელი დარჩება.

გარემოს ტემპერატურასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის. კლიმატურ ფაქტორებთან ერთად ტემპერატურა განაპირობებს ორგანიზმების ცხოველქმედების ზრდა-განვითარებას. მეტად აქტუალურია პრობლემა კლიმატთან დაკავშირებით. გლობალური დათბობის პრობლემას ებრძვის მსოფლიოს მრავალი ორგანიზაცია, რათა არ დაემუქროს გლობალური კატასტროფა კაცობრიობას.

ამრიგად, ლორენცის მიერ აღწერილ დეჰუმანიზაციის მოვლენებს ბიძგს აძლევს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინა, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანის სოციალურ და მორალურ ქცევას, საერთოდ არ განაპირობებს მოდგმის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ნერვული სისტემა და შეგრძნების ორგანოები, არამედ მასზე მხოლოდ „კონდიციონირება“ ახდენს ზეგავლენას, რომელსაც ადამიანი კულტურული გარემოსაგან განიცდის თავისი ონტოგენეზის პროცესში. (კ. ლორენცი, თბ., 2007)

კონრად ლორენცს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა მიზეზობრივად მჭიდროდ დაკავშირებული პროცესები, რაც დღევანდელ კაცობრიობას განადგურებით ემუქრება. ასევე ლორენცი ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რომელიც კაცობრიობას ხელს შეუწყობს და დაეხმარება გადარჩენის გზის მოძებნაში. ეს არის ადამიანის ჰუმანურობა. რაც უფრო გაიზრდება ჰუმანურ ადამიანთა რიცხვი, მით მეტი იქნება გადარჩენის შესაძლებლობა. თანამედროვე ადამიანს ჰუმანურობა აკლია და ამან გამოიწვია ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც დღეს მთელი მსოფლიო დგას.

ლიტერატურა:

1. კონრად ლორენცი, „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი IV, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2007;
2. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, მ. ცარციძე, ზოგადი ბიოლოგია, თბ., 1999;
3. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია, ეკოლოგიის საფუძვლები, თბ., 2009;
4. ე. ელიზბარაშვილი, ნ. სულხანიშვილი, გლობალური ეკოლოგია, თბ., 2009;
4. გ. ქაჯაია, გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, თბ., 2008.

მემკვიდრეობითობის მექანიზმი

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ორგანიზმთა მიერ თავის შთამომავლობაში ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემისა და ნიშან-თვისებათა ცვალებადობის საკითხები ძველთაგანვე აინტერესებდა ადამიანს და საუკუნეთა განმავლობაში იდუმალებით იყო მოცული. ადამიანმა ძალიან დიდხანს არ იცოდა ამ მოვლენის დედაარსი და არც შეეძლო მათი ახსნა. საუკუნეთა განმავლობაში გროვდებოდა ცნობები ორგანიზმთა ნაირგვარობის, მათი გამრავლების ფორმებისა და სხვა თავისებურებათა შესახებ.

თემა მიზნად ისახავს გენეტიკის განვითარების მოკლე ისტორიის, მემკვიდრეობითობის კანონზომიერებების და მემკვიდრეობის პრინციპების შესწავლას. აღნიშნული საკითხის ღრმად შესწავლის ინტერესი გაჩნდა ავსტრიელი ფიზიკოსის, ერვინ შროდინგერის 1944 წელს დაწერილი სამეცნიერო პოპულარული ნაშრომის "რა არის სიცოცხლე" წაკითხვის შემდეგ.

ბიოლოგიაში შერწყმულია მეცნიერული კვლევის ორი მთავარი მიმართულება: აღწერითი მეცნიერება და ჰიპოთეზებზე აგებული მეცნიერება. აღწერით მეთოდს თვალსაჩინოებების მეცნიერებას ეძახიან. აღწერითი მეცნიერება აღწერს ბუნებრივ სტრუქტურებს და პროცესებს იმ მაქსიმალური სიზუსტით, რომლის შესაძლებლობასაც იძლევა დაკვირვებები და მიღებული შედეგების ანალიზი. მაგალითად, აღწერითი მეთოდებით ჩამოვაყალიბეთ ჩვენი წარმოდგენა უჯრედის აგებულებაზე და მემკვიდრეობითობის მექანიზმზე.

სხვადასხვა მნიშვნელობის კვლევები მე–19 საუკუნეში დაიწყო. თუმცა მემკვიდრეობის შესახებ საინტერესო შეხედულებები გადმოცემულია ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა და ექიმთა ნაშრომებში ჯერ კიდევ მე–5 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მათ ჩამოაყალიბეს ორი ძირითადი ჰიპოთეზა – პირდაპირი და არაპირდაპირი მემკვიდრეობის შესახებ. პირდაპირი მემკვიდრეობის მომხრე იყო ჰიპოკრატე. მისი აზრით, სიცოცხლის მანძილზე შეძენილი ნიშნები უნდა მემკვიდრეობდეს. წესისამებრ, – აღნიშნავს ჰიპოკრატე: მელოტს – მელოტი უჩნდება, ცისფერთვალებას – ცისფერთვალა, კოჭლს – კოჭლი, ხოლო გრძელთავიანს – გრძელთავიანი. საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდა არისტოტელე, იგი არაპირდაპირი მემკვიდრეობის მომხრე იყო. პირდაპირი მემკვიდრეობის ჰიპოთეზამ 23 საუკუნე იარსება. ამ შეხედულების ბოლო ვარიაციად ჩარლზ დარვინის მიერ წამოყენებული (1868) პანგენეზისის ჰიპოთეზაა მიჩნეული. ამ ჰიპოთეზის თანახმად, მცენარისა და ცხოველის ყოველი უჯრედი გამოყოფს ნაწილაკებს – ჰემულებს, რომლებიც რეპროდუქტიულ ორგანოებში ტრანსპორტირდება, საიდანაც შთამომავლობას გადაეცემა. თუმცა დარვინისეულ ჰიპოთეზამდე გრეგორ მენდელის მიერ უკვე ჩამოყალიბებული იყო მემკვიდრეობის კანონები, რომლითაც არაპირდაპირი მემკვიდრეობა იყო დასაბუთებული. გრეგორ მენდელი გენეტიკის ფუძემდებლადაა მიჩნეული.

ამერიკელმა მეცნიერმა უ. სეტონმა და გერმანელმა ტ. ბოვერიმ ჩამოაყალიბეს მემკვიდრულობის ქრომოსომული ჰიპოთეზა. მათ გამოავლინეს პარალელიზმი, ერთი მხრივ, გამეტოგენეზისა და მეიოზის დროს ქრომოსომათა ქცევასა და, მეორე მხრივ, ნიშან–თვისებათა მენდელირებას შორის, რის საფუძველზეც ივარაუდეს, რომ გენები ქრომოსომებშია ლოკალიზებული. 1906 წელს უ. ბეტსონმა მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელ ბიოლოგიის ახალ დარგს გენეტიკა უწოდა, ხოლო ვ. იოჰანსენმა 1909 წელს შემოიტანა ტერმინი გენი.

გენეტიკა (ბერძ. genetikos - წარმოშობა, დაბადება) შეისწავლის ცოცხალი სისტემის ორ ძირითად თავისებურებას - მემკვიდრულობასა და ცვალებადობას. მიუხედავად იმისა, რომ გენეტიკა შედარებით ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერებაა, იგი თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერების საფუძველია, მემკვიდრულობისა და ცვალებადობის კანონზომიერებანი საყოველთაოა ცოცხალი სისტემისათვის და მოქმედებს ვირუსებიდან მოყოლებული ადამიანის ჩათვლით. მემკვიდრეობა არის ორგანიზმის თვისება, გამრავლების დროს შთამომავლობას გადასცეს ინფორმაცია ნიშან–თვისებათა და განვითარების თავისებურებათა შესახებ. ყოველი ინდივიდი თავისსავე მსგავსს წარმოქმნის. მემკვიდრეობის შედეგია ის, რომ ზოგიერთი ორგანიზმი თითქმის უცვლელი დარჩა დღემდე. მშობელ ორგანიზმს აქვს უნარი

გადასცეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შვილებში ნიშან–თვისებათა ჩამოყალიბება ხდება. (ა. შათირიშვილი და სხვ., 1999, გვ.103).

გენეტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ მეცნიერს თომას ჰანტ მორგანს და მის თანამშრომლებს კ. ბრიჯესს, ჰ. მელერსა და ა. სტერტევანტს. მათ ჩამოაყალიბეს მემკვიდრულობის ქრომოსომული თეორია, რომელიც თანამედროვე გენეტიკის ქვაკუთხედია, მათ ასევე საფუძველი ჩაუყარეს გენის თეორიას, რომელიც სადღეისოდაც გენეტიკის ცენტრალურ პრობლემად რჩება.

1944 წელს ამერიკელმა ო. ეივერიმ, კ. მაკ–ლიოდმა და მ. მაკ–კარტიმ, მიკროორგანიზმებზე, კერძოდ, პნევმოკოკებზე ჩატარებული ცდებით დაასაბუთეს, რომ მემკვიდრეობა დაკავშირებულია დნმ–თან. ამჟამად ყველა ჩვენგანისათვის ნაცნობი დნმ-ის მოლეკულური მოდელი შემთხვევით არ აღმოუჩენიათ. ამას წინ უძღოდა სხვა კვლევები და აღმოჩენები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირში იყვნენ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავასთნ.

1944 წელს ავსტრიელმა ფიზიკოსმა ერვინ შროდინგერმა შექმნა თავისი ყველაზე ცნობილი სამეცნიერო – პოპულარული ნაშრომი „რა არის სიცოცხლე“, რომელშიც გადმოცემულია თანამედროვე ფიზიკოსის თვალსაზრისი ცოცხალი ორგანიზმისა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ. სხვა საინტერესო იდეებთან ერთად მასში პირველადაა მოცემული კომპლექსური მოლეკულის კონცეფცია, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის გენეტიკური კოდის მატარებელია და განაპირობებს მის გენეტიკურ მდგრადობას. მე–20 საუკუნის დასასრული აღინიშნა რევოლუციური გადატრიალებით გენეტიკის დარგში _ ადამიანებმა ისწავლეს გენეტიკური ინფორმაციის კითხვა. ჯეიმს უოტსონი და ფრანს კრიკი, რომლებმაც დნმ-ის ორმაგი სპირალის აღმოჩენისათვის ნობელის პრემია მიიღეს, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამ წიგნის მნიშვნელობას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათზე შროდინგერის სპეკულაციებმა გენეტიკური ინფორმაციის მოლეკულებში შენახვის შესაძლებლობის შესახებ. (ე. შროდინგერი, 2007).

ყოველი ჩვენგანი სიცოცხლეს ერთი უჯრედიდან იწყებს. ეს უჯრედი შეიცავს მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ დნმ-ს. უჯრედების დაყოფის შედეგად ორგანიზმი იზრდება და დნმ თავისი გენებით ხვდება ორგანიზმის ყველა უჯრედში. დმნ-ის მოლეკულის გენებში ჩაწერილია უჯრედის შემადგენელი სხვადასხვა მოლეკულების ასაშენებლად საჭირო ინფორმაცია, რომლის მეშვეობით დნმ განაპირობებს მთელი ორგანიზმის ცხოველმოქმედებას და განვითარებას.

ადამიანის გენომის აღმოჩენის ისტორია იწყება დნმ–ის აღმოჩენიდან. დნმ გამოყოფილი იქნა უჯრედის ბირთვიდან, რის გამოც მიიღო ეს სახელწოდება (ბერძ. Nucleus – ბირთვს ნიშნავს). დნმ წარმოადგენს პოლინუკლეოტიდს, ანუ ნუკლეოტიდებისაგან შემდგარ პოლიმერს. როგორც წესი, იგი ძალიან გრძელია. მაგ., ადამიანის უდიდესი ქრომოსომის დნმ მიმდევრობით შეერთებული 220 მილიონი ნუკლეოტიდისაგან შედგება. უჯრედში დნმ ჩვეულებრივ ერთმანეთზე დახვეული წყვილი მოლეკულის, ორმაგი სპირალის სახით არსებობს. ორივე მოლეკულაში ნუკლეოტიდების ჯაჭვები ერთმანეთის პარალელურია და ერთმანეთთან აზოტოვან ფუძეებს შორის არსებული წყალბადური ბმებით არიან დაკავშირებული. ორმაგ სპირალში ერთი ჯაჭვის – ადენინის შემცველი ნუკლეოტიდის პირდაპირ განთავსებულია მეორე ჯაჭვის – თიმინის შემცველი ნუკლეოტიდი, ხოლო ერთი ჯაჭვის – გუანინის მოპირდაპირედ – ციტოზინის შემცველი. დნმ წარმოადგენს სამი მილიარდი გენეტიკური აგურისაგან, ე.წ. ნუკლეოტიდებისაგან შემდგარ ორმაგ სპირალს და მის მოლეკულაში ინახება ადამიანის ორგანიზმის მთელი მემკვიდრული ინფორმაცია (ადამიანის გენომი). დიდხანს მიაჩნდათ, რომ დმნ–ის ორმაგი სპირალი მყარი და უცვლელი სტრუქტურა იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოლეკულა საკმაოდ დინამიკურია და ზოგჯერ ძლიერ მოდიფიცირდება – იცვლება. სწორედ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა განსაზღვრავს ადამიანის „ადამიანურ“ აღნაგობასა და სიცოცხლეს, ხოლო მასთან „არაფაქიზი“ მოპყრობა კი – მუტაციას. ნუკლეოტიდები აღინიშნებიან მათ შემადგენლობაში შემავალი აზოტური ფუძეების პირველი ასოებით. მაგ. „ა“ – ადენინი, „ც“ – ციტოზინი, „გ“ – გუანინი, „თ“ – თიმინი. სწორედ ამ 4 ნუკლეოტიდის სხვადასხვა თანმიმდევრობით იქმნება კოდირებული გენეტიკური ინფორმაცია.



<u>ადენინი</u> <u>გუანინი</u> <u>თიმინი</u> <u>ციტოზინი</u>

ქრომოსომა ბირთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც შეიცავს დნმ–ში მოთავსებულ გენეტიკურ (მემკვიდრეობით) ინფორმაციას. ქრომოსომების რაოდენობა, ზომა და ფორმა მკაცრად განსაზღვრული და სპეციფიკურია თითოეული სახეობისათვის. გენეტიკური ინფორმაცია – ეს არის პროგრამა ორგანიზმის იმ თვისებისა, რომელსაც იგი ღებულობს წინაპრებისაგან და რომელიც ჩადებულია მემკვიდრეობით სტრუქტურებში გენეტიკური კოდის სახით. გენეტიკური ინფორმაცია ორგანიზმის მორფოლოგიურ აგებულებას, ზრდას, განვითარებას, ნივთიერებათა ცვლას, ფსიქიკურ მდგომარეობას, დაავადებებისადმი წინასწარ განწყობასა და ორგანიზმის გენეტიკურ ნაკლს განსაზღვრავს.

დნმ შედგება ცალკეული უჯრედებისაგან – გენებისაგან. გენი – ეს არის მემკვიდრეობის ერთეული, იგი წარმოადგენს დნმ–ის მოლეკულის ნაწილს და შეიცავს კოდირებულ ინფორმაციას ერთ ცილაში ან რიბონუკლეინის მჟავაში (რნმ) ამინომჟავების თანმიმდევრობის შესახებ. გენების ნაკრებს ადამიანის დნმ–ში გენომი ეწოდება. ადამიანის გენომის სიგრძე გაშლილ მდგომარეობაში შეიძლება ორ მეტრს აღწევდეს.

დღემდე მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ადამიანს აქვს დაახლოებით 140 ათასამდე გენი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენ არც ისე ბევრი, დაახლოებით 30 ათასამდე გენი გვაქვს, მაგრამ მასში შენახულია უამრავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჩვენი ორგანიზმის სხვადასხვა სისტემისა და ფუნქციის შესახებ. ერთი გენი განსაზღვრავს ერთ ნიშანს. ზემოაღნიშნული 3 მილიარდი გენეტიკური „ასოს“ თანმიმდევრობა გაშიფრული და განცხადებული იქნა 2001 წლის 12 თებერვალს, ჩარლზ დარვინის დაბადების დღეს. გენომის გაშიფვრა მიმდინარეობდა 10 წლის განმავლობაში, მეცნიერთა საერთაშორისო კოლექტივის მიერ პროექტის „ადამიანის გენომი“ ფარგლებში.

გენეტიკური კოდის გაშიფვრისთანავე მეცნიერებმა შენიშნეს მისი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი თვისება – უნივერსალობა. როგორც მარტივ (ვირუსები, ბაქტერიები), ისე რთულ (ძუძუმწოვრები, მათ შორის ადამიანი) ორგანიზმებში კოდი ერთიანია. თავდაპირველად გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითც გენეტიკური კოდი უცვლელი დარჩა მას შემდეგ, რაც საერთო პროკარიოტი წინაპარი სამ დომენად (არქეები, ეუბაქტერიები, ეუკარიოტები) დივერგირდა (კრიკი, 1957). ამჟამად მეცნიერება ფლობს მასალას, რომლის თანახმადაც გენეტიკური კოდის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ბუნებრივმა გადარჩევამ შეასრულა (ფრილენდი, პერსტი, 2004). გენეტიკური კოდის მეორე მნიშვნელოვანი თვისება არის კოდონთა სიჭარბე (კოდი გადაგვარებულია). არსებობს 64 კოდონი.

გასული საუკუნის 90–იან წლებში დაგროვდა მეცნიერული მონაცემები, რომელიც მიუთითებდა, რომ გენეტიკური კოდი არაა „გაქვავებული“ სისტემა. გენეტიკური კოდი ევოლუციის პროცესში თანდათანობით შეიცვალა და სრულყოფილი გახდა. კოდის სტრუქტურის ცვლილება (სეიმსენსის ტიპის მუტაციები) ინფორმაციას არ ცვლის. ევოლუციის პროცესში იცვლებოდა როგორც დნმ–ის ნუკლეოტიდური შემადგენლობა, ისე მისი საერთო რაოდენობა. ვარაუდობენ, რომ პირველ ორგანიზმებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს დნმ–ის შემცველ ცოცხალ არსებებს, რამდენიმე გენი გააჩნდათ. ბუნებრივია, მათში დნმ–ის რაოდენობა ძალზე მცირე იყო (აიალა, კაიგერი, 1988). დღეს არსებული ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ორგანიზმები დნმ–ის რაოდენობის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან. დნმ–ის საერთო რაოდენობის მომატება გენომში ძირითადად განმეორებადი ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის ხარჯზეა გაზრდილი. ევოლუციის პროცესში დნმ–ის რაოდენობის გაზრდა ყველა ორგანიზმში ხდებოდა.

ბოლო წლებში მოლეკულურ ბიოლოგიასა და გენეტიკაში მოპოვებული ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადებისა და ახალი თეორიული მეთოდების საფუძველზე ევოლუციური თეორია ინტენსიურად იცვლება და ვითარდება. სიცოცხლის ორგანიზაციის მოლეკულურ–გენეტიკურ დონეზე ევოლუციური პროცესი დაკავშირებულია ნუკლეოტიდების შემადგენლობის (დნმ–სა და რნმ–ში) და ამინომჟავების (ცილებში) ცვლილებებთან. ეს მოლეკულები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ცოცხალ სისტემებში მოლეკულურ–გენეტიკური დონის ორგანიზაციასა და შენარჩუნებაში. ნებისმიერი ორგანიზმის დნმ–ში ნუკლეოტიდთა თანმიმდევრობა არის მისი ევოლუციური ისტორიის შედეგი.

სენსაციური აღმოჩენა გააკეთა ირლანდიელ სწავლულთა ჯგუფმა. მათ ადამიანის გენეტიკურ კოდში აღმოაჩინეს სამი გენი, რომლებიც სულ ახლახან, ჰომოსაპიენსის ევოლუციის პროცესში გაჩნდა. ადრე მსოფლიოს მეცნიერებს შეუძლებლად მიაჩნდათ დნმ–ის სტრუქტურაში ახალი გენების წარმოქმნა თანამედროვე ადამიანის განვითარების ასეთ გვიანდელ სტადიაში. მაგრამ, როგორც ქალაქ დუბლინში, სმაფიტსკის გენეტიკის ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, მუტაციის პროცესში გენები შეიძლება შეიქმნას პირველადი მასალისგანაც. ადამიანის მსგავს მაიმუნებს, რომელთა გენეტიკური კოდი 99%–ით ემთხვევა თანამედროვე ადამიანის გენურ კოდს, ეს სამი გენი არ აქვთ და არც არასოდეს ჰქონიათ. აღმოჩენილი სამი გენი აწარმოებს პროტეინებს და ადამიანის ორგანიზმის

სასიცოცხლო პროცესების უზრუნველყოფაში მონაწილეობს, თუმცა ამჟამად სწავლულებს არ შეუძლიათ თქვან, რომელ ფუნქციაზე არიან ისინი პასუხისმგებელნი. დადგენილია, რომ ჩვენს გენებში რელიქტური მასალა, რომელიც „უსარგებლოდ“ ითვლებოდა და რომელმაც მეცნიერებაში „გენეტიკური ნაგვის“ სახელწოდება მიიღო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცოცხალი ორგანიზმების განვითარებაში. აღმოჩნდა, რომ ევოლუციის პროცესში ადამიანის ორგანიზმი მუდმივად იყენებს ამ სარეზერვო მასალას ახალი გენეტიკური შეხამების შექმნისთვის. წარმატების შემთხვევაში ახალი კვანძები ჩაიდგმებიან დნმ–ში, იწყებენ მუშაობას და წარმოქმნიან შესაბამის პროტეინებს. ეს პროცესი, რომელიც ცნობილია, როგორც მუტაცია, დედამიწის არსებობის ბიოლოგიური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. როგორც ჩატარებული კვლევების ავტორი – აიოფე მაკლისატი თვლის, ადამიანს აქვს სულ მცირე 15 განსაკუთრებული გენი, რომლებიც სულ ახლახან გამოჩნდნენ და ქმნიან თანამედროვე ადამიანს იმად, რასაც იგი დღეს წარმოადგენს.

21–ე საუკუნის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო მიღწევაა მეცნიერების აღმოჩენა იმის შესახებ, რომ საკუთრივ გენები შეადგენენ გენომის მხოლოდ 1,5%–ს, დანარჩენი, რაც აქამდე უცნობი იყო, უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებს და მრავალი პროცესის არსს ხსნის. კვლევებმა საშუალება მოგვცა განვსაზღვროთ, თუ გენომის რომელი ნაწილი აგებს პასუხს ცილების კოდირებაზე. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ე.წ. „ბიომოლეკულები“ (დნმ–ისა და კოლაგენის მსგავსი), სიცოცხლისუნარიანობას ათეულობით ათასი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ – ისინი არსებობენ უძველესი მცენარეების, ადამიანებისა და ცხოველების ნამარხებში. ეს აღმოჩენა ისტორიამდელ სამყაროზე ახლებურად შეხედვის საშუალებას გვაძლევს.

თემაზე მუშაობისას გამოყენებული იქნა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები და თემის შეჯამება მოხდა სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში (openoffice org-impress)

აწყობილი პრეზენტაციის ჩვენებით. გენეტიკის ძირითადი კანონების უკეთ გასააზრებლად და აღსაქმელად საჭირო აუცილებელი სქემები და ცხრილები (მონოჰიბრიდული შეჯვარების, დიჰიბრიდული შეჯვარების, შეჭიდული დამემკვიდრების, სქესის გენეტიკის) მთლიანად იქნა აწყობილი მემკვიდრულობის კანონზომიერებების მიხედვით. აღნიშნული სქემები და ცხრილები არ წარმოადგენს უბრალო თვალსაჩინოებას და იძლევა ინფორმაციის უკეთ აღქმის, გაგების და დამახსოვრების საშუალებას.

ნაშრომში მემკვიდრეობითობის განსაზღვრის თავისებურებები წარმოდგენილია რამდენიმე ორგანიზმის მაგალითზე (ადამიანი, ფრინველები, ხილის ბუზი დროზოფილა და ა. შ.) თითოეული განხილული შემთხვევა წარმოდგენილია სქემით, რომელსაც ემატება ამ ორგანიზმთა ინტერნეტში მოძიებული ფოტოები, ყველაფერი ეს ქმნის ძალიან საინტერესო მასალას. აღწერითი მეცნიერების მეშვეობით გავაკეთეთ დასკვნები, რომლებიც დაფუძნებულია ლოგიკურ აზროვნებაზე.

გენეტიკის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი პერიოდი: ორი მათგანი, რომელიც მოიცავს 1900-1953 წლებს, წარმოადგენს კლასიკური გენეტიკის ეპოქას. მესამე პერიოდი, რომელიც დაიწყო მეოთხედი საუკუნის წინ (1953 წლის შემდეგ) - მოლეკულური გენეტიკის ეპოქას.

ლიტერატურა:

1. ა. შათირიშვილი, ს. ცაგარელი, მ. ცარციძე, ზოგადი ბიოლოგია, თბ., 1999;
2. ერვინ შროდინგერი, „რა არის სიცოცხლე“, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007;
3. ე. დიდმანიძე, ა. მამაცაშვილი, სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები, თბ., 2007;
4. მ.მღვდელაძე, ნ. კიკნაძე, გენეტიკის საოცრებანი. თბ., 1986;
5. ინტერნეტ - რესურსი: www.medportal.ge

გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილების გამოვლინება საქართველოში

ანა ფსუტური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

გლობალური დათბობა დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენისა და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია.

ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურა დედამიწის ზედაპირზე ბოლო საუკუნის განმავლობაში 0.74 ± 0.18 °C-ით გაიზარდა. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის (IPCC) დასკვნით „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით“, რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს. 21–ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1 – 6,4 °C–ით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის ხელალხალი დამყარება და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება.

მეტეოროლოგიური ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში არსებული ცვლილებები, რომლებიც გამოიხატება აცივებისა და დათბობის პერიოდული ცვალებადობით. კერძოდ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შეინიშნებოდა კლიმატის დათბობა, რასაც თან მოყვა 60-იანი წლების აცივება და 90-იანი წლების სტაბილური დათბობა. აღსანიშნავია, რომ მისი სიჩქარე აღემატება უკანასკნელი 10 ათასი წლის განმავლობაში მომხდარი ყველა დათბობის სიჩქარეს.

გლობალური დათბობა გამოწვეულია კაცობრიობის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ტემპების დაჩქარებით, რაც თავისთავად მჭიდრო კავშირშია ენერგიის მზარდ მოხმარებასთან.

„სათბურის ეფექტი“ არის ატმოსფერული მოვლენა, რომელიც ხელს უშლის ღამის საათებში დედამიწის ზედაპირის მკვეთრ გაცივებას, რაც განაპირობებს ატმოსფეროში სითბოს გარკვეული ნაწილის შეკავებას და გლობალური კლიმატის თანდათანობით დათბობას. სათბურის ეფექტის ძირითადი განმაპირობებელი გაზებია: ნახშირორჟანგი (CO_2), მეთანი (CH_4) და აზოტის ქვეჟანგი (NO_2). გამოთვლებით დადგინდა, რომ ამ გაზების არარსებობის შემთხვევაში დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა - 20 იქნებოდა, როდესაც დღესდღეობით ეს სიდიდე +15 შეადგენს. ძირითადი სათბურის აირებია: ნახშირორჟანგი, აზოტი და მეთანი.

გასულ საუკუნეში, წიაღისეული საწვავის ინტენსიური მოხმარების შედეგად ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის 30%-ით გაზრდამ, საშუალო გლობალური ტემპერატურის 0,6 აწევა გამოიწვია, ეს გამოვლინდა გრენლანდიის და ანტარქტიდის ყინულოვანი საფარის და მყინვარების ნაწილორივ დნობაში, რის გამოც მოხდა მსოფლიო ოკეანის დონის 10-20 სანტიმეტრით აწევა, ტროპიკული ქარიშხლების ინტენსივობის, გვალვების სიხშირის და სიმკაცრის ზრდა. ნახშირორჟანგის კონცენტრაციის ამავე ტემპებით მატებამ საუკუნის ბოლომდე, შეიძლება საშუალო გლობალური ტემპერატურის 1,4-5,8 მატება და ოკეანის დონის 9-88 სმ-ით აწევა გამოიწვიოს. აგრეთვე, სავარაუდოდ, მყინვარების დნობის შედეგად დაირღვევა მტკნარი წყლის დღესდღეობით ჩამოყალიბებული ბალანსი, რაც გამოიწვევს მსოფლიოს მრავალ რეგიონში წყლის უკმარისობას და მისი ხარისხის გაუარესებას.

თანამედროვე კვლევების შედეგად ნიუ იორკის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ გლობალური ტემპერატურის მუდმივი ზრდა სიკვდილიანობასა და დაავადებებს გაზრდის. ეს ფენომენი არსებული ეკო-სისტემის ცვლილებას და ჩვენი ჯანმრთელობისთვის პირდაპირ საფრთხეს იწვევს.

მათი პროგნოზით კლიმატური ცვლილებების ფონზე გაიზრდება ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობაც. საშუალო გლობალური ტემპერატურის ზრდის შედეგად ტროპიკული ზონების რაოდენობა შემცირდება, რაც თავის მხრივ მცენარეული საფარის ცვლილებასაც გამოიწვევს.

მუდმივი დაავადებების ზრდა მიკრო ორგანიზმებში, რომლებიც ახალ კლიმატურ პირობებთან თვითადაპტაციას ახდენენ, ცვლილებების შედეგი იქნება.

გარკვეული მიკრო-ორგანიზმების ცხოვრების ციკლი კლიმატის დათბობასთან ერთად შეიცვლება. კოღოებისა და მღრღნელების მიერ გადატანილი დაავადებების უფრო ფართო გავრცელებაა დაფიქსირებული. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ იმის ალბათობას, რომ ერთ დროს ეფექტურად აღმოფხვრილი დაავადებები ისევ არ იჩენენ თავს.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალური დათბობა ცნობილმა ქიმიკოსმა სვანტე არენიუსმა, 1895 წელს, ნახშირორჟანგზე ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდების შედეგად იწინასწარმეტყველა, ამ საკითხმა მსოფლიო ყურადღება მხოლოდ მე-20 საუკუნეში მიიპყრო.

საერთაშორისო ორგანიზაცია „Global Humanitarian Forum“-მა, რომლის თავმჯდომარეც გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი გახლდათ, გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ამის შესახებ ”New Scientist”-ი წერს. მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება. საქმე იმაშია, რომ კლიმატის ცვლა იწვევს ისეთი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდას, როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. გარდა ამისა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. „Global Humanitarian Forum”-ის მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი წილი (90%-ი) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერთა ვარაუდით, 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება.

გამოთვლებით დადგინდა, რომ უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა კლიმატურმა ცვლილებებმა განსაკუთრებული ზეგავლენა იქონია ჩრდილო ნახევარსფეროზე, რაც გამოიხატება საშუალო წლიური ტემპერატურის 0.75 მომატებაში. ბუნებრივია, რომ ეს პროცესი საქართველოზეც აისახა. დათბობასთან ერთად მთიან რეგიონებში გახშირდა წყალმოვარდნების, მეწყერების, ღვარცოფების და ზვავების ინტენსივობა, ხოლო არიდულ ტერიტორიებზე შეინიშვნება გვალვების გაძლიერების ტენდენცია. ამ დაკვირვებებზე დაყრდნობით და საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ, სპეციალისტების მიერ შეირჩა სამი ყველაზე მოწყვლადი რეგიონი, რომლებიც სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში იმყოფება. ეს რეგიონებია: მდ. რიონის დელტა, ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი) და დედოფლისწყაროს რაიონი. მათგან ყველაზე დიდ, ორმხრივ ზეწოლას განიცდის მდ. რიონის შესართავი, სადაც, ერთი მხრივ, მასზე ზეწოლას ახდენს მდინარეული ჩამონადენი, მასთან დაკავშირებული წყალმოვარდნებით და, მეორე მხრივ, ზღვის დონის აწევის (2,5 მმ/წ) გამო მის მიერ ხმელეთის მიტაცება. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ კოლხეთის დაბლობის თანდათან დაშვებას (5 მმ/წ), რაც გამოწვეულია ტექტონიკური პროცესებით, ნათელი ხდება იმ პროცესების სიმწვავე, რომლის დაძლევაც მოუწევს ქვეყანას მიმდინარე საუკუნეში.

1955-1970 წწ (I პერიოდი) და 1990-2005 წწ (II პერიოდი) შედეგების შედარებით საშუალო წლიური ტემპერატურების მინიმალური ზრდით ხასიათდება სადგური ფოთი (0,2)

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ტემპერატურის ცვლილების მინიმალური სიჩქარით აღინიშნება ფოთი, თუმცა უკანასკნელი 7 წლის შედეგების გათვალისწინებით, უახლოესი 5-10 წლის მანძილზე ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს. კლიმატის ცვლილების შესახებ პირველ ეროვნულ მოხსენებაში მოყვანილი მონაცემებით, ამ რეგიონში 1906-1995 წლებში შეინიშნებოდა -0.1 -0,2 აგრილება, რაც ბოლო წლებში შეიცვალა დადებითი ნიშნის მაჩვენებლით. გარდა ტემპერატურისა და ნალექებზე დაკვირვებისა მდ. რიონის შესართავთან (და არამარტო აქ) ხდებოდა მდინარის ჩამონადენზე დაკვირვებაც. ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი გაიზარდა 103 მ /წმ(25%-ით).

მდინარე რიონის დელტის საერთო ფართობი 150 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. 22 კმ-ზე იგი კოლხეთის დაბლობში იჭრება, ხოლო მდინარის დიფუზიის ზონა ზღვაში შეჭრილია 7 კილომეტრით. პროცენტულად ფოთის საგარეუბნო სასოფლო – სამეურნეო სავარგულებს უკავია დელტის 40%, კოლხეთის ეროვნულ პარკს 10%, დანარჩენ ნაწილს კი წარმოადგენს პალიასტომის ტბა, ჭაობები და „ნარიონალის“ სახელწოდებით ცნობილი პატარა ტბები, რომლებიც დაცული ტერიტორიებია. კოლხეთის დაბლობის სანაპირო ზონა ოდითგანვე გამოირჩეოდა პლაჟწარმომქმნელი ნატანის უხვი რაოდენობით, რომლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს მდ. რიონი წარმოადგენდა. 1939 წელს რიონის კალაპოტის გადაგდებამ (4 კმ-ით სამხრეთიდან ჩრდილოეთით) დელტის სამხრეთ ნაწილში შეამცირა მყარი ნატანის მოცულობა 8 მლნ მ 4,4 მლნ მ, ხოლო პლაჟწარმომქმნელი მასალის რაოდენობა შეამცირა 2,1 მლნ მ-დან 1,3 მლნ მ-მდე. ამის შედეგად მკვეთრად შემცირდა წყალქვეშა კანიონებში, რომლებიც ნაპირთან საკმაოდ ახლოს იმყოფებოდნენ, მყარი ნატანის ჩადინება, რის გამოც მისი შესართავი დაიმალა და მანძილი ნაპირსა და მას შორის გაიზარდა. ამავე დროს დაიწყო ფოთი-

მალთაყვის მონაკვეთის ინტენსიური გადარეცხვა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და დღესდღეობით გადაირეცხა სანაპირო ზოლის 300 ჰა. სამაგიეროდ, დელტას ჩრდილო ნაწილმა დაიწყო ინტენსიური მოსილვა, რამაც დამატებითი სიძნელეები შეუქმნა ფოთის პორტის მისადგომებს.

ზემოთგანხილული პროცესები გამოიწვევს აღნიშნული რეგიონის მოწყვლადობის გაუარესებას, კერძოდ:

- ფოთისა და მის გარეუბნებში მდინარის ადიდებასა და წყალდიდობებს, რაც გამოწვეული იქნება შტორმული მოდენებით;
- პლიაჟები წაირეცხება ზღვის მიერ (რამაც უკვე იმსხვერპლა კოლხეთის სანაპირო ზონის 600 ჰა);
- კომუნიკაციები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაზიანებული იქნება ევსტაზიითა და შტორმული მოდენებით;
- შეიზღუდება რეკრეაციული და საკურორტო სექტორი, ზღვის ზედაპირის აგრილებითა და ტურისტული სეზონის შემოკლებით;
- დაზარალდება მეთევზეობა, ზღვის თერმული პირობების ცვლილების გამო საარსებო გარემო გაუარესდება ზოგიერთი სახეობეობის თევზისა და პლანკტონისთვის;
- სოფლის მეურნეობა იზარალებს სავეგეტაციო პერიოდის შემცირებისა და მიწის ეროზიის გამო;
- კოლხეთის ეროვნულ პარკში წყლის მარილიანობის ზრდის შედეგად გაუარესდება პირობები ზოგიერთი ენდემური თევზისა და ხმელეთის ცხოველებისთვის.

აღნიშნული ცვლილებები სერიოზულ პრობლემას უქმნის ფოთსა და მის გარშემო განლაგებულ ობიექტებს (ფოთის პორტი), ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს საადაპტაციო ღონისძიებები. უნდა შეკეთდეს და გაძლიერდეს მდ. რიონის სანაპირო დამბები, მოხდეს არხის სათაო ნაგებობის სათანადო რეაბილიტაცია და მოეწყოს უწყვეტი მონიტორინგი ჩამკეტების გასაკონტროლებლად. ამ სამუშაოებს უდიდესი მნიშვნელობა ექნება რეალური საშიშროების შემთხვევაში, რათა დროულად მოხდეს მოსახლეობის გაფრთხილება.

ზღვის მოდენის მიერ მდინარის ჩამონადენის დაბლოკვა დიდი მდინარეების შემთხვევაში ყოველთვის იწვევს კატასტროფულ შედეგებს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 1924 წ. წყალდიდობა ქალაქ ლენინგრადში, როდესაც მდინარე ნევის დონემ 9 მეტრით აიწია და დატბორა ქალაქის დიდი ნაწილი. დაახლოებით იგივე განმეორდა 2005 წელს ქალაქ ნიუ-ორლეანის ტრაგედიის დროს, რომლის შესაძლებლობის შესახებაც მეცნიერებმა 7 წლით ადრე გააფრთხილეს აშშ-ს მთავრობა. თუმცა კონგრესმა უარყო მეცნიერების მიერ წარმოდგენილი მისისიპის დამცავი დამბების პროექტი სიძვირის გამო (14 მლრდ აშშ დოლარი) რამაც შემდგომში გამოიწვია 253 მლრდ დოლარის ზარალი.

ზემოაღნიშნული კატასტროფის მიზეზი გახდა ორი, ერთმანეთის მიყოლებით შემოჭრილი ქარიშხლები: რიტა და ქათრინა, რომლებმაც გარდა მატერიალური ზარალისა, 2100 ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლა, ხოლო გადარჩენილებს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა.

ანალოგიური ვითარება აღინიშნება ქალაქ ფოთშიც, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდ. რიონის ახალი არხი (ნაბადი), ხოლო მეორე ისტორიული ტოტი ქალაქზე გადის, ქალაქს დასავლეთიდან და სამხრეთიდან, შესაბამისად შავი ზღვა და პალიასტომის ტბა ესაზღვრება. აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამივე ობიექტი ქალაქთან შედარებით მაღლა მდებარეობს და იშვიათი უზრუნველყოფის წყალმოვარდნებისა და შტორმული მოდენების დროს, მითუმეტეს ამ მოვლენების სინქრონული განვითარების შემთხვევაში, ქალაქს დატბორვა ემუქრება, რის შედეგადაც ქვეყანა პირველ რიგში დაზარალდება როგორც მსხვერპლის, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

დღესდღეობით ქვეყნისა და ინფრასტრუქტურის საერთო დაგეგმვაში სერიოზულ პრობლემად რჩება კლიმატის შესაძლო ცვლილებები, განსაკუთრებით კი ქალაქ ფოთისათვის, სადაც ამჟამად მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ტვირთის გადაზიდვის მასშტაბები. პრობლემას ამწვავებს ის ფაქტი, რომ ამჟამად მიმდინარე არცერთი პროექტი სათანადოდ არ აფასებს შექმნილ ვითარებას, მეტიც, ზოგიერთი ფართომასშტაბიანი პროექტი არც კი ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შესაძლო სახიფათო გავლენას. ასეთებია, მაგალითად:

„საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გაერთიანებული (ინტეგრირებული) დაგეგმვა“ და „დაცული ტერიტორიის განვითარება“.

ქალაქ ფოთის სამხრეთ სექტორში ნაპირების წარეცხვასთან საბრძოლველად შემუშავდა რამოდენიმე პროექტი, რომლებშიც შემოთავაზებულია ნაპირების ავარიულ უბნებზე ქვიშის დიდი რაოდენობით (რამოდენიმე ათეული მლნ მ 3/ წელიწადში) ხელოვნური შეტანა (რეფულირება), და ნაპირდამცავი საინჟინრო ნაგებობების (ბუნების) აგება.

მსგავსი პრობლემები წამოჭრილია ფოთის სამხრეთითაც მდინარე ჭოროხის დელტაში, ადლია-ბათუმის სანაპიროს მონაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ მდინარე ჭოროხზე აგებული იქნება 10 კაშხალი,

მათგან უდიდესი 223 მეტრი სიმაღლის იქნება, ხოლო უმცირესი 44 მეტრი. აღნიშნული ფაქტი საფრთხეს უქმნის საქართველოს სანაპირო ზოლს, განსაკუთრებით კი გონიოს, ადლიას (სადაც ზღვა უკვე უტევს ხმელეთს. მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან სოფელ ადლიის მაცხოვრებლებმა 2-3-ჯერ გადაიტანეს საცხოვრებლები, ხოლო ზღვამ ნაპირის 200 მ შთანთქა) ბათუმს და მეტნაკლებად სარფს.

ფოთისა და ბათუმის სანაპირო ზონაში საადაპტაციო პროექტების განსახორციელებლად, რომელთა ღირებულება 60-130 მლნ აშშ დოლარს შეადგენს საქართველომ დასახმარებლად მიმართა გლობალური გარემოს დაცვით ფონდს. შესაბამისი პროექტების შესრულების შემთხვევაში ქვეყნის ისტორიაში პირველად გგფ-ს მიერ განხორციელდება საადაპტაციო პოლიტიკის რეალური მიმართულება. პროექტი დაეხმარება ადგილობრივ მმართველობასა და მოსახლეობას (ქ. ფოთისა და ბათუმის ფარგლებში) კლიმატის ცვლილების შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებების ჩატარებაში.

ლიტერატურა:

http://zur.ge/2010/06/exclusive-გლობალური-დათბობის-ფონ-2.html
http://ka.wikipedia.org/wiki/გლობალური_დათბობა
http://www.ekogeorgia.ge/Text.aspx?menuitemid=442&lan=1

მაღალი ტექნოლოგიების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ნინო ფურცელაძე, ავთანდილ ტიტვინიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მაღალი ტექნოლოგიების განვითარებამ დიდ სარგებლობასთან ერთად, არაერთი პრობლემა შეუქმნა მომხმარებლებს. ადამიანები გახდნენ ზედმეტად დამოკიდებული მობილურ ტელეფონზე, კომპიუტერზე და შესაბამისად ტვინს ნაკლებად ავარჯიშებენ. ამ და სხვა ტექნიკას ადამიანი იყენებს იმისთვის, რომ გაიადვილოს თავისი საქმიანობა.

ტექნიკა ზოგადი ტერმინია, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა მოწყობილობებს, მექანიზმებსა და ხელსაწყოებს, რომლებიც ბუნებრივად არ არსებობს და შექმნილია ადამიანის მიერ.

ადამიანმა გამოიგონა ისეთი ტელეკომუნიკაციის მოწყობილობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საურთიერთო მოწყობილობაა. ეს არის ტელეფონი, რომელიც გამოიყენება ბგერის მიღება-გადაცემისათვის (ლაპარაკისათვის), როგორც წესი, ორი ადამიანის სასაუბროდ, იშვიათად სამის ან მეტის.

უმეტესობა ტელეფონებისა მუშაობს ელექტროსიგნალების გადაცემით, რთულ სატელეფონო ქსელში. ტელეფონის აპარატი სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემის მოწყობილობაა, რომლის დანიშნულებაა ხმოვანი ინფორმაციის გადაცემა და მიღება. ტელეფონის აპარატი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: საკომუტაციო-გამოსამახებელი და სალაპარაკო, რომელიც უზრუნველყოფს მეტყველების მიღებასა და გადაცემას.

ტელეფონის აპარატის ყურმილში მოთავსებულია მიკროფონი და ელექტრომაგნიტური ტელეფონი. ტელეფონის აპარატის ტრანსფორმატორი განაცალკევებს მიკროფონის კვების წრედს ტელეფონის ცვლადი დენის წრედისაგან და ბალანსური კონტურის საშუალებით მნიშვნელოვნად ამცირებს საკუთარი ლაპარაკის სმენადობას.

ტელეფონის აპარატის განსაკუთრებული სახეობებია: ტაქსოფონი, ხმამაღლამოლაპარაკე ტელეფონის აპარატი, რადიოსატელეფონო კავშირისათვის გამოყენებული მიკროსატელეფონო გარნიტური, ვიდეოტელეფონი და სხვა.

ტელეფონმა დიდი სარგებლობა მოუტანა ადამიანებს, რადგან მათ საშუალება მიეცათ ერთმანეთს დაუკავშირდნენ შორ მანძილზე, მაგრამ შეიქმნა უკაბელო ტელეფონი, რომელსაც ეწოდა მობილური და მან უამრავ სიკეთესთან ერთად ბევრი პრობლემა შეუქმნა ადამიანებს. მობილურმა ტელეფონმა განსაკუთრებული განვითარება XXI საუკუნეში დაიწყო და მან დაახლოებით ათ წელიწადში არნახულ მასშტაბებს მიაღწია. შავ-თეთრი პატარა ეკრანიდან და მხოლოდ რეკვის

ფუნქციით ის 10 წლის შემდეგ გადაიქცა ჯიბის კომპიუტერად. მობილურის დადებითი მხარე არის ის, რომ მასში გაერთიანებულია მცირე ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, რადიო, ფოტოკამერა, კალკულატორი, კალენდარი და ა.შ. მაგრამ ამ ყველაფერს მასზე ძლიერი დამოკიდებულება მოჰყვა. ადამიანს უკვე ყოველთვის აქვს თან კალკულატორი, კალენდარი და აღარ სჭირდება ტვინის ზედმეტი მუშაობა. ასევე მობილური ტელეფონი ხელს უშლის ბავშვებს მობილიზებულნი იყვნენ სასწავლო პროცესში და ამასთანავე, ეს სიამოვნება სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ოჯახს მატერიალურ პრობლემას უქმნის.

ტექნოლოგიების გამოგონებამ გამოიწვია ის, რომ შეიქმნა ვიდეო კამერა, რომლითაც ადამიანს საშუალება მიეცა ფირზე აღებეჭდა მოქმედებები. შემდეგ, როდესაც ადამიანი მიხვდა, რომ არსებობდა მიკროტალღოვანი სიხშირეები, მან შექმნა ტელევიზორი, რომლის საშუალებით, მოქმედებების გადაცემა შესაძლებელი იქნებოდა ყველასთვის, ვისაც კი ტელევიზორი ექნებოდა. როგორც ყველა და ყველაფერი ასევე ეს ტექნოლოგიებიც განვითარდა. ტელევიზორის ჩვენება შავ-თეთრიდან ფერადით შეიცვალა. გაჩნდა ტელე-არხები და ტელეკომპანიები, რის მეშვეობითაც გადაიცემოდა სხვადასხვა პროგრამები: ახალი ამბები, ფილმები და ა.შ.

ეს ტექნოლოგია დროდადრო უფრო ვითარდებოდა. შეიქმნა დისტანციით მართვადი ტელევიზორები. მან განვითარების ზენიტს მიაღწია XXI საუკუნეში, უკვე შექმნილია: პლაზმური, ციფრული და თხევადკრისტალურ ეკრანიანი ტელევიზორები.

ტელევიზია გახდა კიდევ ერთი ფრონტის არეალი, აქ იწარმოება ინფორმაციული ომი, ასევე ტელევიზიით შეიძლება ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა ადამიანზე, რადგან ადამიანი ზედმეტად დამოკიდებული გახდა მასზე და ყოველდღიური შეხება აქვს. ადამიანების უმრავლესობა ტელევიზორით ცხოვრობს და განიცდის ყველაფერს, რასაც იქ ნახავს. მაგ.: ყველაზე მეტად იგრძნობა სერიალებზე დამოკიდებულება. ტელევიზორზე დამოკიდებულთა უმრავლესობა უყურებს სერიალებს, ცხოვრობს სერიალების მოქმედი პირების ცხოვრებით, განიცდის ყველაფერ იმას, რასაც ისინი აკეთებენ და ნაკლებ დროს უთმობენ პირად ცხოვრებას, მაგალითებს იღებენ მათგან და არა თავის გვერდზე მყოფებისგან.

ტელევიზიამ თითქმის დაიკავა თეატრის, მუზეუმების ადგილი, რადგან ადამიანებს საშუალება აქვთ სახლიდან გაუსვლელად ნახონ მათთვის სასურველი გადაცემა.

კომპიუტერი კაცობრიობის გამოგონებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებაა. იგი ელექტრონული გამომთვლელი მანქანაა. მისი ძირითადი დანიშნულება ინფორმაციის სწრაფად დამუშავებაა. კომპიუტერი, ისევე როგორც ნებისმიერი მანქანა, ადამიანის ნება-სურვილს, ბრძანებას ემორჩილება. კერძოდ იგი მუშაობს ადამიანის მიერ წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით. დამუშავებული ინფორმაცია მრავალი სახის შეიძლება იყოს – რიცხვები, ტექსტი, გამოსახულება ან ხმა. კომპიუტერის დანიშნულება საკმაოდ მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ფაქტობრივად, ესენია უნივერსალური ინფორმაციის გადამამუშავებელი მანქანები. თანამედროვე ელექტრონულ კომპიუტერებს ინფორმაციის გადამუშავების უზარმაზარი სისწრაფე და შესაძლებლობები აქვს ადრეულ ნიმუშებთან შედარებით და ისინი ყოველწლიურად უფრო და უფრო ძლიერი ხდება. კომპიუტერი რამდენიმენაირი ფიზიკური ფორმით არსებობს. საწყისი კომპიუტერები IBM's ASCi white სუპერკომპიუტერი ყველაზე სწრაფი გამომთვლელი მანქანაა მსოფლიოში, იგი დაახლოებით 17 სპილოს წონაა და შეუძლია 1 წამში შეასრულოს იგივე მოქმედება, რასაც ჩვეულებრივი კალკულატორი 10 მილიონი წელი მოუნდება. მცირე კომპიუტერებს პირადი გამოყენებისთვის პერსონალურ კომპიუტერებს უწოდებენ, ხოლო მათ პორტაბელურ ექვივალენტს კი ნოუთბუქ კომპიუტერებს (ან ლეპტოპს პოპულარულ ხმარებაში); ეს კომპიუტერები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვხვდება, როგორც ინფორმაციის დამუშავებისა და კომუნიკაციის საშუალება და, როგორც წესი, არაექსპერტთა თითქმის უმრავლესობა სწორედ მათ უწოდებს "კომპიუტერს". თუმცა, კომპიუტერის ყველაზე გავრცელებული ფორმა დღეისათვის ე. წ. ჩაშენებული კომპიუტერია – მცირე ზომის კომპიუტერები, რომელთა მიზანი სხვა რაიმე ხელსაწყოს მართვა ან კონტროლია. თვითმფრინავიდან დაწყებული მოყვარულთა ციფრული ფოტოკამერით დამთავრებული ყველა ამგვარი ხელსაწყო მათში ჩაშენებული კომპიუტერით იმართება.

1955 წლის 8 ივნისს ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ ბერნეს ლიმ გამოიგონა ინტერნეტი, რომელიც შესულია ცოცხალ 100 ყველაზე გენიოს ადამიანს შორის.

ინტერნეტმა, შეიძლება ითქვას, რომ წიგნის ადგილი დაიკავა. ინტერნეტის საშუალებით ადამიანს შეუძლია ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოძიება. იგი ერთ-ერთ ყველაზე პრაქტიკულ და ადვილად გამოსაყენებელ ენციკლოპედიად ითვლება. შემდეგ ეს სისტემაც განვითარდა მრავალმომხმარებლიანი ლოკალური სისტემის განვითარებასთან ერთად. შეიქმნა ელექტრონული

ფოსტა, რომლის საშუალებითაც ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთისთვის წერილების გაგზავნა ერთი კომპიუტერიდან მეორეზე.

კომპიუტერისა და ინტერნეტის ერთობლიობა დიდ დახმარებას უწევს ადამიანს სწრაფად და ადვილად გააკეთოს ესა თუ ის საქმე. იგი იქცა გართობისა და ადამიანთა გაცნობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საშუალებად. შეიქმნა კომპიუტერული თამაშები და ინტერნეტის მეშვეობით სხვადასხვა ეროვნების ხალხი მასიურად ეთამაშება ერთმანეთს ონ-ლაინ.

ინტერნეტი არის იაფი საშუალება, რომ ესაუბრო და დაინახო ახლობლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ინტერნეტმა და კომპიუტერმა რომ მოსახლეობის დიდი დამოკიდებულება გამოიწვია მათზე, ეს მოძველებული, მაგრამ აქტუალური თემაა, თუმცა უფრო აქტუალურია ის, რომ ადამიანები ნაკლებად ავარჯიშებენ ტვინს.

ადამიანი თავისი შექმნის დღიდან ასევე ცდილობს გამოიგონოს ხელსაწყო, რომლითაც გაანადგურებს თავის მოწინააღმდეგეს და დაიცავს თავს მტრისაგან. თავდაპირველად მან ცეცხლით სცადა მტრის მოგერიება, შემდეგ ისრით და ჩვენს პერიოდში ეს ორი კომპონენტი შეაერთა და გამოიგონა ე.წ. რაკეტა.

რაკეტების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელ მეცნიერ ვერნერ მაგნუს მაქსიმილიან ფონ ბრაუნს. იგი ხელმძღვანელობდა გერმანულ რაკეტულ პროგრამას მეორე მსოფლიო ომამდე და მის დროს, ომის შემდეგ გადავიდა აშშ-ში, სადაც ჯერ ქმნიდა ამერიკულ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს, ვიდრე ნასაში გადავიდოდა სამუშაოდ, სადაც იგი ამ ორგანიზაციის მარშლის სახელობის აფერენების ცენტრის დირექტორი და სატურნ-V რაკეტის მთავარი კონსტრუქტორი გახდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ადამიანის მთვარეზე გაფრენა. ვერნერ ფონ ბრაუნი მიჩნეულია ამერიკული კოსმოსური პროგრამის მამად.

კოსმოსური ხომალდის გამოგონებას უფრო მეტი უარყოფითი მხარე აღმოაჩნდა, ვიდრე დადებითი. ჩვენ დავდგით ფეხი მთვარეზე, უფრო მეტად ვეზიარეთ კოსმოსურ საიდუმლოებებს, მაგრამ ეს ვერ აანაზღაურებს იმ დანაკლისს, რაც კოსმოსურმა ხომალდებმა მოგვაყენეს. კოსმოსში გაფრენით საფრთხე შევუქმენით ჩვენი პლანეტის არსებობას. ყოველი კოსმოსური ხომალდის გასვლას ატმოსფეროდან, მოსდევს ოზონის შრის გარღვევა და იქმნება ოზონის ხვრელები, საიდანაც მეტი და მეტი ულტრაიისფერი სხივები შემოდის, რომელიც ემუქრება ადამიანების ჯანმრთელობას, აგრეთვე ეს არის გლობალური დათბობის ერთ-ერთი მიზეზი.

ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლი იმის სურვილია, რომ ყველაფერი გააკეთოს ადვილად და მოკლე დროში. ეს სურვილი ადამიანებს გააჩნიათ გაჩენის დღიდან. ის იგონებს მოწყობილობებს, რომლითაც გაიადვილებს საქმის კეთებას. მათი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოგონებაა რობოტი.

რობოტი არის მანქანა, რომელსაც განსაზღვრული პროგრამის მიხედვით შეუძლია სხვადასხვა ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება. ტერმინი შემოიტანა ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა.

როგორც წესი, რობოტის პროგრამულ უზრუნველყოფაში წინასწარაა ჩადებული გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, მაგრამ იგი ასევე შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებსაც. კერძოდ თვითსწავლებად სისტემებს, რომელთაც რა თქმა უნდა აქვთ თავისი შესაძლებლობების საზღვრები. 3 წლის წინ იაპონიაში გამოუშვეს რობოტების ახალი ეგზემპლარები, რომლებიც ძალიან ჰგავს ადამიანებს და დაახლოებით ადამიანისნაირი შესაძლებლობები აქვთ.

ახლახანს გამოიგონეს რობოტის ახალი სახეობა, რომელსაც ძიძა რობოტი უწოდეს, რადგან ის სწორედ რომ ძიძის ფუნქციას ასრულებს. მალე ის გაყიდვაშიც გამოვა.

რობოტის შექმნის სურვილი უკვე დიდი სიზარმაცით არის გამოწვეული. ადამიანი ცდილობს ნაკლებად იმოძრაოს და მის მაგივრად საქმე სხვამ გააკეთოს. ადამიანი ახლავე ფიქრობს, რომ რობოტს შეუძლია მისი განადგურება, ეს კინოებიდანაც ჩანს, მაგრამ ის მაინც ქმნის რობოტებს და აძლევს მას ხელოვნურ ინტელექტს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის თავისი ხელით ითხრის სამარეს.

ტექნოლოგიის ასეთი სწრაფი განვითარება კარგს არაფერს უქადის ადამიანს. დედამიწა ხის კასრს ჰგავს, რომელშიც დიდი წნევით წყალი რომ შევუშვათ, გასკდება. ასევე დიდი სისწრაფით განვითარებული ტექნიკა დაღუპავს დედამიწას. მას დიდ საფრთხეს უქადის ისეთი ტექნოლოგიები, რომლითაც ადამიანების დახოცვა კომპიუტერულ თამაშს ჰგავს. მაგ: უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც იმართება კომპიუტერით და ერთ ადამიანს მართვადი კომპიუტერით შეუძლია ათასობით ადამიანი დახოცოს. მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე დედამიწას მასიური განადგურების

იარაღისგან ემუქრება, ეს არის ე.წ. ატომური ბომბი. არც ისე საიდუმლო ინფორმაციაა, რომ შექმნილია ისეთი ატომური ბომბი, რომელსაც შეუძლია დედამიწა თავისი ორბიტული ღერძიდან მოწყვიტოს.

XX საუკუნის მესამე მეოთხედში ისეთი მდგომარეობა იყო, როდესაც შეიძლებოდა დაწყებულიყო ატომური ომი და განადგურებულიყო კაცობრიობა, მაგრამ ჯერჯერობით ეს საფრთხე ავიცილეთ.

ტექნოლოგიის განვითარების შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ ნაწილობრივ გამოსავალად შეიძლება ჩავთვალოთ მისი განვითარების შენელება და კაცობრიობის სიცოცხლის გახანგრძლივება. ამისთვის საჭიროა ადამიანები გონს მოეგონ და მიხვდნენ რა შედეგები მოჰყვება ტექნოლოგიების განვითარებას, რაც მეტად საეჭვოა.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ მოკლედ ჩამოგვეყალიბებინა ის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებს ახლავს. თუკი ზემოთ ნათქვამს გავიზიარებთ, ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, გახდება თუ არა მათი მომხმარებელი და თავადვე იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესზე.

ლიტერატურა:
1. ქ. მიჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, აკადემიური წერა, თბ., 2009;
2. საბავშვო ენციკლოპედია, „რა არის რა“, ტომი 33, თბ., 2007;
3. საბავშვო ენციკლოპედია, ტომი 5, თბ., 2006.

ავტოტრანსპორტის ეკოლოგიური შემდგომქმედება გარემოზე

ეკა ხანიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

გარემოს გაბინძურების ანთროპოგენური წყაროები საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელთა ძირითადი წყაროებია: ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კომუნალური მეურნეობა, მილიტარიზაცია.

ტრანსპორტის მრავალგვარი სახეობებიდან ეკოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბენზინის ძრავაზე მომუშავე ავტომანქანები. მათზე მოდის გარემოს გლობალური გაბინძურების 40% და ატმოსფეროში მოხვედრილი ანთროპოგენური ნივთიერებების 75-80%. დიდ ქალაქებსა და ავტოტრასების ახლომდებარე უბნების გაბინძურებაში მათი წილი კიდევ უფრო დიდია. ჩვენ ქვეყანაშიც 2005 წლის მონაცემებით გასული საუკუნის 90-იანი წლების მსგავსად, ჰაერის გაბინძურების ძირითადი წყარო ავტოტრანსპორტია და მისი წილი გაბინძურების საერთო რაოდენობიდან 44,4%-ს შეადგენს (1).

ავტომანქანების გამონაბოლქვი 200-მდე კომპონენტს შეიცავს, რომელთაგან განსაკუთრებული ტოქსიკურობით CO, NOx, ზოგიერთი ნახშირწყალბადი, ტყვია და მისი ნაერთები გამოირჩევა. ეს უკანასკნელნი კი პრიორიტეტულ ნორმირებულ ნივთიერებათა რიცხვს მიეკუთვნებიან. გამოთვლილია, რომ საშუალოდ ერთი ავტომანქანა წელიწადში 4 ტონა ჟანგბადს ხარჯავს და გამონაბოლქვ აირებთან ერთად ატმოსფეროში გამოყოფს 800-900 კგ CO, 30-40 კგ NOx, 150-200 კგ ნახშირწყალბადებს, ტყვიის ნაერთებს, ნახშირწყალბადების ჰალოგენნაწარმებს, ალდეჰიდებს და სხვა. დღეისათვის ავტოტრანსპორტზე მოდის ატმოსფეროში მოხვედრილი ტყვიის 90-98%, CO - 55-75%, NOx - 27-46%, ნახშირწყალბადების 63-74% (2).

ამჟამად მსოფლიოში 500 მილიონამდე ავტომანქანაა. ვარაუდობენ მათი რაოდენობის ამ საუკუნის I ნახევრის ბოლოსათვის გაორმაგებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ არ იქნება გატარებული სათანადო ღონისძიებათა კომპლექსი, ავტოტრანსპორტით გამოწვეული გარემოს ანთროპოგენური დატვირთვა მკვეთრად გაიზრდება და სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსპორტის გამონაბოლქვ აირებში სხვა ნივთიერებებთან ერთად იმყოფება მაღალტოქსიკური ტყვია და მისი ნაერთები. საიდან ხვდება ტყვია გამონაბოლქვ აირებში, როცა ნავთობში და მით უმეტეს ნავთობპროდუქტებში მისი შემცველობა უმნიშვნელოა? საქმე იმაშია, რომ ჩვეულებრივი გზით მიღებული ბენზინის ოქტანური რიცხვი 60-70-ის ტოლია, რაც ძალზე დაბალია. ამიტომ, სხვა ღონისძიებებთან ერთად არსებობს ეკონომიური და ეფექტური გზა - ბენზინს უმატებენ ნივთიერებებს, ე.წ. ანტიდეტონატორებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდიან მათ დეტონაციურ მედეგობას. ანტიდეტონატორებს შორის ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა ტეტრაეთილტყვია - ტეტ $(C_2H_5)_4Pb$. დღეისათვის ყოველწლიურად ტყვიისშემცველ ანტიდეტონატორების წარმოებაზე იხარჯება მსოფლიოში წარმოებული ტყვიის 20%, რაც 0,6-0,7 მლნტ-ს შეადგენს. ტეტრაეთილტყვიასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ მისი ტოქსიკურობით არ ამოიწურება. მთავარი ეკოლოგიური საფრთხეა 250-300 ათასი ტონა ტყვია, რომელიც ყოველწლიურად იფანტება უშუალოდ ჩვენს სამოქმედო და საცხოვრებელ სივრცეში (2,3).

ტეტრაეთილტყვიის გამოყენებით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხე ეჭვს არ იწვევს. ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ნორმატივებით მისი დანამატი 1 ლიტრ ბენზინზე გ. სუპატაშვილის და გ. ქაჯაიას (2) მიხედვით 1 მლ-დან 0,1-0,3 მლ-მდე შემცირდა. გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს ნაკლებად საშიში ანტიდეტონატორების ძიება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ მონიტორინგს ამა თუ იმ ტოქსიკანტით გარემოს დაბინძურების თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევის მიზანია შიდა ქართლის ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიაზე ტყვიის დაგროვების შესწავლა, რაც თავის მხრივ აღნიშნული ტერიტორიის დაბინძურების დონის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს.

ექსპედიცია მოეწყო თბილისი-გორის და გორი-ცხინვალის მიმართულებით. ავტოტრასიდან სხვადასხვა მანძილის (0, 50, 100, 150, 200 მ) დაცილებით ჩვენს მიერ აღებული იქნა მცენარის (ხორბლის მარცვალი) და ნიადაგის ნიმუშები, რომლებშიც განისაზღვრა ტყვიის შემცველობა საყოველთაოდ მიღებული მეთოდით (4). შედეგები მოტანილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ტყვიის შემცველობა შიდა ქართლის ეკოსისტემის კომპონენტებში
ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიაზე, მგ/კგ

ავტომაგისტრალი	სინჯის აღების ადგილი	მანძილი გზიდან, მ	ნიადაგი	მცენარე
თბილისი-გორი	კასპი-იგოეთის გზასაყარი, ს. იგოეთი	0 50 100 150 200	41,2 43,0 34,5 30,8 27,3	0,29 0,26 0,26 0,22 0,22
გორი-ცხინვალი	გორი-ცხინვალის გზასაყარი, ს. კარალეთი	0 50 100 150 200	23,7 23,4 20,0 18,5 15,0	0,21 0,20 0,17 0,17 0,16

კვლევის შედეგებით (ცხრ.1) გამოვლინდა, რომ ტყვიის შემცველობა საკვლევ ობიექტებში მკვეთრად ცვალებადობს ავტომაგისტრალიდან დაცილების მიხედვით. კერძოდ, სოფელ იგოეთში ავტომაგისტრალის გასწვრივ ტყვიის დაგროვება ნიადაგში შეადგენს 41,2 მგ/კგ-ს, 50 და 100 მ დაცილებისას - შესაბამისად 43,0 და 34,5 მგ/კგ-ს, მისი მინიმალური შემცველობა - 27,3 მგ/კგ აღინიშნება მაგისტრალიდან 200 მ დაცილებით.

ანალოგიური შედეგებია მიღებული მცენარეში საკვლევი ელემენტის შემცველობაზე. სახელდობრ, ავტომაგისტრალიდან მანძილის გადიდების შესაბამისად ტყვიის კონცენტრაცია ხორბლის მარცვალშიც მცირდება. მისი ყველაზე მეტი რაოდენობა აღინიშნება ავტომაგისტრალის გასწვრივ და შეადგენს 0,29 მგ/კგ-ს.

გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგებითაც (ცხრ.1), გზიდან დაცილებასა და საკვლევ ობიექტებში ტყვიის შემცველობას შორის იგივე კანონზომიერება მეორდება, რაც თბილისი-გორის მიმართულებით. მაგრამ ამ შემთხვევაში ტყვიის კონცენტრაცია ეკოსისტემის ორივე კომპონენტში - ნიადაგსა და მცენარეში, მკვეთრად დაბალია და შესაბამისად 15,0 – 23,7 და 0,16 - 0,21 მგ/კგ ფარგლებში მერყეობს.

მაშასადამე, ტყვიის შემცველობა კასპი-იგოეთის გზასაყართან მიმდებარე ბიოცენოზებში მნიშვნელოვნად მაღალია, რაც ჩვენი აზრით გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ თბილისი-გორის მიმართულებით გზა მეტად არის დატვირთული ავტოტრანსპორტით, ანუ მეტად ბინძურდება მათი გამონაბოლქვით. მას ემატება აგრეთვე კასპის ცემენტის ქარხნის მტვერი, რომლის წილი ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებაში, გ. ქაჯაიას (1) მიხედვით, 18,7%-ს შეადგენს.

ჩატარებული კვლევის შედეგებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ტყვიის შემცველობა თბილისი - გორის ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად მაღალია გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიიდან მიღებულ მონაცემებთან შედარებით;
- ტყვიის დაგროვება ორივე ავტომაგისტრალზე თავის მაქსიმუმს აღწევს გზის გასწვრივ ტერიტორიაზე;
- ჩვენი აზრით, უმჯობესია ავტომაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიებზე მცენარეული პროდუქციის წარმოებისაგან თავი შევიკავოთ, რადგან ტყვია (კუმულაციური შხამი), სხვა მეტალების მსგავსად, ადვილად ერთვება კვებით ჯაჭვში, საიდანაც საბოლოოდ ხვდება ადამიანის ორგანიზმში და იწვევს მთელ რიგ მძიმე დაავადებებს.

ლიტერატურა:

1. ქაჯაია გ., გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები, „ინტელექტი“, თბ., 2008;
2. სუპატაშვილი გ., ქაჯაია გ. გარემო და ადამიანი, თსუ, თბ., 2001;
3. გორდეზიანი კ., კვესიტაძე გ., ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები, თბ., 2000;
4. Марченко З. Фотометрическое определение элементов, Мир, М., 1971.

ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები და მათი გამოყენება

სოფიო ჯღირაძე, ხატია ქოთოლაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ–ერთ უპირველეს საფუძველს საზოგადოების ენერგოაღჭურვილობა წარმოადგენს. ელექტროენერგიის წარმოება მისი ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორია. მსოფლიოს მზარდი ეკონომიკა ითხოვს ენერგეტიკის სულ უფრო სწრაფ განვითარებას - ის უნდა იყოს საიმედო და მდგრადი. უდავოა ენერგიის როლი ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაში. ცივილიზაციის განვითარების დროს ბევრჯერ ხდებოდა ენერგიის ტრადიციული წყაროების შეცვლა ახალი, უფრო სრულყოფილი რესურსებით და არა მარტო იმიტომ, რომ ძველი წყაროები ამოიწურა.

თანამედროვე პირობებში დაიწყო მსოფლიო ენერგეტიკის ახალი ეტაპი - გაჩნდა ,,ენერგოდამზოგველი'' ენერგეტიკა, რომელიც გამიზნულია უკვე საკმაოდ დაზიანებული ბიოსფეროს შესანარჩუნებლად. ეს ენერგოდამზოგველი ენერგეტიკა, ეძებს ახალი ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს,

რომლებიც გარემოს ზიანს არ მიაყენებენ და ამავე დროს იქნება იაფი და ეფექტური. ეს ყოველივე კი დაკავშირებულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნასთან, რაც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ საერთაშორისო ძალისხმევით. ტრადიციული, ამოწურვადი ენერგიის წყაროებისგან განსხვავებით ენერგიის არატრადიციული ფორმები ამოუწურავია.

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობას არაერთი ძნელი ამოცანის გადაჭრა მოუხდა ბუნებასთან ჭიდილში. დადგა დრო, როცა კაცობრიობას ხვდება ისეთი ამოცანა, რომელიც ბუნებამ კი არა, თავად კაცობრიობამ შექნა. საუბარია დედამიწაზე მოსალოდნელ კლიმატურ ცვლილებებზე, რაც მოყვება გლობალურ დათბობას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კაცობრიობის სხვადასხვა საქმიანობის გაფართოებას.

გლობალური დათბობა იმ მოვლების გაძლიერებაა, რომელსაც მეცნიერები ,,სათბურის ეფექტს'' უწოდებენ. ეს ტერმინი გულისხმობს, რომ დედამიწის ატმოსფეროში ,,სათბურის გაზების'' არსებობა განსაზღვრავს ჩვენი პლანეტის საშუალო ტემპერატურის უფრო მაღალ ნიშნულზე ასვლას, ვიდრე ეს იქნებოდა მათი არსებობის გარეშე. ამ გაზების მოჭარბება ატმოსფეროში გამოიწვევს ჰაერის საშუალო ტემპერატურის 2-3^0-ით ზრდას 2100 წლისათვის.

მრავალი მეცნიერის აზრით, გლობალური დათბობა უკვე კარგა ხნის დაწყებულია და 1806 წლის შემდეგ ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ გრადუსის 2/3-ით მოიმატა.

ჩვენი პლანეტის საშუალო ტემპერატურა მუდმივი რომ იყოს, მის მიერ შთანთქმული და გამოსხივებული ენერგია თანაბარი უნდა იყოს, მაგრამ ატმოსფეროს შედგენილობაში შემავალი ზოგიერთი გაზი შთანთქავს თერმულ ინფრაწითელ სინათლეს და ამიტომ დედამიწის ზედაპირის მიერ გამოსხივებული ენერგიის ნაწილი არ ტოვებს დედამიწას. სწორედ ამ მოვლენას უწოდებენ ,,სითბურის ეფექტს'' და სწორედ ის განაპირობებს, რომ დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა +15^{0}C და არა - 15^{0}C როგორც ეს იქნებოდა ატმოსფეროში, რომ არ ყოფილიყო ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმული გაზები. ასე, რომ ატმოსფერო ერთგვარი საბანის როლს ასრულებს დედამიწისათვის.

გარემოს მკვლევართა შეშფოთებას იწვევს ატმოსფეროში ინფრაწითელი სინათლის შთანთქმელი გაზების კონცენტრაციის მატება, რასაც მოჰყვება მეტი სითბოს შთანთქმა და შესაბამისად დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა +15^0-ზე ზემოთ ადის ამ მოვლენას უწოდებენ გაძლიერებული სათბურის ეფექტს.

ატმოსფეროს მთავარი შემადგენელი გაზებია N_2, O_2, A_r, რომლებიც არ შთანთქავენ ინფრაწითელ სინათლეს. ატმოსფეროში არსებული CO_2-ის რაოდენობა იკლებს გაზაფხულსა და ზაფხულში, მცენარეთა ვეგეტაციის ზრდის შედეგად. ხოლო შემოდგომასა და ზამთარში მცენარეული ნარჩენების დაშლა იწვევს მისი რაოდენობის მატებას.

CO_2-ის რაოდენობის მატებაში დიდი წვლილი შეაქვს ანთროპოგენურ ფაქტორებს, რომელთა მთავარი შემადგენლობა სხვადასხვა წიაღისეული საწვავის პროდუქტების წვა. ეს არის ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი. განვითარებული მრეწველობის ქვეყნებში სხვადასხვა საწვავის წვის შედეგად წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ჰაერში 5 ტ CO_2 გამოიყოფა. განვითარებად ქვეყნებში ანალოგიური პარამეტრი 10-ჯერ ნაკლია, მაგრამ შეინიშნება მისი მომატების ტენდენციები. CO_2-ის რაოდენობის ზრდა ატმოსფეროში ცემენტის წარმოების გაფართოებითაც აიხსნება. წყლისა და CO_2-ის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი სათბური გაზი მეთანია, რომლის კონცენტრაციის მატება დაკავშირებულია ადამიანის მიერ საკვების წარმოების გაზრდასთან, ტყის ჩეხვასა და წიათისეული საწვავების წვასთან. მეთანი წარმოიქმნება ანაერთებული პირობებში, მცენარეული მასის ხრწნის პროცესში. მისი გამომუშავების უდიდესი წყაროა ჭაობები. მეთანის გამოყოფა ხდება მცოხვნელი საქონლის მიერ საკვების მონელების პროცესში. კიდევ ერთ მნიშვნელოვან სათბურის გაზს წარმოადგენს N_2O, რომლის კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში მე-18 საუკუნის შემდეგ დაიწყო. მისი მატება განვლილ პერიოდში 13%-ს შეადგენს.

სწორედ ასეთ ვითარებაში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დღის წესრიგში დგება ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების დაჩქარება, რათა თავიდან იქნას აცილებული ის შესაძლო ნეგატიური ბუნებრივ-ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც მოსალოდნელია დაატყდეს თავს კაცობრიობას არცთუ შორეულ მომავალში.

მზის ენერგია (ჰელიოენერგეტიკა). მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწაზე გამოსხივებული მზის ენერგიის მხოლოდ მესამედი აღწევს დედამიწის ზედაპირს, დანარჩენი იფანტება ან შთაინთქმება ატმოსფეროს მიერ. მზის ენერგია არის ყველაზე გრანდიოზული, იაფი და ამავე დროს ადამიანის მიერ ნაკლებად გამოყენებული. თუმცა ბოლო დროს, მზის ენერგიის გამოყენების ინტერესი მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ სამწუხაროდ მისი გამოყენება დიდ მასშტაბებში ძნელია, რადგან მცირეა მზის ენერგიის სიმკვრივე. ასე, რომ 1მ^2 მზით განათებული ფართობიდან შეიძლება მივიღოთ 160 ვტ.

სიმძლავრის ელექტროენერგია. მზის ენერგიის გამოყენების ყველაზე ხელსაყრელი პირობები არსებობს ტროპიკულ განედზე, სახრეთ ამერიკისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში (იაპონია, ისრაელი, ავსტრალია და სხვა.) ასე რომ არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ზღუდავენ მზის ენერგიის გამოყენებას. ბუნებრივი რესურსების დიდი ნაწილი გამოლევადთა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ ადამიანის ძალისხმევა მიმართულია როგორ რესურსების რაციონალური ათვისების, ისე ახალი ალტერნატიული რესურსების ძიებისაკენ.

საქართველო ჰელიოენერგეტიკული რესურსებით უპირველესად უზრუნველყოფილია კახეთის სამცხე–ჯავახეტის, აფხაზეთისა დას ქვემო ქართლის რეგიონები. შედარებით ნაკლებად – გურია–სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონები. მზის ენერგიის გამოყენების პრიორიტეტულ მიმართულებას ჩვენში წარმოადგენს დეფიციტური ცხელი წყალმომარაგება საცხოვრებელ ბინებში, სასტუმროებში, სანატორიუმებსა და სპორტულ კომპლექსებში. ჰელიოენერგეტიკის დისკრეტულობის გამო, მისი გამოყენება მიზანშეწონილია თბოტუმბოებთან, ბიოენერგეტიკულ დანადგარებთან და ფოტოენერგეტიკულ გარდამქმნელებთან ერთად.

საქართველოს ალტერნატიული რესურსების გამოვლენისა და მეცნიერულად დასაბუთებული პროექტების შემუშავების კარგი შესაძლებლობა გააჩნია. ამის საფუძველს იძლევა ენერგეტიკის წყაროების არსებობა (ცხრილი 1).

საქართველოს ალტერნატიული ენერგიის წყაროები. ცხრილი 1

<table>
<tr><td rowspan="4">ბიოენერგეტიკა ბიომასის წარმოება წყალბადის ბიოსინთეზი + თხევადი ბიოსათბობი (ეთანოლო, მცენარეული ზეთი)

ბიოგაზი ნაგავსაწვავი მოწყობილობა

,,მერქნის აბები''

(მერქნის ნარჩენის სათბობი)</td><td>ალტერნატიული ჰიდროენერგეტიკა ,,მცირე'' ჰესები ტალღური ელექტროსადგური</td><td rowspan="2">ტემპერატურული სხვაობათა ენერგეტიკა სითბური ტემპ-ლი ენერგეტიკა ზღვის ფენების სითბური სხვაობანი გეოთერმული ენერგეტიკა</td></tr>
<tr><td rowspan="2">ქართული

ენერგეტიკა</td></tr>
<tr><td rowspan="2">მეორადი ენერგეტიკა ნარჩენი სითბოს გამოყენება +</td></tr>
<tr><td>კოსმოსური ენერგეტიკა +</td></tr>
</table>

ჰ ე ლ ი ო ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა

<table>
<tr><td>ენერგიის შერეული წყაროები</td><td>ტრადიციული - ალტერნატიული (ატომური - წყალბადის) +</td><td>ალტერნატიული - ალტერნატული

(მზის - წყალბადი) + +</td></tr>
</table>

შეიშვნა: +ნიშნით აღნიშნულია შორეული მომავლის წყაროები.

მზის ენერგიის გამოყენების ფაქტი არსებობს გორის რაიონის სოფ. უფლისციხეში, სადაც ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აქ მცხოვრები მოსახლეობა იყენებდა მზის ენერგიას - ბინებთან დამონტაჟებული იყო მზის ბატარიები, რომლებიც დღის საათებში იძლეოდა ელექტროენერგიას და აწვდიდა მაცხოვრებლებს. დღეისათვის აღნიშნული

ბატარიები აღარ მოქმედებს. მოსახლეობის აზრით, სასურველია აღნიშნული ბატარიების ხელმეორედ დანერგვა.

<u>ქარის ენერგია.</u> უხსოვარი დროიდან ადამიანი იყენებს ქარის ენერგიას იალქნიანი გემების გადასაადგილებლად და ქარის წისქვილების ასამუშავებლად. მისი გამოყენების ეფექტი კი იყო ძალიან მცირე – მოიხმარებოდა ენერგიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. მეცნიერთა გაანგარიშებით დღესდღეობით ქარის ძრავები გამოიმუშავებენ მსოფლიო ენერგომოთხოვნილების მხოლოდ მეათასედ ნაწილს. დედამიწაზე არსებობს ისეთი ადგილები, სადაც ქარი უბერავს საკმარისი მდგრადობით და ძალით, რამაც გამოიწვია მრავალფეროვანი სპეციალური დანადგარების შექმნა, რომლებიც ეფექტურად გარდაქმნიან ქარის ენერგიას ელექტრულში. ქარის ენერგია ძირითადად გამოიყენება ელექტროენერგიის მისაღებად, ჭაობების დასაშრობად, რადიოკავშირისათვის და სხვა. საქართველოში ქარის ძალის ენერგეტიკული პოტენციალი შეადგენს 3–4 მლრდ კვტს წელიწადში. მისი მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია ფოთი–აჭარის ზღვისპირეთს, მდინარე ჭოროხისა და მდინარე რიონის ხეობებს, ხაშური–სურამისა და თბილისის მიდამოებს მთა საბუესა (ლიხის ქედზე) და საქართველოს სხვა რეგიონებს. ქარის ძრავების დასამონტაჟებლად აუცილებელია, რომ ქარის სიჩქარე შეადგენდეს 2,5–3 მეტრს/წამში მაინც. ზემოაღნიშნულ რეგიონებში კი იგი 4,3_და 9,2 შორის მერყეობს. ქარის ნაკადის კისკრედიტულობის მიუხედავად საქართველოში ქარის ენერგიის გამოყენება საკმაოდ პერსპექტიულია. შიდა ქართლში მართალია ქარიან დღეთა რიცხვი შედარებით ნაკლებია (წელიწადში 53 დღე - ხაშური), ვიდრე ქუთაისში (63 დღე), მაგრამ ე.წ. რუისის გადასასვლელსა და კავკასიონის ქედზე არსებობს შესაძლებლობა ქარის რესურსი გამოყენებულ იქნეს ენერგეტიკული მიზნებისათვის ქარის ძრავების დამონტაჟებით.

<u>გეოთერმული რესურსები</u>. გეოთერმული ენერგეტიკა ეფუძნება დედამიწის წიაღის ბუნებრივი სითბოს გამოყენებას. დედამიწის წიაღი წარმოადგენს უზარმაზარ, პრაქტიკულად ამოუწურავ სითბური ენერგიის წყაროს. მისი რაოდენობა წელიწადში შეფასებულია $2{,}8\times10^{14}$ მლრდ. კვტ/სთ-ით. არსებობს გეოთერმული ენერგიის წყაროების ორი ტიპი:

1. ჰიდროთერმული წყაროები, ანუ ცხელი წყალის ან ორთქლის ბუნებრივი მიწისქვეშა რეზერვუარები. ისინი წარმოადგენენ მზარეულ ,,მიწისქვეშა ქვაბებს'';
2. დედამიწის მიწისქვეშა ქანების სითბო.

გეოთერმიულ ენერგიას აქვს შემდეგი მომგებიანი თვისებები:

- მისი მარაგი პრაქტიკულად ამოუწურავია;
- იგი ფართოდაა გავრცელებული დედამიწაზე;
- მისი გამოყენება შედარებით იაფია;
- ეკოლოგიური თვალსაზრისით ,,სუფთაა'' და არ აბინძურებს გარემოს.

საქართველოს გეოთერმული რესურსების - ცხელი წყაროების უმეტესობა სამკურნალო და სათბური დანიშნულებისაა. XVIII საუკუნიდან იყენებენ აბასთუმნის სამკურნალო წყლებს. უნდა აღინიშნოს ტალახის თერმულ-სამკურნალო წარმონაქმნების არსებობა, როგორიცაა ახტალა. გეოთერმულ ცხელ წყლებს მკურნალობის გარდა იყენებენ გასათბობად. მაგალითად, გასულ საუკუნეში ქ. წყალტუბოში 18 სანატორიუმი და ორი პანსიონატი (5400 საწოლი) ბუნებრივი თერმული წყლით თბებოდა. ეს პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ამჟამადაც, უპირველესად კი თბილისის გოგირდოვანი წყაროების ობიექტებზეც.

შიდა ქართლში გეოთერმული რესურსების პრაქტიკული გამოვლენაა გორის რაიონში, ატენის ხეობაში არსებული ბიისის თერმული წყლები, გორიჯვრის აბანოები, რომლებიც დღეისთვის ფუჭად იღვრება და არ გამოიყენება. თბილი წყლები ასევე გამოვლენილია ქარელის რაიონში. იგი გამოიყენება სათბურებში, სადაც მოჰყავთ ბოსტნეული ზამთრის თვეებში. თბილი წყლების დიდი მარაგია დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რაიონებში.

<u>ოკეანის ენერგია.</u> საწვავის გაძვირებამ და მის მოპოვებასთან დაკავშირებულმა სიძნელეებმა გამოიწვია მეტი ყურადღების მოპყრობა ენერგიის ისეთი წყაროსკენ, როგორიცაა ოკეანე. დღეისათვის კაცობრიობა მის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს იყენებს. გარდა ოკეანური დინებისა ყურადღებას იპყრობს მოქცევის ენერგიის გამოყენება, რომელიც გათვლებით 3 მლრდ. კვტ-ს შეადგენს და გამოწვეულია მთვარის მიზიდულობით. საქართველოში ოკეანის (ზღვის) ენერგიის გამოყენების საფუძველი არ არსებობს, რადგან შავი ზღვისათვის მიქცევა-მოქცევა დამახასიათებელი არაა.

<u>ბიომასის ენერგია.</u> ,,ბიომასა'' წარმოადგენს ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებს ან მათი გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენებს. არსებობს ბიომასის ენერგეტიკული გამოყენების ორი გზა: თერმოქიმიური და ბიოტექნოლოგიური. პირველ შემთხვევაში ენერგია მიიღება

უშუალოდ ბიომასის დაწვით. მეორე შემთხვევაში კი ბიომასა ბიოტექნოლოგიური გადამუშავების შედეგად გარდაიქმნება გაზში ან საწვავში.

ბიომასის ენერგიის გამოყენების ფაქტები არსებობს გორის რაიონის სოფლებში (მეჯვრისხევი, ზერტი და სხვა), სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, როგორც აქაური მცხოვრებლები აღნიშნავენ, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაკელის ბაზაზე მიიღებოდა სითბო (ბიოტექნოლოგიური გადამუშავებით), რომელსაც იყენებდნენ წყლის გასათბობად.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში და კერძოდ შიდა ქართლში არსებობს ალტერნატიული რესურსების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები. ეს უპირველესად ეხება მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის ენერგიას, რომელთა ათვისებით შესაძლებელია ენერგეტიკული კრიზისის დაძლევა და საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების დარეგულირება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, ზ. ტატაშიძის რედაქტორობით, თბ., 2003;
2. გარემო და მდგრადი განვითარება, ნ. პეპანაშვილისა და სხვათა ავტორობით, თბ., 2007;
3. ზურაბ ტიელიძე, საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალების განლაგება, გორი, 2008;
4. ზურაბ ტიელიძე, ეროვნული უსაფრთხოების ახალი ენერგოპროექტი და მისი გამოძახილი გორის უნივერსიტეტში, გაზეთი „ქართლის ხმა“, #2, 16.02–02.03.2011;
5. ვახტანგ ჯაოშვილი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1996;
6. ვ. პ. მაქსაკოვსკი. მსოფლიო გეოგრაფიული სურათი (თარგმანი რუსულიდან), თბ., 2002;
7. საქართველოს გეოგრაფია. მელორ ალფენიძის და კობა ხარაძის რედაქტორობით. თბ., 1999;
8. ბერუჩაშვილი. ნ. და სხვ. საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. I. თბ., 1996.

ბიზნესი და მართვა

ფინანსური კრიზისი ქართულ ბანკებში

მაგული ანესაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი,** სრული პროფესორი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყველა ქვეყანას შეეხო, რაც აისახა იმ ბანკებზე, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობდნენ. საქართველოში 2008 წლის შუა რიცხვებიდან შემცირდა ბანკების მუშაობის ეფექტურობა. ამ ყველაფერს დაემატა აგვისტოს ომი. ამ პერიოდში, რამდენიმე დღის განმავლობაში 3 მილიონი დოლარი გავიდა ბანკებიდან. როგორც ,,საქართველოს ბანკში'' საკრედიტო ექსპერტები ამბობენ, ომის შემდეგ ისინი სამომხმარებლო სესხებს საერთოდ ვეღარ გასცემენ. ამგვარი სესხები ძირითადად გაცემული იყო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებზე, ჯარისკაცებზე, რომლებიც ომმა ან იმსხვერპლა, ან თანამდებობა დააკარგვინა, ამიტომაც, მათ ვეღარ მოახერხეს სესხების დაფარვა. ამჟამად, ,,საქართველოს ბანკს'' შეჩერებული აქვს ამ სახის სესხის გაცემა, ცდილობენ ჯერ დაკავშირებული თანხა აანაზღაურონ. იპოთეკური სესხები კი ჩვეულებრივ გაიცემა, ერთი განსხვავებით – გაიზარდა მოთხოვნები, რათა უფრო უზრუნველყოფილი იყოს გაცემული თანხის ამოღება. უძრავი ქონება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუ 40 000 დოლარადაა შეფასებული სესხის მსურველის უძრავი ქონება, მას მხოლოდ 20 000 დოლარის ოდენობის სესხის აღება შეუძლია, როცა სესხები 5,10 და უფრო მეტი წლით გაიცემა, გარანტია უნდა იყოს, რომ შემდეგ ბანკი წაგებას არ ნახავს. შეიძლება გაიაფდეს იმ უძრავი ქონების ფასი, რაც კლიენტმა სესხისთვის ჩადო. მხოლოდ აგვისტოში მოხდა სესხების გაცემის შეჩერება, ისიც ერთი კვირით იმიტომ, რომ ეროვნულმა ბანკმა დააწესა შეზღუდვა.

საერთოდ, ამ ბანკისათვს პრიორიტეტი სამომხმარებლო სესხების გაცემა არ არის, ის უფრო იპოთეკურზეა ორიენტირებული. ყველაზე ნაკლებად კრიზისი უცხოური წარმოშობის ბანკებს შეეხო. რაც შეეხება „სახალხო ბანკს", მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ხაზინაში შეიძლება ითქვას, რომ ფული არ არის. ამიტომაც არანაირი სახის სესხი (გარდა საპენსიო და პედაგოგიურისა) არ გადის. აქ ნათლად იგრძნობა საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისი. შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ რისკებიდან გამომდინარე კრედიტების გაცემის პირობები გამკაცრდა. ბანკების ეს მიდგომა ბიზნესისადმი საერთაშორისო ტენდენცია. ჩვენმა ბანკებმაც გაამკაცრეს მოთხოვნები იმის შიშით, რომ მომავალში როგორ და რანაირად შეიცვლება სიტუაცია ბაზარზე, არავინ არ იცის. ბუნებრივია, ამან ბიზნესაქტივობის შემცირება გამოიწვია. პროცენტები კრედიტებზე გაიზარდა, საერთოდ კი, ფასები ყველაფერზე ეცემა. ამიტომაც აღარ აქვს შესაძლებლობა, რომ ეს პროცენტული გადასახადები დაფარონ ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს საბანკო ბიზნესსაც ამცირებს. სამომხმარებლო სესხებმა ხომ საერთოდ კოლაფსი განიცადა. „თი-ბი-სი" ბანკშიც შედარებით ნორმალური სიტუაციაა სესხების გაცემასთან დაკავშირებით. ამ ბანკის გაყიდვის განყოფილების უფროსის მოადგილე, ტატა კურტანიძე ამბობს: ,,კრიზისი ჩვენს ბანკსაც შეეხო, თუმცა, აღმოგვაჩნდა შედარებით უფრო კარგი ფინანსური დონე, რათა ჩვეულებრივ დაბალი რაოდენობის სესხები გავცეთ. იპოთეკური სესხების შემთხვევაში მდგომარეობა თითქმის საერთოდ არ შეიცვალა, რადგან აქ საქმე გვაქვს უძრავ ქონებასთან. ეს კი, გვაძლევს გარანტიას, რომ თუ ადამიანი მას ვერ გადაიხდის, სხვანაირად მაინც აანაზღაურებს. სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებით, გავზარდეთ პროცენტები გადასახადზე. ახლა მარტო კლიენტს კი აღარ ვსწავლობთ, არამედ მის ირგვლივ არესებულ პერსპექტივებს, ანუ, უფრო ვუღრმავდებით ამ საკითხს". საერთოდ, ნებისმიერმა ქვეყანამ უნდა იზრუნოს, რომ რაც შეიძლება, სწრაფად მოხდეს კრიზის დაძლევა. საქართველომ უნდა შექმნას პროგრამა ამ გზის გავლისა. მდგომარეობის გამოსწორება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაზე, როგორც კი ქვეყნის ეკონომიკა დაიწყებს ზრდას, ეს მაშინვე დადებითად აისახება ბანკებზე. თუმცა, კონკრეტულად იმის გამოცდილება, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, საქართველოს ნამდვილად არ აქვს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით 2010 წლის ბოლოს წლიურმა ინფლაციამ 11,2 პროცენტი შეადგინა. ამ მაჩვენებლებში სურსათის გაძვირების წილი 9,5 პროცენტია. ამავე დროს, სურსათის გაძვირება, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი წლის პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში შენარჩუნდება და შემდეგ დაიწყებს შემცირებას.

ბანკის ინფორმაციით წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ ფულადი მასის ზრდის ტემპი 20-25 პროცენტის ფარგლებში იქნება, რაც ხელს შეუწყობს საშუალოვადიან პერსპექტივაში ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონემდე შემცირებას.

ცნობის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში ბანკებმა ეკონომიკის დაკრედიტება 20%-ით გაზარდეს. წლის განმავლობაში სესხების ზრდა ძირითადად ადგილობრივი ვალუტით ხდებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში გააქტიურდა უცხოური ვალუტით გაცემული სესხებიც.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ერთ–ერთ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე სარეზერვო ნორმის ეტაპობრივად 15%-მდე გაზრდის შესახებ. პირველ ეტაპზე მიმდინარე წლის 20 იანვრიდან სარეზერვო ნორმა გაიზარდა 10%-მდე. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლის გაჩენის რისკი, მიზანშეწონილია გამკაცრების პოლიტიკის გაგრძელება.

გარდა ამისა ბანკებთან და ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებისას მომხმარებელთა უფლებები დაცული არ არის. ხელშეკრულებების პრობლემა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში კრიზისის შემდეგ გახდა აქტუალური: ხშირი იყო ბანკების მხრიდან გაუგებარი სასესხო პირობების შედგენა. დღეს არსებული ლიბერალური კანონების გამო თავად ბანკებზეა დამოკიდებული, რამდენად ეთიკურად აწარმოებენ მომხმარებელთან ურთიერთობას.

ეროვნული ბანკი საბანკო სექტორის გამჭვირვალობის შესახებ კანონზე მუშაობს, რომელიც ძალაში ახალო მომავალში უნდა ამოქმედდეს. დოკუმენტის თანახმად, ეროვნული ბანკის მოთხოვნით კომერციული ბანკები ვალდებულნი იქმნებიან, ხელშეკრულებაში ჩაწერონ ყველა ის ნიუანსი და პირობა, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის აღებასთან და შემდეგ მის დაფარვასთან. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა იზრუნონ კლიენტისათვის უტყუარი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებაზე. ამავე დროს კლიენტებმაც უნდა გააანალიზონ საკუთარი ქმედებების ფინანსური შედეგები და გონივრული გადაწყვეტილებები მიიღონ.

ლიტერატურა:

1. ლამარა ქოქიაური, „საბანკო საქმიანობის საფუძვლები", I და II ტომი, თბ., 2005;
2. „საბანკო სამართალი", ნორმატიული აქტების კრებული, თბ., 2006;

3. მერაბ კაკულია , „ლარის კურსის ვარდნის ფუნდამენტური მიზეზი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტია“, სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, #12, 2008;
4. საბანკო ბიულეტენი, 16-23 აპრილი, 2007.

ჩრდილოვანი ეკონომიკა და კრიმინალური ბიზნესი

ლიკა აწკარუნაშვილი, ანნა სამხარაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბოლო პერიოდში ხშირად ისმის ტერმინი ჩრდილოვანი ეკონომიკა. კრიმინალური, იატაკქვეშა, ნაცრისფერი, შავი, უკანონო, დესტრუქციული – ესაა არასრული ჩამონათვალი მისი სინონიმებისა. ამ ტერმინთა მრავალფეროვნება მოწმობს პრობლემის არასაკმარისად შესწავლაზე. შემოსავალი ამ საქმიანობათა სახეებიდან არის გრანდიოზული, გამოხატული ათეულობით მილიარდი დოლარით.

,,ჩრდილოვანი" ეკონომიკური საქმიანობა არსებობს როგორც ადმინისტრაციულ-განმკარგულებით, ისე საბაზრო ეკონომიკის სისტემებში, თუმცა, მასშტაბები და მოქმედების სფეროები არსებითად განსხვავებულია. მსოფლიო მასშტაბით მისი ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 5-10%-ის ფარგლებში ფასდება. ამასთან, აფრიკის ქვეყნებში მოცემული მაჩვენებელი 30, ხოლო რუსეთში 40%-საც კი აღწევს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა (Underground economy) არის ისეთი ეკონომიკური პროცესები, რომლებიც არ კონტროლდება და არ აღირიცხება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ესაა შეუიარაღებელი თვალით გარედან დაუნახავი საქონლისა და მომსახურების პროცესები, ეკონომიკური ურთიერთობები, რომლითაც დაინტერესებული არიან ცალკეული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები. იგი მოიცავს: აკრძალულს, კანონსაწინააღმდეგოს, დამალულს ფარულს იმ მიზნით რომ თავი აარიდონ გადასახადებს. მსოფლიო ექსპერტების შეფასებით, ამ მაჩვენებლის 40-50%-ის დონე კრიტიკულია. ასეთ ვითარებაში სამეურნეო საქმიანობაზე ,,ჩრდილოვანი" ფაქტორების ზეგავლენა იმდენად საგრძნობია, რომ არაფორმალურ და ფორმალურ ყაიდათა შორის წინააღმდეგობა მეორეხარისხოვანიდან არსებით სოციალურ-ეკონომიკურ დაპირისპირებაში გადადის. ეს კი ნიშნავს, რომ ,,ჩრდილოვანი" ეკონომიკის საწინააღმდეგო მექანიზმი საერთო-სახელმწიფოებრივ ხასიათს იღებს.

მოცემულ პრობლემაში გარკვევისათვის უპირველესად საჭიროა ,,ჩრდილოვანი" ეკონომიკის სტრუქტურისა და წარმოშობის მიზეზთა დადგენა, აგრეთვე იმ სოციალური ფენის ინტერესთა გამოვლენა, რომლებიც ამ ვითარებასთან არის დაკავშირებული. ეკონომიკის ამ სფეროში დასაქმებულთა საქმიანობა არსით კანონიერია, მაგრამ სამართლებრივი სივრცის ფარგლებს სცილდება. ამგვარ ქმედებას ახორციელებენ ,,ჩრდილოვანი მეურნეები" სახელდობრ, მეწარმეები, კომერსანტები, ფინანსისტები, ბანკირები, ბიზნესმენები და სხვ.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც ამ კატეგორიის მოღვაწეებს ,,ჩრდილში" ყოფნას აიძულებთ, მოქმედი საგადასახადო მექანიზმია, რომელიც ახრჩობს ნორმალურ მეწარმეობით საქმიანობას და ავალდებულებს პროდუქციის სარეალიზაციო ფასის თითქმის 60-80% გადასახადებში გადაიტანოს (დასავლეთ ქვეყნებში მოგებად გადასახადების 33-35%-ის დონე ოპტიმალურად ითვლება). ამ შემთხვევაში ,,ჩრდილოვან მეურნეებს" ქცევის სამი მოდელიდან ერთ-ერთის არჩევა უწევთ. სახელდობრ:

პირველი – მიატოვონ ,,საქმე", შეაჩერონ წარმოება და უცხოეთში გაიტანონ კაპიტალი;

მეორე – შეეცადონ, მიიღონ საგადასახადო ხასიათის შეღავათები და კვოტები, რისთვისაც ჩინოვნიკებს (სახელმწიფო მოხელეები) ,,მომსახურების სოლიდური ანაზღაურება" უნდა გადაუხადონ;

მესამე – თავი აარიდონ გადასახადებს და ნაღდი ანგარიშსწორებით ,,ჩრდილოვან" ეკონომიკაში გადავიდნენ.

ამგვარად, ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიცავს:

- ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც ხელისუფლება ვერ აკონტროლებს;
- ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს, მაგრამ ეკონომიკური სუბიექტები გაურბიან მათ კონტროლს (ჩეკის ამორტყმისგან თავის არიდებითა თუ სხვა გზით საქონლის რეალიზაციის დამალვა (ხშირად დიდი მოცულობის საქონლის განუბაჟებლად შემოტანა და სხვ.);
- არალეგალური საქმიანობას (მაგ. ნარკობიზნესს).

დღეს ჩრდილოვანი ბიზნესი მთელ ეკონომიკას არის მოდებული და ვერც სამართალდამცველები ახერხებენ ამ სექტორის რამენაირად შეზღუდვას. პირიქით, არალეგალურ საქმიანობაში მთელი საზოგადოებაა ჩართული და დასაქმებულებიც ამ სფეროში ოფიციალურად აღრიცხულებზე მეტია.

საერთოდ, ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითად მასტიმულირებლად საკანონმდებლო გარემო მიაჩნიათ. ჩვენს შემთხვევაში ამას ემატება გარკვეული მავნე ტრადიციები, კანონმორჩილებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება და კორუფციული გარემო.

საქართველოში ბოლო წლებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების მიმართულებით უამრავი სამთავრობო გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის 2003წ. 24 ივნისის, №282 ბრძანებულება, რომლის მიხედვით ყველა სამინოსტროს ევალება ქმედითი ზომების შემუშავება ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის მკვეთრი შემცირების მიზნით. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2003 წელს ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 31,8% შეადგენდა (2004 წ. პირველ კვარტალში - 29,2%), ხოლო მსოფლიო ბანკისა და სხვა მსოფლიოს წამყვანი ექსპერტების (შნაიდერი, დე სოტო) შეფასებებით იგი 68%-საც აღწევს და მსოფლიოში ყველაზე მაღალია (შნაიდერი). შედარებისთვის – რუსეთში 49% ბელორუსში 49.6%, უკრაინაში 54.9% პირველ სამეულში კი შვეიცარია 8.6% აშშ 8.8% და ავსტრია 9.8% არიან.

კრიმინალური ბიზნესი

კრიმინალი (ლათინური სიტყვაა CRIMINALIS-დანაშაულებრივი) არის სისხლის სამართალთან დაკავშირებული.

ეს სფერო უაღრესად რთული, ფართო და მრავალფეროვანია. ამ ბიზნესს კრიმინალური ჯგუფები, ელემენტები განასახიერებენ. სახელდობრ, ნარკოტიკებითა და იარაღებით მოვაჭრეები, მძარცველ-ბანდიტები, რეკეტიორები, დაქირავებული მკვლელები (ქილერები), თაღლითები, ადამიანებით (მათ შორის ბავშვებით, ქალებით, ტყვეებით, ადამიანის ძვლებითა და ორგანოებით) მოვაჭრეები, მეძავეები, კონტრაბანდისტები, მევახშეები, გამომძალველები, მაფიოზები, მექრთამეები, დაქირავებული მკვლელები, სუტენიორები (მეძავთა შუამავლები), ჰაკერები (კომპიუტერული ქურდები), პაპარაცები და სხვა.

ნარკობიზნესი ნარკოტიკების გარეშე წარმოუდგენელია. ნარკობიზნესი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში აღმავლობის გზას ადგას. ექსპერტების ინფორმაციით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა კონტრაბანდის კიდევ ერთი გავრცელებული სახეა.

კონკრეტულ რეგიონებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნარკომაფიის მასშტაბები, გარდა ამისა, მომრავლდა ნარკოტიკების შემცველი მცენარეების ნათესები.

ასევე აქტუალურია იარაღით ვაჭრობის საკითხებიც. ნარკოტიკები იქ ხვდება რუსეთიდან და ამას საოკუპაციო ძალები ლობირებენ. მათ გარეშე იქ არაფერი არ ხდება.

აფხაზეთში ადგილზე მოჰყავთ მარიხუანა და ჰაშიში. ისეთი ნარკოტიკები კი, როგორიცაა კოკაინი და ჰეროინი, აფხაზეთში შემოაქვთ თურქეთიდან რუსეთში ტრანზიტისათვის. ნარკოტიკების იმპორტი ხდება თევზსაჭერი გემებით. რეგიონში ნარკობიზნესის ცენტრებად ითვლება სოხუმი და გუდაუთა. სოხუმში ძირითადი სატრანზიტო ცენტრი საზღვაო პორტია, გუდაუთაში კი ყოფილი სამხედრო ბაზა.

გუდაუთისა და სოხუმის რაიონებში ხდება ყაყაჩოსა და ველური კანაფის მოშენება (ე.წ. პლანი). სოხუმში ამ ბიზნესით დაკავებული არიან ეთნიკური სომხები.

ნარკოტიკების დიდი რაოდენობა აფხაზეთში ჩრდილოკავკასიიდან, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთიდან და ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან შედის.

,,აფხაზეთში კუსტარულ ლაბორატორიაში წარმოებული ნარკოტიკი დამნაშავეებს გამართული არხებით შეაქვთ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებში მოწყობილი სპეციალური სამალავებით, მდინარე ფსოუს გავლით. ნარკოტიკების გავრცელების აღნიშნულ მარშრუტს თითქმის მთლიანად აკონტროლებენ.

ნარკობიზნესი საკმაოდ წარმატებით ვითარდება ცხინვალის რეგიონშიც. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს შორის კორიდორი დღემდე ღიაა იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდისათვის.

აღსანიშნავია, რომ ესა თუ ის კრიმინალური ჯგუფი მრავალფეროვან დანაშაულებრივ საქმიანობას მეტწილად კომპლექსურად, ერთდროულად ეწევა.

უკანასკნელ წლებში, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში წარმოიშვა დანაშაულობათა ისეთი სახეობები და ფორმები, რომლებიც მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის პირობებში წარმოუდგენელი იყო. სახელდობრ, მეანაბრეთა მასობრივი მოტყუება და ა.შ.

საზოგადოდ, ნებისმიერი დანაშაულის საფუძველი ეკონომიკის სფეროშია. ფარულ, კრიმინალურ ეკონომიკაში არსებული უზარმაზარი სახსრები არ ხმარდება ქვეყნის მეურნეობისა და სოციალური სფეროს ინვესტირებას. იგი ემსახურება დამნაშავეობის გაძლიერებას მისი ყველაზე საშინელი და საშიში გამოვლინებებით.

,,ჩრდილოვანი" ეკონომიკა და კრიმინალური ბიზნესი ერთმანეთისაგან ,,ჩინური კედლით" არ არის გამოყოფილი და, გარკვეულ ვითარებაში ურთიერთს კვეთს. თუმცა, ცხადია, არსებობს ერთობლივი ინტერესების (სამართლებრივი სფეროს გარეთ დამატებითი შემოსავლების მიღება) და მათი რეალიზაციის საერთო ფორმები. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა, და მაინც, ერთიანობის აღნიშნული მომენტები მათ შორის პრინციპულ განსხვავებას არ მალავს:

პირველი – კრიმინალური სტრუქტურები უპირატესად შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების სფეროში მოქმედებენ. ,,მითვისების" ძირითადი ხერხები საგარეო ეკონომიკურ მეთოდებთან არის დაკავშირებული;

მეორე – ,,ჩრდილოვანი მეურნეები" თავდაპირველად, როგორც წესი, მიღებული შემოსავლების კანონიერი მფლობელნი არიან და მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო იძულებულნი არიან სამართლებრივი მოქმედებიდან გავიდნენ;

მესამე – კრიმინალურ დაჯგუფებებს ობიექტურად ისეთი პირობები აწყობთ, როცა ,,ჩრდილოვანი" ეკონომიკა აღმასვლით ვითარდება. რაც უფრო უწესრიგობაა ეკონომიკაში, მით უუნარო და უძლურია ხელისუფლება. ,,ჩრდილოვან მეურნეებს" ამგვარი სიტუაცია ნაკლებად იზიდავს, რადგან ისინი კრიმინალური სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ორმაგ წნეხში ექცევიან;

მეოთხე – კრიმინალური დაჯგუფებები უპირატესობას აძლევენ კრიმინალური შემოსავლების არაკანონიერ (ნახევრადკანონიერ) ,,ჩამორთმევას", ხოლო ,,ჩრდილოვანი მეურნეები" შემოსავლების კანონიერი ლეგალიზაციით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის ცვლილებით არიან დაინტერესებული.

,,ჩრდილოვანი" ეკონომიკისა და კრიმინალური საქმიანობის სფეროები და მოქმედების სივრცე უაღრესად გლობალურია და თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, რის გამოც მისი გადაწყვეტის ღონისძიებებიც ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებს სცილდება და ფართომასშტაბიან ხასიათს იღებს.

მოცემული პრობლემით დაინტერესებულია გაეროც, სადაც მიიჩნევენ, რომ კორუფციის საერთო ზრდით გამოწვეული პრობლემები სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სტაბილურობას, დემოკრატიული ინსტიტუტების სიმტკიცეს და ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკურ ვითარებას. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ კორუფცია თავისი დღევანდელი მასშტაბებით სცილდება ეროვნულ საზღვრებს და უშუალოდ უკავშირდება დანაშაულებათა ისეთ ფორმებს, როგორიცაა ეკონომიკური, ფინანსური და ორგანიზებული დანაშაული. ხაზგასმულია, რომ კორუფციის ზრდა აუცილებელს ხდის ამ საკითხში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებას. რეზოლუცია წევრ-ქვეყნებს მოუწოდებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ და შეისწავლონ პრობლემები, რომლებიც კორუფციის საერთაშორისო ასპექტებთან, კერძოდ, კორპორაციული ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირთა საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამ მიზნით, გაერომ მიიღო სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი. წევრ-ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია გამოიყენონ ეს დოკუმენტი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის დასამარცხებლად საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და სახელმწიფოს მიერ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისათვის ნოყიერ ნიადაგს არ შექმნის.

ლიტერატურა:

1. გ. ჯოლია, ,,საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები'', 2008;
2. . http://www.wds.world
3. http://www.open.ge
4. http://www.geurasia.org (23 ივლისი, 2010)
5. http://www.economist.com/blogs/dailychart/2010/08/shadow_economies

ლოგოტიპის მნიშვნელობა ბიზნესში

თამარ ბედოშვილი, ქეთევან ქაწაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მძაფრი კონკურენციის ფონზე, ნებისმიერი მეწარმე თუ ბიზნესმენი ცდილობს საკუთარი პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდას. პროდუქციის გასაღება დამოკიდებულია არა მხოლოდ მის სამომხმარებლო ღირსებებზე, არამედ მის დიზაინზე, შეფუთვაზე, ვიზუალურ მიმზიდველობაზე. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ფერთა გამა და ტონალური გადაწყვეტილებები ფირმის ლოგოზე.

ტერმინი „ლოგოტიპი“ XIX საუკუნეში ტიპოგრაფიაში წარმოიშვა და სიტყვა „კავშირის“ (ligature) სინონიმი იყო, ანუ ტიპოგრაფიაში აღნიშნავდა ორი ან სამი ნიშნის გაერთიანებას. იგი გამოჩნდა წარმოების აღმავლობის სტადიის შემდეგ და მიგვიყვანა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის, ექსპორტისა და კონკურენციის ზრდამდე. XX საუკუნის შუა ხანებში ლოგოტიპად იხსენიებდნენ ყველა ტექსტურ კლიშეს, მაგალითად, გაზეთის სათაურს.

XX საუკუნეში ლოგოტიპად მიიჩნევდნენ ისეთ დასახელებას, რომელიც აღნიშნავდა კომპანიას ან მის პროდუქციას. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001 წელს გამოცემულ „ეკონომიკური ლექსიკონში“ შემოთავაზებულია ლოგოტიპის შემდეგი განმარტება: „ლოგოტიპი“ (ბერძნ. Logos - სიტყვა და typos - ანაბეჭდი) – ფირმის ან ფირმის საქონლის სრული ან შემოკლებული დასახელების ორიგინალური მოხატულობა, გამოსახულებაა. იგი სპეციალურად მუშავდება ფირმის მიერ მისთვის და მისი საქონლისათვის ყურადღების მიზიდვის მიზნით.“ [1]

პირველი ლოგო იყო კომპანია „Prudential Insuranse“-ის გიბრალტარის მთა. იგი გამოჩნდა 1896 წელს. 1910 წელს შეიქმნა „Nipper“- ის ლოგო. ლოგოზე გამოსახულია ძაღლი, რომელიც ზის გრამაფონის გვერდით და ყურადღებით უსმენს მას. სლოგანი „პატრონის ხმა“ ვლინდება ლოგოტიპის მნიშვნელოვან ნაწილად.

წარმოუდგენელია სოლიდური კომპანია ლოგოტიპის გარეშე. მასში ასახულია კომპანიის იდეოლოგია, მისი მიმართულების სპეციფიკა. სწორად დამუშავებული და შექმნილი ლოგოტიპი კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ლოგოტიპის შექმნა-შემუშავება მხატვრული პროცესია, რომლის სწორად წარმართვა მხოლოდ პროფესიონალებს შეუძლიათ. ლოგოტიპის შექმნისას არა მხოლოდ მისი დახატვაა საჭირო, არამედ აუცილებელია კომპანიის საქმიანობის შესწავლა, გაანალიზება, როგორც ფსიქოლოგიური, ისე მომხმარებლის ასპექტების თვალსაზრისით. ლოგოტიპი, როგორც წესი, ერთმანეთში აერთიანებს კომპანიის დასახელებასა და სავაჭრო ნიშანს. აუცილებელია ამ ელემენტების ჰარმონიული შერწყმა ერთმანეთთან და მისი შეხამება კომპანიის საფირმო სტილთან. მრავალი ბრენდი ცნობადი და წარმატებული გახდა ლოგოს შემქმნელების (Logomaker) დახმარებით.

ლოგოს შექმნისას ძირითადი მიზანია მომხმარებლის აღიარებისა და ნდობის მოპოვება. ლოგო კომპანიის სახეა და განსაზღვრავს მსოფლიო ბაზარზე ბრენდის ადგილსა და მომავალს. ლოგოები იძლევა იოლად მარკირების საშუალებას და კლასიფიცირდება ორი მთავარი მახასიათებლის მიხედვით: გრაფიკული და ლიტერატურული. პირველი მოითხოვს ფირმის სახელწოდებას ან აბრევიატურას (მაგ., „CNN“, „CBS“, „BBC“). მეორე კი კომპანიის სახელწოდების გრაფიკული სურათია (აბსტრაქტული ან კონკრეტული საგნის გამოსახულება). დღეისათვის ორივე მათგანს წარმატებით იყენებენ, მაგრამ ყველაზე ფართოდ გამოიყენება კომბინირებული სახე, როცა გრაფიკული ელემენტები უკავშირდება წერილობით ფორმას. რთულია კონკრეტული პასუხის გაცემა იმაზე, თუ რომელი ლოგოა უკეთესი. ზოგიერთ შემთხვევაში ხელსაყრელია ლოგოს წერილობითი ტიპი, ზოგჯერ კი გრაფიკულს ალტერნატივა არ გააჩნია. ეს დამოკიდებულია ფირმის ტიპზე, მომხმარებლის ქცევასა და ხასიათზე.

ლოგოტიპები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის ფორმირებასა და მისი პროდუქციის იმიჯზე მთელ მსოფლიოში. კარგი დიზაინის ლოგოს შეუძლია გადალახოს ბევრი ბარიერი, გასწიოს ეფექტური რეკლამა, აამაღლოს კომპანიის რეიტინგი და მომხმარებელს მიაწოდოს, გარკვეული სახის

[1] ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 285

ინფორმაცია. ცუდად შექმნილმა ლოგომ, მისმა პრიმიტიულმა შინაარსმა და უგემოვნოდ გაფორმებამ კი შეიძლება გამოიწვიოს კომპანიას მომხმარებელთა დაკარგვა. ამრიგად, ლოგოს ხარისხი, გარკვეულწილად, განსაზღვრავს ბიზნესის წარმატება-წარუმატებლობას. ლოგომ უნდა დაადგინოს, თუ რით გამოირჩევა მოცემული კომპანია კონკურენტებისგან. ამასთან ერთად, მომხმარებელს, გარკვეულწილად, მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის შესახებ. მან პირველ რიგში მომხმარებელს უნდა გაახსენოს ჩვენი პროდუქტი (მომსახურება). ესა თუ ის კომპანია ლოგოს სახით აღიქმება მომხმარებლის გონებაში. ამიტომ იგი უნდა იყოს მარტივი, საინტერესო და ადვილად დასამახსოვრებელი.

ლოგოს შექმნისას ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ბრენდის განმასხვავებელი ნიშნების ეფექტურობისაკენ.

ლოგოტიპის ფორმა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მომხმარებელთა მხრიდან მისდამი თავდაპირველ დამოკიდებულებას. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლოგოტიპებს სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა აქვთ (წრე, კვადრატი, სამკუთხედი, ელიფსი და სხვ.). წრე (წრიული ფორმა) ყველაზე გავრცელებული გეომეტრიული ფორმაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლოგოტიპზე გამოყენებულ ფერს ან ფერთა შეხამებას. ლოგოტიპებზე მრავალი სახის ფერი გამოიყენება (წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი და სხვ.).

ლოგოტიპების მიმართ ძირითადი მოთხოვნებია:

1. დამახსოვრებადობა;
2. უნივერსალურობა;
3. ორიგინალურობა;
4. ასოციაციურობა;
5. გამომსახველობა;
6. ფუნქციონალურობა;
7. ლაკონურობა.

იდეალურმა ლოგოტიპმა უნდა გადაჭრას ექვსი ძირითადი ფუნქცია:

1. ფაქტობრივი;
2. ექსპრესიული;
3. რეფერენციული;
4. გამოხატვითი;
5. პოეტიკური;
6. მეტალინგვისტური.

კომპანიის კარგად შერჩეული სახელი და შესაფერისი, ლამაზი ლოგო მნიშვნელოვანწილად წარმატების საწინდარია. მაგალითისთვის დავასახელებთ „მაიკროსოფტის“ ცნობილი პროგრამული პროდუქტის – „ვინდოუსის“ (ინგლისურად – ფანჯრები) სახელსა და ლოგოს. ქართული სინამდვილიდან – სადაზღვევო კომპანია „ბისიაის“ მომსახურების პროგრამის „ ჩემების“ სახელსა და ლოგოს.

როგორც წესი, საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები იშვიათად იცვლიან დასახელებას ან/და ლოგოს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ბრენდების მესაკუთრეს ამ სახელისა და საფირმო ნიშნის (ლოგოს) შექმნასა და რეკლამირებაზე უზარმაზარი თანხა აქვს დახარჯული. თუმცა, ზოგჯერ კომპანიები ამას მაინც ახორციელებენ. ზოგჯერ ლოგოს შეცვლა ხდება ესთეტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რადგან მისი თავდაპირველი ვარიანტი შეიძლება პრიმიტიული იყო.

ხშირად ლოგოს სავაჭრო მარკასთანაც აიგივებენ. დღეისთვის მსოფლიოში ყველაზე ძვირი სავაჭრო მარკებია: „Coca Cola“ (69 მლრდ $), „Microsoft“ (65 მლრდ $), „IBM“(53 მლრდ $), „Nokia“, „Intel”, “Disney“, „Ford“, და „McDonalds“. სავაჭრო ნიშანმა ყურადღება რომ მიიქციოს, კომპანიები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ. სავაჭრო ნიშანი ხშირად ხდება მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელების, ველოსიპედისტების, ავტომრბოლელებისა და სხვათა სპონსორები. მაგალითად, ქართველი ფეხბურთელი, იტალიის „მილანის“ მცველი, კახი კალაძე არის ცნობილი იტალიელი დიზაინერის ჯორჯო არმანის სამარკო ნიშნის სახე. კ. კალაძე ასევე წარმატებული ქართული კომპანიის „მაგთიკომის“ სარეკლამო რგოლის სახეცაა.

ლოგოს შექმნისას საჭიროა ეფექტური მუშაობა მისი ხანგრძლივად მოქმედებისთვის და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაშია მიზანშეწონილი მისი შეცვლა. ზოგიერთი კომპანია ამჯობინებს თვითონ კი არ შექმნას სავაჭრო ნიშანი, არამედ იყიდოს უკვე არსებული, რაც ხშირად მილიონობით დოლარი ღირს. თავის მხრივ, ცნობილი სავაჭრო მარკისთვის მომხმარებელი მზადაა უფრო მეტი გადაიხადოს. გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ მომხმარებელთა 72 % თანახმაა საყვარელი მარკის საქონელში 20 %-ით მეტი გადაიხადოს, ვიდრე სხვა კონკურენტულ საქონელში. მაგალითისთვის შეგვიძლია

დავასახელოთ „Lexus“ და „Toyota camry“. ორივე მათგანს ერთნაირი ძრავა აქვს, ამასთან „Lexus“ 10 000 $ – ით ძვირია, მაგრამ მათ მომხმარებელი მაინც ყიდულობს.[2]

საკმაოდ საინტერესოა პოპულარული და სახელგანთქმული მსოფლიო ბრენდების ლოგოტიპების ისტორია და მათი აზრობრივი მნიშვნელობა. მაგალითის სახით შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:

1. „ადიდასის“ ლოგოზე ხშირად სამ ბუმბულს ხედავდნენ, რომელიც სინამდვილეში სამყურას გამოსახულებაა. 1972 წელს იგი კომპანიის ოფიციალურ სიმბოლოდ გამოცხადდა და 1996 წლამდე, თანამედროვე ვარიანტის ჩანაცვლებამდე, გამოიყენებოდა მათ პროდუქციაზე. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რისი სიმბოლოა „ადიდასის“ სამყურა. ყველაზე დამაჯერებელი ვერსიით იგი ასახავს კომპანიის დამაარსებლის ადოლფ დასლერის (Adolph Dassler) მიერ შემუშვებული კომპანიის მისიას: 1) აწარმოოს საუკეთესო ფეხსაცმელი სპორტისთვის; 2) დაიცვას ათლეტი ტრამვებისგან; 3) პროდუქცია გახადოს გამძლე. ამასთან, დღეისათვის კომპანიას სამი ძირითადი ტანსაცმლის ხაზი აქვს: 1) Originals, 2) Performance, 3) Style;

2. „აუდის“ ლოგოზე გამოსახული ოთხი რგოლი წარმოადგენს ოთხი კომპანიის „Auto-Union – DKW“, „Horch“, „Wanderer“ და „Audi“ კონსორციუმს. სახელი „Audi“ ლათინურად ნიშნავს „სწორად“;

3. „ნაიკის“ ლოგო, რომელიც 1971 წელს დიზაინერმა ქეროლინ დევიდსონმა (Carolyn Davidson) შექმნა, გამარჯვების ქალღმერთის ფრთებს გამოხატავს. ამავე დროს იგი მობილურობასა და მოძრაობაზე მიანიშნებს. კომპანიის დამფუძნებელს ფილ ნაითს ლოგო მაინცდამიანც არ მოსწონდა, თუმცა ლოგომ გაამართლა და დღეისათვის „ნაიკი“ მსოფლიოში უდიდესი სპორტული ტანსაცმლის ბრენდია;

4. გაბრიელ შანელმა თავისი მოდის სახლის ლოგო თავად შექმნა 1925 წელს, რომელიც მისი სახელის „Coco Chanel“ ანაგრამაა. ლოგო, მისი კოლექციების მსგავსად, სადაა, ადვილად დასამახსოვრებელი, გემოვნებიანი და გამორჩეული. ორი ასო „C“ სხვადასხვა მხარეს იყურება, რაც ნიშნავს ტრადიციებსა და ინოვაციებს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროებს, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იგი მსოფლიო ბრენდია;

5. „ლაკოსტის“ ნიანგი კომპანიის დამფუძნებლის რენე ლაკოსტის მეტსახელის მიხედვითაა დახატული რობერტ ჯორჯის მიერ;

6. „ფლეიბოის“ ბაჭია 1953 წელს მხატვარმა ართურ პოლმა (Arthur Paul) შექმნა. ბაჭია ნაყოფიერების ძველისძველი სიმბოლოა და კარგად განასახიერებს ფლეიბოის – მექალთანე, მხიარულ და გართობის მოყვარულ მამაკაცს. ჰალსტუხი „პეპელა“ კი იმაზე მიანიშნებს, რომ იგი გემოვნებიანი დენდია;

7. „ტოიოტას“ ლოგოტიპი შედგება სამი ელიფსისაგან, რომელიც წარმოადგენს კლიენტის (მომხმარებლის) გულს და ტექნოლოგიური მიღწევებისა და შესაძლებლობების ყველა გაფართოებას. სხვა განმარტებით, იგი წარმოადგენს კომპანიის კულტურის სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ასპექტს - თავისუფლებას, გუნდურ სულისკვეთებასა და პროგრესს. გარდა ამისა, იაპონიაში „Toyo“ ნიშნავს „სიუხვეს“ (ბარაქას), ხოლო „ta“ ითარგმნება როგორც „ბრინჯი“. ზოგიერთ აზიურ კულტურაში ისინი, ვისაც გააჩნდათ ბრინჯის ბარაქა, დალოცვილნი იყვნენ დიდი სიმდიდრით;

8. „ეფლის“ ლოგოს ავტორი რიჯის მაქენაა (Regis McKenna). ლოგო 1976 წელს შეიქმნა კომპანიის სახელწოდებიდან გამომდინარე. ვაშლის ცალ მხარეს ნაკბეჩი მიანიშნებს ლოგოს კავშირს ბიბლიური ხე ცნობადის ნაყოფთან, ხოლო ფერები კომპანიის პროდუქციის განსაკუთრებულ მულტიმედიურ და გრაფიკულ შესაძლებლობებზე მიუთითებს;

9. „ვერსაჩეს“ ლოგო ძველბერძნულ მითოლოგიასთანაა დაკავშირებულია. მასზე გამოსახული იყო მითოლოგიური პერსონაჟი მედუზა, რომელიც თავისი მზერით ქვად აქცევდა ადამიანებს. თვითონ დიზაინერ ჯანი ვერსაჩეს (Gianni Versace) კლასიკური თემატიკა, ისტორია და ძველი კულტურა იზიდავდა. მისი ბრენდის ლოგო მისსავე სამოდელო სახლში 1978 წელს შეიქმნა;

10. „გუგლის“ ლოგო 1996 წელს დახატა ბრაზილიელმა დიზაინერმა რუთ კედარმა (Ruth Kedar). იგი მარტივია, როგორც თავად „დაგუგლვა“ და ფერად-ფერადი, როგორც „გუგლის“ მიერ მოძიებული ინფორმაცია. ეს ყველასთვის ცნობილი საძიებო სისტემა თითქმის ყოველდღიურად ცვლის თავის ლოგოებს (სხვადასხვა თარიღების, სადღესასწაულო დღეებისა და სხვათა მიხედვით).

11. „მაკდონალდსის“ ოქროს თაღები კომპანიის დიზაინის განყოფილების დირექტორმა ჯიმ შინდლერმა (Jim Schindler) შექმნა 1962 წელს. ის მხოლოდ ასო „M“-ს არ განასახიერებს. თაღები სიმბოლოა სახურავის, თავშესაფრის, სადაც უამინდობას, დაღლილობას და, რა თქმა უნდა, შიმშილს დაემალებით. ამავე დროს, თაღები ოქროსია, ვინაიდან „მაკდონალდსის“ ფრანჩიზა ყველასთვის სიმდიდრის მომტანია.

[2] . გ. ერქომაიშვილი „ ბიზნესი „ თბ . 2006

რაც შეეხება ქართულ კომპანიებს, მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ „მაგთიკომის“ ლოგო, რომელიც სამი კუბისაგან შედგება. ჩვენი აზრით, იგი ფიჭას უნდა გამოხატავდეს. მობილურ კავშირგაბმულობას ხომ ფიჭურ კავშირგაბმულობასაც უწოდებენ.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ლოგოტიპების გამოყენება თავად სასწავლო დაწესებულებებისთვისაც. ბევრისთვის ნაცნობია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგო (გერბი) ირემის გამოსახულებით, რომლის ავტორია ცნობილი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე. უნივერსიტეტის ლოგო (გერბი) მრგვალ (ბიზანტიურ, აღმოსავლურ, ლაკიერის მიხედვით – ინგლისურ) ფარს წარმოადგენს, რომელზეც ბრინჯაოს ბალთების მიხედვით შექმნილი ირემია გამოსახულია. ირემი ძუძუს აწოვებს ნუკრს. ლოგოს მთავარი აზრია, უფროსის მიერ უმცროსისათვის ცოდნის, სიბრძნის გადაცემა. იგი არის მარტივი, პოეტური და ამავე დროს, ზოგადად, თაობათა ერთობის სიმბოლური სახე.

უნივერსიტეტების ლოგოებზე საუბრისას არ შეიძლება არ შევეხოთ ჩვენი უნივერსიტეტის ლოგოსაც. მასზე გამოსახული ასოები გსუ – ნიშნავს უნივერსიტეტის დასახელებას – გორის სასწავლო უნივერსიტეტი. ამავეს მიანიშნებს ლათინური ასოები GTU – Gori Teaching University – ინგლისურ ენაზე. ლათინური გამოთქმა „SCIRE PRO VITA“ – „ცოდნა ცხოვრებისთვის“ უნივერსიტეტის სლოგანია. თეთრი წრე მიგვანიშნებს სწავლების უწყვეტ ციკლზე. წითელი წრე კი (გლობუსზე) ნიშნავს გორის უნივერსიტეტის ჩართულობას მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში (გლობალიზაციის პროცესში ჩართულობა). გლობუსზე გამოსახული წიგნი, რომელიც ამავდროულად საქართველოს დროშაა, ნიშნავს გორის უნივერსიტეტის ეროვნულობას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ლოგოში გამოყენებული ფერები კი საქართველოსა და ევროკავშირის დროშების ფერებს უკავშირდება.

ქართული და უცხოური კომპანიების (ფირმების) საუკეთესო ლოგოტიპების გამოსავლენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ იქნა 15-დან 55 წლამდე ასაკის 100 რესპონდენტი, რომელთაგან 65 % ქალია და 35 % - მამაკაცი. მათ შორის 60 % სტუდენტია, 25 % - უმაღლესი, 15 % კი - საშუალო განათლების მქონე.

ჩვენს რესპონდენტებს უნდა დაესახელებინათ ქართული და უცხოური კომპანიები (ფირმები), რომელთა ლოგოტიპებიც მათ ყველაზე ძალიან მოსწონდათ და კომპანიები (როგორც ქართული, ისე უცხოური), რომელთა ლოგოტიპებიც არ მოსწონდათ. რესპონდენტებს აგრეთვე უნდა დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი იმის შესახებ, კომპანიების (ფირმების) ლოგოტიპებზე გამოსახული თუ რომელი ფერი ან ფერების კომბინაცია ახდენდა მათზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ქართული კომპანიების ლოგოტიპებიდან ლიდერობენ 1) „მაგთიკომი“ – 27 %; 2) „ბალი“ - 22 %; 3) „ავერსი“ - 15 %; 4) კომპანია - „ბორჯომი“ - 10 %; 5) „თიბისი ბანკი“ - 8 %; 6) სხვა - 18 %.

გამოკითხულთაგან უარყოფითი შეფასება მიიღო შემდეგი კომპანიების ლოგოტიპებმა: 1) ტელეკომპანია „ საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – 46 %; 2) შპს „ნიკორა“ - 22 %; 3) ტელეკომპანია „თრიალეთი“ – 14 %; 4) ტელეკომპანია - „მზე“ – 8 %; 5) ტელეკომპანია „რუსთავი 2“ – 6 %; 6) სხვა - 4 %.

უცხოური კომპანიების ლოგოტიპებიდან ლიდერობენ: 1) „შანელი“ – 33 %; 2) „BMW“ – 23 %; 3) „ვერსაჩე“ – 17 %; 4) „პუმა“ – 11 %; 5) „მაკდონალდსი“ – 4 %; 6) სხვა - 12 %.

გამოკითხულთაგან უარყოფითი შეფასება მიიღო შემდეგი უცხოური კომპანიების ლოგოტიპებმა: 1) „ადიდასი“ – 28 %; 2) „ნაიკი“ – 12 %; 3) „ჰონდა და ჰიუნდაი“ - 14 %; 4) „BBC“ - 18 %; 5) სხვა - 28 %.

გამოკითხულთაგან ლოგოტიპებზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს შემდეგი ფერები და ფერების კომბინაციები: წითელი - 42 %, ლურჯი - 23 %, შავი , ვერცხლისფერი - 20 %, სხვა 15 %. ფერების კომბინაციებიდან აღსანიშნავია: შავი - ოქროსფერი - 35%, წითელი - ოქროსფერი - 27%, წითელი - ლურჯი - 13 %, წითელი - შავი - 12 %, ყვითელი - ნარინჯისფერი - 5 %, სხვა - 8 %.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ლიდერი ლოგოტიპების უპირატესობად რესპოდენტები მიიჩნევენ: ორიგინალურობას, შინაარსობრიობას, ვიზუალურ ეფექტურობას, ადვილად აღქმადობას, ასოციაციურობას და ა. შ.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი კომპანიის ლოგო საშინლად გამაღიზიანებელია, იწვევს აგრესისას ან კიდევ უშინაარსო (გამომდინარე კომპანიის ხასიათიდან) და გაუგებარია. ამასთან უნდა ავღნიშნოთ, რომ სიტყვიერი ლოგოტიპები ნაკლები მოწონებით სარგებლობენ.

აქედან გამომდინარე დავასკვნით, რომ ლოგოტიპები ბიზნესში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მათი შექმნა რთული პროცესია და მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და ყურადღებას, კომპანიების წარმატებას კი გარკვეულწილად სწორედ ლოგოტიპები განსაზღვრავენ.

ლიტერატურა:
1. ეკონომიკური ლექსიკონი, პროფ. ა. სილაგაძის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001;
2. გ. ერქომაიშვილი, ბიზნესი, თბ., 2006;

ინტერნეტ-რესურსები:
1. stylishblog.net/2010/04/29/brands-and-logos/ -
2. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11713
3. happy-invest-intwaylblog.net
4. Logo2biz.ru
5. georgianbrend.ge
6. logo.nino.ru
7. http://ru./ka. wikipedia.org/wiki/логотип
8. http://gu.edu.ge/viewpage.php?page_id=366
9. http://www.tsu.edu.ge/ge/about/emblem
10. http://ucnauri.com/09/01/2011/რამდენიმე-ცნობილი-ბრენდე/
11. http://www.autostrim.ru/about/about-logo.html

ბიუჯეტის როლი და ადგილი ფულის მართვაში

თამარ ბზიშვილი, მერი ბალიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

როგორც წესი, საბიუჯეტო პროგნოზები საწყისი მომენტია ფულადი სახსრების პროგნოზირებისას მაშინ, როდესაც ბიუჯეტის შესრულება ხდება ფულით. თუმცა ფულის მართვა არარეალური ბიუჯეტის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.

მთავარი განსხვავება ბიუჯეტისა და ფულის მოძრაობის პროგნოზირებებს შორის არის მოსალოდნელი შემოდინებებისა და გადინებების დროის განსაზღვრა. ფულის მოძრაობის პროგნოზი აიძულებს მთავრობას, დაიცვას ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების ზღვარი ფულად სახსრებთან მიმართებაში.

საუკეთესო პროგნოზის გასაკეთებლად და ბიუჯეტის პარამეტრების შესასრულებლად საჭიროა ინფორმაციის ყოველთვიური გაცვლა-განახლება მხარჯავ ერთეულებსა და ფულადი სახსრების მართვის მენეჯერს შორის.

ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველია ფინანსური რესურსები, რომელთა ფორმირება ძირითად ხორციელდება ბიუჯეტში სხვადასხვა სახის შემოსავლების მობილიზაციის მეშვეობით. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფინანსებისათვის შემოსავლების მობილიზაციისათვის ხარისხს, რაც თავის მხრივ გამოიხატება სახელმწიფო შემოსავლების სახელმწიფო ხარჯებად ტრანსფორმაციაში და ასახვას პოულობს კონკრეტულ საბიუჯეტო პოლიტიკაში. ქვეყნის რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში რეალური ეკონომიკური ზრდის მიღწევა საზოგადოების სოციალური თანასწორობის მაქსიმალურად შესაძლო უზრუნველყოფა, ტერიტორიული ერთეულების სოციალურ–ეკონომიკურ დონეთა გამოთანაბრება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ოპტიმიზაცია, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგებისა და სფეროების სტიმულირება, ეროვნული ვალუტის კურსის მდგრადობა და სხვა საკვანძო პრობლემების გადაჭრა წარმოუდგენელია გარდამავალი ეკონომიკის პირობებს მისადაგებული საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის გარეშე.

საქართველოს ახალი საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირებას საფუძველი ჩაეყარა 1993 წლის 30 მარტს მიღებული კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები და შესაბამისი საბიუჯეტო უფლებამოსილებები. მიუხედავად ამისა,

არ მომხდარა 1993 და 1994 წლების წლიური ბიუჯეტების დამტკიცება, მათი განხილვა და მიღება ხდებოდა კვარტლების მიხედვით. 1990–იანი წლების პირველი ნახევრის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მთავარ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი განიხილებოდა, როგორც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტი.

საქართველოს სახელმწიფო ფინანსების საკანონმდებლო უზრუნველყოფაში საეტაპო მნიშვნელობის წინგადადგმული ნაბიჯი იყო 1996 წლის 29 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ,,საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციის პრინციპები, საბიუჯეტო მოწყობისა და პროცესის საფუძვლები, საბიუჯეტო კლასიფიკაციების სტრუქტურა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლის წყაროები და საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, ხოლო საბიუჯეტო რეგულირებისა და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სამართლებრივი მხარე განსაზღვრულ იქნა 2000 წლის 18 დეკემბრის კანონით ,,საერთო–სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ“.

საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის დახვეწის, სრულყოფისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით, შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 24 აპრილს დამტკიცებული კანონი ,,საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, ხოლო მოგვიანებით, – 2004 წლის 30 დეკემბერს მიღებული კანონი ,,საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“, რომელიც შეიცვალა საბიუჯეტო რეგულირების სფეროში 2007 წლის 28 დეკემბერს მიღებული ახალი კანონით ,,შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“. უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო კანონმდებლობის ზემოაღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია საბიუჯეტო რეფორმით გათვალისწინებული პრინციპულად ახალი ტიპის საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. ჩამოყალიბდა სამსაფეხურიანი მდგრადი საბიუჯეტო სისტემა, რომლის დონეებსაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები;
2. საბიუჯეტო სისტემის ერთ–ერთ ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებულ იქნა ე.წ. კონსოლიდირების პრინციპი, რამაც ერთი მხრივ, წინა პლანზე წამოწია სახაზინო სამსახურის როლი და მნიშვნელობა ბიუჯეტის შესრულების პროცესში (აღნიშნული მომენტის გათვალისწინებით მოხდა ე.წ. ,,სპეცსახსრების“, რომლებიც შეადგენდა ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 15-20 პროცენტს, თავმოყრა ხაზინის ერთიან ანგარიშზე), ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვა ცვლილებების შეტანის აუცილებლობა საბიუჯეტო კლასიფიკაციების სისტემაში და გაიმიჯნა ერთმანეთისგან ბიუჯეტის შემოსავლები და შემოსულობები, შესაბამისად – ხარჯები და გადასახდელები, ამასთან, შემოღებულ იქნა არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებათა საკლასიფიკაციო კატეგორიები;
3. ეტაპობრივად განისაზღვრა საბიუჯეტო ორგანიზაციების გადაკეთება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად და ბიუჯეტის პროგრამულ დაფინანსებაზე თანდათანობითი გადასვლა;
4. საბიუჯეტო სისტემის უნივერსალურობის პრინციპებიდან გამომდინარე, აიკრძალა საბიუჯეტო შემოსავლების კონკრეტული მიზნებისათვის და დაწესებულებისათვის წინასწარი გამოყენების განსაზღვრა, გარდა დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტებისა და საინვესტიციო ფონდებისათვის განკუთვნილი სახსრებისა;
5. არსებითად შეიცვალა საბიუჯეტო ციკლი (პროცესი) და მისი ცალკეული ეტაპების განხორციელების ვადები და პრინციპები;
6. ადრე არსებული საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლოვანება იყო საბიუჯეტო დაგეგმვა–პროგნოზირებაში მაკროეკონომიკური კომპონენტის სისუსტე, კერძოდ, საბიუჯეტო დაგეგმვის საშუალოვადიანი პროგნოზირების არარსებობა, რაც აღმოფხვრილ იქნა მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანით;
7. საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების თვალსაზრისით მოხდა საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა ფუნქციების, მოვალეობებისა და უფლებამოსილებების მკაფიოდ განსაზღვრა;
8. გაუქმდა ხარჯების სეკვესტრირების მექანიზმი და ე.წ. ბიუჯეტის დაცული მუხლები და შემოღებულ იქნა ფულადი სახსრების მართვის ოპერატიული ფინანსური გეგმები;

9. სახელმწიფო ვალსა და სესხებზე, ასევე სახელმწიფო სასესხო გარანტიებზე დაწესებულ იქნა ლიმიტები, რომლის ფარგლებშიც ფინანსთა სამინისტრო ახდენს სახელმწიფო ვალთან, სესხებთან და სასესხო გარანტიებთან დაკავშირებული საკითხების მართვას;
10. მხარჯავი დაწესებულებების შემოწმების მიზნით შემოღებულ იქნა შიგა აუდიტის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო პროცესში დაშვებული შეცდომების გამოვლენას;
11. ჩამოყალიბდა საინვესტიციო–საბიუჯეტო ფონდები-მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების სახით, რომელთა ფორმირების წყაროებად განისაზღვრა არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული (კაპიტალური) შემოსავლები;
12. საბიუჯეტო რეგულირების შედარებით დეცენტრალიზებული მოდელი შეიცვალა რეგულირების უპირატესად ცენტრალიზებული მოდელით (გადასახადების ყველა ძირითადი სახეობა, გარდა ავტონომიური რესპუბლიკებისათვის განკუთვნილი).

საბიუჯეტო რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლის წყაროების განაწილებით. საშემოსავლო წყაროების უკმარისობის შემთხვევაში, მხოლოდ სოციალური დაცვის, ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისას და სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ, კონკრეტული ღონისძიებების და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სახელმწიფოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის შეიძლება გამოვყოთ ტრანსფერტი, აგრეთვე თუ არის თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები, შეიძლება გამოვყოთ მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხიც. ტრანსფერტის ოდენობა ცალკეული ბიუჯეტების მიხედვით მტკიცდება ახალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას და გადაეცემა ქვედა დონის ბიუჯეტს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. მიზნობრივი პროგრამებისათვის გამოყოფილი ტრასფერტების აუთვისებლობის და არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში უკან უნდა დაბრუნდეს. საბიუჯეტო სესხი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება გამოეყოს ყველა დონის ბიუჯეტს უკან დაბრუნების პირობით, ბიუჯეტის შესრულების პროცესში დროებით წარმოქმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

საწარმოები თვითდაფინანსების პრინციპიდან გამომდინარე, სტაბილური ნორმატივების საფუძველზე მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებაში, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დროულად და შეუფერხებელ დაფინანსებას, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დახმარებით საქართველომ შეძლო დაეძლია სახელმწიფო ფინანსებში შექმნილი მძიმე სიტუაცია და ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ფინანსური პროგრამის ეტაპობრივი განხორციელება. ამ პროგრამის რეალიზაციის პირველ ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო და განხორციელდა კიდეც ინფლაციის ტემპების შეზღუდვა და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, რამაც ქვეყანას საშუალება მისცა 1995 წლის სექტემბერში შემოეღო სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა - ლარი.

როგორც ვიცით, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მიღება და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით. სახაზინო სამსახურს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს შემოსავლების ერთიანი ანგარიში, ამასთან არც ერთ საბიუჯეტო ორგანიზაციას არ აქვს უფლება ხაზინის ნებართვის გარეშე რომელიმე ბანკში გახსნას ანგარიში, ამასთან, ხაზინას უფლება აქვს გააუქმოს ადრე გაცემული ნებართვა და გასცეს ბრძანება გახნილი ანგარიშების დახურვაზე. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობათა და სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების სრულ და სწორ აღიცხვაზე. ხაზინას უფლება აქვს ავტონომიურ რესპუბლიკებთან და ადგილობრივ ხელისუფლებთან შეთანხმებით მოემსახუროს მათ სახსრებისა და ანგარიშების მართვის პროცესში, ასევე მოხსენებების მომზადებისას.

საქართველოს საბიუჯეტო თანხები მოძრაობს შემდეგნაირად: გადამხდელი გადასახადს იხდის რაიონის კომერციული ბანკის ფილიალში, კომერციული ბანკის ფილიალიდან შემოსავლები გადაეცემა მის სათაო ოფისს, ხოლო შემდეგ აღნიშნული თანხები მიემართება ეროვნულ ბანკში. ეროვნულ ბანკში განთავსებულია ხაზინის ერთიანი ანგარიში, სადაც აკუმულირდება მთელი თანხები. ერთიანი ანგარიშის ქვეანგარიშებია საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტის სარეზერვო ფონდები და დეპოზიტები.

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ ხარჯების გაწევა სამი ეტაპისაგან შედგება: ვალდებულების აღება, დამოწმება და სახსრების გადახდა.

საბიუჯეტო ორგანიზაცია ბიუჯეტით დამტკიცებული სახსრების მისაღებად სახელმწიფო ხაზინაში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

- ვალდებულების დოკუმენტი - ორგანიზაციის მიერ გასაწევი ხარჯების დაფარვაზე სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის აღება;
- საგადასახადო მოთხოვნა - ორგანიზაციის მოთხოვნა სახსრების გადახდაზე;

საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებში სრულად ჩაირიცხება ქონების გადასახადი და ადგილობრივი მოსაკრებლები.

საბიუჯეტო პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიუჯეტის მონიტორინგს. ბიუჯეტი არ წარმოადგენს უბრალო ფინანსურ გეგმას, რადგან იგი ატარებს ნორმატიული აქტის ხასიათს. შესაბამისად, დაუშვებელია ნორმატიული აქტით განსაზღვრული საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შეფასების, ასევე გაკონტროლების ქმედითი ინსტრუმენტია.

2007 წლის 2 აპრილიდან სახაზინო სამსახური ჩაერთო საქართველოს ეროვნული ბანკის რეალურ დროში ანგარიშსწორების სისტემაში (RTGS) და ანგარიშსწორებას ახორციელებს თავისი კოდით.

რეფორმის ფარგლებში, სახაზინო სამსახურში მომზადდა ელექტრონული ხაზინის, ანუ ხაზინის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან ელექტრონული საგადამხდელო დოკუმენტაციის გაცვლის პროექტი; ჩატარდა ტესტირების სამუშაოები, საცდელი პროექტის სახით მიმდინარეობს პილოტ ორგანიზაცია-დაწესებულებებში დანერგვა, რომლის შემდეგ მოხდება ექსპლუატაციის რეჟიმში ჩართვა.

იმისათვის, რომ დღევანდელ ეტაპზე და მომავალში საქართველოს ხაზინამ წარმატებით შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები, ჩვენი აზრით, ამისათვის საჭიროა:

მიღებულ იქნას კანონი ხაზინის შესახებ ხაზინის ფართო უფლებებითა და მოვალეობებით;

ხაზინის როლი საბიუჯეტო სახსრების მობილიზაციასა და ხარჯვაში შეუნაცვლებადია, ის მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება თუ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი წინადადებები განხორციელდება, ვფიქრობთ, საქართველოს ხაზინა გადაიქცევა ქვეყნის ფინანსური სიმტკიცის ერთ-ერთ უმძლავრეს საფინანსო-სახელმწიფოებრივ სტრუქტურად, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს არა მარტო ქვეყნის ბიუჯეტური სახსრების მობილიზაციასა და მათ მიზნობრივ ხარჯვაში, არამედ ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაშიც, საბოლოოდ კი მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებაში, ეს კი დღეისათვის და უახლოესი მომავლისათვის ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

ლიტერატურა :

1. ხორგუაშვილი თ., „ბიუჯეტი და ხაზინა გუშინ, დღეს, ხვალ...“, გორი., 2009;
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შპს „კონგარი“, საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2009-2012 წლებისათვის მოკლე ვერსია, ივლისი, 2008;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შპს „კონგარი“, 2007-2010 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე სახელმძღვანელო, 2006;
4. ი . მესხია, კ. გაბელაშვილი, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ., 2010.

ინტერნეტ–რესურსები:

1. mof.ge
2. etreasury.ge
3. nbg.gov.ge

საერთაშორისო სალიზინგო კომპანიები

მაკა ბუზიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

თანამედროვე ბიზნესის საიჯარო ურთიერთობების მრავალფეროვან მექანიზმებს შორის თავისი დადებითი მახასიათებლებით გამოირჩევა იჯარის შესახებ შეთანხმება ერთი წლით და მეტი დროის ხანგრძლივობით, რომელიც ითვალისწინებს ფიქსირებული გადასახადების სერიას. ასეთი მექანიზმი საერთაშორისო ეკონომიკურ თეორიაში ლიზინგად იწოდება. გასული საუკუნის 80-იანი წლები ლიზინგის აღზევების პერიოდად უნდა მივიჩნიოთ. ყოველწლიურად მისი მოცულობა 15-20%-ით იზრდება.

ტერმინი ,,ლიზინგი'' ინგლისური LEASE-დანაა აღებული და ხანგრძლივ იჯარას, გაქირავებას ნიშნავს. მაინც რით განსხვავდება ლიზინგი ჩვენთვის კარგად ცნობილი იჯარისაგან? იჯარაში ვგულისხმობთ ქონების გაცემას დროებით მფლობელობაში და გამოყენებაში გარკვეული თანხის საფასურად. როგორც წესი, იჯარის გამცემმა იჯარით გასცა საკუთარი ქონება, რადგან იგი ამ მომენტში არ სჭირდებოდა ხოლო ლიზინგი ესაა ქონებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსი, რომელიც წარმოიშობა ქონების საკუთრებაში შეძენასთან, მის დროებით მფლობელობასა და გამოყენებისათვის გადაცემასთან კავშირში, გარკვეული თანხის საფასურად.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას ბევრი ახალი საფინანსო ინსტრუმენტის შემოსვლა მოჰყვა. ერთ-ერთი ასეთი ინსტრუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, როგორც ინვესტიციების აუცილებელი წყარო, არის საფინანსო იჯარა, საფინანსო ლიზინგი, ან უბრალოდ - ლიზინგი. ამგვარად, ახალი ტერმინის შემოღება აუცილებელი გახდა იჯარის ახალი სახის გამოყოფით.

კლასიკური ლიზინგი ითვალისწინებს მასში სამი მხარის მონაწილეობას:

1. ქონების მწარმოებელი (მომწოდებელი), რომელიც ქონების გამყიდველის როლშია და წარმოადგენს იურიდიულ პირს;
2. ლიზინგგამცემი, ანუ ქონების მესაკუთრე, რომელიც იძლევა ამ ქონებას სალიზინგო ხელშეკრულების საფუძველზე. ისინი შეიძლება იყვნენ ბანკები, სალიზინგო კომპანიები ან საწარმოები, რომლითაც გააჩნიათ სალიზინგო ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო სახსრები;
3. ლიზინგმიმღები, რომლებიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს იურიდიული პირი.

ლიზინგი სახსრების დაბანდების ერთ-ერთი ფორმაა უკან დაბრუნების პირობით. ესაა განსაზღვრული პერიოდით სახსრების წარდგენა, რომელსაც გარკვეული ვადით გასვლის შემდეგ ლიზინგის გამცემი უკან იბრუნებს, აქვე დახმარების გაწევისათვის იღებს დამატებით სახსრებსაც საკომისიოს სახით. ლიზინგი თავისი შინაარსით შეესაბამება საკრედიტო ურთიერთობებს, ხოლო, რადგან მსესხებელი და სესხის გამცემი ერთმანეთთან ურთიერთობისას კაპიტალს არა ფულადი, არამედ სასაქონლო ფორმით იყენებს, ამიტომ მას საერთო აქვს ინვესტირებასთან.

ლიზინგი თავისებური სასაქონლო კრედიტია, რომელიც ტრადიციული საბანკო სესხებისაგან იმით განსხვავდება, რომ ლიზინგგამცემის მიერ ლიზინგმიმღებს წარედგინება გამოსაყენებელი ქონების გადაცემის ფორმით. როდესაც ლიზინგგამცემი შეიძენს საკუთრებაში ქონებას მისი მწარმოებლისაგან სრული ღირებულებით, ლიზინგმიმღებს დახმარებას აღმოუჩენს საფინანსო მომსახურებით, ხოლო ლიზინმიმღები აანაზღაურებს ამ ღირებულებას კრედიტისათვის დამახასიათებელი პერიოდული პროცენტული გადახდებით.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ლიზინგი ფართოდ გამოიყენება და სამეწარმეო საქმიანობის მეტად მიზანშეწონილ მეთოდად ითვლება. ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა გვკარნახობს ლიზინგის როლის მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობას, რადგან იგი ნებისმიერი სახის საკუთრების ფორმის სამამულო წარმოების და საერთოდ საწარმოო სფეროს განვითარების საუკეთესო საშუალებაა. ლიზინგის ეკონომიკური არსი, როლი და შინაარსი არაერთგვაროვანად განიხილება თეორიაში და პრაქტიკაში. ერთნი ლიზინგში ხედავენ სამეწარმეო საქმიანობის დაკრედიტების მეთოდს, მეორენი მას აიგივებენ საფინანსო იჯარასთან, მესამენი საწარმოო სახსრების ყიდვა-გაყიდვის განსაკუთრებულ მეთოდად თვლიან.

სალიზინგო საქმიანობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ეკონომიკურ პროცესში, იკვეთება მისი არსი და სხვადასხვა სამეურნეო სტრუქტურებში მისი პრაქტიკული განხორციელების კონკრეტული ორგანიზაციული ფორმები. სალიზინგო მექანიზმი კავშირშია საიჯარო მექანიზმებთან, ოღონდ ბევრად რთულია და ატარებს საკრედიტო, საინვესტიციო გარიგების და საიჯარო საქმიანობის თვისებებს, იმავდროულად აყალიბებს სავსებით ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მეწარმეობას, წარმოგვიდგება რა რთული სოციალურ-ეკონომიკური აგებულების მქონედ, თავისთავში მოიცავს მთელ რიგ ფუნქციებს: საფინანსო, საწარმოო, მომარაგების, საამორტიზაციო, საგადასახადო, შეღავათების გამოყენების და სხვა. მსოფლიო მასშტაბით დარეგისტრირებულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სალიზინგო კომპანიები. მათი ძირითადი მიზანია მომგებიანი პირობებით ქონების შეძენა და მისი გაცემა ლიზინგით. სალიზინგო კომპანიის დამფუძნებლები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები ან იურიდიული პირები.

ლიზინგი წარმატებით ვითარდება ყველა კონტინენტზე, ამას ხელს უწყობს ლიზინგის განსაკუთრებულობა და სახელმწიფო მხარდაჭერა. კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე ლიზინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ფუნქციონირებს რამდენიმე ათასი სალიზინგო კომპანია. დასავლეთის რამდენიმე წამყვან ქვეყანაში ლიზინგის წილად მოდის ახალ ინვესტიციათა 30%-ზე მეტი, ხოლო წლების მანძილზე მსოფლიო მაშტაბით სალიზინგო ოპერაციები გაიზარდა ხუთჯერ.

ბევრ ქვეყანაში, სადაც ლიზინგით და სალიზინგო ურთიერთობებით დაინტერესდნენ, სალიზინგო კომპანიებმა თავისი ინტერესების დაცვისა და განვითარების მიზნით შექმნეს ნაციონალური სალიზინგო ასოციაციები. სამ კონტინენტზე ნაციონალურმა სალიზინგო კომპანიებმა დააარსეს რეგიონალური ორგანიზაციები, სალიზინგო სფეროს საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის, ფორუმების ჩატარების, დისკუსიებისა და სალიზინგო სფეროში ცოდნის დაგროვებისათვის.

ევროპაში ასეთ ასოციაციას წარმოადგენს LEASEUROPE - Europen Federacion of Eguipment Leasing Company Association (სალიზინგო კომპანიების ასოციაციათა ევროპის ფედერაცია). იგი 1972 წელს დაფუძნდა, მისი ცენტრალური ოფისი ბრიუსელში მდებარეობს. თანამედროვე ეტაპზე ფედერაციაში გაწევრიანებულია 31 ნაციონალური სალიზინგო ასოციაცია, რომლებიც წარმოადგენენ 1300-ზე მეტ სალიზინგო კომპანიას. 2004 წელს ასოციაციაში გაწევრიანებულმა სალიზინგო კომპანიებმა მოახდინეს 230 მილიარდიანი ევროს ინვესტირება მოწყობილობის და უძრავი ქონების სალიზინგო გარიგებებით, რამაც შეადგინა ევროპის სალიზინგო ბაზრის 92% და მსოფლიო სალიზინგო ბაზრის 45%.

აზიაში ასეთ ასოციაციას წარმოადგენს ASIALEASE – Asia Leasing Association – the Umbrella Organizacion for the nacional Leasing Industry Association if Asia, (აზიის სალიზინგო ასოციაცია). იგი დაფუძნდა 1982 წელს, მისი ცენტრალური ოფისი სინგაპურში მდებარეობს. ასოციაცია აერთიანებს აზიური რეგიონების 16 ქვეყანას. აგრეთვე რამდენიმე საერთაშორისო წევრს. მისი შექმნის მიზანი იყო სალიზინგო მომსახურების გაფართოება, მოდერნიზირება და არსებული გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

სამხრეთ ამერიკაში ასეთ ასოციაციას წარმოადგენს FELALEASE – Latin American Leasing Federacion. იგი დაფუძნდა 1983 წელს, მისი ცენტრალური ოფისი მექსიკაში მდებარეობს. 1984 წელს ამ სამმა ფედერაციამ, აშშ-სა და ავსტრალიის სალიზინგო კომპანიებთან ერთად დააარსა WORLD LEASING COUNSIL - მსოფლიო სალიზინგო საბჭო.

The Eguipment Leasing Association (ELA00) - აშშ-ს სალიზინგო ბაზრის მონაწილეთა უმსხვილესი ასოციაცია. იგი დაფუძნდა 1961 წელს და აერთიანებს 800-ზე მეტ სალიზინგო კომპანიას.

საერთაშორისო საფინანსო-სალიზინგო ასოციაცია - Internacional Finance and Leasing Association, რომელიც დაფუძნდა 1965 წელს. მის შემადგენლობაში შედის 25 სალიზინგო კომპანია, თითო ქვეყნიდან მხოლოდ ერთადერთი, ასოციაციის 17 წევრი ევროპული სალიზინგო კომპანიებია, 5 - აზიის ქვეყნებიდან, ერთი – აშშ-დან, ავსტრალიიდან და აფრიკიდან.

Unaited Association of Eguifment Leasing - სიდიდით მეორე სალიზინგო ასოციაცია აშშ-ში. მის შემადგენლობაში 400-ზე მეტი სალიზინგო კომპანიაა. იგი დაფუძნდა 1975 წელს.

Bundesverband Deutscher Leasing – Gesellschaften e.v. - გერმანიის სალიზინგო ასოციაცია აერთიანებს სალიზინგო ბაზრის 120 ძირითად ოპერატორს, დაფუძნდა 1972 წელს.

Japan Leasing Associacion - იაპონიის სალიზინგო ასოციაცია. იგი დაფუძნდა 1971 წელს და ითვლის 360 წევრს. სალიზინგო ბიზნესი იაპონიაში განვითარებას იწყებს XX ს-ის 60-იან წლებიდან. თანამედროვე ეტაპზე, სალიზინგო ოპერაციების მოცულობების მიხედვით იაპონიას მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, აშშ-ს შემდეგ. იაპონიის სალიზინგო მომსახურებათა ბაზარზეა სიდიდით

განსხვავებული უამრავი კომპანია, რომელთა წილად მოდის ქვეყანაში გაფორმებული სალიზინგო ხელშეკრულებების მოცულობის 47,5%.

Britigh vehicle rental and Leasing Association - დიდი ბრიტანეთის უმსხვილესი ასოციაცია. იგი დაფუძნდა 1967 წელს და აერთიანებს 800-ზე სალიზინგო კომპანიას. ასოციაციის წევრები წარმოადგენენ ქვეყნის ავტოლიზინგის ბაზრის 85% და ყოველწლიურად ყიდულობს 900 000 ავტომობილზე მეტს.

ნაციონალური სალიზინგი ასოციაცია - national vehicle leosing association - დაფუძნდა 1968 წელს და აერთიანებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ლიზინგზე სპეციალიზირებულ კომპანიებს. ასოციაციის წევრები არიან ავტომობილების მწარმოებლები და ავტოდილერებიც.

საერთაშორისო საფინანსო-სალიზინგო კორპორაცია ilfg დაფუძნდა 1973 წელს აშშ–ში. ირლანდიურ ,,guness peat aviacion group" (cpa)-სთან ერთად ის განსაზღვრავს მდგომარეობას სალიზინგო ბაზარზე. მათ პორტფელში 150-ზე მეტი თვითმფრინავია. აღნიშნულ კორპორაცია კლიენტებს სთავაზობს თვითმფრინავებს 3–15 წლის ვადით.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ლიზინგის განვითარებისათვის საკმარისი არაა სპეციფიკური კანონმდებლობა, მის ხელშეწყობაში დომინირებს ქვეყნის ეკონომიკური პირობები, საინვესტიციო საქმიანობისადმი სახელმწიფო მხარდაჭერა და ა.შ. ლიზინგის სტიმულირებისათვის სალიზინგო კომპანიებს სახელმწიფოს მხრიდან წარედგინებათ სუბსიდიები და სხვა შეღავათები. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სწრაფად იზრდება სალიზინგო ინდუსტრია.

თანამედროვე ეტაპზე ლიზინგის ერთიანი ბაზარი არ არსებობს, მაგრამ ნაციონალური სალიზინგო ბაზრების განვითარების პროცესი დაწყებულია. დღევანდელი მდგომარეობით სალიზინგო მომსახურებათა ბაზარზე მონაწილეობს 100 ქვეყანაზე მეტი. ამ რაოდენობაში ნახევარი განვითარებადი ქვეყნებია, სადაც ლიზინგს აქვს განვითარების დაჩქარებული ტემპები.

ლიტერატურა:

1. ნ. ლიპარტელიანი, ლიზინგი (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2006;
2. ა. გორდელაძე, ,,ლიზინგის განვითარების პერსპექტივები'', პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ,,ინტელექტი'', №1(15), 2003;

ინტერნეტის რესურსები:

1. www.ifc.org
2. www.leasing.org.

შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში

მანანა გაგნიძე, ლიკა ტერტერაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანული ქოქაშვილი**, აკადემიური დოქტორი

შრომის ბაზარი და მისი განვითარების ტენდენციები ქვეყნის საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვალებადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მასში როგორც ეკონომიკის განვითარების სარკეში, ნათლად აისახება ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ცვალებადობის რეალური სურათი. ამიტომ შესაბამისი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა საფუძველია სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკისა და საბაზრო ურთიერთობათა მენეჯერული მართვის ღონისძიებათა შესამუშავებლად.

შრომის ბაზარს, პირველ რიგში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (დასაქმებულები და უმუშევრები) რიცხოვნობა და შემადგენლობა განსაზღვრავს. სწორედ აქტიური მოსახლეობა სთავაზობს ქვეყნის შრომის ბაზარს თავის სამუშაო ძალას, ხოლო მოსახლეობის აქტიური ნაწილი (16 წელზე უმცროსი ასაკის პირები, მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონერები, კონტიგენტი, რომელსაც გადაეწურათ სამუშაოს მიღების იმედები და აქტიურად აღარ ეძებენ მას, პირები, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული შემოსავლის წყარო და არა აქვთ მუშაობის სურვილი და სხვა). მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებზე.

აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის ფორმირება კი ხდება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი პროფესიონალური და სხვა ნიშნების მიხედვით ჩამოყალიბებული სტრუქტურის, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით.

უკანასკნელი ოცწლიანი პერიოდის მანძილზე საქართველოში ცნობილი ნეგატიური მოვლენების განვითარებამ, ცხადია, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის რეპროდუქციულ მაჩვენებლებზე. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ომების შედეგად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ, ეკონომიკის კოლაფსმა, სიღატაკისა და მის საფუძველზე შრომითი ემიგრაციული პროცესების განვითარებამ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თითქმის ერთი მილიონით შეამცირა. სამწუხაროდ იგივე პროცესები განვითარდა ჩვენი საუკუნის პირველი რვაწლიანი პერიოდის მანძილზე, რაც უარყოფითად აისახა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდამდეც კი. 2000 წლის პირველი იანვრიდან 2008 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მოსახლეობა 4435,2 ათასი კაციდან 4382,1 ათას კაცამდე შემცირდა. თუ ამ პერიოდის ცალკეული წლების მიხედვით მოსახლეობის ცვალებადობის ჭრელ სურათს ცნობილი სტატისტიკური მეთოდებით მოვასწორებთ, მივიღებთ მოსახლეობის რიცხოვნობის განვითარების შესაბამის ტენდენციებსა და კანონზომიერებებს.

ვნახოთ, რა გავლენა მოახდინა საქართველოში მოსახლეობის ასაკობრივმა სტრუქტურულმა ძვრებმა შრომითი რესურსების ფორმირებაზე, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები:

შრომისუნარიანი და არაშრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი
საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში

წლები / მოსახლეობის კატეგორიები	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
სულ მოსახლეობა მათ შორის	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
შრომისუნარიანზე უმცროსი	22,6	22,0	21,4	21,0	20,2	19,5	18,8	18,7
შრომისუნარიანი	61,30	61,6	62,2	62,8	63,5	64,1	64,7	64,8
შრომისუნარიანზე უფროსი	16,1	16,4	16,4	16,2	16,3	16,4	16,5	16,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოცემულ პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზარდა 61,3%-დან 64,7%-მდე, აბსოლუტურად 2676,9 ათასი კაციდან 2832,4 ათასი კაცამდე. თითქმის უცვლელი დარჩა ანუ სტაბილიზაციით გამოირჩევა საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი (აბსოლუტურად 705,2 ათასი კაციდან მხოლოდ 724,9 კაცამდე გაიზარდა). მაშასადამე,

შრომისუნარიანი მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი გადიდება მოცემულ პერიოდში მხოლოდ შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი შემცირების ხარჯზე მოხდა. ეს კი ძირითადად გამოწვეულია შობადობის მკვეთრი შემცირებით. უკანასკნელი 30 წლიან პერიოდში საქართველოს მკვეთრად დაეცა შობადობის მაჩვენებელი როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით პრომილებში გაანგარიშებით. მცირეოდენი ზრდის ტენდენციით ხასიათდება მოკვდაობის მაჩვენებელი. შობადობის მკვეთრი დაცემა საქართველოში 16 წლის წინანდელ პერიოდში დაიწყო და განსაკუთრებით თავი იჩინა 2000-2004 წლებში, რამაც თითქმის დეპოპულაციის ზღვარზე მიიყვანა მოსახლეობის ბუნებრივი მატება (აღსანიშნავია, რომ უკანასაკნელი 30 წლიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლები სტაბილურობით ხასიათდება. 1980 წლიდან 2007 წლამდე საქართველოში გარდაცვლილთა რიცხვი წელიწადში 43,3 ათასი კაციდან მხოლოდ 41,2 ათას კაცამდე შემცირდა, ხოლო პრომილებში გაიზარდა კიდევ 8,5%-დან 9,4%-მდე. მკვეთრად შემცირდა, ამავე პერიოდში შობადობა წლიურად 89,5 ათასი კაციდან შემცირდა 44,3 ათას კაცამდე, პრომილებში 17,6%-დან შემცირდა 11,2%-მდე. 1999-2004 წლებში ეს მაჩვენებლები თითქმის ერთმანეთს გაუტოლდა). ამით აიხსნება, აგრეთვე შრომისუნარიან ასაკში ყველაზე აქტიური ასაკის (29 წლიდან 45 წლამდე) მქონე მოსახლეობის ხვედრით წილის შემცირება მოცემულ პერიოდში (35,8%-დან 2002 წ. 32,3-მდე 2008 წ.). უნდა ვივარაუდოთ, რომ 2000-2004 წლებში მოსახლეობის თითქმის ნულოვანი ბუნებრივი მატების მაჩვენებლები უფრო მეტი უარყოფითი შედეგებით აისახება შრომით რესურსების ფორმირებაზე უახლოესი 10-15 წლიანი პერიოდის განმავლობაში. შედეგად დაიკლებს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები და შესაბამისად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვიც. ეს კი უარყოფით გავლენას მოახდენს შრომის ბაზარზე საქართველოში, ამიტომ საჭიროა ახლიდან გატარდეს საქართველოში აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა მოსახლეობის დეპოპულაციური პროცესების აღსაკვეთად შრომითი რესურსების როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური შევსების მიმართულებით. საინტერესოა, რა ტენდენციებით ხასიათდება საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების განვითარება უკანასკნელი 2001-2007 წლების მონაკვეთში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომელიც სთავაზობს შრომის ბაზარს თავს სამუშაო ძალას გამოსაყენებლად (დასაქმებულები და უმუშევრები), 2001 წელს მთელი მოსახლეობის 48%-ს, ხოლო 2007 წელს 44%-ს შეადგენს, ანუ 4%-ით დაიკლო, რაც უარყოფითი მაჩვენებელია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან 2001 წელს დასაქმებული იყო 89%, ხოლო 2007 წელს 86,7%. შესაბამისად, გაიზარდა ამ პერიოდში უმუშევრების ხვედრითი წილი - 11,1%-დან 13,3%-მდე. ეს არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიხედვით გაანგარიშებული უმუშევრობის სტატუსი მკაცრი კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც ეხება მხოლოდ იმ კონტიგენტს, რომელსაც არა აქვს სამუშაო, არ უმუშავია გასული ერთი კვირის განმავლობაში არც ერთი საათი და აქტიურად ეძებს სამუშაოს. ცხადია, გაცილებით მეტი იქნება უმუშევრობის სტატუსის შერბილებული კრიტერიუმით გაანგარიშებული უმუშევრობის დონე საქართველოში, რომელიც მოიცავს აგრეთვე იმ უმუშევრებს, რომლებსაც გადაეწურათ სამუშაოს შოვნის იმედი და აღარ ეძებენ რაიმე სახის სამუშაოს.

დასაქმებულებიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის სოფლის მეურნეობაზე, ნადირობისა და სატყეო მეურნეობაზე. ეკონომიკური საქმიანობის ამ დარგის ხვედრითი წილი აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით არ შეიცვალა 2002-2007 წლებში და დარჩა 53-54%-ის დონეზე. თუმცა ამ დარგის ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ღირებულებაში საქართველოში 2002 წელს 19,2%-დან 2007 წელს 9,5%-მდე დაეცა, რაც მიმანიშნებელია იმაზე, რომ მოცემულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეს მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური საქმიანობის სფერო არ იყო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება. მნიშვნელოვნად შემცირდა 2001-2007 წლებში დასაქმებულთა რიცხოვნობა და ხვედრითი წილი ეკონომიკური საქმიანობის ისეთ დარგში, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა. პერიოდში მოცემულ დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა 105,2 ათასი კაციდან 64,7 ათას კაცამდე, ანუ მთლიანი ეკონომიკის სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის მიმართ პროცენტობოთ 5,6%-დან 3,8%-მდე შემცირდა, რაც რაციონალურ ტენდენციაზე მეტყველებს.

მაგრამ თუ ჩავხედავთ მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების ანუ გამოყენების სტრუქტურას, ნათლად დავინახავთ, რომ 2007 წელს 2003 წელთან შედარებით სახელმწიფო მართვის ორგანოების თითქმის 40%-ით შემცირებული აპარატის შენახვა 4,4-ჯერ მეტი უჯდება ქვეყანას. ასეთ ტენდენციაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

საბოლოო მოხმარების ხარჯები საქართველოში 2003-2007 წწ.

წლები მოსახლეობის კატეგორიები	2003		2004		2005		2006		2007	
	აბსო-ლუტური მლნ.ლარი	% ჯამი-სადმი	აბსო-ლუტური მლნ. ლარი	% ჯამი-სადმი	აბსო-ლუტური მლნ.ლარი	% ჯამი-სადმი	აბსო-ლუტური მლნ.ლარი	% ჯამი-სადმი	აბსო-ლუტური მლნ. ლარი	% ჯამი-სადმი
საბოლოო მოხმარების ხარჯები სულ მათ შორის	7028,8	100,0	8573,8	100,0	9794,1	100,0	12972	100,0	15731,9	100,0
შინა მეურნეობების	6129,8	87,2	7148,5	83,4	7719,7	78,8	10803	83,3	11952,7	76,0
შინა მეურნეობების მომსახურე არა კომერციული ორგანიზაციების	62,8	0,9	46,2	0,5	60,5	0,6	52,4	0,4	61,3	0,4
სახელმწიფო მმართველობის	836,2	11,9	1379,1	16,1	2014,9	20,6	2116,0	16,3	3717,9	23,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოცემულ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის საბოლოო მოხმარების ხარჯებში შემცირდა შინამეურნეობებისა და მათი მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების საერთო დანახარჯები 81,1%-დან 76,4%-მდე. აბსოლუტურად კი 836,2 მლნ. ლარიდან 3717,9 მლნ. ლარამდე. საინტერესო ტენდენციით ხასიათდება სახელმწიფო მმართველობის ხარჯების სტრუქტურის დინამიკა ინდივიდუალური საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე კოლექტიური მომსახურების ხარჯების მიხედვით.

2003-2007 წლებში სახელმწიფო მმართველობის საერთო სტრუქტურაში მკვეთრად გაიზარდა კოლექტიური მომსახურების ხარჯები როგორც აბსოლუტური (424,4 ათასი ლარიდან 3003,2 ათას ლარამდე), ისე შეფარდებით (51,7%-დან 80,8%-მდე). შესაბამისად შემცირდა შეფარდებით მაჩვენებლები.

ახლა ვნახოთ როგორია შრომის ბაზრის განვითარების კონდენციები შრომის ანაზღაურების სფეროში.

ეკონომიკაში დასაქმების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2003-2007 წლებში გაიზარდა 125,9 ლარიდან 368,1 ლარამდე, ანუ 2,92-ჯერ. თუ გავითვალისწინებთ სამომხმარებლო ფასების ყოველწლიური ჯაჭვური ზრდის ტემპებს (იხ. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2008 წ., გვ. 260) და მათ ერთმანეთზე გადავამრავლებთ, მივიღებთ ფასების საბაზისო ზრდის ტემპს 2003-2007 წლებში 1,43-ს. ფასების ამ დეფლატორის გამოყენებით 2007 წლის საქართველოს ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური რეალური ხელფასი 368,1:1,43=257,4 ლარს, რაც მაინც დაბალია ცხოვრების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მაღალი ანაზღაურებით გამოირჩევა ეკონომიკური საქმიანობის ისეთი სფეროები, როგორებიცაა საფინანსო, სამთომომპოვებელი, სახელმწიფო მმართველობის, კავშირგაბმულობის და მშენებლობის დარგები. ყველაზე დაბალი ანაზღაურებით გამოირჩევა განათლება, სოფლის მეურნეობა. უნდა აღინიშნოს, რომ განათლების დარგში მუშაკთა საშუალო თვიური ანაზღაურების შეფარდება კი არ გაზრდილა მთელს ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიურ ანაზღაურებასთან, არამედ შემცირდა კიდეც 0,61-დან 0,56-მდე. რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოცემულ პერიოდში განათლების ეკონომიკური საქმიანობის სფერო არ იყო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება.

შრომის ბაზრის აქტიური განვითარებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში სამამულო წარმოების განვითარებას და საინვენსტიციო პროექტებში ადგილობრივი შრომითი

რესურსების გამოყენება-დასაქმებას. ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ლიტერატურა:
1. მ. კაკულია, „მაკროეკონომიკური შედარება“, დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი
2. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო, 2007;
3. საქართველოს მთავრობა, ძირითადი მიზნები და მიმართულებები 2007-2010 წწ.;
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008;
5. საქართველოს სტატისტიკის წელიწდეული 2009;
6. www.wikipedia.ge

სასტუმროების ბიზნესი ძველ და ახალ ბათუმში

მეგი გიგაური, თეონა გოგიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

ბათუმი ოდითგან იყო დიდი მნიშვნელობის მქონე პორტი. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იგი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზღვაო კურორტს. ბანკებისა და სასტუმროების უმეტესობა ამჟამინდელი ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობდა. ეს ქუჩა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა ბათუმში და ძირითადად სავაჭრო და საზოგადოებრივი შენობების სიმრავლით იყო ცნობილი. მაშინ ბათუმში სულ ათამდე სასტუმრო იყო და რამდენიმე მათგანი პირველი კლასის სასტუმროდ მიიჩნეოდა, მათ შორის: ,,ფრანცია”, ,,ბელ-ვიუ” და ,,ევროპა”. სწორედ აქ ჩერდებოდნენ ბათუმში ჩამოსული უცხოელები და მდიდარი ქართველები.

მიხაილოვის, თანამედროვე ზვიად გამსახურდიას ქუჩის 6 ნომერში, მე-19 საუკუნის ბოლოს, სასტუმრო ,,ფრანცია” მოქმედებდა, რომლის მეპატრონე ალექსანდრე ბახმეტოვი გახლდათ. დღეს ეს შენობა ნაკლებად ჰგავს ძველ ბათუმურ სასტუმროს, სადაც პირველ სართულზე რამდენიმე ფარდული და რესტორანი იყო განთავსებული, ეზოში ქვის შენობა, სავარაუდოდ, სამზარეულოსთვის იყო განკუთვნილი. ზედა ორ სართულზე კი განლაგებული იყო სასტუმროს ნომრები. ეს შენობა ძველი ბათუმის ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა გახლდათ.

სასტუმრო ,,ფრანცია” ბათუმში ერთ-ერთ ყველაზე მოდურ სასტუმროდ ითვლებოდა, ამაზე სხვადასხვა წყაროები მოწმობენ. ამ სასტუმროს თავის მოგონებებში ახსენებს ავქსენტი ცაგარელიც, რომელიც წერს, რომ ქალაქში რამდენიმე ევროპული სასტუმრო იყო, მათ შორის ,,ფრანცია”, რომელსაც ,,რიგიანად მოწყობილი” ნომრები ჰქონდა.

იმავე ქუჩის 13 ნომერში ასეთივე ევროპული სახელწოდების კიდევ ერთი სასტუმრო იყო. ,,ლონდონი” პირველი კლასის სასტუმროს წარმოადგენდა. მისი მფლობელები ვინმე გუგუშვილი და გაბელია ყოფილან. ვერანდაზე მოწყობილი ბაღის წყალობით, ,,ლონდონი” ქალაქში საკმაოდ პრესტიჟულ სასტუმროდ მიიჩნეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი სასტუმროს შენობა ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია, მისი მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობა ბათუმისთვის დიდია.

კიდევ ერთი პირველი კლასის სასტუმრო - ,,ბელ-ვიუ” სანაპიროზე მდებარეობდა. ,,ბელ-ვიუს” სარეკლამო ფურცელში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასტუმროში ნომრები ავეჯითაა გაწყობილი, არის ელექტრონი, ტელეფონი, პიანინო, სასტუმროს ფანჯრებიდან კი ზღვის ხედი იშლება. ,,ბელ-ვიუში” პირველი კლასის რესტორანიც ფუნქციონირებდა, სადაც ევროპული და რუსული სასმელების ფართო არჩევანიც ყოფილა. ,,ბელ-ვიუს” მფლობელი კი სომეხი გახლდათ, გვარად სულულიკიანი.

პირველი კლასის სასტუმროებში ფასები 1 მანეთიდან 5 მანეთამდე მერყეობდა, ნომრის კეთილმოწყობის, ხედისა და მომსახურების ხარისხის მიხედვით.

ბათუმი იზრდება და მატულობს არათუ წლობით და თვეობით, არამედ ყოველდღიურად. ქალაქი სწრაფად იზრდება, იცვლება და ლამაზდება. თითქმის ყოველ კვირას იბადება ახალი შენობა, რომელიმე ახალი დაწესებულება, ახალი ქუჩა, ახალი ქარხანა და სხვა. დღეს ბათუმში ძალიან ბევრი სასტუმროა, მაგრამ აღარ არსებობს არც სასტუმრო ,,ფრანცია”, არც ,,ბელ-ვიუ”. ეს სასტუმროები, მათი

მფლობელებით, შენობის თავდაპირველი ფასადებით და ავეჯით გაწყობილი ნომრებით მხოლოდ ფოტოებსა და ჩანაწერებში შემორჩა.

დღესდღეობით ბათუმში სასტუმროების ფართო არჩევანია. ისინი დამსვენებლებს სთავაზობენ მომსახურების მრავალფეროვან პაკეტს. დღეს მოქმედ სასტუმროებს შორის აღსანიშნავია ისეთი მაღალი კლასის სასტუმროები, როგორებიცაა: ,,შერატონი", ,,ინტურისტ პალასი", ,,რჩეული ვილა", ,,ალიკი", ,,ებრისი", სასტუმრო ,,ძველი ბათუმი", ,,ბათუმი", ,,ანკარა" და ა.შ.

სასტუმრო ,,შერატონი", რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ,,თეთრი სასწაული" უწოდა 23-სართულიანი სასტუმროა და მისი მშენებლობა 2007 წელს დაიწყო. სამუშაოები თურქულმა კომპანიამ ,,ნუროლ"-მა შეასრულა. პროექტი 40 მლნ. აშშ დოლარი დაჯდა. ,,ნუროლი" ანალოგიურ საინვესტიციო პროექტებს საემიროებში, ლიბიაში და ალჟირში ახორციელებს.

მენეჯერები 17-მილიონიან ინვესტიციის ამოღებას და მოგების მიღებას დაახლოებით 15 წლის შემდეგ ვარაუდობენ.

სასტუმროს აქვს: 203 ნომერი, სამი რესტორანი, ოთხი ბარი, ღია და დახურული აუზები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპა სალონები, ასევე პოპულარული თურქული აბანო, ერთი კაზინო და ორი საკონფერენციო დარბაზი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაერთიანდეს ან საკონცერტო დარბაზადაც გადაკეთდეს.

სასტუმროს სერვისით სარგებლობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის საკმაოდ ძვირია. ნომრების ფასი 150 დოლარიდან იწყება და 2000 დოლარამდე ადის. ზაფხულის სეზონზე ფასი კიდევ უფრო იზრდება.

სასტუმრო ,,ინტურისტ პალასი" გახლავთ 5 ვარსკვლავიანი თანამედროვე სასტუმრო, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში, შავი ზღვის სანაპიროზე. იგი აშენდა 1940-იან წლებში. სასტუმროში უცხოვრია 450 000-ზე მეტ უცხოელ ტურისტს, პოლიტიკოსს, დიპლომატს, ბიზნესმენს და სპორტსმენს. სასტუმროში ასევე გამართულა საერთაშორისო კონფერენციები და ფორუმები.

სასტუმროს აქვს კაზინო, ორი რესტორანი, ღია აუზი, საუნა, თურქული აბანო, ფიტნესს-ცენტრი და სხვა.

,,ინტურისტ პალასი" განთავსებულია მომრგვალებული ტიპის შენობაში, რომელიც ქუჩის მეორე მხარეს საზაფხულო კაფეს გადაჰყურებს. სასტუმროში არის როგორც ერთადგილიანი, ასევე ორადგილიანი ოთახებიც, ლუქსი, პრეზიდენტის და პრემიერის ნომრები.

სასტუმრო ,,ერაპალასი" დასვენებისთვის და საქმიანი ვიზიტისთვის საუკეთესო არჩევანია. 8 სართულიანი სასტუმრო, 6 სახის კომფორტული 39 ნომრით, განთავსებულია ქალაქის შუაგულში, ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, რაც ქალაქის ნებისმიერ წერტილში მარტივად და თავისუფლად გადაადგილების საშუალებას იძლევა.

სასტუმროს ირგვლივ მრავალი სავაჭრო და გასართობი ცენტრია. აქედან რამდენიმე წუთში შეიძლება მოხვდეთ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ბიზნეს-ცენტრებსა და დასვენების სხვადასხვა ადგილას. ,,ერაპალასიდან" სულ რაღაც 5 წუთის სავალზე, ბათუმის ბულვარის გავლით, შავი ზღვის სანაპიროზე აღმოჩნდებით.

პატარა მდიდრული სასტუმრო ,,რჩეული ვილა" განთავსებულია ძველი ბათუმის ცენტრში, 5 წუთის სავალი გზის დაშორებით ბათუმის ცნობილი ,,ბულვარიდან". 10 დახვეწილი ოთახი მარმარილოს იატაკით, ანტიკვარული ავეჯითა და აქსესუარებით არის მოწყობილი. სასტუმრო იდეალური ადგილია დასვენებისა და ბიზნესისათვის.

,,რჩეული ვილა" გთავაზობთ სრულად აღჭურვილ საკონფერენციო დარბაზს, რომელიც 20 ადამიანზეა გათვლილი. ასევე აქვს კაფე, სადაც საუზმით უმასპინძლდებიან სტუმრებს.

4 ვარსკვლავიანი სასტუმრო ,,ალიკი" აშენებულ იქნა 1996 წელს. იგი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, რომელიც საუკეთესო ადგილმდებარეობაა ბიზნესმენებისა და დიპლომატების საქმიანობისთვის. სასტუმრო 200 მ-ით არის დაშორებული სანაპირო ზოლიდან, 3 კმ-ით აეროპორტიდან და 1 კმ-ით პორტიდან. ქალაქის ღირსშესანიშნაობები განლაგებულია სასტუმროს ირგვლივ. ფასი 70-დან 150დოლარამდე მერყეობს ოთახების რაოდენობის მიხედვით. ნომრის ღირებულებაში შედის საუზმე და საუნა 9 სთ-დან 12სთ-მდე.

5 სართულიანი სასტუმრო ,,ებრისი" მდებარეობს ბათუმის ძველ პრესტიჟულ უბანში (თეატრის გვერდით), საიდანაც ბულვარის ცენტრალურ შესასვლელამდე მხოლოდ 200 მეტრია. ნომრების რაოდენობა – 15. საკონფერენციო დარბაზი 40 კაცზე, ბარ-რესტორანი, ინტერნეტი. ყველა ნომერს აქვს სამზარეულო კუთხე.

უნიკალური, სამვარსკვლავიანი სასტუმრო ,,ანკარა" წყნარი და კომფორტული დასვენების საშუალებას აძლევს ბათუმში ჩამოსულ დამსვენებლებს და საქმიანი ვიზიტით მყოფ სტუმრებს.

სასტუმროს აივნებიდან იხსნება ხედი აჭარის მთიანეთისკენ. არის ნომრების ფართო არჩევანი, როგორც სტანდარტული, ასევე ლუქსები, რომლებშიც არის ბუხრები. ნომრები აღჭურვილია თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკით. პირველ სართულზე რესტორანია, რომელიც იტევს 30 ადამიანს და გამოიყენება ასევე საბანკეტოდ.

სასტუმრო ,,ბათუმი" ფუნქციონირებს 2002 წლიდან. მდებარეობს ბათუმის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში. სასტუმრო ახლოსაა როგორც ზღვის სანაპირო ზოლთან, ასევე აეროპორტსა და პორტთან.

სასტუმრო ,,ბათუმი" გამოირჩევა მომსახურების მაღალი დონით, კვალიფიციური მომსახურე პერსონალით.

გააჩნია მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების საწარმოებლად განკუთვნილი 50 ადამიანზე გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზი, სადღეღამისო რესტორანი, ღია ბარი, საუნა, პოკერ-კლუბი, კომპიუტერული და ინტერნეტ-მომსახურება, ფაქსი, ავტოსადგომი გათვლილი 18 ავტომობილზე, რომელიც ხელს უწყობს მშვიდ დასვენებას.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, აჭარის რეგიონში შიდა და უცხოელი ტურისტების რაოდენობამ 2010 წლის იანვარ-სექტემბერში 800 000-ს გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2-ჯერ მეტია. 2008 წელთან შედარებით კი - 3,6-ჯერ მეტი. ვიზიტორების უმრავლესობა უცხოელი ტურისტები არიან, მათ შორის 42% თურქეთიდან იყო, შემდეგ მას მოყვება სომხეთი, აზერბაიჯანი და ა. შ ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბათუმში არსებული სასტუმროები არაა საკმარისი და საჭიროა ამ ბიზნესის მეტად გაფართოება.

ლიტერატურა:

1. გაზეთი ,,ივერია", N146, 1891.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://ka.wikipedia.org
2. www.davisvenot.ge
3. www.batumi.ge
4. www.concordtravel.ge
5. www.hotelbatumi.ge
6. http://oldbatumi.wordpress.com/

მცირე ბიზნესის სოციალურ–ეკონომიკური ეფექტი და სახელმწიფოს პოლიტიკა

მარიკა გოგიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ფარვიზ სირბილაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე**, სრული პროფესორი

დღეს, როდესაც უმუშევრობა, ან უმუშევრობის შიში პიკს აღწევს, როდესაც ქვეყანას უკიდურესად სჭირდება უფრო მეტი წარმოებული პროდუქტი და მომსახურება, როდესაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა საერთო ეროვნულ ამოცანად შეიძლება ჩაითვალოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესი, მისი ხელშეწყობა და განვითარება. ბევრი საუბარია ამ თემაზე, ბევრიც მცდელობები, თუმცა შედეგები ჯერ-ჯერობით იმის გარდა, რომ ჩვენთან თითქმის ყველაზე ადვილია ბიზნესის კეთება, ფაქტიურად არ არის. უმუშევრობა ისევ მაღალია. ადამიანები ვერ პოულობენ გზას საით წავიდნენ სამსახურის საშოვნელად, ვერ პოულობენ ძალებს რისკიანი ნაბიჯების გადასადგმელად. ამ პირობებში

სახელმწიფოს წლების განმავლობაში ეკავა ისეთი პოზიცია, თითქოს საბაზრო ეკონომიკას თვითონ უნდა „ამოექოქა“ თავის თავი, არ იყო საჭირო პრიორიტეტები, არ იყო საჭირო დამატებითი სტრატეგია მცირე ბიზნესის ან ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის ხელშეწყობისთვის. დღეს ყველა ცხადად ხედავს, რომ უბრალოდ დაიკარგა დრო, არ გადაიდგა დროული ნაბიჯები ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერისთვის.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ სახელწოდებით „ბიზნესის კეთება 2010“ საქართველოს მეთერთმეტე ადგილი არგუნა, რითაც ხელისუფლება ხშირად ამაყობს. თუმცა, იმავე ბანკის მონაცემებით, ჩვენი ქვეყანა გადასახადების გადახდის სიმარტივის მხრივ 64-ე ადგილზეა - საშუალო ზომის კომპანიები წელიწადში 387 საათს კარგავენ გადასახადების გადახდის პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესის დახურვის თვალსაზრისით კი საქართველოს 95-ე ადგილი უჭირავს, რადგან გაკოტრების პრობლემების მოგვარებას სამი წელიწადი სჭირდება.

ამერიკაში მთლიან დასაქმებულთა 65% მცირე ბიზნესშია დასაქმებული, ინგლისში - 49%, გერმანიაში - 80%. ჩვენს ქვეყანაში კი მთლიან დასაქმებულთა დაახლოებით 25%-ია მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული. პრეზიდენტის მიერ ინიცირებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ კიდევ უფრო ლიბერალურსა და მიმზიდველს ხდის საქართველოში ბიზნესის კეთებას.

2008 წელს დაიწყო „იაფი კრედიტების“ სახელმწიფო პროგრამაც, რომელიც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისკენ იყო მიმართული. პროგრამის ფარგლებში დღეისათვის 134 კომპანიაზე დაახლოებით 65 მილიონი ლარია გაცემული.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 2009 წლის მესამე კვარტალში მცირე საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 76%-ით მეტია, ხოლო მცირე საწარმოთა რიცხვი 46%-თაა გაზრდილი.

თუმცა, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ამ ტიპის ბიზნესს განვითარების პოტენციალი ნამდვილად აქვს. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესია დასაქმების მნიშვნელოვანი წყარო და საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ხელშეწყობა.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემა როგორც ხელისუფლების, ასევე ბევრი მეცნიერ–ეკონომისტის თავსატეხი გახდა. თითქმის ყველა საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში არსებობს „საშუალო ფენის“ ცნება, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტად მოიაზრება. მცირე ბიზნესი ეკონომიკის სწორედ ის სექტორია, რომლის განვითარება შექმნის საქართველოში „საშუალო ფენას“ და ქვეყანას გამოიყვანს სტრესული მდგომარეობიდან.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი დამოკიდებულია არა იმდენად მის ტრადიციულ მატერიალურ ფაქტორებზე, როგორიცაა მიწა, შრომა და კაპიტალი, რამდენადაც ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა ცოდნის კაპიტალი, ანუ მეწარმეობის უნარი, განსაკუთრებით კი – მეწარმეობა მცირე ბიზნესში.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ტენდენციებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ შედარებით უკეთესი სიტუაციაა ისეთ სფეროში, როგორიცაა კომერციული საქმიანობა. აქ მცირე ბიზნესი ვითარდება საკმაოდ სწრაფად. ბევრი მათგანი აგროვებს სოლიდურ კაპიტალს და არც კი საჭიროებს სპეციალურ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას მაშინ, როდესაც, სამეწარმეო სფეროს სასწრაფო ხელშეწყობა სჭირდება. მის აუცილებლობას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მატერიალური წარმოების სფეროში მცირე მეწარმეობის ხვედრითი წილი საკმაოდ შემცირდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახლადშექმნილი, საკმაოდ პერსპექტიული სამეწარმეო ბიზნესი საქმიანობის სრულ გაშლამდე უკვე ლიკვიდაციას განიცდის.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში კი არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც. ამერიკელები თვლიან, რომ თუ მათი ქვეყნის ეკონომიკის „ხერხემალს“ მსხვილი კორპორაციები წარმოადგენენ, „კუნთების“ როლში მცირე ფირმები გვევლინებიან. მათ მოქმედებაში მოჰყავთ მსხვილი ბიზნესი. როგორც წესი, სტაბილური ეკონომიკის ქვეყნებში, სამეწარმეო ბიზნესში უფრო მეტია წარმატების შანსი, ვიდრე ვაჭრობის სფეროში. მეწარმეობა, როგორც წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორის აღიარება საზოგადოების წინსვლის რეალური საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან და დააყენოს ეკონომიკური აღმავლობის გზაზე. ამიტომ, მეწარმის მხარდაჭერაზე, მისთვის სამეწარმეო გარემოს შექმნაზე და ყოველმხრივ დახმარებაზე მთელმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს. ქვეყანა, სადაც მეწარმეობა მოკლებულია სახელმწიფოსგან ყოველდღიურ ზრუნვას, ეკონომიკურ წინსვლას ვერასდროს მიაღწევს.

საქართველოში ყველაფერი პირიქით ხდება. სამწუხაროდ, დღეს ვსაუბრობთ არა იმაზე, თუ როგორ უნდა შეუწყოს ხელი სახელმწიფომ მცირე სამეწარმეო ბიზნესის განვითარებას, არამედ იმაზე,

როგორმე მან ხელი არ შეუშალოს ამ ბიზნესის განვითარებას. შერბილებულად რომ ვთქვათ, საქართველოში მცირე სამეწარმეო ბიზნესის განვითარების პროცესი კი არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც, რაც, ბუნებრივია, პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ბოლო წლების მონაცემებით, საქართველოსი მცირე სიდიდის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) ღირებულება სამეწარმეო სფეროს პროდუქციის მთელი მოცულობის 20 %– საც ვერ აღწევს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს აქვს ყველა რესურსი იმისათვის, რომ დაძლიოს არსებული მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და ასეთი ჩამორჩენილობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა მკვეთრად ამაღლდეს სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და სტიმულირებისათვის, ჩამოაყალიბოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ახალი სტრატეგიები, რაც საქართველოს განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლის რეალურ შანსს მისცემს. განსაკუთრებით ასამაღლებელია სახელმწიფოს როლი იმაში, რომ მოისპოს მცირე ბიზნესის დაკნინების მცდელობები, განსაკუთრებით კი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაუმჯობესდა სამეწარმეო ბიზნეს–კლიმატი. თუმცა მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა. ჩვენს ქვეყანაში დღემდე განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების უმთავრესი მიზანი საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის გამკაცრების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების მობილიზება უფრო იყო და არა მცირე საწარმოების მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბუნებრივია, საბიუჯეტო თანხების მობილიზების მიზნით მცირე საწარმოებმაც უნდა გადაიხადონ გადასახადი, მაგრამ გადასახადი რომ სწორად გადავიხადოთ საჭიროა სამეურნეო საქმიანობა სწორად აღვრიცხოთ.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ მცირე ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი იძულებულია საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურად, ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკის პირობებით წარმართოს. უნდა ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში მისი მიზეზი უნდა ვეძებოთ არა იმდენად იმაში, რომ ისინი ემალებიან გადასახადის გადახდას, არამედ ისევ და ისევ სამეურნეო საქმიანობის მკაცრი აღრიცხვის მოთხოვნაში, რადგან თავიდან აიცილოს ჯარიმა, რომელიც აღრიცხვაში შეცდომის (დარღვევის) აღმოჩენის შემთხვევაში დაეკისრება მეწარმეს, რაც ბევრად ნაკლები არ არის უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შემჩნევის შემთხვევაში შესაბამის სათანადო სანქციებზე.

დღევანდელი რეალობა ის არის, რომ მცირე ბიზნესი არის ფუნდამენტი, რომელზეც შეიძლება უზარმაზარი წინსვლა მიეცეს ეროვნულ ეკონომიკას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ყველაზე დიდ რესურსს, ანუ ქართველ მეწარმეს მიეცემა თავისი ნიჭისა და უნარის გამომჟღავნების სრული საშუალება, შედეგი იქნება საკმაოდ შთამბეჭდავი.

მცირე საწარმოების განვითარების დამუხრუჭებით საქართველო შესაძლოა თავისი შემოსავლის სოლიდურ წყაროსაც კი კარგავდეს. დღეს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია უმთავრესად უცხოური ინვესტიციების მოზიდვისაკენ მაშინ, როდესაც სამუშაო ადგილების წარმოქმნა სწორედ მცირე ბიზნესის სექტორში უნდა ხდებოდეს. ამ მხრივ შესაძლებელია, რომ მცირე სამეწარმეო ბიზნესმა მზარდ უცხოურ ინვესტიციებსაც კი გადააჭარბოს.

საქართველოს დღემდე არ გააჩნდა მცირე ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის რაიმე განსაკუთრებული პროგრამა. დღეს ახალი საგადასახადო კოდექსით, რომელიც ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრ სიახლეს გვთავაზობს. კერძოდ, ახალი კოდექსი გვთავაზობს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს და მათთვის განსხვავებულ (სპეციალური) დაბეგვრის რეჟიმს.

მცირე ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა მიგვაჩნია, რომელიც საქართველოში ამჟამად რეორგანიზებულია, თითქოსდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არ ნიშნავს საერთოდ მონოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ იგი მიმართულია იმ მონოპოლისტების წინააღმდეგ, რომლებიც ანგრევენ საბანკო სტრუქტურებს და ატარებენ საქმიანობის შეზღუდვის პრაქტიკას, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის მიმართ.

მას შემდეგ, რაც დასაქმების ბევრმა პროგრამამ რეალური შედეგები ვერ გამოიღო, მას შემდეგ რაც ხელისუფლება იმედია დარწმუნდა, რომ არსებულ საწარმოებთან მუშაობა სამუშაო ადგილების შესაქმნელად არც თუ ისე პერსპექტიული გზაა, ცხადად დარჩა მთავარი პრიორიტეტი - მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა, რასაც მნიშვნელოვნად შეუძლია შეცვალოს სურათი და გაზარდოს როგორც წარმოებული პროდუქტის და მომსახურების მოცულობა, ისე მნიშვნელოვნად გაზარდოს ადამიანების

კეთილდღეობის დონე. სამი მთავარი საკითხი, რომელიც ჭრის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ამოცანას:

ა) მცირე მეწარმეობის წახალისება - იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა დაუსაქმებელმა, ან კიდევ არადამაკმაყოფილებლად დასაქმებულმა ადამიანმა გადაწყვიტოს საკუთარი საქმის დაწყება და გადადგას პირველი ნაბიჯები ამისთვის;

ბ) მცირე მეწარმეების სწავლება - იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრმა მცირე მეწარმემ მათი საქმიანობის პირველივე ნაბიჯებისას რაც შეიძლება მეტი სწორი, ეფექტური გადაწყვეტილების მიღება შეძლონ როგორც მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

გ) მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში - იმისთვის, რომ მიიღონ პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაუზრდის მოტივს, დაეხმარება დამატებითი საჭირო სახსრების მოძიებაში, საწარმოო საშუალებების შეძენასა და გაუმჯობესებაში (ეს არის ყველაზე კრიტიკული საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ცალკე აღებულ ერთ მეწარმეს ძალიან უჭირს ან არ შეუძლია, და რომლის გარეშეც საქმის დაწყების პერსპექტივასაც ვერ ხედავენ ადამიანები).

თუ ხელისუფლება შეიმუშავებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ერთიან ნაციონალურ პროგრამას, და მას ამ სამ კომპონენტზე ააგებს მას შეუძლია უკვე 3-5 წელიწადში მიიღოს 200 000 მდე მცირე საწარმო, რომლებიც ერთობლივი პროდუქტის მინიმუმ 25-30% შექმნიან.

ლიტერატურა:

1. www.resonancedaily.com
2. www.strategy.ge
3. www.afba.ge

ჩინური ბიზნესი საქართველოში

ლია გოდელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე**, ასოცირებული პროფესორი

პირველი ჩინელი საქართველოში მე-19 საუკუნის მიწურულს დამკვიდრდა და მათი რიცხვი დღესდღეობით 36 000 ათასზე მეტია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მრჩეველი საქართველოში ცაო იუნლუნის ინფორმაციით საქართველოში მყოფი ჩინელების რაოდენობის თაობაზე ზუსტი ციფრის დასახელება ძალიან ძნელია, მაგრამ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მათი რაოდენობა 40 ათასს აღწევს ან თითქოს 40 ათასმა ჩინელმა უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, არ შეესაბამება სინამდვილეს. მისივე თქმით ტყუილია ისიც, ,,თითქოს ჩვენი სახელმწიფო 40-50 ათას დოლარს აძლევს ჩინეთის მოქალაქეებს, რომელსაც სურს საზღვარგარეთ ცხოვრება, საზღვარგარეთ პატარა მაღაზიების გახსნა ან რაიმე სხვა სახის ბიზნესის წამოწყება. ჩინეთის სახელმწიფო ნამდვილად არ არის ისეთი მდიდარი, რომ საზღვარგარეთ წასვლის მსურველს თანხა გადაუხადოს. ასეთი ინფორმაცია საერთოდ დაუჯერებელია.”

პირველი ჩინელი, რომელიც ჩვენი ქვეყნის კლიმატითა და ბუნებრივი რესურსებით მოხიბლულა, იყო ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის მკვიდრი ლაო ჯორჯაო, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ჩაის ფოთლის კულტივაციის ტექნოლოგია ჩამოიტანა, ჩაქვში ჩაის პლანტაციები და ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა ააშენა. გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიში “ლაო ჩაი”, რომელიც საექსპორტოდაც გადიოდა.

ამბობენ, რომ ჩინელების გამოჩენა რომელიმე ქვეყანაში ამ ქვეყნის სტაბილურობის და განვითარების პერსპექტივის მაჩვენებელია. უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოში ბიზნესის საკეთებლად 12 ათასამდე ჩინეთის მოქალაქე ჩამოვიდა ზოგმა სარესტორნო ბიზნესს მიჰყო ხელი და აღმოსავლური სამზარეულოს ქსელი გახსნა, ზოგმაც ხალხმრავალ ადგილებში კომერციული ფართი იქირავა და ჩინური წარმოების საქონლით დაიწყო ვაჭრობა. ჩინური პროდუქციის პოპულარობა ძირითადად სიიაფეს უკავშირდება. დაბალი ფასის გამო, ჩინური პროდუქცია მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის მისაღებია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაწარმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა, ჩინურ საქონელს მყიდველი მაინც ბევრი ჰყავს. მართალია ჩვენი მომხმარებელი თავიდან უნდობლად განეწყო იაფფასიანი ჩინური ნაწარმის მიმართ, მაგრამ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მოსაზიდად პროდუქციის ფასი გადამწყვეტი აღმოჩნდა და ჩინური მაღაზიების ქსელი სწრაფად გაფართოვდა.

ჩინელების მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში იმდენად წარმატებით ვითარდებოდა, რომ თბილისში ჩინური კვარტლის ანუ "ჩაინათაუნის" მშენებლობაზეც კი იყო საუბარი, რაც სერიოზული ინვესტიცია იქნებოდა საქართველოს ეკონომიკაში და ჩინელებს ბიზნესის განვითარებაში კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს.

სანამ ჩინელებს საკუთარი ქალაქი ექნებოდათ, საქართველოში ნაშოვნი ფულით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სახლებისა და მიწის ნაკვეთის შესყიდვა დაიწყეს და სოფლის მეურნეობასაც მიჰყვეს ხელი. მოკლედ, აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში, ვიდრე მათ ბიზნესს ჯერ აგვისტოს ომმა, შემდეგ კი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არ მოუსწრო.

უმუშევრობის ზრდამ და მოსახლეობის შემოსავლების შემცირებამ ჩინურ მაღაზიებსაც მოაკლო მომხმარებელი. კრიზისის პირობებში თბილისში ერთი მეორეს მიყოლებით ისევე სწრაფად გაქრა ჩინური მაღაზიები, როგორც თავის დროზე გაჩნდა. ჩინელებმა, მცირე მოვაჭრეებმა ხარჯების შესამცირებლად და ბიზნესის გადასარჩენად ქუჩაში გადაინაცვლეს.

დაახლოებით ერთი წლის წინ მხოლოდ თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე 15 ჩინური მაღაზია იყო, ახლა კი ერთი-ორი თუ შემორჩა. ზოგმა საქონელი ლილოს ბაზარზე წაიღო და იქ ვაჭრობს, ზოგიც ქუჩაში გამოვიდა.

მსოფლიოში ზოგიერთი ჩინური საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოების მიმართ ობიექტურად უარყოფითი დამოკიდებულებაა, რასაც ადასტურებს ბოლო წლების სტატისტიკა და არაერთი სკანდალი ჩინურ საქონელთან, მათ შორის ბავშვთა სათამაშოებთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება ამ პროდუქციაში ჯანმრთელობისთვის საზიანო საღებავებისა და მასალების გამოყენება.

ჩინური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სამთავრობო დონეზე ხდება. ამის მაგალითია 2010 წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის სამუშაო ვიზიტი ჩინეთში. ვიზიტის ფარგლებში გადაწყდა ჩინურ-ქართული ბიზნეს საბჭოს შექმნა. ჩინეთზე საქართველოს სავაჭრო ბრუნი მხოლოდ 5% მოდის, თუმცა წლიდან წლამდე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა ინტენსიურად იზრდება. წლის დასაწყისიდან სულ 240 მლნ აშშ დოლარის ექსპორტ-იმპორტი განხორციელდა. ბოლო პერიოდში გაზრდილია როგორც იმპორტი, ისე ექსპორტის მაჩვენებელი.

ნიკა გილაური ჩინეთის მთავრობის ვიცე-პრემიერს ჟანგ დეჯიანგს შეხვდა. შეხვედრისას აღინიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის წარმატებით ვითარდება და შემდგომში ზრდის დიდი პოტენციალი აქვს.

ჩინეთის განვითარების ბანკის ხელმძღვანელობასთან გილაურის შეხვედრისას გადაწყდა, რომ ბანკის დელეგაცია საქართველოში ჩამოვა და შესაძლოა, ჩინურმა ბანკმა თბილისში თავისი წარმომადგენლობა გახსნას. "ჩინეთის მთავრობა იმაზე ბევრად უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებს საქართველოსადმი, ვიდრე ველოდით. ამაზე მიუთითებს რამდენიმე კონკრეტული მაგალითი და კონკრეტული მოლაპარაკება იმ საწარმოებთან, რომლებსაც აინტერესებთ საქართველოში ბიზნესის კეთება. ლაპარაკია რამდენიმე ასეულ მილიონი დოლარის ინვესტიციაზე, ლაპარაკია პორტის გაფართოებაზე, ახალი სავაჭრო ცენტრის შექმნაზე და სხვა ტიპის ინვესტიციებზე." - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ჩინელები ასევე აპირებენ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, სხვადასხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმდინარეობასა და საქართველოს ტრანზიტული პროექტების უფრო აქტიურ გამოყენებას.

მართალია, ჩინელი ინვესტორების როლი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის საკმაოდ პროგრესულია, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის განწყობა ჩინური ბიზნესისადმი მაინც ნეგატიური რჩება.

ამგვარად, ჩინური ბიზნესის განვითარებას საქართველოში აქვს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარე. იმის მტკიცება, რომ ჩინელები "ჩვენ" სამუშაო ადგილებს "გვართმევენ" არაფრით არ არის დამტკიცებული - პირიქით, ისინი სამუშაო ადგილებს ქმნიან. მაგრამ, რაც მთავარია, ყველა ქვეყანაში არსებობს დასაქმების ნიშები, რომლებზეც ადგილობრივი მოსახლეობა არ თანხმდება ან არ სურს, რომ იმუშაოს - სწორედ ამ ნიშებს იკავებენ იმიგრანტები. საქართველო ტოლერანტული, ღია ქვეყანაა და იმასაც უნდა შეეჩვიოს, რომ უცხოელების რაოდენობა სულ უფრო და უფრო გაიზრდება. ასევე ის, რომ უცხოელები წარმატებას აღწევენ იქ, სადაც ჩვენ ვერ ვაღწევთ წარმატებას. ეს მათი ბრალი კი არა, ჩვენი ბრალია.

ლიტერატურა

1. Source:http://www. Ambebi.ge/economika/
2. http:/24saati.ge/index.php/categoriy/business/2010-10-28/10833.html
3. http://biz.aris.ge
4. http://pressa.ge
5. http://economy.ge

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები

თათია გუგუტიშვილი, ნინო ტრამაკიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელები: **ნინო ორჯონიკიძე**, სრული პროფესორი
თინათინ ტატულაშვილი, სრული პროფესორი

თურქეთის რესპუბლიკა ისლამური სამყაროს ერთერთი უმსხვილესი სახელმწიფოა, რომელიც ახორციელებს საკუთარი ინტერესების დაცვაზე გამიზნულ პოლიტიკას. მისი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. დასახული მიზნის რეალიზაციისათვის თურქეთი მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან თანამშრომლობს, მათ შორისაა საქართველო. თურქეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 16 დეკემბერს აღიარა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები მათ შორის 1992 წლის 21 მაისს დამყარდა. მის შემდეგ საქართველო–თურქეთის ურთიერთობები სათანადო სამართლებრივი ბაზით განმტკიცდა. ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია 120-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ფაქტობრივად ყველა სფეროს ეხება. მათ შორის აღსანიშნავია [1]:

- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ (30.07.1992);
- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ (30.07.1992);
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის დარგში თანამშრომლობის შესახებ (1994 წლის იანვარი);
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საქმეში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ (13.01.1994);
- შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის პრეფერენციული ვაჭრობის შესახებ (19.12.2006).

ცხრილში 1 წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თურქეთის ფართობი 11.2–ჯერ აღემატება საქართველოსას, მოსახლეობის რიცხოვნობა – 16.6–ჯერ, მშპ-ის მოცულობა – 44–ჯერ, მშპ ერთ სულ მოსახლეზე – 2.6–ჯერ, საერთაშორისო რეზერვები – 54–ჯერ და ა.შ. [2]. ასეთი განსხვავების მიუხედავად, ეს ორი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა სავაჭრო ურთიერთობები.

ცხრილი 1

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ძირითადი მაჩვენებლები, 2008 წ

მაჩვენებლები	საქართველო		თურქეთი	
	სიდიდე	ადგილი მსოფლიოში	სიდიდე	ადგილი მსოფლიოში
ფართობი, კვ. მ	69,700	128	780,580	45
მოსახლეობა, კაცი	4,615,807	119	76,805,524	19
მოსახლეობის ზრდა, %	-0.33	224	1.31	103
მშპ, მლნ USD, PPP	20,600	118	906,500	18
მშპ-ის რეალური ზრდა, %	2.40	154	1.50	175
მშპ ერთ სულ მოსახლეზე,USD	4,700	146	12,000	93
სამუშაო ძალა, ათასი კაცი	2,020	117	23,210	26
უმუშევრობის დონე, %	13.60*	144	7.90	103
ინფლაციის დონე (სამომხმარებლო ფასებში), %	11.30	166	10.20	152
ინვესტიციები, %-ით მშპ-თან	29.50	29	21.00	94
სამრეწველო პროდუქციის ზრდა, %	6.00	52	4.00	87
საერთაშორისო რეზერვები, მლნ USD	1,522	120	82,820	20
საგარეო ვალი, მლნ USD	4,500	107	294,300	23
*2006 წელი, **2007 წელი				

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2008 წელს 7555.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 17,2 %-ით მეტია. საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია იმპორტის ზრდის წინმსწრები ტემპი ექსპორტთან შედარებით და შედეგად მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს საქართველოს მთლიანმა სავაჭრო დეფიციტმა 4790.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელს 16 %-ით აღემატება.

საქართველოს მსგავსად, თურქეთის საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2008 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 333,9 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 132 მლრდ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი – 201,9 მლრდ. აშშ დოლარი. უარყოფითი სავაჭრო სალდო 69.9 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

2008 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 67,4 % ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდის, მათ შორის თურქეთის წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.9 %, ექსპორტის 17.6 % და იმპორტის 15.9 %. სავაჭრო ბრუნვის მოცულობით თურქეთი საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორია. (ცხრილი 2) 2008 წელს საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვამ 1202,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 303,1 ათასი აშშ დოლარით ანუ 33,7 %-ით გაიზარდა. საქართველოს თურქეთთან მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს და მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2008 წელს დეფიციტმა 677,0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 120,9 ათასი აშშ დოლარით ანუ 21,7 %-ით გაიზარდა, ხოლო 2000 წელთან შედარებით – 647,8 ათასი აშშ დოლარით ანუ 23.2-ჯერ (ცხრილი 3) დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თურქეთი პირველ სამეულში შედის. 1994-2008 წლების განმავლობაში სავაჭრო ბრუნვით იგი 6-ჯერ იყო პირველ ადგილზე (1995, 2000, 2001, 2006, 2007, 2008 წლები), 7-ჯერ – მეორეზე (1997, 1998, 1999, 2002, 2003, 2004, 2005 წლები), 2-ჯერ – მესამეზე (1994, 1996).

ცხრილი 2

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები 2008 წელი

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%
თურქეთი	262,9,9	17.6	939,9	15.5	1202,8	15.9
აზერბაიჯანი	205,4	13.7	607,8	10.1	813,2	10.8
უკრაინა	134,2	9.0	657,6	10.9	791,8	10.5
გერმანია	33,1	2.2	434,3	7.2	467,4	6.2
რუსეთი	28,5	1.9	426,0	7.0	454,5	6.0
აშშ	102,2	6.8	241,4	4.0	343,6	4.5
ჩინეთი	9,0	0.6	298,2	4.9	307,1	4.1
არაბთა გაერ. ემირატები	11,2	0.7	272,7	4.5	283,9	3.8
ბულგარეთი	108,2	7.2	122,9	2.0	231,1	3.1
იტალია	17,2	1.1	181,6	3.0	198,8	2.6
სულ 10 ქვეყანა	911,9	60.9	4182,4	69.0	5094,2	67.4
დანარჩენი	585,8	39.1	1875,7	31.0	2461,5	32.6
სულ ბრუნვა	1 497,7	100	6058,1	100	7555,8	100

ცხრილი 3

საქართველოსა და თურქეთის სავაჭრო ბრუნვა 2000-2008 წწ. (ათასი აშშ დოლარი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო
2000	74,8	104,0	178,8	–29,2
2001	68,7	105,0	175,7	–36,3
2002	53,7	89,7	143,4	–36,0
2003	78,9	107,5	186,4	–28,6
2004	118,7	202,3	321,0	–83,6
2005	121,8	283,0	404,9	–161,2
2006	125,0	523,0	648,0	–398,0
2007	171,8	727,9	899,7	–556,1
2008	262,9	939,9	1202,8	–677,0

მონაცემები აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი წლების საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულებიდან.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში თურქეთი ყველაზე მაღალი წილით (21.4%) წარმოდგენილი იყო 1995 წელს, ხოლო ყველაზე დაბალით (11.3%) –1998 წელს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს 136-ე და 107-ე ადგილები უკავია, თურქეთს – 33-ე და მე-19. მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველო 108-ე და 122-ე ადგილებზეა, თურქეთი კი ორივე შემთხვევაში 39-ზე.

საქართველოს ექსპორტის თითქმის ნახევარს (44,6%) სამრეწველო პროდუქცია შეადგენს. მეორე ადგილზეა აგრარული პროდუქცია – 26.1%, საწვავისა და მინერალური პროდუქციის წილად მოდის 23.1%. საქართველოს იმპორტში ძირითადი ადგილი ასევე სამრეწველო პროდუქციას უკავია – 59.8%, საწვავსა და მინერალური პროდუქციაზე მოდის 18.6%, აგრარულ პროდუქციაზე – 16.3%.

თურქეთის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია სამრეწველო პროდუქცია – 79.6 %, აგრარულ პროდუქციაზე მოდის 9.4%, საწვავსა და მინერალურ პროდუქციაზე – 10.0%. თურქეთის იმპორტში მათი წილი შესაბამისად 62.7, 5.9 და 22.7 %ს შეადგენს [5].

საქართველოსა და თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე სხვადასხვა ფაქტორი და პირობა ზემოქმედებს, რომელთა ერთობლიობა ბიზნეს გარემოს ქმნის. 2009 წელს ბიზნესის წარმოების სიმარტივით საქართველო 181 ქვეყანას შორის მე-15 ადგილზეა მსოფლიოში (2008 წელს იგი 21-ე ადგილზე იყო), თურქეთი –59-ე-ზე (2008 წელს ასევე მე-60 ადგილზე იყო). საქართველოს ბიზნეს გარემოს პარამეტრებიდან საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩევა საკუთრებისრეგისტრაცია –მე-2 ადგილი მსოფლიო რეიტინგში, საწარმოთა რეგისტრაცია – მე-4 ადგილი, მუშა მოსამსახურეთა დაქირავება მე-5 ადგილი. არასახარბიელო მდგომარეობაა დაბეგვრის (№110–ე ადგილი), ბიზნესის დახურვის (92-ე ადგილი) და საერთაშორისო ვაჭრობის (81-ე ადგილი) თვალსაზრისით. თურქეთის ბიზნეს გარემოს პარამეტრებიდან ყველაზე ცუდი მაჩვენებლებით გამოირჩევა მუშა მოსამსახურეთა დაქირავება – 138-ე ადგილი, მშენებლობაზე ნებართვის მიღება 131-ე ადგილი, ბიზნესის დახურვა – 118-ე ადგილი. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფაში – 27-ე ადგილი, საკუთრების რეგისტრაციაში – 34-ე ადგილი (ცხრილი 4) [6].

ცხრილი 4.

საქართველოსა და თურქეთის ბიზნესგარემოს პარამეტრები [6]

პარამეტრები	საქართველო			თურქეთი		
	2009	2008	ცვლილება	2009	2008	ცვლილება
ბიზნესის წამოწყება	15	21	+6	59	60	+1
საწარმოთა რეგისტრაცია	4	10	+6	43	43	0
მშენებლობაზე ნებართვის მიღება	10	11	+6	131	129	-2
მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება	5	5	0	138	142	+4
საკუთრების რეგისტრაცია	2	8	+6	34	31	-3
კრედიტის მიღება	28	61	+33	68	61	-7
ინვესტორების დაცვა	38	33	-5	53	66	+13
დაბეგვრა	110	106	-4	68	58	-10
საერთაშორისო ვაჭრობა	81	68	-13	59	59	0
კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა	43	43	0	27	30	+3
ბიზნესის დახურვა	92	108	+16	118	115	-3

საქართველოში ექსპორტის განხორციელებისათვის საჭიროა 8 დოკუმენტი და 12 დღე, იმპორტისათვის – 7 დოკუმენტი და 14 დღე. ამ პარამეტრებში თურქეთს უკეთესი მდგომარეობა აქვს მხოლოდ ექსპორტისათვის საჭირო დოკუმენტების თვალსაზრისით (საჭიროა 7 დოკუმენტი).

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით 1380 და 1340 აშშ დოლარია. თურქეთისათვის ეს მაჩვენებლები 940 და 1063 აშშ დოლარს შეადგენს (ცხრილი 5) [6].

ცხრილი 5.

საქართველოსა და თურქეთის რეიტინგი საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების მიხედვით [6]

	საქართველო	თურქეთი
დოკუმენტები ექსპორტისათვის (რაოდენობა)	8	7
დრო ექსპორტისათვის (დღე)	12	14
ექსპორტის ღირებულება (აშშ დოლარი 1 კონტეინერზე)	1380	940
დოკუმენტები იპორტისათვის (რაოდენობა)	7	8
დრო იმპორტისათვის (დღე)	14	15
იმპორტის ღირებულება (აშშ დოლარი 1 კონტეინერზე)	1340	1063

ეროვნული ბიზნეს გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლება. The hritage-ის შეფასებით, 2008 წელს ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო 32-ე ადგილზეა და მას 69.8 ქულა აქვს. თურქეთი კი 75-ე ადგილზეა 61.6 ქულით. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი 8.2 ქულით აღემატება თურქეთისას. ორივე ქვეყანაში ეს მაჩვენებელი, მართალია უმნიშვნელოდ (საქართველოში 0.5 ქულით, ხოლო თურქეთში – 1.5 ქულით), მაგრამ დადებითად შეიცვალა. თურქეთის ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებელი 6.0 ქულით ჩამორჩება საქართველოსას (ცხრილი 6) [7]

ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი, 2008 წ. [7]

ადგილი 179 ქვეყანას შორის	32	75
ქულა	69,8	61.6
ცვლილება წინა წელთან შედარებით	+0,5	+1.5
ბიზნესის თავისუფლება	86,6	69.9
ვაჭრობის თავისუფლება	80,6	86.6
ფისკალური თავისუფლება	86,8	73.2
სახელმწიფო ზომა	74,6	83.4
მონეტარული თავისუფლება	70,9	71.1
ინვესტირების თავისუფლება	70,0	50.0
ფინანსური თავისუფლება	60,0	50.0
საკუთრების წესები	35,0	50.0
კორუფციისაგან თავისუფლება	34,0	41.0
შრომის თავისუფლება	99,4	40.3

2007 წელს თურქეთში საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები წარმოდგენილია შემდეგი სახით: ნარჩენები და ჯართი შავი ლითონებისა – 83721 ათასი აშშ დოლარი, ნარჩენები და ჯართი ალუმინისა – 14079 ათასი აშშ დოლარი, ნარჩენები და ჯართი სპილენძისა – 10939 ათასი აშშ დოლარი, ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი – 7533 ათასი აშშ დოლარი, მსუბუქი ავტომობილები –6911 ათასი აშშ

დოლარი (188 ცალი), ხოლო თურქეთიდან იმპორტის ძირითად ჯგუფებში შედის: მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები პლასტმასებისაგან – 18692 ათასი აშშ დოლარი, ქაღალდი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ან სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების – 18198 ათასი აშშ დოლარი, ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან მის შესაფუთად პლასტმასებისაგან – 16 395 ათასი აშშ დოლარი, მაცივრები, საყინულეები და სხვა სამაცივრო ან საყინულე მოწყობილობები – 16146 ათასი აშშ დოლარი, მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან და მათი ნაწილები – 15861 ათასი აშშ დოლარი. საქართველო-თურქეთის ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი არ მოიცავს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციას, ამიტომ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის სრულყოფას უნდა დაეთმოს.

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული თანამშრომლობის სხვა სფეროებზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ერზერუმის, ნაბუკოს, ტრასეკასა და ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტების ჩარჩოებში. გარდა ამისა, თურქეთი ნატოს წევრი და ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანაა. ამის გამო, საქართველოსა და თურქეთის თანამშრომლობას კარგი საფუძველი გააჩნია და იგი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

ლიტერატურა:

1. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO
2. https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/docs/rankorderguide.html
3. http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008
4. http://www.turkstat.gov.tr/PreIstatistikTablo.do?istab_id=621
5. www.wto.org
6. http://www.doingbusiness.org
7. http://www.heritage.org/index/Ranking.aspx
8. http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia_2007.pdf

ინფლაცია - ეკონომიკის კოლაფსი

ნინო დათუნაშვილი, მარინე ფერაძე,
ნათია გაგლოშვილი, ინა ეცადაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ინფლაცია ურთულესი მრავალფაქტორიანი ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც გვიჩვენებს კვლავწარმოების პროცესში არსებულ დეფორმაციებს და თავისთავს ავლენს მოცემული ქვეყნის ფულადი სისტემის მოშლასა და მისი ვალუტის კურსის დაცემაში (გაუფასურებაში).

ეკონომიკაში პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გადიდება ამცირებს მოგებასა და პროდუქციის მოცულობას, რომელიც ფირმებს შეეძლოთ შეეთავაზებინათ ფასების არსებული დონის პირობებით. ამის შედეგად მცირდება საქონლისა და მომსახურების მიწოდება მთელი ეკონომიკის მასშტაბით. მიწოდების ასეთი შემცირება, თავის მხრივ, ზრდის ფასების დონეს. რეალობასთან, ასე თუ ისე, ახლოსაა, რომ საქართველოში ინფლაციის 90%-ის მიზეზი გარე ფაქტორებითაა განპირობებული.

პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა იწვევს ჩვენთან ინფლაციას, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. გვაქვს ასევე შიდა ფაქტორებით გამოწვეული ინფლაცია, რომელსაც განაპირობებს ორი

რამ – ერთი, ოლიგოპოლიური ბაზრები, ადამიანებისთვის მაღალი სამომხმარებლო ხასიათის მქონე საქონელზე, როგორიც არის მედიკამენტები, საწვავი, შაქრის იმპორტი, სადაც ასევე მცირეა კომპანიათა რაოდენობა. მეორე - შიდა ფაქტორი - გარდა იმისა, რომ არ არსებობს ამ მონოპოლიური ბაზრების რეგულირება, ესაა - წინასაახალწლო პერიოდი, როცა მაღალია პროდუქტზე მოთხოვნა, იზრდება ფასები და შემდეგ აღარ მცირდება. აქაც პრობლემა გვაქვს, ჯანსაღი კონკურენციის თვალსაზრისით, რადგან სასურსათო და სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტიორი და მიმწოდებელი სულ რამდენიმე კომპანიაა. სხვა შემთხვევაში, თუ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენცია გვექნებოდა, იგივე შაქრის შემთხვევაში, ფასები ცოტა უნდა დასტაბილურებულიყო ან შემცირებულიყო, რაც რეალურად არ მომხდარა.

ქვეყანაში არსებული კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა და ფართო მასშტაბები შეიძინა. იმ დროისათვის, როდესაც წარმოება მკვეთრად დაცემის ტენდენციას ატარებდა ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ლიბერალურმა პოლიტიკამ და ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური კრედიტის ხარჯზე დაფინანსებამ, ხელი შეუწყო ინფლაციური პროცესების გაძლიერებას, რამაც შემდგომ ჰიპერინფლაციაც გამოიწვია. არსებული მდგომარეობა იმის მანიშნებელია, რომ არასწორმა ფულად–საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ შეიძლება ძალიან დიდი ზარალი მიაყენოს ქვეყანას და გამოუსწორებელი შედეგები დაგვიტოვოს. ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში ინფლაციის დონე 12-14%-ს შეადგენს.

რამდენიმე კატეგორიის საქონელი, 2011 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაძვირდა. ეს არის იმ კატეგორიის საქონელი, რომელიც ადამიანის სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მეტ წილს იკავებს: საწვავი, ხორბალი, შაქარი, წიწიბურა, ხილი, რომელთა დიდი ნაწილი იმპორტირებულია. საწვავის შემთხვევაში პროდუქტის 95%-ის იმპორტი ხორციელდება, დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა შაქართან დაკავშირებით, ასევე, 100%-ით იმპორტირებულია წიწიბურა, ხილი დაახლოებით 60%-მდე და ა.შ.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6%-ია, წლიური - 3%, ხოლო საშუალო წლიური - 1,7%-ია. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა უკიდურესად ნეგატიური სავაჭრო ბალანსით, რომელიც წლიდან წლამდე უარესდება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა არსებითადაა დამოკიდებული იმპორტზე. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები საკმაოდ მაღალი ინფლაციური მოლოდინი“, -არსებობს გარკვეული სოციალური, ეკონომიკური და სხვა ტიპის ვალდებულებები, რომელთათვისაც არაინფლაციური ფულის მოძებნა სულ უფრო გაძნელდება საქართველოს ეკონომიკის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გამო“, - „დღეისათვის საქართველოში დაბალი ინფლაციის მაჩვენებელს პროდუქციაზე შიდა მოხმარების კლება იწვევს. ქვეყანაში მოსახლეობას სოციალურად უკიდურესად უჭირს, რაც მათ მიერ პროდუქციის შეძენის მოთხოვნაზე პირდაპირ აისახება. ეს ის შემთხვევაა, როცა ინფლაცია არა სებ-ის სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, არამედ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში არსებული კრიზისული მდგომარეობითაა გამოწვეული. ამასთან საფინანსო კრიზისის პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით პროდუქციაზე ფასები იკლებს, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქტებზეც აისახება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ფასების ზრდის პროცესის გასანეიტრალებლად და ინფლაციის ერთციფრა ნიშნულზე დასაბრუნებლად ყველაფერს აკეთებს. იგი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციის – ინფლაციის რეგულირების ფარგლებში, საზოგადოებისათვის წარსადგენად ამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაცის მიმოხილვას", სადაც დეტალურად არის მოცემული ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ: სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების საერთო დონის წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალი სამი წლისათვის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღინიშნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან ერთად. 2011-2013 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს.

გიორგი ქადაგიძის განმარტებით, ეროვნული ბანკი 6 თვეა გამკაცრების პოლიტიკაზე გადავიდა და ეს აისახება როგორც საპროცენტო განაკვეთზე, ასევე სარეზერვო მოთხოვნებზე. ეკონომიკის ექსპერ-ტები აღნიშნავენ, რომ მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მუშაობის გარეშე, ინფლაციის დო-ნე და ფასები კიდევ უფრო მოიმატებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები მკვეთრად არის გაზრ-

დილი. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აღნიშნავს, რომ სებ-ი ინფ-ლაციური წნეხის შესაკავებლად მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს აამოქმედებს - ისე, რომ ინფლაცია ერთციფრა ნიშნულზე შენარჩუნდეს და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ხუთ პროცენტზე ქვევით არ ჩამოვიდეს. მისივე თქმით, "სახელმწიფო სტრუქტურა გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ინფლა-ციის გამომწვევი ფაქტორების 90 პროცენტი გარე შოკებია. ინფლაციას უმეტესად საერთაშორისო ბაზარ-ზე ძირითადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების გაძვირება განაპირობებს. ეროვნულმა ბანკმა ამ სა-კითხზე მუშაობა ექვსი თვის წინ დაიწყო. კერძოდ, სებ-მა გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და სადეპოზიტო სერტიფიკატებით ჭარბი ფულის ამოღება; გაამკაცრა სარეზერვო და პრუდენციული მოთხოვნები (გაიზარდა ლიკვიდობის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები).

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბაზარი მონოპოლიური წარმოების ხელშია, ნაკლებადაა წარმოდგენილი მცირე და კუსტარული საწარმოები, რომლებიც ამინდს ვერ ქმნიან. წარმოების ნაკლებობა კი იწვევს მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე. პრინციპში, ჩნდება მოთხოვნა კონტრაბანდაზეც. დღეს კონტრაბანდა შემცირდა და გარკვეულწილად, ფასების ზრდა ამანაც განაპირობა. "კონტრაბანდა უნდა შეწყდეს, რათა ადგილობრივი წარმოება გაძლიერდეს. თუმცა აქ არსებობს სხვა პრობლემაც - ადგილობრივი წარმოება ვერ ვითარდება კაპიტალის ნაკლებობის გამო," - მიაჩნია ივანე ჭუმბურიძეს.

ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ფარული ინფლაციის პროცესი ორი წლის წინ დაიწყო. ამიტომ ლარის შემდგომი გაუფასურება გარდაუვალი და აუცილებელი პროცესია. საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა რომ არსებობდეს, დღეს ეს პრობლემა არ იქნებოდა.

ინფლაციის კვლავ გაღვივების ალბათობა საქართველოში საკმაოდ დიდია. სახეზეა ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია. ქვეყნის ეკონომიკის მონეტიზაციის დონე ანუ ფართო ფულის მასის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში: იგი 17 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც ბალტიის ქვეყნებში 48 პროცენტია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 55-ს აღწევს. ამის გამო, ნებისმიერი მასშტაბური მაკროეკონომიკური მოვლენა, პირდაპირი ინვესტიციები იქნება ეს, პრივატიზაცია თუ ბიუჯეტში გადასახადების მობილიზება, ლარის მასის საკმაოდ მკვეთრ მატებასთან არის დაკავშირებული, რაც საბოლოო ჯამში ერთობლივი მოთხოვნის ზრდაში პოულობს ასახვას. მართალია, ეს უკანასკნელი ეკონომიკურ ზრდასაც უწყობს ხელს, მაგრამ ამავე დროს საფრთხეს უქმნის ფასების სტაბილურობას. ნამეტი ფულის მასის დიდი ნაწილი შემოსავლებად გადაიქცევა და სამომხმარებლო ფასების ზრდის ფაქტორად გვევლინება.

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზრის პოტენციური სიდიდე წელს 450-500 მილიონი აშშ დოლარია, დღეს მოქმედი 47 ორგანიზაციის მიერ ბაზრის მხოლოდ 20%-ია (100 მილიონ დოლარზე ოდნავ მეტი) ათვისებული, ამის გამო, უახლოეს პერიოდში საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირება არ არის მოსალოდნელი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ გენერალური დირექტორი მალხაზ ძაძუა აცხადებს, რომ „კრისტალმა“ სესხების დიდ ნაწილზე განაკვეთები 8%-10%-ით შეამცირა და ამ ეტაპზე საშუალო ნომინალური განაკვეთი 28.5%-ია. მიმდინარე წელს კომპანია განაკვეთების კიდევ 2%-3%-ით შემცირებას ვარაუდობს. თუმცა, თუ ქვეყანაში შენარჩუნდება ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი, არ არის გამორიცხული განაკვეთების შემცირების პროცესი შეჩერდეს. ბიზნეს-სესხების საპროცენტო განაკვეთები ამჟამად 20%-დან 36%-მდე მერყეობს, სამომხმარებლო კრედიტები კი 24%-38%.

ძაძუას თქმით, ბოლო პერიოდში შეინიშნება ბანკების აქტიური დაინტერესება მიკროსაფინანსო ბაზრით. განსაკუთრებით ეს შეეხება 5,000-დან 10,000 დოლარამდე სესხების სეგმენტს, სადაც ეს ორი სექტორი ერთმანეთს მძაფრ კონკურენციას უწევს. „ბანკების ძირითადი უპირატესობაა სესხზე ოდნავ დაბალი განაკვეთები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი მომხმარებელს უფრო სწრაფ და მარტივ მომსახურებას სთავაზობენ ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე და, რაც მთავარია, აქტიურად გასცემენ სესხებს იმ რეგიონებში, სადაც ბანკები თავს იკავებენ დაკრედიტებისგან,“ - აცხადებს ძაძუა.

ძალიან მცირე კატეგორია საზოგადოებისა იღებს სარგებელს და დიდი კატეგორია ზიანდება. ანუ, საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობა იკლებს. ისეთ პირობებში, როცა ინფლაციის ადეკვატურად არ ხდება საშუალო შრომის ანაზღაურების ზრდა, არ ხდება სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელმწიფო შემწეობების ზრდა, რა თქმა უნდა, სოციალური ფონი დამძიმდება. ინფლაცია ძირითადად დაბალშემოსავლიან და საშუალო შემოსავლიან ადამიანებზე მოქმედებს უარყოფითად. ანუ იზრდება უთანასწორობა ღარიბ და მდიდარ ჯგუფებს შორის.

ინფლაციისაგან თავის დასაღწევად საჭიროა რომ ბანკები გადავიდნენ გამკაცრების პოლიტიკაზე, რაც აისახება როგორც საპროცენტო განაკვეთში, ასევე სარეზერვო მოთხოვნებში. ასევე პირველად ნორმებს დაუბრუნდეს კაპიტალის ადეკვატურობა . მაქსიმალური ძალიხმევა უნდა იქნეს გამოყენებული

ინფლაციის ერთნიშნა ნიშნულზე დასაბრუნებლად. კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს ფულის მასის ზრდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება სტერილიზაციური აქტიურობა, ანუ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება და ფინანსირების ის ოპერაციები, რომლებიც ფულის მასის მიმოქცევიდან ამოღებას ემსახურება.

საეჭვოა, რომ საჭიროა იმის მტკიცება რამდენად შეუძლებელი ან ძალიან ძნელია ფასების ინფლაციური ზრდის ფაქტორთა მთლიანად ამოძირკვა. უფრო რეალური იქნება თუ ვაწარმოებთ ბრძოლას არა იმდენად გაუფასურების მიზეზებთან, რამდენადაც შედეგებთან. სხვაგვარად, ინფლაცია უნდა გახდეს მართვადი, ხოლო მისი დონე ზომიერი (მცოცავი).

ანტიინფლაციური ეკონომიკური ზომების განხორციელებისას ღრმად უნდა იქნეს გაანალიზირებული მისი უკუშედეგებიც, ვინაიდან არაა გამორიცხული, ნეგატიურმა შედეგებმა გადააჭარბონ პოზიტიურს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. დასავლელ სპეციალისტთა გათვლით, ინფლაციის 1%-ით შემცირებისათვის აუცილებელია წლის განმავლობაში უმუშევრობის ფაქტიურმა დონემ 2%-ით მაინც გადააჭარბოს მის ბუნებრივ დონეს, რაც რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს პოტენციურ შესაძლებლობასთან შედარებით, 4%-ით შეამცირებს.

აშშ-სა და ზოგ სხვა ქვეყნებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს მონეტარული ანტიინფლაციური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ანტიინფლაციურმა პოლიტიკამ აუცილებლად უნდა მოიცვას ორი ბლოკი: ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება და ერთობლივი მიწოდების რეგულირება. თუ საქართველოს ხელისუფლება გაატარებს შესაბამის რეფორმებს, მაშინ შესაძლოა ეკონომიკის კოლაფსმა დაიწყოს შეჩერება.

ლიტერატურა:

1. http://banksandfinance.ge/banks/1847-inflacia.html
2. http://www.conference.ge/index.php/topic/1238-laris-kursi-da-inflatsia/
3. www.financial.ge - Georgian News Website
4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=124&lang=geo

გლობალური სასურსათო კრიზისი და მისი ანარეკლი ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე

დემეტრე დემეტრაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
თორნიკე დემეტრაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო სამომხმარებლო ბაზარზე დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ ფასები მკვეთრად გაიზარდა. განსაკუთრებით პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქციაზე როგორებიცაა: შაქარი, ხორბალი, ზეთი და სხვა. ასევე ფასების მატება შეინიშნება ნავთობპროდუქტებსა და აუცილებელ პროდუქციაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც ფასი მატულობს პირველადი მოხმარების საქონელზე და ნავთობპროდუქტებზე, ეს ყველაფერის ფასზე ისახება. რასაკვირველია მსოფლიო ბაზრებზე მომხდარი ცვლილებები საქართველოზეც მკვეთრად აისახა. მთელი წელია საქართველოში პროდუქტებზე ფასი მხოლოდ იმატებს. სურსათი დაახლოებით 20-40%-თაა გაძვირებული.

პირველადი მოხმარების ბევრ პროდუქტზე ფასების ზრდა ისევ გრძელდება და არც სამომავლო პროგნოზია დამაიმედებელი. როგორც იმპორტიორები ამბობენ, უახლოეს დღეებში სურსათზე ფასები კიდევ მოიმატებს. ამჯერად გაძვირების ძირითადი მიზეზი გლობალური სასურსათო კრიზისია. კვების პროდუქტების დეფიციტი, რის შესახებაც გაეროს ექსპერტები მოსახლეობას აფრთხილებდნენ, მსოფლიო სასურსათო ბაზრებზე მართლაც შეიქმნა.

მსოფლიოს მოსახლეობის არსებობისთვის აუცილებელია რამდენიმე ძირითადი პროდუქტი. პრიორიტეტი ენიჭება შაქარსა და ხორბალს, რომლის გარეშეც ფაქტიურად არსებობა შეუძლებელია. ამ

პროდუქტებზე ფასების ზრდა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული: 1) ღირებულება; 2) იმპორტზე დამოკიდებულება; 3) ტრანსპორტირების ხარჯი; 4) მარაგების შექმნა; 5) მწირი მოსავალი მსოფლიოში; 6) ბუნებრივი კატაკლიზმები.

ფასები უკვე კრიტიკულ სიმაღლეებს იპყრობს. არაერთი სახელმწიფო სოციალური აფეთქების ზღვარზეა. ნაკლებად დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის სურსათის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყნებიდან. კვლავაც წყალდიდობაა ბრაზილიაში, პაკისტანში, ავსტრალიაში. სურსათზე მოთხოვნა კი კვლავ იმატებს, რაც მსოფლიოს სურსათის დეფიციტს უქადის.

ინფლაციის თითქმის 80%-იანი წილი სწორედ სურსათის ფასებზე მოდის. ამას დაემატა საწვავის, სატრანსპორტო დანახარჯების გაძვირება, გაიზარდა კომუნალური ხარჯები... მაგრამ ფასები ამ ნიშნულზე გაჩერებას არ აპირებს. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია რამდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მოიმატებს და ფასები მხოლოდ წლის მეორე ნახევარში დასტაბილურდება. მოსახლეობისთვის, რაც ყველაზე მტკივნეულია, ფასები მოიმატებს პირველადი მოხმარების პროდუქტზე.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში ფასები თითქმის ყველა სახის საქონელზე საგრძნობლად გაიზარდა. ფასების ზრდის ძირითად მიზეზად იმპორტული პროდუქციის გაძვირება, კერძოდ, ხორბლის მსოფლიო ფასის მატება სახელდება. ხორბლის გაძვირებამ ფქვილი გააძვირა, ფქვილის გაძვირებას კი მოყვა, პირველ რიგში, პურისა და შემდგომ, სხვა საკვები პროდუქციის ფასების მატება. ხორბალი პირველადი მოხმარების საგანია, ლიდერია მარცვლეულ პროდუქტებში.

ამ დროისთვის ყაზახური ხორბლის ფასი 25 დოლარით გაიზარდა და 390 დოლარს შეადგენს, უკრაინული ხორბლის ფასი 15 დოლარით გაიზარდა და 340 დოლარს მიაღწია. ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორის „აგრიკომის“ განცხადებით, თუ ტენდენცია გაგრძელდა და ხორბლის ფასმა 420-450 დოლარს მიაღწია, ეს ტომარა ხორბალს 2-3 ლარით გააძვირებს.

წისქვილკომბინატებს ახალი წლის შემდეგ $15-ით გაზრდილი ფასით უწევთ ხორბლის უკრაინიდან შემოტანა, ყაზახეთიდან კი $25-ით გაუძვირდათ, სადაც ფასებმა მსოფლიო ბირჟების გავლენით მოიმატა.

ერთ ტონა ფოთამდე მოტანილ უკრაინულ ხორბალში მათ $415 დოლარი, ხოლო გარდაბნამდე მოტანილ ყაზახურში $380 დოლარი გადაიხადეს. გადამუშავების შემდეგ ტომარა ფქვილს გორის „კარმენი“, კაჭრეთისა და მარნეულის წისქვილკომბინატები გასული კვირის ბოლოს 46,5 ლარად ყიდდნენ, რაც ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასი იყო. ცოტა უფრო ძვირი, 48 ლარი ღირს ფქვილი სხვა წისქვილკომბინატებში. როგორც წისქვილკომბინატებში ამბობენ, დაახლოებით ორ კვირაში მსოფლიო ფასების გავლენით ტომრის ფასი 1-2 ლარით კიდევ მოიმატებს. სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღწევს ხოლმე საქართველომდე იმპორტიორ ქვეყნებში ხორბლის გაძვირება. 20 დღის შემდეგ ის უკვე პურის ფასზეც აისახება.

შემდეგ რა მოხდება, არავინ იცის. ხორბლის როგორი მოსავალი მოვა ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში, მარტში გაირკვევა. არაპროგნოზირებადი სიტუაციაა რუსეთშიც, სადაც შარშანდელმა გვალვამ მარცვლეულის მსოფლიო დეფიციტის შექმნაში დიდი როლი ითამაშა. მწირი მოსავლის გამო რუსეთმა ფქვილის ექსპორტი შეწყვიტა. ცოტა ხნის წინ მოსკოვმა განაცხადა, რომ ექსპორტი ისევ აღადგინა, თუმცა მხოლოდ სიტყვით. ფქვილის რუსეთიდან გატანა ისევ პრობლემად რჩება. რუსეთიდან ხორბლის ექსპორტზე დაწესებული აკრძალვა 2011 წლის 1 ივლისამდე გაგრძელდება. როგორც ცნობილია, რუსეთმა ხორბლის ექსპორტზე აკრძალვა რუსეთში გასულ ზაფხულს მომხდარი მასშტაბური ხანძრების გამო შეაჩერა. კიდევ ერთმა მსხვილმა ექსპორტიორმა უკრაინამ განაცხადა, ექსპორტზე დაწესებულ კვოტებს თებერვლისთვის მოვხსნიო.

მსოფლიო ბირჟებზე კი ხორბალი კვლავ ძვირდება. ტუნისში ფასების მატებით გამოწვეული არეულობის შემდეგ ხორბლის პანიკური შესყიდვები დაიწყეს. გაზრდილი მოცულობით ყიდულობს ხორბალს ალჟირი და ლიბიაც. ეგვიპტემ ერთ დღეში ბირჟაზე ერთბაშად 1 მილიონი ტონა ხორბალი შეისყიდა, რამაც ბირჟებზე პანიკა დათესა.

ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნის, არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ შესაძლოა მარცვლეულის ქვეყნიდან გატანა შეზღუდოს და ექსპორტზე კვოტები დააწესოს. ამ გადწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ადგილობრივმა ფერმერებმა სიმინდი და სოიო გააძვირეს. პურის დეფიციტით შეშინებულმა ქვეყნებმა სახელმწიფო რეზერვების შექმნა დაიწყეს. რეზერვების დიდი მოცულობით შევსების შესახებ განაცხადა თურქეთმაც.

სახელმწიფო რეზერვების შექმნაზე საუბარი საქართველოშიც დაიწყეს. როგორც ამბობენ, ხორბლის დარეზერვებაზე მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროში უკვე დაიწყო.

საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის ინფორმაციით, ამ დროისთვის წისქვილკომბინატებში

140 ათასი ტონა ხორბლის მარაგია, ხოლო კიდევ 35 ათას ტონას იმპორტიორები თვის ბოლომდე შემოიტანენ.

პურის მწარმოებელი უმსხვილესი კომპანიების ნაწილი რეალიზაციის ზრდაზე ალაპარაკდა. მათივე თქმით, პურზე ფასის ზრდას, რაც ხორბლის გაძვირებამ გამოიწვია, რეალიზაციაზე არ უმოქმედია.

ხორბლის გაძვირების კვალდაკვალ კვების სხვა უმთავრესი პროდუქტიც ძვირდება. რეკორდსმენი კვლავაც შაქარია, რომლის ფასმა ბოლო დღეებში კიდევ 5%-ით მოიმატა.

თბილისში და რეგიონების ბევრი სავაჭრო ობიექტის დახლებიდან უკვე გაქრა შაქარი, რადგან მოსახლეობა ერთბაშად დიდ პარტიებს ყიდულობს. ამასთან, ბევრი მაღაზია თავს იკავებს გაძვირებული შაქრის შესყიდვისგან. მომწოდებლებმა ტომარაზე 6 ლარი მოუმატეს და მისი ჩაბარების ფასი უკვე 120 ლარს გადასცდა. შუამავლები, რომლებიც შაქარს ბითუმად ყიდულობენ და შემდეგ აფასოებენ, შაქრის მონოპოლისტ მომწოდებელ „ქუოლიტი შუგარის“ საწყობებს მიაწყდნენ. საბითუმო იმპორტიორის ოფისთან ტრაილერების გრძელი რიგები იდგა. თუმცა კომპანია ირწმუნება, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს და საკმარისი პროდუქტი აქვს მომარაგებული.

საქართველო შაქრის მიღებაზე 100%-ით იმპორტზეა დამოკიდებული. ძირითად იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენენ: ბრაზილია, უკრაინა, ინდოეთი, ბელორუსია, აზერბაიჯანი და სომხეთი.

შაქრის ფასების ზრდაზე „ადგილობრივი ფაქტორებიც“ მოქმედებს, პირველ რიგში, ბაზრის მონოპოლიური გადანაწილება. ფასს ბევრად თუ არა, მცირედით მაინც ბიძგი საბაჟო მოთხოვნის გამკაცრებამაც მისცა. დეკემბრიდან 12%-იანი საბაჟო გადასახადი დაეკისრათ შაქრის იმპორტიორებს, რომლებიც ადგილწარმოშობის სერტიფიკატს ვერ წარმოადგენენ. შაქარი 12%-ით ყოველთვის იბეგრებოდა. მაგრამ სერტიფიკატი გულისხმობს, რომ პროდუქცია სრულად უნდა იყოს წარმოებული ერთ ქვეყანაში. ანუ შაქრის ლერწამი ან ჭარხალი, რომელიც არის ნედლეული, მოყვანილიც და წარმოებულიც ერთსა და იმავე ქვეყანაში უნდა იყოს. პრობლემა იმან შექმნა, რომ შაქრის ლერწამი არ იყო მოყვანილი იმ ქვეყანაში, საიდანაც შაქარი შემოდიოდა. ბუნებრივია, ის სერტიფიკატის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს და დაიბეგრა. ამ ცვლილებამ, პირველ რიგში, გაამძვირა იმპორტი ბელორუსიიდან, საიდანაც ბოლო თვეების განმავლობაში დიდი მოცულობით შაქარი შემოვიდა.

იმპორტიორები, რომლებსაც შაქარი ბელორუსიიდან შემოჰქონდათ, ამბობენ, რომ საბაჟო მოთხოვნები შაქრის ბაზრის მონოპოლისტის, აზერბაიჯანული „ქუოლიტი შუგარის“ ინტერესების დასაცავად გაამკაცრეს. აზერბაიჯანული კომპანია ფლობს აგარის შაქრის ფხვნილის ერთადერთ მწარმოებელ „ქართულ შაქარსაც“. აგარის ქარხნისთვის ნედლეულსაც აზერბაიჯანული კომპანია ყიდულობს და გამოშვებულ შაქარს ბაზარზე კომპანია „დაფნა ჰას“ მეშვეობით ყიდის.

ბრაზილიური და ინდური შაქარი ბაზარზე გაცილებით უფრო ადვილად აღწევდა, ვიდრე აზერბაიჯანელების შემოსვლის შემდეგ, რომლებმაც ქარხნის შესყიდვიდან მოკლე ხანში ბაზრის 80% დაისაკუთრეს. კონკურენტების შეზღუდვის ხარჯზე მათი წილი კიდევ იმატებდა. ბაზარზე შაქრის შემოტანა მცირე იმპორტიორებისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა. იმპორტისთვის საბაჟოზე შექმნილ პრობლემებზე ჩიოდნენ მსხვილი მწარმოებლები.

შაქრის ფასი ჩიკაგოს ბირჟაზე 30 წლის მაქსიმუმს აღწევს და გაძვირებას განაგრძობს. ერთი ტონა თეთრი და რაფინირებული შაქრის ფასმა ლონდონის ბირჟაზე (2008 წლის ივნისში ფასი $383 იყო) $750-ს გადააჭარბა. ერთ-ერთი ძირითადი საკვები პროდუქტის ფასის მატება ბრაზილიაში ცუდ მოსავალს დაუკავშირეს. ახალი წელიც უსიამოვნო ინფორმაციით დაიწყო, მსოფლიოს შესაძლოა შაქრის დეფიციტი შეექმნას. რადგან ინდოეთს, რომელიც ყოველწლიურად 250 მილიონ ტონას აწარმოებს, ექსპორტი კვლავაც შეზღუდული აქვს. მოსავლის შემცირებას ელოდებიან ტაილანდში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია. შაქრის დეფიციტს ხელს ისიც უწყობს, რომ შაქრის ლერწამს, სიმინდსა და სოიოსთან ერთად, აქტიურად იყენებენ ბიოსაწვავის წარმოებაში. შაქარზე, როგორც პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტზე, მოთხოვნა ყოველთვის მაღალია, ამიტომ ძვირი იმპორტისა და შეზღუდული მსოფლიო მარაგების გათვალისწინებით, შაქრის გაძვირება წელსაც გაგრძელდება.

შარშან გაზაფხულზე „ქართული შაქარი“ სარემონტოდ გაჩერდა და მისი მარაგების ამოწურვის შემდეგ ბაზარზე დეფიციტი რომ არ შექმნილიყო, იმპორტს გზა გაუხსნეს. ბაზარზე გაჩნდნენ ახალი, შედარებით მცირე იმპორტიორებიც. იმპორტის ზრდა ოფიციალურ სტატისტიკაზეც აისახა. იმპორტმა ზრდა ივლისიდან დაიწყო და III კვარტალში საშუალო მოცულობასთან შედარებით გაორმაგდა. შარშან იანვარ-ნოემბერში სულ ქვეყანაში 121,6 ათასი ტონა შაქარი შემოვიდა, 2009 წელს კი 105 ათასი იყო. გაიზარდა იმპორტი ბელორუსიიდანაც, რომლის ფასი საკმაოდ ხელსაყრელი იყო და „ქუოლიტი შუგარს“ კონკურენციას უწევდა. 2010 წლის დეკემბრამდე ბელორუსიიდან იმპორტმა, 2009 წელთან შედარებით, 243%-ით მოიმატა და 12,9 ათას ტონას მიაღწია. სანაცვლოდ შემცირდა იმპორტი ბრაზილიიდან.

ნაწილობრივ საბაჟო შეზღუდვისა და ნაწილობრივ მსოფლიო ბაზარზე გაძვირების შემდეგ, არსებობა რამდენიმე იმპორტიორმა შეწყვიტა. მათ შორის „კა-დე ტრეიდ გრუპმა“, რომელსაც შაქარი ბელორუსიიდან შემოჰქონდა. როგორც კომპანიაში ამბობენ, პროდუქტის იმპორტმა აზრი დაკარგა. გაძვირებას უჩივიან მცირე მეწარმეებიც, რომლებიც შაქარს საბითუმოდ ყიდულობენ, უმეტესად „ქუოლიტი შუგარისგან“, თვითონ აფასოებენ და ადგილობრივ სავაჭრო ობიექტებს ამარაგებენ.

„ქუოლიტი შუგარის“ განცხადებით, მათი ძირითადი კონკურენტი ბელორუსიული შაქარია, რომელიც დიდი ოდენობით შემოდიოდა. მცირე მოცულობით ხდებოდა იმპორტი ევროპიდან და სომხეთიდან. ფასები დეკემბრამდე თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ დაბეგვრის შემდეგ უფრო ძვირი გახდა. თუმცა, მსოფლიო ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, ფასები იზრდება.

საქართველოში შაქრის ფასი ევროპულზე მაღალია - ამის შესახებ ინფორმაციას ბეჭდური მედია ავრცელებს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კილოგრამი შაქრის ფასმა 2.40-2.50 ლარს მიაღწია, როცა მაგალითად, ჰოლანდიაში ერთი კილოგრამის შაქრის შემენა ლარში დაანგარიშებით 2,10 ლარიდან 2,35 ლარამდეა შესაძლებელი. დღეისთვის მსოფლიო ბაზარზე ერთი ტონა თეთრი შაქარი 780 დოლარი ანუ დაახლოებით 1410 ლარი ღირს.

მოსახლეობის თქმით, არცერთი პროდუქტის ნაკლებობა არ შეინიშნება, მაგრამ ყველაფერი გაძვირებულია და მაღაზიებში რიგები დგას.

ხორბლის ფასების ასეთმა ზრდამ ქართველ ფერმერებს გადააწყვეტინა შეეძინათ ამერიკიდან შემოტანილი სპეციალური ჯიშის სათესლე ხორბალი, რომელიც ჩვეულებრივზე ძვირია, როგორც ცნობილია, ხორბლის თესლი კანზასსა და ოკლაჰომაში იქნა შემენილი. „ჯაგერი“ უმაღლესი ხარისხის "ელიტის" ხორბლის პირველი რეპროდუქციაა, ამიტომ მაღალ მოსავალს იძლევა, ჰექტარზე 3-4 ტონას, რაც ქართული და რუსული ჯიშის ხორბლის მოსავლიანობას ბევრად აღემატება (ელიტური ჯიშების ხორბლის თესლი კი 5 ტონა მოსავალს იძლევა). 1 კილოგრამი ამერიკული სათესლე ხორბალი 1 დოლარი ღირს, რასაც დაზღვევის ხარჯიც ემატება, დაახლოებით 5-10 ცენტი. ექსპერტების თქმით ამერიკიდან შემოტანილი სათესლე ხორბალი გენმოდიფიცირებულია. კიდევ არ არის დაზუსტებული იმ ზიანის მასშტაბები, რის მოტანაც შეუძლია ამ თესლს გარემოსთვის. გარდა ამისა, განსაკუთრებით საფრთხილოა ბავშვთა კვებაში გენმოდიფიცირებული ნივთიერებების გამოყენება.

სოციალურ მდგომარეობას ამძიმებს საწვავის გაძვირებაც. „ლუკოილმა“, „ეკო ჯორჯიამ“, „ვისოლმა“ საწვავის ფასი ყველა სახეობაზე 5-10 თეთრით გაზარდეს. ეჭვს არ იწვევს, რომ მათ მალე სხვა კომპანიებიც შეუერთდებიან. ბოლო 4 თვეში ბრენტის ტიპის ნავთობი ბირჟებზე 15%-ით გაძვირდა და ბარელზე $98-ს მიაღწია. ამ ვითარებაში კიდევ უფრო მატულობს სპეკულაციური გარიგებები ბირჟებზე, ეს კი, თავის მხრივ, ფასების ხელოვნურ გაზრდას იწვევს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ხელახლა შემობრუნებას უწინასწარმეტყველებენ. მათი თქმით, ამჯერად კრიზისის მიზეზი სურსათზე ფასების ზრდა შეიძლება გახდეს.

ჩვენ მივეკუთვნებით იმ ქვეყნების კატეგორიას, რომელიც დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე. ხორბლის, შაქრის და კვების პროდუქტების ძალიან დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოდის და ცხადია, ეს აისახება ჩვენზე, თუმცა არის მომენტები, როცა ფასების ცვალებადობა ჩვენს შიდა პოლიტიკაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, ყველაზე არსებითი მომწოდებელ ქვეყნებს მიეკუთვნებიან: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ავსტრალია, ბრაზილი და სხვა. რუსეთი, სადაც გვალვებისა და ხანძრის შედეგად მოსავლის დიდი ნაწილი განადგურდა, თავად აღმოჩნდა კრიზისულ მდგომარეობაში. ბუნებრივია, როდესაც ასეთი დიდი მოთამაშე გამოეთიშა მსოფლიო ბაზარს, ხდება ხორბლის გაძვირება. ასევე კატაკლიზმების შედეგად ძალიან ცუდი მოსავალი მოვიდა უკრაინაშიც, სადაც დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა. იქ საერთოთ შეზღუდულია ექსპორტი და როგორც უკრაინული წყაროებიდან ვრცელდება, აპირებენ ქვოტები დააწესონ, მაგრამ მინისტრის თქმით, უკრაინა საქართველოს დაპირდა, რომ იგი არ შეწყვიტავს ხორბლის მიწოდებას. სახელმწიფოს თეორიულად შეუძლია, შექმნილი სიტუაციის მეტნაკლებად დაბალანსება. ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს იმის ბერკეტი, რომ ხელი შეუშალოს ფასების ზრდის ტენდენციას.

როდესაც დოლარის გაძვირებასთან გვაქვს საქმე, ეს თავისთავად აისახება ყველა იმ საქონლის ფასზე, რომელიც იმპორტირებულია. ამას ორი მიზეზი აქვს - პირველი ის, რომ მათ შორის კონკურენცია არ არის და, მეორე, მათ რეალურად დანახარჯები მართლაც ეზრდებათ. შესაბამისად, ეს ყველაფერი იწვევს კიდევ უფრო დიდ პრობლემებსა და ფასების ზრდას.

სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციაზე გაზრდილი ფასი, მოსახლეობის უმუშევრობის ფონზე, სოციალურ მდგომარეობას უფრო ამძიმებს. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. მთავრობის როლი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა შექმნას ქვეყანა, რომელიც

საინტერესო იქნება ინვესტორებისთვის. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს წარმოებების, ქარხნების აშენებას, მიწების დამუშავებას და ამ გზით უნდა მოხდეს შემოსავლის მიღება. ხელისუფლებამ უნდა დააინტერესოს ინვესტორი და იმედი უნდა ჩაუსახოს, რომ მათ ქონების დაკარგვის შიში არ ჰქონდეთ ანუ ქვეყანაში უნდა იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტაბილურობა.

კანონმდებლობით, საარსებო მინიმუმის საფუძველზე უნდა განისაზღვრებოდეს პენსიისა და სოციალური დახმარების ოდენობა. უნდა შეიცვალოს მოძველებული საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიაც.

აგვისტოს ომის შემდეგ მსოფლიო საზოგადოება დაგვეხმარა 4 მილიარდ დოლარზე მეტი თანხით. აქედან 2 მილიარდი იყო საჩუქარი, ხოლო დანარჩენი გრანტის სახით. სწორედ ეს თანხები მნიშვნელოვნად ეხმარებოდა ქვეყანას ომის შემდგომ პერიოდში. ამის ფონზე ეკონომიკური პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ამოიწურა ყოველგვარი რეზერვი და ახლა მკვეთრად იგრძნობა უცხოური შემოსავლების ნაკლებობა.

დღეს საქართველოში სოციალური ფონი მძიმეა და მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია. ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალია. უნდა მოხდეს ხალხის მიერ გაღებული თანხების მიზნობრივად ხარჯვა. თუკი ფასები ისევ გაიზრდება და ამის პარალელურად ხელფასები და პენსიები არ მოიმატებს, მაკროეკონომიკური სტაბილურობა დაირღვევა და უმძიმეს სიტუაციაში ჩავარდება მომხმარებელი.

ეროვნულმა ბანკმა ქვეყანაში მაღალი ინფლაციის არსებობა აღიარა, მაგრამ მის გამომწვევ მიზეზებად მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები დაასახელა. ავსტრალიაში ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გაფუჭდა ხორბლის მოსავალი, ბრაზილიაში წყალდიდობის შედეგად განადგურდა შაქრის ლერწამი, რამაც ამ პროდუქტების მიწოდება შეამცირა, შედეგად საქართველოში გაძვირდა ხორბალი, შაქარი და სხვა პირველადი მოხმარების საქონელი, რადგან როდესაც პირველადი მოხმარების საქონელი ძვირდება, პარალელურად ყველაფრის გაძვირება ხდება. საქართველოში არსებული პროდუქტის 80%-მდე იმპორტირებულია, ეროვნული ვალუტის გაუფასურება იმპორტს აძვირებს და, შესაბამისად, ამ მოვლენის შემდეგ ქვეყანაში თითქმის ყველა პროდუქტი გაძვირდა.

ინფლაცია არის მიმოქცევაში არსებული ფულის მასისა და ქვეყანაში არსებული პროდუქტებს შორის თანაფარდობის დარღვევა, ფულის მასის ზრდის, ან პროდუქტების რაოდენობის შემცირების შედეგად.

საერთაშორისო ბაზარზე კონკრეტული პროდუქტის გაძვირება, ქვეყანაში გრძელვადიან პერიოდში ინფლაციას არ უნდა იწვევდეს და უნდა მოხდეს ფინანსური ორგანოების მხრიდან ამის კონტროლის გამკაცრება.

ინფლაცია იწვევს ფინანსური რესურსების არასწორ გადანაწილებას. აქედან გამომდინარე საქართველოში მაღალი ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, ან არსებულის შესამცირებლად საჭიროა ნორმალური ფულად-საკრედიტო, სავალუტო და ფისკალური პოლიტიკის გატარება. ანუ, საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს შეთანხმებული და ძლიერი მუშაობა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მოტივირებული შედეგზე.

უნდა მოხდეს ხორბლის საკუთარი მარაგების შექმნა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ხორბლის უამინდობისა და რისკებისგან დაზღვევა. საერთოდ თუ მოხდება ამ პროდუქტის დანერგვა, ძალიან დაეხმარება ფერმერებს მოსავლის აღებაში და ისინი დაზღვეულნი იქნებიან რისკებისგან, რაც თავისთავად გამოიწვევს დანახარჯების შემცირებას.

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს დავალებით ყველა სადაზღვევო კომპანია უნდა იყოს ჩართული ამგვარ საქმიანობაში და უნდა მოხდეს შეღავათიანი პირობების შემუშავება ფერმერებისთვის.

სამომხმარებლო ბაზარზე ფასების შემცირებისა და რეგულირებისთვის საჭიროა მოხდეს საბაჟო და საგადასახადო კოდექსის დახვეწა, სოფლის მეურნეობის განვითარება. პირველი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი ბაზრებისა და წარმოებების განვითარებას. მითუმეტეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საქართველოში არსებობს ხორბლის უნიკალური ჯიშები და ნაყოფიერი მიწები, სადაც სრულებით შესაძლებელია მოხდეს იმ რაოდენობის ხორბლის წარმოება, რაც ქვეყანას სჭირდება და აღარ იყოს დამოკიდებული იმპორტზე. ასევე შესაძლებელია შაქრის დამზადებისთვის საჭირო ნედლეულის ადგილზე წარმოებაც, რაც აუცილებლად დადებით მაჩვენებლებამდე მიგვიყვანს. ეს რა თქმა უნდა გამოიწვევს ფასების შემცირებას და ადგილობრივი ბაზრების განვითარებას. მთლიანობაში კი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა:

1. http://news.am/rus/news/45883.html
2. http://www.presage.tv/?m=bp&sm=5&AID=3343

3. http://mtavari.info/news-508.html
4. http://www.ruralassociation.ge/geo/strategy.php

ექსტრემალური ტურიზმის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში
(სამთო–სათხილამურო მაგალითზე)

ელისო დოთიაშვილი, თამარ ქველიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი**, სრული პროფესორი

საქართველო ტურისტული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ჩვენს ქვეყანაში ერთად არის მთა, ზღვა და ამ ყველაფერს ემატება საქართველოს მდიდარი ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვე, რაც ასევე ძალიან მიმზიდველია ტურისტებისათვის. საქართველოში მრავლად არის ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილები და ჩვენს ქვეყანას აქვს იმის პოტენციალი, რომ მოიზიდოს მრავალი ტურისტი.

ბოლო პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ტურიზმის განვითარების საქმეში, თუმცა ამ მხრივ ჯერჯერობით საგრძნობლად ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს.

საქართველოს ტურისტული ინდუსტრია მსოფლიო ბაზარზე ახალბედა მონაწილეა და ამიტომ ჯერ კიდევ ნაკლებადაა ადაპტირებული მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნებთან.

აქტიური დასვენება და გართობა დღეს ტურიზმის ერთ–ერთი მაღალმოთხოვნადი დარგია. ამისათვის ჩნდება მოთხოვნილება ექსტრემალური ტურიზმისადმი. ეს დარგი ძალიან სწრაფად მზარდია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოშიც მრავლადაა ისეთი ადგილი, სადაც ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულები შეძლებენ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ჩვენი ქვეყნის პოტენციალი ექსტრემალური ტურიზმის მხრივ ჯერ კიდევ აუთვისებელია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების მიერ, ამიტომ საჭიროა მარკეტინგული საქმიანობის წარმოება.

იმისათვის, რომ მარკეტინგული საქმიანობა წარმატებულად იქნას წარმოებული, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. ბაზრის შესწავლა;
2. საკუთარი შესაძლებლობების ანალიზი;
3. ტურიზმის განვითარების ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის აგება;
4. ქართული ექსტრემალური ტურიზმის მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად ორგანიზება.

ექსტრემალური ტურიზმის ბაზარი ძალიან სწრაფად მზარდი და პერსპექტიულია მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ექსტრემალურ ტურიზმზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბაზრის ისეთ მსხვილ მოთამაშეებზე, როგორიცაა შვედეთი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ნორვეგია, ჩრდილოეთ ამერიკა და იაპონია. რა თქმა უნდა ძალიან ძნელია ყველა კონკურენტის შესწავლა. ამიტომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებზე, რომლებიც ამ ბაზარზე დიდი ხანია არსებობენ და ექსტრემალური ტურიზმი მაღალ დონეზე აქვთ აყვანილი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა მასშტაბებისა და მათთან ამ დარგის მაღალ დონეზე განვითარებისა, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს გააჩნია პოტენციალი იმისა, რომ გაუწიოს კონკურენცია ამ ქვეყნებს და დაიკავოს ბაზარზე ერთ–ერთი წამყვანი ადგილი.

იმისათვის, რომ მოხდეს ჩვენი შესაძლებლობებისა და კონკურენტების ურთიერთშედარება, აუცილებელია საკუთარი რესურსებისა და პოტენციალის ანალიზი.

დღეისათვის საქართველოში ექსტრემელური ტურიზის მოყვარულები შესაძლებელია დაკავდნენ სხვადასხვა სახის აქტივობით, ესენია: სამთო–სთხილამურო სპორტი, დაივინგი, რაფტინგი, პარაპლანინგი, სპალეოტურიზმი, ალპინიზმი, მთის ველოსიპედით სეირნობა, მეკლდეურობა და ყინულზე ცოცვა.

სამთო–სათხილამურო სპორტი.

საქართველოში ორი საერთაშორისო სტანდარტების სამთო–სათხილამურო კურორტია: გუდაური და ბაკურიანი. ამათ დაემატათ მესტიის და ხულოს უნიკალური სამთო კურორტები, რომლებიც დამსვენებლებს ყველა სირთულის ბილიკს სთავაზობენ. ამასთან კავკასიონის მთები ნამდვილი სამოთხეა.

ბაკურიანის, მესტიის, ხულოსა და გუდაურის სათხილამურო ბილიკები გათვლილია, როგორც დამწყები, ასევე პროფესიონალი მოთხილამურეებისათვის. გუდაური და მესტია ჰელი–სქის მოყვარულებს სთავაზობს ამოუწურავ შესაძლებლობებს. მათ საშუალება აქვთ დაეშვნენ 1500 დან 4200–მდე მეტრის სიმაღლის ფერდობებიდან.

ამ კურორტების გარდა სამთო–სათხილამურო სპორტის განვითარება შეიძლება გუდაურში, კერძოდ კი ბახმაროში. მესტიის მიდამოებსა და ეწერაში შესაძლებელია სპორტული ტურიზმის (სამთო–სათხილამურო) განვითარება ნოემბრის დასაწყისიდან მაისის ჩათვლით. მესტიასთან ახლოს, უშბის პლატოზე შესაძლებელია სპორტული შეჯიბრების მოწყობა, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში, სამთო–სათხილამურო ტურიზმის ფუნქციონირება შესაძლებელი გახდება მთელი წლის განმავლობაში. მესტიასთან არის ადგილი ლაგუმეერი, რომელიც ევროპაში უნიკალურია იმით, რომ აქ მთელი ზაფხულის განმავლობაშიც შეიძლება სათხილამურო ტურიზმის განვითარება. ზაფხულში ამ სათხილამურო მონაკვეთის სიგრძე 1 კმ–ია, რაც აღემატება ევროპის ზაფხულის სათხილამურო ადგილების სიგრძეს.

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგექმნათ ამ დარგის მასშტაბებზე, გაგაცნობთ შემდეგ მონაცემებს:

2010 წლის მონაცემებით მოთხთილამურეთა საერთო რაოდენობამ 100 მილიონს გადააჭარბა, ხოლო სამთო სათხილამურო ცენტრების რაოდენობა კი 4000–ზე მეტია.

ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია ყაზბეგის რაიონში კერძოდ გუდაურში მოქმედ სასტუმრობსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ჩამოსულ სტუმართა რაოდენობის შესახებ. 2009 წლის 1 იანვარის მონაცემებით მათმა რაოდენობამ სულ შეადგინა 18503 დამსვენებელი. მათ შორის შედიოდნენ ევროპისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან, ასევე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიდან ჩამოსული ტურისტები. შესაბამისად, ჩვენ დავინტერესდით ამ ქვეყნების ტურისტული შესაძლებლობებით და მოვიძიეთ ინფორმაცია ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებული სამთო–სათხილამურო კურორტების რაოდენობის შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა საერთაშორისო მოთხოვნას:

ავსტრია – 264; საფრანგეთი - 216; შვეიცარია – 120; ფინეთი - 36; ბულგარეთი – 5; გერმანია - 74; ნორვეგია - 52; პოლონეთი - 15; სლოვაკეთი - 53; ესპანეთი - 25; შვედეთი - 28; უკრაინა - 2; აშშ – 431; კანადა -174; ახალი ზელანდია - 27; აფრიკა - 3; არგენტინა - 3; ავსტრალია - 13; ჩილე -12;

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით ყაზბეგის რაიონში, კერძოდ კი გუდაურში, მოქმედი სასტუმროების შემოსავლების შესახებ ნომრებით სარგებლობიდან 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით 2871,7 მალნ ლარი შეადგინა.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა, მასში მონაწილეობდნენ ქართველი რესპოდენტები და დასმულ კითხვაზე თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი იმოქმედებდა მათ გადაწყვეტილებაზე დაესვენათ საქართველოს სამთო–სათხილამურო კურორტებზე, მივიღეთ შემდეგი პასუხები. 117 გამოკითხულიდან 24% უპირატესობას ანიჭებდა ფასებს, 22% სათხილამურო მონაკვეთებისა და საბაგირო გზების ხარისხს, 18% სასტუმროების მომსახურეობის დონეს, 15% ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, 12% ინფრასტრუქტურას, 8-% საჭირო ინვენტარის ხელმისაწვდომობას.

რაც შეეხება უცხოელებს, მათ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას.

იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს სამთო–სათხილამურო კურორტების ინტეგრირება მსოფლიო ბაზარზე, აუცილებელია ჩვენ ქვეყანაში არსებობდნენ ისეთი ასოციაციის წევრი ტურისტული სააგენტოები, როგორიცაა WATA (World Association of Travel Agencies). WATA არის ტურისტული სააგენტოების მსოფლიო ასოციაცია, რომელშიც გაწევრიანებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები, ისეთები როგორებიც არიან: BBC – BERLINER BAREN SERVICE – GERMANI; BASSANI – ITALY; HOLT PARIS WELCOME SERVICE _ FRANCE; I.C.I. INTERNATIONAL _ITALY; SKY TRAVEL – UKRAINA; WATA –Great Britain – GREAT BRITAIN; WATA Denmark – DENMARK; MANHATTAN PASSPORT –USA; ESCAPE TRAVEL LTD – RUSSIA; SAGA VIAGENS. LDA- PORTUGAL; BITS – BEGIUM; NUEVA VISTA ARMENIA TOURS – ARMENIA; MORIS TOURISM – TURKEY; SM TRAVEL- SWITZERLAD;THE TRAVEL EXPERIENCE-FINALD; TRITON HODLAYS-GREECE; WATA Netherlands- NETERLANDS; WATA Norway-NORWAY; WATA Poland-POLAND; WATA Canada-CANADA.

S w o t

Strengths-სიძლიერე	Weaknesses-სისუსტეები
- დაბალი ფასები - ბუნებრივ-კლიმატური პირობები	- მომსახურების დაბალი ხარისხი - არასრულყოფილი ინპრასტრუქტურა - სტიმულირების მეთოდების სიმცირე საქართველოში და მისი არსებობა უცხოურ ბაზარზე
Opportunities-შესაძლებლობები	Threts-საფრთხეები
- აქტიური სარეკლამო კომპანიის მეშვეობით საბაზრო წილის ზრდა. - ახალი კურორტების შექმნის პოტენციალი - საზაფხულო სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარება	- ეკონომიკური არასტაბილურობა - ბუნებრივ-კლიმატური გარემო და მასთან დაკავშირებული საფრთხეები - ძლიერი კონკურენტები

ამ თემაზე მუშაობისა და swot ანალიზის განხილვის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვის სასარგებლო იქნება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება: პირველ რიგში აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის დაფინანსების წყაროც შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტი, ასევე მოზიდული უცხოური ინვესტიციები. მაგალითად, გუდაურს გააჩნია უნიკალური თოვლის საფარი, მაგრამ არ არის შესაბამისი საბაგირო და სათხილამურო გზები, აუთვისებელია მრავალი ადგილი. საჭიროა კიდევ უფრო მეტი გზებისა და სასტუმროების მშენებლობა და კეთილმოწყობა, რათა უფრო მიმზიდველი იყოს დამსვენებლებისათვის. საჭიროა ასევე შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო, რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ფასების მინიმიზება და ამავდროულად ხარისხის გაზრდა. ყურადღება უნდა გამახვილდეს პოლიტიკურ სიტუაციაზე, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც შიდა, ასევე გარე პოლიტიკური კონფლიქტები. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სტიმულირებას, ინფორმაციის გავრცელების წყაროები უნდა იყოს როგორც ინტერნეტი, ასევე წამყვანი ტელეარხები, სადაც დაწვრილებით იქნება საუბარი საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე და ხაზი გაესმება მათ უპირატესობას. ინფორმაციის განთავსება უნდა მოხდეს ასევე სხვადასხვა უცხოური სააგენტოების კატალოგებში, რომლებიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოურ მომხმარებლებში.

ლიტერატურა:

1. ლ. კოჭლამაზაშვილი, ს. თევდორაძე, ,,მარკეტინგი ტურიზმში“, თბ., 2008;
2. გ. ხომერიკი, ,,ტურიზმი“, თბ., 2008;
3. ჯ. კახიანი, ,,საქართველო ტურიზმისა და ალპინიზმის ქვეყანა“, 2002;
4. www.georgia.travel
5. www.j2ski.com

პარფიუმერული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (კომპანია „Oriflame“-ის მაგალითზე)

მარიკა დურული, ქსენია ხაჩიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

პარფიუმერული ბიზნესი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და სწრაფად მზარდია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს.

კოსმეტიკის გამოყენება უძველესი დროიდან ხდებოდა. ამას მოწმობს არქეოლოგების მიერ გამოქვაბულებში აღმოჩენილი ტუჩსაცხი და წამწამების მოსახატი ფანქრები. თუმცა, იმ პერიოდში მათ რელიგიური დანიშნულება ჰქონდათ. რიტუალური მსხვერპლშეწირვისას მცენარეებისა და ყვავილების დაწვის დროს, ადამიანებმა კვამლის არომატი შეიგრძნეს. ამგვარად მიღებულ სურნელოვან კვამლს კი „Per fumum“ (ლათ. „კვამლის საშუალებით“) უწოდეს.

პარფიუმერიის სამშობლოდ ძველი ეგვიპტე ითვლება და იგი თანდათანობით, მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

პარფიუმერია (ფრანგ. „parfumeric“) არომატული ნივთიერებანი და ნაწარმია, რომელსაც იყენებენ ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნით (სუნამო, ოდეკოლონი, კრემი და მისთანები).

დღეისათვის პარფიუმერული ფირმები მილიონობით მოგებას ითვლიან. საუკუნეების მანძილზე ხდებოდა გარკვეული მეთოდებისა და ხერხების შემუშავება, რათა თითოეულ მომხმარებელს შესაძლებლობა ჰქონოდა გაცნობოდა და გამოეყენებინა მსოფლიოში არსებული ბრენდების ნაწარმი. საბოლოოდ შემუშავდა ქსელური მარკეტინგის სისტემა. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით კი ქსელური მარკეტინგის განხორციელება სწრაფად და მარტივად ხდება. მისი გამოყენება წარმატებით ხდება პარფიუმერულ ბიზნესშიც.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთობები გამყიდვლებსა და მყიდველებს შორის. ცნობილია, რომ ბრენდინგი წარმატებით მუშაობს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კომუნიკაციის პროცესს მომხმარებელთან სწორად წარმართავს. მარკეტინგული კომუნიკაციის ისეთი მეთოდები, როგორიცაა მაგალითად რეკლამირება და სტიმულირება, ქმნიან ბრენდის იმგვარ იმიჯს, რომელიც დასამახსოვრებელია მომხმარებლისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქსელური მარკეტინგი.

ქსელური მარკეტინგი ანუ MLM წარმოადგენს ბიზნეს-კონცეფციას, რომელიც საშუალებას აძლევს MLM კომპანიას, მიაწოდოს და გაავრცელოს თავისი პროდუქცია და/ან მომსახურება გაუწიოს უშუალოდ კლიენტებს პირდაპირი გაყიდვების გზით.

პირდაპირი გაყიდვების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის (WFDSA) წესების თანახმად, პირდაპირი გაყიდვები განისაზღვრება, როგორც პროდუქტების ინდივიდუალური გაყიდვები ან კლიენტების უშუალო მომსახურება არამდგრადი საცალო გაყიდვების საფუძველზე. დამოუკიდებელი, უშტატო კონსულტანტ-გამყიდვლები წარმოადგენენ კომპანიას და იღებენ საკომისიო თანხას გაყიდვების საერთო მოცულობიდან.

კონსულტანტ-გამყიდვლები ხშირად აყალიბებენ საკუთარ ორგანიზაციებს თავისუფალი დისტრიბუტორების რეკრუტირების მეშვეობით, რომლებიც, თავის მხრივ, იგივენაირად მოქმედებენ. შედეგად ფართოვდება მთელი ქსელი.

ფირმები, რომლებიც თავის საქმიანობაში გამოიყენებენ ქსელურ მარკეტინგს, საკმაოდ წარმატებულები არიან არამხოლოდ მსოფლიოს, არამედ საქართველოს მასშტაბით. საქართველოში პარფიუმერულ ბაზარზე ძირითადად მოქმედებენ ისეთი ცნობილი უცხოური ფირმები როგორებიცაა: „Oriflame“, „Iv roshe“, „Nivea“, „Avon“, „Faberlic“ და ა.შ. თემაში ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ კომპანიებზე, რომლებიც პროდუქციის რეალიზაციისას ქსელური მარკეტინგის სისტემას იყენებენ.

განვიხილოთ პარფიუმერულ ბაზარზე მოქმედი ერთ-ერთი წარმატებული ბრენდი „Oriflame“.

კომპანია “Oriflame” 1967 წელს ძმების რობერტ და იონას აფ იოკნიკებისა და მათი მეგობრის მიერ შეიქმნა. დღეისათვის იგი საერთაშორისო კოსმეტიკური კონცერნია, რომელსაც 60-ზე მეტ ქვეყანაში აქვს საკუთარი წარმომადგენლობა, 13 მათგანში - ფრანჩაიზინგი. ამასთან იგი ოცდაათ ქვეყანაში კოსმეტიკური ბაზრის ლიდერია. მთელს მსოფლიოში „Oriflame“-ის 3.3 მილიონი კონსულტანტი და 7500

თანამშრომელი ყოველწლიურად ახორციელებს 1.3 მილიარდი ევროს ოდენობის გაყიდვებს. პროდუქციის ასორტიმენტში 950 ერთეულია. თვეში გამოიცემა 100 მილიონამდე კატალოგი 35 ენაზე.

კომპანია ფლობს 5 საკუთარ ფაბრიკას შვედეთში (1967 წ), პოლონეთში (1995 წ), რუსეთსა (2004 წ) და ინდოეთში (1996 წ). კომპანიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 100-მდე მეცნიერი და ექსპერტი მუშაობს. კომპანიის აქციები წარმოდგენილია Nasdaq OMX- ისა და OMX Nordic Exchange-ის საფონდო ბირჟაზე. 1982 წლიდან კომპანია დარეგისტრირებულია ლონდონის სავაჭრო ბირჟაზეც.

კომპანიის სახელწოდების წარმოშობას საფრანგეთის ისტორიაში გადავყავართ. სიმბოლურ კერპს - წმინდა ორიფლეიმს (aureum - ოქრო, flamma - ცეცხლის ალი) - წარმოადგენდა ცეცხლოვანი წითელი ფერის აბრეშუმის ალამი, რომელსაც შუა საუკუნეებში საფრანგეთის მეფეები იღებდნენ წმინდა დენისის აბატისაგან საომარი მოქმედებების დაწყებამდე. კომპანიის დამფუძნებლებმა იცოდნენ, რომ დიდი ბრძოლა ექნებოდათ გადასატანი პირდაპირი გაყიდვების ახალი მეთოდების დამკვიდრებასა და კომპანიის განვითარებისათვის. დამფუძნებლებმა ჩათვალეს, რომ „Oriflame“ სწორედ შესაფერისი დასახელება იქნებოდა მომავალი ბრძოლების თვალსაზრისით. კომპანიის პირველ ლოგოტიპზე, ასო „O“-ს ირგვლივ, მეფური ორნამენტები განათავსეს.

„Oriflame“-ის, როგორც კომპანიის, ხედვაა იყოს №1 კომპანია პირდაპირი გაყიდვების სფეროში. კომპანიის პროდუქციის ასორტიმენტი (პირადი ჰიგიენის საგნები, კოსმეტიკური და პარფიუმერული ნაწარმი, სამკურნალო პროდუქცია (მაგალითად, სახის კანის მოვლის საშუალებები, ცელულიტის საწინააღმდეგო საშუალებები, ვიტამინები და ა.შ.) მრავალფეროვანია და გათვლილია სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელზე. მაგალითისათვის, განვიხილოთ ფირმის სუნამოები. ისინი შეიძლება კლასიფიცირდეს ზოგადად როგორც ქალისა და მამაკაცის სუნამოები. თავის მხრივ კი შეიძლება მოხდეს მათი შემდგომი დაყოფა არომატის, ხარისხის, ფასისა და დიზაინის მიხედვით.

ქალის სუნამოები გათვლილია განსხვავებული არომატების მოყვარულთათვის. მათი ფასი მერყეობს გრამებისა და არომატების მიხედვით.

მაგალითად, 50 მილიგრამიანი, ქალბატონებისათვის განკუთვნილი პარფიუმერული წყალი „Midnight pearl“-ის ღირებულება შეადგენს 88,49 ლარს. იგივე მოცულობის სუნამო „Miss O“-ს ღირებულება 29.99 ლარს შეადგენს. აქედან ნათლად ჩანს, რომ, მიუხედავად თანაბარი მოცულობისა (50 მლ), მათი ღირებულება განსხვავებულია, რაც ხარისხისა და პრესტიჟის განსხვავებაზე მეტყველებს. რაც შეეხება დიზაინს, ვიზუალურად ორიფლეიმის სუნამოთა ფლაკონები გამოირჩევა განსაკუთრებული მიმზიდველობით.

მამაკაცის სუნამოებიც, ისევე როგორც ქალბატონებისა, სხვადასხვა ფინანსური შესაძლებლობის და არომატების მოყვარულ მომხმარებელზეა გათვლილი. მაგალითად, პარფიუმერული წყლის „Architect“-ის ღირებულება შეადგენს 59.99 ლარს. სუნამოს მოცულობა 75 მილიგრამია. აღსანიშნავია, რომ სუნამოს ფლაკონის დიზაინი დაპროექტებულია დომენიკ პეროს (მისი პროექტების მიხედვით აგებულ ორიგინალურ შენობებს მრავალ ქვეყანაში აქვს აღებული პრესტიჟული ჯილდოები) მიერ. მამაკაცის სუნამოს „Excite by Dima Bilan“-ის ღირებულება შეადგენს 29.99 ლარს, ხოლო მოცულობით 75 მილიგრამია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ „Oriflame“-ის სუნამოები და ზოგადად პროდუქცია გათვლილია სხვადასხვა შესაძლებლობებისა და შეხედულებების მქონე მომხმარებელთათვის.

ხარისხიანი კოსმეტიკური პროდუქტების გარდა, „Oriflame“ მომხმარებელს სთავაზობს გაყიდვის სპეციფიკურ მეთოდს - „პირდაპირი გაყიდვა“ ან სხვაგვარად „პირდაპირი მარკეტინგი“.

პროდუქციის რეალიზაციის ტრადიციული სავაჭრო პირობებისაგან განსხვავებით კომპანია „Oriflame“ იყენებს ადამიანებს ე.წ. კონსულტანტებს. ასეთი მიდგომით კომპანია პოტენციურ მომხმარებელს აქცევს რეალურ მომხმარებლად, რეალურ მომხმარებელს კი - თანამშრომლად.

კონსულტანტის რეგისტრაციის ღირებულება 10 ლარია, ხოლო რეგისტრაციის ღირებულება ფასდაკლებითი რეგისტრაციის აქციის პერიოდში 2/5 ან 8 ლარს შეადგენს.

გარდა შევსებული სარეგისტრაციო ფორმისა და სარეგისტრაციო თანხისა აუცილებელია აგრეთვე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

„Oriflame“-ში თანხების გამომუშავებისათვის ორი გზა არსებობს:

- 30%-იანი პირდაპირი წილი გაყიდვებიდან;
- შეუზღუდავი შემოსავალი იმ შემთხვევაში, თუ სხვა კონსულტანტებს მიიზიდავთ.

„Oriflame“ აწარმოებს საქველმოქმედო პროექტებს, როგორც ბავშვთა საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი. „Oriflame“ იცავს ეთიკის მკაცრ პრინციპებს თავისი საქმიანობის ნებისმიერ დონეზე. იგი

სოციალური პროგრამების ფარგლებში ეხმარება ზრუნვამოკლებულ ბავშვებსა და ახალგაზრდა ქალებს განათლების მიღებაში.

2000 წლიდან „Oriflame“-მა საქართველოში დაიწყო საქმიანობა და მალევე მიიქცია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ყურადღება. მომდევნო წელს კი „Oriflame“-მა წარმომადგენლობა სომხეთშიც გახსნა. ეს გადაწყვეტილება წარმატებული და მომგებიანი აღმოჩნდა კომპანიისათვის. ამჟამად საქართველოში ორიფლეიმის 8000 კონსულტანტია. იგივე მაჩვენებელია სომხეთშიც.

საქართველოს პარფიუმერულ ბაზარზე კომპანია „Oriflame“-ის ძირითადი კონკურენტები არიან Avon და Faberlice.

1886 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დევიდ მაკკონელი, ინგლისის ლიტერატურისა და თავად ინგლისის უსაზღვრო თაყვანისმცემელი, წიგნების გაყიდვის მიზნით კარდაკარ დადიოდა მანამდე, ვიდრე წიგნებს სუნამოები არ ამჯობინა. კომპანია მალევე გაიზარდა და მაკკონელიმ სამუშაოდ თავისი პირველი წარმომადგენელი, ქალბატონი ალბი აიყვანა. ასე ჩაეყარა საფუძველი კომპანია „Avon“-ის დაარსებას.

კომპანია „Avon“ დაფუძნდა 1886 წელს აშშ-ში, ნიუ-იორკში 28 წლის დევიდ ჰ. მაკკონელის მიერ. კომპანიის პროდუქცია მსოფლიოს 144 ქვეყანაში იყიდება 6 მილიონი დამოუკიდებელი წარმომადგენლის მეშვეობით. კომპანიის წლიური გლობალური ბრუნვა 7.7 მილიარდი დოლარია. კომპანია „Avon“ პროდუქციის რეალიზაციისას იყენებს, ქსელური მარკეტინგის სისტემას. მისი პროდუქცია გათვლილია ნებისმიერი კატეგორიის მომხმარებლისათვის.

1997 წელს ახალგაზრდა გამომგონებელმა ალექსეი ნეჩაევმა შექმნა პირველი კოსმეტიკური კომპანია რუსეთში, რომელიც პირდაპირი გაყიდვების სისტემას იყენებს. თავდაპირველად კომპანიის სახელწოდება იყო “რუსული ხაზი”, ხოლო 2001 წელს მისი სახელწოდება შეიცვალა და „Faberlice“ ეწოდა.

„Faberlice“-ის კონსულტანტთა რაოდენობა 1 მილიონ ადამიანს შეადგენს. კომპანიას 20 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა, და მის პროდუქციას 5 მილიონი ქალბატონი ავრცელებს.

აღნიშნული საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ იქნა 18-დან 56-მდე ასაკის 100 რესპოდენტი, რომელთაგან 73 ქალი და 27 მამაკაცია. მათ შორის 30 უმაღლესი, ხოლო 70 საშუალო განათლების მქონეა.

გამოკითხვის შედეგების თანახმად პარფიუმერული ნაწარმის თითქმის ყოველდღიური მომხმარებელია გამოკითხულთა 30%, პარფიუმერულ ნაწარმს ხშირად მოიხმარს 20%, ხანდახან 34%, ძალიან იშვიათად 16%. როგორც მონაცემებიდან ჩანს, ჩვენს მიერ გამოკითხული ყველა რესპოდენტი მეტ-ნაკლებად პარფიუმერული პროდუქციის მომხმარებელია.

გამოკითხვის შედეგებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტორთა ანალიზი, რომლებიც ხშირად განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ მომხმარებელზე პარფიუმერული ნაწარმის შეძენის დროს. პირველ ადგილზე მომხმარებლებმა პროდუქციის ხარისხი დააყენეს. გამოკითხულ რესპოდენტთა 76% სწორედ ხარისხს მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც მათზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პარფიუმერული პროდუქციის შეძენის დროს. პარფიუმერული პროდუქციის შეძენის დროს ფასის ფაქტორს 8% ანიჭებს უპირატესობას, 10% - მწარმოებელ ფირმას, 6% - მწარმოებელ ქვეყანას.

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ გამოკითხულთაგან 38% ამჟამად არ გააჩნია პირადი შემოსავალი, 100 ლარამდე აქვს შემოსავალი 28%-ს, 100-დან 200 ლარამდე 16%-ს, 200-დან 300 ლარამდე 10%-ს, 300-დან 400 ლარამდე 6%-ს. 400 ლარზე მეტი შემოსავალი გააჩნია გამოკითხულთა 2%-ს.

გამოკითხულთა 56% პარფიუმერული ნაწარმის შეძენაზე თვეში საშუალოდ ხარჯავს 20 ლარამდე, 20% - 20-დან 30 ლარამდე, 8% - 30-დან 40 ლარამდე, 8% - 40-დან 50 ლარამდე, 2% - 50-დან 60 ლარამდე, ხოლო 6% - 60 ლარზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 38%-ს ამჟამად არ გააჩნიათ პირადი შემოსავალი, ისინი მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებენ პარფიუმერული პროდუქციის შეძენას. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათ შესაძლოა გააჩნიათ გარკვეული ფულადი დანაზოგი, ოჯახის წევრების ან ახლობლების მიერ გაწეული ფულადი დახმარება და სხვა, რომლის საშუალებითაც ისინი ახერხებენ აღნიშნული პროდუქციის შეძენას.

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა 48% ყველაზე ხშირად მოიხმარს „Oriflame“-ის პროდუქციას. 30% - „Avon“-ის პროდუქციის მომხმარებელია, 4% - „Faberlice“-ს, 6% - „Nivea“-ს, 5% - „Golden Rose“-ს, 4% - „Max Factor“-ს, 3% - „Loreal“-ის პროდუქციით სარგებლობს.

გამოკითხულთა 26%-ს მიაჩნია, რომ მათ მიერ პარფიუმერული პროდუქციის შესაძენად გადახდილი ფასი მის ხარისხს სრულად შეესაბამება, 70%-ის აზრით - ნაწილობრივ, მხოლოდ 4%-მა აღნიშნა, რომ პარფიუმერული პროდუქციის შესაძენად გადახდილი ფასი მის ხარისხს არ შეესაბამება.

ამრიგად, ზემოაღნიშნული გამოკითხვის ანალიზმა გვაჩვენა, რომ მომხმარებლებს სურთ შეიძინონ ხარისხიანი პარფიუმერული პროდუქცია ხელმისაწვდომ ფასად. ხარისხის ფაქტორი რესპოდენტთა უმრავლესობაზე (76%) ყველაზე დიდ გავლენას ახდენს პარფიუმერული პროდუქციის შეძენის დროს. აღმოჩნდა, რომ მომხმარებლები უფრო მეტად იცნობენ და მოიხმარენ იმ ფირმების პარფიუმერულ ნაწარმს, რომლებიც ქსელურ მარკეტინგს იყენებენ. ამას მოწმობს ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები: პირველ და მეორე ადგილზე ყველაზე მეტი პროცენტული მაჩვენებლებით დასახელდა „Oriflame“ და „Avon“ (შესაბამისად 48 და 30%). აღნიშნული კომპანიების წარმატება, ვფიქრობთ, იმითაცაა განპირობებული, რომ ისინი სისტემატურად სთავაზობენ მომხმარებელს საკუთარ პროდუქციაზე ფასდაკლებების აქციას, რასაც, მარკეტინგული თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში პარფიუმერული კომპანია არ არის. აღსანიშნავია 1962 წელს მომხდარი საინტერესო ფაქტი: საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა, ფატი დუმბაძემ დაიბარა პარფიუმერული კომბინატის „ივერიის“ თანამშრომლები, დერმატოლოგ- კოსმეტოლოგები და უთხრა: - „მინდა, საბჭოთა კავშირში საქართველომ თავისი სიტყვა თქვას ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პარფიუმერიის გამოშვებით. მხოლოდ უნდა იყოს ყველა ქალისათვის ხელმისაწვდომი. დაიანგარიშეთ რა ეღირება კარგ ნედლეულზე დამზადებული ნაწარმი და შევძლებთ თუ არა მის წარმოებას მოზრდილი მასშტაბით“. ცოტა ხანში მოწვეულებმა იანგარიშეს და ნოვატორ მინისტრს პასუხი მოახსენეს: „ასეთი პროდუქცია ძალზე ძვირი დაჯდება, რამეთუ აქ არ მოგვეპოვება ყველაზე მთავარი კომპონენტი სპერმაცეტი (ვეშაპის ტვინის ქონი, რომელიც ბევრ პარფიუმერულ ნაწარმს სჭირდება ფუძედ. 1 კგ. სპერმაცეტი 200 მანეთი ღირდა)“. გამოდიოდა, რომ ძვირადღირებილ პარფიუმერიას ვერ შეწვდებოდა მუშურ-გლეხური კლასი. მინისტრ დუმბაძის იდეა იდეად დარჩა და არც მანამდე და არც შემდეგ აღარ წამოჭრილა პარფიუმერიასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ პროდუქციას მომხმარებელი არ ეყოლება. პარფიუმერულ ნაწარმზე მოთხოვნა არსებობს, რაც პარფიუმერული პროდუქციის ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე გვაფიქრებინებს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ იდეის სახით შემოგვეთავაზებინა პროექტი ქართული პარფიუმერული საწარმოს შესახებ.

გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დაარსებული კომპანია ს.ს „Smile” მომხმარებელს შესთავაზებს პარფიუმერულ პროდუქციას, რომელიც დამზადებული იქნება როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისაგან. პროდუქციის რეალიზაცია განხორციელდება ქსელური მარკეტინგის მეთოდის საშუალებით. აღნიშნული მიმართულებით საწარმოს ჩამოყალიბებასა და საქმიანობის სფეროს განსაზღვრას განაპირობებს საქართველოში პარფიუმერულ ბაზარზე შექმნილი სიტუაცია. ჩვენს მომხმარებელს ხელმისაწვდომ ფასად შევთავაზებთ ხარისხიან პროდუქციას. საკუთარ პროდუქციასთან ერთად შესაძლებლად მიგვაჩნია იმ ცნობილი უცხოური ბრენდების პროდუქციის შეთავაზებაც, რომელთანაც კომპანიას ექნება შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებული პროდუქციის მოწოდების თაობაზე. შეიქმნება კომპანიის საკმაოდ მიმზიდველი და ინფორმაციულად ამომწურავი ოფიციალური ვებ-გვერდიც. შესაძლებელია კომპანიის პროდუქციის პოტენციური ინვესტორებისა და მომხმარებლების უშუალოდ დასწრება პროდუქციის წარმოების პროცესზე. დაინტერესების შემთხვევაში კი მათ მიეცემათ შესაძლებლობა გახდნენ კომპანიის თანამშრომლები და მიიღონ დამატებითი შემოსავალი. ეს მიდგომა დაფუძნებულია კომპანიასა და მომხმარებლებს შორის ნდობის ფაქტორზე.

აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს პროექტის მოკლე მიმოხილვას. აქ ჩვენ არ შევეხეთ ბიუჯეტს, რადგან იგი დეტალურ დამუშავებას საჭიროებს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იდეის დონეზეა, რომელიც შეიძლება რეალურ პროექტად ვაქციოთ. გვჯერა ასეთი ტიპის საწარმოს დაფუძნება დამატებითი შემოსავლებისა და დასაქმების წყარო გახდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის.

ლიტერატურა:

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჯაბაშვილი, თბ., 1989;
2. კატალოგი „Oriflame“, №02, გვ. 25, 137, 158, 2011.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://ru.wikipedia.org/wiki/oriflame
2. http://geoeconomic.com/print.php?lp=1&id=242 და
3. http://ge.oriflame.com/about-oriflame/index.jhtml
4. http://ge.oriflame.com/about-oriflame/show.jhtml?tag=networkMarketing.
5. http://faberlicireland.co.cc/index.php?option=com_content&view=article&id=64&itemid=144

6. http://www.faberlic.ru/company/history/
7. http://en.wikipedia.org/wiki/avon_products
8. http://en.wikipedia.org/wiki/perfume#history

ინფლაციის გავლენა საქართველოში

მარიამ ედიშერაშვილი, ანა სულეიმანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე**, სრული პროფესორი

ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის მძიმე, ძნელად სამკურნალო დაავადებაა. მისგან არც ერთი ქვეყანა არაა დაზღვეული. ეს ეხება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ სახელმწიფოებს, აგრეთვე იმ ქვეყნებს, სადაც, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკა.

ალბათ, არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ინფლაცია არ შეხებოდეს. რასაკვირველია, ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. გადავხედოთ ქართულ გამოცდილებას.

მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის რეგულირების მიზნით, განისაზღვრა საბანკო სისტემის მიერ მთავრობის გასაცემი წმინდა კრედიტების, აგრეთვე ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო და საერთაშორისო აქტივების ზღვრული ოდენობა. გატარებული ფულად–საკრედიტო პოლიტიკის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეროვნული ბანკის აქტივების სტრუქტურა. ფულის მიწოდების კონტროლის განსახორციელებლად ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო ანგარიშები შეტანილია ეროვნულ ბანკში, ხოლო საერთაშორისო რეზერვები, რომელიც მანამდე ფინანსთა სამინისტროში იყო,გადაეცა ეროვნულ ბანკს. ამით ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შესაძლებლობა მიეცა გამოეყენებინა მიმოქცევაში არსებული ფულის მასის რეგულირების მოქმედი ღონისძიებები.

ინფლაციის გამომწვევ ფაქტორს წარმოადგენს – ფულის მიმოქცევის კანონის უგულვებელყოფა, როდესაც მიმოქცევისთვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრისას სარეალიზაციო საქონელთა რაოდენობას. ინფლაცია მოსალოდნელია მაშინაც, როცა მოსახლეობის შემოსავალი იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე საქონლისა და მომსახურეობის წარმოება.

საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ და აღმოვაჩენთ, რომ საქართველო ამჟამად სხვა ქვეყნების მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებელია და არა მწარმოებელი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე საწარმოს, სადაც ძირითადი პროდუქცია შემოდის იმპორტით. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ არ არის ქვეყანაში ინფლაციის მაღალი ტემპი? ეს განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის შემოსავალი ძალზე მცირეა, ამგვარად ებრძვის საქართველოს ხელისუფლება ინფლაციას.

საქართველო დღეისათვის, საწარმო ძალების განვითარების დონის მიხედვით, იმყოფება სადღაც ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. მას შეიძლება ეწოდოს საშუალოდ ინდუსტრიული ქვეყანა, ან კიდევ ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკით.

ეროვნული საწარმო ძალების ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მის დივერსიფიკაციასთან. ამასთან, ეს უკანასკნელი იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ მის საფუძველზე შექმნილმა ეკონომიკის სტრუქტურამ შეძლოს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვნად უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გამართლებული იქნება განზრახვა, რომ ქვეყანაში შეიქმნას საკუთარი საწარმო სიმძლავრეები ისეთი პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც ადრე სხვა ქვეყნებიდან შემოგვქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიფიქროთ საქართველოში იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო საკუთარი სიმძლავრეების შექმნაზე. იმპორტჩანაცვლებადი წარმოების ორგანიზაცია დაკავშირებულია მსხვილ ინვესტიციებთან, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახალი სიმძლავრეების ათვისების, სატრანსპორტო სქემების ხელახალი გამართვის და ინფასტრუქტურის სხვა ობიექტების ამოქმედების პროცესი. დიდი ხარჯები კი შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს ისეთი ქვეყნის ეკონომიკას, როგორიც საქართველოა.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი ფიქსირებული საკურსო რეჟიმიდან, რომლის დროსაც ქვეყნის ეროვნული ვალუტა მიბმულია უცხოურ ვალუტაზე და მიმოიქცევა საკმაოდ ვიწრო არეალში, მცურავ საკურსო რეჟიმზე გადადის. ასეთი რეჟიმის დროს ეროვნული ვალუტის ღირებულება სავალუტო ბაზარზე არსებული მოთხოვნა–მიწოდების საფუძველზე

განისაზღვრება. ამასთან, გამოყოფენ მცურავე საკურსო რეჟიმის ორ სახეს: რეგულირებად მცურავს და თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსებს. თუ პირველ შემთხვევაში ქვეყნის ფულად–საკრედიტო რეგულირების ორგანოები დროდადრო ატარებენ ინვესტიციებს შიდა სავალუტო ბაზარზე, მეორე შემთხვევაში სავალუტო ბაზარი თავისუფალია ჩარევისაგან.

ფიქსირებული სავალუტო – საკურსო რეჟიმი ხელს უწყობს ხელისუფლებისადმი ნდობის მოპოვებას და ინფლაციის დონის სწრაფ დაცემას. ფიქსირებული სავალუტო კურსების დროს ფულად – საკრედიტო პოლიტიკა კონცენტრირებულია სტაბილური კურსის შენარჩუნების უზრუნველყოფაზე. ამასთან, ფისკალური პოლიტიკაც ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს ხელისუფლების მოქნილობის ხარისხს, სანამ ფინანსური ბაზარი ნდობას უცხადებს ქვეყანაში არსებულ ფიქსირებულ სავალუტო–საკურსო რეჟიმს. ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინფლაციის მოლოდინის შეზღუდვას.

განვითარებად ქვეყნებს საშუალება ეძლევა გარკვეული პერიოდის მანძილზე შეამცირონ ვალუტის კურსზე ზეწოლა და ინფლაციის ტემპები.

დღეისათვის ინფლაცია საქართველოში თითქმის არ არის და, თუ არის, ისიც ისეთი მცირე დოზით, რომ ის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს არც ქვეყნის ეკონომიკისათვის და არც მოსახლეობის საარსებო პირობებისათვის. საქართველოს სახელმწიფო ფასების ინდექსმა 2007 წელს შეადგინა 110,9%, ხოლო ინფლაციის დონე თვეში საშუალოდ იყო 0,85%, რაც საქართველოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მქონე ქვეყნისათვის ძალზედ კარგია, შეიძლება ითქვას საუკეთესოც.

ყოველწლიურად იზრდება როგორც საგარეო ვალი, ისე საშინაო. სახელმწიფო დროულად ვერ არიგებს ხელფასებს, პენსიებს, სხვადასხვა შემწეობებსა და დახმარებებს. ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოდის ქვეყანაში წარმოებული ერთობლივი პროდუქტის 30–40% ეროვნულ ვალუტას. მიმდინარეობს ქვეყნის ფულადი მიმოქცევის დოლარიზაცია (ყველა მსხვილი გარიგება ხორციელდება დოლარებში) და ა.შ. საქართველოში ინფლაციის არარსებობის დასასაბუთებლად იშველიებენ იმასაც, რომ ლარის კურსი სტაბილურია დოლარის მიმართ დიდი ხნის მანძილზე და, თუ მერყეობს, ისიც ძალიან მცირედ – ერთ დოლარში აქეთ და იქით გადახრებით 1,4 ლარის დიაპაზონში.

ინფლაციამ საქართველოში, გასული წლის ბოლოს პროგნოზირებული 6% –ის ნაცვლად, 11,2% შეადგინა, რაც, ეკონომისტების შეფასებით, ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

რა საფუძვლები განაპირობებს ფასების ამ მასშტაბით ზრდას და ინფლაციის წინააღმდეგ რა ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს ეროვნული ბანკი?

ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2011 წლისთვის ინფლაცია ქართული ეკონომიკისთვის მთავარი გამოწვევა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ფასების ზრდას სპეციალისტები, ძირითადად, საერთაშორისო ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატებით ხსნიან, სახელდება სხვა შიდა განმაპირობებელი ფაქტორებიც. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი კოვზანაძე მიიჩნევს, რომ ფასებზე სერიოზულ გავლენას ახდენს შიდა ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ნაკლებობა, ამას ემატება იმპორტისა და ექსპორტის ის თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც საქართველოში იმპორტირებული საქონელი ექსპორტირებულს მინიმუმ სამჯერ აღემატება.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, ინფლაციის დასათრგუნად ბანკი რამდენიმე ბერკეტს იყენებს. პირველი ეს არის ფულადი მასის შემცირება; ამასთან, ბანკებისთვის საპროცენტო განაკვეთების გაზრდა და მეტი გარანტიების განსაზღვრა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განყოფილების უფროსი არჩილ იმნაიშვილი ამბობს, რომ ინფლაცია ძირითადად გარე ფაქტორებმა განაპირობა: ,,2010 წლისთვის დაფიქსირდა ინფლაციის პროცენტული მაჩვენებელი 11,2. აქედან სურსათის წვლილი არის 9,5 პროცენტული მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია არასახარბიელო მოსავლის გამო მსოფლიო ბაზარზე სურსათის გაძვირებით. გასული წლის ზაფხულიდან ეროვნული ბანკი ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საჭიროა გარკვეული დრო იმისათვის, რომ ეს მონეტარული პოლიტიკა აისახოს ინფლაციაზე.“

ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ნოდარ ხადურს მიაჩნია, რომ ინფლაციის გამომწვევი ერთ–ერთი ფაქტორი ნამდვილად არის გაძვირებული იმპორტირებული პროდუქცია, რომლის ფასიც დოლარშია განსაზღვრული. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში დაეცა, ანუ ლარი გაუფასურდა, ეს ნიშნავს იმას, რომ იმპორტირებული პროდუქციის ფასი ავტომატურად კიდევ უფრო ძვირი გახდა.

,,2010 წელი ეკონომიკური გამოწვევების წელი იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 41% –ით შემცირდა. ინფლაციამ 10,5% –ს მიაღწია. თუმცა, საბოლოოდ, ეკონომიკა მოსალოდნელი 2% –დან, სულ მცირე, 6%–ით გაიზარდა. ეკონომიკური ზრდის მიზეზებს, საბიუჯეტო დეფიციტისა და ვალის დინამიკას, წლის მთავარ წარმატებასა და მარცხს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს პრემიერ–მინისტრი

ნიკა გილაური აჯამებს. ,,ინფლაციის უფრო ეგზოგენური ფაქტორები განაპირობებს, ვიდრე ენდოგენური. საქართველოში ინფლაციის წყარო არის საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი ფასები. ფასი გაიზარდა ხორბალზე, რასაც ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა და სხვა საკვები პროდუქტებიც გაძვირდა. ამ პროცესმა გავლენა იქონია საქართველოზეც. ამ სიტუაციიდან რამდენიმე გამოსავალი არსებობს. ერთი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ–ბაზრის დივერსიფიკაციაა. ამ რეგიონში ხორბლის მომწოდებლები არიან უკრაინა, ყაზახეთი და რუსეთი. დღეს ქართველ იმპორტიორებს ასევე შეუძლიათ ხორბალი შემოიტანონ ლიტვიდან, უნგრეთიდან და საფრანგეთიდან. მეორე, ადგილობრივი ხორბლის ჯიშები ჩავანაცვლოთ უკეთესი და მეტი მოსავლის მომტანი ახალი ჯიშებით."

2010 წლის დეკემბრისთვის საქართველოში ინფლაციამ 11%–ს გადააჭარბა. პრემიერ–მინისტრმა განაცხადა, რომ სწორედ ინფლაცია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას და 2011 წლისთვის ინფლაციის შეჩერება და დაბალ ნიშნულამდე დაყვანა მთავრობის ერთ–ერთი პრიორიტეტი იქნება. ინფლაცია ახსნილი იქნა, როგორც ნავთობზე ფასების ზრდის თანმდევი და გარდუვალი პროცესი.

რატომ არის ინფლაცია განსაკუთრებით საზიანო და სახიფათო?

ამ კითხვაზე მარტივი პასუხი ასეთია – იმიტომ, რომ ბევრ, სხვადასხვა ტიპის პრობლემას წარმოშობს. ინფლაცია ,,აძვირებს" ცხოვრებას, კიდევ უფრო აღატაკებს მოსახლეობის ღარიბ ნაწილს (ახალი ფულის მასა ბაზარზე ერთიანად არ შემოდის და თანაბრად არ ნაწილდება. ახალი ფული ჯერ ხვდება ერთი სოციალური ჯგუფის ხელში, რომელიც ხარჯავს მას პირველი და რჩება მოგებული, რადგან ბაზარი ჯერ არ არის გაჯერებული ახალი ფულით და ფასები ისევ პირვანდელ მდგომარეობაშია. საბოლოო ჯამში ახალი ფული არ ხვდება ან ნაკლებად ხვდება ყველაზე ღარიბი მოსახლეობის ხელში, რომლებიც ან შემწეობაზე არიან, ან საუკეთესო შემთხვევაში, ფიქსირებულ ხელფასზე).

ინფლაციასთან ბრძოლა, მისი თავიდან აცილება საკმაოდ რთულია. ამის ერთ–ერთი მიზეზი ისაა, რომ ინფლაციის შემცირება უმუშევრობის ზრდას იწვევს. მართალია, ეს ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მხოლოდ დროებითია, მაგრამ შესაძლოა რამოდენიმე წელსაც გაგრძელდეს, ვიდრე ფასები სრულად არ შეეგუება ცვლილებებს.

ინფლაციის შეჩერება მარტივია (ცხადია, თუ ჰიპერინფლაციამდე არ არის პროცესი მისული). ამას ახერხებს თითქმის ყველა მეტ–ნაკლებად განვითარებული ქვეყანა. უბრალოდ საჭიროა შესაბამისი სურვილის არსებობა. მექანიზმი კი არც ისე რთულია – უნდა შეწყდეს ზედმეტი ფულის მასის მიმოქცევაში გაშვება, მიუხედავად იმისა, რა მნიშვნელობის პროექტებში იხარჯება ეს ფული.

ლიტერატურა:

1. blogspot.com/2009/10/blog-post_6840
2. radiotavisupleba.ge/content/article/2275267
3. tabula.ge/article-2665
4. financial.ge/main news/press release/67955 2010
5. pirweli.com.ge/index.php?option=com content&task=view&id-9391&itemid-99999999
6. tabula.ge/article-2031

პროექტი მეფუტკრეობის შესახებ

მარიამ ვოსკანიანი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

პატრიარქის მოწოდება მეფუტკრეობის განვითარების შესახებ

ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი წიგნიდან „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ" (გიორგი შიხაშვილი, თბ., „გეოკერია", 2004), სადაც უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია, იოანე

ღვთისმეტყველის ხსენების დღეს (სიონის საკათედრო ტაძარი, 21 მაისი, 2000 წ) ქადაგებს: თქვენ იცით, რომ დღეს მრავალ ადამიანს უჭირს, მათ შორის უმეტესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები უსაქმოდ არიან. ვერ უშოვიათ სამსახური, ცხოვრების გზა ვერ გაუკვლევიათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკლესიამ რაღაც უნდა იღონოს მათთვის და პირველი ნაბიჯი, რაც ამ მიზნით გვინდა გადავდგათ, ის არის, რომ მათ მეფუტკრეობა შევასწავლოთ. ფუტკრის მოშენება ძალიან სასარგებლო საქმეა. ვისაც ფუტკარი ჰყავს, არასდროს არის გაჭირვებული, მუდამ ბარაქით სავსეა. აქვს სანთელი, თაფლი, დინდგელი და სხვა. ფუტკრის მოვლას ცოდნა სჭირდება. არავითარი სხვა შემოსავალი რომ არ ჰქონდეს ოჯახს და მას მხოლოდ ფუტკარი ჰყავდეს, ის უკვე უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების მანძილზე. ღმერთმა ინებოს, რომ მთელ საქართველოში განვითარდეს მეფუტკრეობა, გვქონდეს ბევრი თაფლი და სანთელი“.

<u>§1 პროექტის აღწერა</u>

1.1. ისტორია. საქართველოში მეფუტკრეობის შესახებ პირველ წერილობით ცნობებს გვაწვდის ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნის ბიზანტიელი სარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე. უძველესი დროიდან ქართველები თაფლს არა მხოლოდ საკვებად, არამედ სამკურნალოდაც იყენებდნენ. XV საუკუნის დიდი ქართველი მკურნალი ზაზა ფანასკერტელი თავის უკვდავ სამკურნალო წიგნებში თაფლსა და ფუტკრის დანარჩენ პროდუქტებს ძალიან ხშირად იყენებს. დღემდე ეს დარგი უმნიშვნელოვანესი და სასარგებლოა და თუ რა პრობლემები არსებობს, ამას თანდათან გაგაცნობთ.

1.2. პრობლემა და მიზანი. მეფუტკრეობა უაღრესად სარფიანი და მნიშვნელოვანი დარგია, თუ რატომ, ამას დაწვრილებით მოგახსენებთ პროექტის მსვლელობისას.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი ხალხის დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ აქვს ამ დარგის მნიშვნელობა. ზოგიერთმა მათგანმა ისიც არ იცის, რომ თაფლის გარდა ფუტკარი კიდევ 5 უმნიშვნელოვანეს სასარგებლო და სამკურნალო პროდუქტს იძლევა. ჩვენ კვლევის დროს საკუთარი თვალით ვნახეთ, თუ რა რთულ და მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა ქართველ მეფუტკრეებს. როდესაც ვსაუბრობთ მეფუტკრეობაზე, ეს თემა ყოველთვის ასოცირდება თაფლთან, დანარჩენი ხუთი პროდუქტი კი ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩება.

ჩვენი მიზანია დავაინტერესოთ მოსახლეობა ამ სფეროთი (განსაკუთრებით ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც შეძლებენ ფულის დაბანდებას ამ საქმეში), მოვახდინოთ აღნიშნული ხუთი პროდუქტის რეალიზების გაფართოება.

1.3 ფუტკრის პროდუქტები. პირველ რიგში ჩამოვთვალოთ თითოეული პროდუქტი:

თაფლი, დინდგელი, ჭეო (იგივე ყვავილის მტვერი), შხამი, სადედე რძე, ცვილი.

როგორც კვლევებმა აჩვენა, მომხმარებელი ძირითადად ენდობა და შესყიდვებს აკეთებს პირდაპირ მწარმოებელი მეფუტკრისაგან, ასეთი შესყიდვები ხდება ძირითადად სოფლებში. საქართველოში თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზიები ძალიან იშვიათად გვხვდება, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ თაფლის ვარგისიანობისა და ხარისხის შეფასება საკმაოდ ძვირი უჯდება მეფუტკრეს, ამიტომ ის ამჯობინებს თავი აარიდოს ამ ხარჯებს და პროდუქტის რეალიზება მოახდინოს არასაბაზრო პირობებში. როგორც აღვნიშნეთ, პრობლემის გადაჭრის მთავარი წინაპირობაა აღნიშნული პროდუქტების სასარგებლო თვისებების მოსახლეობისათვის გაცნობა. ახლა კი განვიხილოთ თითოეული მათგანი:

<u>თაფლი</u>. თაფლი ის პროდუქტია, რომელსაც ფუტკარი გადაამუშავებს მცენარეთა ყვავილის ნექტრიდან. განასხვავებენ ორგვარ თაფლს – ყვავილოვანსა და მანანას. ყვავილოვან თაფლს ფუტკრები გადაამუშავებენ სხვადასხვა მცენარეების ნექტრიდან. თავის მხრივ, ყვავილოვანი თაფლი ორი სახისაა: მონოფლორული, რომელიც მიიღება ერთი სახეობის მცენარის ნექტრისგან და პოლიფლორული – რამდენიმე სახეობის მცენარეთა ნექტრისაგან. მანანა თაფლი ორგვაროვანი წარმოშობისაა: მცენარეული და ცხოველური. მცენარეულია სხვადასხვა ხეების ფოთლებიდან გამონაჟონი ტკბილი ცვრისაგან მიღებული თაფლი, რაც იშვიათად გვხვდება. ცხოველურია მწერების ტკბილი გამონაყოფისგან დამზადებული თაფლი. მანანა თაფლი უფრო მუქია, ნაკლებ არომატული, იგი შეიცავს მეტ მინერალურ ნივთიერებას ვიდრე ყვავილოვანი. იგი გამოიყენება კვების მრეწველობაში. სხვადასხვა თაფლის ქიმიური შემადგენლობა სხვადასხვაგვარია. თაფლი შეიცავს ასამდე სხვადასხვა ნივთიერებას, მაგრამ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილია ნახშირწყლები, გლუკოზა, ფრუქტოზა და ა.შ. კალორიულობის თვალსაზრისით თაფლს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ისეთ მაღალკალორიულ ნივთიერებებს, როგორიცაა: შაქარი, შოკოლადი, კაკაო, კაკალი და ა.შ. მინერალური ნივთიერებებიდან თაფლი შეიცავს კალციუმის, ნატრიუმის, მაგნიუმის. რკინის და

სხვა მინერალებს. აღსანიშნავია, რომ მინერალური ნივთიერებების რაოდენობა თაფლში თითქმის იგივეა, რაც ადამიანის სისხლში.

თაფლი გამოიყენება სამკურნალო დანიშნულებით: ალოეს ნახარში თაფლთან ერთად გამოიყენება ბრონქიტისას, თაფლში არეული ყვავილის მტვერი გამოიყენება გრიპის, გაციების, ანგინის, ბრონქიტის, ფილტვების ანთების, იშემიის (სისხლძარღვების შევიწროება), მიოკარდიის ნევროზის, ნევრასთენიის, ჰეპატიტის, ციროზის, ნეფრიტის, პანკრეატიტის, კოლიტის, ენტეროტის და სხვა დაავადებების შემთხვევაში.

<u>დინდგელი.</u> ტერმინი „დინდგელი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს ამოლესვას. დინდგელს ანუ ფუტკრის წებოს ფუტკრები ხმარობენ სკის ნაპრალების ამოლესვისათვის. ისინი ერთგვარად აბალზამებენ მათ სკაში მოხვედრილ მღრღნელებს და მწერებს. ფუტკრები დინდგელს აგროვებენ სხვადასხვა მცენარის კვირტებიდან გამოყოფილი ნივთიერებებისაგან. დინდგელი მომწვანო-მოყვითალო, ყავისფერი ან მოწითალო ფერის ფისოვანი ნივთიერებაა. დინდგელისათვის დამახასიათებელია ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები. ანტიბიოტიკებისაგან განსხვავებით, დინდგელი არ სპობს ნაწლავების ნორმალურ მიკროფლორას, ე.ი არ იწვევს დისბაქტერიოზს. დინდგელს, როგორც სამკურნალო საშუალებას, ძველი დროიდან იყენებენ. დინდგელის უპირატესობა სხვა სამკურნალო პრეპარატებთან შედარებით ის არის, რომ იგი ორგანიზმისათვის სრულიადნ უვნებელია და შეიძლება გამოვიყენოთ როგორც დამოუკიდებელ სამკურნალო საშუალებად, ისე სხვა პრეპარატებთან მრავალნაირი კომბინაციით. მისი სამკურნალო თვისებებია: ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული, ვირუსების საწინააღმდეგო, სოკოს საწინააღმდეგო, იმუნოსტიმულატორი, შეხორცების დამაჩქარებელი, არტერიული წნევის დამწევი, სისხლძარღვების სპაზმის მომხსნელი, სისხლის შედედების უნარის დამწევი, სისხლწარმოქმნის მასტიმულირებელი, საჭმლის მონელების ხელშემწყობი, ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელი, ორგანიზმის გამაჯანსაღებელი, ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამომდევნი, ავთვისებიანი უჯრედის დამთრგუნველი, ქსოვილების აღდგენის ხელშემწყობი, ანტიტოქსიკური, ანტიოქსიდანტი ჰეპატოდამცავი და ა.შ. სამკურნალოდ იყენებენ აგრეთვე დინდგელის სპირტიან ნაყენს და მალამოს, დინდგელი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ათეროსკლეროზი, ბრონქიალური ასთმა, ბრონქიტი, გასტრიტი, ეპიდერმოფიტია, ენტერიტი, ვირუსული ინფექციები, ზრდის შენელება, თავის ტკივილი, თმის ცვენა, თირკმლის ანთება, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, იმუნიტეტის დაქვეითება, კუჭის წყლული, კოლიტი, თრომბოზი, ტუბერკულოზი, სიმსივნე, სტენოკარდია, ჰაიმორიტი, ყურის ანთება, შაკიკი, ჰიპერტონია და ა.შ.

<u>ჭეო (ყვავილის მტვერი).</u> ფუტკრის ოჯახის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყვავილის მტვერს. იგი შეიცავს ფუტკრის ზრდა-განვითარებისთვის საჭირო აუცილებენ ცილებს, ცხიმებს. ვიტამინებს და მინერალურ ნივთიერებებს. ყვავილის მტვერი ყვითელი, ნარინჯისფერი, მომწვანო ან ყავისფერი ტკბილი, ფხვიერი მარცვლებია. ფუტკარი ყვავილის მტვერს აგროვებს ფეხებისა და პირის საშუალებით. ყვავილის მტვრის შეგროვებას ფუტკარი იწყებს 14-17 დღის ასაკში. სხვადასხვა სახეობის მცენარის მტვერი ერთმანეთისგან განსხვავდება ფერით და მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით. ყვავილის მტვერი მდიდარი და რთული შემადგენლობისაა. ის შეიცავს სხვადასხვა ცილებს, ფერმენტებს, მინერალურ ნივთიერებებს, 21 ამინომჟავას, ყველა ცნობილ ვიტამინს, ნახშიწყლებს, ჰორმონებს, პიგმენტებს და ბიოლოგიურად აქტიურ სხვა ნივთიერებებს. მრავალ ქვეყანაში გამოდის სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ყვავილის მტვერს. იგი რეკომენდებულია, როგორც დამატებითი საკვები პროდუქტი ფიზიკური და გონებრივი შრომით გადაღლის შემთხვევაში. მისი სამკურნალო თვისებებია: ანტისკლეროზული, ნაღვლმდენი, შარდმდენი, ავთვისებიანი უჯრედების დამთრგუნველი, სისხლის მიმოქცევის გამააქტიურებელი, წნევის მარეგულირებელი, სისხლში შაქრის შემცველობის შემამცირებელი, შეხორცების დამაჩქარებელი, ორგანიზმის გამაახალგაზრდავებელი, ანტიბიოტიკების მოქმედების ხელშემწყობი, შრომისუნარიანობის გამზრდელი, საჭმლის მომნელებელი სისტემის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი, ნერვული სისტემის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი, ენდოკრინული სისტემის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი. ჭეოს იღებენ შემდეგი დაავადებებისას: ანემია, გაციება, გრიპი, ანგინა, ფილტვების ანთება, იშემია, მიოკარდიტი, გულის მანკი, ჰიპერტონია, ტვინის შერყევა, ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ნევროზი, ნევრასთენია, ღვიძლის დაავადებები (ჰეპატიტი, ციროზი), ქრონიკული ნეფრიტი, ქრონიკული პანკრეატიტი, კოლიტი, ენტელიტი, ჩიყვი და ა.შ.

<u>შხამი.</u> საკუთარი თავისა და ბუდის დასაცავად ფუტკარი იყენებს შხამს. ახლადგამოყოფილი ფუტკრის შხამი წარმოადგენს სიროფისმაგვარ, მოყვითალო ფერის სითხეს, თაფლისათვის დამახასიათებელი სუნით, მას აქვს მწარე გემო. ფუტკრის შხამის ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ მას აქვს ანთებისა და რევმატიზმის საწინააღმდეგო მოქმედების უნარი. შხამს სახალხო მედიცინაში უძველესი დროიდან იყენებენ, როგორც ტკივილგამაყუჩებელ, თმის ცვენის საწინააღმდეგო და ჭრილობების შემახორცებელ საშუალებას. შხამი ორგანული და არაორგანული ნივთიერებების მრავალკომპონენტიანი რთული ნაერთია. დღეისათვის რეკომენდებულია ფუტკრის შხამით მკურნალობა ისეთ დაავადებათა მიმართ, როგორიცაა პერიფერიული ნერვული დაავადებები, თრომბოფლებიტი, ბრონქიალური ასთმა, რევმატიზმი, სახსრების ანთება და ა.შ.

<u>სადედე ფუტკრის რძე.</u> სადედე ფუტკრის რძე წარმოადგენს არაჟნისებურ თეთრ ან კრემისფერ მასას მოტკბო-მომჟავო გემოთი და სპეციფიკური არომატით. სადედე ფუტკრის რძე მდიდარია ცილებით. ნახშირწყლებით. ცხიმებით, ვიტამინებით, ორგანული მჟავებით და ამინომჟავებით. იგი შეიცავს კალიუმის მარილებს. კალციუმს, ფოსფორს, მაგნიუმს, რკინას, ოქროს, ვერცხლს და სხვა. სადედე ფუტკრის რძის სამკურნალო თვისებები განპირობებულია მასში არსებული რადიაქტიური ელემენტების არსებობით. ფუტკრის პოდუქტებს შორის მას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის 98 დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება, მათ შორის, ისეთების, როგორიცაა: ლეიკოზი, ჰიპერტონია, კიბო და სხვა. აღნიშნულის გარდა, ფუტკრის რძე საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც საუკეთესო პროფილაქტიკური პროდუქტი. ამის გამო მასზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია. საქართველოში კი მისი წარმოების საუკეთესო პირობებია – ერთი მხრივ, ჩვენი სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად თავისუფალია პესტიციდებისგან და, მეორე მხრივ, გერმანელი და უკრაინელი მეცნიერების გამოკვლევების საფუძველზე, ქართული ფუტკრის ჯიში იძლევა რძეს, რომელიც დამატებითი ამინომჟავების მატარებელია, რაც საბოლოო ჯამში მაღალი ხარისხის ფუტკრის რძის წარმოების წინაპირობაა. ფუტკრის რძე ჯერჯერობით არ იწარმოება საქართველოში მასშტაბურად, ამის მიზეზი უწინარესად ფერმერთა შორის ამ პროდუქტის წარმოების პროცესის არცოდნაა. სადედე ფუტკრის რძე გამოიყენება გულსისხლძარღვთა, ათეროსკლეროზის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, ბრონქული ასთმის დროს. სადედე ფუტკრის რძე ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის რეგულირებასა და ორგანიზმის გამძლეობას ინფექციის წინააღმდეგ. აწესრიგებს სისხლის წნევას, ავითარებს მეხსიერებას და მხედველობას.

<u>ცვილი.</u> ცვილს ფუტკარი გამოიმუშავებს სასანთლე ჯირკვლებით. ფუტკარმა ცვილი რომ გამოყოს, აუცილებელია ცილოვანი საკვების მიღება, მისი წყარო კი მცენარის მტვერია. ფერის მიხედვით ცვილი შეიძლება იყოს: თეთრი, ყვითელი და ზოგჯერ ნაცრისფერი. ფუტკრის ცვილს იღებენ თაფლის გამოწურვის შემდეგ. ფუტკრის ცვილს ყოველთვის დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა. მისგან ამზადებენ სანთლებს, საღებავებს, მალამოებს და სხვა. ცვილს დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ მრეწველობაში, საავტომობილო წარმოებაში, გემთმშენებლობაში, ქანდაკებების ჩამოსასხმელად, კოსმეტიკასა და მრეწველობის სხვა დარგებში. ცვილი ფართოდ გამოიყენება ზედა სასუნთქი გზების ანთებითი პროცესების სამკურნალოდ. ამ მიზნით რეკომენდებულია ფიჭის თაფლის ღეჭვა. ცვილის სანთელი ფართოდ გამოიყენება მორწმუნეთა ყოფაცხოვრებაში, როგორც ღვთიური პროდუქტი. როგორც დავინახეთ, თითოეული პროდუქტი უნიკალური თვისებების მატარებელია. ალბათ შენიშნეთ, რომ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მათ თვისებებზე სამედიცინო სფეროში. ჩვენი სურვილია მოვიძიოთ ადამიანები, რომლებიც დაინტერესდებიან და შეძლებენ ჩვენ მიერ დასახული გეგმის განხორციელებას.

<u>§ 2 გეგმა მეფუტკრეობის განვითარებისთვის</u>

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში არსებობს საკმაოდ კარგი პირობები ამ დარგის განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერია იმერეთი, რაც განპირობებულია ნოტიო და თბილი ჰავით. ჩვენ გთავაზობთ გეგმას, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, უნდა მოხდეს აუთვისებელი ტერიტორიების დაკავება და სკების ჩადგმა. მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება (გარკვეული ტიპის მოსამზადებელი კურსის მერე). უნდა მოხდეს ექვსივე პროდუქტის წარმოება და მათი მიზნობრივი განაწილება. უნდა მოხდეს საწარმოსთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ჩაიბარებს თაფლს, დააფასოებს და მოახდენს რეალიზებას. ცვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით აქტიურად მოიხმარება საეკლესიო ცხოვრებაში, ამიტომ ამ პროდუქტის ძირითადი მომხმარებელი იქნება ეკლესია. ხელშეკრულება გაფორმდება საპატრიარქოსთან და მოხდება დისტრიბუცია მის ყველა საეკლესიო მაღაზიაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ცვილისგან მზადდება ქანდაკებები და სხვადასხვა სუვენირები, რომელიც საკმაოდ

ძვირადღირებულია. რაც შეეხება დინდგელს, ჭეოს, შხამს და სადედე რძეს, ჩვენ გვაქვს იდეა, მოხდეს კონტრაქტის გაფორმება რომელიმე სააფთიაქო ქსელთან, რომლის მიხედვითაც ჩამოთვლილი ოთხი პროდუქტის ამთვისებელი იქნება სწორედ ეს სააფთიაქო ქსელი, რომელიც მოახდენს ამ პროდუქტების რეალიზებას და აგრეთვე გამოიყენებს მათ პრეპარატების დასამზადებლად. ამ გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე მოახდენს დიდ გავლენას.

<u>დანართი:</u>

მეფუტკრის 10 მცნება:

1. ფუტკარს აქვს საკუთარი ცხოვრების წესი, რომელიც ჰარმონიული და ჩამოყალიბებულია. ნუ შეეხები ფუტკრის ოჯახს ისე, რომ ეს ჰარმონია დაარღვიო;
2. თუ გადაწყვიტე ამ ღვთისნიერ საქმეს მიჰყო ხელი, ჯერ აუცილებელია დაეუფლო საჭირო ცოდნას, რათა შენს ფუტკარს შენვე მოუარო, ხოლო მერე გაიჩინო ფუტკარი;
3. არ არსებობს მეფუტკრე, რომელსაც მარცხი არ განეცადოს, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ. ეძიეთ, თუ სად დაუშვით შეცდომა, გამოასწორეთ და ნუღარ გაიმეორებთ მას;
4. ნუ იჩქარებთ ფუტკრის ოჯახების მომრავლებას. საფუტკრე ფუტკრის ოჯახების სიძლიერით ფასდება და არა მხოლოდ მათი რაოდენობით;
5. ნუ გაარჩევ სხვის ფუტკარს საკუთარისგან, ფუტკარი ყველა ერთია, ყველას ერთნაირად მიუძღვის ღვაწლი ბუნებისა და ადამიანის წინაშე;
6. ნუ დაღუპავ ფუტკარს შიმშილით, მუდამ დაუტოვე ჭარბი საკვები, ჩვენ ისედაც ვართმევთ მას საკუთარ საკვებს, ესეც იმიტომ, რომ ფუტკარი ზედმეტად ერთ წვეთ თაფლსაც არ ხარჯავს, მარაგს კი აგროვებს. ნუ გამოიჩენთ სიხარბეს, რადგან ხარბი კაცი მეფუტკრე ვერ გახდება;
7. გაუფრთხილდით თითოეულ ფუტკარს, ვინაიდან ოჯახმა მის აღზრდაში დიდი შრომა ჩააქსოვა;
8. ფუტკართან აუცილებელ სამუშაოს ნუ გადადებთ, პირიქით, ფუტკართან მუშაობის გამო ნებისმიერი საქმე გადადეთ;
9. ფუტკარი წმინდა არსებაა, მისი პროდუქტების ფალსიფიკაციას ხელი თუ მოჰკიდე, იცოდე, დიდ ცოდვას ჩაიდენ;
10. ფუტკრის პროდუქტებიდან ყველაფერს ნუ გაყიდი, ზოგი შეწირე.

§ 3. ქართული ფუტკრის დამახასიათებელი საშუალო მაჩვენებლები:

შეფერილობა – რუხი, ხორთუმის სიგრძე – 7.20 მმ, პროდუქტიულობა – 17,31 კგ, საშუალო დღე-ღამური კვერცხმდებლობა – 1160 ც., ფრთის სიგრძე – 9.45 მმ, ფრთის სიგანე – 3.22 მმ, ზამთარგამძლეობა – კარგი, თვინიერება – თვინიერი.

<u>საინტერესო ამბები მეფუტკრეობაზე</u>

<u><<უძველესი თაფლი>></u> ეგვიპტეში არქეოლოგიური გათხრების დროს ზოგიერთ სამარხში 3000 წლის წინანდელი თაფლი აღმოაჩინეს, რომელსაც ფარაონების დროს მიაკუთვნებენ, თუმცა თაფლი გასქელებულა და გამუქებულა, მაგრამ საჭმელად ახლაც ვარგისია.

<u><< სკების მუზეუმი >></u>პოლონეთში ქალაქ პოზნანის მიდამოებში მოთავსებულია 100–ზე მეტი სკა, რომელთაგან ყველაზე ძველი 500 წლისაა. მათში ჩვეულებრივ ცხოვრობენ ფუტკრები. ცვილი და დინდგელი შესანიშნავად ინახავს ძველ სკებს ლპობისა და დაფუტუროებისაგან.

<u><< მფრინავი გოლიათი>></u> თუ გავითვალისწინებთ ფუტკრის ტანის ზომებს და შევადარებთ მის შესაძლებლობებს, მივიღებთ პატარა მფრინავ გოლიათს. მას შეუძლია, საკუთარ წონასთან შედარებით 2–ჯერ მძიმე სხეული წაიღოს ფრენით, ხოლო სწორ და გლუვ ზედაპირზე ფუტკარს შეუძლია მის წონასთან შედარებით 20–ჯერ მძიმე ტვირთი წაიღოს.

<u>**საინტერესო ამბები ფუტკრის პროდუქტების შესახებ**</u>

ბევრისთვის უცნობია, რომ არსებობს შხამიანი თაფლი, რომელსაც მათრობელა თაფლს უწოდებენ. ფუტკარი მას გადაამუშავებს შემდეგი მცენარეების ნექტრისგან: შქერი, იელი, წყლის იელი და სხვა. ფუტკარს ნექტართან ერთად თაფლში გადააქვს ამ მცენარეების შხამიანი ნივთიერებები, მაგრამ ამ დროს თვითონ არ იწამლებიან. მათრობელა თაფლი ცნობილი იყო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ისტორიიდან ცნობილია, რომ მათრობელა თაფლმა რომის ლეგიონები ისე დაათრო, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. შხამიან თაფლს მათრობელას იმიტომ უწოდებენ, რომ საკმარისია მისი ერთი ჩაის კოვზის მიღება და მალე ადამიანს უცივდება ხელ-ფეხი, ეწყება თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, პირღებინება და, ერთი სიტყვით, ვითარდება სიმთვრალის ყველა სიმპტომი. ფუტკრის ცვილს ყოველთვის დიდი პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა სპირტიანი

სასმელების ხარისხის შესამოწმებლად: მაღალხარისხოვან არაყში მრგვალი ცვილის ნაჭერი სწრაფად იძირება, უხარისხოში ზემოთ ტივტივებს.

ყვავილის მტვერი მდიდარი და რთული შემადგენლობისაა. 100 გრ ყვავილის მტვერი შეიცავს იმდენივე მნიშვნელოვან და საჭირო ამინომჟავებს ადამიანის ორგანიზმისთვის, რამდენსაც 500 გრ ძროხის ხორცი ან 7 კვერცხი. 30 გრ ყვავილის მტვერი საკმარისია ამინომჟავებით ადამიანის ორგანიზმის სადღეღამისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყვავილის მტვერს ფართოდ იყენებენ კოსმეტიკაში. მისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის კრემებს, ლოსიონს, კბილის პასტას, თმის გასამაგრებელ საშუალებებს.

ფუტკრის შხამის მიმართ ყველაზე მგრძნობიარენი არაინ ძუძუმწოვრები. ცნობილია, რომ 300-400 ფუტკრის დანესტვრა ადამიანში იწვევს სისხლის მიმოქცევის დარღვევას, ბრონქულ სპაზმებს, ორგანიზმის საერთო მოწამვლას და ამის შედეგად სიკვდილს.

ლიტერატურა:

1. ყიფიანი დ., ფუტკრის მოვლა და მოშენება, თბ., 2002;
2. ხიდაშელი შ., ყვავილის თაფლი და თაფლის პროდუქტები – ჯანსაღი ცხოვრების ელექსირი, ცის ნამი, 2007;
3. გაზეთი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, 2000;
4. საქართველოს კანონი მეფუტკრეობის შესახებ, 2001

ინტერნეტ–რესურსები:

1. www.pchelovod.com
2. www.world.bee.com
3. www.kosk.ru
4. www.poterbaliniak.com
5. www.expostroy.com
6. www.epimondia2005.com
7. www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000241/dischagardze.pdf

P.S. პროექტზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია მეფუტკრეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკმა, ქალბატონ დარეჯან ბალიაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მას.

საქართველოს ტურისტული ფირმების კულტურული ტურები

მარიამ ვოსკანიანი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„სამყაროს შექმნის დროს ღმერთმა მოაგროვა ყველაზე მშვენიერი: თვალისმომჭრელი ცისფერი, კრისტალივით სუფთა ჰაერი, ციცაბოდ დაშვებული მთის კალთები, ზღვის უძირო ყურეები და მარადმწვანე მცენარეები. ეს განძი გულზე მიიკრა და თავისი სამფლობელოსაკენ გაეშურა. გზად იგი კავკასიონის მთებზე წაბორძიკდა და მთელი სიმდიდრე დაებნა. ამ ადგილას წარმოიშვა საქართველო.“

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებისა და, ზოგადად, დარგის მდგომარეობის გაანალიზებისას უნდა გამოიყოს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, რა სახის ტურები ხორციელდება და როგორია მათზე მოთხოვნა.

საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა. შ. ე.ი. თუ ლოგიკას მივყვებით და არსებული პოტენციალის

რანჟირებას მოვახდენთ ტურიზმის სახეობების მიხედვით, მაშინ ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, ეკო და ა. შ. თუმცა თუ ტუროპერატორების მიერ 2003-2004 წწ-ში ტურისტული მომსახურების ანალიზს გავაკეთებთ, გამოიკვეთება, თუ რომელ ტურზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა და, შესაბამისად, ტუროპერატორების რა პროცენტული რაოდენობა მუშაობს ერთგვაროვან ანუ ჰომოგენურ ტურებზე. ზოგადად, ქართველი ტუროპერატორები საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს აწარმოებენ, ე.ი. საქართველოს ტურისტული ბაზარი 14 სამოგზაურო ნიშად შეიძლება დაიყოს, თუმცა კვლევა ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ მოთხოვნები უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდის და ფირმების 100% ძირითადად ამ სეგმენტზე მუშაობს. თუ 2003 წელს ტუროპერატორთა 71,4%-თვის მათ მიერ ნაწარმოები პროდუქციის უმეტესობას სათავგადასავლო, ეკოტურები და ზამთრის ტურები შეადგენდა, 2004 წელს მოთხოვნა სათავგადასავლო და ზამთრის ტურებზე შემცირდა და ფირმების მხოლოდ 57,1%-მა აირჩია შეთავაზებათა ეს პაკეტი. ასევე 2004 წელს შემცირდა მოთხოვნა საქმიან ტურებზე და კურორტებზე დასვენების მიზნით სამოგზაუროდ, ეს უკანასკნელი კი იმით აიხსნება, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს კურორტები, განსაკუთრებით კი შავი ზღვისპირა კურორტები ძალიან მოკლე სეზონურობით გამოირჩევიან, რაც თავისთავად საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის შემაფერხებელი ფაქტორია, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მეზობელი თურქეთის ზღვისპირა კურორტები, რომლებიც იდეალური სეზონურობით გამოირჩევიან, მომხმარებლებს სთავაზობენ თვისობრივად და ხარისხობრივად უფრო მაღალი დონის სამოგზაურო ტურებს შედარებით დაბალ ფასებში. ტრადიციულად 2003-2004 წწ-ში ტუროპერატორთა თანაბარი რაოდენობა აწარმოებდა შემდეგი სახის ტურებს: სპორტული ტურები, რელიგიური/პილიგრიმული ტურები, სპეციალიზებული ტურები (არქეოლოგებისათვის, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანებისათვის და ა. შ), აგროტურები, სამკურნალო ტურები, ეთნიკური და ნოსტალგიური ტურები. როდესაც საქართველოზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს დავუთმობთ ქართულ ღვინოზე საუბარს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესთაგანია. საქართველოს ყველა რეგიონში ვაზის სხვადასხვა უნიკალური ჯიში არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვინის ტურიზმით ქართველ ტუროპერატორთა უმრავლესობა იქნება დაკავებულ, თუმცა რეალურად ტურიზმის ამ სახეობაზე კომპანიათა მხოლოდ 14,3% მუშაობს. ნიშანდობლივია ტუროპერატორთა 14,3%, რომლებიც „შოპ“ ტურებს აწარმოებენ, ე.ი. ორგანიზებული ტურისტების გარკვეული ნაწილი საქართველოში მათთვის სასურველი ნივთების და საგნები შესაძენად ჩამოდის.

ჩვენ უკვე ვიცით, ტუროპერატორთა რა პროცენტული რაოდენობა აწარმოებს რა სახის ტურებს და როგორია მათზე მოთხოვნა. ასევე საინტერესოა დავადგინოთ, თუ რომელი ქვეყნის რეზიდენტები მოიხმარენ ტურისტულ პროდუქტს. 2003-2004 წლის მარკეტინგული კვლევის შედეგები გვიჩვენებენ: კულტურული ტურები – გერმანია, იტალია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, უკრაინა, აშშ, კანადა, იაპონია, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარკვეული ნაწილი, აღმოსავლეთ აზია; სათავგადასავლო ტურები – თურქეთი, უკრაინა; ეკოტურები – გერმანია; აგროტურები – საფრანგეთი; რელიგიური ტურები – აშშ, ევროპის ქვეყნები; პროფესიული/საქმიანი ტურები – სომხეთი, აზერბაიჯანი, ნორვეგია, დასვენება კურორტებზე – სომხეთი; სამკურნალო ტურები საქართველოს კურორტებზე – რუსეთი. ე.ი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ქვეყნების რაოდენობის მიხედვით კულტურულ ტურებზე მოდის და იგი მოიცავს მსოფლიოს 3 ტურისტულ რეგიონს (ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონები). დ.ს.თ-ს წევრი ქვეყნების მიხედვით მოთხოვნა შემდეგ ტურებზეა: რუსეთი – სამკურნალო ტურები კურორტებზე და ღვინის ტურები, რაც იმით აიხსნება, რომ, ისტორიულად რუსი ტურისტების უმეტესობა საქართველოში სამკურნალოდ ჩამოდიოდა, ხოლო რაც შეეხება ღვინის ტურს, ქართული ღვინო რუსებისთვის ყოველთვის წარმოადგენდა დიდ ფასეულობას; სათავგადასავლო ტურიზმით მხოლოდ უკრაინელები არიან დაკავებულნი, ნიშანდობლივია საკონგრესო ტურები, რომლის ძირითადი მომხმარებლები სომხეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

საქართველოში ტურიზმის მდგომარეობის მიმოხილვისას, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორია სეზონურობა ტურიზმის სახეების მიხედვით. თუკი პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალ, მაღალ, საშუალო და დაბალი სეზონურობის ტურებს, მაშინ მივიღებთ ასეთ შედეგებს: ძალიან მაღალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნება მხოლოდდამხოლოდ პროფესიული/საქმიანი ტურები, ვინაიდან იგი წელიწადის ოთხივე სეზონს მოიცავს, მაღალი სეზონურობის ტურებია: კულტურული და სპეციალიზებული ტურები, ვინაიდან ისინი წელიწადის სამ სეზონს მოიცავს, საშუალო სეზონურობის ტურებს განეკუთვნებიან: რელიგიური/პილიგრიმული ტურები, ეთნიკური/ნოსტალგიური ტურები, ისინი წელიწადის ორ სეზონს მოიცავს. დაბალი სეზონურობის ტურებს მიეკუთვნებიან: დასვენება

კურორტებზე, აგროტურები, ეკოტურები, სამკურნალო ტურები, სათავგადასავლო ტურები, სპორტული ტურები, ღვინის ტურები, „შოპ“ ტურები. როგორც მარკეტინგული კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოს ბაზარზე არსებული ტურების უმრავლესობა დაბალი სეზონურობით ხასიათდება, რაც ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს.

მარკეტინგული კვლევისას ჩვენ გვაინტერესებდა, თუ ძირითადად საქართველოს რომელ რეგიონებშია ზემოაღნიშნული ტურები და რომელ რეგიონებში ატარებენ უფრო მეტად უცხოელი ტურისტები საკუთარი მოგზაურობის პერიოდს. თუკი ასევე პირობითად შემოვიღებთ ცნებებს: ძალიან მაღალი აქტივობის, მაღალი აქტივობის, საშუალო აქტივობის და დაბალი აქტივობის ტურისტულ რეგიონებს, მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს: საქართველოს რეგიონების 40% - ძალიან მაღალი აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება, ვინაიდან ტუროპერატორთა აბსოლუტური უმრავლესობა – 100% ძირითადად ამ რეგიონებში აწარმოებს ტურებს. ესენია: კახეთი, მცხეთა-თიანეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, მაღალი აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება რეგიონების 10%, რომლებშიც ძირითადად ტუროპერატორთა 74,1% აწარმოებს ტურებს, ესაა: აჭარის რეგიონი; საშუალო აქტივობის ტურისტულ რეგიონებს განეკუთვნება რეგიონების 50%.

მარკეტინგული კვლევის გაანალიზებისას ჩვენ უცხოელი ტურისტები სოციალურ ჯგუფებად დავყავით, ანუ საინტერესოა საქართველოში მოგზაურ არარეზიდენტ ორგანიზებულ ტურისტთა სოციალური კუთვნილება. კვლევამ გვიჩვენა, ტუროპერატორთა 42,6%–თვის 50%-ზე ნაკლებს შეადგენს პენსიონერები, სტუდენტები. მიმწოდებელთა 57,1%-თვის ეკონომ–კლასის ტურისტები საერთო მომხმარებლების 35%–მდე შეადგენს, ფირმების მხოლოდ 14,3%-თვის ბიზნეს კლასის ტურისტები მათი მომხმარებლების 50%-ზე მეტს შეადგენს. წინამდებარე თემაში განხილული იქნება ორი სახის ტურები: 1. კულტურული, რომელიც ტრადიციულია საქართველოსთვის და 2. აგროტურიზმი, რომლის განვითარებასაც ახლა ეყრება საფუძველი.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. კულტურული ტურიზმის პროგრამას ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: 1. კულტურული ტურიზმის ეკონომიკა (ბაზრის შესწავლა, დაგეგმვა, ანალიზი) და 2 შინაარსობრივი (შემეცნებითი მოგზაურობებისთვის ფორმების, სახეების, თემატიკის, სამოგზაურო მარშრუტების და ექსკურსიების შედგენა).

კულტურული ტურიზმის ტურისტული პროდუქტის - კულტურული ტურის კონკურენტუნარიანობა პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული საჩვენებელი ობიექტების ღირსებებზე და იმ ინფრასტრუქტურაზე, რაც უმრავლეს შემთხვევაში - ძეგლების, როგორც მთავარი საჩვენებელი ობიექტის, გარშემო არსებობს. ამდენად, საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარება უნდა დაიგეგმოს ისტორიული ძეგლების ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ღირსებებისა და მათ გარშემო არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, რომელიც გაკეთდა კომპანია „კუპერსი და ლიბრანდტის“ მიერ საქართველოში, ტურიზმის სახეების განვითარების მხრივ კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. დასკვნაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად საქართველოში ძეგლთა სიმრავლისა და მოვლა-პატრონობის მცდელობისა, „ძალიან ბევრი ძეგლი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოვლილი, რათა შეჩერდეს მათი განადგურება და ისინი წარსდგნენ სრულმნიშვნელოვანი სახით დამთვალიერებელთა წინაშე. მუზეუმებში არსებული ექსპონატების პრეზენტაციისა და მათი ინტერპრეტაციის მხრივ მთელი ათწლეულით თუ მეტით არა, უკან არის დასავლეთთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ექსკურსიამძღოლები უნივერსალური კვალიფიკაციის არიან, საკითხის ცოდნით და მისი დამოკიდებულებით კულტურასთან, მათ მიერ ენის ცოდნისა და პროფესიონალური მანერის გამო.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ ღონისძიებათა ტურიზმისათვის ბაზარი იზრდება, იგი მოიცავს საერთაშორისო ფესტივალებსა და ხელოვნების ნიმუშთა გამოფენებს, რაც ტურისტულმა ორგანიზაციებმა კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირში უნდა განახორციელონ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კულტურულ სანახაობათა ტურების ორგანიზატორებს მუზეუმების, ძეგლების, თეატრების მოვლა-პატრონობის გზით. თავის მხრივ, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები შემდეგში ხელს შეუწყობენ კულტურული მემკვიდრეობის შენახვას თაობებისათვის გადასაცემად. ასეთივე მიდგომა სჭირდება დაცულ ტერიტორიებს და ეროვნულ პარკებს, სადაც ტურიზმისათვის უნდა გამოიყოს ტერიტორიები: სასეირნო და საჯირითო ბილიკები. კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ტრანსპორტის განახლება, შავ ზღვაზე კრუიზების ჩათვლით. მსხვილ ქალაქებსა და კულტურულ ცენტრებში ეკონომიკური კლასის სასტუმროების ქსელის გაფართოება საქალაქო ტურიზმის დამკვიდრების მიზნით.

კულტურული ტურიზმისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ფართო მოცულობის შემეცნებითი ტურების ორგანიზება. ამ მიზნით უნდა მოხდეს სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთობლივი მარკეტინგის შესაძლებლობების გამოკვლევა. ასევე დადგინდეს თურქეთთან და რუსეთთან ერთობლივი მარკეტინგის გამოყენების მიზანშეწონილობა.

სახელმწიფო ხელშეწყობა კულტურული ტურიზმის განვითარებაში განსაკუთრებით უნდა მოხდეს მიზნობრივი რეკლამისა და საინფორმაციო საშუალებების გამოყენების გზით. ამ მიზნით უნდა გაფართოვდეს საქართველოს, როგორც ტურიზმის ქვეყნის, გაცნობიერების სფერო ძირითად პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელმიუწვდომელია კერძო სექტორისათვის, შემდეგი საშუალებების გამოყენებით: მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზრობებსა და გამოფენებზე, უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში მოწვევა, უცხოეთის პრესაში და ინტერნეტის ქსელში საქართველოს ტურიზმზე ინფორმაციის გავრცელება, თემატური კონფერენციების ორგანიზება და სხვ.

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოში ტრადიციულად არსებული შემეცნებითი ტურისტული მარშრუტები, რომლებსაც უახლოეს წარსულში სთავაზობდნენ უცხოელ, მათ შორის საბჭოთა ტურისტებს. ამ მარშრუტების შედგენის პრინციპები და ტურისტთა მოგზაურობების მოტივაციები, აგრეთვე სადღეისოდ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული მოთხოვნა, რის შედეგადაც განისაზღვრა იმ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ნუსხა, რომლებიც პროგრამის პირველ ეტაპზე უნდა შევიდეს ტურისტულ მარშრუტებში. ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა-მოწესრიგებაზე.

ინტერნეტ–რესურსები:
1. http://ka.wikibooks.org/
2. http://ka.wikibooks.org/wiki/თემა_VI_საქართველოს_ტურისტული_ფირმების_კულტურული_ტურები
3. http://ka.wikibooks.org/wiki/კულტურული_ტურიზმი/ამოსაბეჭდი_ვერსია

ელექტრონული კომერციის ეკონომიკური და ტექნიკური წინაპირობები

ბადრი ზანგალაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ნოზაძე**, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებასა და გამოყენებასთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების გარემო. ინტერნეტ-ტექნოლოგიების საშუალებით მომხმარებლების ფართო წრისათვის ხელმისაწვდომი ხდება ელექტრონული მომსახურების ისეთი სერვისები, როგორიცაა ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ბანკინგი.

დღეს, საქართველოშიც თანდათანობით იკიდებს ფეხს ელექტრონული მაღაზიებით ვაჭრობა და ბევრს საუბრობენ ელექტრონული კომერციის სისტემების განვითარებაზე. ასეთი სისტემების პოპულარიზაცია პირდაპირ კავშირშია კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტიზაციასთან და რადგან ამ მიმართულებით ბევრი რამ სასიკეთო კეთდება საქართველოში, უკვე შეიძლება ელექტრონული კომერციის განვითარების პერსპექტივებზე საუბარი. ელექტრონულ კომერციას ისეთი დამატებითი შესაძლებლობები მოაქვს მომხმარებლისათვის როგორიცაა:

- **დროის დაზოგვა;**
- **შეძენილი პროდუქტის ადგილზე მიტანა;**

ელექტრონული კომერციის დასაწყისად 1960 წელს მიიჩნევენ, როდესაც კომპანიებმა American Airlines და IBM ავიარეისებზე ადგილების დასაჯავშნ ავტომატიზაციის სისტემებზე SABRE (Semi-AutomaticBusinessResearch Erviroment) მუშაობა დაიწყეს.

ელექტრონული კომერცია მარტივი გაგებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის ღონისძიებების კომპლექსი კავშირის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. მაგრამ ასეთი დახასიათება არ იქნება საკმარისი, რადგანაც კავშირის მრავალრიცხოვანი ისეთი ელექტრონული საშუალებები, როგორიცაა ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, ტელევიზია და კომპიუტერული ქსელები დიდი ხანია გამოიყენებიან კომერციულ ურთიერთობებში. ასე

მაგალითად, კომერციაში სატელეგრაფო კავშირმა, როგორც შეტყობინების საშუალებამ, დაიმკვიდრა ადგილი ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციაში, სატელეფონო ქსელი მათი გამოჩენისთანავე გამოიყენებოდა, როგორც შეკვეთების განთავსებისა და მათი პარამეტრების შეთანხმების საშუალება, რადიო და ტელევიზია მრავალი წელია გამოიყენება სარეკლამო და პროპაგანდის საქმეში, საბანკო კომპიუტერული სისტემები შედარებით მოგვიანებით (ოთხი ათეული წელი) ანგარიშსწორების დასაჩქარებლად დაინერგა. ყველა ამ და სხვა მრავალმა ტექნიკურმა გადაწყვეტილებამ ვერ მიგვიყვანა *ელექტრონული კომერციის* ცნებასთან - ისინი კვლავ დარჩნენ მხოლოდ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომერციულ დანართებად.

ელექტრონული კომერცია - ეს სავაჭრო საქმიანობაა, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება და დამყარებულია კომერციული ციკლის კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

თანამედროვე კომერციას ტრადიციული ვაჭრობისაგან განასხვავებს ის, რომ ეს არაა უბრალოდ საქონელბრუნვა შესრულებული მწარმოებლების ან მომხმარებლების მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის მთელი რიგი ღონისძიებების უწყვეტი კომპლექსი, რომელიც სრულდება კომერციული პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე. **ეს ეტაპებია:**

- საქონელსა და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნილების კვლევა - ***მარკეტინგი***
- საქონლისა და მომსახურების თვისებების მართვა - ***საწარმოო მენეჯმენტი***
- საქონლისა და მომსახურების თვისებების შესახებ ბაზრის ინფორმირება - ***რეკლამა***
- ბაზრის მომზადება საქონლისა და მომსახურების მოცემული თვისებების გამოსაყენებლად - ***პროპაგანდა***
- საქონელსა და მომსახურებაზე შეკვეთების მიღება, დამუშავება და შესრულება - ***ვაჭრობის მენეჯმენტი***
- საქონლის ნაკადისა და სასაწყობო მარაგის ოპტიმიზაცია - ***ლოგისტიკა***
- კლიენტებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება - ***ფინანსური მენეჯმენტი***
- საგარანტიო (გაყიდვის შემდეგ) მომსახურება - ***თანხლება***

ნახატზე 1 წარმოდგენილია კომერციულ პროცესის ინფორმაციული კავშირები.



ნახატი 1. კომერციულ პროცესის ინფორმაციული კავშირები.

ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების გამოკვლევისას მარტივად მოიძებნება იმის მაგალითი, თუ როგორ გამოიყენება ტექნიკური საშუალებები კომერციული ციკლის თითოეულ ეტაპზე დანახარჯების შემცირების ავტომატიზაციისათვის. მაგრამ ეს კიდევ არ არის ელექტრონული კომერცია. ელექტრონული კომერციისათვის დამახასიათებელია კომპლექსური ავტომატიზაცია.

„იდეალურ“ შემთხვევაში ელექტრონული კომერცია საშუალებას იძლევა სრულად გამოირიცხოს ადამიანი - არა მარტო მომხმარებელი, არამედ მყიდველიც კომერციული ციკლიდან. ურთიერთობის სისტემა ***გამყიდველი-მყიდველი*** შეიძლება შეიცვალოს ავტომატურად ფუნქციონირებადი სისტემით ***სერვერი-კლიენტი,*** რომელიც წარმოდგენილია მხოლოდ აპარატული და პროგრამული საშუალებებით.

დღეს, საყოფაცხოვრებო პირობებშიც კი, შესაძლებელია კომპიუტერული სისტემის მომართვა ისე, რომ ყოველდღიურად სრულდებოდეს ინტერნეტის ინფორმაციული სივრცის სკანირება. მაგალითად, რომელიმე (საინტერესო) ავტორის ახალი რომანის მოსაძებნად და სავაჭრო სერვერის მხრიდან კომერციული შეთავაზების აღმოჩენისას ავტომატურად შეასრულოს ურთიერთ ანგარიშსწორება, რის შემდეგაც გადაგზავნის მიღებულ ნაწარმოებს მფლობელის კავშირის მობილური საშუალებებზე, ან განახორციელოს „ინტერნეტშოპინგი“ და დადოს მწარმოებელთან სავაჭრო გარიგებები პროდუქციის შეძენაზე.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე განმარტებით, ელექტრონული კომერცია - ეს არის საბანკო სერვისი, რომელიც საშუალებას იძლევა თქვენი მომსახურება და პროდუქტები ხელმისაწვდომი გახადოთ ინტერნეტის საშუალებით და საგადასახადო საშუალებით მიიღოთ ვიზა და მასტერქარდ პლასტიკური ბარათები.

განვიხილოთ ის ტექნიკური და ეკონომიკური წინაპირობები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ელექტრონული კომერციის განვითარებას.

საქონლისა და მომსახურების მატერიალური წარმოების სფეროს განხილვისას შეიძლება გამოიყოს მზა პროდუქციის თვითღირებულების განმსაზღვრელი ოთხი ძირითადი კომპონენტი. ეს შემდეგი კომპონენტებია (ნახატი 2):

- დანახარჯები მასალებსა და ნაკეთობებზე;
- დანახარჯები ენერგიაზე
- მოწყობილობების, ინსტრუმენტების, კაპიტალური აღჭურვილობის ამორტიზაციის დანახარჯები;
- შრომის ანაზღაურების დანახარჯები.

ამ კომპონენტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე. ჯერ ერთი, იგი პირდაპირპროპორციულია საწარმოო ოპერაციების შესრულების დროის ნორმატივისა და მეორეც, ბუნებრივად შედის თვითღირებულების სხვა ყველა მდგენელში, რადგანაც მასალების, ნაკეთობების, ენერგიის, მოწყობილობების და სხვა თვითღირებულების სტრუქტურაში ასევე შედის შრომის ანაზღაურება.



ნახ.2 მზა პროდუქციის ტექნოლოგიური თვითღირებულების შემადგენელი დანახარჯები

ამრიგად, მატერიალური წარმოების არა როგორც განყენებული აქტის, არამედ, როგორც საზოგადოებრივი პროცესის განხილვიდან გამომდინარეობს საზოგადოებრივი პროდუქტის თვითღირებულების სტრუქტურაში საზოგადოებრივი შრომის ანაზღაურებაზე დანახარჯების პირველადობის საბაზო თეზისი.

მეოცე საუკუნეში წარმოების სფერო ხასიათდებოდა ტექნოლოგიურ ოპერაციებზე ნორმატიული დროითი დანახარჯების შემცირებისკენ სწრაფვით შემდეგი ღონისძიებების ხარჯზე:

- **მასიური წარმოების პრინციპების დანერგვა (XX საუკუნის პირველი მეოთხედი);**
- **წარმოების მექანიზაციის გაფართოება (XX საუკუნის მეორე მეოთხედი);**
- **წარმოების ავტომატიზაცია (XX საუკუნის მესამე მეოთხედი);**
- **პროდუქციის დაპროექტებისა და წარმოების მოქნილი ავტომატიზირებული მართვა (XX საუკუნის მეოთხე მეოთხედი).**

ამრიგად, ბოლო ასწლეულის მანძილზე მატერიალური წარმოების სფეროში მოხდა შრომის ნაყოფიერების ზრდა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საზოგადოებრივი შრომის ანაზღაურების დანახარჯების ხვედრითი წილი პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში. ამასთან, საბოლოო მომხმარებელმა ეს მიღწევა სრულად ვერ შეიგრძნო. მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან ობიექტურად დაკავშირებულმა წარმოების კონცენტრაციამ გამოიწვია მწარმოებლის სამომხმარებლო ბაზრებიდან დაშორება. ამ დაშორების ხასიათი არა მარტო გეოგრაფიულია, არამედ სტრუქტურულიც. წარმოქმნილი ნიშა შეავსო სავაჭრო სტრუქტურებმა, რომლებიც ასრულებდნენ საქონლის მოძრაობის ფუნქციებს **მწარმოებლიდან მომხმარებლისაკენ.** რაც უფრო მაღალია საზოგადოებაში წარმოების კონცენტრაცია, მით უფრო რთულია სავაჭრო სტრუქტურები და მით მეტი კომერციული ციკლები სრულდება საქონლის მოძრაობის მარშრუტზე.

საბოლოო ჯამში XX საუკუნის ბოლოს კაცობრიობას აქვს საწარმოო ციკლების ავტომატიზაციის დამაკმაყოფილებელი დონე, მაგრამ კომერციული ციკლების ავტომატიზაციის შეუსაბამოდ დაბალი დონე. ბოლო დრომდე კომერციული ოპერაციების ავტომატიზაცია ლოკალურ ხასიათს ატარებდა. მხოლოდ ბოლო ათწლეულში გამოჩენილმა ტექნიკურმა საშუალებებმა შესაძლებელი გახადა კომერციული საქმიანობის კომპლექსური ავტომატიზაცია, ანუ ელექტრონული კომერცია.

ამრიგად, ელექტრონული კომერციის ეკონომიკურ წინაპირობას წარმოადგენს კომერციულ ციკლებში დანახარჯების შემცირების ობიექტური აუცილებლობა და მათი მიახლოება საწარმოო ციკლების ავტომატიზაციით მიღწეულ ნორმებთან.

ამჟამად ელექტრონული კომერციის წინაპირობად შეიძლება მივუთითოთ მხოლოდ ერთი ფუნდამენტალური ტექნიკური წინაპირობა, ესაა ნაციონალური, კერძო და კორპორაციული კომპიუტერული ქსელების გაერთიანება, რომელიც საზოგადოებაში ცნობილია ინტერნეტის სახელწოდებით. მაგრამ ინტერნეტის ლოგიკური სტრუქტურა შეიცავს მრავალფეროვან სამსახურებს, რომლებიც თავის მხრივ იყენებენ სხვადასხვა აპარატულ და პროგრამულ საშუალებებს, რის გამოც შესაძლებელია სურვილის შემთხვევაში ელექტრონული კომერციის არა ერთი, არამედ მრავალი ტექნიკური წინაპირობის დასახელება. შესაძლებელია, ახლო მომავალში გამოჩნდეს ელექტრონული კომერციის მხარდამჭერი სხვა ტექნიკური საშუალებებიც, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ინტერნეტია კომერციული ეტაპების კომპლექსური ავტომატიზაციის ერთადერთი საშუალება.

ინტერნეტსა და ელექტრონულ კომერციას შორის ურთიერთკავშირის განხილვისას ხშირად ჩნდება ცდუნება წარმოვადგინოთ ელექტრონული კომერცია, როგორც საერთაშორისო ქსელით წარმოდგენილი მეთოდების ერთობლიობა ისეთი კონკრეტული კომერციული ამოცანების გადასაწყვეტად როგორიცაა - მარკეტინგული კვლევების ჩატარება, შეკვეთების ავტომატური მიღება და შესრულება, საქონლისა და მომსახურების მომხმარებლების ავტომატიზირებული მხარდაჭერა. ასეთი მიდგომა სახიფათოა, რადგანაც ტექნიკური სისტემების კერძო თვისებებზე დაყრდნობა არანაირად არ უწყობს ხელს ობიექტური ეკონომიკური პროცესების ზოგად გაგებას.

ელექტრონული კომერციის საფუძვლები დევს არა ინტერნეტში, არამედ საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების ობიექტურ კანონებში. ინტერნეტი მხოლოდ კომერციული ციკლების ავტომატიზაციის ობიექტური მოთხოვნილების რეალიზაციის საშუალება და პროდუქციის გასაყიდი ფასის სტრუქტურაში მისი დანახარჯების ხვედრითი წილის შემცირების ინსტრუმენტია. ასეთი ინსტრუმენტის ქონა ელექტრონული კომერციის წარმოშობის მხოლოდ ტექნიკური წინაპირობაა და არა მისი საფუძველი.

ინტერნეტს სამი ფუნქცია აქვს: ინფორმაციული, საკომუნიკაციო და მართვის. ელექტრონულ კომერციაში სამივე ეს თვისება გამოიყენება, რადგანაც კომერციულ ციკლს ახასიათებს მკვეთრად

გამოხატული ეტაპები შესაძლებელია თითოეული მათგანისათვის გამოვყოთ შესაბამისი ფუნქციები (ნახატი 3).



ნახატი 3. ინტერნეტის ფუნქციები კომერციული ციკლის ცალკეულ ეტაპებზე

ამრიგად, ელექტრონული კომერციის ტექნიკურ წინამძღვრებს კომერციული ციკლის ძირითადი ეტაპების ფუნქციების რეალიზაციის შესაბამისი ინტერნეტის სამსახურები წარმოადგენენ.

როგორც ინტერნეტ-ფორუმებიდან ირკვევა, დღეს ბევრს საუბრობენ ელექტრონული კომერციის სისტემების განვითარებაზე და საქართველოშიც თანდათანობით იკიდებს ფეხს ელექტრონული მაღაზიებით ვაჭრობა. ინტერნეტ კვლევებიდან ჩანს, რომ საქართველოში უცხოურ ბრენდ შოპებიდან საქონლის ყიდვის ბუმია. ასეთი სისტემების პოპულარიზაცია პირდაპირ კავშირშია კომპიუტერიზაციასა და ინტერნეტიზაციასთან და რადგან ამ მიმართულებით ბევრი რამ სასიკეთო კეთდება საქართველოში უკვე შეიძლება ელ. კომერციის პოპულარიზაციასა და მისი განვითარების ტენდენციებზე საუბარი.

ლიტერატურა:

1. http://www.businesscafe.wordpress.com
2. http://www.navigator.ge/index.php?langid=GEO&secid=126&infoid=5612
3. „Информатика для юристов и экономистов“, Под редакцией С. В. Симоновича, Санкт-Петербург, 2001;
4. ციური ნოზაძე, სოსო ნოზაძე, ზურაბ თეთრუაშვილი, „კომპიუტერული ქსელები, ინტერნეტი, კომპიუტერული უსაფრთხოება“, თბ., 2007;
5. რ. კაკულია, „ფინანსური ეკონომიკა“, თბ., 2007.

რომელი საათია?

ანნა იაზბარიანი, მარიამ როსტიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
მეცნიერ–ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

საათი, დროის საზომი ხელსაწყოა. საათის მუშაობა ემყარება მუდმივ პერიოდულ პროცესებს საათი არის საყოფაცხოვრებო (მაჯის, მაგიდის, კედლის, კოშკისა და ა. შ.) და სპეციალური დანიშნულებისა (რადიოშუქურის, სასიგნალო, საპროცედურო, ასტრონომიური, საჭადრაკო, სატაბელო და სხვა).

პირველი ხელსაწყო, რომლითაც ადამიანმა დრო გაზომა, იყო **გნომონი** (ჩვ. წ-მდე III ათასწლეული) — ჰორიზონტალურ სადგამზე ვერტიკალურად ჩარჭობილი ჯოხი. ჯოხის ჩრდილის სიგრძე და მიმართულება მიუთითებდა მზის სიმაღლეს და მდგომარეობას მერიდიანის მიმართ, ამიტომ მის მიხედვით ადვილად განსაზღვრავდნენ დროს. შუადღეს შეესაბამებოდა ჩრდილის უმოკლესი სიგრძე.

ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში იყენებდნენ ამავე პრინციპზე დამყარებულ **მზის საათს,** რომელსაც ჰქონდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაყოფებიანი წრე-ციფერბლატი. დღის განმავლობაში მზის ჩრდილი ეცემოდა ციფერბლატს და წრეზე მოძრაობდა. ასე იგებდნენ დროს.

უკვე II ათასწლეულში ჩვ. წ-მდე ინდოეთსა და სხვა ქვეყნებშიც იყენებდნენ **წყლის საათს.** გამოიყენებოდა წყლის საათი. მას ასე იყენებდნენ: წყლით სავსე ჭურჭელს უკეთებდნენ ნახვრეტს, საიდანაც წყალი ნელა იღვრებოდა. დროს ჭურჭელში დარჩენილი წყლის დონის მიხედვით ანგარიშობდნენ. ზოგიერთ რეგიონში გამოიყენებოდა სანთლის საათი. სპეციალურ სადგამზე დამაგრებული სანთელი ნელა იწვოდა, ხოლო მის უკან მდგარი საზომის საშუალებით გასული დროის პერიოდის დადგენა ხდებოდა.

შუა საუკუნეებში რაინდები შერკინებისას დროის გასაზომად **ქვიშის საათს** იყენებდნენ, რომელიც ასევე ნივთიერების თანაბარი მოძრაობის ათვლას ემყარებოდა. ბრძოლა მთავრდებოდა მაშინ, როცა ქვიშა საათის ერთი ნაწილიდან მეორეში ჩაიცლებოდა. იაპონური ქალაქების ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა „ადამიანი-მამალი", რომელიც ყოველ დილით ხალხს ყივილით ამცნობდა გათენებას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ საათის ისეთ ეგზოტიკურ სახეობებს, როგორიცაა მზის, წყლის, ქვიშის, სანთლის და სხვა მხოლოდ ზუსტ მექანიზმებზე შევჩერდებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეს წარმოებული საათები იყოფა ორ ძირითად ტიპად - მექანიკურ და კვარცულ საათებად.

მექანიკური საათები მე-6 საუკუნიდან მოიხსენიება. საათის კონსტრუქციამ და სამოძრაო მექანიზმმა დიდი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე მექანიკური საათის გამომგონებელია კრისტიან ჰიუიგენსი, რომელმაც 1657 წელს საათის ისრების ასამოძრავებლად ქანქარა გამოიგონა.

კვარცული საათები შედარებით ახალი ხილია - ისინი მასობრივად გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოჩნდნენ, რომელთა სვლის სიზუსტე ფანტასტიკურად დიდია. ამ საათებში ქანქარას როლს შესაბამისად **კვარცის** გენერატორები ასრულებს. ასეთი საათების ყველაზე სრულყოფილ სახეობას **ელექტრონული საათი** ეწოდება.

1900 წლამდე, საათების უმრავლესობას შარვალზე იმაგრებდნენ ან ჯიბეში იდებდნენ, და ჯაჭვზე იყო დამაგრებული და შესაბამისად ეწოდებოდათ ან ჯიბის საათი ან ჯაჭვის საათი, რადგან არავის მოსვლია თავში აზრად საათები მაჯაზე დაემაგრებინათ.

იმას, რომ სწორედ შვეიცარიაში წარმოებული საათები ითვლება უზადო გემოვნების, საიმედოობისა და სიზუსტის ეტალონად, გარკვეული წინამძღვრები განაპირობებს: მე-16 საუკუნის დასაწყისში შვეიცარიაში კარგად იყო განვითარებული საიუველირო წარმოება, ხოლო საათები ფაქტიურად არ მზადდებოდა. 1541 წელს ფრანგი პროტესტანტი ჟან კალვინი საცხოვრებლად და სამოღვაწოდ ჟენევაში გადასახლდა. პარიზიდან და საფრანგეთის სასაათე წარმოების სხვა ცენტრებიდან პროტესტანტი მესაათეები მას გაჰყვნენ და შვეიცარიის ქალაქებში დასახლდნენ. მალე კალვინისტურმა ეკლესიამ სასტიკად აკრძალა ძვირფასი სამკაულების ტარება, რასაც ერთი შეხედვით, შვეიცარელი იუველირების გაკოტრება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: მოხერხებულმა ოსტატებმა სწრაფად იპოვეს გამოსავალი: ვინაიდან საათი სამკაულად არ ითვლებოდა, კანონი მის ტარებას არ კრძალავდა. იუველირები სასწრაფოდ შეუამხანაგდნენ მესაათეებს და სულ მალე ამან შესაბამისი შედეგიც გამოიღო: შვეიცარიის ქალაქები შესანიშნავი იუველირული საათების "სამჭედლოები" გახდნენ. დიდი როლი ითამაშა სასაათე საქმეში ჩამოყალიბებულმა შრომის განაწილებამაც: ცივი ზამთრის განმავლობაში შვეიცარელი გლეხები სასაათე სახელოსნოებიდან წამოღებული დეტალებით მექანიზმებს აწყობდნენ და ამ სახელოსნოებს უკან აბარებდნენ. აქ გულმოდგინედ მოწმდებოდა მექანიზმის აწყობის ხარისხი, ხდებოდა მისი გამართვა, საათის კორპუსში ჩამონტაჟება, საჭიროების შემთხვევაში თვით კორპუსის ძვირფასი თვლებით შემკობა და ა.შ. ზაფხულში, როცა გლეხები თავიანთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით იყვნენ დაკავებული, საათების წარმოება წყდებოდა. ამ დროს სასაათე სახელოსნოს მესვეურნი ევროპაში (და ზოგჯერ ამერიკაშიც!) მოგზაურობდნენ და ზამთარში დამზადებული საათების რეალიზაციას ეწეოდნენ. ამავე დროს საკუთარი საათებით მოვაჭრე მესაათეებს დიდი გამოცდილება დაუგროვდათ სასაათე ბიზნესში, მათ უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ საათების მყიდველებთან. მოგზაურობისას ისინი თვალნათლივ ხედავდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სოციალური წრის მომხმარებლის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. შემდგომში, როცა ფაბრიკები გაიხსნა და სასაათე მრეწველობა ჩამოყალიბდა, შესაბამისი კვალიფიციური კადრები და წარმოების მენეჯმენტის სპეციალისტები ქვეყანაში ჭარბად მოიპოვებოდა. შვეიცარიის გარეთ მხოლოდ რამდენიმე

ფირმაა, რომელსაც ამ ქვეყნის ელიტურ მწარმოებლებთან გაჯიბრება ძალუძს. მათ შორისაა გერმანული Alange & Sohne, შედარებით იაფ საათებში კონკურენტებად შეიძლება ჩაითვალონ იაპონელებიც - SEIKO და ORIENT - ი.

დღევანდელ სამყაროში საათი არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ ფუფუნების საგანიცაა. ყველაზე პრესტიჟულ საათის მწარმოებელ ფირმებად ითვლება როლექსი (Rolex), კასიო (Casio),სვოჩი(swatch) და სხვ.

R o l e x უცხოელებისაგან ხშირად გაიგებთ ფრაზას - მე განვვლე გზა დახეული ჯინსებიდან როლექსამდე! (ანუ გზა საცოდავი, უღიმღამო არსებობიდან სრულფასოვან, ღირსეულ ცხოვრებამდე), და მართლაც Rolex-ის დიზაინი შესანიშნავად შეეფერება "საფუძვლიანად დამკვიდრებული" ადამიანის იმიჯს - გვირგვინიანი ლოგოტიპი, ელვარე ციფერბლატი, ძალიან ბევრი ოქრო. საინტერესოა, რომ ტრადიციულად მდიდარი, ან ძალიან დიდი ხნის წინ გამდიდრებული ადამიანები Rolex-ს არ ატარებენ. სამაგიეროდ ადამიანები, რომლებიც წარმატებისაკენ მიილტვიან, სწორედ ასეთ საათზე ოცნებობენ. ძნელი ასახსნელია, თუ რატომ, მაგრამ გამოვიდა ისე, რომ 1908 წელს ვინმე ჰანს ვილსდორფის მიერ დაარსებული ფირმა წარმატების სიმბოლოდ გადაიქცა. და ეს მოხდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფაქტიურად ფირმის დაარსებისთანავე! როგორც ჩანს, წარმატების მიზეზები, საათების მართლაც რომ უზადო ხარისხის გარდა, ალბათ კომერციული სტრატეგიის და მარკეტინგის სწორ გამოყენებაში უნდა ვეძიოთ. Rolex-ი გვევლინება საათის ავტომატური დაქოქვის მექანიზმისა და კორპუსის წყალგაუმტარი კონსტრუქციის შემქმნელად. დღეისათვის გამოშვებულია ამ მარკის 10 მილიონამდე ეგზემპლარი (მხედველობაშია გაუყალბებელი, ორიგინალური საათები).

S w a t c h სვოჩი შვეიცარიის ეკონომიკის წამყვანი კომპანიაა. მხოლოდ სვოჩის დამსახურებაა ის, რომ საათების ინდუსტრიამ მოახერხა 70-იანი წლების ბოლოს არსებული კრიზისიდან თავის დაღწევა. კრიზისის მიზეზი გახდა ელექტრო-კვარცული რევოლუცია, რის შემდეგაც ბაზარზე შემოვიდა დიდი რაოდენობით აზიური წარმოების იაფფასიანი, კვარცულ რეჟიმზე მომუშავე საათები, ხოლო მოთხოვნამ ძვირადღირებულ შვეიცარულ საათებზე საგრძნობლად იკლო.

სვოჩ ჯგუფის მიერ შექმნილი საათი „დელირიუმი" („Delirium"), იაპონური და შვეიცარიული საათების მწარმოებელთა შორის ბრძოლის შედეგი იყო. ამ წარმატების მიზეზი უკიდურეს გამარტივებაში მდგომარეობდა. ასე გაჩნდა სვოჩი 1983 წელს შვეიცარიაში.

„სვოჩი" მაინც არ შედგებოდა, რომ არა ნიქ ჰაიექი. კომპანია SMH (Swiss Corporation for Microelectronics and Watchmaking Industries Ltd) დამფუძნებელი. სწორედ 1983 წელს დაფუძნებულმა SMH-მა დაიწყო პლასტმასის, ზუსტად 51 შემადგენელი ნაწილისა და ნაწილაკისგან აწყობილი "სვოჩი"-ს საათების დამზადება. 5 წლის შემდეგ კომპანიამ სახელი შეიცვალა და აქედან მოყოლებული, მისი ყველაზე წარმატებული ბრენდის კვალად, თავადაც The Swatch Group Ltd.-ად იწოდება.

მნიშვნელობა არ აქვს – რა საათს ატარებთ, თქვენი მეორე საათი აუცილებლად იქნება "სვოჩი" (**Swatch**) – სწორედ ასეთია კომპანიის ფილოსოფია. სწორედ ამიტომ Swatch იშიფრება როგორც "second watch" (მეორე საათი). დღეისათვის არც მეტი, არც ნაკლები 350 მილიონზე მეტი ასეთი "მეორე საათია" გაყიდული. სვოჩი ჯგუფის სათაო ოფისი განთავსებულია ბილში (კანტონ ბერნი). სვოჩი აწარმოებს მსოფლიო საათების 25%-ს. ძირითადი ქარხნები განლაგებულია შვეიცარიაში, მხოლოდ ქარხანათა მცირე ნაწილი მდებარეობს შვეიცარიის საზღვრებს გარეთ.

სვოჩი ჯგუფი აერთიანებს Swatch, Blancpain, Breguet, Omega, Longines, Rado, Tissot, Certina, Mido, Hamilton, Pierre Balmain, Calvin Klein, Flik Flak, Tiffany & Co; საათებს და ძვირფასეულობას. ამგვარი სტრატეგია ამართლებს და ჯგუფი საათების ყველაზე დიდი მწარმოებელია პლანეტაზე.

O m e g a კომპანია OMEGA-მ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საათების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სრულყოფაში. ათწლეულების განმავლობაში ის განუხრელად ინარჩუნებდა მსოფლიოში ყველაზე ზუსტი ჯიბის და მაჯის საათების მწარმოებლის ტიტულს.

ყველაფერი 1848 წელს დაიწყო, როცა ოცდასამი წლის ლუი ბრანტმა პატარა ქალაქ ლა შო-დე ფონში საათების ამწყობი პატარა სახელოსნო გახსნა. მისმა ვაჟებმა - ცეზარმა და ლუი-პოლმა სახელოსნო იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიით აღჭურვილ საწარმოდ გარდაქმნეს, სადაც მექანიზმის ყველა დეტალის წარმოება და მისი აწყობა ერთ ადგილზე ხორციელდებოდა. 1880 წელს წარმოება ქალაქ ბილში გადავიდა. Omega ამჟამად Swatch Group-ის მფლობელობაშია.

C a s i o 1975 წელს მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდა პირველი ელექტრონული საათი, რომელიც საზოგადოებაში იყო დადებითად შეფასებული CASIOTRON – ავტომატური კალენდრით, ასეთმა სიახლემ ფართო საზოგადოებაში გამოიწვია უდიდესი მოწონება, როგორც ფიზიკური კანონების დამანგრეველი ინოვაციური პროდუქტი, რომელმაც გადადგა დიდი ნაბიჯი საათების ტექნოლოგიების ბაზარზე. „მაჯის საათი" ეს არის კონცეფცია, რომელმაც დაამკვიდრა უარყოფა აზრისა იმაზე, რომ

საათმა უნდა გვაჩვენოს მხოლოდ დრო, Casio წარმოგვიდგენს მაჯის საინფორმაციო მოწყობილობას, რომლებიც აფიქსირებენ, იმახსოვრებენ, განასახიერებენ მრავალი სახის მონაცემებს, მათ შორის გამოსახულება, ტემპერატურა, სიმაღლე. Casio-ს საათი იძლევა უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ზუსტი დროის ამთვლელი.

Franck Muller შვეიცარიელი მესაათეა, რომელიც ცნობილია როგორც რთული ერთეულების შემქმნელი. მისი საათების ბრენდი ატარებს სლოგანს „სირთულეების ოსტატი". Franck Muller - ის ერთეულები ცნობილია თანამედროვე სტილისა და ტრადიციული შვეიცარიული საათების წარმოების ნაზავით. კომპანიის თანაპრეზიდენტი, რომლის სახელსაც კომპანია ატარებს, თავად მესაათეა. იგი თითოეული საათის მექანიზმზე და დიზაინზე თავად მუშაობს.

გაგაცნობთ 5 ყველაზე ძვირადღირებულ საათს მსოფლიოში რომელთა ღირებულება სხვა სამკაულების, ტანსაცმელის და ძვირადღირებული მანქანის ფასსაც კი აღემატება.

5. Parmigiani Fleurier-Skeleton Chronograph - ამ საათის ყოველი ნაწილი არის პლატინისა და რა საკვირველია მოიცავს დროის გამოთვლის ყველა მექანიზმს ტურბილონს, ქრონოგრაფსა და სეკუნდერს და აქვს ისეთივე ზარები როგორიც კათედრალის საათს. ეს საათი ღირს 850 000 $

4. Corum-Classic Billionare Turbilon - მილიარდერების საათი ესე უწოდებენ ამ საათს, ამ საათსაც აქვს. ყველა ელემენტი დროის გამოთვლის მისი ფასის საიდუმლო კი ის არის, რომ 850 ბრილიანტისაგან შედგება და მხოლოდ 10 ცალი არის გაყიდვაში დღევანდელ მსოფლიო ბაზარზე. მისი ფასი შეადგენს 998 000 $

3. Hublot,Bunter Sa-Big Bang - ეს ჰუბლოტის შედევრი როგორც სურათზე ხედავთ არის მთლიანად ბრილიანტით ნაგები და მისი ფასი 1 000 000 $ შეადგენს.

2. Vacheron Constantin-Tour De i'lle - ეს არის აბსოლუტური შედევრი საათების ისტორიაში შექმნილი 2005 წელს, რომელიც მისი ფასითა და შესაძლებლობებით დღემდე სენსაციად ითვლება. საათი, რომელსაც გააჩნია ყველანაირი სახის დროის გამოსათვლელი კომპონენტი, საუკეთესო "2 იერის მქონე" საათი, რომელიც 834 ნაწილისაგან შედგება და 17 კარატიანი ოქრო ვერცხლის ნაკეთობებს შეიცავს. ეს საათი თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე პირველია. მისი ღირებულება 1 500 000 $.

1. Frank Muller - Chornograph minute repeater - ეს არის მსოფლიოში პირველი საათი თავისი ფუნქციებითა და ღირებულებით. რომელიც მთლიანად თეთრ ოქროშია ჩასმული. ეს საათი თავისი ღირებულებით პირველია მსოფლიოში და მისი ფასი 2 300 000$ აღწევს.

შვეიცარული სასაათე წარმოება ლეგენდარული ფენომენია, რომელსაც ბადალი არ ჰყავს: კიდევ სად შეხვდებით 150 - 200 წლის ისტორიის მქონე სასაათე წარმოებებს, რომელთა პროდუქციის მომხმარებლებიც იყვნენ და არიან ევროპისა და აზიის გვირგვინოსნები, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტები, პრემიერმინისტრები, ბიზნესმენები, მსოფლიო ხელოვნებისა და სპორტის ელიტა და ა.შ.

საქართველოში არსებული პრობლემებისა და კრიზისული მდგომარეობის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია პოტენციალი იმისა, რომ გარკვეული ადგილი დაიმკვიდროს ამ სფეროში და ამით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლაში.

ლიტერატურა:

1. www.linguistuss.com
2. www.statia.ge
3. www.casio.ge
4. www.join.ge
5. www.geo.albatrosdelux.ge
6. www.wikipedia.org
7. www.apocalypse.ge

რეკლამის არსი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

თამთა კაპანაძე, სოფიკო კუძიევი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

რეკლამა არის ინფორმაცია, გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ნებისმიერი ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის და /ან ინტერესის გაღვივების მიზნით.

ალტერნატიული განსაზღვრებით, რეკლამა ფასიანი კომუნიკაციაა, რომელშიც განსაზღვრულია სპონსორი. რეკლამის ვარიანტებია: პუბლიკაცია, პიარი, პროდუქტის ჩასმა, სპონსორობა და გაყიდვების წახალისება. ამგვარი ინფორმაციის გასავრცელებლად მედიის ყველა სახეობა გამოიყენება: ტელევიზია, რადიო, ფირმები, ჟურნალები, გაზეთები, ინტერნეტი და ბილბორდები. დღეს რეკლამა განიხილება, როგორც მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. რეკლამა მეურნეობის სისტემაში – ეს არის საინფორმაციო პროპაგანდისტული ღონისძიებების ერთობლიობა, გამიზნული მოსახლეობის მოთხოვნილებებზე. სარეკლამო ინფორმაცია – ეს არის პოტენციური მყიდველების შეტყობინება საქონელთა შესახებ, მათი დანიშნულებისა და თვისებების, გაყიდვის ადგილებისა და პირობების, აგრეთვე შეთავაზებული მომსახურების შესახებ. საქონელთა პროპაგანდა – ეს არის საქონლის შესახებ ცნობების გავრცელება და გაღრმავებული განმარტება მყიდველებზე ზემოქმედებისა და მასში ყიდვის მოთხოვნების გაჩენის მიზნით. რეკლამის ძირითადი პრინციპები გეგმაზომიერება და ინფორმაციულობაა. [1]

რეკლამა – ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც მოქმედებს ინფორმაციის ფასიანი საშუალებების გამოყენების მეშვეობით. მისი მიზანია ორგანიზაციის, პროდუქციის ან იდეის პოპულარიზება და მათი რეალიზაციის ხელშეწყობა.

რეკლამა ხელს უწყობს გაყიდვების გაზრდას. იგი ახდენს მომხმარებელთა ინფორმირებას პროდუქტის პარამეტრების, ფასის, გამოყენების წესებისა და გაყიდვის ადგილების შესახებ. რეკლამა ახდენს კომპანიის იმიჯის ფორმირებას. იგი ხდება კომპანიის ლიდერობის სიმბოლო. რეკლამა ეს შემოქმედებითი საქმეა, რომელიც გამომგონებლურობასა და გაგებას მოითხოვს.

რეკლამის მიზანია საბაზრო გარემოსა და მომხმარებელთა მსყიდველობით ქცევაზე პირველადი ინფორმაციის შეგროვება, სპეციალური პროცედურების გატარებით. სპეციალური პროცედურები – ესაა რეკლამის ძირითადი სახეობები, მაგალითად: ინფორმაციული, ბეჭდვითი, აუდიო–ვიზუალური, ინტერნეტული, საგამოფენო, სუვენირული, გარე, შიგა და სხვა. სარეკლამო პროცესის დაგეგმვაში გასათვალისწინებელია რეკლამის სხვადასხვა სახეობებისა და საშუალებების ოპტიმალური კომბინაციის მოძებნა, რეკლამის ეფექტურობის შეფასება და ბიუჯეტის განსაზღვრა. რეკლამის სახეობის და კომბინაციის შერჩევისას გასათვალისწინებელია მომხმარებელთა აქტივობა, რეკლამის სახეობის ეფექტურობა, გამოყენების პერიოდი და სხვა. [2]

შესაძლოა ყველაფერი დაიწყო 2500 წლის ისტორიის მქონე ბერძნული წარწერით, რომელიც პირველ რეკლამას წარმოადგენდა: „მე ვარ რინო კუნძულ კოსიდან და ღმერთების ნებით სიზმრებს ვხსნი…“ იზრდებოდნენ ქალაქები და იზრდებოდა რეკლამა. და თუ სოფელში ყველაფერი ცნობილია – სად ტრაქტირია და სად სხვა რამ, მოდი და რომში მოძებნე სასურველი ადგილი. ამიტომაც მოხდა, რომ თავად სიტყვა „რეკლამა“ ხსენებულ მეგაპოლისში შეიქმნა. „Reclamo“ ლათინურად წამოძახილს ნიშნავს; უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის პირველადი კომერციული შეტყობინებების მთავარი მიზანი იყო უბრალოდ ინფორმაციის გავრცელება და არა კლიენტის დარწმუნება.

რეკლამის ინტენსიური განვითარება მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 60-70–იან წლებამდე, მომხმარებელთა ჩამოყალიბებასთან ერთად, ტექნიკური საშუალებების განვითარებამაც განსაზღვრა. სარეკლამო ბაზრის განვითარება მჭიდრო კავშირშია ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარებასთან. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოების თავისებურება. ყველაზე მთავარი მაინც „მომხმარებელთა საზოგადოების“ ფენომენია. რეკლამის მიზანია მიაწოდოს პოტენციურ მომხმარებელს ინფორმაცია საქონლის, მომსახურების, მათი გამოყენების წესისა და შექმნის საშუალებების შესახებ. საბაზრო ურთიერთობათა და კონკურენციის ნორმალური განვითარება შეუძლებელია რეკლამის,

როგორც ბაზარზე საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების გასაღების ერთ-ერთი ძირითადი საშუალების გარეშე.

თანამედროვე მარკეტინგის სისტემაში რეკლამის როლი ისე გაიზარდა, დასაშვებია განიხილებოდეს არა მარტო კონკურენტებთან ბრძოლის მთავარ იარაღად, არამედ სამეურნეო სფეროს საექსპერტო-ანალიტიკურ დარგად, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკური სახის ყველაზე სუფთა ანარეკლს სარეკლამო ბიზნესი იძლევა.

რეკლამა მეტია, ვიდრე მედია საშუალებების „ეკონომიკური მხარე“. მასში ასახულია „მოთხოვნა და მიწოდება“, რაც მას საზოგადოებისა და ეკონომიკის სარკედ აქცევს. რეკლამები ბაზრების კვლევისათვისაც საინტერესო მასალებს იძლევა. მათი მიხედვით შესაძლებელია დასკვნების გამოტანა მთელი რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული ნორმების ცვლილებების შესახებ.

მთელს მსოფლიოში რეკლამის ყველაზე უფრო მკაცრად რეგულირებად სახეებს წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმისა და ალკოჰოლიანი სასმელების რეკლამა.

საგულისხმოა, რომ რეკლამა არაფრით არ ჩამოუვარდება თავისი ასაკით წიგნის ბეჭდვით საქმიანობას. თავად წიგნის სათაურიც ხომ თავისებური რეკლამაა! მოპასანის „ფუნთუშა“ 1925 წელს აშშ-ში სულ რაღაც 1500 ცალის ოდენობით გაიყიდა, თუმცა გამომცემლებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და მალე იგივე წიგნი სხვა სათაურით „სიყვარული და სხვა ამბები“ – გამოსცეს და ტირაჟმა 37 000 ეგზემპლარს მიაღწია. ასეთი წარმატებით შთაგონებულმა ბიზნესმენებმა 1927 წელს აღნიშნულ წიგნს სხვა სათაური მოუძებნეს – „როგორ ასრულდა ერთი ფრანგი მეძავის წყევლა“ – და 54 700 ცალმა გაყიდულმა წიგნმა დამსახურებული შემოსავალი მოუტანა მათ, როგორც ადამიანური ფსიქოლოგიის კარგ მცოდნეებს. რა არის აქ გასაკვირი? კაზანოვას წიგნი, რომელსაც ავტორისეული სახელი „მოგონებანი“ ერქვა, გამომცემელთათვის ძალზედ საზარალო გამოდგა. ამიტომაც მოამზადეს მეორე გამოცემა სათაურით – „ქალთა ყველაზე დიდი მაცდუნებელი ისტორიაში“ – და მთელი ტირაჟი არამარტო გაყიდეს, არამედ დამატებით 20 000 ეგზემპლარის დაბეჭდვაც მოუხდათ.

რეკლამის ერთ-ერთი სახეა კომერციული რეკლამა – რეკლამა საფასურის ან სხვა ეკონომიკური სარგებლობის სანაცვლოდ, რომელიც ემსახურება მეწარმის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, კომერციული იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. [3]

რაც შეეხება ქართულ რეკლამას, მას შემდეგ, რაც 70 წლის ასაკში საბჭოთა კავშირმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და წარსულს მიებარა, სხვადასხვა სიახლეებთან ერთად, საქართველოში რეკლამის აუცილებლობაც გაჩნდა.

თანამედროვე ქართული სარეკლამო ბაზრის მიმოხილვა საინტერესო სურათს იძლევა. მედია საშუალებებსა და სარეკლამო კომპანიების შემოსავლებს დიდი ზიანი მიადგათ. ამ პროცესებს სარეკლამო ბაზარზე დიდი ცვლილება მოჰყვა. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, შესაძლებლობა გვქონოდა, შეგვედარებინა ხარისხიანი და უხარისხო ქართული რეკლამები მაგრამ კარგი რეკლამები იმდენად ძნელი სანახავია, ხოლო ცუდი რეკლამები იმდენად ბევრია, რომ გვინდა თუ არა, მაინც ცუდი რეკლამების ყურება გვიწევს. თავს უფლებას ვაძლევთ, ქართული რეკლამები შემდეგნაირად დავახარისხოთ:

- ცუდი;
- ძალიან ცუდი;
- საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის სახიფათო.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ უარყოფითი რეკლამაც ერთგვარი რეკლამაა და ხშირ შემთხვევაში უფრო შედეგიანიც (სამწუხაროდ). მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ასეთ რისკზე წასვლა სახიფათოა. მაგრამ ეს აზრი გამართლებულია ისეთ საზოგადოებებში, სადაც კომპანიების კონკურენციის დონე საკმაოდ დაბალია. მოგვწონს თუ არა, საქართველოც მათ რიცხვს მიეკუთვნება. ამიტომ არის, რომ ზოგიერთ ქართულ კომპანიას გაუგებრადაც კი მიაჩნია ის, თუ რა საჭიროა ბაზრის შესწავლა და ხარისხიანი რეკლამა, პროდუქცია ხომ ისედაც იყიდება?

თუმცა, ისმის კითხვა: რა აქცევს ერთი შეხედვით ჩვეულებრივ პროდუქტს ბრენდად? რა თქმა უნდა, რეკლამა. ახლა ცოტა რამ ბრენდზეც ვისაუბროთ, რათა უფრო ნათლად დავინახოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწორად დაგეგმილ სარეკლამო კამპანიას პროდუქტის პოპულარიზაციისთვის.

სამომხმარებლო ბაზარზე ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები იმისათვის, რომ დადგინდეს ის მაქსიმუმი, რომელსაც ხალხი იხდის სხვადასხვა ბრენდებში. მომხმარებელთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ არ გადაიხდიან დიდ თანხას მხოლოდ პროდუქტის სახელწოდებაში. აღმოჩნდა, რომ როცა

მომხმარებელს ჰკითხეს, მაგალითად მანქნის ბრენდის მნიშვნელობის შესახებ, Volkswagen-ს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, ვიდრე FORD–ს, მაშინ როცა Mercedes–ის ბრენდი ორივეზე მაღლა დგას. თითოეულ შემთხვევაში, ბრენდი ღირს ავტომობილის საბაზრო ღირებულების 10%.

მსოფლიოში სარეკლამო კამპანიაში ყველაზე მეტ ფულს კოკა-კოლა დებს. შემოსავლების ნახევარი (რამდენიმე მილიონი დოლარი) ხარისხიანი და ხალისიანი რეკლამის შექმნაში მიდის. რეკლამა ემსახურება როგორც კომპანიის განმტკიცებას, ასევე ბაზარზე გამოტანილი სხვადასხვა პროდუქტის სტიმულირებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს სლოგანს, რომელშიც შესაძლოა, სულაც არ იყოს ნახსენები ახალი პროდუქციის ესა თუ ის ღირსებები, უბრალოდ, ტექსტი უნდა იყოს ზომიერი, მოხდენილი და რაც ყველაზე მთავარია, მომხმარებლის ფსიქიკაზე კარგად გამიზნული. ზოგადად, სლოგანი არის კომპანიის სიტყვიერად გამოხატული დაპირება. ნებისმიერი ფირმა, რომელიც დაკავებულია პროდუქციის რეალიზებით, დიდ აქცენტს აკეთებს საიმედოობაზე. მომხმარებლისათვის მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს საიმედო და სანდო. სწორედ ასეთ შემთხვევებში, უნდა შეიქმნას იმ სახის სლოგანი, რომლის შინაარსი შეიძლება მწირ ინფორმაციას მოიცავს ამ ბრენდზე, მაგრამ ნდობის ფაქტორს აღუძრავს მომხმარებელს. მაგალითისთვის წარსულ ფაქტს მოვიშველიებთ: 1914 წელს „ჯენერალ მოტორსმა“ გამოუშვა ახალი კადილაკი 8 ცილინდრიანი ძრავით. რეკლამაში არაფერი ყოფილა ამის შესახებ ნათქვამი, ასევე არ ყოფილა არც ახალი მანქანის ფოტო, მხოლოდ რამდენიმე სიტყვიანი ტექსტი: „გადაიხადე ლიდერობისთვის!“

ჩვენ დღეს ყოველდღიურად გვესმის სხვადასხვა შინაარსის სლოგანები, როგორიცაა: „იყავი ახალგაზრდა, აირჩიე ბალი!“, „რა თქმა უნდა, ბადაგონი!“, „გახსენი!’ (ყაზბეგი), „კავშირი თქვენს სამყაროსთან“, „თქვენი ქსელი“ და სხვა, რომლებიც ხშირად ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებასა და, რაც მთავარია, ტვინზეც ახდენს ზეგავლენას. კარგი რეკლამა ხომ ხელოვნებაა – დაუმიზნო თავში და მოარტყა ჯიბეში. რეკლამა – ეს არის ადამიანის ტვინისთვის გადაგდებული ანკესი.

ამრიგად, იმისათვის რომ ესა თუ ის პროდუქცია გახდეს ბრენდი ან თუნდაც „ბესთსელერი“, ხარისხთან ერთად მნიშვნელოვანია თუ როგორაა რეკლამირებული. კარგი რეკლამა ბრენდად ქცევის აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურა:
1. http://ka.wikipedia.org/wiki/რეკლამა
2. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, 23 დეკემბერი, 2004, მუხლი 2.

ტურიზმი - განათლების ახალი ხედვის პერსპექტივით

ეკა კილასონია
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ანი მანველიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლალი ბაიაძე**, ასოცირებული პროფესორი

მოგზაურთა დიდი ნაწილი მიზნად ისახავდა ახალი მსოფლიოს გაცნობას, სავაჭრო გზების, ახალი ქვეყნებისა და მიწების აღმოჩენას.

თომას კუკი, ბაბტისტი პასტორი, რომელიც თანამედროვე ტურიზმის ფუძემდებლად ითვლება, პირველი ჩაწვდა მოგზაურობის არსს და გააცნობიერა მასობრივი ორგანიზებული გადაადგილების სარფიანობა.

დიდმა არაბმა მოგზაურმა და მეცნიერმა იბნ ბეტუტამ (Ibn Batutah – 1304-1368/69) მოგზაურობა 21 წლის ასაკში დაიწყო. მის ნაშრომში, „რიხლე“ მრავალი ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათება და ხალხთა ადათ–წესებია აღწერილი. ქვეყნების გეოგრაფიული დახასიათება, ხალხთა ადათ–წესების გაცნობა ადამიანს ცნობიერების ამაღლებისა და განათლების მიღების შანსს აძლევს.

საქართველოში ღმერთის მიერ ყველაფერია შექმნილი სტუმრების მისაღებად. ბუნებამ ის გეოგრაფიული ჰარმონიით დააჯილდოვა. მცირე ტერიტორიაზე თავმოყრილი მრავალფეროვანი ლანდშაპტები - ნოტიო სუბტროპიკებიდან დაწყებული მყინვარებით დამთავრებული, თვალწარმტაცი ბუნება, დიდი კავკასიონის ქედი, უამრავი მდინარე და გამოქვაბული, კურორტები და მინერალური წყლები, ურბანიზებული ქალაქები, მაღალი კულტურა, ინტელექტუალური პოტენციალი და უნიკალური ეროვნული თვისებები საქართველოს ტურისტულ სამყაროში მყარად დამკვიდრების დიდ შესაძლებლობას აძლევს.

მოგზაურობის განვითარების ისტორია დაკავშირებულია ვაჭრობის განვითარებასთან. უძველეს დროში ყველაზე უფრო ცნობილი ვაჭრები ფინიკიელები იყვნენ. ვაჭრობის გაფართოება მოითხოვდა უფრო მეტ ცოდნას სხვადასხვა ქვეყნებისა და მათი მოსახლეობის, აგრეთვე ამ ხალხების წეს-ჩვეულებების შესახებ. ამ მიზნით შორეულ მოგზაურობაში მიემგზავრებოდნენ ძველბერძენი მეცნიერები.

კაცობრიობის გეოგრაფიული ცოდნა მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვ.წ.V საუკუნეში, როცა ერთ-ერთმა დიდმა ძველბერძენმა მოგზაურმა, მეცნიერმა, „ისტორიის მამად“ წოდებულმა ჰეროდიტემ აღწერა ეგვიპტე, მცირე აზია, კოლხეთი, შავიზღისპირა სკიფების სტეპები, ბაბილონი, პალესტინა, ფინიკია.

საქართველო უძველესი დროიდან იყო ჩართული უძველესი ცივილიზაციების არეალში. 3500 წლის წინათ ძველი ბერძნების - არგონავტების შემოსვლა საქართველოში უნდა განვიხილოთ ტურიზმის დასაწყისად, ხოლო არგონავტები პირველ ტურისტებად.

ტურიზმი მოიცავს ადამიანთა საქმიანობას, რომლებიც მოგზაურობენ და იმყოფებიან მათი ჩვეული გარემოს ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილებში ერთ წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში დასვენების, საქმიანი ან სხვა მიზნებით.

მონახულების (მგზავრობის) მიზნები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

1. თავისუფალი დროის გატარება, რეკრეაცია (ძალების აღდგენა) და დასვენება;
2. ნაცნობებისა და ნათესავების მონახულება;
3. საქმიანი და პროფესიული მიზნები;
4. მკურნალობა;
5. რელიგია (სალოცავების მონახულება);
6. სხვა მიზნები.

სწორედაც მე-6 პუნქტის: „სხვა მიზნები“-ს კატეგორიაში შეიძლება განვიხილოთ ჩვენეული ხედვა ტურიზმთან მიმართებაში.

განათლება-პრაქტიკა-მოგზაურობა: განათლების გამოყენება პრაქტიკაში (ტურიზმში) და პრაქტიკიდან (ტურიზმით) შექმნილი თეორიები.

შესაძლებელია პრაქტიკა-მოგზაურობამ შექმნას ამა თუ იმ საკითხის თეორია, რომლის საფუძველზე შეიძლება ახალი მიმართულებაც კი აღმოცენდეს. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ტურიზმის ისეთ მიმართულებას, რომელიც ჩვენი ინტერესის სფერო გახდა. საქართველოს მრავალფეროვნება უცნაურსა და საინტერესო პირობებს ქმნის იმ კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, რომლითაც ჩვენ დავინტერესდით, კერძოდ: მოგზაურობა პრაქტიკულიდან - (ტურიზმით) განათლების მისაღებად და მოგზაურობა თეორულად მიღებული განათლების პრაქტიკისათვის. ეს აქტივობა ორი საპირისპირო ჯგუფის მოგზაურობის ანალიზის საგანი ხდება, რომელიც ორივე ჯგუფს (თეორიულს და პრაქტიკულს) დაეხმარება როგორც მიღებული ცოდნის უნარების განმტკიცებაში, ისე ახალი უნარების ჩამოყალიბებაში. ბუნება ადამიანს აძლევს დიდ შანსს, ჩასწვდეს მის საიდუმლოებებს და გამოიყენოს თავის სასარგებლოდ. ჩვენი ხედვით ტურიზმის ერთ-ერთი დანიშნულებად შეიძლება ესეც განვიხილოთ.

მოგზაურობა პოპულარული იყო ძველ რომშიც. მდიდარი და ცნობილი ოჯახის წარმომადგენლებისათვის საბერძნეთში მოგზაურობა განათლების აუცილებელი დანამატი იყო. საბერძნეთში მოგზაურობისას ისინი შეისწავლიდნენ ბერძნულ ენას, ფილოსოფიას, ეცნობოდნენ ქალაქებს, კულტურის ძეგლებს. მოგზაურობისას რომაელები სარგებლობდნენ სპეციალური რუკებით - გზამკვლევებით.

სტუდენტური ტურიზმი უმაღლეს სასწავლებლებში არა მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოს განხორციელების საშუალებას მოგვცემს, არამედ ხელს შეუწყობს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან კოლაბორაციულ თანამშრომლობას. ორი ან მეტი ქვეყნის აქტივობა კი საშუალებას მისცემს სტუდენტებს დაიცვან საკუთარი ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობა და გაეცნონ სხვა ქვეყნის კულტურას.

განათლების ახალმა ტექნოლოგიებმა, განათლების კონცეფციის მრავალფეროვნებამ საშუალება მოგვცა პრაქტიკული სამუშაოების აქტიური გამოყენებისა. ვფიქრობთ, ტურიზმი იქნება: ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის შესწავლის საუკეთესო პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც

მოგვცემს საშუალებას მომავალმა თაობამ არა თეორიით, არამედ პრაქტიკული საქმიანობით მიიღოს განათლება. ტურიზმი - როგორც პრაქტიკა, საგანმანათლებლო სივრცეში განათლების მოტივაციის გაზრდის საუკეთესო საშუალებაც იქნება.

XX საუკუნის დამლევს, საქართველოში, არქეოლოგებმა და პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს ჩვენს პლანეტაზე ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი მოდგმის „ჰომო ერექტუსის" (გამართული ადამიანი) ჩონჩხის ნაწილები, რომლის ასაკი ორ მილიონ წელს აღწევს. ფრანგმა ანთროპოლოგებმა ჩონჩხის მიხედვით აღადგინეს მათი პირვანდელი სახე. ქართველებმა მათ სიყვარულით შეარქვეს ქართული სახელები: ქალს - მზია, კაცს - ზეზვა. მზია და ზეზვა ევრაზიის უძველესი მოსახლენი არიან.

საქართველოს ისტორიის XX საუკუნის ეს ფაქტი ჩვენს ქვეყანას ტურიზმის განვითარების დიდ შესაძლებლობას აძლევს, ხოლო ჩვენ მიერ შემოთავაზებული სიახლე – განათლების ახალი ხედვის პერსპექტივას.

ლიტერატურა:

1. მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია, თბ., 2008;
2. გ. მერლანი, ტურიზმის მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2009;
3. ლ. ბაიაძე, ნ. ჭამპურიძე, „საქართველო, შიდა ქართლი - დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაცია, გზაჯვარედინი - ტურიზმის პერსპექტივით" (სტუდენტური ტურიზმი), International Conference Exhibition Batumi-Spring-2010;
4. Ibn Batutah – 1304-1368/69 „Rixle"

ელექტრონული წიგნების ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მარიამ მახათაძე, რობერტ ოგანიანი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების შედეგად საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს გლობალური კომპიუტერული ქსელი – ინტერნეტი, რომელიც საქმიანი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ადამიანები ინტერნეტის მეშვეობით ცხოვრების გაადვილებას ცდილობენ და ნებისმიერ საქმიან გარიგებას შინიდან გაუსვლელად აწარმოებეს. უკანასკნელ პერიოდში ინტერნეტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა კომერციული საქმიანობის განვითარებაში. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტი საოპერაციო ხარჯების შესამცირებლად. ვებ-გვერდები მომხმარებლისთვის 24 საათის განმავლობაშია ხელმისაწვდომი. ინტერნეტს შეუძლია შეცვალოს ან გააფართოოს გასაღების არსებული არხები. ინტერნეტის მიერ უზრუნველყოფილი იაფი დაკავშირება და უნივერსალური სტანდარტები წარმოადგენს იმ ბიძგს, რამაც გამოიწვია ელექტრონული ბიზნესისა და ციფრული ფირმების წარმოშობა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ელექტრონული წიგნების შექმნასა და გავრცელებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტერნეტი ამარტივებს საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. უახლოეს წარსულში ინფორმაცია პროდუქტისა და მომსახურების შესახებ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ პროდუქტებისა და სერვისის ფიზიკურ მნიშვნელობასთან. მაგალითად, თუ მომხმარებელს სურდა მიეღო ინფორმაცია ტელევიზორის ან ავტომანქანის მახასიათებლების, ფასების შესახებ. იგი უნდა მისულიყო ამ პროდუქციის რეალიზაციის პუნქტებში. მომხმარებელს უწევდა ფიზიკური გადაადგილება მაღაზიიდან მაღაზიაში სასურველი პროდუქციის მოსაძებნად. იგივე შეიძლება ითქვას წიგნების შესახებაც. მაგალითად, ინტერნეტამდე პერიოდში წიგნის შესაძენად მყიდველს უხდებოდა მაღაზიაში მისვლა, წიგნების დასახელების, მათ შინაარსისა და ფასების გაცნობა. დღეისათვის კი ეს ყოველივე უკვე ინტერნეტითაა შესაძლებელი. ტრადიციულ მაღაზიებს საფრთხე დაემუქრა. წიგნებისა და სხვა საქონლის პირდაპირ ინტერნეტის მეშვეობით, რეალიზაციის პუნქტის გარეშე გაყიდვა წარმოადგენს ახალ ბიზნეს მოდელს. გამომცემლებმა აიტაცეს ეს მოდელი, სთავაზობენ რა მომხმარებელს ციფრულ, ელექტრონულ წიგნებს პირდაპირ, შუამავლების გარეშე.

საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით იზრდება ელექტრონული წიგნების პოპულარობა და მისი ქსელი სულ უფრო ფართოვდება. საკმაოდ მნიშვნელოვანია მარკეტინგული კვლევების კომპანიის „Nielsen" მონაცემები, რომელთა თანახმად ონლაინ-გარიგებებისას პოპულარობას კვლავ წიგნები ინარჩუნებს – 2008 წელს წიგნი ონლაინ-მყიდველთა 41%-მა შეიძინა (2005 წელს ეს მონაცემი 34%-ს შეადგენდა). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომპანია რეგულარულად სწავლობს ონლაინ-ვაჭრობაში არსებულ ტენდენციებს.

ის, რაც სულ რამდენიმე წლის წინ დაუჯერებელ მოვლენად ჩანდა, დღეს უკვე რეალობაა. დღეისათვის გერმანიის ოთხი ქალაქშის - ჰამბურგის, კიოლნის, ვიურცბურგისა და მიუნჰენის საქალაქო ბიბლიოთეკების მომხმარებლებს ციფრული მედიის - მაგალითად, ელექტრონული წიგნების ან მუსიკალური ფაილების - ონლაინ-რეჟიმში გატანა შეუძლიათ. ბიბლიოთეკების ვებ-გვერდების საშუალებით ლიტერატურის ელექტრონული გატანა მარტივია. ონლაინ-კატალოგში ძიების ფუნქციის გამოყენებით სასურველი გამოცემის პოვნას მომხმარებელი ადვილად შეძლებს. წინასწარი დათვალიერების ფუნქცია მკითხველს საშუალებას აძლევს, თითოეული გამოცემის მონაკვეთები სასინჯად წაიკითხოს, დაათვალიეროს ან მოუსმინოს. საქალაქო ბიბლიოთეკის მომხმარებლის რეგისტრაციის გავლის შემდეგ კი იგი შეძლებს სასურველი მედიის გადმოტვირთვას საკუთარ კომპიუტერში. ჩვეულებრივი ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანის მსგავსად, აქაც შეზღუდული დროის განმავლობაში შეიძლება გატანილი გამოცემით სარგებლობა, ოღონდ აქ გაცემის ვადის გადაცილება და შესაბამისი ჯარიმები გამორიცხულია: უფლებათა ციფრული მენეჯმენტის სისტემა (DRM) უზრუნველყოფს ამა თუ იმ მედიის გამოყენების შესაძლებლობას მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ვადის გასვლისთანავე მომხმარებლის კომპიუტერზე ავტომატურად ხდება მასალის დეაქტივაცია და იგი შემდეგი მომხმარებლისათვის ხდება ხელმისაწვდომი.

ოთხი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც მკითხველს ამჟამად ელექტრონულ მომსახურებას სთავაზობს, მომხმარებლის მოთხოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით მუდმივად ცდილობს გააფართოვოს საკუთარი ციფრული ასორტიმენტი, რომელიც ელექტრონულ ჟურნალებს, აუდიოწიგნებს, მუსიკალურ და ვიდეოფაილებსა და ელექტრონულ წიგნებს მოიცავს. მაგალითად, 8 000 ციფრული გამოცემით დაიწყო „მიუნჰენის ვირტუალური საქალაქო ბიბლიოთეკა". მათ შორისაა ლექსიკონები, სხვადასხვა სახელმძღვანელოები, დამხმარე სასწავლო გამოცემები, საბავშვო აუდიოპიესები, საინფორმაციო ჟურნალი „Der Spiegel", ვიდეოფილმები, სხვადასხვა სახის მუსიკა და მრავალი სხვა.

როგორც მომხმარებლებისათვის, ისე ბიბლიოთეკებისათვის ინტერნეტის უპირატესობები აშკარაა. მომსახურება ხელმისაწვდომია დღე-ღამის ნებისმიერ დროსა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. რამდენიმე წუთის განმავლობაში გამოცემა მოთხოვნის ადგილს აღწევს. ბიბლიოთეკაში მისვლა საჭირო აღარ არის, რადგან ინტერნეტში დროითი თუ სივრცული ბარიერები არ არსებობს.

მომხმარებლისათვის ციფრული მედიების მოხერხებული გზით მიწოდების შეთავაზებით ბიბლიოთეკები მკითხველთა ახალი ჯგუფების მოზიდვასაც ცდილობენ. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან, მაგალითად, ადამიანები, რომლებიც მუშაობენ და ბიბლიოთეკაში მისასვლელად დრო არ რჩებათ. ამას გარდა, ის საჯარო ბიბლიოთეკები, რომლებიც მკითხველს ელექტრონულ მომსახურებას სთავაზობენ, მიზანმიმართულად პასუხობენ ახალგაზრდა, ინტერნეტით აღფრთოვანებული თაობის მოთხოვნილებებს და ესადაგებიან ამ თაობის ციფრული მედიით სარგებლობის ჩვევებს. აღნიშნულთან ერთად პროექტის წარმატებას მნიშვნელოვანწილად ბიბლიოთეკების ციფრული ფონდის მრავალფეროვნებაც განსაზღვრავს.

შეუძლებელია ვისაუბროთ ელექტრონულ წიგნებზე და არ შევეხოთ კომპანია „Amazon.com"-ს. ელექტრონული წიგნების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელი ფინანსისტსა და ბიზნეს-ანალიტიკოსს ჯეფრი ფრესთონ ბეზოსს (Jeffrey Preston Bezos), რომელმაც 1994 წელს დააფუძნა კომპანია „ამაზონი". კომპანიის პირველი მისამართი ბეზოსის ავტოფარეხი იყო. ჯეფ ბეზოსის ავტოფარეხში დაფუძნებული „ამაზონი" კი დღეს მსოფლიოში წამყვანი ელექტრონული კომერციის კომპანიაა, თანამშრომელთა 20 ათასკაციანი გუნდითა და 20 მილიარდიანი (აშშ დოლარებში) წლიური ბრუნვით, ინტერნეტ-მაღაზიებით ამერიკაში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, გამორჩეული საუკეთესო სერვისითა და პროდუქტთა მრავალფეროვნებით. „Amazon.com"-ს წლის განმავლობაში 700 მილიონ ადამიანზე მეტი სტუმრობს. როდესაც „Amazon.com"-მა გახსნა წიგნების ონლაინ მაღაზია, თავის ვებ გვერდზე მან ვიზიტორებს შესთავაზა დაახლოებით 3 მლნ დასახელების წიგნი მათი შინაარსითა და მიმოხილვით. მომხმარებელს წიგნების შეკვეთა პირდაპირ საკუთარი კომპიუტერიდან შეეძლო. „Amazon.com"-ში წიგნები გაცილებით იაფი იყო, რადგან ამ ფირმას არ სჭირდებოდა ფართის იჯარის, თანამშრომელთა ხელფასების, წიგნთსაცავისა და და სხვა ხარჯების

გადახდა. დღეისთვის „Amazon.com“ ლიდერია ელექტრონული წიგნების ბაზარზე. კომპანიის გათვლებით, 2011 წლის ბოლოს ელექტრონული წიგნები ტრადიციულ წიგნებს დაჩრდილავს. ამის მიზეზი კი ელექტრონული წიგნების პოპულარობასთან ერთად, მისი დამზადების სიმარტივეა. „Kindle“-თვის ელექტრონული ფაილების შექმნა გაცილებით ნაკლებ თანხებს მოითხოვს, ვიდრე ტრადიციული წიგნის ქაღალდების დამზადება.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული წიგნების მაღაზიის გახსნას უახლოეს მომავალში კომპანია Google-იც აპირებს. სერვისი შეერთებულ შტატებში მიმდინარე წლის მიწურულს ამუშავდება. პროექტი კი საერთაშორისო ბაზარზე 2011 წლის ბოლოსთვის გამოჩნდება. მაღაზია ასობით ათასი ელექტრონული წიგნისა თუ ჟურნალის სწრაფად „ათვისებას“ აპირებს. „Google“ ცნობილ გამომცემლობებთან უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება გავრცელების ინდივიდუალური სქემა, ფასი, შემოსავალი, ასორტიმენტი, პროექტის დიაპაზონი და ა.შ.

იაპონიის ელექტრონული წიგნის ბაზარზე შესვლას აპირებს აგრეთვე კომპანია „Sony“. აღნიშნული ბაზარი ამ დროისათვის მოიცავს წიგნის ინტერნეტ მაღაზიას 20 000 წიგნით. „Sony“ სამომავლო მყიდველთა რაოდენობას წელიწადში 300 000-მდე ვარაუდობს.

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ ელექტრონული წიგნების წამკითხველების, ანუ e-რიდერების (e-reader) შესახებაც. „Amazon“ აქაც ინარჩუნებს ლიდერობას. თუმცა, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მზარდი კონკურენციის გამო „Amazon“-ის წილი ამ კონკრეტულ სეგმენტში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში 35%-მდე შემცირდება. ახალი ვერსიის e-რიდერის „Amazon Kindle“ (რომლის ფასი 139 დოლარია) გაყიდვის დაწყებიდან რამდენიმე დღეში კომპანიამ განაცხადა, რომ ყველა მოწყობილობა უკვე გაყიდულია. საცავებში მოწყობილობების მარაგის ამოწურვის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა კომენტარი გააკეთეს. „Kindle“-ზე მაღალ მოთხოვნასთან დაკავშირებით მათი შესყიდვა დროებით შეუძლებელია. მიწოდებების შემთხვევაში, შემკვეთებს რიგის მიხედვით მოემსახურებიან“, – ნათქვამია კომპანიის საიტზე განთავსებულ ოფიციალურ განცხადებაში. ამ დროისთვის ამაზონის e-რიდერის ყველაზე რეალური კონკურენტები არიან კომპანიების „Barnes&Noble“ და „Borders“ მიერ შემოთავაზებული პროდუქტები. მათი ღირებულება მინიმუმ 150 დოლარს შეადგენს.

ელექტრონულ წამკითხველებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ მათი ასორტიმენტის გაზრდა გამოიწვია. 2005 წელს ბაზარზე მხოლოდ 3 მოდელი იყო წარმოდგენილი, ხოლო 2007 წელს – 5, დღეისათვის კი მწარმოებლები 40-ზე მეტ მოწყობილობას გვთავაზობენ. მეტიც, „MediaIdeas“-ის პროგნოზის თანახმად, ბაზარზე მოდელების რაოდენობა უახლოეს 12 თვეში გაორმაგდება.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით იკიდებს ფეხს და საკმაოდ აქტიურად მკვიდრდება e-რიდერ ტექნოლოგიები და ზოგადად წიგნების ელექტრონული ფორმით რეალიზაცია. შექმნილია წიგნების ქართული ელექტრონული მაღაზიები, რომელთა საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად პირდაპირ ინტერნეტიდან შეკვეთების განხორციელება. ამის მაგალითს წარმოადგენენ საიტები: http://bookland.ge, http://elva.ge და სხვა. საკუთარი ვებ-გვერდები აქვთ გამომცემლობებსაც, რომელთა საშუალებით მომხმარებლებს ეძლევათ საშუალება დაათვალიერონ აღნიშნული გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნები, გაეცნონ წიგნების ფასს, წიგნების გვერდების რაოდენობას, გამოცემის წელს და სხვ. ამასთან მითითებულია ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა ესა თუ ის წიგნი გაყიდვაში. ყოველივე ეს მომხმარებელს საკმაოდ დიდ დროში დაზოგვის საშუალებას აძლევს.

წამყვანი ქვეყნების ელექტრონული წიგნების რესურსებთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება ელექტრონული წიგნების ქართული რესურსები. თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული სიახლეები უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ნამდვილად შეიმჩნევა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკები დიდი ხანია არსებობს და საკმაო პოპულარობით სარგებლობს ქართველ სტუდენტებსა და ლექტორებში. არაერთი უნივერსიტეტი ავითარებს საქმიანობას ამ მიმართულებით. მაგალითისთვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2009 წელს შექმნა ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლის გამოყენება არამარტო სტუდენტებს, არამედ უცხო ადამიანებსაც შეუძლიათ. ამჟამად, e-რიდერები საქართველოში მცირე რაოდენობითაა და აქედან გამომდინარე წიგნის ბეჭდური ვერსიები უფრო პოპულარულია, ვიდრე ელექტრონული. ის წიგნები, რომლებიც უფასოა, უმეტესად უნივერსიტეტის პროგრამიდანაა წარმოდგენილი ან მხატვრული წიგნებია. ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთადერთია, რომელიც მომხმარებელს ციფრული ფორმატის სერვისებს სთავაზობს, როგორიცაა ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებები და ინტეგრირებული ბიბლიოთეკის სისტემა. ასევე ილიას უნივერსიტეტში იგეგმება ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალის შექმნა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსაც აქვს ონლაინ ბიბლიოთეკა და მას სტუდენტები ეფექტურად იყენებენ. ილიას უნივერსიტეტისგან განსხვავებით აღნიშნული ელექტრონული ბიბლიოთეკა

დახურულია და ამ მასალებთან წვდომა მხოლოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ. საშუალოდ დაახლოებით 200-300 სტუდენტი იყენებს ბიბლიოთეკას ქართული და უცხოური გამომცემლობების წიგნების წასაკითხად. ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკებს შორის საკმაოდ პოპულარულია საიტი lib.ge. საიტს 5 000-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. ორი წლის წინ ვიზიტორთა რაოდენობა კი მხოლოდ 800 მნახველით განისაზღვრებოდა.

საქართველოს უნივერსიტეტებში e-რიდერ ტექნოლოგიების დამკვიდრების საკუთარი პროექტი შეიმუშავა „სინგულარ ჯგუფმა“ შ.პ.ს „წიგნის მაღაზიასთან“ ერთად. „სინგულარ ჯგუფი“ მუშაობს ციფრული მაღაზიის აპლიკაციის/სერვისის შექმნაზე, რომელიც ინტეგრირებული იქნება ისეთ პოპულარულ e-რიდერებში, როგორიცაა „Amazon Kindle“. სერვისი შეიქმნება „სინგულარში“, ხოლო წიგნების მომწოდებელი იქნება შ.პ.ს „წიგნის მაღაზია“. ვინაიდან „Amazon“-ის და სხვა საერთაშორისო წიგნის ონლაინ მაღაზიებში არსებული გადახდის მეთოდები საქართველოში აპრობირებული არ არის, სწორედ ეს გახდა მსგავს სერვისზე მუშაობის დაწყების მთავარი მიზეზი. გარდა ამისა, ბაზარზე არსებულ e-რიდერებს არ გააჩნიათ ქართული უნიკოდ ფონტების მხარდაჭერა. შესაბამისად, ქართული ელექტრონული წიგნების წაკითხვა არსებულ e-რიდერებში შეუძლებელია. საწყის ეტაპზე „სინგულარ ჯგუფი“ გეგმავს სერვისის „Amazon Kindle“ e-რიდერში ინტეგრირებას.

წიგნებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ იქნა 100 რესპოდენტი, რომელთაგან 55 ქალი და 45 მამაკაცია. მათ შორის 24 უმაღლესი, ხოლო 76 საშუალო განათლების მქონეა. გამოკითხვა ასაკობრივად არ იყო შეზღუდული, აქედან გამომდინარე წარმოდგენილ მონაცემებში დაფიქსირებულია როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე სტუდენტებისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის აზრი.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან გაირკვა, რომ 20 რესპოდენტი ხშირად კითხულობს წიგნებს, 56 რესპოდენტი - ხანდახან, წიგნების კითხვით თითქმის ყოველდღეა დაკავებული 12 რესპოდენტი, ძალიან იშვიათად კითხულობს წიგნებს 8 რესპოდენტი, ხოლო 4 რესპოდენტი საერთოდ არ კითხულობს წიგნებს.

შეკითხვაზე: „შეგიძლიათ თუ არა დაახლოებით მიუთითოთ გასული წლის განმავლობაში წაკითხული წიგნების რაოდენობა?“ წაკითხული წიგნების მაქსიმალური რაოდენობა დააფიქსირა ერთმა რესპოდენტმა (30 წიგნი), ხოლო 7 რესპოდენტს საერთოდ არ წაუკითხავს წიგნი. დანარჩენი რესპოდენტებიდან უმეტესობას 4-დან 8-მდე წიგნი აქვს წაკითხული.

გამოკითხულთაგან 88 რესპოდენტი ქაღალდის წიგნებს კითხულობს, ხოლო 12 რესპოდენტმა კი აღნიშნა, რომ წიგნებს პერსონალურ კომპიუტერში (ნოუთბუქში) კითხულობს. აღმოჩნდა, რომ მობილურ ტელეფონსა და მედიაფლეერს წიგნების წასაკითხად გამოკითხულთაგან არცერთი მათგანი იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საშუალებები საკმაოდ გავრცელებული ფორმაა წიგნების წასაკითხად საზღვარგარეთის ქვეყნებში.

კითხვაზე – „ხშირად ყიდულობთ თუ არ წიგნებს“? პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: ხანდახან – 42 რესპოდენტი, ხშირად – 18 რესპოდენტი, ძალიან იშვიათად 19 რესპოდენტი. 21 რესპოდნტი კი საერთოდ არ ყიდულობს წიგნებს.

ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ლიტერატურული ჟანრებიდან ყველაზე პოპულარულია ისტორიული, შემდეგ მოდის დეტექტიური, ხოლო მესამე პოზიცია უკავია კლასიკურს. შეკითხვაზე როგორი ჟანრის ლიტერატურას ანიჭებთ ყველაზე მეტ უპირატესობას?“ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: კლასიკურს - 20 რესპოდენტი; ფანტასტიკას - 5 რესპოდენტი; ისტორიულს - 34 რესპოდენტი; დეტექტივებს - 31 რესპოდენტი; სამეცნიერო-პოპულარულს - 5 რესპოდენტი; რელიგიურს - 5 რესპოდენტი.

შეკითხვაზე - „საშუალოდ რამდენ ლარს შეადგენს თქვენი შემოსავალი თვეში?“ გამოკითხული რესპოდენტებიდან 48 მათგანს არ გააჩნია პირადი შემოსავალი, 9 მათგანს 100 ლარამდე აქვს, 4 მათგანს 100-დან 150 ლარამდე , 7 მათგანს 150- დან 200-მდე, 3 მათგანს 200-დან 250-მდე, 12 მათგანს 250-დან 300 მდე, 4 რესპოდენტს 300-დან 350-მდე, 6 მათგანს 350-დან 400 ლარამდე, ხოლო 7 მათგანს 400 ლარზე მეტი აქვს თვიური შემოსავალი.

გამოკითხულთაგან 52 რესპოდენტი წელიწადში წიგნების შესაძენად 100 ლარამდე ხარჯავს, 18 რესპოდენტი - 100-დან 200 ლარამდე, 4 რესპოდენტი 200-დან 300 ლარამდე, 5 რესპოდენტი - 400 ლარზე მეტს. 21 რესპოდენტი კი არ ყიდულობს წიგნებს.

გამოკითხვის შედეგებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ 4 რესპოდენტს შეუძენია წიგნი ინტერნეტ-საიტების მეშვეობით, ხოლო 96 რესპოდენტს - არ შეუძენია წიგნი ინტერნეტის საშუალებით. იმ რესპოდენტებმა, რომლებმაც წიგნების შესყიდვა განახორციელეს ინტერნეტის საშუალებით, დაასახელეს

საიტები, რომელთა მეშვეობითაც მათ შეიძინეს წიგნი. დასახელებულ საიტებს შორისაა: elva.ge, bookland.ge და სხვა.

რაც შეეხება ელექტრონულ წიგნებს, გამოკითხულთაგან 4 მათგანს შეუძენია ინტერნეტის მეშვეობით, 96 რესპოდენტს კი - არა.

ზოგადად ელექტრონული წიგნების მიმართ გამოკითხულ რესპოდენტთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. 15 რესპოდენტს დადებითი დამოკიდებულება აქვს მის მიმართ და თვლის, რომ ელექტრონული წიგნები უფრო მოხერხებულია. 60 რესპოდენტს კი მიაჩნია, რომ წიგნების კლასიკური ფორმა (ქაღალდის წიგნი) ყველაზე საუკეთესოა. 25 რესპოდენტისთვის კი მნიშვნელობა არა აქვს წიგნის ფორმატს.

მომავალში ელექტრონული წიგნები არ შეცვლიან ქაღალდის წიგნებს. ასე მიაჩნია გამოკითხულ რესპოდენტთაგან 62 მათგანს, ხოლო 38 რესპოდენტი თვლის, რომ მომავალში ელექტრონული წიგნები ქაღალდის წიგნებს ჩაანაცვლებენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული წიგნებს გააჩნიათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ელექტრონული წიგნების დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია: 1) ელექტრონული წიგნები გვაძლებენ საშუალებას წავიკითხოთ ისეთი წიგნები, რომელთაც კლასიკური (ქაღალდის) ფორმით ვერ მოვიძიებთ (მისი სიძველისა და უნიკალურობის გამო); 2) არანაკლებ კარგი თვისებაა ის რომ ელექტრონული წიგნების კითხვისას ჩვენ შეზღუდულები არ ვართ რაოდენობაში და ჩვენ შეგვიძლია ათეულობით წიგნი წავიღოთ თან მოგზაურობისას. არანაკლებ მნიშვნელოვანია რომ ელექტრონული წიგნების გამოყენებით ჩვენ ერთგვარად ვიცავთ ჩვენი პლანეტის ბუნებას, ხეებს.

დადებით მხარეებთან ერთად აღსანიშნავია უარყოფითი მხარეებიც. მაგალითად ხშირად ირღვევა საავტორო უფლებები. წიგნის პრეზენტაციის მეორე დღეს იგი უკვე ინტერნეტში დევს სხვადასხვა საიტებზე, რაც ზიანს აყენებს ავტორებს. ასევე ელექტრონული წიგნების წინააღმდეგ გამოდიან საგამომცემლო სახლებიც. ელექტრონული წიგნები კონკურენციას უწევენ მათ მიერ გამოცემულ კლასიკური (ქაღალდის) ფორმის წიგნებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვიდანაც ჩანს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ჯერჯერობით მაინც ქაღალდის წიგნებს ამჯობინებს. თუმცა ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ საქართველოში მაინცდამაინც არ არის ფართოდ გავრცელებული ელექტრონული წიგნების მოხმარების კულტურა, თუმცა, მიგვაჩნია, რომ მომავალში მდგომარეობა შეიცვლება. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები საქართველოში ელექტრონული წიგნების ბაზრის განვითარების პერსპექტივებზე გვაფიქრებინებს.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.bookland.ge
2. http://www.navigator.ge
3. http://bizideebi.blogspot.com
4. http://forum.ge
5. http://www.conference.ge
6. http://24saati.ge
7. http://aqualung.ge
8. http://www.goethe.de
9. http://metekhiuni.edu.ge
10. http://www.ael.ge
11. http://www.onlinenews.ge
12. http://liberali.ge
13. http://www.amazon.com

ფულადი გზავნილები და მათი მნიშვნელობა საქართველოსთვის

ნათია მინდიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ლალი კაკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია**, ასოცირებული პროფესორი

ემიგრაცია თანამედროვე საქართველოს უმწვავესი პრობლემაა. იგი ახალი მოვლენა არაა, მაგრამ მასობრივი ხასიათი მიიღო პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებული მრავალმხრივი კრიზისის შედეგად. ეკონომიკურმა კოლაფსმა და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა ფიზიკური გადარჩენისთვის გამოსავალი საზღვარგარეთ დასაქმებაში ეძებნა. ამჟამად ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე უცხოეთში არალეგალურად, დისკრიმინაციულ ვითარებაში მუშაობს. ზოგი მათგანი ტრეფიკინგის მსხვერპლიც გახდა. მეორე მხრივ, მათი გზავნილები უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაში. შრომითი მიგრაცია თანდათან უფრო ეფექტიანი და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მორგებული ხდება. ამასთანავე, კვლავაც უმწვავეს ამოცანად რჩება მისი ლეგალიზაცია და რეგულირება, რაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი მიგრაციის შეუსწავლელობაა.

სსრკ დაშლის შემდგომ კრემლის სამიზნედ ქცეული, ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში მყოფი საქართველო ჯეროვნად ვეღარ გაუმკლავდა შექმნილ პრობლემებს. გაღატაკებული მოსახლეობის ნაწილი თავის გადასარჩენად უცხოეთს მიაწყდა.

რუსეთის მიერ ინსპირირებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელებულმა ეთნოწმენდამ ასეულ ათასობით მკვიდრის იძულებითი გადაადგილება და საერთო ვითარების უკიდურესი დამძიმება გამოიწვია. მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება ნაწილობრივ ბუნებრივი მატების კლებას შეიძლება მიეწეროს, თუმცა ძირითადი მიზეზი მაინც გარე მიგრაციული პროცესების ინტენსივობის ზრდა იყო.

თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, დასაქმება, მოსახლეობის სოციალური დაცვა და მისი ტერიტორიული მობილობის რეგულირება საქართველოს წინაშე მდგარ ყველაზე მწვავე პრობლემებს მიეკუთვნება და კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს. სიღარიბის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია უმუშევრობა და მოსახლეობის შემოსავლების დაბალი დონე, არაეფექტიანი დასაქმება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს შრომითი მიგრაცია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განვითარებაში. შრომითი მიგრაცია ობიექტური რეალობაა და გარეგნულად ხშირად უარყოფითი ფონის მიუხედავად, უფრო მეტი დადებითი მომენტების შემცველია, ვიდრე უარყოფითისა.

საქართველოშიც მიგრაციული ვითარება ეკონომიკურმა კოლაფსმა შიგა და გარე შრომის ბაზრებზე შექმნილმა სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის კანონზომიერებამ განსაზღვრა. განვითარდა ქვეყნისათვის არნახული ინტენსიურობის მქონე შრომითი მიგრაციული პროცესები. შრომითი მიგრაცია იქცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფის უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვა საზოგადოების მხრიდან დიდი შეშფოთება მისი შედეგების გამო. ეკონომიკის კოლაფსის დროს კატასტროფულად შემცირდა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და განვითარდა უმუშევრობა, რომელმაც უპრეცედენტო მასშტაბი მიიღო.

1990-1995 წლები საქართველოში გამოირჩევა უდიდესი ემიგრაციული ტალღით. მოთხოვნა-მიწოდების უკიდურესმა დისბალანსმა და სამუშაო ძალის გაიაფებამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, გამოსავალი საზღვარგარეთ მუდმივ ემიგრაციაში ან იქ დროებით დასაქმებაში ეძებნა.

90-იანი წლების დასაწყისიდან შრომითი მიგრაციის ინტენსიურობა თურქეთისკენ მაღალი იყო, რადგან ამ პერიოდში ემიგრანტებს არჩევანის ნაკლები საშუალება ჰქონდათ, თანაც თურქეთთან მიმოსვლა შედარებით იაფი და ორგანიზაციულად ადვილად მოსახერხებელი იყო, მაგრამ ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთისკენ შრომით მიგრანტთა ნაკადი შესუსტდა სამუშაო ძალის დაბალი

ანაზღაურების გამო. უნდა შევნიშნოთ, რომ გაჩნდა მიგრაციული ნაკადების მიზიდვის ახალი კერები, თუმცა ჯერ-ჯერობით მცირე წილით: კანადა, ეგვიპტე, ავსტრალია, ლათინური ამერიკა. ტურისტული სააგენტოების დახმარებით გასული ემიგრანტები ხვდებიან ირლანდიასა და პოლონეთში. ბელგიის, ესპანეთისა და ინგლისის მიმართულებით კი მიგრაციული აქტები საკმაოდ გაიზარდა. თუკი საქართველოს მოსახლეობას შორის 30 წელზე გადაცილებულთათვის ემიგრაციის ძირითადი მიმართულების ქვეყნებს რუსეთი, საბერძნეთი, გერმანია და აშშ წარმოადგენენ,შემდეგში მიგრაციული ნაკადების მიმართულება თანდათან შეიცვალა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ, რაც კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის მიერ საქართველოსთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმის შემოღებამ.

1989-2002 წლების აღწერათაშორის პერიოდში საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადასახლდა 1 მლნ, ხოლო შრომით ემიგრაციაში წავიდა 0,3-0,5 მლნ კაცი. მიგრაციულ ნაკადებში უმრავლესობა შრომის ასაკში მყოფი მოსახლეობაა, რაც რეალურად შრომითი რესურსების მიგრაციაა.

შრომითი ემიგრაცია არის გარკვეული დროით საზღვარგარეთ დასაქმება შემოსავლის მიღების მიზნით. იგი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისგან თავდაღწევის მოქნილი სოციალური სტაბილიზატორია, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაა, მოსახლეობის საშუალო კლასისა და საბაზრო ურთიერთობების ფორმირების ფაქტორია, საერთაშორისო ეკონომიკური გამოცდილების, პროფესიული ცოდნისა და კულტურის გაზიარების საშუალებაა. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, შრომითი რესურსების ასაკზე, სქესზე, განათლებაზე, პროფესიულ მომზადებაზე, გამოცდილებასა და ა.შ.

მეტად საინტერესო და რთული ამოცანაა შრომითი მიგრაციის, როგორც მოვლენის, ,,პლიუსების“ და ,,მინუსების“ შეფასება. რატომღაც მის დადებით ეკონომიკურ როლზე აქცენტი ნაკლებადაა გამახვილებული, უარყოფითზე კი ბევრს წერენ და საუბრობენ. ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას ის წარმოადგენს, რომ ვაჩვენოთ სამუშაო ძალის მიგრაციის დადებითი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და შევაფასოთ მისი სოციალური მნიშვნელობა.

როცა შრომითი მიგრანტი ტოვებს თავის ქვეყანას, უდიდეს რისკს ეწევა, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მოგებული რჩება არა მარტო ის და მისი ოჯახი, არამედ სახელმწიფო და მსოფლიო საზოგადოებაც. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები იღებენ მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით. იგი გამოიხატება ემიგრანტთა გზავნილების ფორმით. გამოკვლევებით დადგენილია, რომ მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისას მოაქვთ დაახლოებით იმ თანხის ტოლი ფასეულობანი და დანაზოგები, რომელიც მათ მიერაა განხორციელებული გზავნილებათა სახით. შესაბამისად, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში გზავნილებათა თანხა ორმაგდება. გზავნილები გავლენას ახდენს დონორი ქვეყნის განვითარებაზე. გზავნილები იხარჯება ბავშვების განათლებისთვის, მაღალხარისხოვანი და საფუძვლიანი მკურნალობისთვის, უძრავი ქონების შესაძენად, ოჯახის სტატუსის ამაღლებაზე, სხვადასხვა მშენებლობებზე, ვალების გადასახდელად, პროდუქციის შესაძენად. იძენს რა მიგრანტის ოჯახი სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციას, იზრდება აღნიშნულის ადგილობრივი წარმოება, ჩნდება სამუშაო ადგილები. თუმცა გზავნილები დიდ სამრეწველო პროექტებში ძალზე იშვიათად იხარჯება და ისიც მცირე წილით.

გაზრდილი მოხმარების ნეგატიური მხარე ის არის, რომ მან შეიძლება ინფლაციას შეუწყოს ხელი. გზავნილები ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. მათზე დამოკიდებული ქვეყნები შეიძლება ეკონომიკური შოკის ქვეშ აღმოჩნდნენ. დონორ ქვეყანაში ემიგრაცია ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას და ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, თუმცა ამ შემთხვევასაც აქვს მეორე მხარე - ემიგრაციაში დონორი ქვეყნის მოსახლეობის მცირე ნაწილი მონაწილეობს და უმუშევრობის პრობლემას ამით ვერ გადაწყვეტს, ამასთან, მუშახელის ნაკლებობამ შეიძლება ხელფასების ინფლაცია გამოიწვიოს. გარკვეულ სექტორში შეიძლება შემცირდეს უმუშევრობა, მაგრამ ზოგიერთი სფერო ისევ ისე შევსებულია. დამქირავებლები უპირატესობას იმას ანიჭებენ, ვინც უკვე მუშაობს, რადგან თავიდან აიცილონ ახალი მუშახელის მომზადება. მათ ურჩევნიათ კაპიტალი უფრო მეტად ტექნოლოგიებში დააბანდონ და წარმოება ამ გზით განავითარონ.

ამრიგად, შრომით მიგრაციას აქვს დადებითი და უარყოფითი შედეგები მიმღები და დონორი ქვეყნებისათვის, თვით მიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის. მთლიანობაში, იგი დადებითი მოვლენაა. მთავარია ის, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს შრომითი მიგრაცია ისე, რომ მისგან საზოგადოებამ მიიღოს მეტი ეფექტი. გზავნილების მიღება ხდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს მოსახლეობის 9% ფულადი გზავნილების მიმღებია; საბანკო სექტორი, შეიძლება ითქვას, ფულადი გზავნილების ექსკლუზიური გამცემია. იგი კონკურენციას უწევს საკმაოდ მნიშვნელოვან არაფორმალურ სექტორს და ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლები ფინანსური ინსტიტუტების წმინდა შემოსავლების 20%-ს აღწევს.

იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი ემიგრანტების სამშობლოში ჩამოსვლებს შორის დიდი ინტერვალია, ფულად დახმარებას გზავნიან ძირითადად ბანკის საშუალებით (46,3%), ან ატანენ ახლობლებს (32,8%) და ავტობუსსაც (13%). ეს უკანასკნელი ფორმა ყველაზე მეტად გამოიყენება საბერძნეთიდან და აზერბაიჯანიდან ფულის გამოგზავნისას. გადმოგზავნის სიხშირე ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. რუსეთიდან და გერმანიიდან მიგრანტთა თითქმის ნახევარი რამდენიმე თვეში ერთხელ გზავნის ფულს. შრომით ემიგრანტთა მცირე ნაწილი (მეათედი) გადმოგზავნასთან ერთად იქ ფულს აგროვებს და თვლის, რომ დაბრუნებისას ჩამოიტანს.

ფულადი გზავნილების არაოფიციალური გზით გადმოგზავნა ჯდება თანხის 10-15%, ასეთი დიდი ტარიფი მიგრანტთა დანაზოგს და სამშობლოში დარჩენილ ღარიბ ოჯახთათვის განკუთვნილ შემოსავლებს საგრძნობლად ამცირებს. საბანკო სისტემით ფულადი გზავნილების ხარჯების შემცირება კი გაზრდის ასეთ მომსახურებაზე მოთხოვნას, რაც უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე სახელმწიფოს მხრიდან არაოფიციალური მომსახურების რეგულირების ცდები. არ შეიძლება დავეთანხმოთ ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრებას ფულადი გზავნილების დაბეგვრასთან დაკავშირებით, რადგან ეს თანხა მძიმე შრომითაა მოპოვებული და უმეტეს შემთხვევაში იგი საკმარისად დაბეგრილია. ამიტომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში სახელმწიფომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს გზავნილებიდან ამოღებული გადასახადების როლს.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოდან გასულ 300-400 ათას შრომით ემიგრანტს, ჩვენს მიერ ამ გამოკვლევით მიღებული თვიური ფულადი გზავნილის (178,5 აშშ დოლარი) მთელ საქართველოს მოსახლეობაზე მიახლოებით გავრცელებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან წლიურად ვალუტის სახით შემოდის 650-850 მლნ აშშ დოლარი, რაც საზღვარგარეთიდან პირდაპირი ტრანსფერების ოფიციალურ მონაცემებს 3-ჯერ აღემატება. ეს სარგებელს მოუტანს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ფინანსურ სექტორსა და განსაკუთრებით, თვით მიგრანტებს.

შრომით ემიგრანტთაგან შემოსული თანხა, რომელიც საქართველოში განუწყვეტლივ მატულობს, სხვადასხვა ექსპერტთა გაანგარიშებით 0,5 – 1 მლრდ დოლარს უდრის. იგი მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება. ამავე დროს, მატულობს შედარებით დიდი გზავნილები, რომელიც საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლების საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საქართველოში დაახლოებით 320 000 ადამიანი რეგულარულად იღებს ფულად დახმარებას. ფულადი გზავნილების ნახევარზე მეტი მოდის რუსეთიდან (60%). საქართველოში ფულადი გზავნილები ასევე შემოდის უკრაინიდან (7%), ამერიკის შეერთებული შტატებიდან (6%), საბერძნეთიდან (4%), გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და სომხეთიდან. უცხოური კაპიტალის შემოდინებას ასევე გარკვეული გავლენა აქვს სავალუტო ბაზარზე. შემოსული თანხების დიდი ნაწილი ეროვნულ ვალუტაზე კონვერტირდება და შესაბამისად იზრდება ქართულ ლარზე მოთხოვნა. პარალელურად იზრდება უცხოური ვალუტის მოწოდებაც. ოფიციალური საბანკო წყაროებით, შემოსული უცხოური გზავნილების დაახლოებით 10% ფულად გზავნილებს შეადგენდა.

ფულადი გზავნილების შემოდინებას თავისი შედეგები და გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემაზე. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, თანხების მთლიანი ნაკადი გავლენას ახდენს ეროვნულ რეზერვეებზე, უცხოური ვალუტის გაცვლის კურსზე, ანაბრებსა და საკრედიტო განაკვეთზე. საფინანსო სექტორის დონეზე აღნიშნული თანხები წარმოადგენს არა მხოლოდ საერთაშორისო გადახდებით მიღებულ შემოსავალს, არამედ სესხის უზრუნველყოფის წყაროს. ის ასევე არის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით გადახდების ინდუსტრიის მოდერნიზაციის საშუალება. გარდა ამისა, სამომხმარებლო დონეზე ფულადი გზავნილები აქტივების დაგროვების, საკრედიტო ისტორიისა და უზრუნველყოფის შექმნის საშუალებაა.

2010 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 74.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 14.1 მლნ აშშ დოლარით, ანუ 23.2 %-ით მეტია 2009 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამ პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან (9.7 მლნ აშშ დოლარით), უკრაინიდან (1.3 მლნ აშშ დოლარით), საბერძნეთიდან (1.0 მლნ აშშ დოლარით), აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89.8 % იმ 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის,საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აპრილში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 8 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 88.3 % მოდიოდა.


ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით
80
70
60
50
40
30
20
10
0
მილ. აშშ დოლარი
სულ
რუსეთი
აშშ
უკრაინა
საბერძნეთი
იტალია
თურქეთი
ესპანეთი
ისრაელი
სხვა ქვეყნები
აპრილი, 2009
აპრილი, 2010


ფულადი გზავნილების სტრუქტურა სისტემების მიხედვით,
აპრილი 2010
50.0
45.0
40.0
35.0
30.0
25.0
20.0
15.0
10.0
5.0
0.0
%%
Western Union
Unistream
Anelik
Contact
Money Gramy
Ria
Bistraia Pochta
Intel Express
Leader
Migom
Privat Money
Travelax
Other systems
ჩარიცხვა
გადარიცხვა

	ფულადი გზავნილების მოცულობა, მლნ აშშ დოლარი აპრილი, 2010	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში, %	
		აპრილი, 2009	აპრილი, 2010
სულ	74.7	100.0	100.0
რუსეთი	41.9	53.0	56.0
აშშ	5.5	8.7	7.4
უკრაინა	5.5	7.0	7.4
საბერძნეთი	5.0	6.6	6.6
იტალია	3.9	6.1	5.2
თურქეთი	2.5	3.3	3.3
ესპანეთი	1.8	2.6	2.4
ისრაელი	1.1	1.0	1.5

შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის შესამუშავებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გათვალისწინებული იქნეს შემდეგი წინადადებანი:

- აუცილებელია მეცნიერული კვლევების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესწავლა.
- ხელმისაწვდომი და უფრო დეტალური გახდეს ინფორმაცია მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრის ვითარებაზე - სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების შესახებ რაოდენობრივ და პროფესიულ ჭრილში;
- გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ღონისძიებების შემუშავება-რეალიზაცია: ა) ქვეყანაში შრომის პირობების გაუმჯობესება; ბ) ორმაგი მოქალაქეობის დაშვება;
- გამარტივდეს ოფიციალური საბანკო სისტემით ვალუტის გადმორიცხვა და შემცირდეს გადმორიცხვის ხარჯები;

ამრიგად, ემიგრაციას, მიუხედავად თანმხლები მწვავე სოციალური პრობლემებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის. მისი მართვა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ეკონომიკური აღმავლობის დაწყების კვალდაკვალ შრომითი მიგრაციის ინტენსივობა შესუსტდება, ხოლო სამუშაო ძალის ექსპორტი უფრო ეფექტიანი გახდება.

ლიტერატურა:

1. ტუხაშვილი მ., „საქართველოს გარემიგრაციული პრობლემები“ თბ.2007
2. ტუხაშვილი მ., „ ახალი მიგრაციული პოლიტიკა“ თბ. 2009
3. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი, შრომის ეკონომიკის კათედრა, „მიგრაცია“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008;
4. www.economy. ge
5. www.mof.ge

შტრიხ კოდი - საქონლის სავიზიტო ბარათი

მანუჩარ ტაბატაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური დურული**, სრული პროფესორი

დღესდღეობით ქართული სასაქონლო ბაზარი გადატვირთულია მრავალგვარი საზღვარგარეთული საქონლით. მყიდველს აინტერესებს რა პროდუქცია რომელი ქვეყნისაა, მითუმეტეს, რომ შემოდის ფალსიფიცირებული საქონელი.

პროდუქციის ფალსიფიკაციის თავიდან აცილებისა და მისი ვარგისიანობის დამადასტურებელ საშუალებას წარმოადგენს შტრიხ კოდი. საქონლის ეტიკეტზე ხშირად გვხვდება თეთრ ფონზე შავი ზოლების მწკრივი, რომელთა ქვეშ ციფრებია გამოსახული. სწორედ ეს წარმოადგენს საქონლის სავიზიტო ბარათს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ამა თუ იმ პროდუქციის შესახებ.

ვერტიკალური ხაზების შექმნის ისტორია დაიწყო 1948 წელს, როდესაც დრეკსელევის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დეკანმა თავის კაბინეტში მიიღო მისი მეგობარი - სუპერმარკეტების ქსელის მეპატრონე, რომელიც მივიდა ინსტიტუტში იდეით - შეემუშავებინათ საქონლის აღრიცხვის ისეთი ავტომატური სისტემა, რომელსაც გამოიყენებდნენ სალაროებში. ამ ორი პიროვნების გვარი შთამომავლობისთვის უცნობია. სამაგიეროდ ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა ასპირანტი ჯო სილვერი, რომელიც უბრალოდ უსმენდა ამ ორი პიროვნების საუბარს და გადაწყვიტა დაესწრო თავის დეკანისთვის. საქმის დასაჩქარებლად მან მიმართა თავის მეგობარს, ასპირანტ ბერნი ვულდენს. მათ ერთობლივად გადაწყვიტეს საქონლის მარკირება სპეციალური მელნის საშუალებით, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ანათებდა. მაგრამ პროექტი ძალზე ძვირადღირებული აღმოჩნდა.

ასპირანტებს ესმოდათ, რომ უნდა მოეგონებინათ ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მაქსიმალური ინფორმაცია გაეშიფრათ მინიმალურ ფართობზე. ისინი დაინტერესდნენ მორზეს ანბანით.

ადრიან დილას ვულდენი იჯდა ოკეანის სანაპიროზე და ფიქრობდა თავის პროექტზე, თან ქვიშაზე ნელ-ნელა ხატავდა მორზეს ანბანის ნიშნებს. ტალღები კი ნაწილობრივ შლიდნენ მის ნახატს და ნიშნები ემსგავსებოდნენ სხვადასხვა სისქის ვერტიკალურ ზოლებს. ეს იყო ნორმანისთვის აღმოჩენა. იგი მიხვდა თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს საქონლის მარკირება. მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მარკირების ნიშნები კი გამოიგონეს, მაგრამ არ არსებობდა ამ ნიშნების წამკითხავი მოწყობილობა. კიდევ ერთი წლის მუშაობის შემდეგ შექმნეს ხელსაწყო, რომელიც დღევანდელ სკანერს ძალიან ჰგავდა. ასპირანტებმა დააპატენტეს თავისი გამოგონებული შტრიხ კოდები.

ოდნავ მოგვიანებით XX საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელმა დევიდ კოლინზმა ცოტათი შეცვალა შტრიხ კოდები და შესთავაზა ლაზერი მათი წაკითხვის მიზნით. დევიდი მუშაობდა სარკინიგზო კომპანიაში და შტრიხ კოდები სჭირდებოდა ვაგონების აღსარიცხავად, მოგვიანებით კი მან შტრიხკოდები სავაჭრო საქონელზეც გამოიყენა.

სულ მალე შტრიხ კოდებმა დიდი აღიარება და გამოხმაურება მოიპოვა. 1973 წელს სავაჭრო ქსელების მფლობელთა ყრილობამ დაადგინა - გამოყენებული ყოფილიყო შტრიხ კოდი, როგორც ახალი სტანდარტი საქონლის მარკირებისა. პირველი პროდუქტი, რომელსაც ჰქონდა შტრიხ კოდი, იყო საღეჭი რეზინი ,,ვრიგლისი''. ცოტა ხანში იგი თითქმის ყველა პროდუქტს შეეხო. 1981 წლიდან კი ამერიკელმა სამხედროებმა შტრიხ კოდები გამოიყენეს სამხედრო აღჭურვილობის მარკირებისა და აღრიცხვისათვის.

დიდ სუპერმარკეტებში შტრიხ კოდები ფასდაუდებელ სამსახურს სწევს. მოლარის მიერ მასზე სკანერის გადატარებით შესაძლებელია გადასახდელი თანხის ოდენობის სწრაფად გაგება. ამავე დროს სუპერმარკეტის კომპიუტერულ ბაზაში აღინუსხება გაყიდული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი. ამ სისტემის წყალობით მენეჯერმა დროის ნებისმიერ მომენტში იცის ათიათასობით დასახელების საქონლიდან თითოეული სახეობისათვის სასაქონლო ნაშთების რაოდენობა. დღის ბოლოს კი პროგრამა იძლევა ავტომატურ შეტყობინებას, თუ რა სახის შესყიდვების გაკეთებაა აუცილებელი, ან საჭირო გახდება უახლოეს პერიოდში. აღსანიშნავია ისიც, რომ შტრიხ კოდები მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდის დოკუმენტაციის გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

საქონლის ნუმერაციის ევროპული ასოციაცია 1977 წელს შეიქმნა. ასოციაციამ შეიმუშავა ახალი ევროპული სტანდარტი. სწორედ EAN-ის კოდებს ვხვდებით უმეტესწილად სასაქონლო ბაზრებზე, ყველა

იმპორტულ საქონელზე. შტრიხ კოდის ნუმერაციის ყველაზე გავრცელებული ვარიანტებია EAN-13 (ცამეტციფრიანი) და EAN-8 (რვაციფრიანი), თუმცა არის სხვა სისტემებიც (ITF,UPC-A,UPC-E).

შტრიხ კოდების ნუმერაციის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია EAN-13. ამ შემთხვევაში რიცხვი 13 მიუთითებს შტრიხ კოდში 13 ციფრის არსებობას. თითოეულს შეესაბამება გარკვეული ხაზები, ვერტიკალური ზოლები, რომელთა საშუალებით შიფრავენ მოცემულ რიცხვს. კერძოდ, პირველი ორი ან სამი ციფრი მიუთითებს იმ ქვეყნის კოდს, სადაც პროდუქტია დამზადებული და ფირმის შტრიხ კოდია რეგისტრირებული, შემდეგი ხუთი ციფრი დამამზადებლის კოდს წარმოადგენს, შემდეგი ოთხი ან ხუთი -საქონლის კოდია, მისი გაშიფვრით მიიღება ინფორმაცია საქონლის ზომაზე, წონაზე, ფერზე, ინგრედიენტებზე, მის სამომხმარებლო თვისებებზე. ბოლო ციფრი კი საკონტროლო ციფრია, რომლის საშუალებით შეიძლება გავარკვიოთ პროდუქტი ნამდვილია თუ ყალბი. დავუშვათ, საქონლის შტრიხ კოდია 4867817410899, სადაც საკონტროლო ციფრია - 9. რომ შევამოწმოთ შტრიხ კოდის სისწორე გამოვიყენოთ შემდეგი გაანგარიშება:

1.	შევკრიბოთ შტრიხ კოდში ლუწ ადგილზე მყოფი ციფრები	8+7+1+4+0+9 = 29
2.	მიღებულ ციფრი გავამრავლოთ 3-ზე	29*3 = 87
3.	შევკრიბოთ შტრიხ კოდში კენტ ადგილზე მყოფი ციფრები(საკონტროლო ციფრის გარდა)	4+6+8+7+1+8 = 34
4.	შევკრიბოთ 2 და 3 პუნქტებში მიღებული ციფრები	87+34 = 121
5.	დატოვეთ ერთეული	121 = 1
6.	რიცხვს10- ს გამოვაკლო მე-5 პუნქტში მიღებული ციფრი	10-1 = 9

თუ მიღებული შედეგი არ დაემთხვა შტრიხ კოდის საკონტროლო ციფრს ე.ი საქონელი უკანონოდაა დამზადებული.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ,,EAN INTERNATIONAL''-ის წინაშე გამოვიდა ინიციატივით, რათა საქართველოში ნაციონალური ნუმერაციის ორგანიზაცია ,,EAN GEORGIA'' ჩამოყალიბებულიყო. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 1996 წელს დაარსა ეროვნული ასოციაცია ,, EAN GEORGIA'', რომელიც ამავე წლის 10 მაისს გენერალურ ასამბლეაზე ქ.ლისაბონში მიღებულ იქნა საერთაშორისო ასოციაციის წევრად. ამიერიდან საქართველოს აქვს საკუთარი შტრიხ კოდი - 486, რომელსაც ვხვდებით სამამულო პროდუქციაზე.

სულ რაღაც ორმოც წელიწადში შტრიხ კოდების ტექნოლოგია ისე განვითარდა, რომ ახლა კოდის გაშიფრვა უმცირესი ლაზერული სვეტით არის შესაძლებელი და ყოველგვარი შეცდომის გამორიცხვით, ამა თუ იმ საგნის ნომრის ამოკითხვას უპრობლემოდ უზრუნველყოფს.

შტრიხ კოდი მართლაც რომ საქონლის სავიზიტო ბარათია, რომლის სრულყოფაზე მუდმივად მუშაობენ მეცნიერები. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა შტრიხ კოდის შემცვლელი შექმნეს. სიახლეს, რომელსაც ბოკოდი უწოდეს, ათასჯერ მეტი ინფორმაციის შენახვა შეუძლია. იგი სპეციალური ნიღაბი ფილტრით დაფარული შუქდიოდია.

წაკითხვისას, სკანერზე მოხვედრილი შუქის ნაკადის სიკაშკაშე ხედვის კუთხის მიხედვით იცვლება. სწორედ ეს არის ინფორმაციული კოდი. ბოკოდის ზომა 3 მმ–ს არ აღემატება, ხოლო მაქსიმალური დაშორება, რომლიდანაც ნიშნულიდან ინფორმაციის წაკითხვაა შესაძლებელი, 4 მეტრია, 20 მეტრამდე გაზრდის პერსპექტივით. შედარებისთვის, ჩვეულებრივი შტრიხ კოდის წაკითხვა სკანერებისა და მობილური ტელეფონებისათვის 30 სანტიმეტრის სიშორიდანაც კი შეუძლებელია. ბოკოდში არსებული ინფორმაციის დიდი მოცულობა კი მომხმარებელს დროის ეკონომიის შესაძლებლობას მისცემს. საქონლის შერჩევისას საკმარისი იქნება საქონლის თაროს გასწვრივ ტელეფონი გაატაროთ და დისპლეიზე დაწვრილებით ინფორმაციას მიიღებთ.

მოცემულ თემაში წარმოდგენილია რევოლუციური გამოგონება მსოფლიო მენეჯმენტის ისტორიაში. მისი პრაქტიკულობა და განვითარების სწრაფი ტემპი მეტყველებს მის საჭიროებაზე, არ არსებობს პროდუქცია შტრიხ კოდის გარეშე. ვფიქრობ, თემის წარმოდგენის შემდეგ უფრო დავინტერესდებით ჩვენს მიერ შემენილი პროდუქციით, მითუმეტეს, რომ საქართველოში ბევრი ფალსიფიცირებული პროდუქტი შემოდის.

ლიტერატურა:

1. „Маркетинг", Учебник под ред. А. Романова, М., 1996;.
2. www.wikipedia .org
3. http://aqualung.ge
4. http://medgeo.net

ერთი ეკონომიკური მოდელის წარმოდგენა და მისი ამოხსნის თავისებურებანი

ნინო ტერტერაშვილი, ნათია ჯულაბაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ვალენტინ მძინარიშვილი**, აკადემიური დოქტორი

ჩვენ ვდგევართ არჩევანის წინაშე: შეგვიძლია ავირჩიოთ „უბრალოთ ეკონომიკა" და შევქმნათ „სუპერ ეკონომიკა". პირველის შესაქმნელად დიდი გარჯა არ იქნება საჭირო, მსგავსი ეკონომიკები ჩვენზე ბევრად უნიჭო ხალხსაც აქვს შექმნილი, „სუპერ ეკონომიკის" შესაქმნელად კი საჭიროა საქართველოს ეკონომიკის სისტემაში მოქცევა, რაც ადვილ ამოცანას არ წარმოადგენს. თუმცა ჩვენ გვსურს ამ მიზანს

მივაღწიოთ. ამისათვის კი საქართველომ უნდა აამოქმედოს მისი მთავარი ეკონომიკური რესურსი, გონება.

ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ სუპერ ეკონომიკა შეგვექმნა საქართველოში ავტოქარხნების აშენებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის და ეს განვიხილეთ ერთი ეკონომიკური ამოცანის მაგალითზე:

ორი ავტოქარხნიდან საავტომობილო მეურნეობებს მიეწოდებათ ავტომანქანები. მეურნეობებს ესაჭიროებათ 200 და 300 ავტომანქანა. პირველმა ავტოქარხანამ გამოუშვა 350 მანქანა, ხოლო მეორემ 150 მანქანა. ცნობილია დანახარჯები მანქანების გადაყვანაზე ავტოქარხნიდან თითოეულ საავტომობილო მეურნეობაში.

იხ. ცხრილი:

ქარხანა	დანახარჯები ავტომობილების გადასაყვანად მეურნეობებში (ფულად ერთეულში)	
	1	2
1	15	20
2	8	25

მინიმალური დანახარჯები მანქანების გადაყვანაზე შეადგენენ 7950 ფულად ერთეულს. უნდა ვიპოვოთ მანქანების ოპტიმალური გადაზიდვის გეგმა.

დავუშვათ, რომ Xij– მანქანათა ოდენობაა, რომელიც მიეწოდება i ქარხნიდან j საავტომობილო მეურნეობას (i, j =1; 2)

მაშინ მივიღებთ წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{cases} X_{11}+X_{12}=350 \\ X_{21}+X_{22}=150 \\ X_{11}+X_{21}=200 \\ X_{12}+X_{22}=300 \end{cases}$$

$$15x_{11}+20x_{12}+8x_{21}+25x_{22}=7950$$

შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნა, რათა უფრო გავამარტივოთ სისტემა:

$X_{11}=Y_1$ $x_{12}=y_2$ $X_{21}=y_3$ $X_{22}=Y_4$ აქედან გამომდინარე

$$\begin{cases} Y_1+Y_2=350 & (1) \\ Y_3+Y_4=150 & (2) \\ Y_1+Y_3=200 & (3) \\ Y_2+Y_4=300 & (4) \end{cases}$$

$15Y_1+20Y_2+8Y_3+25Y_4=7950$

ამ სისტემას ვხსნით გაუსის მეთოდით.
ამოხსნა:

(1) და (3) განტოლება დავაჯგუფოთ ერთად:

$$\begin{cases} Y_1+Y_2=350 \\ Y_1+Y_3=200 \end{cases} \Longrightarrow Y_1+Y_2/Y_1+Y_3 = 350/200 \Longrightarrow Y_1+Y_2/Y_1+Y_3 = 7/4 \Longrightarrow 4y_1+4y2=7y_1+7y_3 \quad (1)^*$$

(2) და (4) განტოლება ერთად დავაჯგუფოთ

$$\begin{cases} Y_3+Y_4=150 \\ Y_2+Y_4=300 \end{cases} \Longrightarrow Y_3+Y_4/Y_2+Y_4 = 150/300 \Longrightarrow Y_3+Y_4/Y_2+Y_4 = 1/2 \Longrightarrow 2y_3+2y_4=y_2+y_4 \quad (2)^*$$

ახლა დავაჯგუფოთ (1) და (2)

$$\begin{cases} Y_1+Y_2+350 \\ Y_3+Y_4=150 \end{cases} \Longrightarrow Y_1+Y_2/Y_3+Y_4 = 350/150 \Longrightarrow Y_1+Y_2/Y_3+Y_4 = 7/3 \Longrightarrow 3y_1+3y_2=7y_3+7y_4 \quad (3)^*$$

(2) (4)

$$\begin{cases} Y_1+Y_3=200 \\ Y_2+Y_4=300 \end{cases} \Longrightarrow Y_1+Y_3/Y_2+Y_4 = 200/300 \Longrightarrow Y_1+Y_3/Y_2+Y_4 = 2/3 \Longrightarrow 3y_1+3y_3=2y_2+2y_4 \quad (4)^*$$

მიღებული მაგალითებიდან (2)* და (4)* დავაჯგუფოთ ერთად.

$$\begin{cases} 2y_3+2y_4=y_2+y_4 \\ 3y_1+3y_3=2y_2+2y_4 \end{cases} \Longrightarrow \begin{cases} 2y_3+y_4=y_2/:2 \\ 3y_1+3y_3=2y_2+2y_4/:3 \end{cases} \Longrightarrow \begin{cases} y_3+1/2y_4=1/2y_2 \\ y_1+y_3=2/3y_2+2/3y_4 \end{cases} \Longrightarrow y_1=1/6y_2-7/6y_4$$

(1)* და (2)*

$$\begin{cases} 4y_1+4y_2=7y_1+7y_3 \\ 2y_3+2y_4=y_2+y_4 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} 3y_1+7y_3=4y_2 \ /:4 \\ 2y_3+y_4=y_2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} 3/4y_1+7/4y_3=y_2 \\ 2y_3+y_4=y_2 \end{cases} \Rightarrow y_4=3/4y_1-1/4y_3 \quad \text{III}$$

(3)* და (4)*

$$\begin{cases} 3y_1+3y_2=7y_3+7y_4 \ /:3 \\ 3y_1+3y_3=2y_2+2y_4 \ /:2 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} y_1+y_2=7/3y_3+7/3y_4 \\ 3/2y_1+3/2y_3=y_2+y_4 \end{cases} \Rightarrow y_1=1/3y_3+2/3y_4 \quad \text{IV}$$

ახლა კი დავაჯგუფოთ III და IV

$$\begin{cases} 1/4y_3=3/4y_1-y_4 \ /\cdot 4 \\ 1/3y_3=y_1-2/3y_4 \ /\cdot 3 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} y_3=3y_1-4y_4 \\ y_3=3y_1-2y_3 \end{cases} \Rightarrow -2y_4=0 \Rightarrow y_4=0 \quad (B)$$

რადგან $y_4=0$, მაშინ IV– დან (B)–ს გათვალისწინებით გვაქვს $y_1=1/3y_3$, ხოლო II-დან (B)–ს გათვალისწინებით გვაქვს $y1=1/6y2$

რადგან $y_1+y_3=200 \Rightarrow 1/3y_3+y_3=200 \Rightarrow 4/3y_3=200 \Rightarrow y_3=200\cdot 3/4=150$

მაშასადამე მოცემული ამოცანის პასუხებია:

$X_{11}=Y_1=50$, $X_{12}=Y_2=300$, $X_{21}=Y_3=150$, $X_{22}=Y_4=0$

ამ ნაშრომით ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა ავტოქარხნების არსებობის მნიშვნელობა საქართველოში, რაც უფრო ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობისა და ჩვენი ეკონომიკის განვითარებას.

ეკონომიკა არის იმის შესწავლა, თუ როგორ მართავს საზოგადოება თავის შეზღუდულ რესურსებს, ამიტომ ჩვენც უნდა გამოვიყენოთ ჩვენი შეზღუდული რესურსები და გავაძლიეროთ საქართველოს ეკონომიკა არა უცხოური ინვესტიციებით, არამედ ჩვენი ფერმერების მიერ ჩადებული ფულით. შევქმნათ ძლიერი ბაზა, რათა ფერმერს შეეძლოს უფრო იაფად იქირაოს ან შეიძინოს, სულაც განვადებით გამოიტანოს საჭირო ტრაქტორი, სატვირთო, სათესი თუ სხვა მანქანა.

ჩვენი აზრით, ბანკებმა უნდა მისცენ საშუალება ფერმერებს გრძელვადიანი სესხით ან სამეურნეო სესხით შეიძინონ საჭირო მასალები.

ჩვენი ძირითადი არგუმენტია საქართველოს ბუნებრივი პირობები, მოსავლისათვის კარგი კლიმატი და, რაც მთავარია, მშრომელი ადამიანები, რომლებმაც ომის დროსაც კი არ შეწყვიტეს მეურნეობის დამუშავება.

საქართველოს აქვს რესურსიც და გამოცდილებაც მანქანების მშენებლობისა. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მიერ გამოშვებული მანქანები უვლიდნენ მთელს ქვეყანას. გვყავს გამოცდილი სპეციალისტები, ასე რომ მხოლოდ ეკონომიკის თეზისების უკეთ ცოდნაა საჭირო, რომ ქვეყანა გაძლიერდეს.

კოსმეტიკური კომპანია „ორიფლეიმი“ საერთაშორისო და ქართულ ბაზარზე

სოფიო ტუსიაშვილი, მარიამ შავდათუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის, როდესაც ასე აქტუალურია ის, თუ როგორ გამოიყურები, მით უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აღწევ სასურველ შედეგს. უმეტესობა სასურველ მიზანს კოსმეტიკის და თავის მოვლის სხვა საშუალებების გამოყენებით ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი ყველასთვის ცნობილი კომპანიაა „ორიფლეიმი“, რომელიც თავისი პროდუქციის ბუნებრიობას უსვამს ხაზს, რაც ხალხში დამატებით სტიმულებს ქმნის და ხელს უწყობს გასაღებას.

„ორიფლეიმი“ დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანიაა თავისი გაყიდვების მხრივ. იგი წარმოდგენილია 62 ქვეყანაში, ამათგან მინიმუმ ნახევარში ლიდერობას ინარჩუნებს, მათი მისიაა „ოცნებების შესრულება“.

„ორიფლეიმი“ შვედური კომპანიაა, რომელიც შეიქმნა ძმები ჯონას და რობერტ ოიკენიკების მიერ 1967 წელს. თავიდან იყო ორი ვიწრო ოთახი ცენტრალურ სტოკჰოლმში, ძმები საუბრობდნენ თავიანთ ოცნებებზე და სურდათ, ხალხისათვის მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ კანის მოვლის კარგი საშუალებებით და თვითონ სანაცვლოდ მიეღოთ მოგება, სურდათ, ეს ყოფილიყო ბუნებრივი, რაც ხაზს გაუსვამდა შვედეთის ბუნებას. ისინი ამ საქმის წამოწყებაში მარტო არ ყოფილან, მათ გვერდში ედგნენ მეგობრები, რომელთაც საერთო მიზანი კიდევ უფრო აახლოებდა. რა თქმა უნდა, მათი წარმატება სწრაფად არ მოსულა, კომპანიამ მრავალი დაბრკოლება გადალახა და გასცდა შვედეთის საზღვრებს. თანდათან გაიზარდა მათი ქსელი და ამჟამად იგი ფლობს 5 საკუთარ კომპანიას რუსეთში, შვედეთში, პოლონეთში, ჩინეთსა და ინდოეთში. 13 ქვეყანასთან თანამშრომლობს ფრანჩაიზინგით. თანამშრომლობის ეს ფორმა კი ძალიან მოსახერხებელი და, ამასთანავე, მომგებიანიცაა, ამ კომპანიას მსოფლიო მასშტაბით 3.3 მილიონი კონსულტანტი და 7500 თანამშრომელი ჰყავს, რომლებიც ყოველწლიურად 1..3 მილიარდი ოდენობის გაყიდვებს ახორციელებენ.

კომპანიას გააჩნია თავისი კვლევითი ცენტრი 100-მდე მეცნიერით და ექსპერტით. მათი პროდუქცია შეიცავს მხოლოდ ნატურალურ ინგრედიენტებს და მისი ტესტირება არ ტარდება ცხოველებზე.

კომპანიის პროდუქციის ასორტიმენტში 950 ერთეულია. (სახის კანის მოვლა, დეკორატიული კოსმეტიკა, არომატები, სხეულის მოვლა, თმის მოვლა, აქსესუარები, ველენსი).

Product range

Skin Care

იგი ძირითადად მოიცავს: კანის მოვლის საშუალებებს – როგორც ასაკობრივს, ასევე ყოველდღიურს, პროდუქტის განვითარებაზე ზრუნავს Skin Care Research Center in Irland კანის კვლევის ცენტრი ირლანდიაში.

Colour Cosmetics

ფერადი ტონები, კოსმეტიკა, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი სახის კოსმეტიკა ზრდის ქალის მიმზიდველობას. მათ აქვთ ფართო არჩევანი ყველა გემოვნების, სტილის და ხასიათის ქალბატონებისათვის.

Fragrances

„ორიფლეიმი“ გთავაზობთ აგრეთვე მაღალი ხარისხის ექსკლუზიური და ახალი არომატების ხაზს, ამ სუნამოებს ძირითადად საფრანგეთში ამზადებენ (როგორც ვიცით, საფრანგეთი გულია პარფიუმისა და მდიდარია ნოვაციებით).

Personal & Hair Care

ტანის და თმის მოვლის საშუალებები: ფეხის ტერფის, ხელის მოვლის, მზისგან დამცავი საშუალებები და აგრეთვე პატარა ბავშვის მოვლის საშუალებებიც. ასევე მისი პროდუქციის ხაზი სავსეა ყოველდღიური მოვლის საშუალებებით.

Accessories

ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ის აქსესუარები, რომელსაც გთავაზობთ „ორიფლეიმი“. ეს ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია (ჩანთები, საფულეები, სხვადასხვა სახის სამკაულები, სავარცხლები, სათვალეები, საათები...)

Wellness

ველენსი (ფრანგული სიტყვაა, მაღალხარისხიან ქაღალდს ნიშნავს, პერგამენტივით კრიალა ქაღალდია) ძალიან მნიშვნელოვანია მათი მაღალი ხარისხი, რომელიც ხელს უწყობს კანის დაცვას და უნარჩუნებს ბუნებრიობას.

„ორიფლეიმი“ ზრუნავს არა მარტო ქალებსა და მათ სილამაზეზე, არამედ იმათზე, ვისაც განსაკუთრებული მოვლა და სიფაქიზე სჭირდება - პატარა ბავშვებზე, და, რა თქმა უნდა, მამაკაცებზე. ასე რომ, ყველას შეუძლია ამ კომპანიის პროდუქციის გამოყენება.

მიწოდების ფორმა, რომელსაც კომპანია იყენებს, ძალიან მრავალფეროვანია, იგი იყენებს ქსელურ მარკეტინგს (**MLM** ბიზნეს კონცეფცია, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას მიაწოდოს და გაავრცელოს თავისი პროდუქცია და/ან მომსახურება გაუწიოს უშუალოდ კლიენტებს პირდაპირი გაყიდვების გზით). **WFDSA** (პირდაპირი გაყიდვების ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის) წესების მიხედვით, პირდაპირი გაყიდვები განისაზღვრება, როგორც პროდუქტების ინდივიდუალური გაყიდვები ან კლიენტების უშუალო მომსახურება არამდგრადი საცალო გაყიდვების საფუძველზე. დამოუკიდებელი, უშტატო კონსულტანტ-გამყიდველები წარმოადგენენ კომპანიას და იღებენ საკომისიო თანხას გაყიდვების საერთო მოცულობიდან, კონსულტანტ-გამყიდველები ხშირად აყალიბებენ საკუთარ ორგანიზაციებს თავისუფალი დისტრიბუტორების რეკრუტების მეშვეობით, რომლებიც თავის მხრივ ასევე მოქმედებენ, შედეგად კი ფართოვდება მთელი ქსელი.

საინტერესოა, როგორ რეაგირებს კონკრეტული მომხმარებელი პროდუქტის შეძენის დროს. ქუჩის გამოკითხვა – ეს ის მეთოდია, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ თემასთან დაკავშირებით, მიმდინარე შემოთავაზებებზე თუ სამომავლო აქციებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კომპანიის პროდუქცია არც ისე პოპულარულია სალონებში (ეს ეყრდნობა გორის მონაცემებს), კოსმეტოლოგები და ვიზაჟისტები არჩევენ გამოიყენონ სხვა, უფრო ძვირადღირებული კოსმეტიკა, მაგრამ, ამასთანავე, ისინი კმაყოფილები არიან მისი ტანის და თმის მოვლის საშუალებებით, რომელსაც პირადი მოხმარებისათვის იყენებენ. ზოგადად კი მომხმარებლებში ის საკმაო ნდობით სარგებლობს.

„ორიფლეიმს“ გააჩნია როგორც თავისი საკუთარი პროდუქცია, ასევე თავის გაყიდვებში რთავს ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა „ჯორდანი“ და „ვიზიონი“. მათი პროდუქტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და სხვადასხვა ხარისხის საქონელს სთავაზობს მომხმარებელს. ასე რომ, ამ კომპანიებს თითქმის ყველა სახის მომხმარებელი ჰყავს სწორედ იმიტომ, რომ ასორტიმენტი მრავალფეროვანია და არ არის მხოლოდ ბაზრის ვიწრო სეგმენტზე გათვლილი.

საქართველოს ტერიტორიაზე დიდი დაფარვა აქვს „ორიფლეიმს“ მრავალი კონსულტანტი ჰყავს, რომლებიც პროდუქციას უწევენ პოპულარიზაციას და ამისათვის იყენებენ ვერბალურ საშუალებებს, ასევე იმ მასალას, რომელსაც ხელმძღვანელები აძლევენ. იბეჭდება ბუკლეტები და კატალოგები ქართულ ენაზე, რომელშიც საშუალება გაქვთ იხილოთ სხვადასხვა პროდუქტის ვიზუალური გამოსახულება, შეგიძლიათ სურნელიც კი შეიგრძნოთ. მომსახურების სფერო საკმაოდ განვითარებული, ხელმისაწვდომი და თანამედროვეობას მორგებულია. კონსულტანტების სიმრავლე სწრაფად გასაღებას უწყობს ხელს, მაგრამ არსებობს ერთი უარყოფითი მხარე-კონსულტანტები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები პროდუქციის ეფექტსა თუ სარგებლიანობაზე, ისინი ძირითადად იფარგლებიან ფასით და უზრუნველყოფენ საქონლის დისტრიბუციას უშუალოდ მომხმარებლამდე, დამატებით კითხვებზე კი უჭირთ პასუხის გაცემა (არ შეუძლიათ სათანადო რჩევის მიცემა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პროდუქციის ყიდვის დროს), ხშირად კი სუბიექტურ აზრს ახვევენ თავს მყიდველს. ეფექტურია ის პროგრამები, რომლებსაც ხშირად სთავაზობს კომპანია მომხმარებელს, მაგალითად: ფასდაკლებები, რომლებიც ხშირად სეზონურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით მასშტაბურ ხასიათს იღებს დღესასწაულებზე (ახალი წელი, სიყვარულის დღე და ასე შემდეგ, ხშირად ერთი პროდუქციის შეძენისას მყიდველს პატარა საჩუქრებით ახალისებენ).

კომპანია ძალიან ზრუნავს იმაზე, რომ ხალხში ინტერესი მუდამ გამოიწვიოს, განსაკუთრებით ლამაზი რეკლამებით, სადაც ბევრ ცნობილ და ლამაზ სახეს ნახავთ. ხშირად

მიმართავს პროდუქტის განვითარების სტრატეგიას, ძალიან ხშირად გამოდის ნოვაციებით ბაზარზე (როგორიცაა: ორი ერთში – ეს არის ტუჩის საცხი და ასევე მბზინვარე საცხი), რაც მყიდველებში ინტერესს აღძრავს და უბიძგებს მას ექსპერიმენტისაკენ.

კოსმეტიკური კომპანია „ორიფლეიმის“ პოზიციონირება საკმაოდ წარმატებულია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დროს გაუძლო და განა დაკარგა თავდაპირველი პოზიციები, პირიქით, მოიცვა მრავალი ქვეყანა და მაქსიმალურად იყენებს მრავალწლიან გამოცდილებას. მომსახურების ფორმაც მისაღებია, მაგრამ, რა თქმა უნდა, დახვეწას და მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს. მიუხედავად ხარისხისა თუ სხვა ხარვეზებისა, მომხმარებელს არ კარგავს, ამისი მთავარი მიზეზი კი ფასია, ფასი, რომელიც ყველასათვის მისაღებია, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ფასი ხარისხის შესაბამისია. მომხმარებლის მთავარი იმპულსი რაიმე ქმედებისაკენ კი სწორედ ფასი და ხელმისაწვდომობაა. ისინი იბრძვიან შეინარჩუნონ და გააუმჯობესონ მდგომარეობა ბაზარზე. მათი მთავარი დევიზია: “ჩვენი ხედვაა ვიყოთ №1 კომპანია პირდაპირი გაყიდვების სფეროში”.

თემის მიზანი არ არის რეკლამის გაკეთება ან ვინმესთვის კომპანიის მომხმარებლად გახდომის მოწოდება, ან, პირიქით, დაფიქრება იმაზე, ღირს თუ არა მისი პროდუქტის მოხმარება, უბრალოდ, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ერთ–ერთი წარმატებული კომპანიის მდგომარეობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში საკმაოდ ცნობილი და პოპულარულია.

ლიტერატურა:

1. www.oriflame.com
2. http://oriflamme-georgia.piczo.com/oriflamme-georgia?cr=58linkvar=000044
3. http://oriflame-georgia.piczo.com/?g=39595336&cr=58linkvar=000044

„ორიფლეიმის“ ეთიკის კოდექსი (ბუკლეტები და საცნობარო მასალა „ორიფლეიმის“ გორის ოფისიდან)

თანამედროვე საბანკო ინოვაციები ქართულ ბაზარზე

ანი ფანიაშვილი, ნათია რომელაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე ბანკების მუშაობის ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა დიდადაა დამოკიდებული ახალ საბანკო პროდუქტებსა და თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებზე. ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და საბანკო ტექნოლოგიები წარმოადგენენ ინოვაციას. ინოვაცია ინგლისური სიტყვაა და სიახლეს ნიშნავს. ფინანსურ სფეროში წარმოდგენილი ნებისმიერი სიახლე ფინანსური ინოვაციაა, რომელთა უდიდეს ნაწილს ბანკები ქმნიან და ისინი უკვე საბანკო ინოვაციებს წარმოადგენენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი საბანკო პროდუქტები რეალიზებული ინოვაციებია. ისინი არ წარმოადგენენ თეორიულ ცნებებს. მათ აქვთ ნივთიერი სახე და გამზადებული არიან გასაყიდად. ასეთები შეიძლება იყოს: აქციები, ობლიგაციები, საკრედიტო ბარათები და ა.შ.

ყველა სახის ახალი საბანკო პროდუქტი შეგვიძლია დავყოთ:

- ერთეულ საბანკო პროდუქტად;
- მასობრივ საბანკო პროდუქტად.

ერთეული საბანკო პროდუქტი ხასიათდება მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით და ის შეიძლება იყოს, მაგ., რაიმე საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ძვირფასი ლითონისაგან მონეტის დამზადება.

მასობრივი საბანკო პროდუქტი შემოთავაზებულია მომხმარებელთა და ინვესტორთა ფართო წრისათვის, თუმცა არსებობს მათი 2 ჯგუფი: ლიმიტირებული და არალიმიტირებული. ლიმიტირებული საბანკო პროდუქტის გამოშვება, მისი რაოდენობა და მოცულობა წინასწარ განსაზღვრულია, ხოლო არალიმიტირებულისა შეუზღუდავი. ის ბანკი, რომელიც თავისი ინოვაციით პირველი გამოვიდა ბაზარზე და მისი „ნიში“ დაისაკუთრა, სწრაფად იქმნის იმიჯს, რომელთანაც ბრძოლა კონკურენტს უძნელდება. საბანკო ინოვაცია დროის ფუნქციაა. ის მხოლოდ დროის იმ ფარგლებში მოქმედებს,

რომლებსაც მოცემული ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის საწყისი და ბოლო წერტილები განსაზღვრავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბანკო ინოვაციად არ შეიძლება მივიჩნიოთ ის საბანკო პროდუქტი და ოპერაცია, რომლებიც მხოლოდ მოცემული ბანკისთვისაა ახალი, სხვა ბანკებში კი ისინი კარგა ხნის რეალიზებულია. ბოლო პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან საბანკო ინოვაციას წარმოადგენს პლასტიკური ბარათები.

პლასტიკური ბარათი განმაზოგადებელი ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანიშნულებითა და მათი მეშვეობით გაწეული მომსახურების კომპლექსით, ისე ტექნიკური შესაძლებლობებითა და გამომშვები ორგანიზაციებით. ყველა პლასტიკური ბარათის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ მათში ინახება ამა თუ იმ გამოყენებით პროგრამაში ჩადებული ინფორმაცია. ფულის მიმოქცევის სფეროში პლასტიკური ბარათები უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი პროგრამული საშუალებაა. ამ სისტემის სრულყოფისათვის ევროპაში შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია ISO (International Standards Organization), რომელმაც შეიმუშავა პლასტიკური ბარათების სტანდარტები, მათზე მაგნიტური ველების განთავსების ფორმატი და ა.შ. თანამედროვე ეტაპზე მისი უმსხვილესი იმიტენტები არიან პლასტიკური ბარათების ისეთი მსხვილი მწარმოებლები, როგორიცაა: VIZA, Master Card, American Exspress. ანგარიშსწორებისათვის განკუთვნილი ბარათები შეიძლება დავაჯგუფოთ პირად და კორპორაციულ ბარათებად. პირად ბარათებს ბანკები აძლევენ კერძო პირებს, თავიანთ გადახდისუნარიან კლიენტებს და აგრეთვე სხვა პირებსაც, მას შემდეგ რაც გაანალიზებული იქნება მათი „საკრედირო ისტორიები“, ისინი ამ ბანკში გახსნიან მიმდინარე ანგარიშს და შეიტანენ სადაზღვევო დეპოზიტს. კორპორაციულ ბარათებს აძლევენ იურიდიულ პირებს მათი გარანტიითა და უზრუნველყოფით, ისევ და ისევ ამ პირთა გადახდისუნარიანობის ანალიზის შემდეგ. კორპორაციული ბარათების გამოყენება შეუძლიათ ამ ბარათის მიმღები ორგანიზაციის თანამშრომლებს.

ფუნქციური ნიშნის მიხედვით პლასტიკური ბარათები პირობითად შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დავყოთ:

1. საკრედიტო ბარათები;
2. საგადამხდელო (დებეტური) ბარათები;
3. ეგზოტიკური (აღმასრულებელი) ბარათები;
4. საჩეკო საგარანტიო ბარათები;
5. ფიქსირებული მსყიდველობითი უნარის მქონე ბარათები („store value“) - სატელეფონო და სხვა მრავალფუნქციური ბარათები;
6. მიკროპროცესორული ბარათები;
7. ლაზერული ბარათები.

კლიენტების თვალსაზრისით, ბარათების მიმზიდველობა შემდეგშია:

ერთი მხრივ, რისკის შემცირება (საჭირო არაა ფულის დიდი თანხის თან ტარება), მეორე მხრივ - შეძენილი საქონლის ღირებულების მომენტალურად გადახდის შესაძლებლობა.

საჭირო არაა ზრუნვა ვალუტის კონვერტირებაზე. მას ბანკი გააკეთებს და თანაც ისე, რომ კლიენტი მოგებას ნახავს მაღაზიასა და ბანკში გაცვლის კურსების არსებული სხვაობით.

ბარათის დაკარგვის შემთხვევაში საკმარისია ბანკს ვაცნობოთ ამის შესახებ, რომ მასზე ყველა ანგარიშსწორებას მაშინვე დაბლოკავენ.

შესაძლოა პროცენტების მიღება ბანკში შეტანილ ფულად რესურსებზე (როგორც წესი, საშუალო ნაშთზე, რომელიც რომელიღაც მოლაპარაკებულ თანხაზე მეტია).

პრესტიჟულობა (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ბარათებს ჯერ კიდევ არ იყენებენ საყოველთაოდ), რომელიც თანაც იმასაც ადასტურებს, რომ კლიენტს შეუძლია საფინანსო სფეროში გამოყენებული თანამედროვე ტექნიკური საშუალებით სარგებლობა.

ამჟამად 200-ზე მეტი ქვეყანა ავითარებს საბანკო მომსახურებას საკრედიტო ბარათების საფუძველზე, საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანაზღაურება კი მრავალი ქვეყნის მთელი ფულადი ოპერაციების სტრუქტურაში 90%-ს აღწევს.

ფუნქციური დანიშნულებით პლასტიკური ბარათები იყოფა რთულ ჯგუფებად.

- საკრედიტო ბარათები. ისინი უფლებას აძლევენ მის კლიენტს, მოახდინოს საქონლის შეძენის ან გაწეული მომსახურების გადახდის გადავადება. ბარათის მიღებამდე კლიენტი ავსებს სპეციალურ ფორმას მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც მას განესაზღვრება ანგარიშზე დასარიცხი სასესხო თანხის ლიმიტი. მაგ., დიდ ბრიტანეთში ეს ლიმიტი შეადგენს თვეში 300-100 გირვანქა სტერლინგს. საკრედიტო ბარათი შეიცავს ინფორმაციას კლიენტის გადახდისუნარიანობის შესახებ, მფლობელის სახელს, მისი საბანკო ანგარიშის ნომერს, ბანკის განყოფილების შიფრს, გადახდათა

იმ ელექტრონული სისტემების სიმბოლოებს, რომელშიც მოცემული სახეობის ბარათებს იყენებენ, ჰოლოგრამას, ბარათით სარგებლობის ვადას და მის უკანა გვერდზე კლიენტის ხელმოწერას. მთლიანობაში შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ საკრედიტო ბარათების გამოყენებაზე დაფუძნებული კრედიტი ტრადიციული, განვადებით დასაფარავი კრედიტისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება: კრედიტის გაფორმებაზე გაწეული დანახარჯები ერთჯერადია; ძნელია ზოგიერთი მფლობელის მიერ ბარათების უკონტროლოდ გამოყენების აღკვეთა - არსებობს ამ ბარათების თაღლითურად გამოყენების რისკი.

- საანგარიშსწორებო ბარათები. ეს არის პლასტიკური ბარათების ყველაზე მარტივი ფორმა, რადგან მათი დახმარებით ხდება პროდუქციის შეძენისას ან მომსახურეობის გაწევისას ანგარიშიდან უბრალოდ თანხის ჩამოწერა და მოხსნა. თუ კლიენტს ანგარიშზე თანხა არ აქვს, ბუნებრივია, ამ ბარათს ვერ გამოიყენებს, გარდა ერთი დანაკლისისა, თუ მას გახსნილი აქვს ოვერდრაფტ-ის ანგარიში.
- მეხსიერების ბარათები. ეს არის პლასტიკური ბარათების ის ნაირსახეობა, რომლებშიც გამოყენებულია მიკროპროცესორული ჩიპები, რომლებიც საშუალებას იძლევა მოხდეს გაცილებით მეტი ინფორმაციის დამახსოვრება და გაცილებით მეტი ოპერაციის შესრულება. მაგ., აღნიშნულ ბარათებს შეუძლიათ დაიმახსოვრონ მათი მეშვეობით წარმოებული 200 ოპერაციის ინფორმაცია.
- ინტელექტუალური ბარათები. ისინი ვიზუალურად მეხსიერების ბარათისაგან არ განსხვავდებიან. სხვაობა მათს სტრუქტურაშია, მათი მიკროპროცესორული ტექნოლოგიები ლოგიკის ელემენტებს შეიცავს და, ბუნებრივია, ასრულებენ გაცილებით რთულ ოპერაციებს კალკულატორების და თითქმის კომპიუტერების დონეზე.
- სუპერინტელექტუალური ბარათები. მათი შექმნის იდეა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში გაუჩნდათ ფრანგ ინჟინრებს. ეს არის ბარათები, რომლებიც პერსონალური კომპიუტერის მონაცემებს ამუშავებს და ამ ბარათებით აქტიურად სარგებლობს ამერიკის, იაპონიის და ევროსაბჭოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. ლაზერული პლასტიკური ბარათები არის თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მაღალტექნოლოგიური ინოვაცია, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მოვახდინოთ არა მხოლოდ შეძენილი პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ანაზღაურება, არამედ განვსაზღვროთ ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაც კი.

ლიტერატურა:

1. ლამარა ქოქიაური, საბანკო საქმიანობის საფუძვლები, II ტომი, თბ., 2005;
2. http://www.nbg.gov.ge

სასტუმროების როლი და მნიშვნელობა ტურიზმში

ნათია ნასუაშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში მთელ მსოფლიოში გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა. იგი იქცა დამოუკიდებელ ინდუსტრიად და ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში სასტუმრო ადგილების რაოდენობამ 30 მილიონს მიაღწია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი საქონელი ბაზარზე წარმოდგენილი უნდა იყოს მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად და ბაზრის შესაბამის სეგმენტში. ამ მხრივ გამონაკლისს არც სასტუმროების ბაზარი წარმოადგენს. სულ უფრო მეტი სასტუმრო სპეციალიზდება ბაზრის სეგმენტის მოთხოვნილებების შესაბამისად. სასტუმროს ბიზნესისათვის ბაზრის სეგმენტი ძირითადად მომხმარებლის მოგზაურობის ხასიათითა და მიზნით განისაზღვრება. დღეისათვის 300 000-მდე სასტუმროა, რომლებიც ერთმანეთისაგან მომსახურების ხარისხის, ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში

მოღვაწეობისა და სხვათა მიხედვით განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, სასტუმროების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება.

სასტუმროების კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სისტემა გამოიყენება. დღეისათვის არსებობს ოცდაათზე მეტი ასეთი სისტემა. საკმაოდ გავრცელებულია სასტუმროების დაჯგუფება ყოფითი პირობებისა და მომსახურების ნაკრების მიხედვით, აგრეთვე კომფორტის დონის, ძირითადი, დამატებითი და თანამდევი მომსახურების ასორტიმენტის, პერსონალის კვალიფიკაციის, სერვისის კულტურის, სასტუმროს უსაფრთხოების (სიცოცხლის უზრუნველყოფის) სისტემისა და სხვათა მიხედვით. თუმცა არის მოთხოვნები, რომელსაც ყველა სასტუმრო უნდა აკმაყოფილებდეს:

1. უნდა გააჩნდეს ხელსაყრელი მისასვლელი გზა, რომელსაც ექნება აუცილებელი საგზაო ნიშნები, კეთილმოწყობილი და განათებული ტერიტორია;
2. უზრუნველყოფილი და დაცული უნდა იყოს სიცოცხლის უსაფრთხოება, ტურისტების ჯანმრთელობა და მათი ქონება. შენობას უნდა გააჩნდეს საავარიო გასასვლელები, კიბეები, კარგად შესამჩნევი საინფორმაციო მაჩვენებლები, რომლებიც თავისუფალი ორიენტირების საშუალებას იძლევა როგორც ჩვეულებრივ, ისე საგანგებო სიტუაციაში;
3. უნდა ჰქონდეს სახანძრო დაცვისა და შეტყობინების სისტემა, ხანძრისგან თავდაცვის საშუალებები, რომლებიც საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროების უსაფრთხოების წესებით იქნება გათვალისწინებული;
4. დაცული უნდა იყოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წესები (შენობების სისუფთავე, სანტექნიკურ მოწყობილობათა მდგომარეობა, ნარჩენების მოშორება და სხვ.).

სასტუმროების კლასიფიკაციებს შორის ყველაზე გავრცელებულია ევროპული ანუ ვარსკვლავების სისტემა, რომელიც გამოიყენება საფრანგეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, ეგვიპტეში, ჩინეთში, საქართველოში, რუსეთსა და მთელ რიგ ქვეყნებში. ამ კლასიფიკაციის თანახმად, სასტუმროები კომფორტულობის შესაბამისად ჯგუფდებიან კატეგორიებად, რომლებიც პირობითად ვარსკვლავებითაა აღნიშნული. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ვარსკვლავების მინიჭება პირობითია და ხშირად რიგი სასტუმროები ვერ ამართლებენ მინიჭებულ კატეგორიას. ზოგჯერ სამვარსკვლავიანი სასტუმროები უკეთაა აღჭურვილი, ვიდრე ოთხვარსკვლავიანი.

სხვადასხვა ქვეყნებში სასტუმროების კლასიფიკაციის განსხვავებული სისტემა მოქმედებს. მაგალითად: საბერძნეთი სასტუმროების კლასიფიკაციაში ასოთა სისტემას იყენებს. ყველა ბერძნული სასტუმრო ოთხ კატეგორიად იყოფა: A, B, C, D. A კატეგორიის სასტუმროები შეესაბამება ოთხვარსკვლავიან დონეს, B _ სამვარსკვლავიანს, C _ ორვარსკვლავიანს. D კი - ერთვარსკვლავიანს. უმაღლესი კლასის სასტუმროებს ხშირად ენიჭება კატეგორია „De Luxe“.

აშშ-ში სასტუმროები კლასიფიცირდება ე.წ. „ბრილიანტით“ (1-დან 5 ბრილიანტით). თავად ბრილიანტის მინიჭება უკვე ხდის სასტუმროს მაღალი კლასის სასტუმროდ. ოთხი ბრილიანტის ოტელის მოთხოვნებია: შენობის გარე ინტერიერის კომფორტული გაფორმება, მომსახურეობის მაღალი დონე.

საერთო დახასიათება: სასტუმროს ყველა მხრიდან საუკეთესო გაფორმება;

ძირითადი დერეფანი: დიდი ზომის, კომფორტული ატრიბუტებით გაფორმებული;

ნომრები: თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი დამატებითი კომფორტით;

მომსახურება: უმაღლესი დონის

გერმანიაში ამ ნიშნით სასტუმროები კლასიფიცირდება ე. წ. „ვარსკვლავით“ (1-დან 5 ვარსკვლავამდე).

სასტუმროების კლასიფიკაცია

ა/ მომსახურების ხარისხის მიხედვით;

ორგანიზაციული სტრუქტურა დამოკიდებულია მის დანიშნულებასა, ადგილმდებარეობასა, სტუმრების მიღების სპეციფიკაციასა და სხვა ფაქტორებზე. ტურისტებისა და სტუმრების მიღების მოცულობა, მომსახურების ხარისხის დონე მიმღები ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელთანაა გაიგივებული.

ბ/ ადგილმდებარეობის მიხედვით;

ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ბიზნეს ოტელები; სასტუმროები კურორტებზე; მოტელები; ოტელები სუპერმდიდარი სტუმრებისათვის; მუდმივ საცხოვრებლად და დროებით საცხოვრებლად დანიშნულების ოტელები; კომერციული ოტელები; კონგრეს-ოტელები.

სპეციფიკური ნიშნის მიხედვით:

ამ ნიშნით შეიძლება გამოვყოთ სასტუმროები:

საქმიანი ტურისტებისათვის, რომლებიც უკავშირდებიან გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას;

მოტელი (შეიძლება მიეკუთვნოს ოტელებს ადგილმდებარეობის მიხედვითაც); როტელი; კემპინგი; ბოტელი; ფლოტელი; ფლაიტელი.

ბიზნეს და საკურორტო ოტელები ადგილმდებარეობის ნიშნის მიხედვით კლასიფიცირებულ ოტელებს მიეკუთვნებიან. ეს ოტელები ორიენტირებულები არიან ბიზნესტურიზმზე, გათვლილია საქმიანი ადამიანებისათვის და ხშირად, 3-4 ვარსკვლავიანია. ასეთი ბიზნეს ოტელების განთავსება მიზანშეწონილია ქალაქის საქმიან ცენტრში დაწესებულებებთან ახლოს და სასტუმროს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბიზნეს-ცენტრი ინტერნეტის, საერთაშორისო სატელეფონო კავშირისა და სხვა მომსახურებით.

დასვენებისა და გართობის საშუალებებიდან სასტუმროს უნდა გააჩნდეს: საუნა, აუზი, სპორტული დარბაზი. სასტუმროს ნომრებიდან ერთადგილიანი ნომრების რიცხვი მეტია დანარჩენებთან შედარებით. ნომრები აუცილებელ აღჭურვილობასთან ერთად უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმალურ სამუშაო პირობებს: კარგი განათება, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერის გამოყენების საშუალება. საქართველოში ბიზნეს სასტუმროს შეგვიძლია მივაკუთნოთ „მერიოტი“, „შერატონი“ და „რედისონი“.

ბიზნეს-ოტელების მეორე ტიპს მიეკუთვნება სასტუმროები, რომლებიც გათვალისწინებულია შემეცნებითი მიზნით მოგზაური ტურისტებისათვის. ასეთი ოტელები განთავსებულია ქალაქის ისტორიულ და კულტურულ ღირსშესანიშნაობებთან ახლოს და ნებისმიერი კლასისაა. აუცილებელი არ არის რესტორნებისა და გასართობი საშუალებების არსებობა, თუმცა საჭიროა იყოს ექსკურსიის ორგანიზაციის საშუალება. ძირითადად ეს სასტუმროები ემსახურებიან ტურისტულ ჯგუფებს და უნდა უზრუნველყოფდნენ მათ სწრაფ და მოხერხებულ მომსახურებას. ასევე არსებობს სამკურნალო ოტელები, რომელთა მიმართ ძირითადი მოთხოვნილება მომსახურების ისეთი ატმოსფეროს შექმნაა, რომ ავადმყოფმა თავი ისე იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში.

სასტუმროების კლასიფიკაციის მიმართ თავისი მიდგომა აქვს სასტუმროთა ქსელებსაც. ჩვეულებრივ, ამ კლასიფიკაციებში გამოყოფენ არა კატეგორიებს, არამედ მარკებს, რომლებიც კონკრეტული ქსელის ყველა სასტუმროზე ვრცელდება. მსოფლიოს სასტუმრო საწარმოების უმეტესობა რომელიმე სასტუმრო ქსელში შედის. ქსელში იგულისხმება სასტუმროთა ჯგუფი, რომელიც კოლექტიურ ბიზნესს ახორციელებს და ქსელის ხელმძღვანელობის უშუალო კონტროლის ქვეშაა მოქცეული. მსოფლიოში დაახლოებით 300 სასტუმრო ქსელი ჩამოყალიბდა. მათ წილად სასტუმრო ნომრების ფონდის 90% და მსოფლიოს სასტუმროების შემოსავლის 98% მოდის. ყველაზე ცნობილია ის ქსელები, რომლებიც ბევრ სახელმწიფოს მოიცავს. მაგალითად, „Bass Hotels“ სასტუმრო ქსელი 98 ქვეყანაში აქვს, „Best Western“-ს - 84 ქვეყანაში. საქართველოში სასტუმროების მშენებლობაში, რეკონსტრუქციასა და მართვაში უცხოური კომპანიები მონაწილეობენ („Sheraton“, „Marriott“, „Intercontinental“ (აშშ), „Marco Polo“ (ავსტრია) და სხვ.).

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარაში, ტურიზმის განვითარების მზარდი ტენდენციები შეინიშნება. ბათუმში სეზონურად უამრავი სტუმარი ჩამოდის, რამაც განაპირობა უამრავი თანამედროვე ტიპის სასტუმროს მშენებლობა. იზრდება სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაც. ამას მოწმობს ოფიციალური სტატისტიკური მასალა. (იხილეთ ცხრილები).

სასტუმროები და რესტორნები [3]

	2004	2005	2006	2007	2008	2009	I 2010	II 2010	III 2010
ბრუნვა, მლნ.ლარი	81.3	126.7	179.0	192.8	224.6	280.0	67.8	83.0	93.0
გამოშვებული პროდუქცია, მლნ.ლარი	88.3	134.6	177.4	193.5	225.7	271.5	64.4	78.5	88.3
დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი	38.4	56.7	74.8	84.1	93.7	114.3	…	...	...
შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი	49.9	77.9	102.6	109.4	132.0	157.2	…	...	...
ფიქსირებული აქტივები, მლნ.ლარი	232.7	309.6	222.9	186.0	379.0	591.3	…	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	7920	11437	11993	11554	11184	13540	12258	13358	12667
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	155.5	153.1	196.7	238.5	333.7	364.9	372.3	404.0	440.0





[3] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=304&lang=geo

საკმაოდ საინტერესოა სასტუმროების შესახებ ოფიციალური სტატისტიკაც. დღევანდელი მდგომარეობით მსოფლიოში 39 მლნ სასტუმრო ადგილია, 360 ათასზე მეტი კი - კომფორტული სასტუმრო. ამასთან, ბოლო 20 წლის მანძილზე მსოფლიოს სასტუმრო მეურნეობაში ნომრების რაოდენობა ყოველწლიურად 3-4% იზრდება. სასტუმრო ნომრების ყველაზე დიდი ფონდი აქვს ევროპის რეგიონს (მსოფლიოს სასტუმროების ფონდის დაახლოებით 45% _ 10 მლნ ადგილზე მეტი), მეორე ადგილზეა ამერიკის კონტინენტი (37% _ 9 მლნ ადგილზე მეტი). სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონი ფლობს 3 მლნ ნომერზე მეტს (მსოფლიო ფონდის 11%). დღეისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე უკვე ინტერნეტითაა შესაძლებელი ნომრის დაჯავშნა.

რაც შეეხება, ჩვენს ქვეყანაში არსებული სასტუმროების რაოდენობას, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს საქართველოში 353 სასტუმრო იყო, მათგან 30 სახელმწიფოს, 323 კი არასახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. სასტუმროების საერთო ფართობი კი - 485,3 ათასი კვ.მ. ადგილების საერთო რაოდენობაა 17573.

2008 წლის მონაცემებით სტუმართა საერთო რაოდენობა 266,3 ათასი კაცს შეადგენდა. 2008 წლის სტატისტიკის მიხედვით, სასტუმროების მომსახურების საერთო მოცულობა იყო 77290 ათასი ლარი, აქედან სასტუმროების მომსახურების ძირითადი ნაწილი მოდიოდა შემდეგ რეგიონებზე: ქ. თბილისი – 55304, მცხეთა-მთიანეთი – 4547, სამცხე-ჯავახეთი – 4255, გურია 889, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 713. 2008 წელს სტუმართა საერთო რაოდენობა საქართველოს სასტუმროებში შეადგენდა 162579 კაცს.[4]

დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ტუროპერატორებს. ტუროპერატორი დაინტერესებულია სტუმრების სასტუმროში მოზიდვით, რისთვისაც ის გასამრჯელოს იღებს. ურთიერთობა ტუროპერატორსა და სასტუმროს შორის ხორციელდება ძირითადად ფაქსის მეშვეობით. მაგალითად, საქართველში საკმაოდ ცნობილი ტუროპერატორია „ინტერკონტინენტალი“.

მსოფლიოში სახელგანთქმული სასტუმროები ცდილობენ მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან მომხმარებლებს, მოახდინონ მათზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება. მსოფლიოს ყველაზე დიდი სასტუმროა „MGM Grand“ ლას-ვეგასში (აშშ), რომელიც ოთხი ოცდაათსართულიანი კოშკისგან შედგება (სულ 5005 ნომერი) და 45,3 ჰა ფართობს იკავებს. მსოფლიოში ყველაზე ძვირი ნომრებია სასტუმრო „Royal Towers“ (ქ. ატლანტისი, ბაჰამის კუნძულები). ესაა ათოთახიანი აპარტამენტები, რომელიც დღეღამეში 25 ათასი დოლარი ღირს. ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურად და უჩვეულოდ ითვლება სასტუმრო „Jumeirah Beach Hotel“ (დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები), რომელიც ღია ზღვაშია. განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს მისი მთავარი კორპუსი _ „არაბული კოშკი“ ანუ „იალქანი“, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ. იგი 56 სართულიანია და 202 ნომრისგან შედგება. სასტუმროს მთავარი შესასვლელი 200 მ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო ჰოლისა და რესტორნების ნაწილი _ წყალქვეშაა აგებული. ნიდერლანდების დედაქალაქში მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი მცურავი სასტუმრო. ეს კომფორტული ხუთსართულიანი „ხომალდი“ ამსტერდამის ერთი ნავმისადგომიდან მეორისკენ დასრიალებს და საზღვაო მოგზაურობის სრულ ილუზიას ქმნის. ბაჰრეინში არსებობს წყალქვეშა სასტუმრო, რომელიც სპარსეთის ყურის ფსკერზე მდებარეობს. იგი ექვსი კორპუსისგან შედგება და ერთმანეთთან ორიგინალური გადასასვლელებითაა დაკავშირებული. შიგნით მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური გამჭვირვალე ლიფტების მეშვეობით, რომლებსაც ეგზოტიკის მოყვარულები ზღვის სიღრმეში ჩაჰყავს. ავსტრალიურ სასტუმრო „Panhas“ ნომრები ხეების წვერზეა მოთავსებული. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ამ ადგილებში წყალდიდობის დროს წყლის დონე 20-25 მეტრს აღწევს და, მეორე, აქ ბევრი სახიფათო ცხოველია. განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს საიმპერატორო ნომერი (ყველაზე დიდი და მდიდრული) და ნომერი „ტარზანის სახლი“ (35 მ სიმაღლეზე).

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასტუმროების როლი და მნიშვნელობა ტურისტულ ბიზნესში სულ უფრო იზრდება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ საქართველოში ტურისტულ ბიზნესში განვითარების რეალური ტენდენციები შეიმჩნევა, იზრდება სასტუმროების რაოდენობაც. ეს კი, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას წაადგება სასიკეთოდ.

ლიტერატურა:

1. მ. ბირჟაკოვი, ტურიზმის თეორია, თბ., 2008;
2. გ. ხომერიკი, ტურიზმი, თბ., 2008;
3. რ. მექვაბიძე, ზ. ცოტნიაშვილი, ტურიზმის ბიზნესი და ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის თავისებურებანი, 2009;

[4] http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/archive/yearbook/Statistical%20Yearbook_Geo_2009.pdf

4. მ. მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008;
5. ნ. ღვედაშვილი, მენეჯმენტის სოციალურ-კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფერიში, თბ., 2009.

ინტერნეტ რესურსები:
1. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=304&lang=geo

ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე

ნინო ღარიბაშვილი, თამთა ფარეხელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

საწარმოს ინოვაციური პოლიტიკის ფორმირება წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. თანამედროვე პირობებში ინოვაცია არის ის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია არსებითი ზემოქმედება მოახდინოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფორმირებაზე. ინოვაციების სრულფასოვანი გამოყენება ქვეყნების ეროვნული განვითარებისათვის შესაძლებელია მხოლოდ მიზანმიმართული ინოვაციური პოლიტიკის პირობებში როგორც ფირმების, ასევე სახელმწიფოთა დონეზე.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ინოვაციური პოლიტიკა, სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენების მსგავსად, ძალიან დიდი სიჩქარით ვითარდება. მეცნიერები აღნიშნულ პროცესს, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს უკავშირებენ. ინოვაციური პოლიტიკა რთული სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო პროცესების სინთეზია, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების აუცილებელ პირობებს ქმნის. ინოვაციური პროცესი ტექნოლოგიებთან მიმართებაში მეცნიერული ცოდნის გარდაქმნის პროცესია, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მოვლენათა თანმიმდევრული ჯაჭვი, რომელთა მსვლელობაში ინოვაცია მწიფდება იდეიდან კონკრეტულ პროდუქტამდე, ტექნოლოგიამდე ან მომსახურებამდე და ვრცელდება პრაქტიკული გამოყენებისას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ინოვაცია განისაზღვრება, როგორც ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც ბაზარზე ახალი გამოგონების ან ახალი ტექნოლოგიის სახითაა წარმოდგენილი. ინოვაციური პროცესი კი დაკავშირებულია სიახლის ათვისებასა და გავრცელებასთან. მაშასადამე, სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაცია მოითხოვს: ფლობდეს სიახლეს, დააკმაყოფილოს საბაზრო მოთხოვნა და მოუტანოს მწარმოებელს მოგება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში „ინოვაცია“ (ინგლისურიდან „innovation“) განისაზღვრება, როგორც პოტენციური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის რეალობაში ასახვა. სიტყვა ინოვაცია შინაარსობრივად ახალ წარმოების იდენტურია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინები „სიახლე“ და „ინოვაცია“ ერთდროულად გულისხმობს ახლის დანერგვისა და შექმნის პროცესს, თუმცა ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ინოვაცია და სიახლე, რადგან სიახლე ყოველთვის ინოვაციის საგანია ცნება „ახალწარმოება“ (სიახლე) დინამიკაში მოქმედი პროგრესული სიახლეა, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციული სისტემისთვის სრულიად ახალს. იგი განიხილება, როგორც განვითარებადი კომპლექსური სისტემა სიახლის შექმნაში, გავრცელებასა და გამოყენებაში, რომელიც ეფექტიანი ინოვაციური საქმიანობის განვითარებასა და ზრდას უწყობს ხელს.

ინოვაციის ცნება მისაღებია ყველა სიახლისათვის, ამიტომ ტერმინი „ინოვაცია“ განიხილება, როგორც პროცესი, რომელშიც შედის სამეცნიერო იდეის პრაქტიკულად გამოყენება, ხოლო მისი შედეგი აღინიშნება ტერმინით “სიახლე”. ამრიგად, სიახლე არის ახალი მეთოდები, წესები და წინადადებები, რომლებიც ინერგება პრაქტიკაში კონკრეტული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, სიახლე არის ამა თუ იმ სფეროში ფუნდამენტური, სამეცნიერო-კვლევითი, დამუშავებითი ან ექსპერიმენტული სამუშაო ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისათვის.

სიახლე შეიძლება დამუშავდეს როგორც საკუთარი საჭიროების (საკუთარ წარმოებაში დანერგვა), ისე გაყიდვის მიზნით. ზოგჯერ სიახლეს საწარმოები გასცემენ და გამოდიან როგორც გამყიდველები ან პირიქით. ამ შემთხვევაში ფირმათა დიდი ნაწილი სიახლეს იღებს, როგორც საქონელს. ინოვაციების არსში ჩართულია მისი დამუშავება, შექმნა, დანერგვა. ყველა ეს ეტაპი უკავშირდება ინოვაციურ საქმიანობას. თანამედროვე ეტაპზე ფირმები ცდილობენ, გაადიდონ თავიანთი ხვედრითი წილი სიახლეზე და რეალიზაცია გაუკეთონ ინოვაციებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, მოცემულ სფეროში აიღონ მონოპოლია და კონკურენტებს შესთავაზონ საკუთარი ინოვაციური პოლიტიკა.

ბაზარზე ნებისმიერი ფირმის წარმატების მთავარი ფაქტორი არის განახლებადი ინოვაცია. უცხოელი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე მარკეტინგის თეორია დაფუძნებულია არა იმდენად ფასების მექანიზმზე, რამდენადაც ინოვაციურზე. როდესაც ბაზარი გაჯერებულია საქონლით, მოთხოვნა უმეტესად ორიენტირებულია უფრო რთულ, დახვეწილ და ნატიფ ნაწარმზე. ამ შემთხვევაში იზრდება ინოვაციური პროცესის, როგორც სიახლის შექმნის ფაქტორის, როლი და მნიშვნელობა. ამიტომაა, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდ თანხებს ხარჯავენ ქვეყანაში სიახლეების დასანერგად მაგ.: დანახარჯების მიხედვით გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი (ევროკავშირის ქვეყნები) მსოფლიო ტექნოლოგიურ სივრცეში აშშ-სა და იაპონიის შემდეგ მე-3, მე-4 და მე-5 ადგილებს იკავებენ. მაგალითად, „სამსუნგი“ ყოველწლიურად ხარჯავს გაყიდული საქონლის რაოდენობის 5%-ს (არანაკლებ 2,5 მლრდ. $); „აი-ბი-ემი“ - 5,2% (3,5მლრდ. $); „ჯენერალ ელექტრიკი“ - 5,3% (3,2 მლრდ. $); „სონი“ - 5,7% (4,5 მლრდ.$); „ფილიპსი“ - (2,3 მლრდ. $).

ინოვაციის დანერგვის პროცესი მოიცავს საწარმოთა საქმიანობის პრაქტიკულად ყველა მხარეს. თვით ინოვაციების მართვის ორგანიზაციული ფორმების ძიება საფუძვლად ედება ცოდნის შეთავსება სამეცნიერო-ინოვაციურ და საბაზრო ფორმებთან, ხოლო ამ ძიებათა დანერგვა წარმოებაში არის ინოვაციური საქმიანობა. ინოვაციური საქმიანობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ინოვაციური აქტიურობაა. საქონელი, როგორც წესი, შეიძლება მოიცავდეს ტექნიკურ სიახლეს, მაგრამ არ წარმოადგენდეს საბაზრო სიახლეს, თუ იგი აკმაყოფილებს იმავე მოთხოვნილებებს, როგორსაც ტრადიციული. ინოვაციური პროცესი ძირითადად მოიცავს: დაგეგმვის პირობების განსაზღვრასა და ორგანიზაციას, ასევე შესრულებას, ხელმძღვანელობას, მიზნის დასახვასა და სტრატეგიის არჩევას. ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციის პირობების განსაზღვრისა და ორგანიზაციის დროს მიმდინარეობს რესურსების გამოვლენა. შესრულების დროს დასახული გეგმის კვლევა და დამუშავება, ხელმძღვანელობის ეტაპზე გამოცდილების გამოყენება, ინოვაციური პროექტების ეფექტიანობის შეფასება, სიახლის გამოცდა, კონტროლი და ანალიზი.

ინოვაციები მოიცავს საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს, როგორიცაა: სამეცნიერო, საწარმოო, საინვესტიციო და გასაღებითი. მათი დანერგვა ყოველთვის დაკავშირებულია ბაზრის მოთხოვნებთან, რომლის მეშვეობითაც ინოვაციები განსაზღვრავენ, თუ რომელი სახეობის ახალმა საქონელმა, სამუშაომ და მომსახურებამ უნდა უზრუნველყოს ბაზარზე საჭირო წილი და რომელი საქონელი საჭიროებს განახლებას. თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის საწარმოთა ინოვაციურ პროგრამებში პრიორიტეტულია: პროდუქციის ახალი სახეობის დანერგვა; ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისება; ფირმისა და მისი დაქვემდებარებული განყოფილებების საქმიანობის რენტაბელობის ამაღლება; არსებული მატერიალური და სამეცნიერო რესურსების ოპტიმალური გამოყენება და ა.შ. ტექნოლოგიური თვალსაზრისით სიახლე განიხილება, როგორც ტექნიკურ, მწარმოებლურ და კომერციულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ბაზარზე ახალი ან გაუმჯობესებული სამრეწველო პროდუქტების სახით გადის და უზრუნველყოფს საწარმოო პროცესების ეფექტიან გამოყენებას. სიახლე შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ღია პატენტი; სასაქონლო ნიშანი; რაციონალური წინადადება და სხვა.

სამეცნიერო-ინოვაციური განვითარების მოდელის მიხედვით განვითარებული ქვეყნები შეიძლება დავყოთ სამ ძირითად ჯგუფად:

1. ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მეცნიერებაში ლიდერობით. ისინი ფლობენ მსხვილმასშტაბიან მიზნობრივ პროექტებს საწარმოო ციკლის ყველა სტადიაზე. როგორც წესი, ისინი ძირითადად თავდაცვის სექტორში ფლობენ სამეცნიერო-ინოვაციური პოტენციალის მნიშვნელოვან წილს (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი);
2. ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სიახლის გავრცელებაზე, ინოვაციური საშუალებების შექმნასა და ეკონომიკური სტრუქტურის რაციონალიზაციაზე (გერმანია, შვეცია, შვეიცარია);

3. ქვეყნები, რომლებიც სიახლეთა სტიმულირებას ახორციელებენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, აგრეთვე კოორდინაციას უწევენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფარგლებში სხვადასხვა სექტორების მოქმედებას (იაპონია, სამხრეთ კორეა).

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის განვითარების ინტერესებშია შეარჩიოს და განახორციელოს შესაბამისი ინოვაციური სტრატეგია. ინოვაციური პოლიტიკა კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რომელიც გავლენას ახდენს სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

ინოვაციებს სასიცოცხლო მნიშვნელობის გარდა უარყოფითი მხარეც აქვს, ქვეყანაში სიახლეების დანერგვა იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, რადგან კომპანიებისათვის ბევრად მომგებიანია საწარმოში ახალი დანადგარების შეტანა. ხშირად ეს დანადგარები ცვლიან ადამიანებს, რაც იწვევს უმუშევრად დარჩენილთა უკმაყოფილებას და სიახლეებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

1) შედეგს სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესისა წარმოადგენს ინოვაციური პროცესები, რომელიც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს ეროვნულ ეკონომიკაზე;

2) ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ეფექტური ინოვაციური პოლიტიკის არსებობით;

3) ინოვაციური პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოთა ეფექტიან საქმიანობას კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და კონკურენტული პროდუქციის წარმოების საფუძველზე;

4) პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა უპირველეს ყოვლისა ახალი, მაღალხარისხოვანი, ბაზარზე მოთხოვნადი საქონლის წარმოების ხარჯზე, ასევე საწარმოს რესურსების ეფექტური გამოყენების, დანახარჯების შემცირების და შედარებით დაბალი ფასის უზრუნველყოფის შედეგად. ამ ყველაფრის მიღწევა კი დამოკიდებულია საწარმოს ინოვაციურ პოლიტიკაზე.

ლიტერატურა:

1. ბ. მღებრიშვილი, ნ. თოდუა, მარკეტინგის საფუძვლები, 2009;
2. რ. ჯავახიშვილი, მარკეტინგის საფუძვლები, 2008;
3. გ. შუბლაძე, მარკეტინგის საფუძვლები, 2009;
4. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი, მარკეტინგის საფუძვლები, (მეშვიდე გამოცემა), თბ., 2006;
5. http://exspert.ru
6. http://erudition.ru
7. http://ozon.ru
8. http://pressa.ge

ბათუმი - პირველი მანუფაქტურული ქალაქი საქართველოში

ნინო ღვინიაშვილი, ნინო პურიჭამიაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნინო ლიპარტელიანი**, სრული პროფესორი

XIX-XX საუკუნე მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოში ეკონომიკური განვითარების მხრივ. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების პირველი ეტაპი. ამ პერიოდში ქვეყანა დაადგა ეროვნული მეწარმეობის განვითარების გზას. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის საქართველო იქცა ერთგვარ დერეფნად – სატრანზიტო გზად. ამ პერიოდის საქართველოში ეკონომიკა კარგად იყო განვითარებული საპორტო-სამრეწველო ქალაქ ბათუმში, რომელიც პირველი მანუფაქტურული ქალაქი გახლდათ XIX ს-ის საქართველოში.

XIX ს-ის 80-იან წლებამდე საზღვარგარეთ ბაქოს ნავთობის გატანა ფოთისა და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან წარმოებდა და საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. პირებს, რომლებიც ნავთობის მრეწველობის განვითარებით იყვნენ დაკავებულნი, ეს გზა არ აკმაყოფილებდათ. მათ კარგად ესმოდათ, რომ წარმატებული საქმიანობისათვის საუკეთესო გზა ბათუმი იყო, ამიტომაც მისი ბუნებრივი ნავსადგური და მოხერხებული სატრანზიტო მდებარეობა მათ ყურადღებას იპყრობდა. ვიდრე ქალაქი თურქეთის ხელში იყო, ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი ნავსადგურით ვერავინ სარგებლობდა. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებისა და ბათუმის შემოერთების შემდეგ მისი პორტად გამოყენების საუკეთესო პირობები შეიქმნა. 1883 წელს ბათუმ-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი დააკავშირა ბაქოსთან, რამაც ძალზე გაზარდა საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები. ამ პროცესებს ასევე ხელი შეუწყო ბათუმის ,,პორტო ფრანკოდ" (ღია ნავსადგურად) გამოცხადებამ.

1899 წლისათვის ბათუმის ნავსადგურში ექსპორტ-იმპორტის საქონლის ბრუნვამ 91 100 000 მანეთი შეადგინა. ამ წლის განმავლობაში ბათუმში შემოსულა 1309 გემი. ბათუმიდან მარტო ნავთობის ექსპორტი როდი ხდებოდა, ასევე გაჰქონდათ სიმინდი, თამბაქო, ღვინო, ბეწვეული, მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი, კაკლის ხე და ზეთი, მუხის ტკეჩი, პალმის ხე, კვერცხი და სხვ. კაკლის ხეები გაჰქონდათ მორების სახით. თითოეული იწონიდა 80-დან 100 ფუთამდე და მისი ფასი მარსელში 100 კილოზე 20-დან 35 ფრანკამდე მერყეობდა. მარსელამდე მისი ჩატანა 5 ფრანკი ჯდებოდა.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ბათუმიდან საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში პალმის ხის ექსპორტირება მიმდინარეობდა, ყოველწლიურად 200 000 ფუთამდე. ამავე პერიოდში ბათუმიდან იტალიასა და საფრანგეთში დიდი ოდენობით აბრეშუმის პარკის ექსპორტირება ხდებოდა, ყოველწლიურად 403 - 404 ათასი ფუთი გადიოდა.

1897 წელს პეტერბურგელი ვაჭარი ვასილ გილვაკი დაინტერესებულა ბათუმიდან კვერცხის ექსპორტით. ამ პროცესს ყოველწლიური ხასიათი ჰქონდა, საშუალოდ 60 ვაგონი - 864 000 ცალი. ვაგონში 100 ყუთი თავსდებოდა, ხოლო თითო ყუთში 1440 ცალი კვერცხი იდო. კვერცხის ექსპორტის სეზონი იწყებოდა 1 ოქტომბრიდან და გრძელდებოდა 15 მარტამდე. კვერცხს გლეხებისაგან ყიდულობდნენ.

1900 წელს ბათუმში აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა მომთუთიებელი ქარხანა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ნედლეულის უქონლობის გამო, მან მუშაობა შეწყვიტა, ისევ განახლდა 1921 წელს და დღეში საშუალოდ უშვებდა 1 500 ფუთამდე ფურცლოვან რკინას.

1907 წელს ბათუმში ამოქმედდა ქიმიური ქარხანა. 1908 წლიდან ქარხანამ სრული დატვირთვით დაიწყო მუშაობა, მისთვის განსაკუთრებით წარმატებული იყო 1912-1913 წლები.

XX ს-ის პირველ ათასწლეულში ბათუმში ფუნქციონირებდა ტყავის გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის წლებში მეომრებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის პროდუქციას ამზადებდნენ.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ბათუმში მოქმედ ფაბრიკებსა და ქარხნებს შორის მწარმოებლურობისა და დასაქმებული მუშახელის მხრივ ხისა და თუნუქის ყუთების დამამზადებელ ქარხნებს პირველი ადგილი ეკავა. პროდუქცია მზადდებოდა სპეციალური დაზგებით, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდათ ორთქლის ძრავებს. 1886 წლამდე ექსპორტიორების უდიდესი ნაწილი ყუთებს ყიდულობდა წვრილი მეწარმეებისაგან, რომლებიც მხოლოდ ხელით შრომას იყენებდნენ. ორთქლით მომუშავე ძრავების გამოყენება ყუთების დასამზადებლად პირველად 1882 წელს პალაშოვსკის და ბუნგეს ქარხანამ შეძლო, რომელიც განთავსებული იყო ბათუმის ცენტრში. ქარხანა ამზადებდა ხისა და თუნუქის ყუთებს ნავთისათვის. ყუთების დამამზადებელი თუნუქი შედიოდა ინგლისიდან, მავთული და ლურსმანი-რიგიდან, ტყვია-საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ესპანეთიდან, კალა-ინგლისიდან და საფრანგეთიდან, თუთია კი-ოდესიდან.

ამავე პერიოდში ბათუმში განვითარდა მეკასრეობა. მაღალი ხარისხის კასრები გამოიყენებოდა საპოხი ზეთებისა და ნავთობპროდუქტებისათვის. პროდუქცია მზადდებოდა ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული წიფლისა და მუხის ტკეჩებისაგან, რომელსაც სპეციალურად ამუშავებდნენ, წებოთი ამაგრებდნენ და რკინის სალტეებით კრავდნენ. წიფლის ტკეჩისაგან დამზადებული კასრი ჯდებოდა 3 მან. და 50 კაპ. ხოლო მუხისა 2-ჯერ ძვირი. 1900-იან წლებში მეკასრეობის სახელოსნოებში დასაქმებული იყო 200 კაცზე მეტი.

რადგან ბათუმი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ქალაქს, აქ შემოჰქონდათ ევროპული პროდუქცია.

XIX ს-ის ბოლოს ბათუმში ინგლისიდან შემოდიოდა ცეცხლგამძლე აგური. ყოველწლიურად შემოდიოდა 4 000 000 ცალზე მეტი. 1 000 000 ცალზე მეტს ბათუმი მოიხმარდა, დანარჩენის რეალიზაცია ბაქოში ხდებოდა.

XIX ს-ის ბოლოს ბათუმში გერმანული გემებით შვედეთიდან შემოდიოდა რკინა სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად. ყოველწლიურად შემოდიოდა 16 000 ფუთზე მეტი. 1 000 ფუთამდე ბათუმშივე მოიხმარებოდა, დანარჩენის რეალიზაცია ხდებოდა მთელ სამხრეთ კავკასიაში.

XIX ს-ის 70-იან წლებში ბათუმში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ფქვილი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტვირთბრუნვაში. 1905-1906 წლებში ეს პროდუქცია შემოდიოდა 2 000 000 ტომრის ოდენობით. ფქვილის ძირითადი მომწოდებლები იყვნენ დონის-როსტოვი, ქერჩი და ოდესა.

ბათუმიდან შორეულ აღმოსავლეთში ნავთობპროდუქტების გატანა გაცილებით იაფი ჯდებოდა, ვიდრე ამერიკიდან მისი ტრანსპორტირება, ამიტომ აქაურ ტვირთბრუნვას დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი ეჭირა.

თანამედროვე ეტაპზე ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრია. დღეისათვის ბათუმში მთავარი დარგებია: ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ფარმაკო-ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. განვითარებულია აგრეთვე საშენი მასალების წარმოება და ხე-ტყის გადამუშავება. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო უმთავრესად ადგილობრივი მოთხოვნილების ფართო მოხმარების საგნებს ამზადებს.

ბათუმის ენერგეტიკული ბაზის შექმნაში დიდი როლი ითამაშა აჭარისწყლის ჰესმა, რომელიც ამჟამად ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში. ქალაქის უმსხვილესი საწარმოა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. 5 მანქანათსაშენი ქარხანა ამზადებს კვების მრეწველობის მანქანა-დანადგარებს, მცირე წყალწყვის გემებს (მ.შ. წყალქვეშაფრთიან კატარღებს), სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროაპარატურასა და ხელსაწყოებს. მძლავრი ფარმაკოქიმიური საწარმო ამუშავებს სამკურნალო მცენარეებს და უშვებს 40-მდე დასახელების სამედიცინო პრეპარატს. სამრეწველო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ავეჯის დამზადებას. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები - ტყავ-ფეხსაცმლისა და სამკერვალო გაერთიანებები - ამზადებენ საპირე ტყავს, ფეხსაცმელს, ტანსაცმელსა და ფართო მოხმარების სხვა საგნებს.

კვების მრეწველობის საწარმოებიდან აღსანიშნავია ციტრუსკომბინატი (უშვებს ციტრუსებისა და სხვა ხილის კონსერვებს). ქალაქში არის აგრეთვე თამბაქოსა და ჩაის ფაბრიკები, ხორცკომბინატი, პურკომბინატი, ლუდის, რძისა და თევზის ქარხნები. ბათუმზე მოდის აჭარის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის უდიდესი ნაწილი.

ბათუმში დღეს კარგად ვითარდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობა.

შპს ,,ხილის კომპანია ნარინჯი" ექსპლუატაციაში შევიდა 2006 წლის 25 ოქტომბერს და განხორციელდა 4 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. პროდუქციის ასორტიმენტი არის – დაფასოებული ციტრუსი, ციტრუსის კონცენტრირებული წვენი, პიურე, ეთეროვანი ზეთი, პექტინი. საწარმოო სიმძლავრე არის – 12ტ. ხილი/საათში. საწარმოში დასაქმებულია 300 კაცი. პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება ადგილობრივ ბაზარზე, უკრაინასა და შუა აზიაში.

შპს ,,ქართული მანდარინი" ექსპლუატაციაში შევიდა 2007 წლის შემოდგომაზე. პროდუქციის ასორტიმენტია – დაფასოებული სუბტროპიკული ხილი. საწარმოს შეუძლია 8 ტონა ხილის გამოშვება. საწარმოში დასაქმებულია 20 კაცი. სარეალიზაციო ბაზარი არის უკრაინა და ევროპის სხვა ქვეყნები.

შპს ,,შაბლა ჩაქვი" 2005 წელს პრივატიზებული შპს ,,ჩაქვის ჩაის კომბინატის" ბაზაზე ჩამოყალიბდა. საწარმო უშვებს მწვანე აგურა ჩაის. საწარმოს სიმძლავრეა 5 ტონა ,,მწვანე აგურა ჩაი" დღე-ღამეში. საწარმოში დასაქმებულია 100 კაცი. პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს შუა აზიის ქვეყნებისა და მონღოლეთის ბაზარზე.

შპს ,,რუბიკონი" 2004 წელს ამოქმედდა და მისი საქმიანობის პროფილს წარმოადგენს წაბლის გადამუშავება. განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 300 000 აშშ დოლარს შეადგენს. პროუქციის ასორტიმენტია–გაყინული წაბლი. საწარმოო სიმძლავრეა–0,7ტ. საათში. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 100 კაცს.

შპს ,,პაპილა ბათუმი" – თევზის გადამამუშავებელი საწარმო ექსპლუატაციაში შევიდა 2007 წლის თებერვალში. იგი აღჭურვილია თურქული თევზის ფქვილისა და ზეთის წარმოების ტექნოლოგიური ხაზებით. პროდუქციის ასორტიმენტია თევზის ფქვილი და ზეთი, ხოლო საწარმოო სიმძლავრე არის – 150ტ. დღე-ღამეში. საწარმოში დასაქმებულია 35 კაცი.

შპს ,,ბათუმის ლუდის ქარხნის" პროდუქცია არის ლუდი ბოთლისა და ჩამოსასხმელი. საწარმოო სიმძლავრე შეადგენს ალაო – 2 800 ტონა, ლუდი – 8 500 ტონა. საწარმოში დასაქმებულია 20 კაცი. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე.

2004 წლიდან დღემდე ბათუმის ბიუჯეტის მოცულობა 12 მილიონ 800 ათასი ლარიდან 138 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ 2010 წლის ბიუჯეტის მოცულობა 2004 წლისას 11-ჯერ აღემატება.

ხელისუფლების მიერ გატარებული ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შედეგად ბათუმში განხორციელდა მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები ყაზახეთის, უკრაინის, თურქეთის, ავსტრიისა და სხვა ქვეყნების მიერ ტურიზმის, მშენებლობის, მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ინვესტიციებს სტიმული მისცა სახელმწიფოს მიერ აუთვისებელი მიწების გაყიდვამ და იჯარით გაცემამ. 2005 წლიდან 2010 წლამდე კონკურსისა და აუქციონის წესით გასხვისდა 124 296 კვ.მ. საერთო ფართის არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული ინვესტიციების განხორციელებით ბათუმის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რომლებიც 90%-ით ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება. ბათუმს ეკონომიკურად განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია, რადგან იგი რესპუბლიკის მსხვილი სატრანზიტო კვანძია, სადაც თავს იყრის საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო კომუნიკაციები. აქ წარმოებს მსხვილი საზღვაო-სატრანსპორტო ოპერაციები. ბათუმი კავკასიის ნავთობის გადაზიდვის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. სატრანსპორტო კვანძის საერთო ტვირთბრუნვაში, სატრანზიტო ტვირთებთან ერთად, დიდი ადგილი უკავია თვით ქალაქის და მისი უახლოესი მიდამოების სამეურნეო ტვირთებს.

ლიტერატურა:

1. დ. გოგოლაძე, „კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში" (1830-1864), თბ., 1959;
2. დ. მირიანაშვილი, ,,კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში", თბ., 1980;
3. ნ. ლიპარტელიანი, მ. ჯოლბორდი, „ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში" (XIX–XXს-ის I ოცწლეულში), თბ., 2009.

ინტერნეტ რესურსები:

1. www.batume.ge (ბათუმის მერია);
4. www.moa,ge (აარ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

ქართული ფულის წარმოშობის ისტორიულ–ეკონომიკური ასპექტები

მირანდა ყაჩლავაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველო სამონეტო საქმის ერთ-ერთი უძველესი კერაა მსოფლიოში. ფულის მიმოქცევა და ვერცხლის მონეტების მოჭრა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ კი კოლხეთში, ძვ. წ. VI-V საუკუნეებში იწყება. ეს უძველესი სამონეტო ჯგუფი სამეცნიერო ლიტერატურაში "კოლხური თეთრის" სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მონეტების მაღალმხატვრული დონე ტოლს არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნების ნუმიზმატიკის ძეგლებს.

კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში: ჩრდილოეთით ქ. სოხუმიდან, სამხრეთით - მდინარე ჭოროხის შესართავამდე და შავი ზღვის სანაპიროდან ლიხის ქედამდე. კოლხური თეთრი მცირე მასშტაბით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა.

მოგვიანებით, ელინისტური ხანის დასაწყისში (ძვ.წ IV-I ს) შეწყდა კოლხური თეთრის ემისია და ის თანდათანობით გაქრა მიმოქცევიდან. მისი ადგილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლიმაქსეს სახელით მოჭრილმა ოქროს სტატერმა დაიმკვიდრა. სამონეტო ბაზარზე ორიგინალური სტატერების დეფიციტმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მათი ადგილობრივი მინაბაძების გაჩენა გამოიწვია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული სტატერების ადგილობრივი მინაბაძები ძვ.წ II-ახ.წ I საუკუნეებში უნდა იყოს მოჭრილი. ორივე მათგანი ისტორიული კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ძვ.წ II საუკუნის ქართული ნუმიზმატიკის ნიმუშად არის მიჩნეული კოლხეთის მეფის სავლაკის მიერ მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომელთაგან სულ რვა ცალია ცნობილი.

ახ. წ. 63 წელს რომის იმპერატორმა ნერონმა პონტოს სამეფო და მასთან ერთად კოლხეთი რომის პროვინციად გამოაცხადა, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის სამონეტო ბაზარზე. ფულის მიმოქცევის თვალსაზრისით კოლხეთი სამ რეგიონად დაიყო. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ფულადი მიმოქცევის საფუძველი კაპადოკიის კესარიასა და ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტები გახდა. ცენტრალურ კოლხეთში - კაპადოკიური ვერცხლი, არაგვეთი კი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა და მისი სამონეტო ბაზარიც იბერიიასას დაემსგავსა.

ქართლის სამეფოში, ანუ იბერიაში სამონეტო საქმის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს კლარჯეთის მამასახლისის ბაგრატ ბივრატის ძის ვერცხლის ფული არამეული წარწერებით. აქ ძვ.წII საუკუნემდე, კოლხეთისგან განსხვავებით, სამონეტო მიმოქცევა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ძვ.წ II-ახ.წ I საუკუნეებში კი ქართლის სამეფოს ფულადი მიმოქცევის საფუძველი, ძირითადად, რომაული და პართული მონეტები იყო. იბერიის სამონეტო ბაზარზე პართული ვერცხლის ფულის ნიშნების - დრაქმების შემოსვლა ძვ.წ II საუკუნიდან დაიწყო და განსაკუთრებით ინტენსიური ძვ.წ I საუკუნეში გახდა.

საქართველოში ასევე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი I-III საუკუნეების რომის თითქმის ყველა იმპერატორის სახელით მოჭრილი საფასები.

I საუკუნის მეორე ნახევრიდან იბერიის სამონეტო ბაზარზე მიმოიქცევა რომაული ოქროს ფული - აურეუსი, რომელიც II საუკუნესა და III საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში მსხვილი სავაჭრო გარიგებების დროსაც ძირითად საშუალებად იქცა.

III საუკუნეში აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძლიერი ირანული სახელმწიფო გამოჩნდა, სასანიანთა სპარსეთმა მთლიანად შეცვალა კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო ვერცხლის მაღალხარისხოვანმა სასანურმა მონეტამ თანდათანობით დაიპყრო აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზარი.

IV-VII საუკუნეებში კავკასია და მასთან ერთად საქართველო ირანისა და ბიზანტიის ქიშპობის ასპარეზად იქცა. VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის ერისმთავრები წარმატებით აგრძელებდნენ სპარსეთისა და ბიზანტიას შორის ქართლის სამეფოსთვის ჩვეულ ბალანსირების პოლიტიკას. აღნიშნულმა ვითარებამ საქართველოს ფულადი მიმოქცევის ხასიათში ადეკვატური ასახვა ჰპოვა. IV-VII საუკუნეების ლაზიკში, ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე, აშკარა პრიორიტეტი ბიზანტიურ საფასებს ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი ბაზარი კი სასანური ვერცხლის დრამით იყო გაჯერებული.

VI საუკუნის დასასრული ქართული ნუმიზმატიკისათვის მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. ქართლის ერისმთავრებმა საკუთარი ვერცხლის მონეტა, ე.წ. ქართულ-სასანური დრამები მოჭრეს. ქართული ფულის ისტორიაში ამ მონეტებზე პირველად გაჩნდა ქართული ზედწერილები ირანის შაჰის პორტრეტის გვერდით, ხოლო ირანული წმინდა ცეცხლის ნაცვლად - ქრისტიანული სიმბოლიკა - ჯვრის გამოსახულება.

VIII-IX საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა ერთგვაროვანი იყო: საყოველთაოდ ბატონობდა არაბული ვერცხლის ფული - დირჰემი. დირჰემი, რომელმაც მყარი ვალუტის სახელი მოიხვეჭა, საერთაშორისო სავაჭრო მონეტად იქცა. თბილისის ზარაფხანაში არაბული დირჰემი 704-05 წელს მოიჭრა, IX საუკუნის შუა ხანებიდან კი თბილისის ზარაფხანამ არაბული დირჰემების რეგულარული ემისია დაიწყო.

X-XI საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური პროგრესი ქვეყნის სამონეტო საქმეშიც აისახა. X საუკუნის მეორე ნახევარში ტაოს მფლობელმა დავით III კურაპალატმა მოჭრა თბილისის არაბული ტიპის მონეტისგან სრულიად განსხვავებული ვერცხლის ფული, ჭეშმარიტი ჯვრის გამოსახულებითა და ქართული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი“. ამ მონეტის სულ 4 ცალია ცნობილი. მაგრამ, როგორც ჩანს იგი ჩართული უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მიმოქცევაში.

XI საუკუნის ქართული ფული წარმოდგენილია ვერცხლის მონეტებით, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში „ქართულ-ბიზანტიური“ მონეტების სახელით არის ცნობილი, რადგან მონეტის ტიპი ბიზანტიურია, ქართული ასომთავრულით შესრულებულ წერილებში კი საქართველოს მეფეები ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულებით მოიხსენიებენ.

ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია სპილენძის უნიკალური მონეტა, რომელიც დავით აღმაშენებელმა სავარაუდოდ, 1118-1125 წლებში მოჭრა. მონეტაზე გამოსახულია გვირგვინოსანი მეფე ბიზანტიურ საიმპერატორო სამოსში და საქართველოს მეფეთა სრული ტიტულატურა. მონეტა ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავს - იმდროინდელი საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო.

XI საუკუნის საქართველოს სამონეტო ბაზარზე ბიზანტიური ფული მკვეთრ პრიორიტეტს იძენს. ქართულ წერილობით წყაროებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ხშირად მოიხსენიება ბიზანტიური ოქროს ფული: დრაჰკანი კონსტანტინატი, დრაჰკანი დუკატი, დრაჰკანი ბოტინატი და პერპერა. ეს უკანასკნელი მთელი XII საუკუნის მანძილზე და უფრო გვიანაც მსხვილი სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას ანგარიშსწორების ძირითად ერთეულად რჩება საქართველოში. ამავე პერიოდში საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდის ბიზანტიური სპილენძი, ხოლო XI საუკუნის დასასრულიდან სელჩუკური ფულიც.

XII საუკუნე და XIII საუკუნის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში ერთიანი ფეოდალური მონარქიის „ოქროს ხანად“ არის ცნობილი. საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას“ ქართული ნუმიზმატიკის მკვეთრად გამოხატული „სპილენძის ხანა“ ემთხვევა. ამ პერიოდში ქვეყანაში ვერცხლის ფული არ მოჭრილა, ის მიმოქცევიდან ამოიღეს და მისი ადგილი სპილენძისამ დაიკავა.

XII საუკუნის პირველ ნახევარში სელჩუკთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ მცირე სახელმწიფოებში სპილენძის ფულის ახალი კატეგორია მოიჭრა. მიმოქცევაში გავიდა მონეტა, რომლის ნომინალი ბევრად აღემატებოდა მის რეალურ ღირებულებას.

გიორგი III-მ მოჭრა ჩვეულებრივი ფორმის მონეტა, რომელიც საყურადღებოა იმით, რომ მასზე მხოლოდ ქართველი სუვერენიაა მოხსენიებული.

1187 წელს თამარ მეფე ჭრის მონეტას, რომლის ავერსზე მოცემულია თამარის მხედრული დამწერლობით შესრულებული ხელრთვა და ასომთავრული წარწერა, ხოლო რევერსზე - არაბული ზედწერილი.

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თამარ მეფის ასულის, რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტები. ამ პერიოდში ქართული ფულის ახალი ისტორია იწყება - შეწყდა სპილენძის ფულის ემისია და განახლდა ვერცხლის ფულის მოჭრა.

1230 წელს რუსუდან დედოფალმა მოჭრა ვერცხლის დრამა, რომელმაც ბოლო მოუღო „ვერცხლის კრიზისს“. მონეტა გამორჩეული სილამაზისაა. იგი ბიზანტიურ და აღმოსავლურ სტილთა ერთგვარი სინთეზია.

მოგვიანებით დავით ნარინმა თბილისში მოჭრა ვერცხლის დრამა, რომელზედაც გამოსახულია ცხენოსანი მეფე გვირგვინით. ამავე პერიოდში დავით ულუმაც მოჭრა ვერცხლის დრამა, რომელზედაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი არის გიორგის ძე და ბაგრატიონი. ეს ქართულ მონეტაზე მეფის გვარის აღნიშვნის ერთადერთი შემთხვევაა.

1256 წლიდან საქართველო ოფიციალურად ირანის მონღოლი მმართველების, ილხანების ვასალად ითვლებოდა. მოგვიანებით, ილხანთა სახელი თბილისურ ე.წ. ქართულ-ჰულაგუიდურ ვერცხლის მონეტებზეც გაჩნდა. მასზე გამოსახულია ქრისტიანული სიმბოლო - ჯვარი და არაბული ზედწერილიც ქრისტიანული ლოცვაა.

ილხანთა სამეფოს დაცემამდე საქართველოს ზარაფხანებში რეგულარულად იჭრება ჰულაგუიდების ვერცხლის უნიფიცირებული მონეტა, რომელმაც მიმოქცევიდან განდევნა რეფორმამდელი მონეტები და საქართველოს სამონეტო ბაზარზე პრიორიტეტი მოიპოვა. მონეტის სახელად საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრდა ტერმინი „თეთრი“. ამ ეპოქის დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ტრაპიზონული ვერცხლის ფული-ასპრი.

გიორგი V ბრწყინვალის მეფობის წლები საქართველოს აღორძინების პერიოდია. ილხანებს ქვეყანა მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდა, რისი ერთადერთი ნივთიერი გამოხატულებაც მონეტა იყო. თბილისის ზარაფხანაში რეგულარულად იჭრებოდა ჰულაგუიდური დირჰემი, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში „გორგაული თეთრის“ სახელით მოიხსენება. ვერცხლის პარალელურად სახელმწიფოში სპილენძის ფულიც იჭრებოდა.

XIV საუკუნის ბოლოს კავკასიაში თემურ-ლენგი გამოჩნდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად მოიჭრა გიორგი VII-სა და აჰმედ ჯელაირის ერთობლივი

მონეტა, რომელზედაც მეფე გიორგი „გამარჯვებულის“ ეპითეტით არის მოხსენებული. მომდევნო წლებში გიორგი VII ჭრის მონეტას ქართული ასომთავრული ზედწერილით: „მეფეთ-მეფე გიორგი“ და არაბული წარწერით - „სულთანი აჰმედ-ხანი“. გიორგი VII-ს მიეწერება აგრეთვე ქართულ ზედწერილიანი მონეტა, რომელზედაც „გახელილი თვალია“ გამოსახული.

XV საუკუნის დასავლეთ საქართველოში გრძელდება კირმანეულისა და ტრაპიზონული ასპრების მიმოქცევა. 30-იანი წლებიდან კი აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ ვრცელდება შირვანული თანგები. ამ პერიოდში საქართველოში შემოდის და ვრცელდება ვენეციური ოქროს დუკატები. XV საუკუნიდან საქართველოს სამონეტო ბაზარზე, განსაკუთრებით კი დასავლეთში, ინტენსიურად ბრუნავს ოსმალური ახჩა. XV საუკუნის II ნახევრის ქართული მონეტების ტიპები პირდაპირ არის ნასესხები მათი თანადროული ოსმალური საფასეებიდან.

XVI საუკუნის დამდეგიდან ჩვენში ვრცელდება ვერცხლის ფული „ყაზანაური“, რომელიც ამავე საუკუნის II ნახევრისთვის უკვე გამქრალია. მოგვიანებით, ჩნდება ფულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“, რომელიც 3 აბაზს ან 12 შაურს უდრიდა.

ამრიგად, XVI-XVIII საუკუნეებში ფულად მიმოქცევაში ფაქტიურად ვერცხლის ფულის შემდეგი ნომინალები ყოფილა გავრცელებული: ექვსშაურიანი აბაზი, ორშაურიანი და შაურიანი, სპარსეთიდან შემოღებული ფანჯშაჰი და „ბისტი“.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა. მოხელეები ხელფასს ასიგნაციებითა და ჩერვონეცებით - ჰოლანდიური დუკატებით იღებდნენ. 1804 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა ზარაფხანა, რაც საგანგებო მედლის მოჭრითაც აღინიშნა. ზარაფხანა, ძირითადად, ვერცხლის ფულის მოსაჭრელად იყო გამიზნული. ამ პერიოდში გამოშვებულ ვერცხლის ფულზე ქართული მხედრული დამწერლობით ეწერა „ქართული თეთრი“, ხოლო სპილენძისაზე - „ქართული ფული“. ქართული წარწერების გარდა, თბილისურ ორაბაზიანებზე ზარაფხანის მთავარი ზარაფების რუსული ინიციალებია მოთავსებული. 1834 წლის შემდეგ კი საქართველოში ლითონის ფული აღარ მოჭრილა. აქედან მოყოლებული მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოში პარალელურად მიმოიქცეოდა ქართულ ხაზინაში დაბეჭდილი ფული, რუსული ფული, თურქული ლირა და ინგლისური გირვანქა სტერლინგი.

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეროვნული საბჭოს წინაშე ქართული ფულის ბეჭდვის საკითხი დაისვა. მიმოქცევაში შევიდა დროებითი ფულადი ნიშნები - ბონები. გამოშვებული იქნა 1, 5, 10, 20, 50 და 100 ნომინალის ღირებულების ბონის მანეთები. მოგვიანებით მიმოქცევაში გამოვიდა 250, 500 და 1000 ბონიანი კუპიურები. სულ საქართველოში ბონების ხუთჯერადი ემისია განხორციელდა და მან შეადგინა 18 მილიარდ 400 მილიონი მანეთი.

საბჭოთა საქართველოს დროებითმა მთავრობამ გააგრძელა ქართული ბონების ბეჭდვა იმ განსხვავებით, რომ ბანკნოტების ავერსზე მთავრობის სასახლეზე ფრიალებდა საბჭოთა საქართველოს დროშა, ხოლო რევერსზე - ხუთქიმიან ვარსკვლავში ჩასმული იყო საბჭოთა საქართველოს გერბი. 1924 წელს მთელ საბჭოთა კავშირში განხორციელდა ფულის რეფორმა, შემოღებულ იქნა ერთიანი ფულადი სივრცე და მიმოქცევაში გამოვიდა რუსული მანეთი.

1993 წლის 3 აგვისტოდან კი მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული - კუპონი, რომელიც 1995 წლის 25 სექტემბერს შეცვალა ლარმა. სრულფასოვანი ქართული ვალუტის სახელწოდებაზე ფიქრი 1990 წლიდან დაიწყო. განიხილებოდა ბევრი ვარიანტი, მათ შორის მარჩილი, კაპიკი, თეთრი და ა.შ. საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული ვალუტის სახელწოდებად ლარი შეირჩა, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „განძს“ ნიშნავს, ხოლო ხურდის სახელწოდება - თეთრი, სათავეს კოლხური თეთრიდან იღებს. 1995 წლიდან მიმოქცევაში შევიდა 1, 2, 5, 10, 20, 50 და 100 ღირებულების საბანკო ბილეთები, 2007 წელს კი 200 ლარიანი ბანკნოტები. მიმოქცევაში გაშვებულ იქნა 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის ღირებულების მონეტები. 2006 წელს კი 1 და 2 ლარიანი მონეტები.

ეროვნული ვალუტის, ლარის მოჭრით დაგვირგვინდა ქართული ფულის მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ისტორია. დღის წესრიგში კი დადგა მისი სრულფასოვნებისა და მსყიდველობითუნარიანობის პრობლემა. ქართველ მეცნიერ–ეკონომისტთა დიდი ნაწილი და სამთავრობო სტრუქტურები ძალ–ღონეს არ იშურებენ ეროვნული ვალუტის გასამყარებლად, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაში კარდინალური ცვლილებებისა და სტაბილური განვითარების მთავარი გარანტი და სახელმწიფოს დამოუკიდებლობის საფუძველია.

ლიტერატურა:

1. „ფული საქართველოში“, საქართველოს ეროვნული ბანკის II გამოცემა, 2003;
2. დ. კაპანაძე, „ქართული ნუმიზმატიკა“, თსუ, 1969.

ინტერნეტ რესურსი:
1. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=111

ინტერნეტ-მომსახურების ძირითადი პაკეტები საქართველოში

ნინო ყაჩლავაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
მირანდა ყაჩლავაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი ყაზიშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გააერთიანა მთელი მსოფლიო, ხელი შეუწყო ადამიანებს შორის ურთიერთობების, საქმიანი კავშირების დამყარებას. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გაცვლა მსოფლიო მასშტაბით დროის უმცირეს მონაკვეთში. ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა, უპირველეს ყოვლისა კი ინტერნეტმა, შეცვალა მსოფლიო პროცესები, საქმიანი გარემო, ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესები და გახდა საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ძალა. ინტერნეტ-ბაზრის აღმოცენების შედეგად შეიქმნა ელექტრონული ბიზნესის მძლავრი დარგი. ამ დარგმა განვითარება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. საქართველო ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს ამ სფეროში მიმდინარე პროცესებს. ამ მხრივ მძაფრი კონკურენცია მიმდინარეობს ქვეყანაში არსებულ საკომუნიკაციო კომპანიებს შორის. ისინი მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან ინტერნეტ-მომსახურების ისეთი პაკეტები, რომლებიც ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის იქნება მისაღები.

ქვეყანაში სწრაფად იზრდება ინტერნეტ-მომხმარებლების რაოდენობა. საქართველოში ინტერნეტ-მომსახურების ბაზრის განვითარება უშუალოდაა დამოკიდებული მოსახლეობაში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდაზე. ბუნებრივია, რაც უფრო მეტ ადამიანს ექნება კომპიუტერი ოჯახში, მით მეტი იქნება მოთხოვნა ინტერნეტ-მომსახურების პაკეტებზეც. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2008 წლის ბოლოს საქართველოში ინტერნეტ-მომხმარებლების რაოდენობა დაახლოებით 115000 შეადგენდა. რაც შეეხება ინტერნეტ-პროვაიდერების წილს, იგი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: „კავკასუს-ონლაინს“ ეკავა მთლიანი ბაზრის 57%, „გაერთიანებულ ტელეკომს“ - 33%, „ახალი ქსელებისა“ და „ახტელის“ ერთობლივი წილი 6,5 %-ს შეადგენდა, „სერვის ნეტის“ - 0,5%, სხვა დანარჩენი ოპერატორებისა კი - 3%.[5] მოგვიანებით აბონენტების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა და უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია.

დღეისათვის საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე რამდენიმე კომპანია ეწევა საქმიანობას. მათ შორის აღსანიშნავია: „სილქნეტი“, „კავკასუს ონლაინი“, „ახალი ქსელები“, „ალტერნეტი“, „ახტელი“, „ეგრისი“, „მაქსიმალი“, „გლობალ ერთი“, „მაგთი“, „ჯეოსელი“, „ბილაინი“ და სხვ.

საქართველოს საკომუნიკაციო ბაზარზე „სილქნეტი“ ახალი კომპანიაა, რომელიც „გაერთიანებულმა ტელეკომმა“, შპს „ვანექსმა“ და შპს „აჭარის ელექტროკავშირმა“ ბიზნესის კონსოლიდაციისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დააარსა. მისი უპირველესი ამოცანაა მომხმარებელს შესთავაზოს ინოვაციური და მოთხოვნაზე ორიენტირებული პროდუქტები და მაღალხარისხიანი მომსახურება. კომპანია თბილისის მოსახლეობას ოთხი სახის ინტერნეტ-მომსახურების პაკეტს სთავაზობს:

[5] წყარო: http://navigator.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=2&info_id=4153

SILK ინტერნეტი

სიჩქარე- 4 მგბ/წმ	სიჩქარე- 8 მგბ/წმ	სიჩქარე-16 მგბ/წმ	სიჩქარე-20 მბ/წმ
ფასი - 37 ლარი	ფასი - 73 ლარი	ფასი - 146 ლარი	ფასი - 220 ლარი
ინსტალაცია-70 ლარი	ინსტალაცია-70 ლარი	ინსტალაცია-70 ლარი	ინსტალაცია-70 ლარი

წყარო: http://www.silknet.com/index.php?lang=ka&mid=47&s=packages&id=25

რეგიონებში მცხოვრები მომხმარებლებისათვის გათვალისწინებულია **DSL** ინტერნეტი, რომელიც შემდეგ მომსახურების პაკეტებს მოიცავს:

სახელწოდება	ფასი	სიჩქარე	ინსტალაცია
მინი	10 $	1 მგბ/წმ	20$
ეკონომი	15$	2 მგბ/წმ	20$
სტანდარტი	20$	3 მგბ/წმ	20$
მაქსი	25$	4 მგბ/წმ	20$
VIP 1	30$	6 მგბ/წმ	20$
VIP 2	35$	8 მგბ/წმ	20$

წყარო: http://www.silknet.com/index.php?lang=ka&mid=41&s=packages&id=6

კიდევ ერთი წამყვანი ინტერნეტ-კომპანიაა „კავკასუს ონლაინი“, რომელიც შემდეგი სახის ინტერნეტ-მომსახურების ტარიფებს სთავაზობს მომხმარებლებს.

GE LINK 3.

დასახელება	სიჩქარე	ფასი
ევრო 1	1/1 მგბ/წმ	7 €
ევრო 2	5/5 მგბ/წმ	30 ლარი
ევრო +	8/8 მგბ/წმ	45 ლარი
ევრო 3	10/10 მგბ/წმ	60 ლარი
ევრო HD	20/20 მგბ/წმ	120 ლარი
მინი-ოფისი	256 კბ/წმ-7 მბ/წმ	50 ლარი
ევრო-ოფისი	384 კბ/წმ- 10 მბ/წმ	70 ლარი

შენიშვნა: „კავკასუს ონლაინის“ ვებ-გვერდზე http://www.sanet.ge (http://caucasusonline.ge) ამჟამად რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.

DSL 1.

დასახელება	ლოკალური სიჩქარე	გლობალური სიჩქარე	ფასი
ეკონომი	3 მბ/წმ	56-256 კბ/წმ	50 ლარი
უნივერსალი	8 მბ/წმ	80 კბ/წმ-1 მბ/წმ	70 ლარი
ბიზნესი	8 მბ/წმ	128 კბ/წმ-1 მბ/წმ	120 ლარი
ბიზნეს +	8 მბ/წმ	256 კბ/წმ-1 მბ/წმ	300 ლარი

კოლოკაცია 2.

ფასი	გლობალური სიჩქარე
80 ლარი	1 მბ
100 ლარი	1,5 მბ
140 ლარი	2 მბ
180 ლარი	3 მბ
250 ლარი	4 მბ
480 ლარი	10 მბ
130 ლარი	1 მბ
180 ლარი	1,5 მბ

250 ლარი	2 მბ
80 ლარი	1 მბ
120 ლარი	2 მბ
170 ლარი	3 მბ
230 ლარი	4 მბ
450 ლარი	10 მბ

დაყენება ერთჯერადად - 40 ლარი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, GE LINK-ის მომსახურებაზე მონიმალური პაკეტის ღირებულება უკვე 7€-დან იწყება და ამ პაკეტის მომხმარებელი 1 მბ/წმ სიჩქარის ლოკალურ და გლობალურ ინტერნეტს იღებს. რაც შეეხება DSL ტექნოლოგიას, აღნიშნული სერვისის აბონენტები ამჟამად გლობალურ და ლოკალურ ინტერნეტზე ერთი და იგივე სიჩქარით სარგებლობენ.

„გლობალ ერთი" თავის კლიენტებს სთავაზობს ინტერნეტს **ADSL** ტექნოლოგიით. ამ შემთხვევაში აბონენტი თავად ირჩევს შეერთების სასურველ სიჩქარეს, რომელმაც შესაძლოა მიაღწიოს ინფორმაციის ჩასატვირთად 8 მბ/წმ-ს, ხოლო გადასაცემად 1 მბ/წმ-ს. ინტერნეტში ADSL ტექნოლოგიით მუშაობა ხორციელდება 3 არხის მეშვეობით. ერთი არხი უზრუნველყოფს ინფორმაციის ჩატვირთვას, მეორე სატელეფონო და ფაქსიმილურ კავშირს, მესამე კი ახორციელებს ინფორმაციის გადაცემას.

ADSL ჩატვირთვის ტარიფებია: 1.

სიჩქარე	ლოკალური სიჩქარე	ინსტალაცია	ფასი
32-128 კბ/წმ	2 მბ/წმ	უფასო	50 ლარი
56-144 კბ/წმ	2 მბ/წმ	უფასო	60 ლარი
56 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	70 ლარი
70 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	95 ლარი
115 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	115 ლარი
128 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	135 ლარი
256 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	280 ლარი
384 კბ/წმ- 1 მბ/წმ	8 მბ/წმ	უფასო	400 ლარი

წყარო: http://www.global-erty.net/content.php?men_Id=20&lang=1&menId=34

დღეისათვის გავრცელებულია მაგთი-ფიქსის ინტერნეტი USB მოდემი. იგი საშუალებას იძლევა მომხმარებელმა მიიღოს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი იქ, სადაც მაგთი-ფიქსის დაფარვის ზონა ვრცელდება. ამ ტექნოლოგიით შესაძლებელია ინფორმაციის ჩატვირთვა 3,1 მბ/წმ სიჩქარით და ატვირთვა 1,8 გბ/წმ სიჩქარით. ქსელში ჩართვის ღირებულებაა 155 ლარი, EVDO USB მოდემი კი უფასოდ გადაეცემა მომხმარებელს.

იმ შემთხვევაში, თუ მოდემი კლიენტის მიზეზით დაზიანდა, მისი შეცვლა შესაძლებელია 60 ლარად. თუ მომხმარებელი ვერ ისარგებლებს მოდემით მისთვის სასურველ ადგილას ქსელში ჩართვიდან 48 საათის განმავლობაში, მას შეუძლია დააბრუნოს იგი და გადახდილი 155 ლარიდან 150 ლარი უკან დაუბრუნდება.

„მაგთიკომი" ინტერნეტით 30 დღიანი სარგებლობისათვის გვთავაზობს მომსახურების ორ პაკეტს.

1. **სტანდარტ პაკეტი.** აქტივაციისათვის თავდაპირველად საჭიროა 45 ლარის გადახდა, აქედან 30 ლარი არის ინტერნეტით 30 დღიანი სარგებლობის ღირებულება, 15 ლარი კი ავტომატურად ირიცხება წინასწარ არჩეული მაგთის, ბალის, ბანის ან მაგთი-ფიქსის ნომრის ანგარიშზე. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია მანამდე, ვიდრე მოხმარებული გიგაბაიტების რაოდენობა არ მიაღწევს 5 გბ-ს. ამის შემდეგ, 30 დღიანი ვადის გასვლამდე, შესაძლებელია დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა. თუ მომხმარებელს სურს სერვისის 30 დღიანი ვადის გასვლამდე კვლავ ისარგებლოს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, შეუძლია პერსონალური პორტალიდან (mymagtifix.ge) შეიძინოს 200 მბ 2 ლარად ან 1000 მბ 10 ლარად.

2. **ეკონომ პაკეტი.** სერვისის 30 დღიანი აქტივაციის ღირებულებაა 15 ლარი. მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია მანამდე, ვიდრე მოხმარებული გიგაბაიტების რაოდენობა არ მიაღწევს 1 გბ-ს. ამის შემდეგ ვადის გასვლამდე ხდება დაბალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობა. თუ კლიენტს სურს 30 დღიანი ვადის გასვლამდე კვლავ ისარგებლოს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით,

შეუძლია პერსონალური პორტალიდან (mymagtifix.ge) შეიძინოს 1000 მბ 15 ლარად. შეძენილი მეგაბაიტები არ აკუმულირდება, ანუ 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ განულდება.[6]

„მაგთის“ მსგავსად, „ჯეოსელიც“ არ შემოიფარგლება მხოლოდ სატელეფონო მომსახურებით და თავის მომხმარებელს სთავაზობს ინტერნეტით უზრუნველყოფასაც. „ჯეოსელ-ქონექთი“ საშუალებას იძლევა კლიენტმა ისარგებლოს ინტერნეტით ნებისმიერ ადგილას, სადაც „ჯეოსელის“ დაფარვის ზონაა. ინტერნეტში ჩასართავად საჭიროა მხოლოდ მოდემის შეერთება კომპიუტერთან. USB მოდემის ღირებულება 99 ლარს შეადგენს, ინტერნეტის სიჩქარე კი - 3,6 მბ/წმ-ს. თუ მომხმარებელმა ვერ ისარგებლა ჯეოსელ-ქონექთით, შეძენიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში შესაძლებელია მისი უკან დაბრუნება.

„ჯეოსელს“ აქვს ცალკე მომსახურება - Geocell Broadband, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციებზე, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქვთ ფილიალები და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი ესაჭიროებათ. მასი ძირითადი უპირატესობებია: 1) უფასო ინსტალაცია საქართველოს ნებისმიერ წერტილში; 2) ულიმიტო ინტერნეტ ტრაფიკი. ულიმიტო ინტერნეტის გადასახადი თვეში 99 ლარია. [7]

თავის კონკურენტებს არც ბილაინი ჩამორჩება და სატელეფონო მომსახურების გარდა ინტერნეტ-მომსახურებასაც სთავაზობს თავის მომხმარებლებს. ინტერნეტ-პაკეტის სახელწოდებაა „ინტერნეტი ყველგან“. მას ახასიათებს მარტივი გამოყენება - მოდემში იდება SIM ბარათი, უერთდება კომპიუტერს და პროგრამა ავტომატურად ინსტალირდება. მოდემი მუშაობს GSM ქსელში 236 მბ/წმ სიჩქარით. კომპლექტის (USB მოდემი და SIM ბარათი) ღირებულებაა 49 ლარი. 1 მბ-ის ღირებულება 5 თეთრს შეადგენს, ხოლო ღამის 12 სთ-დან დილის 8 სთ-მდე 1,5 თეთრს.

ბილაინს შემუშავებული აქვს GPRS პაკეტებიც. 500 მბ-იანი GPRS პაკეტი 17 ლარი ღირს, 1 გბ-იანი კი 25 ლარი.

გარდა ამისა, ბილაინის აბონენტებს ულიმიტო ინტერნეტით სარგებლობის საშუალებაც აქვთ. კომპლექტის ღირებულება 49 ლარია. სააბონენტო გადასახადი კი 35 ლარს შეადგენს.[8]

ინტერნეტ-მომსახურებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა ანკეტური გამოკითხვა ქ. გორში. გამოკითხულ 100 რესპონდენტი. გამოკითხულთა 60%-ს ქალები, ხოლო 40%-ს მამაკაცები შეადგენდნენ. მათგან 20 წლამდე ასაკისა იყო 65%, 20 წლიდან 40 წლამდე - 17%, ხოლო 40 წელს ზემოთ ასაკისა გამოკითხულთა 18% აღმოჩნდა. ჩვენი რესპოდენტებიდან 63% ჰქონდა საშუალო განათლება, ხოლო 37%-ს კი უმაღლესი.

კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა კომპიუტერი სახლში, 87%-მა დადებითად გვიპასუხა, უარყოფითი პასუხი კი მხოლოდ 13%-მა გაგვცა. მათგან, ვისაც ჰქონდა კომპიუტერი, ყველა რესპონდენტი აღმოჩნდა ინტერნეტ-მომხმარებელი. გამოიკვეთა რამდენიმე ინტერნეტ-პროვაიდერი, რომელთა მომსახურებითაც ისინი სარგებლობენ. აღმოჩნდა, რომ სახლში კომპიუტერების მქონე რესპონდენტთა 38% სილქნეტის მომსახურებით, 30% კავკასუს ონლაინის, 18% - მაგთიფიქსის, 5% - ჯეოსელის, 6% - გლობალკომის, 3% კი - ალტერნეტის ინტერნეტ-მომსახურებით სარგებლობს.

გამოკითხულთა 12%-ის შემოსავალი 100 ლარამდეა, 100-დან 150 ლარამდე შემოსავალი 3%-ს აქვს, ასევე 3%-ს აქვს 200-დან 250 ლარამდე, 250-დან 300 ლარამდე აღწევს 9%-ის შემოსავალი. 350-დან 400 ლარამდე 6%-ის შემოსავალია, 400 ლარს ზემოთ შემოსავლით 23%-ია უზრუნველყოფილი, ხოლო საკუთარი პირადი შემოსავლის გარეშე იმყოფება გამოკითხულთა 44%. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 44%-ს ამჟამად არ გააჩნიათ პირადი შემოსავალი, ისინი მეტ-ნაკლებად მაინც ახერხებენ ინტერნეტ-მომსახურების შეძენას. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათ შეიძლება გააჩნიათ გარკვეული ფულადი დანაზოგი, ოჯახის წევრების ან ახლობლების მიერ გაწეული ფულადი დახმარება და სხვა, რომლის საშუალებითაც ისინი ან მათი ოჯახის წევრები ახერხებენ აღნიშნული მომსახურების შეძენას და სხვ.

ჩვენი რესპოდენტების (იგულისხმება გამოკითხულთა ის რაოდენობა, რომლებსაც აქვთ კომპიუტერი და სარგებლობენ ინტერნეტ-მომსახურებით) 40% ინტერნეტ-მომსახურებაზე საშუალოდ თვეში ხარჯავს 10-დან 20 ლარამდე, 25% - 20-დან 30 ლარამდე, 17% - 30-დან 40 ლარამდე, 9% - 40-დან 50 ლარამდე, 9% კი - 50 ლარზე მეტს.

---

[6] http://www.magtifix.ge/?a=content&id=95&L=geo

[7] http://www.geocell.ge/ge/services/show/?id=68 http://www.geocell.ge/ge/products/tariffs/3/

[8] http://mobile.beeline.ge/ge/modem/index.wbp

ინტერნეტ-მომსახურებით კმაყოფილია გამოკითხულთა (იგულისხმება გამოკითხულთა ის რაოდენობა, რომლებსაც აქვს კომპიუტერი და სარგებლობენ ინტერნეტ-მომსახურებით) 46%, არ არის კმაყოფილი 15%, ხოლო მომსახურება ნაწილობრივ აკმაყოფილებს 39%-ს.

ინტერნეტ-პროვაიდერების მომსახურებაში გამოკითხულთა 55%-ს სურს სიჩქარის გაზრდა, ტარიფის შემცირებას ემხრობა 9%, ხოლო არავითარ ცვლილებას არ შეიტანდა 36%.

ჩვენი კვლევიდან გაირკვა, რომ საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე ყველაზე მსხვილ მოთამაშეს „სილქნეტი" წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მომხმარებლისათვის პრობლემას წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზები, განსაკუთრებით, ინტერნეტის დაბალი სიჩქარე. ამიტომ, აუცილებელია, ყველა ინტერნეტ-პროვაიდერმა მიიღოს შესაბამისი ზომები და ყველანაირად ეცადოს ამ ხარვეზების აღმოფხვრას. ამით პირველ რიგში კომპანიები შეძლებენ რეალურ მომხმარებელთა შენარჩუნებასა და პოტენციური მომხმარებლების რეალურ მომხმარებლებად გადაქცევას. აგრეთვე მათ საშუალება ექნებათ მაქსიმალურად მიუახლოვდნენ საერთაშორისო სტანდარტებს, რათა არ ჩამორჩნენ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, დროულად მოახდინონ საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე ინოვაციების დანერგვა და შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესება-სრულყოფა.

ინტერნეტ-რესურსები:

1. http://www.silknet.com
2. http://www.global-erty.net/
3. http://www.magtifix.ge
4. http://www.beeline.ge
5. http://www.geocell.ge
6. http://caucasusonline.ge
7. http://navigator.ge

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა: ინფლაციური პროცესების განვითარება

ნუცა ყველაშვილი, მერი გაგნიძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლეილა მამულაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

მაკროეკონომიკური არასტაბილურობა არის პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური მერყეობა, რესურსების ქაოსური მოძრაობა, სოციალური პრობლემების გახშირება და ა.შ იგი იწვევს წარმოების დაცემას, რასაც მოჰყვება უმუშევრობა და ინფლაცია. მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას ეკონომისტები სხვადასხვა მიზეზით ხსნიან. ერთი ნაწილი ამის მიზეზად ტექნიკურ სიახლეებსა და გამოგონებებს მიიჩნევს, მეორე ჯგუფი მას პოლიტიკური მიზეზებითა და ომებით ხსნის. ზოგიერთის აზრით კი ეს მოვლენა მონეტარული ფაქტორით აიხსნება: თუ სახელმწიფო ბრუნვაში უშვებს ძალზე დიდი რაოდენობით ფულს, ეს იწვევს ინფლაციურ ბუმს, შემდეგ კი – უმუშევრობის ზრდას.

ეკონომიკური ზრდა და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა ერთმანეთს ენაცვლება გარკვეულ მონაკვეთში, რომელსაც ეკონომიკურ ციკლს უწოდებენ.

ეკონომიკურ ციკლს ოთხი ფაზა აქვს: პიკი, დაცემა, დეპრესია, გამოცოცხლება. პიკის ფაზა ნიშნავს რომ ეკონომიკაში იწყება სრული დასაქმება. სრული დასაქმება არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას და წარმოების სრული ან თითქმის სრული სიმძლავრით მუშაობას.

პიკის მომდევნო ფაზაა დაცემა. ამ დროს წარმოება და ინვესტიციები მცირდება, ნელდება ფასების ზრდა. დეპრესიის ფაზაში ეკონომიკა რთულ მდგომარეობაშია, წარმოების დაცემა წყდება, იზრდება ფულის მიწოდება, ეცემა სარგებლის დონე, იაფდება კრედიტი. დეპრესიის ქვედა წერტილისთვის დამახასიათებელია ის, რომ კვლავ იწყება „ფსკერიდან ამოსვლა". გამოცოცხლების ფაზაში წარმოების დონე იზრდება, დასაქმება მატულობს სრულ დასაქმებამდე. ეკონომიკური ციკლები განსხვავდება ერთმანეთისგან ხანგრძლივობითა და ინტენსივობით.

ინფლაციური პროცესები შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ქვეყანაში, თუმცა ამ პროცესების სხვადასხვა ფაქტორთა კომბინაცია დამოკიდებულია ამა თუ იმ პერიოდში არსებულ კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებზე.

ინფლაციური პროცესების დაჩქარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სავალუტო, ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისი, სასურსათო პრობლემების მკვეთრად გამწვავება და სხვა. ბუნებრივია, ინფლაციურ პროცესებს სახელმწიფოებისათვის მოაქვს უარყოფითი შედეგები და ხშირად იწვევს ქვეყნის ეკონომიკაში გამოუსწორებელ და ძნელად მოსაგვარებელ პროცესებს.

ინფლაციური პროცესები სერიოზული პრობლემაა და ხშირად შოკისმომგვრელი შედეგები შეიძლება მოუტანოს როგორც ქვეყანას, ასევე საზოგადოებას. აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები აჩქარებენ ამ პროცესებს. ესენია – ენერგორესურსებსა და ბუნებრივ აირზე ფასების ზრდა, დაუბალანსებლად გაზრდილი სახელმწიფო ხარჯები. ინფლაციური პროცესები არა მარტო გარე, არამედ შიდა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. ზოგიერთ ქვეყანაში ინფლაციის დაბალ მაჩვენებელს ხსნიან ბუნებრივი რესურსების სიუხვითა და სამრეწველო დარგების სწრაფი განვითარებით.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ განვიხილავთ რამ განაპირობა ინფლაციური პროცესების განვითარება საქართველოში, მივხვდებით რომ ამის გამომწვევი მიზეზები იყო ბაზარზე სასურსათო ნედლეულის გაძვირება. აგრეთვე ხორბლის მოუსავლიანობა რუსეთში, რამაც საქართველოს უმთავრესი ექსპორტიორი დააკარგვინა. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები მარცვლეულთან დაკავშირებულ ყველა პროდუქტზე. ნავთობპროდუქტებზე ფასები გაძვირდა საშუალოდ 7-8 %-ით. ფასებმა მოიმატა ისეთ იმპორტირებულ პროდუქტებზე, როგორიცაა ყავა, ზეთი, შაქარი, წიწიბურა და სხვა. ამ პროცესს ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოში აღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებული ადგილობრივი წარმოება დაბალ დონეზეა განვითარებული და ფასების ზრდის დაბალანსება ვერ ხდება. ინფლაციური პროცესები კი მაშინ ვითარდება, როცა ფულის მასასა და საქონელს შორის დისბალანსია.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში ინფლაციური პროცესების განვითარების მთავარი მიზეზი იყო იმპორტირებულ საქონელზე ფასების მატება მსოფლიო ბაზარზე. თუმცა ექსპერტების თქმით, ეროვნულ ბანკსაც არ აღმოაჩნდა იმის მექანიზმები, რომ შეეჩერებინა ინფლაციური პროცესი. ინფლაციის დონე სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში და მეორეც – მსოფლიოში იმპორტირებული პროდუქტების საბაზრო ფასი გაიზარდა, რამაც ნაწილობრივ გამოიწვია ეს პროცესები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბოლო დროს გაიზარდა ტრანსპორტით სარგებლობისა და საწვავის ფასი, აგრეთვე ტარიფები წყალზე, ამას ემატება საახალწლო პერიოდში პროდუქტზე ფასების მატება. ექსპერტების აზრით, ახალი წლის ფონზე იანვარში საქართველოში ინფლაციური პროცესები შემცირდა, რადგან იგი სავაჭრო თვალსაზრისით პასიური თვეა. მოსახლეობა ფულს დეკემბერში ხარჯავს ჩვეულებრივზე მეტს ახალი წლისთვის და აკეთებს მარაგს. მოკლედ რომ ვთქვათ, ადგილი აქვს პროდუქტზე მოთხოვნის ზრდას და ფასებიც შესაბამისად იზრდება. იანვრის ბოლოსათვის იწურება აღნიშნული მარაგი და ბაზარზე მოთხოვნის მატება შეინიშნება პროდუქტზე. თებერვლიდან კი, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ინფლაციური პროცესები თანდათან ისევ განვითარდება და პიკს გაზაფხულისთვის მიაღწევს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ საბიუჯეტო ხარჯების ზრდით, რეალური სექტორის შემცირებით კიდევ უფრო ხალისდება ინფლაციური პროცესები. ვალუტის გაუფასურება ბუნებრივად იწვევს ბაზარზე საკვების პროდუქტების, პირველადი მოხმარების საგნებისა და მედიკამენტების ფასების მყისიერ მატებას, რაც გამოწვეულია სწორედ ინფლაციური პროცესების გააქტიურებით.

მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება და მისი ეკონომიკური გუნდი ყველანაირად ცდილობდეს თავიდან აიცილოს ინფლაციური პროცესების განვითარება, რომელმაც შესაძლოა ქვეყანა სრულ კრახამდე მიიყვანოს და შეაფერხოს მისი ეკონომიკური განვითარების პროცესი და თუ ეს პროცესი გარდაუვალია, ყველანაირად მომზადებული შეხვდეს ამ პროცესს და ეძიოს გზები ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის მომავალ განვითარებას.

ინფლაციის არსი და სახეები. ტერმინი „ინფლაცია" ლათინური წარმოშობისაა (inflatio) და „გაბერვას" ნიშნავს. იგი პირველად გამოიყენეს XIX საუკუნეში აშშ-ში, შემდეგ ინგლისსა და საფრანგეთში. ეს ტერმინი ფართოდ დამკვიდრდა I მსოფლიო ომის შემდეგ. მისგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. ინფლაცია არის მიმოქცევის არხებში ჭარბი ქაღალდის ფულისა და

დაუხურდავებელი ბანკნოტების დაგროვება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა და ფასების საერთო დონის ზრდას. ამ უკანასკნელს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ინფლაციის დროს ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე ერთდროულად როდი იზრდება ფასები. ინფლაციის სწრაფად განვითარების დროსაც კი ზოგიერთ საქონელზე ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს, ზოგიერთი კი შემცირდეს კიდეც. ინფლაციის დროს თავს იჩენს ფასების არათანაბარი ზრდის ტენდენცია. ფასების მუდმივი ზრდა სრულებითაც არ არის ინფლაციის ერთადერთი ნიშანი. ინფლაცია შეძლება მოხდეს სტაბილური ფასების დროსაც, თუ კი ამავე დროს მიწოდება ქრონიკულად ჩამორჩება მოთხოვნას.

ინფლაციის სახეები. განასხვავებენ ზომიერ, ჭენებად და ჰიპერ ინფლაციას. ზომიერი ინფლაცია ისეთი ინფლაციაა, როდესაც გაუფასურება შედარებით შეუმჩნევლად მიმდინარეობს, ფასები ნელა იზრდება (წელიწადში 10%-ზე ნაკლები). ჭენებადია ინფლაცია, როცა ქაღალდის ფული სწრაფად უფასურდება. ფასების ზრდა წლიურად 20-დან 200%-ს აღწევს.

ჰიპერინფლაცია კი გაუფასურების ძალიან მაღალი დონეა. ამ დროს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა და ფასები ასტრონომიული ტემპებით იზრდება. ფასები და ხელფასები კატასტროფულად შორდება ერთმანეთს. ჰიპერინფლაცია დამანგრევლად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, იგი მოსალოდნელია ომისა და ომისშემდგომ პერიოდში. ზომიერი, ჭენებადი და ჰიპერინფლაცია განეკუთვნება ე.წ. ღია ინფლაციას და თავს იჩენს ბაზარზე, სადაც მოქმედებს თავისუფალი ფასები.

ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგებია: ფულადი შემოსავლის გაუფასურება, გრძელვადიანი გამოგონებებისადმი ინტერესის დაკარგვა, ფულადი დანაზოგების გაუფასურება და სხვა.

ლიტერატურა:

1. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, დ. მუჯირიშვილი, ლ. ტატუნაშვილი, მაკროეკონომიკა, „უნივერსალი“, თბ., 2008;
2. ეკონომიკური ლექსიკონი, თბ., 2001;
3. მართვის ევროპული უმაღლესი სასწავლებელი, მაკროეკონომიკის ლექციათა კურსი, თბ., 2003;
4. ვ. ლობჟანიძე, მაკროეკონომიკური მეცნიერება, გამომცემლობა „ლამპარი”, თბ., 2001;
5. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2000.

ტურიზმი - საქართველოს განვითარების რეალური შესაძლებლობა

თამარი ყოჩიშვილი, ნინო დიასამიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, დასვენება კი – ადამიანის ობიექტურად აუცილებელი მოთხოვნა შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღსადგენად.

დასვენებისა და გართობის მიზნით გამგზავრება პირველად პოპულარული ძველ რომაელებს შორის გახდა, რომლებიც ძირითადად პირამიდების დასათვალიერებლად მიემგზავრებოდნენ. მოსახლეობის იმ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს, ვინც ცნობისმოყვარეობისათვის მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, XVII საუკუნის მიწურულიდან ტურისტებს უწოდებდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მასობრივი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხანა. 1950 წელს საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობამ 25 მილიონს მიაღწია, 1970 წელს - 170 მილიონს, 1990 წელს - 400 მილიონს.

ტურისტულ ბიზნესს ახასიათებს შემდეგი თავისებურებები: ლოკალური ხასიათი, გამოკვეთილი სპეციფიკურობა, სეზონურობა, უნიკალურობა, დინამიურად განვითარებადობა და სხვ. ტურიზმი არის ბიზნესის დინამიურად განვითარებადი სფერო. ტურისტულ ბაზარზე წარმატებულად ფუნქციონირებენ როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე საწარმოებიც. ამასთან, ტურისტულ ბიზნესში კაპიტალი უფრო სწრაფად ბრუნავს, რაც დაბანდებულის უკუგებას გაცილებით აჩქარებს.

ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი სპეციფიკური დარგია. მისი სპეციფიკურობა გამოიხატება იმაში, რომ თვით ქვეყნის ეკონომიკა და ტურიზმი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. კერძოდ, ქვეყნის მაღალი ეკონომიკური პოტენციალი და სტაბილურობა ტურისტული ბიზნესის განვითარების საწინდარია და პირიქით.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი პირობაა. აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრია ქმნის უფრო მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები.

რეგიონულ ასპექტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის ეკონომიკური ფუნქცია. ტურისტული ბიზნესი ხელს უწყობს სუსტად განვითარებული, შედარებით ჩამორჩენილი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას.

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება და მასშტაბურ ხასიათს XX საუკუნის მეორე ნახევრიდან იძენს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი სასტუმროები და ტურისტული ბაზები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს აღერიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათას ადგილს შეადგენდა. შედარებით სუსტი იყო სამოქალაქო სასტუმროების ქსელის განვითარება. ეს მონაცემები თავისთავად მეტყველებდნენ საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ტურიზმი, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა, თავისი ფორმითა და შინაარსით წარსულს ჩაბარდა. ამასთან დაგვიტოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. საქართველოს გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. საქართველო ამჟამად აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და ამდენად საინტერესოა მისი აღმოჩენა ყოველი მოგზაურისა თუ ტურისტისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისის მახლობლად, დმანისში აღმოაჩინეს პალეოლითური ხანის უძველესი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო გახდა პირველი ევროპელის სამშობლო.

ქვეყანაში 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და მრავალი საგანძურია, რომელიც თანდათანობით იზრდება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორებით, ამჟამად კი 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია.[9] კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებშია.

საქართველოს, როგორც დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნის შესახებ სულ უფრო მეტი ინფორმაციის გავრცელება ხდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამის შედეგია ის, რომ საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში იზრდება უცხოელი ტურისტების რაოდენობა. 2010 წელს, საქართველოს 2 032 586 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 36%-ით აღემატება. 2010 წლის იანვარ-დეკემბერში ევროპის ქვეყნებიდან (დსთ-ს ქვეყნების გარეშე) საქართველოში 672 316 ვიზიტორი შემოვიდა (შემოსულ ვიზიტორთა 33,1%), რაც გასულ წელთან შედარებით 35%-ით მეტია. 2010 წელს, დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულია 1 286 329 ვიზიტორი (ვიზიტორთა 63,2%), რაც 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 35%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში, ამერიკიდან შემოვიდა 23 079 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 1,1%), რაც 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 18%-ით მეტია, აზიის ქვეყნებიდან - 46 256 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 2,3%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 60%-ით აღემატება, აფრიკიდან - 1 005 ვიზიტორი (შემოსულ ვიზიტორთა 0,1%), ხოლო დანარჩენი მსოფლიოდან – 3 601 ვიზიტორი (ვიზიტორთა 0,2%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15%-ით აღემატება. 2010 წელს, დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორთა (1 286 329) უდიდესი ნაწილი სომხეთზე მოდის. კერძოდ, სომხეთიდან შემოვიდა 547 162 ვიზიტორი (დსთ-ს ქვეყნების ვიზიტორთა 43%), რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 56%-ით აღემატება. აზერბაიჯანიდან შემოვიდა 498 570 ვიზიტორი (დსთ-ს ვიზიტორების 39%), რაც გასულ წელთან შედარებით 19%-ით მეტია.[10]

---

[9] წყარო: http://ucnauri.com/2010/საქართველოს-ტურიზმი

[10] წყარო: http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=925

ტურისტული ნაკადების ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემია აჭარის რეგიონში. ცნობისათვის, 2010 წლის განმავლობაში, აჭარაში, სულ 974 563 ვიზიტორი ჩავიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 76%-ით მეტია. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2010 წლის იანვარ-დეკემბერში აჭარაში ჩასული ვიზიტორების რაოდენობა 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3,4-ჯერ გაიზარდა. 2009 წელს, აჭარაში, სულ 554 150 ვიზიტორი ჩავიდა, ხოლო 2008 წელს 285 000. 2010 წლის თორმეტ თვეში აჭარაში ჩასულ უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა იყო 312 275, რაც 2009 წლის დროის იმავე პერიოდთან შედარებით, თითქმის 2-ჯერ მეტია, 2008 წელთან შედარებით კი - 4-ჯერ მეტი. 2009 წლის იანვარ-დეკემბერში აჭარას სტუმრობდა 162 059 უცხოელი ვიზიტორი, ხოლო 2008 წელს კი - 76 218. [11]

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მიუხედავად 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომისა, საქართველოში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ტურისტების ნაკადის ზრდა შეინიშნება.

მაინც რატომაა მიმზიდველი საქართველო ტურისტებისთვის? ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია: თავისი თვალწარმტაცი ბუნებით, მრავალფეროვანი ლანდშაფტით, ულამაზესი კავკასიონის ქედით, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონით, მდინარეებითა და ჩანჩქერებით, კლდეში ნაკვეთი ქალაქებით, კურორტებით და საუცხოო მინერალური წყლებით, უძველესი ისტორიული ძეგლებით, ქალაქებითა და დასახლებებით, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობითა და განთქმული ქართული სამზარეულოთი. საქართველოს თავისი ბუნებრივი რესურსებით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ევროპის რიგ წამყვან ქვეყნებს. საქართველოში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ტურიზმის მრავალი დარგის განვითარებისთვის. სახელდობრ, აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის, კულტურული ტურიზმის, ეკოტურიზმის, რეკრეაციული ტურიზმის, ექსტრემალური ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და სხვათა განვითარებისთვის.

ტურიზმი ის სფეროა, სადაც წარმატება მნიშვნელოვანწილად სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა ტურისტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა გარკვეული ასახვა ჰპოვა ტურიზმის სექტორზეც. შეიმჩნეოდა უცხოელი ტურისტების ნაკლებობა. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, თუ 2007 წელს გუდაურში ჩამოსული ტურისტებიდან 9% ამერიკელი იყო, ხოლო ბაკურიანში – 50%, 2008 წელს ამერიკელი ტურისტი არც ბაკურიანში და არც გუდაურში არ ჩასულა.[12]

თუმცა 2010 წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ამას მოწმობს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, ქვეყანაში ტურიზმის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, 2010 წლის განმავლობაში ამ სფეროს კვლევა განახორციელა. ამის შესახებ დეპარტამენტს რეკომენდაცია გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ გაუწია. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დაკვეთით კვლევა ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა (IPR- აი-პი-არ), რომელიც 2010 წლის 1-22 თებერვლის ჩათვლით მიმდინარეობდა. კვლევა ჩატარდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადახლოს, წითელი ხიდისა და სარფის სახმელეთო-სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში, სადაც ის უცხოელები გამოკითხეს, რომლებიც ქვეყნიდან მიემგზავრებოდნენ. შესაბამისად, მათ საქართველოში ვიზიტი დასრულებული ჰქონდათ და მათ მიერ მიღებული ყველა შთაბეჭდილება ცოცხალი და აქტუალური იყო. კვლევის შედეგად რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა. კერძოდ: მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთა გარდა, საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა შორის გერმანელი, ამერიკელი, ბრიტანელი და ფრანგი მოგზაურები ჭარბობდნენ. ტურისტთა 30%-ის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა საქმიან და პროფესიულ მიზანს უკავშირდებოდა. მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად ტურისტების საერთო რაოდენობის 25% ჩამოვიდა, დასვენებისა და რეკრეაციის მიზნით კი - 23%. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ტურის ორგანიზებისთვის ტურ-ოპერატორების მომსახურებას ტურისტთა მხოლოდ 6,5% იყენებდა. კვლევის ფარგლებში ტურისტებმა მათი თვალით დანახული საქართველოს უნიკალური უპირატესობებიც დაასახელეს, რომელთა შორის მთავარ ადგილს ადამიანური ურთიერთობები, სტუმართმოყვარეობა, კლიმატური პირობები და ქართული სამზარეულო იკავებს. რაც შეეხება ტურიზმის სფეროში არსებულ პრობლემებს, მათ შორის პირველ რიგში მომსახურების დაბალი დონე და კომუნიკაციის ხარვეზები დასახელდა. აღსანიშნავია, რომ ევროპელ ტურისტებს საქართველოში ყველაზე მეტად რთველი, ყურძნის

[11] წყარო: http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=916

[12] წყარო: http://pirveli4ever.wordpress.com/2010/06/23/ტურიზმის-განვითარების-პე/

დაწურვა და ჩურჩხელების ამოვლების პროცესი მოსწონებიათ. ამიტომ ღვინის ტურებზე მოთხოვნა გაიზარდა.

ტურიზმის სექტორი არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი საქართველოში. არსებობს მრავალი შესაძლებლობა ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, დაწყებული საზღვაო კურორტებით გაგრძელებული მთის კურორტებით, სათხილამურო სპორტით, მინერალური წყლებით, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სხვა სახის ტურიზმით. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მდიდარია ტურისტული ღირშესანიშნაობებით. საქართველოში ტურიზმის განვითარების ნათელი მაგალითია აჭარის რეგიონის შავი ზღვის სანაპირო. რეგიონში მოქმედებს პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ბრენდის სასტუმრო ან გახსნის პროცესშია. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს აჭარის რეგიონმა უმასპინძლა საქართველოში ჩამოსული ტურისტების 85%-ს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს რეგიონს - სვანეთს, სადაც ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით შესანიშნავი პირობებია შექმნილი. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემო სვანეთის რეგიონი, რომელიც ტურისტებისათვის მიმზიდველი ადგილია მისი უნიკალური ბუნებისა და უძველესი ისტორიული ძეგლების გამო. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ინვესტიციების მოსაზიდად, მესტიის განვითარების მიზნით. რეგიონს გააჩნია მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში გვხვდება, კერძოდ, ზაფხულის სათხილამურო ტრასა, აქედან გამომდინარე, უშბის ზეგანზე, რომელიც აკმაყოფილებს ოლიმპიურ მოთხოვნებს, შესაძლებელია 5-6 წელიწადში მოეწყოს ათი მაღალი დონის სათხილამურო კურორტი. მესტიის ახალ აეროპორტს გააჩნია შესანიშნავი მდებარეობა. აღნიშნულ აეროპორტში შესაძლებელია ყოველდღიური ფრენების შესრულება, რაც ხელს შეუწყობს მესტიისა და უშგულის მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრებად ჩამოყალიბებას.

დაწყებულია აგრეთვე „ანაკლია-ზუგდიდის თავისუფალი ტურისტული ზონის" მშენებლობა. საქართველოს მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს საუკეთესო კლიმატური პირობების მქონე ზღვისპირა ზოლზე სასტუმროების მშენებლობას. აღსანიშნავია, რომ მთავრობა უფასოდ გადასცემს ინვესტორებს მიწას, სასტუმრო პროექტებსა და კომუნიკაციებს. ამასთან, ინვესტორები 15 წლით გათავისუფლდებიან გადასახადებისაგან და შეეძლებათ ისარგებლონ ფოთი-ანაკლია ზღვისპირა გზით. მთავრობა ასევე უფასოდ მიიყვანს კურორტამდე მინერალურ წყალს. თავისუფალ ტურისტულ ზონაში აშენდება „ანაკლია-ზუგდიდის“ ახალი აეროპორტი და იახტკლუბი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვკვეთოთ ფაქტორთა წრე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მოქმედებენ საქართველოში ტურიზმის განვითარების ტენდენციებზე. ასეთ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

ტურისტების უსაფრთხოება. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. ამ მხრივ ნამდვილად შეინიშნება პოზიტიური ცვლილებები. გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე წლის წინ პანკისში შექმნილი რთული მდგომარეობა, რომელიც კრიმინალებისა და ტერორისტების ბუდედ იყო გამოცხადებული. ეს, ბუნებრივია, უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის უსაფრთხოების იმიჯზე და ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ტურიზმის განვითარებისათვის. დღეისათვის, საბედნიეროდ, ეს პრობლემა აღარ არსებობს. ტურიზმის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები. ქვეყნის შესახებ დადებითი იმიჯის შექმნაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია რეკლამას. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია საქართველოს შესახებ გადაღებული სარეკლამო კლიპი „ზაფხული საქართველოში“ (“Summer in Georgia”), რომელიც ევროპის არაერთ ქვეყანაში გავიდა და განსაკუთრებული მოწონებაც დაიმსახურა.

სავიზო რეჟიმი. შესაძლებელია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით სავიზო ფორმალობების გამარტივება. აქ იგულისხმება რიგ ქვეყნებთან ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმება. ამ მიმართულებითაც შეინიშნება პოზიტიური ძვრები. მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენი მეზობელი თურქეთი და სხვა.

მარკეტინგული გამოკვლევები. ტურიზმის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტული ბაზრების მარკეტინგული გამოკვლევები, რომლებიც სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ბაზრის ანალიზისა და მარკეტინგული კვლევების საფუძველზე სახელმწიფო კერძო სექტორს აწვდის გარკვეულ რეკომენდაციებს მოცემულ სფეროში არსებული პროცესებისა და მათი განვითარების ტენდენციების შესახებ. აუცილებელია აქტიური მუშაობა ტურისტული და საკურორტო პოტენციალის კვლევის თვალსაზრისით.

ინფრასტრუქტურა. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო და სასტუმრო სიმძლავრეების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. გზების რეაბილიტაციის პროექტი დაწყებულია, ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი კიდევ გასაკეთებელია, რაც გარკვეულ დროსა და ფინანსებს საჭიროებს. იმედია, ეს პრობლემაც თანდათანობით მოგვარდება. ამასთან საჭიროა ტურისტული ზონების საკომუნიკაციო სისტემებით უზრუნველყოფა.

სტატისტიკური აღრიცხვა. მართალია ამ მიმართულებით გადაიდგა არსებითი ნაბიჯები, გვაქვს შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია, მაგრამ სასურველია მოხდეს მისი შემდგომი სრულყოფა-მოწესრიგება, რათა მიღებული ინფორმაცია მაქსიმალურად იყოს რეალურთან მიახლოებული.

ადამიანური რესურსები (კადრები). ტურისტული მომსახურების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებდა დაბალი და საშუალო დონის მომსახურე პერსონალის არასათანადო კვალიფიკაცია. ქვეყანაში არ არსებობდა საშუალო სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც ასეთ კადრს მოამზადებდა. თუმცა ნამდვილად მისასალმებელია საქართველოში პროფესიული უმაღლესი სასწავლებლების შექმნა, სადაც შეიძლება შესაბამისი, კვალიფიციური კადრი მომზადდეს ან გადამზადდეს მრავალი მიმართულებით და მათ შორის, რა თქმა უნდა, ტურიზმშიც. სასურველია ტურისტული მომსახურების პროგრესული მეთოდებისა და სტანდარტების შემუშავება-დანერგვა.

კანონმდებლობა. ტურიზმის განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა-დახვეწა, საკურორტო და ეროვნული საპარკო ზონების დაცვის მექანიზმების საკანონმდებლო რეგულირება.

ეკოლოგიური ფაქტორი. გასათვალისწინებელია ეკოლოგიური ხასიათის პრობლემებიც ზოგიერთი ტურისტი ნებსით თუ უნებლიეთ აბინძურებს გარემოს, რაც გარკვეულ ასახვას ჰპოვებს ტურიზმის განვითარებაზეც.

ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრები. უდავოდ ყველასთვის მტკივნეულია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები, სადაც უდიდესი ტურისტული პოტენციალი არსებობს. იმედია ხელისუფლების აქტიური ძალისხმევით მალე დადებითად გადაწყდება ეს პრობლემა.

ამრიგად ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტურიზმის დარგის განვითარების მხოლოდ მკვეთრად ფორმულირებულ კონცეფციას შეუძლია უზრუნველყოს ტურისტული მომსახურების ხარისხის შესაბამისი დონე, რომელიც უპასუხებს მსოფლიო სტანდარტებს და გახდის ქართულ ტურიზმს კონკურენტუნარიანს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები არ არის მხოლოდ ტურიზმის დეპარტამენტის გადასაწყვეტი. ბუნებრივია, სასურველი შედეგი მხოლოდ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინირებული მუშაობითა და ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

ჩვენი აზრით საჭიროა, დღევანდელ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოება, ერთიანი საინფორმაციო-სარეკლამო სამსახურის შექმნა, ინტერნეტის შესაძლებლობების ფართოდ გამოყენება. აუცილებელია სწორი და მიზანდასახული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ამ სფეროში ლიბერალიზაციის გაძლიერებისაკენ, უცხოური და ადგილობრივი ინვესტორების მხარდაჭერისაკენ. საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის მხარდაჭერა, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და ჩართვა ტურიზმის განვითარებაში, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებათა გათვალისწინება და ა.შ.

ტურიზმისთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებთან და ეროვნულ პარკებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. შრომით, საგადასახადო კანონმდებლობას და სამოქალაქო კოდექსს კი უმთავრესი როლი ენიჭება ტურიზმის განვითარების საქმეში. ასე რომ ჩვენს ქვეყანაში, ტურიზმის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე სისტემატური ზრუნვა საერთაშორისო კონფერენციების, შეთანხმებები ევროკავშირისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), თბ., 2008;
2. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008
3. http://ucnauri.com/2010/საქართველოს-ტურიზმი
4. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=925
5. http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=916
6. http://pirveli4ever.wordpress.com/2010/06/23/ტურიზმის-განვითარების-პე/

7. http://24saati.ge/index.php/category/business/2010-04-25/5806.html
8. http://un.mfa.gov.ge/index.php?lang_id=Geo&sec_id=25

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები

სოფიო ცეცხლაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლალი ოსაძე**, აკადემიური დოქტორი

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს ეკონომიკურ გაჯანსაღებაში. წლებია, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუძემდებლური პრობლემაა მსოფლიო ცივილიზაციაში, მეურნეობაში თანასწორუფლებიანი და ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თავისი ისტორიით, კულტურით, შესაძლებლობებით საქართველოს სამართლიანად ეკუთვნის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში.

1999 წლის ოქტომრიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია, 2000 წლის ივნისიდან კი მისი სრულუფლებიანი წევრი. მსო-ს წევრობა საქართველოსათვის ნიშნავს მსოფლიო ეკონომიკაში მის სრულ ინტეგრირებას, საგარეო ბაზრის გახსნას ქართული ექსპორტისათვის, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, სატრანზიტო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ეკონომიკური ინტერესების დაცვას. მსო-ს მექანიზმებით და აქედან გამომდინარე, სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 6678 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1583 მლნ. აშშ დოლარი იყო (40 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი – 5095 მლნ. აშშ დოლარი (17 %-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2010 წელს 3512 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (9 %-ით მეტი).

2003-2008 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდებოდა. მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, 29,5%-ით შემცირდა. თუმცა. 2010 წელს უკვე შეინიშნება ზრდა და განსაკუთრებით მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევა იმპორტი.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის დინამიკა 2003-2010 წლებში

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010 9 თვე
ბრუნვა	1 606,4	2 494,8	3 357,6	4 613,0	6 447.3	7 800.6	5 500,0	4 608.0
ზრდის ტემპი (%)	48,9%	55,3%	34,6%	37.4%	39.8%	21.0%	-29.5%	17.0%
ექსპორტი	465,3	646,9	866,7	936,0	1 232.4	1 496,0	1 130,0	1 098.0
ზრდის ტემპი (%)	33,8%	39,0%	34,0%	8.0%	31.7%	21.4%	-24.5	3540%
იმპორტი	1 141,1	1 847,9	2 490,9	3 677,0	5 214,9	6304,6	4 369,5	3 511
ზრდის ტემპი (%)	56,0%	61,9%	34,8%	47,6%	41,8%	20,9%	-30.7	13,0%
სალდო	-6 75,8	-1 201,0	-1 624,2	-2 741,0	3 982,5	-4 560,0	-3 243,4	-2 413.0

2010 წლის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან, 1736 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13%-ით მეტია. აქედან, ექსპორტი 297 მლნ აშშ დოლარი იყო (25%-ით მეტი), ხოლო იმპორტი-1439 მლნ აშშ დოლარი (10%-ით მეტი).

გაიზარდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ს ქვეყნებთან და 2195 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (2009 წელთან შედარებით 31%-ით მეტი). აქედან, ექსპორტი 644 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა (წინა წელთან შედარებით 55%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 1551 მლნ აშშ დოლარი (წინა წელთან შედარებით 24%-ით მეტი).

2010 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67 პროცენტი შეადგინა. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის იყო თურქეთი (1105 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (708 მლნ. აშშ დოლარი), უკრაინა (662 მლნ. აშშ დოლარი), გერმანია (362 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (358 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (354 მლნ. აშშ დოლარი).

2010 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები 138 ქვეყანასთან ჰქონდა.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010 წლის ბრუნვის მიხედვით

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	**1 583 397,0**	**100,0**	**5 095 072,8**	**100,0**	**6 678 469,9**	**100,0**
მათ შორის:						
თურქეთი	216 049,4	13,6	888 644,6	17,4	1 104 694,0	16,5
აზერბაიჯანი	243 989,3	15,4	464 112,5	9,1	708 101,7	10,6
უკრაინა	103 334,4	6,5	558 900,6	11,0	662 235,0	9,9
გერმანია	31 762,0	2,0	330 018,5	6,5	361 780,5	5,4
ჩინეთი	24 250,5	1,5	334 318,6	6,6	358 569,1	5,4
აშშ	180 498,8	11,4	173 401,5	3,4	353 900,4	5,3
რუსეთი	34 298,3	2,2	279 672,9	5,5	313 971,2	4,7
სომხეთი	160 289,7	10,1	45 547,6	0,9	205 837,3	3,1
ბულგარეთი	62 105,9	3,9	131 723,1	2,6	193 829,0	2,9
არაბთა გაერთიანებული ემირატები	27 793,5	1,8	159 229,6	3,1	187 023,1	2,8
დანარჩენი პარტნიორი ქვეყნები – სულ	499 025,2	31,5	1 729 503,3	33,9	2 228 528,5	33,4

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2010 წელს (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველოში, 2010 წლის ექსპორტის რაოდენობა შეადგენდა 1 583 387 ათას აშშ დოლარს, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ჩამონათვალი ექსპორტის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: აზერბაიჯანი - 15,4%, თურქეთი - 13,6%, აშშ - 11,4%, სომხეთი -10,1%, უკრაინა - 6,5%, კანადა - 5,5 %, ბულგარეთი - 3,9%, ყაზახეთი - 3,0%, რუსეთი - 2, 2%, ესპანეთი -2,1%, სხვა ქვეყნები - 26,2%

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი უკავია ფეროშენადნობებს 264 მლნ. დოლარი (მთელი ექსპორტის 17 %), მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 227 მლნ. აშშ დოლარი (მთელი ექსპორტის 14 %), მესამე ადგილზე დარჩა შავი ლითონების ჯართი. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი 46 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 109 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციის ათეული 2010 წელს (%)



საქართველოში 2010 წლის იმპორტის რაოდენობა შეადგენდა 5 095 072,8 ათას აშშ დოლარს, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ჩამონათვალი იმპორტის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი - 17,4%, უკრაინა - 11,0%, აზერბაიჯანი - 9,1%, ჩინეთი -6,6%, გერმანია - 6,5 %, რუსეთი - 5,5%, აშშ - 3,4%, არაბთა გაერთიანებული ემირატები - 3,1%, რუმინეთი - 2,7%, იტალია - 2,6%, სხვა დანარჩენი ქვეყნები - 32,1%.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2010 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო - 695 მლნ. აშშ დოლარი (მთელი იმპორტის 14%), მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი - 310 მლნ. აშშ დოლარი (მთელი იმპორტის 6%), მესამე ადგილზე კვლავ სამკურნალო საშუალებები დარჩა - 188 მლნ. აშშ დოლარი (მთლიანი იმპორტის 4 %).

უმსხვილესი საიმპორტო პროდუქციის ათეული 2010 წელს (%)



საქართველოს მთვრობის 2007-2010 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ერთის მხრივ ჰარმონიზირებულ და გამარტივებულ საბაჟო კანონმდებლობაზე დაყრდნობით საგარეო ვაჭრობის გადიდება ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ ზრდას. საქართველოს ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული რეჟიმი აქვს. 2007 წლიდან პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე გაუქმდა საიმპორტო ტარიფები. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. 2008 წლამდე საგარეო ვაჭრობის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, თუმცა უარყოფითი სავაჭრო ბალანსით. ომის შემდეგ კი მკვეთრად შემცირდა საგარეო ვაჭრობის წილი ეკონომიკაში ისე, როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში.

ეკონომიკის ექსპერტებთან ერთად საქართველოს მთავრობასაც გაცნობიერებული აქვს, რომ უარყოფითი სავაჭრო სალდო - სხვაობა იმპორტსა და ექსპორტს შორის - უნდა შემცირდეს. როგორც აღვნიშნეთ, ქართული ექსპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში ხორციელდება და ის მხოლოდ აზერბაიჯანში განხორციელებულ ექსპორტს ჩამორჩება. ექსპერტების აზრით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კარგია, მაგრამ, ის როდესაც ერთპოლუსიანი ხდება, გარკვეული რისკის მატარებელიცაა. ამ რისკის შემცირება შეიძლება ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებით. ამ მხრივ, თავისი წვლილი უკვე შეაქვს მომსახურების ექსპორტს, ძირითადად ტურიზმს. თუმცა, ტურიზმის გარდა საექსპორტო წარმოების სხვა დარგების განვითარებასაც თითქოს ხელს არაფერი უნდა უშლიდეს. მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა საქმეს ვერ შველის. ქართველი ბიზნესმენების პასიურობის მიზეზი თავად ბიზნესის შიგნით არსებული პრობლემებიცაა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეტი განათლების მიღების აუცილებლობა და ახალი ბაზრების შესწავლა-ათვისება. ქართული კომპანიები მრავალფეროვანი და საექსპორტო პროდუქციის წარმოებას ვერ ახერხებენ. დიდია კონკურენცია ევროკავშირის ბაზარზე და ჩვენს მწარმოებლებს უჭირთ მარკეტინგი ამ ბაზარზე იმიტომ, რომ მათთვის არატრადიციული ბაზრებია.

ინტერნეტ–რესურსები:

1. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/External%20Trade%20of%20Georgia%20in%202010-GEO.pdf
2. http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=74&lang_id=GEO
3. http://www.economy.ge/upload-file/pdf/trade%20anaysis%20rev..pdf
4. http://government.itdc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=184&info_id=31548

ინფლაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ნატო წერეთელი, ანი ახალბედაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე**, სრული პროფესორი

ინფლაცია არის ქვეყანაში საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდის პროცესი. იგი არ ნიშნავს უკლებლივ ყველა საქონელსა თუ მომსახურებაზე ფასის ზრდას. შესაძლებელია არსებობდეს პროდუქცია, მაგალითად, კომპიუტერები, რომლებზედაც ფასი იკლებს უკანასკნელი წლების განმავლობაში. ინფლაციის მაჩვენებლის მიღებისას ანგარიშობენ მხოლოდ განსაზღვრული სასაქონლო კატეგორიის (სამომხმარებლო კალათი) ფასების ცვალებადობას. შესაბამისად, ინფლაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფასების დონის საზოგადო ზრდა. ინფლაციის გაზომვის მიზნით განისაზღვრება „ტიპიური“ მოქალაქის „სამომხმარებლო კალათა“, რომელიც შედგება სხვადასხვა მოხმარების საქონლისა და მომსახურებისგან. შემდგომ ხდება კალათის ღირებულების ცვლილების აღრიცხვა-დაკვირვება. ინფლაციის საზომი ერთეულია სამომხმარებლო ფასების ინდექსის ზრდა ისევე, როგორც კილოგრამი გახლავთ წონის საზომი ერთეული.

ეკონომისტები ერთხმად თანხმდებიან, რომ მაღალი ინფლაცია გვევლინება ეკონომიკური პრობლემების ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ ფაქტორად და ხშირად წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების საფუძველს. ამასთანავე, ეკონომეტრიკულად დამტკიცებულია, რომ დაბალი ინფლაცია სტაბილური ეკონომიკური განვითარების საწინდარია. ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დაბალი მაჩვენებელია, გაცილებით მაღალია შემოსავლები, ვიდრე ქვეყნებში, სადაც მაღალი ინფლაციაა.

ინფლაცია ეკონომიკაზე უარყოფითად სხვადასხვა მიზეზების გამო აისახება:

დანაკარგები დანაზოგებში. თუ თქვენს დანაზოგს ფულად გამოსახულებაში ინახავთ, მაშინ ინფლაცია მის მსყიდველობით უნარს ამცირებს. მაგალითად, თუ თქვენ 2006 წელს თქვენი ხელფასიდან გადადეთ თანხა, რათა საცხოვრებელი ფართი შეგეძინათ, წელს ამ თანხით იგივე ფართს ვეღარ შეიძენთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ დანაზოგს დეპოზიტის სახით ინახავთ, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი შეიძლება უფრო ნაკლები აღმოჩნდეს, ვიდრე ინფლაცია და მისგან მიყენებული ზარალის კომპენსაცია ვერ შეძლოს. ინფლაცია განსაკუთრებით აზარალებს დიდი ხნის განმავლობაში დაგროვებულ დანაზოგებს (მაგალითად, პენსიაზე გასასვლელად) და პენსიაზე გასვლისას შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ თქვენს მიერ შეგროვებული თანხით ბევრს ვეღარაფერს შეიძენთ.

ფიქსირებული შემოსავლების მქონე მოქალაქეების დაზარალება. ფიქსირებული შემოსავლების მქონე მოქალაქეები (საჯარო სამსახურში დასაქმებულები, პენსიონერები და სხვა) ხვდებიან, რომ მათი შემოსავლების მსყიდველობითი უნარი თანდათან იკლებს. მდიდრებს კი, პირიქით, ნაწილობრივ შეუძლიათ დაიცვან თავი ინფლაციისგან ისეთ აქტივებში ინვესტირების შედეგად, როგორიცაა უძრავი ქონება (სახლები, მიწები), ანუ ისეთი საქონელი, რომლის ფასიც ინფლაციის დროს კიდევ უფრო მატულობს. შესაბამისად, ინფლაცია ზრდის უთანასწორობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ბიზნესის ზარალი. თუ თქვენი ბრუნვის მოცულობა ინფლაციის პარალელურად იზრდება, მაგრამ ამასთანავე არ იცვლება მცირე ბიზნესის დაბეგვრის ზღვარი, თქვენ, შესაძლოა, მცირე ბიზნესის რიგებიდან საშუალოში გადაინაცვლოთ და, შესაბამისად, თქვენზე უფრო დიდი საგადასახადო ტვირთი გავრცელდება.

მწარმოებლებისთვის დამაბნეველი ბაზრის სიგნალები და ბიზნესის ექსპანსიის შემცირება. პროდუქციაზე გაზრდილი ფასი ჩვეულებრივ გამოხატავს მასზე მოთხოვნის გაზრდის სიგნალს, მისი გაყიდვიდან მეტი მოგების მიღების საშუალებას, მისი წარმოებისთვის მეტი თანამშრომლების დაქირავებისა და მეტი რესურსის დახარჯვის საფუძველს. თუმცა, ინფლაციის დროს, პროდუქციაზე ფასის ზრდა შესაძლებელია უბრალოდ გამოწვეული იყოს ფასების საზოგადო ზრდით ინფლაციური პროცესების გამო, ან იმიტომ, რომ პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზარდა. მწარმოებლებმა, რომლებმაც არ იციან, თუ რა მიზეზით მოხდა ფასების ზრდა, შესაძლოა თავი შეიკავონ თავიანთი ბიზნესის გაფართოებისგან, სინამდვილეში კი, ხელიდან გაუშვან პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის საპასუხოდ ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა.

სპეკულაციური პროცესების განვითარება. მაღალი ინფლაციისა და ფინანსური არასტაბილურობის გარემო ხელს უწყობს სპეკულაციური პროცესების განვითარებას, რაც გამოიხატება არსებული უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით, ნაცვლად წარმოებისა და დასაქმების ზრდისა.

სოციალური დაძაბულობა. მაღალი ინფლაციის დროს საზოგადოება უფრო აქტიურდება შემოსავლების რედისტრიბუციის კუთხით და ყველა ცდილობს მოიპოვოს უფრო დიდი მოგება, მეტი ხელფასი ან თანამდებობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იზრდება საზოგადოების პოლარიზაცია, ეს, საბოლოო ჯამში დამანგრევლად აისახება საზოგადოების ერთიანობაზე და სოციალურ დაძაბულობას იწვევს. ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანების მიერ ზოგჯერ კეთდება განცხადებები, რომ მაღალმა ინფლაციამ შესაძლოა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება გამოიწვიოს. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ძალიან ადვილია ეკონომიკას მეტი ფული მიაწოდო (დაბეჭდო, ისესხო და ა.შ.) და შედეგად მართლაც მიიღო ეკონომიკური ზრდა, უღარიბეს ქვეყნებსაც კი შეუძლიათ ამის გაკეთება. ბუნებრივია, ამით რომ ეკონომიკური ზრდა მიიღწეოდეს, ღარიბი ქვეყნები აღარც იარსებებდნენ. თუ ფული იმისათვის იბეჭდება, რომ ეკონომიკის სტიმულირებას შეუწყოს ხელი, ეს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში იმუშავებს, მაგრამ ადამიანები მალე ხვდებიან, რაც ხდება და მეტი პროდუქციის წარმოების ნაცვლად იწყებენ ფასების და ხელფასების სწრაფ ზრდას. საბოლოოდ, ქვეყანა იღებს მაღალ ინფლაციას ყველა იმ უარყოფითი შედეგით, რაც ზემოთ აღვწერეთ და ეკონომიკური ზრდის სანაცვლოდ ფინალი გაჩანაგებული ეკონომიკაა.

	2005	2006	2007	2008	2009	2010
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	108.2	109.2	109.2	110.0	101.7	107.1
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	106.2	108.8	111.0	105.5	103.0	111.2
წლიური ინფლაციის დონე	6.2	8.8	11.0	5.5	3.0	11.2

სწორედ ამ მიზეზების გამო, ინფლაციის პრევენცია – ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენს მონეტარული პოლიტიკის მთავარ ამოცანას. ის გვევლინება სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ უპირობო საფუძვლად.

ქართული ლარის კურსი უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად შეიცვალა - გამოიკვეთა ინფლაციის ზრდის ტენდენცია. დეკემბრის მონაცემებით, ქვეყანაში ორნიშნა ინფლაციაა, რაც ბოლო ორი წლის მანძილზე მაქსიმალურია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, გასული წლის დეკემბერში წლიური ინფლაციის დონემ 11,2 პროცენტი შეადგინა, რაც, ეკონომიკის ექსპერტთა შეფასებით, უკიდურესად უარყოფითი მაჩვენებელია. არაერთხელ დასახელდა ინფლაციის გამომწვევი მიზეზები. ინფლაცია სხვადასხვა ფაქტორს დაბრალდა - საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობსა და ხორბალზე ფასის ზრდას, რასაც, შესაბამისად, სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვა. რეალურად კი, საერთაშორისო სტანდარტებითა და განმარტებებით, ინფლაციის მიზეზი ფულის მასის ზრდაა. ნებისმიერ ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა და მან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ყველა დასაშვები და შესაძლებელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს. რაც შეეხება ქართულ ეროვნულ ვალუტას, ინფლაციის გამომწვევ მიზეზებზე, გარდა ეკონომიკის ექსპერტებისა, გასული წლის დეკემბერში სახელისუფლებო წრეებშიც დაიწყეს საუბარი. საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის განცხადებით, 2010 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას სწორედ ინფლაცია წარმოადგენდა, ამიტომ 2011 წლისთვის მისი შეჩერება და დაბალ ნიშნულამდე დაყვანა მთავრობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ეკონომიკის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი მუშაობის გარეშე ინფლაციის დონე და ფასები კიდევ უფრო მოიმატებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები მკვეთრად არის გაზრდილი. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აღნიშნავს, რომ სებ-ი ინფლაციური წნეხის შესაკავებლად მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს აამოქმედებს ისე, რომ ინფლაცია ერთციფრა ნიშნულზე შენარჩუნდეს და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ხუთ პროცენტზე ქვევით არ ჩამოვიდეს. მისივე თქმით, „სახელმწიფო სტრუქტურა გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან ინფლაციის გამომწვევი ფაქტორების 90 % გარე შოკებია. ინფლაციას უმეტესად საერთა-

შორისო ბაზარზე ძირითადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების გაძვირება განაპირობებს. ეროვნულ-მა ბანკმა ამ საკითხზე მუშაობა ექვსი თვის წინ დაიწყო. კერძოდ, სებ-მა გაზარდა მონეტარული პოლიტი-კის განაკვეთი და სადეპოზიტო სერტიფიკატებით ჭარბი ფულის ამოღება; გაამკაცრა სარეზერვო და პრუ-დენციული მოთხოვნები (გაიზარდა ლიკვიდობის და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები). 20 იანვრიდან უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე სარეზერვო ნორმა 5 პროცენტიდან 10 პროცენტამ-დე გაიზარდა, 17 თებერვლიდან კი 15 პროცენტამდე მოიმატებს".

ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა ეროვნული ბანკის ძალისხმევას, შეამციროს ინფლაციის მაჩ-ვენებელი, დადებითად აფასებს. მისი განცხადებით, ეროვნული ბანკის პოლიტიკა ინფლაციურ პროცე-სებთან მიმართებაში სრულიად ადეკვატურია, თუმცა რეალურად ინფლაციურ პროცესებზე პასუხისმგე-ბელი მხოლოდ ეროვნული ბანკი არ არის. აუცილებელია მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედება. ეკო-ნომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 2011 წლისთვის ინფლაცია ქართული ეკონომიკისთვის მთავარი გა-მოწვევა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ფასების ზრდას სპეციალისტები, ძირითადად, საერთაშორისო ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატებით ხსნიან, სახელდება სხვა, შიდა განმაპირობე-ბელი ფაქტორებიც, რომელსაც გაცილებით ღრმა მიზეზები აქვს. ეს არის ქვეყანაში არსებული მონოპოლიური და ოლიგოპოლიური კომპანიები. საწვავის ბაზარი, შაქრის ბაზარი, რამდენიმე კატეგორიის ბაზარი არის ოლიგოპოლიური. ეს განაპირობებს იმას, რომ ხელოვნურადაა გაზრდილი ფასები. იგივე მობილური კომპანიების მხრიდან იყო ხელოვნურად გაზრდილი ფასები და მანამ ვერ მიხვდნენ ამას, სანამ მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ზღვრული ფასები არ დაუდგინა.

ფასების მატება საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აწუხებს. სურსათის გაძვირების შიშით ხალხმა პირველადი მოხმარების პროდუქტების მომარაგება დაიწყო. თბილისში ბევრი სავაჭრო ობიექტის დახლებიდან უკვე გაქრა შაქარი, რადგან მოსახლეობა ერთბაშად დიდ პარტიებს ყიდულობს. ამასთან, ბევრი მაღაზია თავს იკავებს გაძვირებული შაქრის შესყიდვისგან. მომწოდებლებმა ტომარაზე 6 ლარი მოუმატეს და მისი ჩაბარების ფასი უკვე 120 ლარს გადასცდა. შუამავლები, რომლებიც შაქარს ბითუმად ყიდულობენ და შემდეგ აფასოებენ, შაქრის მონოპოლისტ მომწოდებელ „ქუოლიტი შუგარის" საწყობებს მიაწყდნენ. საბითუმო იმპორტიორის ოფისთან ტრაილერების გრძელი რიგები დადგა. თუმცა კომპანია ირწმუნება, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს და საკმარისი პროდუქტი აქვს მომარაგებული. მოსახლეობა ფქვილს, ზეთს, ბრინჯს, მაკარონსა და სხვა სურსათსაც იმარაგებს.

ინფლაციის თითქმის 80%-იანი წილი სწორედ სურსათის ფასებზე მოდის. ამას დაემატა საწვავის, სატრანსპორტო დანახარჯების გაძვირება, გაიზარდა კომუნალური ხარჯები... მაგრამ ფასები ამ ნიშნულზე გაჩერებას არ აპირებს. ეროვნული ბანკის სპეციალისტების პროგნოზით, ინფლაცია რამდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მოიმატებს და ფასები მხოლოდ წლის მეორე ნახევარში დასტაბილურდება. მოსახლეობისთვის, რაც ყველაზე მტკივნეულია, ფასები მოიმატებს პირველადი მოხმარების პროდუქტზე. წისქვილკომბინატებს ახალი წლის შემდეგ $15-ით გაზრდილი ფასით უწევთ ხორბლის უკრაინიდან შემოტანა, ყაზახეთიდან კი $25-ით გაუძვირდათ, სადაც ფასებმა მსოფლიო ბირჟების გავლენით მოიმატა.

ერთ ტონა ფოთამდე მოტანილ უკრაინულ ხორბალში მათ $415 დოლარი, ხოლო გარდაბნამდე მოტანილ ყაზახურ ხორბალში $380 დოლარი გადაიხადეს. გადამუშავების შემდეგ ტომარა ფქვილს გორის „კარმენი", კაჭრეთისა და მარნეულის წისქვილკომბინატები გასული კვირის ბოლოს 46,5 ლარად ყიდდნენ, რაც ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასი იყო. ცოტა უფრო ძვირი, 48 ლარი ღირს ფქვილი სხვა წისქვილკომბინატებში. როგორც წისქვილკომბინატებში ამბობენ, დაახლოებით ორ კვირაში მსოფლიო ფასების გავლენით ტომრის ფასი 1-2 ლარით კიდევ მოიმატებს. სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღწევს ხოლმე საქართველომდე იმპორტიორ ქვეყნებში ხორბლის გაძვირება. 20 დღის შემდეგ ის უკვე პურის ფასზეც აისახება.

შემდეგ რა მოხდება, არავინ იცის. ხორბლის როგორი მოსავალი მოვა ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში, მარტში გაირკვევა. არაპროგნოზირებადი სიტუაციაა რუსეთშიც, სადაც შარშანდელმა გვალვამ მარცვლეულის მსოფლიო დეფიციტის შექმნაში დიდი როლი ითამაშა. მწირი მოსავლის გამო რუსეთმა ფქვილის ექსპორტი შეწყვიტა. ცოტა ხნის წინ მოსკოვმა განაცხადა, რომ ექსპორტი ისევ აღადგინა, თუმცა მხოლოდ სიტყვით. ფქვილის რუსეთიდან გატანა ისევ პრობლემად რჩება. კიდევ ერთმა მსხვილმა ექსპორტიორმა უკრაინამ ჯერ განაცხადა, ექსპორტზე დაწესებულ კვოტებს თებერვლისთვის მოვხნიო, მაგრამ გადაწყვეტილება მალევე უარყვეს.

მსოფლიო ბირჟებზე კი ხორბალი კვლავ ძვირდება. ტუნისში, ფასების მატებით გამოწვეული არეულობის შემდეგ, ხორბლის პანიკური შესყიდვები დაიწყეს. გაზრდილი მოცულობით ყიდულობს ხორბალს ალჟირი და ლიბიაც. ეგვიპტემ ერთ დღეში ბირჟაზე ერთბაშად 1 მილიონი ტონა ხორბალი შეისყიდა, რამაც ბირჟებზე პანიკა დათესა.

ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნის, არგენტინის მთავრობამ განაცხადა, რომ შესაძლოა მარცვლეულის ქვეყნიდან გატანა შეზღუდოს და ექსპორტზე კვოტები დააწესოს. ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ადგილობრივმა ფერმერებმა სიმინდი და სოიო გააძვირეს. პურის დეფიციტით შეშინებულმა ქვეყნებმა სახელმწიფო რეზერვების შექმნა დაიწყეს. რეზერვების დიდი მოცულობით შევსების შესახებ განაცხადა თურქეთმაც.

სახელმწიფო რეზერვების შექმნაზე საუბარი საქართველოშიც დაიწყეს. როგორც ამბობენ, ხორბლის დარეზერვებაზე მუშაობა სოფლის მეურნეობის სამინისტროში უკვე დაიწყო. ჯერჯერობით არ ჩანს ხორბლის დაპირებული პარტია უკრაინიდან, რომელსაც საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაპირდნენ. თუმცა თბილისში მაინც იმედი აქვთ, რომ კიევი პირობას შეასრულებს, მეგობარი ქვეყნისთვის საექსპორტო კვოტას მოხსნის და ხორბალს შეღავათიან ფასში მოაწვდის.

საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის ინფორმაციით, ამ დროისთვის წისქვილკომბინატებში 140 ათასი ტონა ხორბლის მარაგია, ხოლო კიდევ 35 ათას ტონას იმპორტიორები თვის ბოლომდე შემოიტანენ.

ხორბლის გაძვირების კვალდაკვალ კვების სხვა უმთავრესი პროდუქტიც ძვირდება. რეკორდსმენი კვლავაც შაქარია, რომლის ფასმა ბოლო დღეებში კიდევ 5%-ით მოიმატა. წლეულს გაორმაგებულია კარტოფილის ფასიც, გაძვირდა ბრინჯი. მწვავედ დეფიციტურია წიწიბურა, რომელიც არც რუსეთში იშოვება და ვეღარც უკრაინიდან შემოაქვთ. მსოფლიო ტენდენციის გავლენით მოსალოდნელია ყავაზე ფასის ზრდაც. მზესუმზირის ზეთის შესასყიდი ფასი უცხოეთის ბაზრებზე 20%-ით გაძვირდა. ფასებმა ყველა სახეობის სურსათზე მოიმატა. რასაც ვტვირთავთ, იანვრიდან ყველაფერი 5-10%-ითაა გაძვირებული. გაძვირდა მაიონეზი, ყველი, ვერმიშელი, ჰერკულესი, რომელიც უკრაინიდან შემოგვაქვს. უკრაინელი მომწოდებლები მიზეზად მსოფლიოში შექმნილ სურსათის დეფიციტს ასახელებენ. დეფიციტია წიწიბურაც, რომელიც ადრე უკრაინიდან შემოგვქონდა, მაგრამ ახლა აღარსად იშოვება. დაახლოებით ერთი თვე არ იქნება და მერე თუ გამოჩნდა, ცხადია, ფასი მომატებული ექნება. ჩვენ ზეთის იმპორტზე არ ვმუშაობთ, მაგრამ ვიცი, რომ რუსული ზეთი გაძვირდა. რადგან ფასები ხშირად იცვლება, ზეთი არარენტაბელურია და ამიტომ აღარ შემოგვაქვს.

ფასების ზრდას ჯერჯერობით არ გეგმავს ქართული ზეთის მწარმოებელი „ბათოილი“, რომელიც ქართულ ზეთს „მზიურის“ სახელით ყიდის. თუმცა ამბობენ, რომ მომავალში ყველაფერი ნედლეულის ფასებზე იქნება დამოკიდებული. მაღალი ინფლაციის ფონზე შვიდწლიან რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია საარსებო მინიმუმმა, რომელიც 1-ელი იანვრისთვის 149,5 ლარს შეადგენს და ბოლო შვიდ წელიწადში 53,3 ლარითაა მომატებული. (2004 წლის ბოლოს საარსებო მინიმუმი ზრდასრული ასაკის მამაკაცისთვის 96,2 ლარი იყო. 2005 წელს - 98,3 ლარი, 2006 წელს - 120,3 ლარი, 2007 წელს - 115,9 ლარი, 2008 წელს - 130,7 ლარი, 2009 წელს - 126,1 ლარი და 2010 წელს 149,6 ლარამდე გაიზარდა). საარსებო მინიმუმს სტატისტიკის სამსახური ძირითადად სასურსათო კალათის საფუძველზე ანგარიშობს და 40 დასახელების ყველაზე აუცილებელ პროდუქტს აერთიანებს. კალათაში შემავალ სურსათის ჩამონათვალს ჯანდაცვის სამინისტრო ადგენს, იმის შესაბამისად, შრომისუნარიან მამაკაცს არსებობისთვის ყოველდღიურად რამდენი კალორია სჭირდება. საარსებო მინიმუმის ღირებულებაში 70% სურსათის წილად მოდის, 30% არასასურსათო ხარჯებს უკავია.

კანონმდებლობით, საარსებო მინიმუმის საფუძველზე უნდა განისაზღვრებოდეს პენსიისა და სოციალური დახმარების ოდენობა. მოძველებულია საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიაც. ის 2003 წლის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ დაადგინა და აღარ შეცვლილა (მაგალითად, გათვალისწინებულია, რომ ზრდასრულმა მამაკაცმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს 250 გრამი ხორბლის პური, ლობიო - 20 გრ, ძროხის ხორცი - 40 გრამი, ღორის ხორცი - 10 გრამი, თევზი - 40 გრ, კარტოფილი - 150 გრ, შაქარი - 50 გრ. ღვინო - 20 გრ და ა.შ). არადა, მას შემდეგ შეიცვალა მოსახლეობის მოთხოვნილებები სურსათზეც და არასასურსათო ხარჯების ოდენობაც.

ფასები უკვე კრიტიკულ სიმაღლეებს იპყრობს და არაერთი სახელმწიფო სოციალური აფეთქების ზღვარზეა. ნაკლებად დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის სურსათის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყნებიდან. კვლავაც წყალდიდობაა ბრაზილიაში, პაკისტანში, ავსტრალიაში. სურსათზე მოთხოვნა კი კვლავ იმატებს, რაც მსოფლიოს სურსათის დეფიციტს უქადის.

სოციალურ მდგომარეობას ამძიმებს საწვავის გაძვირება. „ლუკოილმა“, „ეკო ჯორჯიამ“, „ვისოლმა“ საწვავის ფასი ყველა სახეობაზე 5-10 თეთრით გაზარდეს. ეჭვს არ იწვევს, რომ მათ მალე სხვა კომპანიებიც შეუერთდებიან. ბოლო 4 თვეში ბრენტის ტიპის ნავთობი ბირჟებზე 15%-ით გაძვირდა და ბარელზე $98-ს მიაღწია. ამ ვითარებაში კიდევ უფრო მატულობს სპეკულაციური გარიგებები ბირჟებზე, ეს კი, თავის მხრივ, ფასების ხელოვნურ გაზრდას იწვევს.

გამოსავალი ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასა და ფინანსთა სამინისტროს მიერ ფისკალური პოლიტიკის გატარებაშია: უნდა შემცირდეს სახელმწიფო ხარჯები, შემცირდეს ბიუჯეტში დეფიციტი შეიქმნას ანტიმონოპოლისტური სამსახური, რომელიც მკაცრად გააკონტროლებს ქვეყანაში არსებულ მონოპოლისტურ საწარმოებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა მოხდეს ახალი პროგრამის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საკვები პროდუქტების ადგილზე წარმოებას და შეამცირებს იმ სიმწვავეს, რომელიც დღევანდელ ინფლაციას ახლავს თან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რასაც ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ - ინფლაციასთან ბრძოლისას კომპლექსური მიდგომაა საჭირო და აქ მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა ერთად უნდა იმოქმედონ, რადგან მხოლოდ ცენტრალურ ბანკს, რამდენად ეფექტურადაც არ უნდა იყენებდეს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს, ინფლაციასთან ბრძოლა და მისი შემცირება გაუჭირდება.

ლიტერატურა:

1. www.presa.ge
2. www.commersant.ge
3. www.bec.ge
4. www.internet.ge
5. www.geostat.ge
6. www.banksandfinance.ge
7. www.imf.ge
8. www.netgazeti.ge

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

ამირან ხაბაზიშვილი, ნინო ჩიტაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის, განვითარებისა და მდიდარი საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთ და ძირითად გზას თავისუფალი მეწარმეობა და ბიზნესი წარმოადგენს. ამიტომაც ქვეყანაში ყველა პირობა უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც მის რეგიონებს, ისე მთლიანად ქვეყანას. ასეთ პირობებში აუცილებელია სწორი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რას ველით მცირე და საშუალო ბიზნესიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგვარებას, რეგიონალური და მაღალმთიანი რაიონების პოლიტიკის განხორციელებას და მრავალ სხვა ამოცანათა განხორციელებას. მთლიანობაში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებიდან ჩვენ ველით ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა სახე არის განვითარებული, რაც ახასიათებს განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ შესაძლებელია ყველა იმ ბიზნესის წამოწყება, რომლებიც არსებობს დასავლეთის ან აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ყველაზე მყარ, ნაკლებად საფრთხიან და ურისკო ბიზნესად შეიძლება მაინც ჩაითვალოს ბიზნესი უძრავ ქონებაში, საბანკო ბიზნესი, ფასიანი ქაღალდების ბიზნესი. მერე მოდის ვაჭრობა, ტურიზმი, წარმოება, მომსახურება და ასე შემდეგ. სახელმწიფოს როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არის დაფუძნებული. მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოს დახმარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც

საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშვება და, შეიძლება ითქვას, არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში.

ჩვენ გამოვიკვლიეთ, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე ბიზნესს, რა როლს თამაშობს სახელმწიფო მის განვითარებაში და შევეცადეთ, პარალელი გაგვევლო ქართულ რეალობასთან. მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. საწარმოს ზომისა და მეწარმის გამოუცდელობის გამო არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ მეწარმე შეძლებს კრედიტის დროულ დაფარვას. ამგვარი პრობლემები დიდ ზიანს აყენებენ მცირე ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მცირე ბიზნესი იდეალურად ლიბერალურ პირობებში ვერ განვითარდებოდა.

პირველად მსოფლიოში მცირე ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო. სახელმწიფო კერძო საფინანსო სამსახურს აძლევს სესხის ნაწილის დაფარვის გარანტიას. კერძოდ, თუ მცირე მეწარმის აღებული სესხი არ აღემატება 750 ათას ამერიკულ დოლარს, მეწარმის გადახდისუუნაროდ შექმნის შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს კრედიტის 75%-ს. ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება, გარანტია 80 %-ზე გაიცემა. ანალოგიური პროგრამა მოქმედებს დიდ ბრიტანეთშიც. გერმანიაში მცირე საწარმოების ინვესტირებისთვის სახელმწიფო გასცემს უსასყიდლო სუბსიდიებს, რომელიც მთლიანი კაპიტალის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს. საფრანგეთში მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე მოქმედებს 50-მდე ორგანიზაცია, მათ შორისაა „მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი“.

მაშინ, როდესაც მცირე ბიზნესის დასაცავად ამერიკის შეერთებული შტატები ჯამში დაახლოებით 12 მილიარდ დოლარს ხარჯავს ყოველწლიურად, დიდი ბრიტანეთი კი მხოლოდ იაფი კრედიტებისთვის 50 000 ფუნტ სტერლინგს გამოყოფს, ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა საქართველოშიც დათმობოდა შეძლებისდაგვარად ცოტა მეტი ყურადღება მცირე ბიზნესს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა 25%, მაშინ როდესაც ინგლისში ეს მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს, ხოლო გერმანიაში 80%-ს. მცირე მეწარმე, რომელიც საქმეს სრულიად მარტო უძღვება, გათავისუფლებულია სალარო აპარატისგან, მაგრამ ასეთი მეწარმეების წილი ძალიან მცირეა. ასევე ფირმები, რომელთა ბრუნვაც 100 000 ლარზე ნაკლებია, გათავისუფლებულნი არიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. უახლოეს მომავალში დაგეგმილია იაფი კრედიტების გაცემა 3 000 000 ლარის ოდენობით, რაც, ჩვენი აზრით, დიდ დახმარებას გაუწევს მცირე ბიზნესს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ხელსაყრელი სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნა უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას მოახდენს.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე ზრუნავენ ზესახელმწიფოებიც. ბარაკ ობამას თქმით, 2010 წელს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გამოყოფილი იქნება 30 მილიარდი დოლარი. რაც შეეხება მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის ქართული ეკონომიკის ხერხემალია. მცირე ბიზნესს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. ასე ხდება ყველა წარმატებულ და განვითარებულ ქვეყანაში. არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს ბიზნესის წარმართვას გაუადვილებს. საჭიროა შემუშავდეს სპეციალური რეჟიმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე ბიზნესს, განვითარების ახალი ნიშები იპოვოს და კონკურენტულ ბრძოლაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე გაამახვილოს ყურადღება.

მცირე ბიზნესის განვითარება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განხორციელების ოპტიმალური და უმოკლესი გზაა. ამდენად, მისი არსებობა-არარსებობის საჭიროებაზე საუბარი ზედმეტია. საუბარი მხოლოდ იმაზე შეიძლება იყოს, როგორ უნდა მოხდეს ბაზარზე კანონების შესრულება და როგორ უნდა მოხდეს, რომ ბიზნესი (მათ შორის, მცირე ბიზნესი) ღირსეულად არსებობდეს. ამისთვის კი მისი თავისებურებებისა და პრობლემების უფრო ღრმად დანახვა არის საჭირო.

მცირე საწარმოს განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ მისი ქონება და ბრუნვა შედარებით მცირე მოცულობისაა, საინვესტიციო რესურსები კი საკმაოდ შეზღუდული. პროდუქტის ერთეულზე მისი გაწეული ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ამავე პროდუქტის მწარმოებელი მსხვილი საწარმოსი, რადგან ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ნედლეულის მცირე პარტიებით შესყიდვით უფრო ძვირი ჯდება მარაგის შექმნა. ამას ემატება ტრანსპორტირებისა და სხვა ზედნადები ხარჯები და, საბოლოო ჯამში, მცირე საწარმოს რენტაბელურობა მკვეთრად მცირდება. თუმცა, მომგებიანობის დაბალი დონე მცირე ბიზნესის მაღალი მოქნილობით და ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების მეტი უნარით კომპენსირდება. ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით გადაიარაღება და

სხვა სახის პროდუქციის გამოშვება პატარა საამქროსთვის ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მსხვილი საწარმოსთვის. აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოს ნაკლებად მოეთხოვება ბიზნესის ხანგრძლივი პერიოდისთვის დაგეგმვა, სერიოზული მარკეტინგული გამოკვლევები, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მსხვილი ბიზნესისთვის.

მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. სახელმწიფოს ხელში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს გადასახადები წარმოადგენს. საქართველოში დღეს მოქმედი საგადასახადო სისტემა მცირე მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

არავინ აპროტესტებს გადასახადების აუცილებლობას, პროტესტს მხოლოდ ამ გადასახადების ზომა იწვევს. ვერც ერთი მეწარმე ვერ გადაიხდის იმდენ გადასახადს, რამდენიც ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალებაც აქვს, ეს საშუალება კი მით უფრო მცირეა, რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა. დღესდღეობით ქვეყანაში არ არის არც ერთი ნორმატიული აქტი მცირე მეწარმეობის შესახებ. ამჟამად საქართველოში მცირე მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით 85 000-ია. თბილისში თითოეული ასეთი ბიზნესმენის დაქვემდებარებაში საშუალოდ 7-მდე, ხოლო რაიონებში 4-მდე თანამშრომელი საქმიანობს. ყურადსაღებია, რომ ზემოთ ნახსენები 85 000 მეწარმიდან 35 000 იხდის გადასახადებს. რიცხვებს შორის ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. „ჩრდილოვანი“ და „რუხი“ ეკონომიკის არსებობაა. ექსპერტთა აზრით, ამ პრობლემის მოგვარება გონივრული საგადასახადო პოლიტიკის წარმოებით შეიძლება. სხვადასხვა მონაცემებით, ლეგალური მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში 8-14 პროცენტია.

ქართულ მეწარმეობას სჭირდება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მცირე მეწარმეს სახელმწიფომ მხოლოდ ფიქსირებული გადასახადი გადაახდევინოს, რომლის შემთხვევაში მთავრობა ვერ ჩაერევა და ვერც აკონტროლებს საწარმოს საბუღალტრო საქმიანობას. ეს განაპირობებს მის სტაბილურ განვითარებას და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანო. თუმცა, ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით არიან დაკავებულები. მაგალითად, მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საქართველოს საწარმოთა ხელშეწყობის პროექტი, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების ფონდი, „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს ფონდი და სხვ. მაგრამ მცირე საწარმოები ნაკლებად არიან ამის შესახებ ინფორმირებულნი.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მეწარმეობაში კვალიფიკაციის ნაკლებობა. ამ ყველაფერს კი დღითიდღე მზარდი ინფლაცია და არაპროგნოზირებადი ლარის კურსი ემატება. უსაფუძვლოდ გამყარებული ეროვნული ვალუტა, ზოგადად, ადგილობრივ წარმოებასა და ექსპორტს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ძვირი ეროვნული ვალუტა ნორმალურ პირობებში აუცილებლად აძვირებს ეროვნულ პროდუქციას. გამყარებული ლარის პირობებში ქართველ მეწარმეს ინფლაციის გარეშეც უძვირდება პროდუქცია, ეს ქართულ ნაწარმს არაკონკურენტუნარიანს ხდის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე.

ჩვენი აზრით, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს და გაიაზროს მცირე და საშუალო მეწარმეების პრობლემები. მის აღორძინება-განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური და კარგად გააზრებული ღონისძიებების გატარება სჭირდება, ეკონომიკის ეს ძალიან მნიშვნელოვანი სფერო ერთჯერადი ღონისძიებებით ვერ განვითარდება. მართალია, ამ ყველაფრისთვის დროა საჭირო, მაგრამ დაწყება ახლავეა აუცილებელი, რადგან მოგვიანებით ვარდნის პროცესი შეიძლება შეუქცევადი გახდეს.

ევროკავშირი ყოველმხრივ ცდილობს, ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის გაფართოების მიზნით ევროკავშირი 100 მლნ ევროს გამოყოფს. საქართველოც ცდილობს ჩაერთოს ამ პროგრამებში. არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უამრავი პროექტი. ამ პროექტებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- განხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის ამჟამინდელი მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი. ანალიზის დროს გამოკვეთილი პრობლემატური საკითხები შევა ჩატარებულ კვლევაში.

- საქართველოში ჩატარდება თავისი მასშტაბით უპრეცედენტო საბაზისო კვლევა 910 მცირე და საშუალო საწარმოში იმისთვის, რომ განისაზღვროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა და გამოიკვეთოს ის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, ბიზნეს და ფინანსური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობას.

- კვლევის საბოლოო ანგარიში, თავისი წინადადებებითა და რეკომენდაციებით, წარედგინება საქართველოს მთავრობას. კვლევის შედეგად განისაზღვრება ის მარეგულირებელი, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

ამ პროექტის შედეგი იქნება ის, რომ:

- საქართველოს მთავრობა მიიღებს რჩევებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, რომელიც დაეფუძნება დამოუკიდებელ ექსპერტულ შეფასებებსა და საკანონმდებლო წინადადებებს.

- მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ მოპოვებული ფაქტიური ციფრობრივი მაჩვენებლები ხელს შეუწყობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, გამოიყენონ კვლევის რეკომენდაციები საკუთარი სამომავლო საქმიანობისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას (მაგალითად, ახალი სესხების გაცემის დაკავშირება წინასწარი პირობების დაკმაყოფილებასთან).

- მასმედია მიიღებს კვლევის შედეგებს, რომელიც წარედგინება საზოგადოებას და ხელს შეუწყობს ქვეყანაში დიალოგის გაღრმავებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარშემო.

ამ პრინციპების გათვალისწინებით საქართველოში უამრავი კომპანია მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებულადაც. 2010 წლის აპრილში საქართველოში ჩატარდა დაჯილდოება, რომელმაც გამოავლინა საქართველოში მოღვაწე საუკეთესო ბრენდები.

1. ხორცის პროდუქტებში საუკეთესო ბრენდია ნიკორა;
2. პარფიუმერიულ კომპანიებს შორის - ისი პარი;
3. ღვინის პროდუქტებში - თბილღვინო;
4. ფარმაცევტულ კომპანიებში - პე ეს პე;
5. სუპერმარკეტებს შორის - გუდვილი;
6. რძის პროდუქტებში - ეკო-ფუდი;
7. საწვავის კომპანიებში - რომპეტროლი;
8. რესტორნებს შორის - წისქვილი;
9. კლინიკებს შორის - კუზანოვის კლინიკა;
10. მარკეტინგის რეკლამირების კონსულტაციისა და კვლევების საკითხში - ACT კვლევითი ორგანიზაცია;
11. ტურისტულ კომპანიებს შორის - ინტერკონტინენტალი;
12. სამართლებრივ კომპანიებს შორის კორძაძის სამართლის ოფისი;
13. სანაოსნო და გადაზიდვის საკითხებში - DHL;
14. მინერალურ წყლებს შორის - ნაბეღლავი;
15. საკონდიტრო პროდუქტებს შორის გამარჯვებულია - ტკბილი ქვეყანა;
16. მაიონეზებს შორის - ეკო-ფუდი;
17. საავიაციო კომპანიებს შორის - აირზენა;
18. ქალთა და მამაკაცთა აქსესუარებს შორის ბრუნო ბანანა;
19. სასტუმროებს შორის - GEORGIA PALAS HOTEL;
20. ბანკებს შორის - ბანკი რესპუბლიკა;
21. საკვებ ზეთებს შორის - მზიური;
22. წარმატებულ დებიუტანტად ქობულეთური პროდუქცია დასახელდა;
23. სადაზღვევო კომპანიებს შორის - ირაო;
24. გამაგრილებელ სასმელებს შორის - ნატახტარი;
25. საუკეთესო ლუდად დასახელებულ იქნა - ნატახტარი;
26. საუკეთესო ინტერნეტ მომმარაგებლად - კავკაზუს ონლაინი;
27. ენერგეტიკულ დასალევებს შორის - რედ ბული;
28. მობილურ კომუნიკაციებს შორის 877 ჯეოსელისგან;
29. კონსერვირებულ პროდუქციაში დასახელდა მარნეული;
30. წლის ინოვატორად დასახელდა თბილისი სითი ჰოლი.

ასეთი სახის დაჯილდოებები სტიმულს აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს და ზოგადად ბიზნესს. ასევე ხაზი უნდა გაესვას ბიზნესს სოფლის მეურნეობაში, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საყრდენია.

რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ყოველთვის პრიორიტეტული იქნება აგრალურ სექტორში, რადგანაც სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს. დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მიღებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუჭდება და

ადგილზე იკარგება. ამის მიზეზი, შეიძლება ითქვას, მრავალია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაბალკონკურენტულია ადგილობრივ ბაზარზე შემოსულ იმპორტულ პროდუქციასთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს თუ შევუქმნით ისეთ პირობებს, რომ წარმოება მინიმალურად მაინც იყოს რენტაბელური, იგი გამოვა კრიზისიდან და თანდათანობით გახდება კონკურენტუნარიანიც და მაღალეფექტურიც. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა გატარდეს აგრობიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების შემცირებას ენერგორესურსებზე, მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა დაცვის საშუალებებზე და ა.შ. აგრალურ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რასაც მოწმობს შემდეგი მონაცემები:

საქართველოში ციტრუსისა და ვაშლის საკმაოდ დიდი რაოდენობა მოდის და მათი ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია. გასულ წელს ვაშლი, ციტრუსი და ხურმა საკმარისზე მეტი მოვიდა. ვაშლის რეალიზებასთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა. ის, რაც ექსპორტზე ვერ გავიდა, „ჰიპის“ ქარხანამ შეიძინა. არც ხურმის გაყიდვასთან დაკავშირებით შექმნილა პრობლემები, რამდენადაც ხილის ეს სახეობა ქვეყანაში ცოტა მოდის და გასაღებაც, ფაქტია, რომ არ გაჭირდა. რაც შეეხება ციტრუსს, სარეალიზაციო ბაზრები ამ შემთხვევაშიც უკვე მოძიებულია. 2009 წელს დაახლოებით 120 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალი მოვიდა. მარტო აჭარაში 80.5 ათასი ტონა მოიწიეს, სამეგრელოში ციტრუსის მოსავალმა 5.3 ათასი ტონა, ხოლო გურიაში 13.1 ათასი ტონა შეადგინა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2009 წლის მარტის მდგომარეობით, ქართული ციტრუსის ექსპორტმა უკრაინაში 42 910 ტონას მიაღწია, აზერბაიჯანში - 19 019 ტონას, სომხეთში - 8 256 ტონას, უზბეკეთში - 175 ტონას, მოლდოვაში - 74 ტონას, ბელორუსში - 120 ტონას. საკონსერვო მრეწველობამ 11 130 ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფი გადაამუშავა, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე 10 820 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაცია მოხდა.

ციტრუსამდე იყო ვაშლი, რომელიც გასულ წელს საკმაოდ ბევრი მოვიდა, მაგრამ უხარისხო. გლეხმა, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა, რომ ვაშლი თბილისში ჩამოეტანა და გაეყიდა, თანაც მისი მოსავალი უხარისხო იყო, ხილის გადამამუშავებელ საწარმოს 1კგ სულ რაღაც 3-5 თეთრად მიჰყიდა. მეტ ფულს საწარმო არ იხდიდა და ამაში ვერც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერეოდა.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან ამ სახის პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს როლი უალტერნატივოა. მომავალში მცირე და საშუალო ბიზნესი (განსაკუთრებით აგრარულ სფეროში) ქვეყანაში მთავარ პრიორიტეტად იქცევა და თავის სიტყვას იტყვის ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარებაში.

ამრიგად, ბიზნესის განვითარება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ფინანსურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორებს. მათ არსში გარკვევა და პრაქტიკაში გამოყენება ბიზნესმენთა მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის აუცილებელი პირობაა. დღესდღეობით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, რათა რეალურად მივიღოთ ის შედეგები, რასაც ითვალისწინებს თეორიული გადაწყვეტილება. იმედია, ახლო მომავალში სახელმწიფო შეძლებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფას, მცირე და საშუალო ბიზნესი კი თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ლიტერატურა:

1. Камаева В. Д., Экономика й бизнес, М., 1993;
2. ჟურნალი „მაკრო-მიკროეკონომიკა“, #2. 2010;
3. ჟურნალი „ეკონომიკა“, #7, 2009;
4. http://24saati.ge/index.php/category/business/2011-02-27/14414

საქართველოს საგადასახადო სისტემა

ნატო ხუროშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„ცხოვრებაში არაფერია უეჭველი, სიკვდილისა და გადასახადების გარდა“
ბენ ფრანკლინი

ძველ და შუა საუკუნეებში დაბეგვრის ერთ–ერთ პირველ ფორმად გვევლინებოდა საომარ მოქმედებებში გამარჯვების შედეგად მიღებული შემოსავლები. XVI-XVIII საუკუნეებში, გადამხდელთა ინტერესების გათვალისწინებით, მოხდა გადასახადების დაწესება და ამოღების სახელმწიფოებრივ სისტემებზე გადასვლა. XIX საუკუნიდან კი დაიწყო საგადასახადო დაბეგვრის მესამე პერიოდი. მესამე პერიოდი ხასიათდება იმით, რომ გადასახადების დაბეგვრის მოცულობისა და აკრეფის საკითხებს, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, მთლიანად სახელმწიფო ახორციელებს.

საქართველოში საგადასახადო სისტემას საფუძველი ჩაეყარა 1991–92 წლებში. საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1998 წელს ამოქმედდა.

საქართველოში 1998 წლამდე არსებობდა 18 გადასახადი; 1998 წლიდან 2004 წლამდე 21 გადასახადი იყო; 2005 წელს 21 გადასახადიდან მხოლოდ 7 დარჩა. წინა წლის კოდექსში ხუთი წლის მანძილზე 67–ჯერ შევიდა ცვლილება. დღეს გადასახადების რაოდენობა კიდევ შეიცვალა.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;

ბ) გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;

გ) გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;

დ) საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.

საქართველოში საერთო–სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ა) საშემოსავლო გადასახადი;

ბ) მოგების გადასახადი;

გ) დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ);

დ) აქციზი;

ე) საბაჟო გადასახადი.

მლნ. ლარი

დასახელება	2008	2009	2010	2010–2009
საშემოსავლო გადასახადი	1 218,3	1 048,8	1 165,0	116,2
მოგების გადასახადი	592,1	520.6	535.0	14,4
დღგ	2 069,0	2 034,3	2 039,0	4,7
აქციზი	518,5	446,4	538,0	91,6
საბაჟო გადასახადი	51,9	35,0	74,0	39,0

2011 დადგომისთანავე საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა. საქართველოს მთავრობა ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებას ახალ ეკონომიკურ კურსს უწოდებს და მასზე დიდ იმედებს ამყარებს. 2011 წლის საგადასახადო კოდექსი 2010 წლის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ქვეყნისთვის კონსტიტუციის შემდეგ უმნიშვნელოვანესი კანონია.

ახალი საგადასახადო კოდექსით, დამატებითი ღირებულების 18%–იანი გადასახადის (დღგ) სავალდებულო გადამხდელები არიან 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები.

გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი ახალი საგადასახადო კოდექსით გადავადებულია და ნაცვლად 20%–დან 15%–მდე ეტაპობრივი შემცირებისა, ითვალისწინებს გადასახადის 18%–მდე შემცირებას 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%–იან განაკვეთზე იქნება შენარჩუნებული.

მუხლი 82 – გადასახადის განაკვეთი. საშემოსავლო გადასახადი

წელი	2011	2012	2013	2014
იქნება	20%	20%	18%	15%

მოგების გადასახადი

მუხლი 130 დივიდენდების დაბეგვრა

წელი	2011	2012	2013	2014
იქნება	5%	5%	3%	0%

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების პარალელურად, საბაჟო კოდექსი გაუქმდა. იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12% და 5% შეადგენს.

ახალი კოდექსის თანახმად, იმპორტის გადასახადის გადახდა იმპორტიორებს არა უშუალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არსებული ყოველთვიური გადახდის წესის ნაცვლად, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება.

ახალი კოდექსით სიახლეა მიკრობიზნესის სტატუსის შემოღებაც. ასეთად შეუძლია დარეგისტრირდეს 2011 წლის 15 თებერვლამდე 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულების შრომას არ იყენებს. ამ კატეგორიის ფიზიკური პირები გათავისუფლებულები არიან საშემოსავლო გადასახადისაგან და მათ ასევე არ აქვთ საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება. მაგალითად, რომელიღაც სოფელში მოხუცი ქალბატონი ქსოვს წინდებს და ყიდის, თითოეულს 10 ლარად. მთლიანი ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს. თუ აღემატა, მაშინ ეს მიკრობიზნესი აღარაა. წლიური 30000–იანი ბრუნვა კი დღეში 80 ლარია. ანუ იმ 30000 ლარიან ბრუნვაში, შესაძლოა, ფიზიკურ პირს დარჩეს 10%–იანი მოგება, რაც ყოველთვიურად მაქსიმუმ 250 ლარია. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შემთხვევაში, ეს თანხა 20%–ით დაიბეგრებოდა. ე.ი. 50 ლარით. თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფიზიკური პირი მიკრობიზნესის სტატუსს ვერ მიიღებს, რადგან, კოდექსის თანახმად, გამონაკლის საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს და მას ასევე ექნება უფლება აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაც.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოექცნენ ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%–დან 5%–მდე დაიბეგრება. შემოსავლის 3%–იანი დაბეგვრით სარგებლობენ ის მცირე ბიზნესები, რომლებიც შეძლებენ წარმოადგინონ მათი მთლიანი შემოსავლის 60%–ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 3%–იანი დაბეგვრით ასევე სარგებლობენ მცირე ბიზნესის კატეგორიის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ – აქ იგულისხმება, მაგალითად, ბაზრობა.

ახალი კოდექსის მიხედვით, გადამხდელთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნება საგადასახადო ომბუდსმენის პოსტი, რომელსაც პრემიერ–მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დანიშნავს. საგადასახადო ომბუდსმენი პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტს

წელიწადში ერთხელ გადამხდელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს.

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს პატიოსანი გადამხდელის წახალისების რიგ მექანიზმებს; ასევე, ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, კანონის ორაზროვანი დებულების შემთხვევაში, უფლებამოსილია, გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ გამოიტანოს.

ახალი კოდექსით გაიზარდა მიწის გადასახადი. კოდექსის 204–ე მუხლი სათიბებსა და საძოვრებზე 1.5–20 ლარამდე ტარიფს აწესებს, სხვა მიწებზე კი 50–100 ლარამდე. გარდა ამისა, კოდექსის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია ეს თანხა 50–დან 150 ლარამდე გაზარდოს. ახალი ტარიფი მიწის მოსავლიანობის მიხედვით განისაზღვრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია ყველას ინტერესები.

ინტერნეტ–რესურსები:

1. http://www.georgia.gov.ge/?lang=1&event=text&id=357
2. http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2270154.html
3. http://www.lanplus.com.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3194:2011-01-10-10-35-13&catid=16:2009-01-24-14-16-24&Itemid=11
4. http://24saati.ge/index.php/category/news/2010-06-03/7278

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

იმანუელ კანტი – დიდი გერმანელი ფილოსოფოსი

ნათია არჩუაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

იმანუელ კანტი (1724-1804 წწ.) ფილოსოფიური განვითარების გზა საკმაოდ რთული იყო. მისი მოხაზვა ზოგადად ასე შეიძლება: კანტი თავის ფილოსოფიურ მოღვაწეობას იწყებს, როგორც ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფიის მიმდევარი. ინგლისური ემპირიზმის გაცნობის შემდეგ გადაუდგება რაციონალისტურ მეტაფიზიკას და იუმის გავლენით სკეპტიციზმის ხაზს გაჰყვება. ლაიბნიცის „ახალი ცდების" გამოქვეყნება საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს კანტზე. ამ პერიოდიდან, 1769 წლიდან, იწყება კანტის მიერ მუშაობა „მეტაფიზიკის ახალი სისტემის" შექმნაზე, რომლის საფუძვლები „წმინდა გონების კრიტიკის" სახით 1781 წელს გამოქვეყნდება.

კანტის ფილოსოფიის განვითარებაში ორ პერიოდს განასხვავებენ: „წინაკრიტიკულს" (1770 წლამდე) და „კრიტიკულს". ეს განსხვავება სავსებით სამართლიანია, რადგან მისი „კრიტიკული" პერიოდის ფილოსოფია არსებითად განსხვავდება იმ თვალსაზრისისაგან, რომელსაც ის იაზრებდა ე.წ. „წინაკრიტიკულ ფილოსოფიაში: კანტის მნიშვნელობა ფილოსოფიის ისტორიაში მისი „კრიტიკული" ფილოსოფიით განისაზღვრება.

კანტის „წინაკრიტიკული" პერიოდის შრომებში მნიშვნელობა აქვს მის საბუნებისმეტყველო გამოკვლევებს. ამ შრომებიდან აღსანიშნავია ორი: 1) „გამორკვევა საკითხისა, მოხდა თუ არა ცვლილება დედამიწის მოძრაობაში ღერძის გარშემო, რომლითაც აიხსნება დღე-ღამის შეცვლა". 2) „ცის საყოველთაო ბუნებრივი ისტორია და თეორია, ანუ ცდა სამყაროს აგებისა და მექანიკური წარმოშობისა, ნიუტონის პრინციპების მიხედვით".

თავისთავად ამ წმინდა მეცნიერული ხასიათის გამოკვლევას ღრმაფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს: დედამიწა, მთვარე და ასევე სხვა ციური სხეულები ყოველთვის კი არ ყოფილა იმ სახისა,

როგორიცაა დღეს, არამედ მათ გარკვეული ისტორია, განვითარების ისტორია გაიარეს. ენგელსმა კანტის ამ აზრს გენიალური უწოდა.

შემდგომი შრომა „ცის საყოველთაო ბუნებრივი თეორია და ისტორია" გაცილებით უფრო სრულ სურათს გვაძლევს სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ამ შრომაში კანტი არკვევს არა მხოლოდ სამყაროს აგებულების საკითხს (ამ საკითხში ის თითქმის არ დაშორებია კოპერნიკს, ნიუტონს, გალილეის, კეპლერს), არამედ ცდილობს სამყაროს წარმოშობა და განვითარება გაარკვიოს და ამით ახსნას მისი აგებულება.

განვითარების თეორიის ჩანასახებიდან, რომელიც უკვე არსებობდა ამ პერიოდში, კანტმა შექმნა გრანდიოზული სურათი სამყაროს წარმოშობისა და განვითარების შესახებ. კანტი ცდილობს ახსნას სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თეორია ყოველგვარი ზებუნებრივი ძალის გარეშე. „მომეცით მატერია და მე ავაგებ მისგან სამყაროს. ეს ნიშნავს: მომეცით მატერია და მე გიჩვენებთ თქვენ როგორ უნდა წარმოიშვას მისგან სამყარო".

კანტის ფილოსოფიის ზოგადი დახასიათება შეიძლება ასე წარმოვაჩინოთ: კანტი ცდილობს მატერიალიზმის შერიგებას იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, ერთ სისტემაში სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმართულებების შეთავსება.

მატერიალისტური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, კანტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის, რასაც მეცნიერება ბუნებას უწოდებს, ადამიანის გონების შემოქმედებაა, იგი გონებას შეესაბამება. კანტი ამ აღმოჩენას ადარებს კოპერნიკის მიერ შესრულებულ გადატრიალებას ასტრონომიაში. თუ კოპერნიკამდე ფიქრობდნენ, რომ მზის სისტემის ცენტრი დედამიწაა და მზე მოძრაობს იმის გარშემო, კოპერნიკმა წამოაყენა საწინააღმდეგო აზრი - მზე არის ცენტრი, რომლის გარშემო მოძრაობს დედამიწა, ასევე: კანტამდე ფიქრობდნენ, რომ ადამიანის გონება შემეცნების პროცესში ეთანხმება ბუნებას, ხოლო კანტმა წამოაყენა საწინააღმდეგო აზრი - ბუნება ეთანხმება ადამიანის გონებას, ბუნება კი არ განსაზღვრავს ჩვენს შემეცნებას, არამედ შემეცნება განსაზღვრავს ბუნების სტრუქტურას.

შემეცნება, ცოდნა, თავისი არსებით ობიექტურ ხასიათს ატარებს; ცოდნის ობიექტური, აუცილებელი, როგორც ზოგიერთი იტყოდა „საყოველთაო" ხასიათი, ცოდნის, მეცნიერების არსებითი ნიშანია.

კანტი გარკვეული ფაქტის არსებობიდან გამოდის. არსებობს მეცნიერება, მეცნიერული ცოდნა, რომელსაც ის პრეტენზია აქვს, რომ იგი ობიექტური, აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისაა.

მეცნიერული ცოდნა შედგება მსჯელობისაგან, მაგრამ ყოველი მსჯელობა როდი წარმოადგენს მეცნიერულ ცოდნას: მხოლოდ ისეთი მსჯელობა შეიცავს მეცნიერულ ცოდნას, რომელიც არ არის ტავტოლოგიური, ე.ი. პრედიკატში არ იმეორებს სუბიექტის შინაარსს, და ამავე დროს, აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისაა. მეცნიერება შედგება ისეთი მსჯელობისაგან, რომლებიც აფართოებენ ცოდნას, ე.ი. ისეთი მსჯელობისაგან, რომელთა პრედიკატი რაღაც ახალს, განსხვავებულს მიაწერს სუბიექტს. ასეთია სინთეზური მსჯელობები, რომლებიც ცდას ეყრდნობიან. მაგრამ ცდა შემთხვევითია, ის არასოდეს არ არის აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისა - იმეორებს კანტი იუმის დებულებას.

კანტი თავისი ამოცანის გადაწყვეტას იწყებს ინგლისელი ემპირისტების თვალსაზრისით: შემეცნების პროცესში შემმეცნებელ სუბიექტს უპირისპირდება მისგან დამოუკიდებელი სინამდვილე, რომელსაც კანტი უწოდებს ნივთს თავისთავად. ეს ნივთები თავისთავად მოქმედებს ადამიანის გრძნობიერებაზე და იწვევს მასში შეგრძნებებს.

კანტის მიზანი იყო მეცნიერების ფაქტის გამართლება იმით, რომ აღმოეჩინა ამ ფაქტის ლოგიკური პირობები.

ცნობიერებას, კანტის აზრით, ახასიათებს სხვადასხვა უნარი: გრძნობიერება, განსჯა და გონება, რომელთაც ერთი ძირი უნდა ჰქონდეთ. თითოეულ მათგანს თავისებური ფორმები გააჩნია. გრძნობიერება, რომელიც რეცეპტივია, მოაწესრიგებს მიღებულ შეგრძნებებს თავისი ფორმებით - სივრცისა და დროის ფორმებით. დრო და სივრცე ობიექტური სამყაროს ფორმებს კი არ წარმოადგენს, არამედ ცნობიერების გრძნობადი სფეროს ფორმებია.

განსჯის ფორმებს კატეგორიები წარმოადგენს; კატეგორია კავშირის კანონია; დროში და სივრცეში მოწესრიგებულ შეგრძნებებს ეს კატეგორიები კანონზომიერი კავშირებით აკავშირებს. ეყრდნობა რა მსჯელობათა ტრადიციულ კლასიფიკაციას, კანტი ჩამოთვლის თორმეტ კატეგორიას. ეს კატეგორიებია-მიზეზობრიობის, სუბსტანციის აუცილებლობის, რეალობის, რაოდენობის, თვისებრიობისა და სხვა.

რაც შეეხება ადამიანის ცნობიერების სტრუქტურას, ორგანიზაციას, ის არ არის საგანთა ობიექტური ვითარებით განსაზღვრული, ამდენად იგი სრულიად შემთხვევითია. ადვილი წარმოსადგენია გონიერი არსება ცნობიერების სხვა სტრუქტურით, სხვა ორგანიზაციით, კანტი თვითონ ხშირად წერდა, რომ ცნობიერების აპრიორული ფორმები ჩვენი, ადამიანური ფორმებია: აქედან ცხადია, რომ მეცნიერული ცოდნა, ჭეშმარიტება „ჩვენი", ადამიანური ჭეშმარიტებაა.

კანტის მიზანი იყო მეცნიერების გამართლება. მან გაამართლა მათემატიკა და ფიზიკა, ე.ი. აღიარა, რომ ამ მეცნიერებებს უფლება აქვს არსებობაზე - ისინი ჭეშმარიტი მეცნიერებანი არიან. მაგრამ როგორ, რის საშუალებით მოხდა ეს გამართლება? ეს მეცნიერებანი ჭეშმარიტნი არიან იმიტომ კი არა, რომ ისინი ობიექტური სინამდვილის ცოდნას გვაძლევენ, ისინი ჭეშმარიტნი არიან სწორედ იმიტომ, რომ ამ ცოდნას არავითარი კავშირი არ აქვს ობიექტურ სინამდვილესთან. სამყარო, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მეცნიერებაში, ჩვენი შემოქმედებაა, ჩვენი წარმოდგენაა.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა - სამყაროს არსება, მატერიალურ თუ სულიერ მეტაფიზიკას წარმოადგენს, რომელიც არსებობს, მაგრამ არა აქვს უფლება არსებობაზე, ის მოჩვენებითი მეცნიერებაა.

იბადება ორი, ერთიმეორესთან დაკავშირებული საკითხი: 1) ნუთუ გონების აპრიორულ იდეებს მეცნიერულ ცოდნაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? და 2) ნუთუ მეტაფიზიკურ პრობლემებზე საბოლოოდ უნდა ავიღოთ ხელი?

კანტი აღნიშნავს, რომ ადამიანის აზროვნება მიისწრაფვის სისტემატურობისაკენ, იგი ცდილობს ააგოს ცოდნა ერთ პრინციპზე დაყრდნობით. ამგვარად, კანტი ფიქრობს, რომ მან დაასაბუთა მათემატიკისა და წმინდა ბუნებისმეტყველების უფლება არსებობაზე;

კანტის თეორიული ფილოსოფია მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ფილოსოფიის სხვა ნაწილებთან და, პირველ რიგში, მის მორალურ-რელიგიურ შეხედულებებთან. ამისდა მიუხედავად, ჩვენ ჯერ მხოლოდ მის შემეცნების თეორიას შევაფასებთ. კანტის ფილოსოფიამ გარკვეული ხაზი მისცა არა მხოლოდ უშუალოდ მის მომდევნო ფილოსოფოსებს, არამედ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის ფილოსოფიურ მიმართულებებში ბევრი პრინციპი მისგან არის ნასესხები. შეუძლებელია ამ ორიგინალურისა და დიდი გავლენის მქონე სისტემაში არ ყოფილიყო დადებითი მარცვლები.

ადამიანის მოქმედება, საქციელი ნებელობით არის განსაზღვრული, ინსტიქტისაგან ნებელობა იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ცნობიერი საქციელის, გონებით განსაზღვრული საქციელის უნარია. ნებელობა არის პრაქტიკული გონება. ამიტომ ზნეობრივი არის მხოლოდ ნებელობა. საქციელი მაშინ კი არ არის ზნეობრივი, როდესაც ის განსაზღვრულია ბუნებრივი მიდრეკილებით, არამედ მაშინ, როდესაც ის ვალდებულებას ეთანხმება და მას ასრულებს.

ნივთებს ახასიათებს ღირებულება; ღირებულება, კანტის აზრით თვით საგანში კი არ არის, არამედ ის პიროვნებაზეა დამოკიდებული, რომელიც გამოიყენებს ამ ნივთს. ამ ნივთის გამოყენება შეიძლება, იგი გამოიყენება როგორც საშუალება გარკვეული მიზნების მისაღწევად. მაგრამ სამყაროში არის ისეთი არსებაც, რომელსაც ახასიათებს არა ღირებულება, არამედ ღირსება. ასეთია ადამიანი, პიროვნება.

კანტი ამის გარდა დაადგენს სულის უკვდავებას და ღმერთის არსებობის პოსტულატს. ღმერთის არსებობის პოსტულატი წარმოადგენს სამყაროს ზნეობრივი წესრიგის პოსტულატს. თავისუფლების, სულის უკვდავებისა და ღმერთის არსებობის აღიარება მეცნიერული შემეცნების გარეშე დგას, ეს არის გონების პრინციპებით გამართლებული რელიგიური რწმენა.

ამავე შრომაში კანტი ეხება ბიოლოგიურ მეცნიერებებს. საქმე ის არის, რომ, მიზანშეწონილება დამახასიათებელია არა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებისათვის, არამედ - ორგანიზმისათვის. მექანისტური მსოფლმხედველობა ორგანიზმის პრობლემას კაუზალობის პრინციპით ვერ გაარკვევს. ორგანიზმში ყოველი ნაწილი არსებობს სხვა ნაწილების საშუალებით, და რაც მთავარია, სხვა ნაწილებისათვის, მთელისათვის, როგორც ორგანიზმისათვის.

ლიტერატურა:

1. კოტე ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, VI ტომი, თბ., 1972;
2. გურამ თევზაძე, იმანუელ კანტი, თბ., 1973;
3. ფილოსოფიის ისტორია, შრომათა კრებული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1961.

პლატონი – უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი

ნინო ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

პლატონი (427–347) ერთ–ერთი უდიდესი ფილოსოფოსი, ბერძნული უმაღლესი არისტოკრატის ჩამომავალი, სოკრატეს მოწაფე და არისტოტელეს მასწავლებელი, იდეათა თეორიის ფუძემდებელი იყო. მისი არგუმენტები და მიგნებები სულის უკვდავების, სიკეთის, იდეის როგორც ყოველივეს გამფორმებელის და საბოლოო მიზნის, ერთეულისა და ზოგადის არსებობის წესთა განსხვავების, ადამიანის ცხოვრების საზრისის, საზოგადოების სტრუქტურის შესაძლებელი ფორმების და სხვ. შესახებ, ყოველ ეპოქაში განსხვავებულ ინტერპრეტაციათა წყაროს და ახლის ძიების სოლიდურ საყრდენს წარმოადგენდა.

ობიექტური იდეალიზმის მამამთავარი პლატონი ბერძნული მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგია. ,,პლატონის ხაზი“ ფილოსოფიაში უპირისპირდება ,,დემოკრიტეს ხაზს“.

ფილოსოფიის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ხაზის ბრძოლის ისტორია.

პლატონის ნამდვილი სახელი იყო არისტოკლე. გადმოგვცემენ, რომ მას პლატონი დაარქვა ტანვარჯიშის მასწავლებელმა ან ფართო შუბლის გამო (,,პლატოს“ ნიშნავს ფართოს), ან ჰარმონიული აგებულებისა და ჯანმრთელობის აღსანიშნავად, ანდა დიდი ერუდიციისათვის.

პლატონის მამა - არისტონი იყო კორდიტთა გვარიდან. დედა - პერიქტიონი კი - სოლონის სახლიდან. მამის ძმა - კრიტიასი ტირანი იყო. ამრიგად, პლატონი ეკუთვნოდა მონათმფლობელური არისტოკრატიის მაღალ ფენას. პლატონი დაიბადა პელოპონესის ომის პირველ წლებში. ათენის დაცემამ და ,,ბრბოს“ ვნებათა ბატონობამ თავიდანვე განსაზღვრა პლატონის არისტოკრატიული თვალსაზრისი, როგორც დემოკრატიისადმი შეურიგებელი.

პლატონი ახალგაზრდობაში წერდა ტრაგედიებს, ლექსებს, ეპიგრამებს. დიდად აინტერესებდა პოეზია, პოლიტიკა, მათემატიკა, მეტაფიზიკა.

388 წელს ათენში მითიური გმირის აკადემოსის ხეივანში მან დაარსა აკადემია. დღეს მიღებულია, რომ მას ეკუთვნის 35 დიალოგი, 13 წერილი და 25 ეპიგრამა. პლატონი განუხორციელებელი იდეალების მქონე მოაზროვნე იყო.

ჩვენამდე მოღწეულ პლატონის ნაშრომთაგან არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელშიც მისი სისტემა იქნება გადმოცემული. პლატონის შრომები დიალოგის ფორმით არის დაწერილი. ეს შრომები ძლიერია ფორმითაც და შინაარსითაც.

პლატონის დიალოგებს ერთგვარი დაუმთავრებლობა ახასიათებს. დიალოგის ბოლოს იგი საკითხს თითქოს დაუმთავრებლად ტოვებდა, რადგან პლატონს ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებული რეზულტატების მომცემ მეცნიერებად.

პლატონის ფილოსოფია ჩამოყალიბდა მის წინ არსებული ფილოსოფიური სისტემებიდან ზოგიერთის კრიტიკით და დაძლევით, ზოგიერთის გაგრძელებითა და განვითარებით. პლატონმა ძლიერი მეტაფიზიკური სისტემა შექმნა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ევროპული აზროვნების ისტორიაში, თავისი ღირებულებით და სიდიადით პლატონს ვერავინ შეედრება. როგორც მზე თავისი სხივებით განსჭვალავს ყოველივე არსებულს და ანიჭებს არსებობას და სასიცოცხლო ენერგიას, ანალოგიურია პლატონის მნიშვნელობა ევროპული ფილოსოფიისა და კულტურისათვის. თვით პლატონის შემდეგ წარმოშობილი მსოფლიო რელიგიები ცდილობდნენ ის თავის მომხრედ გაეხადათ, მის მოძღვრებაზე აფუძნებდნენ თავიანთ ღვთის მეტყველებას და - წარმატებითაც.

აი რას წერს პლატონის ნააზრევის შესახებ, ცნობილი პლატონოლოგი ა. ლოსენოვი: ,,კლასიკური ხანის თუ ელინისტური პერიოდის ბერძნები, ძველი რომაელები, არაბი მოაზროვნეები და შუა საუკუნეების კაბალა, ბიზანტიური მართლმადიდებლობა და რომაული კათოლიციზმი, აღორძინების ხანის მოაზროვნეები და კლასიკური გერმანული იდეალიზმის წარმომადგენლები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები და ასტრონომები, უსასრულო რიცხვი პოეტებისა და პროზაიკოსებისა უკვე ორიათას წელზე მეტია სწავლობენ, აღფრთოვანებული არიან, კამათობენ, დითირამბებს უძღვნიან მას. შეიძლება ითქვას, რომ პლატონი საკაცობრიო კულტურის ისტორიისათვის მარადიულ პრობლემად იქცა”.

პლატონი პირველია ევროპული აზროვნების ისტორიაში, ვინც სულის ბუნების და მისი უკვდავების თეორიულ ახსნა–დასაბუთებას შეეცადა.

ჯერ კიდევ შემოქმედების სოკრატულ პერიოდში ცდილობს პლატონი დაამტკიცოს ადამიანის არსების ორბუნებოვნება, რომ ის შედგება სულისაგან და სხეულისაგან. სული ადამიანის ბუნების წარმმართველი საწყისია, რომელიც ისე იყენებს სხეულს, როგორც ხელოსანი, საქმის კეთებისას იყენებს ხელებს ან თვალებს. ამრიგად, ადამიანი, პლატონის მიხედვით, სულია, მაგრამ სული, თავის მხრივ, რთულ საწყისს წარმოადგენს. არის სულში რაღაც ღვთაებრივი საწყისი, ,,რომელშიც მოქცეულია სულის მთელი სიბრძნე და გონიერება“.

სულის ეს ნაწილია სწორედ ადამიანის ნამდვილი არსი, მისი რაობა, მისი ჭეშმარიტი ,,მე“. სულისთვის სხეული სხვა არა არის თუ არა დილეგი, ,,რომელშიც მომწყვდეულია, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში“ ან, უფრო სწორად ,,საფლავი“, მაგრამ სწორედ ამ დილეგისა თუ სულისავე წყალობით მოძრავი და მოარული ,,საფლავის“ მეშვეობით მკვიდრდება ის ცოდვილ მიწაზე, სადაც თანდათანობით ეჩვევა, ეგუება და ბოლოს, კიდეც ესისხლხორცება მისთვის სრულიად უცხო გარემოს, რათა წუთისოფლის დროებითმა მკვიდრმა შეძლებისდაგვარად აღასრულოს თავისი დანიშნულება და მოიხადოს თავისი ადამიანური ვალი, ვიდრე კვლავ საუკუნო სოფლად მიიხმობს განგება თუ ყოვლის გამრიგე ღმერთი.

პლატონი ,,ფედონში“ ამბობს: ,,ყველა წუხილი სულს თითქოს სამსჭვალივით მსჭვალავს და ერთგვარად კიდეც ამსგავსებს სხეულს, ხოლო სხეულის თანამოაზრედ ქცეული მისი თანამგზავრი და თანამეინახე ხდება“.

იგივე ითქმის ყველა ვნების თუ ქვენა გრძნობის - შურის, ღვარძლის, მრისხანების, სიცრუის, სიფიცხის, შიშის, ძრწოლის, ვერაგობის, ორგულობის და სხვა მისთანათა მიმართაც, ასე რომ ღრღნიან და ფიტავენ ხორცთან შეზრდილსა და შენივთულ სულს, რის შედეგადაც სულის სხივოსანი ბუნება თანდათანობით ინთქმება და იძირება მატერიის განუჭვრეტელ უკუნში.

პლატონის სიჭაბუკე პელოპონესის წლებს დაემთხვა. იგი ათენის ხსნას არისტოკრატიის გაძლიერებასა და მისი ბატონობის უზრუნველყოფაში ხედავდა. პლატონი დიონთან ერთად ცდილობდა მოეხდინა გავლენა დიონისე უფროსზე, მაგრამ ამ ცდას პლატონის დაპატიმრება და ბოლოს მონად გაყიდვაც კი მოჰყვა.

პლატონის ფილოსოფიის შესწავლას თუ პირველ რიგში მისი შემეცნების თეორიით დავიწყებთ, არ უნდა გამოგვრჩეს უმთავრესი: არსის და არარსის პრობლემა, ერთისა და სიმრავლის პრობლემა, რასაც უნდა მოჰყვეს პლატონის იდეათა თეორიის, როგორც მეტაფიზიკის, ზოგიერთი ძირეული პრობლემის გარჩევა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პლატონისათვის ფილოსოფია არის შემეცნებითი სიყვარული არსისადმი, ეს არის მისწრაფება სისრულისკენ. ფილოსოფია ძიებაა, მიზანი კი– აბსოლუტური ცოდნა, რომლის მიღწევის მეთოდს დიალექტიკა წარმოადგენს.

პლატონის ფილოსოფიის ზოგიერთი პრობლემა უძნელესი რამ არის, მაგრამ მათი გარჩევა აუცილებელია; ამ პრობლემებს თავი არ უნდა ავარიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოგვივა მხოლოდ თავის მოტყუება, შეუძლებელი გახდება როგორც არისტოტელეს, ისე ბევრი სხვა მოაზროვნის გაგება.

პლატონის აზრით, თუ სულში ,,სანთელი“, რომელზედაც საგნები აღიბეჭდება, არც ძალიან მაგარია და არც ძალიან რბილი, მაშინ შთაბეჭდილებები ჭეშმარიტია, წინააღმდეგ შემთხვევაში - მცდარი. შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნეს შეგრძნებების შეფასებისას. შეცდომა მაშინ არის შესაძლებელი, როცა შესაგრძნობსა და წარმოსადგენს საცოდნელთან ვაერთებთ.

პლატონი ამბობს: ,,ჭეშმარიტი ცოდნა არსების, არსის ცოდნაა, ჭეშმარიტი არსის ცოდნა სულში ყოველთვის გვაქვს“.

,,ფედონის“ ძირითადი თემა არის სულის უკვდავების დასაბუთება. ვფიქრობ, რომ სულის ბუნების, შემეცნების ბუნებისა და მოვლენათა არსებითი თავისებურების გარკვევის გზით პლატონი მიდის იდეებამდე და იძლევა მათ დახასიათებას. ,,ფედონი“ აზუსტებს და აკონტროლებს გზას, რომელსაც ნამდვილ ცოდნამდე და იდეებამდე მივყავართ და, რაც მთავარია, ძირითადად სწორედ ეს დიალოგი იძლევა იდეათა თეორიას.

პლატონი თავის იდეათა თეორიის საფუძველზე შეეცადა მოეცა მოძღვრება იდეალური სახელმწიფოს შესახებ. ეს მოძღვრება მას მოცემული აქვს ძირითადად დიალოგ ,,სახელმწიფოში“.

პლატონის აზრით, სათნოება, რომელიც საზოგადოებაში ხორციელდება, არის სამართლიანობა.

სამართლიანობა შეიძლება გამოვლინდეს ინდივიდებშიც და საზოგადოებაშიც, მაგრამ სახელმწიფოში იგი სრულიად ვლინდება.

სახელმწიფო უნდა მოეწყოს მხოლოდ მთელი საზოგადოების ბედნიერებისათვის. სამართლიანობა მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ საზოგადოება ერთიანია, თუ წოდებები შეთანხმებულად

აკეთებენ თავიან საქმეს, თუ წოდებები ჰარმონიაში არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ერთიმეორეს შეუშლიან ხელს და უსამართლობა გაბატონდება.

მმართველობის ცუდი ფორმები შემდეგია: ტიმოკრატია, ოლიგარხია, დემოკრატია და ტირანია. როცა სახელმწიფოს სათავეში არიან პატივმოყვარეები, მაშინ გვაქვს დემოკრატია, ასე თუ მმართველობა მისდევს ომს და ხელს უწყობს მის შეცვლას მდიდართა ბატონობით. ოლიგარხიით სიმდიდრისადმი მისწრაფება გააღატაკებს ხალხს, რომელიც აჯანყდება მდიდართა ბატონობის წინააღმდეგ, დაანგრევს მას და შექმნის დემოკრატიას, სადაც, პლატონის თქმით, ბატონობს თავაშვებულება.

პლატონის იდეალური სახელმწიფოს მთავარი ამოცანა იყო ხალხში სათნოების აღზრდა, საზოგადოებაში ღვთაებრივი ცხოვრების აღზრდა, ადამიანთა მომზადება საიქიო ქვეყნისათვის.

,,ნადიმი“ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ერთხმად აღიარებული შედევრია (ვინდელბანდი მას უწოდებს ,,უდიდესს“ პლატონის მხატვრულ ქმნილებათა შორის). დიალოგს 24 საუკუნის მიღმა გადავყავართ.

პლატონის გენიალური ხელოვნება უღრმესი შინაგანი კავშირით კრავს მათ, რითაც ერთიანი ნაწარმოების სახეს ანიჭებს ,,ნადიმს“, ხოლო ამ ერთიანობის მიზანია გვიჩვენოს ეროსის გენიალოგია, მისი არსი, მისი გვარები, ეფექტები და დასასრულსაც მისი მიზანი.

პლატონის კონცეფციით სიყვარული სამყაროს ერთიანობის დიდი პრინციპია. ჰარმონიის სიკეთისა და მშვენიერების წყარო.

ის ყველაფერს ისე გადმოგვცემს, როგორც არისტოდემოსმა უამბო.

ახალგაზრდა ტრაგიკოსი აგათონი ნადიმს იხდის გამარჯვების აღსანიშნავად. აქ ამ ნადიმზე ერთმანეთს ხვდებიან და სიყვარულზე ეროსზე საუბრობენ ათენის ინტელექტუალური არისტოკრატიის წარმომადგენლები. აქ არის მოკრძალებული ფედროსი, სოფისტი პავსანია, ერქსიმახოსი კომედიოგრაფი არისტოფანე, ტრაგიკოსი აგათონი და ბერძენი სოკრატე და ალკიბაიდე.

ყოველი მათგანი შეძლებისამებრ ხოტბას ასხავს ეროსს.

ნადიმში განხილულია ორი აფროდიტესეული ეროსი, ერთი უფროსი, უდედოდ შობილი ურანოსის მიერ, ამიტომაც ,,ციურს“ უწოდებენ მას. მეორე უმცროსი ზევსისა და დიონისეს ასული, მისი სახელია ,,მიწიური“.

მიწიურს ვუწოდებთ სიყვარულს, რომელიც სხეულს უფრო ეტრფის ვიდრე სულს. ზეციურს კი მას, რომელიც სულს უფრო ეტრფის, ვიდრე სხეულს. მშვენიერია სიყვარული, რომელსაც სათნოებისაკენ სწრაფვა ასაზრდოებს. ეს სიყვარული ციური აფროდიტესეული სიყვარულია, ყველა სხვა სიყვარული კი მეორე, მიწიურ ქალღმერთისაგან მომდინარეობს. ,,ნადიმში“ განხილულია სიყვარული ეროსი, მისი არსი და მნიშვნელობა.

ამ ნადიმზე შეკრებილი მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლების სიტყვას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობის ბეჭედი აზის. თითოეული მათი სიტყვა დასრულებული, დამოუკიდებელი და თავისთავადი ჰარმონიაა ეროსისადმი და ამ ერთიანობის მიზანია გვიჩვენოს ეროსის გენიალოგია.

პლატონი იყო და დარჩება ყველა დროისა და ეპოქის უდიდეს ფილოსოფოსად. იგი XXI საუკუნეშიც საშუალებას გვაძლევს სტუდენტ–ახალგაზრდობას კარგად ვერკვეოდეთ ზნეობრივ ღირებულებებში და ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები.

ლიტერატურა:

1. სავლე წერეთელი, ,,ანტიკური ფილოსოფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968;
2. ,,ფილოსოფიის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962;
3. პლატონი, ,,ფედონი“, ,,ნაკადული“, თბ., 1966;
4. პლატონი, ,,ნადიმი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964;
5. პლატონი, ,,სახელმწიფო“, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი I, თბ., 2006;
6. ნუგზარ აბრამიშვილი, პლატონი სულის შესახებ, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2010.

თომას ჰობსი და ჯონ ლოკი სახელმწიფოს შესახებ

გიორგი ბუგიანიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი**, სრული პროფესორი

ადამიანის არსებობას ჩვენს სამყაროში მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს. თავდაპირველად ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ ყოველგვარი საზოგადოებრივი გაერთიანების გარეშე, ყველასგან დამოუკიდებლად და მხოლოდ სიცოცხლისთვის აუცილებელ ინსტიქტებს ემორჩილებოდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ადამიანები ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით, გაერთიანდნენ ტომებად შემდეგ კი სახელმწიფოებად. პირველი სახელმწიფოები შეიქმნა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ეგვიპტესა და ბაბილონში ძველი წელთაღრიცხვით 4 ათასი წლის წინ. ეს ფაქტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის კულტურული განვითარების ისტორიაში. პირველი სახელმწიფოს შექმნიდან დღემდე მსოფლიოში მრავალი სახელმწიფო შეიქმნა, ზოგიერთი მათგანი აღარ არსებობს მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, ზოგიერთი კი ეხლაცაა და საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვს კაცობრიობის განვითარებაში. მსოფლიოში არსებული არცერთი სახელმწიფო არ ჰგავდა ერთმანეთს მმართველობის ფორმით. ყველა გონივრულად მოაზროვნე ლიდერი, რომელსაც სურდა თავისი ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება და სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ცდილობდა, ქვეყანა მოეწყო ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლების მიხედვით. დღევანდელ მსოფლიოში არსებულ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, სწორედ რომ ლიბერალური დემოკრატიის საფუძველზე დამყარებული მმართველობის ფორმებია გავრცელებული. ეს ფაქტი ნათელს ხდის ასეთი მმართველობის უპირატესობას ყველა დანარჩენ მმართველობის ფორმებთან შედარებით. თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლები პირველმა ჩამოაყალიბა ინგლისელმა ფილოსოფოსმა თომას ჰობსმა (1569-1679) 1635 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ლევიათანი“. მასში განიხილავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ადამიანის ბუნება, ცოდნის თეორია, ეთიკა და პოლიტიკის ფილოსოფია. თომას ჰობსი ყველაზე მეტად ცნობილი ამ უკანასკნელ სფეროშია. მისმა იდეებმა დიდწილად განსაზღვრა ახალი დროის დასავლური პოლიტიკური აზროვნების პრობლემატიკა. თომას ჰობსმა სრულიად ახლებურად დააყენა სახელმწიფო ძალაუფლების გამართლების საკითხი. ანტიკური მოაზროვნეები ძირითადად ნორმატიული კუთხით მსჯელობდნენ პოლიტიკაზე, მათი მთავარი მიზანი იყო, გაერკვიათ, როგორი იქნებოდა უფრო სამართლიანი სახელმწიფო წყობა. შუა საუკუნეების დასავლური აზროვნება საერთოდ არ განიხილავდა სახელმწიფო ძალაუფლებას, როგორც პრობლემას: მისთვის ამქვეყნიური ძალაუფლება – რომლითაც როგორც წესი, აღჭურვილი ღმერთისგან ნაკურთხი მონარქი იყო. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა, რომ პოლიტიკური სისტემა მონარქისა და ეკლესიის, მეფის ტახტისა და საეკლესიო საკურთხევლის კავშირს ემყარებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის განხეთქილება მოხდა, ძალაუფლებისთვის ბრძოლა გადაიზარდა ნამდვილ რელიგიურ ომებში: თუ კათოლიკეებისთვის მხოლოდ კათოლიკე მონარქი იყო ლეგიტიმური, პროტესტანტები მზად იყვნენ მხოლოდ მათი რწმენის მეფეს დამორჩილებოდნენ. ჰობსის შეხედულებებზე უდიდესი გავლენა მოახდინა ინგლისის სამოქალაქო ომმა (1642-1651), რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მონარქიისა და პარლამენტის მომხრეები, თუმცა ის კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის დაპირისპირებასაც უკავშირდებოდა. ამ ამბებმა ჰობს ორი დასკვნა გომოატანინა: აუცილებელია ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლება, რომელიც გამორიცხავს სამოქალაქო დაპირისპირებას და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის გაპარტახებას; ამასთანავე ეს ძალაუფლება არ უნდა დაეყრდნოს „მეფეთა საღვთო უფლებას“, რადგან ამას რელიგიური ომებისკენ მივყავართ. ჰობსის აზრით, ძალაუფლების ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს ადამიანის ბუნება ანუ ადამიანის თანშობილი თვისებები და საჭიროებები. იმის გასარკვევად საკუთრივ რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი, ჰობსმა შემოიტანა ახალი დროის პოლიტიკური თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი ცნება „ბუნებითი მდგომარეობა“. ეს ის მდგომარეობაა, როდესაც სახელმწიფო ჯერ არ არსებობს, ანუ არ არის ძალა, რომელსაც ყველა ადამიანი დაემორჩილება და ყველა თავის თავსაა მინდობილი. ამ პირობებში ადამიანის ძირითადი მახასიათებელია თანასწორობა და თავისუფლება. თანასწორობის არსი იმაშია, რომ ბუნებამ იმდენად თანასწორნი შექმნა ადამიანები ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მხრივ, რომ ვერავინ იტყვის, მე რაღაც ისეთი სიკეთე მეკუთვნის, რაზეც სხვას ასეთივე პრეტენზია ვერ ექნება. სხეულის ძალა რომ ავიღოთ, ის ყველაზე სუსტსაც საკმარისი აქვს საიმისოდ, რომ ყველაზე ძლიერი

მოკლას. რაც შეეხება გონებრივ შესაძლებლობებს ის ადამიანს თანდაყოლილად არ ეძლევა. ადამიანებს გონებრივი თანასწორების დანახვაში ხელს უშლის გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ სიბრძნეზე. რაც თითქმის ყველა ადამიანს აფიქრებინებს, ვიღაც მდაბიოზე ბრძენი ვარო. ამ მდაბიოებში კი ყველა შეგვყავს, გარდა საკუთარი თავისა და იმ რამოდენიმე ადამიანისა ვისაც სახელისა და ხშირი ურთიერთობის გამო უფრო მეტად ვაფასებთ. კაცის ბუნება ისეთია, რომ შეუძლია მრავალი სხვა მასზე გონებამახვილად, მჭერმეტყველად და ნასწავლად აღიაროს, მაგრამ უჭირს დაჯერება, რომ ბევრი სხვა მასზე გონიერია. ამის მიზეზი ისაა, რომ საკუთარ ჭკუას უშუალოდ აღვიქვავთ სხვებისას კი – შორიდან. ეს ადასტურებს, რომ ადამიანები ამ ნიშნით უფრო თანასწორნი არიან, ვიდრე არათანასწორნი. რა უნდა იყო უკეთესი მოწმობა რაიმე სიკეთის თანაბრად განაწილებისა, თუ არა ის, რომ თავისი წილი ყველას აკმაყოფილებს. თავისუფლება თავის თავში გულისხმობს ადამიანის უფლებას გამოიყენოს საკუთარი ძალა ისე, როგორც სურს, საკუთარი ბუნების ანუ სიცოცხლის შესანარჩუნებლად და შესაბამისად, მოიმოქმედოს ნებისმიერი რამ, რაც მისი მოსაზრებითა და განსჯით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა. სწორედ ამიტომ, ბუნებით მდგომარეობა არის ომი ყველაფრის და ყველას წინააღმდეგ. რაკი არ არსებობს უზენაესი ძალაუფლება, რომელსაც ყველა დაემორჩილება, ადამიანები დაუცველად გრძნობენ თავს: მათ არ აქვთ გარანტირებული საკუთრების უფლება. ეს ყოველი ადამიანისათვის იქნება ის, რაც მან მოიპოვა და, მხოლოდ მანამ, სანამ მისი შენარჩუნება შეეძლება. მათი ძირითადი მამოძრავებელია ძალადობრივი სიკვდილის შიში. მათ იციან, რომ მეორე ადამიანს ვერავინ დაუშლის მათი სიცოცხლის დასაკუთრების ხელყოფას და ცდილობენ, თავად დაასწრონ თავდასხმა. ასეთი ქცევა, საკუთარი სიცოცხლის დაცვითაა ნაკარნახევი, ამიტომ მას რაიმე შეზღუდვას ვერავინ დაუწესებს. საყოველთაო ომის მდგომარეობა, საყოველთაო უბედურებაცაა: აქ კაცის ცხოვრება ეულია, ღარიბი, მწარე ცხოველური და მოკლე. მაგრამ ადამიანი ბუნებით მდგომარეობაშიც რაციონალურია: მას საკუთარი ინტერესების გათვლა შეუძლია. ადამიანები მიდიან დასკვნამდე, რომ მათთვისვეა უკეთესი, დაემორჩილონ უზენაეს ძალაუფლებას, რომელიც კანონზე დამყარებულ წესებს დაიცავს. საამისოდ, მათ უარი უნდა თქვან ბუნებით თავისუფლებაზე, თავს დაესხან მეორე ადამიანს. სამაგიეროდ, საკუთარი სხეულის, ოჯახის საკუთრების უსაფთხოებას მოიპოვებენ. ბუნებითიდან "სამოქაქლაქო" ანუ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაზე გადასვლა ხდება საზოგადოებრივი ხელშეკრულების სახით: ადამიანები თანხმდებიან სახელმწიფო ხელისუფლებას დაემორჩილონ, რადგან ალტერნატივა საყოველთაო ომის მდგომარეობაა. ეს ხელისუფლება აბსოლუტურია ანუ ადამიანები მთლიანად უქვემდებარებენ მას თავის ნებას. დღევანდელი გაგებით, ჰობსი დიქტატურის გამმართლებელი გამოდის. მაგრამ ამავე დროს ის თანამედროვე ლიბერალიზმის წინამორბედიცაა, რადგან სახელმწიფო ძალაუფლების საღმრთო წესრიგს კი არ ამართლებს, არამედ რიგითი ადამიანების მიმართ გაწეული სამსახურით – მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფით. ამით მთლიანად შეტრიალდა პოლიტიკური აზროვნების ტრადიცია. ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის ძირითად მახასიათებლად გამოცხადება საფუძველს აცლიდა შუა საუკუნეების წოდებრივ იერარქიულ სისტემას. თომას ჰობსის გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ, 1689 წელს, ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632 – 1704), რომლის ნაშრომები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ახალი დროის ევროპული ცოდნის თეორიის, მეორე მხრივ, კი ლიბერალური პოლიტიკის მოძღვრების განვითარებისთვის, გამოაქვეყნა „ორი ტრაქტატი მმართველობაზე“ ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულია მისი იდეები ლიბერალური დემოკრატიის შესახებ. ლოკის პოლიტიკური თეორიის თავისებურება ყველაზე კარგად ჩანს მისი უშუალო წინამორბედის, თომას ჰობსის ნააზრევთან შეპირისპირებისას. ჰობსის მსგავსად და უფრო დაწვრილებითაც ლოკი აკრიტიკებს მეფეთა საღვთო უფლების თეორიას და პოლიტიკურ წესრიგს ადამიანთა ბუნებით უფლებაზე აფუძნებს. მაგრამ თუ ჰობსი საბოლოოდ აბსოლუტური მმართველობის იდეაზე მიდის, ლოკი ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ანუ შეზღუდული ძალაუფლების უმთავრეს პრინციპებს აყალიბებს. ეს მას თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის პირველ თეორეტიკოსად აქცევს.

ჰობსი ერთ–ერთი ფუძემდებელია პოლიტიკური რეალიზმის სკოლისა, რომელიც დღესაც ერთ ერთი წამყვანია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. ამ სკოლის შეხედულებების თანახმად სახელმწიფოთა ურთიერთობა შეგვიძლია შევადაროთ ბუნებით მდგომარეობას სადაც არ არსებობს ერთიანი უზენაესი ძალაუფლება შესაბამისად ამ ურთიერთობებში სახელმწიფოების ქცევას მთლიანად უსაფრთხოების ინტერესები განსაზღვროს.

ლიტერატურა:

1. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თომას ჰობსი – „ლევიათანი“, ჯონ ლოკი – „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მმართველობაზე“, I ნაწილი, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2006.

სოკრატე - დაუწერელი ფილოსოფოსი

ფიქრია გოგიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი**, სრული პროფესორი

სოკრატე ანტიკური სამყაროს უაღრესად რთული და, შეიძლება ითქვას, დღემდე ამოუცნობი მოვლენაა.

სოკრატეს ფილოსოფია ესაა დავა, კამათი პასუხებისა ისეთ კითხვებზე მარადიულად რომ დგანან ადამიანის წინაშე, აღელვებენ მას და ითხოვენ პასუხს. ესაა კითხვები სიცოცხლესა და სიკვდილზე, სხეულზე და სულზე, სხეულისა და სულის ბედზე, სიყვარულზე, სამართლიანობაზე, ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, ან რა გზა უნდა აირჩიოს, რომ ღირსეულად გალიოს წუთისოფელი.

მას არაფერი დაუწერია, ამიტომაც მის შესახებ მხოლოდ არაპირდაპირი ცნობების საფუძველზე ვმსჯელობთ, იგი ზეპირი გამონათქვამებით კმაყოფილდებოდა და პირად საუბრებში გამოთქვამდა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს. მისი მოძღვრება კი გადმოცემულია საუბრებში, რომელსაც სოკრატე თავის მეგობრებთან და მოწაფეებთან ატარებდა. იმ მოწაფეთაგან, რომლებიც უშუალო მოწმენი იყვნენ სოკრატეს მოღვაწეობისა, აღსანიშნავია პლატონი და ქსენოფონტე. სწორედ ისინი გადმოგვცემენ სოკრატეს მოძღვრებას. პლატონს სოკრატე გამოყვანილი ჰყავს, როგორც ღრმა მოაზროვნე, დიდი თეორიტიკოსი და სიბრძნის მაძიებელი.

სოკრატე (469–399) დაიბადა ათენის მახლობლად მდებარე თემში ალოპეკეში ძვ.წ 469 წ. ის დაბალი წრიდან, სახელდობრ, ხელოსნების წრიდან იყო გამოსული, მამამისი – სოფრონისკე მოქანდაკე იყო, დედა - ფაინარეტე კი ბებიაქალი. სოკრატე ამბობდა, რომ იგი როგორც მამის, ისე დედის ხელობას მისდევდა, რადგან ადამიანებს მოქანდაკესავით ადამიანურ ფორმას აძლევდა და ბებიაქალივით ცოდნას აბადებინებდა.

პლატონი თავის დიალოგში ,,ნადიმი“ გადმოგვცემს, რომ სოკრატე მეტად ცუდი გარეგნობის ადამიანი იყო. ჰქონდა დიდი თავი და პატარა წვრილი ფეხები, მოკლე და მსხვილი ცხვირი. დიდი და გადმოკიდებული ჭროღა თვალები. ის ერთი და იმავე წამოსასხამით დადიოდა ზამთარ-ზაფხულ, თითქმის მუდამ ფეხშიშველი.

სოკრატე დემოკრატიულ ფენას ეკუთვნოდა. მართალია სოფისტების წრიდან იყო გამოსული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველად მან გამოააშკარავა სოფისტების მოძღვრების შინაგანი წინააღმდეგობა. ის სოფისტების წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ თუ არსებობს ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტება, მაშინ თვითონ ეს დებულება ხომ უნდა მივიჩნიოთ ყველასათვის სავალდებულოდ. ამიტომ ყველასათვის სავალდებულო ჭეშმარიტების უარმყოფელი დებულება თავის თავს აბათილებს.

სოკრატეს აზრით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რაიმეს ცოდნა და ცოდნა საერთოდ. რაიმე საქმეში ბრძენი მხოლოდ მაშინ იქნება მართლაც ბრძენი, თუ მას აქვს სიბრძნის ცნება. სოკრატე დარწმუნდა, რომ ვისაც თავი ბრძენად მოჰქონდა, არ იყო ბრძენი, რადგან არ იცოდა ის, თუ რა არის თვითონ სიბრძნე. მაგრამ ასეთი ბრძენებიდან არც სოკრატე გამოირჩეოდა, რადგან მისი სიტყვით, არც მან იცოდა არაფერი, მაგრამ სოკრატე სხვა ბრძენებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მან იცოდა ის, რომ არაფერი არ იცოდა და ამბობდა: ,,მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“. ეს მას არსებითად განასხვავებდა სხვა ბრძენებისგან. იმის შეგნება, რომ არაფერი ვიცი არის საშუალება არცოდნიდან ცოდნაზე ასვლისა. ის არის საშუალება არცოდნის დაძლევისა და ცოდნის დაწყებისა. სრული ცოდნა იქნება ზოგადის ცოდნა ე.ი. ცნება. სოკრატე ცდილობს მიიღოს ზოგადი ცნება. ცნების მიღების სოკრატეს მეთოდს სახელად დიალექტიკური ჰქვია ,,დიალეგესთაი“ მეცნიერულ დავას ნიშნავს. სოკრატეს აზრით, ცნება, ნამდვილი ცოდნა მიიღწევა კამათით, დავით, დიალოგით. დავა და კამათი აზრთა წინააღმდეგობა სოკრატეს ჭეშმარიტების აღმოჩენის ერთადერთ საშუალებად მიაჩნია. მისი თვალსაზრისით ცოდნა არ არის თვით მიზანი იგი ადამიანის პრაქტიკულ ინტერესებს ემსახურება. მიზანი ზნეობაა. ცოდნა იმას ემსახურება, რომ ადამიანი სათნო გახდეს. სოკრატეს აზრით, ,,ადამიანი რომელსაც აქვს სიკეთის ცოდნა, ბოროტებას არ ჩაიდენს“. თუ ადამიანი ბოროტად მოქმედებს, მაშინ იგი მოქმედებს უგნურად. უგნურება ბოროტებაში ვლინდება, ხოლო ყოველი სათნოება თვითშეგნებაა, ამიტომ უმაღლესი მორალური კანონი და შემეცნების კანონი იქნება, ,,შეიმეცნე თავი შენი“. ეს დებულება სათავეა, როგორც ცოდნის ისე ზნეობისა.

სოკრატეს ფილოსოფიის ამოსავალ დებულებას, სწორედ ეს ეთიკური დებულება წარმოადგენდა. ეს დებულება უპირველეს ყოვლისა, თვითშემეცნებას აღნიშნავდა და მოითხოვდა. თვით შემეცნება - ეს არის ცოდნა ცოდნის შესახებ.

სოკრატე ამბობდა, რომ ის არ იყო ბრძენი, მაგრამ იყო სიბრძნისმოყვარე. მან არაფერი არ იცის, მაგრამ უნდა რომ იცოდეს. ის თავის არასახარბიელო გარეგნობით და უბრალო სამოსით ხშირად ფეხშიშველი იქ გამოჩნდებოდა, სადაც თავმოყრილ ხალხს დაინახავდა და მაშინვე საუბარს გაუბავდა. თავისი შეკითხვებით, კამათით ,,მცოდნეში", ,,ბრძენში" უვიცობას აღმოაჩენდა, რაც თვითონ ამ ,,მცოდნისა" და სხვა მაყურებლის ღიმილს იწვევდა. ეს ირონია სრულიადაც არ ნიშნავდა დაცინვას, იგი არცოდნიდან ცოდნამდე ამაღლებას მოასწავებდა. სოკრატეს ირონია ერთი აუცილებელი მომენტია მისი დიალექტიკური მეთოდისა. ირონია უსრულობიდან სისრულის მიღებას ნიშნავს, როცა ვინმეს მცოდნედ მოაქვს თავი და ამავე დროს აღმოჩნდება, რომ ის არ არის მცოდნე, და ეს მოხდება იმის შეგნებით, რაც მან არ იცოდა, აი სწორედ მაშინ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომელიც ღიმილს გამოიწვევს, რადგან სისრულის მიღებას ავლენს, სოკრატეს ირონიას მარტო აღმზრდელობითი მნიშვნელობა კი არ ჰქონდა, არამედ ის იყო აუცილებელი მომენტი შემეცნების მეთოდისა, კერძოდ ზოგადზე ასვლისა.

ცოდნა კი არ იქმნება ჩვენს მიერ, არამედ იბადება. შემეცნება ცოდნის დაბადებაა, ფიქრობდა სოკრატე, მასწავლებელი მხოლოდ გამღვიძებელია, რომელიც აფხიზლებს მოწაფის მიძინებულ სულს და ამით ხელს უწყობს ცოდნის დაბადებას.

სოკრატემდელი ფილოსოფიის მთავარი საკითხი სამყაროს ანუ კოსმოსის ძირის, მისი საწყისის - არხეს ძიება იყო. მისი მოძღვრების ძირითადი მომენტი კი ეთიკაა. ამ მოძღვრების მიზანია, შეიმეცნოს და შეაფასოს საერთოდ ცხოვრება და კერძოდ ადამიანი. ამიტომ იყო, რომ სოკრატეს საუბრები ყოველთვის ცხოვრებისეულ საკითხებს - პოლიტიკურსა და სოციალურ საკითხებს ეხებოდა. განსაკუთრებით უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი და ცდილობდა გაეკაფა მათთვის გზა უზენაესი სიკეთისა და სათნოების მისაწვდომად.

ციცერონი ,,ტუსკულანურ საუბრებში" ამბობს, ,,სოკრატემ პირველმა ჩამოიყვანა ფილოსოფია ზეციდან და იგი მან ქალაქებში დაამკვიდრა, სახლებშიც შეიყვანა და აიძულა, ეკვლია ცხოვრების, ზნეობის სიკეთისა და ბოროტების საკითხები. სოკრატე თავის საუბრებში გმობდა დამკვიდრებულ უსამართლობას, სიმდიდრისა და ფუფუნებისკენ დაუოკებელ მისწრაფებას და ახალი დროის მიერ მოტანილ ყველა მანკიერებას. ის მეტად უანგარო ადამიანი იყო პაექრობასა და სწავლებაში, ფულს არ იღებდა მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე სოფისტები ამ გზით დიდძალ ქონებას იძენდნენ. სოკრატე თავისი ურყევი და მტკიცე ნებისყოფით უშიშარი და ჯიუტი პრინციპულობით და მისთვის დამახასიათებელი ირონიით უპირისპირდებოდა პოლისის მმართველობის ზედაფენას. ამ გარემოებათა გამო ბევრ მოყვასთან ერთად ბევრი მტერიც გაუჩნდა. მის წინააღმდეგ არაოფიციალური ბრალდება ჯერ კიდევ პოლიკრატემ აღძრა. ბრალდება ორი პუნქტისაგან შედგებოდა. 1. ის რომ არ აღიარებდა პოლისში ოდითგანვე აღიარებულ ღმერთებსა და შემოჰყავდა ახალი ღვთაებები. 2. ღვთისმკრეხელი სოკრატე თავის საუბრებით ახალგაზრდობას რყვნიდა. საქმე აღიძრა ათენის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში – ჰელიაში. სოკრატე სასამართლოში თავს იცავდა, როგორც სიმართლეში თავდაჯერებული და ღირსეული ადამიანი. შეწყალება არ უთხოვია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და სიკვდილი მიუსაჯა.

განაჩენის სისრულეში მოყვანამდე ოცდაათი დღე გავიდა, ამ ოცდაათი დღის განმავლობაში კუნძულ დელოსზე დელიების დღესასწაული მიმდინარეობდა და სანამ არ დასრულდებოდა, კაცის სიკვდილით დასჯა აკრძალული იყო.

სოკრატე სრულიად მშვიდად ელოდებოდა აღსასრულს. მისმა მეგობრებმა მისი გაქცევისათვის ყველაფერი მოამზადეს, მაგრამ მან გაქცევაზე კატეგორიული უარი თქვა 399 წლის გაზაფხულზე ერთგული მეგობრებით გარშემორტყმულმა ბრძენმა სულის უკვდავებაზე საუბარში დაცალა საწამლავით სავსე ფიალა.

ის უაღრესად საჭირო, სასარგებლო და მაღალი ზნეობის კაცი იყო. ხოლო მთელი მისი ცხოვრება სამაგალითო. ის სიტყვითაც და საქმითაც მხოლოდ სიკეთეს ნერგავდა. მხოლოდ იმას ლაპარაკობდა, რასაც გონება უკარნახებდა და ამბობდა, რომ ღვთაებრივი ძალა უცხადებდა, ყოველივეს ის არასდროს იწინასწარმეტყველებდა რამეს, სიმართლის თქმაში მართალი რომ არ ყოფილიყო. ასეთ საქმეში ვის ერწმუნება კაცი თუ არა ღმერთს და თუ სოკრატეს ღმერთები სწამდა, ვით შეეძლო ეფიქრა, ღმერთები არ არსებობენო. არავის არასოდეს უხილავს და არავის გაუგონია, რომ სოკრატე ღვთის საწინააღმდეგო რამ ეთქვას ან ჩაედინოს. ისიც საოცარია, თითქოს ის ახალგაზრდებს რყვნიდა ის სოკრატე, ვინ ზემოთქმულ ღირსებათა გარდა ყველაზე უფრო თავშეკავებული იყო ტრფობის საქმესა და ჭამა - სმაში. ყველასათვის ცხადი იყო სოკრატეს ხალხისადმი ერთგულება და კაცთმოყვარეობა. არავის არასოდეს სწავლის ქირას არ

ახდევინებდა, თავის ცოდნას კი ყველას უხვად უნაწილებდა. ზოგიერთები მისი მოძღვრების მხოლოდ მცირე ნაწილის მიღებას ახერხებდნენ. რა თქმა უნდა მუქთად, მაგრამ მერმე ძალზე ძვირად ჰყიდდნენ სხვებზე. ისინი მასავით კაცთმოყვარენი როდი იყვნენ, ვინაიდან საწვრთნელ საუბრებში ახლოს არ იკარებდნენ იმას, ვისაც ფულის გადახდა არ შეეძლო. ის მთელი სიცოცხლის მანძილზე ხარჯავდა თავის ქონებას, უდიდეს სარგებლობას ანიჭებდა ყოველ მსურველს და ყველას, ვინც მასთან იმყოფებოდა და მათ უკეთეს ადამიანებად აბრუნებდა უკან.

ასეთი ღირსებების მქონე ადამიანს, როგორიც სოკრატე იყო, პატივისცემა უფრო ეკადრებოდა სახელმწიფოსგან, ვიდრე სიკვდილით დასჯა.

ყველასათვის ცნობილია სოკრატეს ორიგინალური აზროვნების წესი. სოკრატეს ორიგინალური აზროვნების წესი XX საუკუნეში გაიმეორა გორში დაბადებულმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა, რომელიც XX საუკუნის სოკრატედ შერაცხეს.

ლიტერატურა:

1. სავლე წერეთელი, ,,ანტიკური ფილოსოფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968;
2. ,,ფილოსოფიის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962;
3. პლატონი, ,,ფედონი“, ,,ნაკადული“, თბ., 1966;
4. პლატონი, ,,ნადიმი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964;
5. ნუგზარ აბრამიშვილი, პლატონი სულის შესახებ, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2010.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია

თამარ ეცადაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **გიორგი გიორგაძე,** სრული პროფესორი

შესავალი

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში დღემდე რჩება უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტად. ამ კონსტიტუციაში ადამიანი მთავარ სოციალურ ღირებულებადაა წარმოჩენილი და ხაზი აქვს გასმული ისეთ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. სწორედ ეს კონსტიტუციაა პირველი ბიძგი იმისა, რომ ქართველ ხალხს ყოველთვის ებრძოლა ამ ფასეულობების დასაცავად. ყოველი შემდგომი კონსტიტუცია დღემდე სწორედ 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე იქმნებოდა (საბჭოური პერიოდის კონსტიტუციების გარდა) და მათ შორის საკმაოდ ბევრი პარალელები გაივლება. ეს ეხება ახალ 2010 წლის კონსტიტუციასაც, თუნდაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც დღევანდელ კონსტიტუციაში საკმაოდ აქტუალურ თემას წარმოადგენს.

კონსტიტუციის შემუშავების მოკლე ისტორია

საქართველოს კონსტიტუციური ისტორია პირველი კონსტიტუციის მიღებით იწყება. მის შემუშავებაზე სამი წლის განმავლობაში (1918-1921 წ.წ.) ორი საკონსტიტუციო კომისია მუშაობდა. პირველი კომისიის განზრახვა ისეთი პროექტის შემუშავება იყო, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა „ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, ყოფა, ზნე-ჩვეულება, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა და სამწლიანი პარლამენტური პრაქტიკა“. ამ კონსტიტუციაში მოხდა იმ აზრის განმტკიცება, რომ ადამიანი არის ძირითადი სოციალური ღირებულება. სწორედ ამ იდეის განხორციელებას დაეთმო კონსტიტუციის თითქმის ნახევარი. აქ ცალ-

ცალკე თავებადაა დაყოფილი – „მოქალაქეობა“, „მოქალაქის უფლებები“, „სწავლა-განათლება და სკოლა“, „სოციალ-ეკონომიკური უფლებანი“, „ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი“.

1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ყველა თავი ბოლომდე არ იყო განხილული, მაინც დაამტკიცა ის.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია საკმაოდ საინტერესო მოდელია კონსტიტუციისა, რომელშიც გონივრულადაა შეჯერებული მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერო-ეროვნული ქართული საწყისები.

ძნელია იმის განსჯა თუ როგორ იმუშავებდა ეს კონსტიტუცია, ვინაიდან მიღებიდან მეოთხე დღეს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, ხოლო ემიგრაციაში მიმავალმა საქართველოს კანონიერმა ხელისუფლებამ შეაჩერა რეალურად ჯერ არამუშავებული პირველი ქართული კონსტიტუციის მოქმედება.”[13]

კონსტიტუციის ზოგიერთი ასპექტი

1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება 17 თავისა და 149 მუხლისგან.

პირველი თავი მოიცავს ზოგად დებულებებს, სადაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების პრინციპები.

პირველივე მუხლი საქართველოს აცხადებს თავისუფალ, დამოუკიდებელ, განუყოფელ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ მმართველობის რესპუბლიკური ფორმით. საქართველოს დედაქალაქად გამოცხადებულია ქ. თბილისი, სახელმწიფო ენად კი – ქართული ენა. დადგენილია სახელმწიფოს სიმბოლიკის – დროშისა და გერბის ფორმები. მე-6 მუხლი კი კატეგორიულად კრძალავს როგორც საქართველოს ტერიტორიის გაცემას და დანაწილებას, ისე მის გაყიდვას.

პ. ცნობილაძის აზრით, მოცემული ნორმა დატვირთულია პოლიტიკური აქცეპტით. მასში ჩადებულია სახელმწიფოს სუვერენიტეტის თავდაცვის მექანიზმი, ანუ თავდაცვა სახელმწიფოს ტერიტორიის ისეთი გაცემისგან, დანაწილებისა და გაყიდვისგან, რომელიც გამოიწვევდა ქვეყნის მთლიანობის რღვევას და საქართველოს საზღვრების შეცვლას. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გარკვეული პრეტენზიები მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის მიმართ უკვე არსებობდა, მაშინ ეს იქნება კიდევ ერთი არგუმენტი ნორმის ამგვარი ინტერპრეტაციისთვის.

მეორე თავი ეხება მოქალაქეობის საკითხს, კერძოდ, განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი, აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა და მოცემულია მოქალაქეობის შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები.

მესამე თავი იწოდება, როგორც “მოქალაქის უფლებანი”, სადაც ჩამოყალიბებულია როგორც საქართველოს ისე უცხოელების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც შეეხება მხოლოდ მოქალაქეთა პირად და პოლიტიკური ხასიათის უფლებებს.

1921 წლის კონსტიტუციის უპირველესი ხარისხობრივი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში თითქმის უნაკლოდ წარმოადგინა პიროვნების სამი უმთავრესი ღირებულება – სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. კერძოდ, გაუქმდა სიკვდილით დასჯა, დადგინდა პიროვნების თავისუფლების ხელშეუხებლობის მყარი კონსტიტუციური გარანტიები და აღიარებული იქნა საკუთრების უფლება ასევე შესაბამისი გარანტიებით.

აღნიშნულ კონსტიტუციაში ძალზე საინტერესოდაა წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების სახით. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია საზოგადოებას სთავაზობს ერთგვარი საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს, რადგან ამ საპარლამენტო მოდელში არ არსებობს ნეიტრალური ფიგურა – სახელმწიფოს მეთაური პრეზიდენტის სახით, რომელიც შესაბამის შემთხვევაში ან დაითხოვდა პარლამენტს, ან გადააყენებდა მთავრობის მთელ შემადგენლობას.

არსებობს საკმარისი საფუძვლები იმისთვის რათა დავასკვნათ, რომ საქართველო იყო საპარლამენტო რესპუბლიკა, მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია აშკარა პრიმატს ანიჭებს საქართველოს პარლამენტს, თუნდაც ის ფაქტი რომ 52-ე მუხლის თანახმად „ხელისუფლება ეკუთვნის მთელ ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის

[13] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 2008.

ხელმწიფებას“, ასევე მთავრობის წევრი იმავდროულად შეიძლება ყოფილიყო პარლამენტის წევრიც, რაც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ საპარლამენტო მმართველობის ფორმისათვის. პარლამენტი ახორციელებს საერთო კონტროლს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე.

აგრეთვე კონსტიტუციაში აღნიშნულია პარლამენტის არჩევისა და მისი უფლებამოსილებების შესახებ. პარლამენტის შესახებ საკითხები მოწესრიგებულია მეოთხე თავში, ხოლო მეხუთე თავი მთლიანად ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნის წესსა და კომპეტენციას.

უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარე, მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებამოსილებათა ფარგლები განსაზღვრულია აგრეთვე კონსტიტუციაში, მას ირჩევდა საქართველოს პარლამენტი 1 წლის ვადით. ერთი და იგივე პირის არჩევა შესაძლებელია ზედიზედ არა უმეტეს ორჯერ. მთავრობას ქმნიდა მთავრობის თავმჯდომარე. როგორც ზემოთაა აღნიშნული მთავრობა პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. კერძოდ, კი 73-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად „მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებას და აასრულოს იგი და ამის მიხედვით, თუ საჭიროა გამოცვალოს ცალკეული მინისტრი ან გარდაქმნას მთელი კაბინეტი“.

ასევე საინტერესოა კონსტიტუციის მეექვსე თავი, რომელიც ეძღვნება სასამართლო ხელისუფლებასა და მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციურ პრინციპებს.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებობდა ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელსაც ირჩევდა პარლამენტი. სენატი ასრულებდა საკასაციო სასამართლო ფუნქციას

გარდა სენატისა, არსებობდა საერთო სასამართლოების მთელი სისტემა, რომლებიც ახორციელებდნენ სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სასამართლო აღიარებული იყო, როგორც დამოუკიდებელი, მხოლოდ კანონის მორჩილი ორგანო, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეეძლო მხოლოდ სასამართლოს.

კონსტიტუცია ჯერ კიდევ მაშინ ითვალისწინებდა სასამართლო პროცესში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობას მხოლოდ მძიმე სისხლის სამართლის, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულის საქმეებზე.

აღნიშნული კონსტიტუცია იცნობს დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც ასევე აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. ეს ორგანოები გამოსცემდნენ დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთა შეჩერების უფლება ჰქონდათ ცენტრალურ ორგანოებს თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ კანონს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი რომელიც 107-ე და 108-ე მუხლებისგან შედგება. ეს თავი ეძღვნება ავტონომიურ მმართველობას, თუმცა არც ერთ მუხლში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ავტონომიური ერთეულების სამართლებრივი მდგომარეობა და კომპეტენცია, მაგრამ 107-ე მუხლის ზოგადი მითითების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ მხარი დაუჭირა ე.წ. დეცენტრალიზირებული უნიტარული სახელმწიფოს კონცეფციას, ამ კონცეფციის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალის ოლქი, ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორია) მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

აღნიშნული საკითხების გარდა, 1921 წლის კონსტიტუცია ეხება სახელმწიფო ფინანსებს (მეშვიდე თავი), სახელმწიფო კონტროლს (მერვე თავი), სახელმწიფო თავდაცვას (მეცხრე თავი), სწავლა-განათლებასა და სკოლას (მეთერთმეტე თავი), სახელმწიფო მოხელეებს (მეთხუთმეტე თავი), ურთიერთობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის (მეთექვსმეტე თავი) და კონსტიტუციის გადასინჯვის წესს (მეჩვიდმეტე თავი).”[14]

კონსტიტუციის ხარვეზები

1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუცია ბევრი მნიშვნელოვანი სიახლის დამკვიდრებას აპირებდა ქართულ სახელმწიფო სამართალში. კონსტიტუცია სახელმწიფო წყობილების მუდმივი და უცვლელი ფორმის სახით დემოკრატიულ რესპუბლიკას გვთავაზობდა და უამრავი პროგრესული

[14] პ. ცნობილაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004.

ცნებები და ნორმები შემოჰქონდა. თუმცა ალბათ მისი ნაჩქარევი მიღების შედეგად მასში გარკვეული ხარვეზები არსებობდა.

„1994 წლის ოქტომბერში, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მზადების პროცესში, მსოფლიოს ცნობილი კონსტიტუციონალისტების მონაწილეობით, ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე ნახევრად საპრეზიდენტო, შერეული მმართველობის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვისას, საუბარი 1921 წლის კონსტიტუციით დაიწყო. ერთხმად იყო აღიარებული, რომ იმ დროისათვის ეს იყო დემოკრატიული კონსტიტუციის შესანიშნავი ნიმუში, თუმცა აღნიშნული იყო ზოგიერთი ნორმის გარკვეული ხარვეზებიც.

ასეთად მათ მთავრობის უფლებამოსილების ერთწლიანი ვადა და მისივე დათქმა დაასახელეს – ზედიზედ მხოლოდ ორჯერ გადარჩევის უფლების თაობაზე. ეს შენიშვნა გამოწვეული იყო იმით, რომ პარლამენტის სამწლიანი უფლებამოსილებების პირობებში მთავრობის სამჯერ შეცვლა შეიძლებოდა, თუ ამას შუალედში, თავმჯდომარის მიერ მთელი კაბინეტის შეცვლაც არ დაემატება.

შემდეგი შენიშვნა შეეხებოდა საპარლამენტო რესპუბლიკას სახელმწიფო მეთაურის გარეშე, ფაქტობრივად სახელმწიფო მეთაურის ფუნქციას ითავსებდა მთავრობის თავმჯდომარე არამარტო იმიტომ, რომ კონსტიტუციამ „უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება“ რესპუბლიკის მთავრობას მიეკუთვნა, არამედ იმ მოტივითაც, რომ მას ენიჭებოდა რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა და განსაკუთრებული უფლებები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

თუმცა კონსტიტუციის წაკითხვისას ღიად რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლებით აღჭურვილ სუბიექტთა განსაზღვრის და არჩევანის წესი, განსაკუთრებით კი „მთავრობის მიმართ შეკითხვის შეტანისა და კითხვის მიცემის“ პარლამენტის წევრთა უფლების კავშირი მთავრობის წევრის გადადგომას, როცა პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაჰკარგავს მის ნდობას.

გარკვეულ გაუგებრობას ბადებს პარლამენტის წევრთა რაოდენობის განუსაზღვრელობა და ისიც, რომ მთავრობის წევრთათვის საპარლამენტო მანდატების შეთავსების პირობები და რაოდენობა არ არის რეგლამენტირებული. ასეთ ვითარებაში, სამთავრობო გუნდის მანდატების რაოდენობამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს საკანონმდებლო პროცესზე.”[15]

დასკვნა

ვეთანხმები პაატა ცნობილაძის აზრს იმის შესახებ, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზების არსებობისა 1921 წლის კონსტიტუცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში დღესაც რჩება უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივ დოკუმენტად. მხოლოდ ის რად ღირს, რომ მან საშუალება მისცა ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობითობა და შეეხსენებინა მსოფლიოსათვის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომ მას ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც უმაღლეს სამართლებრივ დონეზე ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვეობას და აღიარებდა იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან მიეკუთვნებოდა საქართველოს ცივილიზებული სამყაროს სანახებს.

ლიტერატურა:

1. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“, თბ., 2008;
2. პ. ცნობილაზე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი I“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2004;
3. ო. მელქაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბ., 2008.

[15] ო. მელქაძე, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, გამომცემლობა „ინოვაცია“, თბ., 2008.

პასუხისმგებლობა თანამსრულებობისათვის

ნათია ლურსმანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში თანამონაწილეობას განიხილავენ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით ანუ, როგორც იტყვიან, რთული თანამონაწილეობა გულისხმობს როლების დანაწილებას ცალკეულ მონაწილეთა შორის. თანამონაწილე დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ თვითონ არ ასრულებს. შემადგენლობას უშუალოდ ახორციელებს მხოლოდ ამსრულებელი, ხოლო დანარჩენები მონაწილეობენ ამსრულებლის მოქმედებაში. თანამონაწილეობა ფართო აზრით თანამსრულებლობასაც მოიცავს. თანამსრულებლობის დროს ცალკეულ მონაწილეთა შორის როლების დანაწილება არ ხდება. ამიტომ მას ზოგჯერ მარტივ თანამონაწილეობასაც უწოდებენ.

თანაამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს განზრახ დანაშაულის ჩადენაში. თანაამსრულებლობა არსებითად იგივე ამსრულებლობაა; ამიტომ თანაამსრულებელი არ იქნება ის, ვინც დანაშაულის შემადგენლობას არ ახორციელებს. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება თანაამსრულებელი თანამონაწილის, კონკრეტულად, დამხმარისაგან.[16] ორი ან მეტი პირის უშუალო ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში ნიშნავს იმას, რომ თითოეული მათგანი უშუალოდ ასრულებს დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობას.

რაკი თანამსრულებლობა აუცილებლად გულისხმობს შემადგენლობის განხორციელებას, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ შემადგენლობის რა ნაწილს უნდა ასრულებდეს თითოეული მათგანი. როგორც სისხლის სამართლის თეორიაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში ერთხმად არის აღიარებული, რომ ყოველი თანამსრულებელი შემადგენლობას უნდა ასრულებდეს ან მთლიანად ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც. ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, გაუპატიურება და სხვა, სადაც ძალადობა შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, თანაამსრულებლობისათვის საკმარისია, თუ პირმა შემადგენლობის მხოლოდ ეს ნიშანი შეასრულა. სწორედ შენიშნავს მ. კოვალიოვი, „... განზრახი მკვლელობის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო ის, ვინც მსხვერპლს დარტყმა მიაყენა, არამედ ისიც, ვინც აკავებდა დაზარალებულს, ვიდრე სხვა თანამონაწილენი მას მომაკვდინებელ დარტყმას აყენებდნენ".[17]

მაგალითად, სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე" პუნქტით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების თანაამსრულებლობად სცნო მამა-შვილი გიორგი გიორგაძე და მამია გიორგაძე. როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო განხილვის დროს დადასტურდა, რომ გიორგი გიორგაძემ პირადი უსიამოვნების ნიადაგზე უკნიდან ხელი ჰკრა თავის მეზობელს სიმონ გელაშვილს, რომელიც წაბარბაცდა. ამის შემდეგ გიორგი გიორგაძემ ხელები დაუჭირა სიმონ გელაშვილს. ამ დროს შემთხვევის ადგილზე მივიდა გიორგი გიორგაძის ვაჟი მამია გიორგაძე, რომელიც მიეშველა მამას და მუშტებით დაუწყო ცემა სიმონ გელაშვილს მუცელში, რის შედეგადაც მან მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, გაუსკდა სწორი ნაწლავი.

მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომებიც. მაგალითად, რეზო ხაჩიძემ, ნოდარ ლომიძემ და დიმიტრი გოგოლაძემ ერთობლივად წააქციეს ამირან ბერიძე. რეზო ხაჩიძემ და ნოდარ ლომიძემ მას ხელები გაუკრეს, ხოლო დიმიტრი გოგოლაძემ ყელი გამოჭრა მსხვერპლს. სასამართლომ ამსრულებლად სცნო მხოლოდ დიმიტრი გოგოლაძე, ხოლო რეზო ხაჩიძე და ნოდარ ლომიძე მკვლელობის დამხმარებად. ჩვენი აზრით, მცდარია სასამართლოს მტკიცება. სასამართლომ არასწორად მიიჩნია რეზო ხაჩიძე და ნოდარ ლომიძე დამხმარებად. სინამდვილეში ისინიც ამსრულებლები იყვნენ. მკვლელობის ამსრულებელი მარტო ის კი არ იყო, ვინც მსხვერპლს ყელი გამოჭრა, არამედ ისიც, ვინც მას აკავებდა. აქ ადგილი ჰქონდა მკვლელობის თანამსრულებლობას. პირთა ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი განზრახი მკვლელობის დროს დანაშაულის ამსრულებლად უნდა ჩაითვალონ არა მარტო ის პირები, რომელთა მოქმედებამაც უშუალოდ გამოიწვია სიკვდილი, არამედ ისინიც, ვინც განზრახ მონაწილეობდა თვით დანაშაულის

[16] ო. გამყრელიძე, შუალობითი ამსრულებელი, თანაამსრულებელი, თბ., 1974, გვ. 53
[17] მ. კოვალოვი, Саичасти преступлениею, Москва, 1970, ст. 15

აღსრულების პროცესში თავისი მოქმედებით, რომელიც მიმართული იყო აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

საგანგებო ინტერესს იწვევს ამ თვალსაზრისით გაუპატიურების შემადგენლობა. კოდექსის 137-ე მუხლით გაუპატიურება არის სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევები, როცა ერთობლივად მოქმედი რამდენიმე პირიდან მხოლოდ ერთ-ერთი ახორციელებს სქესობრივ აქტს, ხოლო დანარჩენები ფიზიკური ძალადობის გამოყენებით ეხმარებიან და ხელს უწყობენ თავიანთ თანამზრახველს სქესობრივი აქტის შესრულებაში. ასეთი პირები ერთი შეხედვით თითქოს დამხმარეები არიან. მაგრამ არსებითად ისინიც აღსრულების მოქმედებას სჩადიან, ვინაიდან ახორციელებენ შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს ფიზიკურ ძალადობას. ამიტომ მსგავსი შემთხვევები თანაამსრულებლად უნდა დაკვალიფიცირდეს. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაშიც, როცა ერთი პირი სქესობრივ აქტს უშუალოდ ახორციელებს, დანარჩენები კი აიძულებენ მას დაემორჩილოს მოძალადეს. ის, ვინც მუქარას ახორციელებს, იქნება თანაამსრულებელი და არა დამხმარე, ვინაიდან მუქარაც გაუპატიურების შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანია.

გაუპატიურების შემადგენლობის ნიშანია აგრეთვე სქესობრივი კავშირის დაჭერა „დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით". უმწეო მდგომარეობაში მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზით. მაგრამ შესაძლოა დამნაშავემ თვითონ ჩააგდოს იგი უმწეო მდგომარეობაში მისი შემდგომი გაუპატიურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში თვით ფაქტი მსხვერპლის უმწეო მდგომარეობაში ჩაგდებისა, უკვე ნიშნავს, რომ განხორციელდა შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი. ამიტომ თუ ერთი პირი მსხვერპლს განზრახ ჩააგდებს უმწეო მდგომარეობაში, ხოლო მეორე მას გააუპატიურებს, ორივენი იქნებიან გაუპატიურების თანაამსრულებლები.

ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს სპეციალური მიზანი წარმოადგენს. მაგალითად, მითვისების მიზანი ქურდობის დროს. შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ თანაამსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთ მონაწილეს ეს მიზანი არა აქვს? ვთქვათ ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას ახორციელებს ორი პირი, რომელთაგან ერთს აქვს მითვისების მიზანი, მეორეს კი – არა. ეს უკანასკნელი თანაამსრულებელი თუ დამხმარე თანამონაწილე იქნება? ჩვენი აზრით, დასახელებული ფაქტების თანაამსრულებელი შეიძლება იყოს ისიც, ვინც, მართალია, სპეციალური მიზნით არ მოქმედებს, მაგრამ სხვასთან ერთად ასრულებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას. მაგალითად, თ. წერეთელი სწორედ მიუთითებს, რომ ქურდობის თანაამსრულებლობისათვის სავსებით საკმარისია, თუ რამდენიმე მონაწილედან ერთ-ერთს მაინც აქვს მითვისების მიზანი, ხოლო დანარჩენებმა კი ეს იციან. უფრო მეტიც: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქურდობის თანაამსრულებლობისათან გვექნება საქმე მაშინაც, როცა ნივთის ფარული დაუფლება ხდება სხვისთვის გადასაცემად.

სავსებით სწორად შენიშნავს ნ. დურმანოვი, რომ აუცილებელი არ არის ყველა თანაამსრულებელს ჰქონდეს ერთნაირი მიზანი.[18]

რაკი თანაამსრულებლები ერთსა და იმავე დანაშაულს სჩადიან, დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები თითოეული მათგანის მიმართ ერთნაირად უნდა გადაწყდეს. თუმცა ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა მუხლით კვალიფიკაციის შემთხვევებიც, მაგრამ ეს თანაამსრულებლის არსს არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, როდესაც ერთი თანაამსრულებლის ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 109-ე მუხლით, მეორესი კი – 108-ე მუხლით, კვალიფიკაციის ერთიანობა გამოიხატება იმით, რომ ისინი განზრახი მკვლელობის თანაამსრულებლები არიან. ერთნაირად უნდა გადაწყდეს აგრეთვე კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

ლიტერატურა:

1) თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965;
2) ო. გამყრელიძე, შუალობითი ამსრულებელი, თანაამსრულებელი, თბ., 1974;
3) მ. კოვალოვი, Саичасти преступлениею, москва, 1970;
4) ნ. დურმანოვი, Саичасти преступлениею, москва, 1938;
5) სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი;
6) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010 წელი 10 ოქტომბერი.

[18] ნ. დურმანოვი, Саичасти преступлениею, москва,1938, ст. 153

წამების აკრძალვა

ანი მიხანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კარლო ბზიშვილი**, აკადემიური დოქტორი

შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტს, რომელიც იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავე დროს განსაზღვრავს უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ეფექტიან მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით.

1. წამების აკრძალვა საერთაშორისო აქტებში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილ შემაძრწუნებელ მოქმედებათა შემდგომ საერთაშორისო საზოგადოება და ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წამების არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას საერთაშორისო დონეზე. მსოფლიოს საზოგადოებისათვის იმდენად დიდი იყო წამების აკრძალვის მნიშვნელობა, რომ იგი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად და ითვლება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ნორმად. წამების აკრძალვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ასევე მოწმობს ის მრავალი საერთაშორისო აქტი, რომელიც გმობს არასათანადო მოპყრობასა და სასჯელს. ესენია: ადამიანის უფლებეთა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლი „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას“.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, მე-7 მუხლი „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, კერძოდ არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს სამედიცინო თუ სამეცნიერო ცდების ჩატარებას მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებეთა დაცვის ევროპული კონვენცია მე-3 მუხლი: „არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი“.

წამების ფაქტების არსებობა არის ერთ-ერთი ის ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც საერთაშორისო სამართალის საზრუნავია როგორც ეროვნულ დონეზე, ისე უნივერსალურ დონეზე.

წამება არის ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის სერიოზული დარღვევა. წამება უძველესი დროიდან მოდის და ახლაც ხდება. მის გამო წამების ამკრძალავი ზომების ფარგლები ფართოა. წლების განმავლობაში წამების სხვადასხვა ფორმებად იყო მიჩნეული ფიზიკური თუ მორალური შეურაცხყოფის, ასევე ნაკლებად სერიოზული ხასიათის შეურაცხყოფისა და თვით მუქარის კანონსაწინააღმდეგო ქმედების მრავალი ფაქტი. სხვადასხვა მუხლებში განხილულია მოპყრობის ფორმებისათვის დამახასიათებელი იერარქია, რომლის კულმინაციას წარმოადგენს წამება, როგორც მოპყრობის ყველაზე მძიმე ფორმა.

2. წამების განმარტება

ტერმინი „წამება“ უმთავრესად გამოიყენებნება ადამიანის ღირსებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის ყველაზე სერიოზულ შელახვის შემთხვევაში. აშკარაა, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება არ დაექვემდებაროს არაადამიანურ მოპყრობას.

3. საერთაშორისო მდგომარეობა

არც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და არც საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, არ იძლევა განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა არის წამება. ტერმინი „წამება“ გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც აყენებს პიროვნებას ძლიერ ტკივილს, იქნება ეს ფიზიკური თუ მორალური, ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა მისგან

ან მესამე პირისაგან ინფორმაციის მიღება ან რაიმეს აღიარება, ან მისი დასჯა რაიმე ისეთი ქმედებისათვის, რომელიც ჩაიდინა ან სავარაუდოდ ჩაიდინა მან ან მესამე პირმა ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან რაიმე ქმედების განხორციელება, იძულება ან ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, როდესაც ტკივილის ან ტანჯვის მიყენება ხორციელდება სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ, მისი ხელშეწყობით ან თანხმობით, ან მისი უმოქმედობით.

წამება უმთავრესად ხდება შემზღუდველ გარემოებებში; მაგ., მას იყენებენ პატიმრობის დროს (საკნებში ან სხვაგან) დაკავებულისაგან ინფორმაციის მიღების ან მის მიერ რაიმე ფაქტის აღიარების მიზნით. გენერალური ასამბლეის დადგენილებით წამება არის სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის მძიმე და წინასწარ განზრახული ფორმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ოცდამეხუთე წლისთავთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა გენერალური ასამბლეის სხდომა წამების აკრძალვის თუ მისი ხელახალი განხილვის მიზნით. 1975 წელს მიიღეს დაკლარაცია წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელის ყველა პირობის დაცვის შესახებ. 1980 წლის 26 ივნისი გაერომ გამოაცხადა წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის დღედ. ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციამ (ვენა) ერთსულოვნად დაგმო წამება, როგორც „ბოროტება“.

4. ევროპული სისტემა და ევროპა

წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების ევროპული კონვენცია ნაკლებად მოქნილი დოკუმენტია, მის საფუძველზე შეიქმნა კომიტეტი წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან წამების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ვიზიტორების საშუალებით “შეამოწმებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ მოპყრობას, ვიზიტების საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, ამგვარ პირთა დაცვას წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან.

1987 წლის ევროპული კონვენცია წამებისა ან არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების შესახებ არის მრავალმხრივი დოკუმენტი, რომელიც ირჩევს განსხვავებულ მიდგომას. ჩვეულებრივ ევროპაში არ ხდება წამებასთან დაკავშირებული უფლებების სერიოზული დარღვევა წამების შემთხვევაში, ძირითადად ეს უკავშირდება ინგლისსა და ირლანდიაში ტერორიზმის თავიდან აცილების ზომებს და აგრეთვე თურქეთის ზოგიერთ ნაწილში განვითარებულ მოვლენებს.

5. პატიმართა მოპყრობა

ამჟამად, საერთაშორისო თუ რეგიონალურ დონეზე მუშაობს მთელი რიგი კომიტეტებისა, რომლებსაც აქვთ ადგილზე ვიზიტების უფლება, განსაკუთრებით ეს ეხება დაკავების ცენტრებს, რათა დარწმუნდნენ, შესაბამისობაშია თუ არა იქ არსებული პირობები წამებისაგან ან სხვა ადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების შესახებ სათანადო დებულებებთან.

6. პატიმართა პირობები

პატიმართა პირობები ზოგჯერ შეიძლება წარმოადგენდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. აღნიშნული პატიმრობის პირობები მიუთითებს, როგორც ზოგად გარემოზე, ისე რომელშიც პატიმრები იმყოფებიან, ასევე ციხის რეჟიმსა და კონკრეტულ პირობებზე, რომელშიც იქ შესახლებული პირები იმყოფებიან. იმის შეფასებისას, შეესაბამება თუ არა კონვენციის გარემო ან პირობები, რომლებშიც პატიმრები იმყოფოფებიან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პატიმართა მდგომარეობა, მისი ასაკი, სქესი, პატიმრობის საშუალება, ისევე როგორც ფაქტორი, პატიმარი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში თუ არა.

პირი, რომელიც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ყოფილა დადგენილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით.

7. საერთაშორისო მდგომარეობა პატიმრობის მდგომარეობასთან დაკავშირებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენცია წამების წინააღმდეგ (მუხლი 20) უზრუნველყოფს, რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიმართ, წამების შესახებ წაყენებული ბრალდების ადგილზე შესწავლას. რაც შეეხება დაკავებულთა მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს, არსებობს პატიმართა მიმართ მოპყრობის გაეროს მინიმალური წესები, რომლებიც მიღებული იქნა 1955 წელს. ამ წესების მიხედვით ფიზიკური დასჯა, ბნელ საკანში მოთავსება დასჯის მიზნით, აგრეთვე ნებისმიერი სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან

სასჯელი, მიუღებელია. 1988 წელს გაერომ მიიღო ნებისმიერი დაკავების ან დაპატიმრების ადგილებში ყველა ადამიანის დაცვის უმთავრესი პრინციპი.

8. წამების საწინაღმდეგო კომიტეტი

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაცია ეწვია საქართველოს 2001 წლის 6-18 მაისს. ეს წამების საწინაღმდეგო კომიტეტის პირველი ვიზიტი იყო საქართველოში, რომელიც განხორციელდა კომიტეტის 2001 წლის პერიოდული ვიზიტების პროგრამის ფარგლებში.

ვიზიტის დროს დელეგაციამ მოისმინა მრავალი განცხადება პოლიციის მიერ დანაშაულში ეჭვმიტანილების ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ. ზოგიერთის განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა იმდენად მძიმე იყო, რომ კომიტეტის აზრით, ისინი წამების ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს.

კომიტეტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად ფიზიკურ ძალადობას ადგილი ჰქონდა როგორც პოლიციის მიერ მათი დაკავებისას, ასევე პოლიციის თანამშრომლის მიერ მათი შემდგომში დაკითხვის დროს და ეს ძირითადად ვლინდებოდა სახეში გარტყმის, მუშტით ცემის, წიხლების, პოლიციის ხელკეტების, იარაღის კონდახის ან სხვა მაგარი საგნების გამოყენების ფაქტებში. ყველაზე მძიმე შემთხვევა განცხადებებში ეხებოდა ელექტრონულ შოკს, აირწინაღის გამოყენებას, ფეხის გულებზე ცემასა და თავდაყირა მდგომარეობაში დაკავებულის იძულებითი გაჩერებას.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (cpt) ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ეჭვმიტანილ პირებს პოლიციის მიერ დაკავებისას ან დაპატიმრებისას პოლიციაში მათი ყოფნის პერიოდში, განსაკუთრებით დაკითხვის დროს, ემუქრებოდათ სერიოზული საფრთხე იმისა, რომ მათ მიმართ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არასათანადო მოპყრობას და ზოგიერთ შემთხვევაში უხეშ ფიზიკურ მოპყრობას, წამებასაც კი.

9. კომპენსაცია წამების მსხვერპლისათვის

გაეროს აქვს წამების მსხვერპლთა ნებაყოფლობითი ფონდი, რომლის შემოსავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით ხმარდება წამების მსხვერპლთა და მათი ოჯახის იურიდიულ, ეკონომიკურ, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ თუ სხვა სახის დახმარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

10. ინფორმაციის გავრცელება წამების აკრძალვასთან დაკავშირებით

ერთ-ერთი დამატებითი პოზიტიური ვალდებულება, რომელიც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლში მოიაზრება და თავისებურებებს წარმოადგენს, არის წამების აკრძალვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, რომელიც აკისრიათ ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის მე-20 მუხლის ზოგადი მოხსენების თანახმად, კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ავრცელებენ სახელმწიფო მხარეები მოსახლეობის ფართო მასებში შესაბამის ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია წამებისა და საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით დაგმობილი სხვა ქმედებების აკრძალვასთან.

დასკვნა

თანამედროვე ეპოქაში წამების აღმოსაფხვრელად გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. წამება მიჩნეულია ადამიანის ღირსების შეურაცხყოფად და ამდენად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მას უკანონოდ აღიარებს. რეგიონალური თუ საერთაშორისო უწყებების მიერ საპატიმრო ადგილებში ხორციელდება სიტუაციის მონიტორინგი წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოსავლენად. წამების აკრძალვა ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ იგი იკრძალება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი მიზნით, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ საომარ და საგანგებო მდგომარეობაშიც კი.

ლიტერატურა:

1. წამების აკრძალვა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, გამოცემა დაფინანსებულია ევროპის საბჭოს მიერ, 2005;

2. რონა კ.მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, სახელმძღვანელო, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006;
3. ადამიანი უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წელს;
4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მიღებული ქალაქ რომში ევროპის საბჭოს ეგიდით 1950 წელს;
5. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო აქტი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია

თამარ ოქროშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

პეზუმფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ სამართლებრივ ვარაუდს, რომელიც ძალაშია და მოქმედებს, სანამ არ იქნება დადგენილი და დამტკიცებული მისი საწინააღმდეგო.

უდანაშაულობის პრეზუმცია პირველად იყო აღიარებული და გამოცხადებული საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის მიერ 1789 წელს ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაციაში (მუხლი 9). იგი აისახა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 11), რომელიც მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს.

საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით მე-40 მუხლში ჩამოყალიბებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დებულება, რომლის ძალითაც ,,ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.''

ეს დებულება ეხება ყველა ადამიანს, არის ზოგადი, მაგრამ ამავე დროს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად ნიშნებს, პროცესუალური გაგებით. უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება მხოლოდ ეჭვმიტანილზე, ბრალდებულზე.

უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენდა სადისკუსიო საკითხს. ზოგი ავტორი დადებითად წყვეტდა ამ საკითხს, ზოგი უარყოფითად, ხოლო ავტორთა ერთი ჯგუფი საერთოდ გვერდს უვლიდა ამ საკითხის გადაწყვეტას. ის ფაქტი, რომ დაწყებულია საქმეზე გამოძიება, დაკავებულია ეჭვმიტანილი პირი, მიცემულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში, დგება საბრალდებო დასკვნა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომ მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ გამოძიების ორგანოებმა გამოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალდებულო არ არის სასამართლოსთვის.

სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან წინასწარი გამოძიება, ან საერთოდ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, ე.ი. გააქარწყლოს გამოძიების ორგანოების წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, წყდება სასამრთლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

სწორად მიუთითებს ა. ლარინი: ,,... წინასწარი გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიცეს ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა ჰპოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, სანამ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი განაჩენი. ამას მოითხოვს მოქალაქეთა სახელისა და რეპუტაციის ინტერესები, კონსტიტუციური პრინციპი – უდანაშაულობის პრეზუმფცია.''

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდებული მოვალე არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ეს დავალებული აქვს საგამოძიებო ორგანოებს. ბრალდებულს შეუძლია მისცეს ჩვენება, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან მისცეს მცდარი ჩვენება, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს არის თავდაცვის საშუალება. გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს უფლება არ აქვთ მტკიცების

მოვალეობა ბრალდებულს დააკისრონ. მხოლოდ ეს პირები არიან მოვალენი, ამხილონ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით გადაწყვიტოს პირის ბრალეულობის საკითხი.

უდანაშულობის პრეზუმფცია გულისხმობს იმასაც, რომ სასმართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს. ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ.

უდანაშაულობის პრეზუმციასთან დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა წინასწარი გამოძიების პროცესში, კერძოდ, შემდეგი საფუძვლებით: ხანდაზმულობით, ამნისტიის აქტით, ვითარების შეცვლის გამო, ბრალდებულის გარდაცვალების შემთხვევაში.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას წინასწარი გამოძიების დროს სარეაბილიტაციო მოტივით (სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობის გამო, ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო).

ამ დროს წინასწარი გამოძიების ორგანოები თვლიან, რომ პირი უდანაშაულოა და ამიტომ საერთოდ არ ისმის საკითხი მისი ბრალეულობის თაობაზე.

მაშასადამე, წინასწარი გამოძიება სარეაბილიტაციო მოტივით შეიძლება დამთავრდეს წინასწარი გამოძიების დროს იმიტომ, რომ არ წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, არამედ დგინდება მისი უდანაშაულობა. ამ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობაში არ არის საჭირო რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს წინასწარი გამოძიების შეწყვეტას არასარეაბილიტაციო მოტივით. აქ უნდა გამოვყოთ წინასწარი გამოძიების შეწყვეტა: თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; თუ გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში; დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო და ქმედითი მონანიების გამო. ამ დროსაც აუცილებელი არ არის საპროცესო კანონმდებლობის შეცვლა, ვინაიდან ბრალეულობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მაინც დამოკიდებულია არა პროკურორზე, არამედ თვით ბრალდებულზე.

წინასწარი გამოძიების შეწყვეტა ამ მოტივით დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებული ან გარდაცვლილის წარმომადგენელი ამაზე თანახმაა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის წარმოება გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით და ბრალეულობის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

ბრალდებულმა ყველაზე კარგად იცის, მიუძღვის თუ არა მას ბრალი დანაშაულის ჩადენაში. თუ ბრალდებული თვლის, რომ დამნაშავე არ არის, იგი დააყენებს საკითხს, რომ საქმის წარმოება გაგრძელდეს და მისი უდანაშაულობის თუ დამნაშავეობის საკითხი გადაწყვიტოს სასამართლომ.

მაშასადამე, გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას უნდა გაირკვეს ბრალდებულის პოზიცია. მისი სურვილის შესაბამისად საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს და სასამართლომ გადაწყვიტოს ბრალეულობის ან უდანაშაულობის საკითხი.

ა. ლობუსის აზრით, არასარეაბილიტაციო მოტივით წინასწარი გამოძიების დროს საქმის შეწყვეტისადმი დაწესდეს სასამართლო კონტროლი და მასალები განიხილოს სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით და საკითხი გადაწყდეს საქმეზე განჩინების გამოტანის გზით პროკურორის დადგენილების ძალაში დატოვების ან მისი გაუქმების შესახებ.

ამის შემოღება ზედმეტად მიგვაჩნია. პირველი, რომ არც ამ შემთხვევაში იქნება დაცული დებულება, რომ ბრალდებულის საკითხს წყვეტს სასამართლო თავისი განაჩენით. მეორეც, რომ წინასწარი გამოძიების შეწყვეტისადმი კონტროლი ისედაც არის გათვალისწინებული.

უდანაშაულობის პრეზუმციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპის, საკითხის სწორი გარკვევა ხელს შეუწყობს პროცესუალური კანონმდებლობის დახვეწას, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას და ბრალდებულის უფლებათა გარანტიის განმტკიცებას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს;
3. Международное право в документах, Москва, 1982;
4. Строгович М, Курс советского уголовного процесса წელი?

5. Мартынчик Е, Гарантии прав обвиняемого в суде первой инстанции, Кишинёв, 1975;
6. Чельцев М., Советский уголовный процесс, Москва, 1962;
7. Ларан А., Презумпция Невиновности, Москва, 1982;
8. Либус И.,Презумбция Невиновности в советском уголовном процессе, Ташкент, 1981.

ტელევიზია და თანამედროვე დიქტორთა მეტყველება

თამარ ოქროშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** სრული პროფესორი

ტელევიზიის წარმოშობა ტექნიკის განვითარებასთან და მის პრაქტიკულ გამოყენებასთანაა დაკავშირებული. მანძილზე გამოსახულების გადაცემა კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება იყო. ზღაპრულმა ჯადოსნურმა სარკემ ფრთა მხოლოდ მე - 20 საუკუნეში შეისხა ტელევიზიის სახით.

1930 წლიდან პირველი სატელევიზიო სტუდიები შეიქმნა გერმანიაში, აშშ-სა და იტალიაში. 1936 წელს BBC პირველად მსოფლიოში იწყებს რეგულარულ ტელეგადაცემებს. ტელევიზიის გამომგონებლად რეგისტრირებულია ამერიკელი მეცნიერი ფაილო ფარნსუორტი. ევროპის ქვეყნებში პირველი სატელევიზიო გადაცემა გერმანიაში გაიმართა 1928 წელს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას მაუწყებლობა შეწყდა და 1945 წელს განახლდა. 1948 წელს ამერიკაში უკვე არსებობდა 36 სატელევიზიო სადგური. 50-იანი წლების დასაწყისში ტელევიზია პოლიტიკური თამაშის ობიექტი ხდება. 1988 წლის 1 ივნისს ამერიკის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი - ქალაქ ატლანტის კომუნიკაციური ცენტრიდან ეთერში გავიდა თანამგზავრულ-საკაბელო ახალი ამბები CNN.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ტელევიზიის გარეშე. ტელევიზია არა მხოლოდ ინფორმაციის მოწოდების საშუალებაა, არამედ განათლების ფუნქციასაც ითავსებს და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კიდეც დღევანდელი კულტურის ხარისხს. ადამიანმა დროის განსხვავებული აღქმა დაიწყო და მისთვის მნიშვნელოვანი აწმყო გახდა. აქტუალური ახლანდელს, ამ მომენტს, მიმდინარეს დაუკავშირდა. ტელევიზიამ დროსა და სივრცეში მონოპოლიზებისა და სრული ათვისების პრეტენზია რეალობად აქცია და გახდა მომენტალური, ყველგან შემღწევი. ტელევიზიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაყურებელმა ისწავლა სატელევიზიო ინფორმაციის პირობითობის წაკითხვა და ინფორმაციის გადამოწმება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ჩვენ სამყაროს 1/6 - ზე არსებული ერთიანი სატელევიზიო სივრცის წევრები ვიყავით. ჩაკეტილ, შემოსაზღრულ სივრცეში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა გამეფებული იდეოლოგიის პირობებში არა მხოლოდ ინფორმაციის გადამოწმებას, არამედ თავად ფაქტებზე აგებული ინფორმაციის მიღებას. საჯაროობა საგაზეთო რეგულაციით დაიწყო. პრესა განსაკუთრებით საინტერესო იყო, ვიდრე ცხოვრება, თუმცა შემდეგ ტელევიზორის ცქერა უფრო საინტერესო ხდება და იწყება საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიზირების ეპოქა. ტელესივრცეში ჩდება მაუწყებლობის ისეთი ფორმები და მოდელები, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოში არსებობდა.

90-იანი წლებიდან იწყება ახალი ამბების პერსონიფიცირების პროცესი. რეიტინგისთვის ბრძოლას იგებს ის, ვინც უკეთესად ართობს და ის, ვისი მოწოდებული ინფორმაციაც უფრო ახლოს დგას სინამდვილესთან. შესაბამისად, იზრდება სატელევიზიო პროგრამების მაყურებელთა რიცხვიც.

ტელევიზია დღეს თავისუფალი დროის ინდუსტრიაში უმთავრეს ადგილს იკავებს, რაც ტელეარხებს აიძულებს, აუდიტორიის გაფართოებაზე იზრუნონ. ტელემაყურებლებისთვის სატელევიზიო პროგრამის შინაარსს, მოწოდებული ინფორმაციის არსსა და მნიშვნელობას უპირატესი როლი აკისრია. მაგრამ მაყურებელს არა უბრალოდ რაღაც გადაცემები სჭირდება, არამედ საინფორმაციო. სწორედ აქ ვლინდება ტელეარხის პროგრამული სტრატეგია, თუ როგორ დატვირთავს ეთერს და მაყურებლის რა ინტერესების გათვალისწინებას შეძლებს.

ქართულ სატელევიზიო სივრცეში თვალშისაცემია სატელევიზიო არხების ჟანრული, თემატური პროგრამული სახის სხვაობები. მთელი დღის განმავლობაში ტელეარხებზე ძირითადად სერიალები

დომინირებს პოლიტიკური თოქ-შოუებით. ჩვენი ტელევიზიები მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს სატელევიზიო ბაზარს.

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ტელეეკრანის წინ ჯდომა და საყვარელი გადაცემის ცქერა არ უყვარდეს. მაყურებელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აპოლიტიკური და საინფორმაციო გამოშვებები, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

ღია ეთერში საუბარი, განსაკუთრებით კი საინფორმაციო პროგრამის დიქტორობა ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან მოსახლეობისთვის მიწოდებული ინფორმაცია, პირველ რიგში, ჭეშმარიტებას უნდა შეესაბამებოდეს. ამიტომ შეშფოთებას იწვევს სატელევიზიო არხების ბევრი დიქტორის ქართული.

ჩვენს ნაშრომში განხილულია ტელეჟურნალისტთა მეტყველების ხარვეზები, ჟარგონები, ბარბარიზმები და ასევე ის სიტყვები, რომელთაც არასწორად წარმოთქვამენ პოლიტიკოსები, ტელეწამყვანები და ხელოვნების წარმომადგენლები.

ქართულ ტელესივრცეში არსებობს ისეთი გადაცემები, რომლებზეც მეტყველების ცენზურა ,,არ ვრცელდება“. ასეთია ,,დღის შოუ“, სადაც ისეთ ჟარგონებსა და ბარბარიზმებს შეხვდებით, როგორიცაა: თინეიჯერი, პარიკმახელი და ა.შ., რაც მაყურებელს ყურში ცუდად ხვდება.

თვალშისაცემია, როცა ჟურნალისტები საუბრის დროს შეცდომებს პირდაპირ ეთერში უშვებენ, რაც ბოდიშის მოხდის მიზეზი ხდება, თუმცა არა ყოველთვის. ასევე კორესპონდენტთა უმრავლესობა ღია ეთერში საუბრისას ხმარობს სიტყვებს, რაც ზოგჯერ მოცემულ კონტექსტში სრულიად უადგილოა და ჟურნალისტის მიერ დროის მოგებას ემსახურება, ეს კი მოწოდებულ ინფორმაციას ბუნდოვანს და გაუგებარს ხდის. ასევე არსებობს გარკვეული კატეგორიის სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც უჭირთ ტელეწამყვანებს და პოლიტიკოსთა უმრავლესობას ინტერვიუს დროს. მაგალითად, სიტყვას - თითოეული შეცდომით წარმოთქვამს უმრავლესობა ,ზოგი თითეულს ამბობს და ზოგიც თითევულს.

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები 21 - ე საუკუნეში ინგლისური ენიდან გადმოღებულმა სიტყვებმა შეცვალა, რაც ენის გადაგვარებას და დაბინძურებას იწვევს.

ახლა კი წარმოგიდგენთ იმ ჟარგონების, სტილისტური ხარვეზებისა და მორფოლოგიურ-სინტაქსური შეცდომების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც დაშვებული იქნა პირდაპირ ეთერში.

მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები:

ლიტერატურულ საღამოზე წაკითხული იქნა ,,ვეფხვისტყაოსანი“ (მოამბე);
ფაქტი რამდენჯერმე იქნა დაფიქსირებული ერთსა და იგივე ქალაქში (ნანუკას შოუ);
ის, რასაც მე უყურე, ძნელად დასაჯერებელი იყო (დღის შოუ);
ავადმყოფი რეამინაციაში მოათავსეს (კურიერი);
დასახელებული დაწესებულება მაჩაბელის ქუჩაზე მდებარეობს (სპეციარული რეპორტაჟი);
შეიძინეთ კონდენციონერი (,,მზე“).

სტილისტური ხარვეზები:

ყაჩაღობის დაგეგმვა რამდენიმე ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა (კურიერი);
ტემპერატურამ პიკურ მაჩვენებელს მიაღწია (კურიერი);
წარმართონ სწავლება ისე, როგორც შეეფერება ამოცანას და მოზანს (კურიერი);
გადმოგვცეს ცოდნა და პრაქტიკული უნარ - ჩვევები;
არსებული აზრი არ არსებობს (სამოთხის ვაშლები);
მოცემული საკითხი შეძლებისდაგვარად ვერ გავიგე (ნანუკას შოუ);
ხორციელდება პატრულის მიერ დამნაშავის ძებნა (ქრონიკა);
კორპუსის ეზოში გველი იქნა ლიკვიდირებული (კურიერი);
დამნაშავემ მოახდინა დანაშაულის ჩადენა (სპეციალური რეპორტაჟი);
ეს კედლები საუკუნეების ისტორიისა (სპეციალური რეპორტაჟი).

ჟარგონები :

სტაიანკა, ივენთი, ქასთინგი, ფართი, აჩკები, ზაგარი, გლამური, ოფისი, სწერვა ტიპები, რული.

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ ტელევიზიის დიქტორი, განსაკუთრებით კი საინფორმაციო პროგრამის წამყვანი, უნდა საუბრობდეს გასაგები ენით, ჰქონდეს კარგი დიქცია და, რაც მთავარია, უნდა მეტყველებდეს სალიტერატურო ენის წესების დაცვით.

განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში
(ფსიქოლოგიური კრიტერიუმი)

მერი რიკაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

კოდექსის 111-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მკვლელობის დროს დამნაშავე უნდა იმყოფებოდეს უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

აღელვება ემოციური განცდაა, რომელიც განსხვავებული ინტენსივობით ხასიათდება. ამასთან აღელვების ინტენსივობის ზრდამ გარკვეული მომენტისათვის შეიძლება გამოიწვიოს უეცარი ემოციური აფეთქება, რომელიც უმალვე ქრება. ასეთ აფეთქებას ფსიქოლოგები აფექტს უწოდებენ. სწორედ აფექტი აქვს მხედველობაში კანონმდებელს, როდესაც იგი უეცრად, ძლიერ სულიერ აღელვებაზე მიუთითებს.

კოდექსის 111-ე მუხლის ძირითად ნიშანს წარმოადგენს უეცარი, სწრაფად წარმავალი და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც ეუფლება დამნაშავეს მკვლელობის ჩადენის მომენტში და გარკვეულად წარმართავს დანაშაულებრივ ქცევას.

რისხვის აფექტის ეს თვისება გვევლინება დანაშაულებრივი განზრახვის უეცრად აღმოცენებისა და მისი უმალვე სისრულეში მოყვანის წყაროდ.

ქმედების კოდექსის 111-ე მუხლით დაკვალიფიცრების შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად უნდა მიუთითოს, რომ მკვლელობა ჩადენილია უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების და არა საერთოდ აღელვების მდგომარეობაში.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღელვების უეცრობის საკითხი სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

მაგალითად, ს. ბოროდინი თვლის, რომ აღელვება უეცრად სდევს თან მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.

გ. კრიგერის აზრით, მკვლელობა უეცრად უნდა მოსდევდეს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.

ი. კრუტოვი არ ეთანხმება „უეცრობის“ მომენტის ამგვარ გაგებას და ამტკიცებს, რომ შესაძლოა მკვლელობის განზრახვა აფექტის დროს განხორციელდეს საკმაო დროის გასვლის შემდეგაც.

ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები არასწორია, რადგან:

როგორც უკვე ავღნიშნეთ, აფექტისათვის ძლიერი სულიერი აღელვების აღმოცენების უეცრობაა დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე „უეცრობა“, რომელზეც მიუთითებს კანონმდებელი, ეხება თვით აღელვებას, მის ხასიათს. კანონმდებელს მხედველობაში აქვს რისხვის აფექტი, მაგრამ არ შეაქვს დანაშაულის შემადგენლობაში ეს წმინდა ფსიქოლოგიური ტერმინი, არამედ მის ნაცვლად მიუთითებს უეცარ, ძლიერ სულიერ აღელვებაზე.

კოდექსის 111-ე მუხლში უეცრობის მომენტის შეტანით კანონმდებელი არ წყვეტს იმ საკითხს – მკვლელობა უეცრად უნდა მოჰყვეს დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას თუ არა, ანდა აუცილებელია თუ არა აღელვებას უეცრად მოჰყვეს მკვლელობა. ამ საკითხების გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ თვით აფექტის ბუნებიდან.

თუ აფექტი აღმოცენდება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისთანავე, მაშინ 111-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია მარტოოდენ იმ შემთხვევაში, როდესაც აღელვება იყო უეცარი საპასუხო რეაქცია უშუალოდ დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ქცევაზე.

ეჭვს არ იწვევს, რომ აფექტი, როგორც წესი, არის უშუალო საპასუხო რეაქცია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ადრე მოღებული ძლიერი სულიერი ტრავმა გაცოცხლდეს გარკვეულ ფაქტთან დაკავშირებით და გამოიწვიოს უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება.

მოვიყვანოთ მაგალითი: ანდრიაძე წლების განმავლობაში იმყოფებოდა ტყვეობაში. ტყვეების წამებაში აქტიურად მონაწილეობდა მეორე ტყვე გიორგაძე. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ

ანდრიაძე შეხვდა ქუჩაში გიორგაძეს. მისი ჩაცმულობა და იერი მეტყველებდა, რომ იგი ძალზე კარგად გრძნობდა თავს. გამძვინვარებულმა ანდრიაძემ ხელი დაავლო ქუჩაში მდგარ ურნას და იქვე მოკლა გიორგაძე.

შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ვილაპარაკოთ აფექტზე? რა საკვირველია შეიძლება. მართალია, ტყვეობაში ყოფნიდან გიორგაძის მკვლელობამდე საკმაო დრო გავიდა, მაგრამ ის დიდი სულიერი ტრამვა, რაც ანდრიაძემ ტყვეობაში მიიღო, – ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი. გიორგაძესთან შეხვედრამ ახალი ტრამვა მიაყენა ანდრიაძეს, რამაც უეცრად გამოიწვია მასში ძლიერი სულიერი აღელვება.

იმის დადგენა, იყო თუ არა მკვლელობა ჩადენილი აფექტის მდგომარეობაში, რთულია.

აფექტი ემოციური განცდაა და ადამიანის ცხოვრების შინაგან სფეროს უფრო ეხება, ვიდრე გარეგანს. იგი ხანმოკლეა და გაქრობის შემდეგ არ ტოვებს რაიმე ისეთ მდგრად კვალს, რომელიც შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში იყო ჩადენილი. უკვე განვლილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების არსებობის დასასაბუთებლად ექსპერიმენტი არ გამოიყენება.

მიუხედავად მთელი ამ სირთულისა, აფექტის არსებობის დასასაბუთებლად სასამართლომ შეიძლება გამოიყენოს მთელი რიგი მონაცემები.

უპირველეს ყოვლისა, აფექტი არ წარმოადგენს მხოლოდ სულიერ ფენომენს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენმა ფილოსოფოსებმა იცოდნენ, რომ სულის ყოველგვარი მოძრაობა, მათ შორის რისხვა, შიში და სხვა, კავშირში იმყოფება სხეულთან და ამიტომ სხეული ყველა განცდაში ასე თუ ისე მონაწილეობს.

ფსიქოლოგები აფექტს ჩვეულებრივი აღელვებისაგან არ მიჯნავენ ფიზიკური გამოვლინებებით, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ აფექტს თან ახლავს ისეთი გარეგნული ფიზიკური ცვლილებანი, რომლითაც სასამართლოს შეუძლია დაასაბუთოს დამნაშავის უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ყოფნა.

აფექტი გარეგნულად ვლინდება სახის მიმიკის, ფერის, ხმის, ჟესტიკულაციის ცვლაში. აფექტის დროს ფართოვდება თვალის გუგები, ხშირდება სუნთქვა, მატულობს გულისცემა და სხვა.

აფექტის დასასაბუთებლად შეიძლება გამოდგეს თვით დანაშაულებრივი ქცევის ხასიათიც. მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

კალაძე ეჭვიანობდა ცოლზე. იმის გამო, რომ ცოლმა ორი ღამე არ გაათია სახლში, მათ შორის უსიამოვნება მოხდა. ცოლმა განუცხადა ქმარს, რომ უკვე გვიანაა, რადგან იგი დაუკავშირდა სხვას. კალაძემ წამოავლო ხელი სამზარეულოს დანას და ცხრაჯერ ჩარტყმით მოკლა ცოლი, თვითონ კი გაიქცა მაღალი ძაბვის ჯიხურთან და დენის მავთულს ჩამოეკიდა. კალაძე გადარჩა. კალაძის მოქმედება თავისთავად მეტყველებს, რომ იგი იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში.

რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს აფექტი? ეს ფაქტის საკითხია, იგი დამოკიდებულია როგორც სუბიექტის თვისებებზე, ასე აფექტის სიღრმესა და ინტენსივობაზე. უდავოა ერთი: აფექტი შეიძლება გაგრძელდეს წამებსა და წუთებში, მაგრამ არა საათობით. რომ არ მოვიყვანოთ სხვა არგუმენტი, ადამიანი უბრალოდ ფიზიკურად ვერ გაუძლებს ასეთ ინტენსიურ ემოციურ განცდას.

ვინაიდან აფექტი სწრაფად წარმავალი ემოციური განცდაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ მკვლელობის განზრახვის აღმოცენებიდან მის რეალიზაციამდე მნიშვნელოვანი დრო გავიდა, უკვე თავისთავად გამორიცხულია დანაშაულის აფექტის მდგომარეობაში ჩადენა და შესაბამისად კოდექსის 111-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა.

ამრიგად, აფექტის დასასაბუთებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას – მკვლელობის განზრახვა უმალვე იქნა მოყვანილი სისრულეში თუ არა.

აფექტის დასაბუთებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის ჩადენის ხერხსა და იარაღს. უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში დამნაშავე, როგორც წესი, იყენებს იარაღს, რომელიც იმ წუთს მოხვდება ხელში – სარს, ქვას, ჯიბის დანას და სხვა.

აფექტის დროს გამორიცხულია მკვლელობის დროს ისეთი ხერხის შერჩევა, რომელიც წინასწარ მომზადებასა და მოფიქრებას მოითხოვს.

პირი, რომელიც მოქმედებდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, შერაცხადია, მას მხოლოდ დაქვეითებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეცნობის და მისი წარმართვის უნარი, რაც არ გამორიცხავს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს რაიმე სიტყვების წარმოთქმის შესაძლებლობას.

თვით ემოციური განცდა, რომელსაც მივყავართ დანაშაულამდე, ხშირად რთული და ძნელად ასახსნელია. განცდის ინტენსივობა, სიღრმე და ხანიერება მუდმივად ცვალებადია. განსაკუთრებით

რთულდება მდგომარეობა ე. წ. აფექტის „აკუმულაციის“ დროს, როცა სუბიექტის ნერვიული სისტემა არაერთხელ მიღებული სულიერი ტრავმის შედეგად იმდენად იძაბება, რომ შეიძლება განიმუხტოს გამომწველი მიზეზების შეუსაბამო აფექტირებულ ქცევაში.

ამ რთული პრობლემების გადაჭრის დროს შეიძლება სასამართლოს დასჭირდეს ფსიქოლოგის სპეციალური ცოდნა. ჩვენი აზრით, იმის დასადგენად, ჩადენილია თუ არა მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში, სასამართლომ უნდა მიმართოს ექსპერტ-ფსიქოლოგს.

ლიტერატურა:

1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
2) С. Бородин, "Социалистическая законность", 1960;
3) Г. Кригер, К вопросу разграничения убийства в состоянии аффекта и убийства, при превышении пределов необходимой обороны, Москва, 1961;
4) Ю. Крутов, Умышленное убийство, совершенное в состоянии внезапно возникшего сильного душевного волнения, Москва, 1966.

ეროსის პრობლემა პლატონის ნაშრომის „ნადიმის“ მიხედვით

ნინო სოსიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი**, სრული პროფესორი

ობიექტური იადეალიზმის მამამთავარი პლატონი ბერძნული მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგია. მისი ნამდვილი სახელი იყო „არისტოკლე“. გადმოგვცემენ, რომ მას პლატონი დაარქვა ტანვარჯიშის მასწავლებელმა ან ფართო შუბლის გამო ან ჰარმონიული აგებულებისა და ჯანმრთელობის აღსანიშნავად. „პლატონი“ ნიშნავს ფართოს. პლატონის მამა არისტონი იყო, კოდრიდთა გვარიდან, დედა პერიქტიონი კი სოლონის სახლიდან. პლატონის ბიძა კრიტიასი ტირანი იყო.

პლატონი ახალგაზრდობაში წერდა ტრაგედიებს, ლექსებს, ეპიგრამებს. მას სურდა, რომ გამოსულიყო სახელმწიფო მოღვაწე.

მამამ 20 წლის პლატონი მიიყვანა სოკრატესთან, რომელთანაც მან რვა წელი დაჰყო. მას დიდი სიყვარული ჰქონდა თავისი მასწავლებლისა, დიდად აინტერესებდა პოეზია, პოლიტიკა, მათემატიკა, მეტაფიზიკა.

პლატონმა მონაწილეობა მიიღო სამ სამხედრო ლაშქრობაში. 399 წელს, სოკრატეს სიკვდილთან დაკავშირებით, გაიქცა მეგარაში ევკლიდესთან, შემდეგ იმოგზაურა კირენში მათემატიკოს თეოდორესთან. 390 წელს გაემგზავრა პითაგორასთან სიცილიაში, სადაც სწავლობდა მათემატიკასა და პოლიტიკას. სიცილიაში პლატონი დააპატიმრეს, მაგრამ პითაგორელებმა გაათავისუფლეს. 363 წელს სიცილიაში მონად გაყიდეს, მაგრამ მეგობრებმა დაიხსნეს. 388 წელს ათენში მითიური გმირის, აკადემოსის ხეივანში დააარსა აკადემია.

პლატონი განუხორციელებელი იდეების მქონე მოაზროვნე იყო. იგი სწავლობდა ჰერაკლიტეს მოძღვრებას კრატილთან. კარგად იცოდა პარმენიდეს მოძღვრებები. პლატონის ფილოსოფიის გაგება მისი წინამორბედებთან დამოკიდებულების გარკვევითაა შესაძლებელი. პლატონის ფილოსოფიის თითოეული წყაროსა და საწინააღმდეგო მოძღვრებათა გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს გავიგოთ ამ ფილოსოფიის ზოგადი ხასიათი და ადგილი ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში.

პლატონის ფილოსოფია ჩამოყალიბდა მის წინ არსებული ფილოსოფიური სისტემებიდან, ზოგიერთის დაძლევისა და განვითარებით. როგორც ვთქვით, პლატონმა ჰერაკლიტეს მოძღვრება კრატილთან შეისწავლა. ჰერაკლიტემ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო მის მიმდევრებზე, არამედ მის ისეთ მოწინააღმდეგეებზე, როგორიცაა პლატონი. ჰერაკლიტე სტიქიური მატერიალისტია (მატერიალიზმია ისეთი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომელიც სუბსტანციად მატერიას მიიჩნევს). იგი „დიალექტიკის“ ერთ-ერთი ფუძემდებელია. ჰერაკლიტემ მარადიული ცვალებადობა და მოძრაობა აღიარა.

პლატონმა ჰერაკლიტეს მოძღვრება შეისწავლა, ამ დროს ელეელებმა ძლიერი არგუმენტები წამოაყენეს ჰერაკლიტეს წინააღმდეგ, მაგრამ პლატონი მის მოძღვრებას კიდევაც მოიხმარდა მოვლენათა სფეროს დასახასიათებლად და ეძებდა უფრო მაღალ საფუძვლებს სწორედ ცვალებადობის ასახსნელად.

მეორე მოზროვნე, რომელსაც პლატონი დიდ ანგარიშს უწევდა, პარმენიდეა. პარმენიდე იყო ელელი არისტოკრატი. ცნობილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. მისი არისტოკრატული თვალსაზრისი შემდეგ დიდმა იდეალისტმა პლატონმა გამოიყენა.

პარმენიდე ბუნების ფიზიკურ სინამდვილეს უარყოფდა და რაღაც მეტაფიზიკურ არსს, განყენებულ ერთ არსს აღიარებდა (მეტაფიზიკა არის ისეთი ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც იკვლევს თვალხილულ და ცვალებადი სინამდვილის მარადიულ, უხილავ და უცვლელ საფუძვლებს). ასევე პარმენიდე იყო წმინდა „რაციონალისტი“, რომელიც იდეალიზმამდ მიდიოდა და დიდი გავლენა მოახდინა იდეალიზმზე. პარმენიდემ ერთი და სიმრავლე, არსი და არაარსი ერთმანეთს აბსოლუტურად დაუპირისპირა.

პლატონი ცდილობს დაძლიოს პარმენიდეს სიძნელე და დაასაბუთოს ისეთი ერთი, რომელიც სიმრავლეს ახსნის. პლატონის ფილოსოფიას საფუძველი შეუქმნა პარმენიდესა და ჰერაკლიტეს მოძღვრებებმა.

პლატონი სინამდვილეს იდეათა სამყაროს მეშვეობით ხსნის. იგი დუალისტი ფილოსოფოსია. ის ორი სამყაროს არსებობას უშვებს, სამყაროს პირველი საწყისი სუბსტანცია, ძველი ბერძნულით არხე. მისთვის არის იდეათა სამყარო. ეს იდეები ახდენენ ემანაციას, ანუ გამოსხივებას. ადამიანობის იდეამ, ერთმა, მთელმა, იდეალურმა წარმოქმნა სიმრავლე. ადამიანები ადამიანობის იდეის აჩრდილები არიან. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიილტვიან ადამიანობის იდეისაკენ, რათა დაუახლოვდნენ მას, როგორც იდეალს. ყველაზე ახლოს, პლატონის თქმით, ადამიანობის იდეასთან მივიდა მისი მასწავლებელი სოკრატე. თუმცა ადამიანი ვერასდროს დაემთხვევა იდეას, რადგან მას ბიოლოგიური არსებობა გააჩნია. ამიტომ პლატონი ამბობს, რომ გრძნობად სინამდვილეში იდეალური ადამიანი ვერ იქნება, რადგან ის ადამიანობის იდეის ნაწილია და, აქედან გამომდინარე, ნაკლოვანიც, რადგან იდეა არის მთელი, სრულქმნილი, იდეალური და უნაკლო.

იდეა არის ზოგადი საგანი, რომელიც არსებობს ობიექტურად არა მარტო ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, არამედ ერთეულ საგანთაგან დამოუკიდებლადაც.

პლატონის იდეათა სამყარო არის მიზანი ცვალებადი საგნებისა. არსებული საგნები სრული იდეებისკენ მიისწრაფიან. ამიტომ ისინი იცვლებიან. იდეები კი, როგორც სწორი მიზნები არ იცვლებიან, არაფრისკენ არ მიისწრაფიან.

გრძნობადი საგნები მიისწაფიან იდეებისკენ, როგორც სრული არსისკენ. ასევე ჩვენი შემეცნება ესწრაფვის იდეებს, საბოლოოდ სიკეთის იდეას, რომელშიც არსი და აზრი ერთი და იგივეა, რადგანაც ის არის პირველი ძირი, მიზეზი და მიზანი ყველაფრისა. მაშასადამე, მისწრაფება არსში არის და შემეცნებაც, რომელშიც მოქმედებს ის, რასაც ჰქვია „სიყვარული“. იგი ერთგვარად აერთიანებს ორ ქვეყანას - გრძნობადსა და ზეგრძნობადს, არსებულსა და ნამდვილად არსებულს.

პლატონს „სიყვარულის“ იდეა ყველაზე უფრო სრულად განხილული აქვს დიალოგში „ნადიმი“.

ჩვენამდე პლატონის მრავალმა შრომამ მოაღწია. მაგრამ მას არ აქვს ისეთი ნაშრომი, რომელშიც მისი სისტემა შეიძლება იყოს გადმოცემული.

პლატონი ფილოსოფიაში იყენებს დიალექტიკურ მეთოდს. დიალექტიკა სიტყვასიტყვით ნიშნავს დიალოგს, კამათს, განვითარებას.

მას თავისი ნაშრომები დიალოგის ფორმით აქვს წარმოდგენილი. იგი დიალოგით, კამათით შლის აზრს. პლატონის შრომები ძლიერია ფორმითაც და შინაარსითაც. შემდგომ ბევრმა სცადა დაეწერა მხატვრული და იმავე დროს ღრმა ფილოსოფიური ნაშრომი, მაგრამ ამ ორი ელემენტის შეხამება ისე, როგორც პლატონს ჰქონდა, განუმეორებელი დარჩა. პლატონის დიალოგებს ერთგვარი დაუმთავრებლობა ახასიათებს. დიალოგის ბოლოს იგი საკითხს თითქოს გადაუჭრელად ტოვებდა, რადგან მას ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებული რეზულტატების მომცემ მეცნიერებად.

პლატონის უდიდესი ნაშრომია „ნადიმი“, რომლის ძირითად თემასაც სიყვარული (ეროსი) წარმოადგენს. ეს სიყვარული არის „პლატონური“. ნამდვილი სინამდვილის ფილოსოფიური სიყვარული. თვითონ ფილოსოფია ხომ სხვა არაფერია, თუ არა სიბრძნის, ჭეშმარიტების, ცოდნის სიყვარული, რომელიც საბოლოოდ იგივე არსია ჭეშმარიტების ფორმაში.

„ნადიმი“ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის ერთხმად აღიარებული შედევრია. ვინდელბანდი მას უწოდებს „უდიდესს პლატონის ქმნილებათა შორის“.

დიალოგს 24 საუკუნის მიღმა გადავყავართ (416 წ. ძვ. წ. ათენი). ახალგაზრდა ტრაგიკოსი აგათონი ნადიმს იხდის გამარჯვების აღსანიშნავად. ამ ნადიმზე ერთმანეთს ხვდებიან და სიყვარულზე,

ეროსზე საუბრობენ ათენის არისტოკრატიის უკეთესი წარმომადგენლები. ამ ნადიმზე არის მოკრძალებული ფედროსი, სოფიტი, პავსანია, ექიმი ერქსიმახოსი, კომედიოგრაფი არისტოფანე, ტრაგიკოსი აგათონი და ბოლოს, აქვე არიან ბერძენი სოკრატე და ალკიბაიდე, რომლებიც ხოტბას ასხამენ ეროსს. პლატონის გენიალური ხელოვნება უაღრესი შინაგანი კავშირით ჰკრავს მათ, რითაც ერთიანი, მთლიანი ნაწარმოების სახეს ანიჭებს „ნადიმს“. ხოლო ამ ერთიანობის მიზანია გვიჩვენოს ეროსის გენიალოგია, მისი არსი, მისი გვარები, ეფექტები და დასასრულს, მისი მიზნები. პლატონის კონცეფციით სიყვარული სამყაროს ერთიანობის დიდი პრინციპია, ჰარმონიის, სიკეთისა და მშვენიერების წყარო.

ეროსი დიდი ღმერთია და მრავალ მიზეზთა, უპირველეს ყოვლისა, მისი წარმოშობის გამო ყველაზე საოცარი ღმერთია კაცთა შორის. მართლაც, ის ხომ ყველა უკვდავებაზე უძველესია. ჰესიოდე ამბობს: პირველქმნილი იყო ეროსი, შემდეგ კი დედამიწა. ჰესიოდეს თანახმად, პირველად იშვა მიწა და ეროსი. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ეროსი უძველეს ღმერთთა რიცხვს ეკუთვნის. მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ქვეყანაში და არა გვარიშვილობას, დიდებას და რაიმე სხვას.

სიყვარულის გარეშე ვერც სახელმწიფო, ვერც ინდივიდი ვერას შექმნის დიდსა და მშვენიერს. რომ შეიძლებოდეს მთელი სახელმწიფოს ან მთელი ლაშქრის შექმნა, სადაც მხოლოდ მიჯნურნი და მათი სატრფოები იცხოვრებდნენ თუ იბრძოლებდნენ მხარდამხარ, მთელი მსოფლიოც ვერ აღუდგებოდა წინ, რადგან ამ დროს ეროსი ყველაზე უფრო ჯაბანსაც კი გმირულ სულს ჩაბერავს ხოლმე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი საგმირო საქმეებისთვის აღაგზნებს მიჯნურთ.

ამგვარად, ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე ძალმორჭმული, ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა უკვდავთა შორის, რადგან ყველაზე მეტად მას ძალუძს სათნოებასა და ნეტარებას აზიაროს კაცი, როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოში.

„ნადიმში“ განხილულია ორი აფროდიტესეული ეროსი. ერთი უფროსი უდედოდ შობილი ურანოსის მიერ, რომელსაც „ციურს“ უწოდებენ. მეორე უმცროსი, ზევსისა და დიონესეს ასული. მისი სახელია „მიწიური“. მიწიურს ვუწოდებთ სიყვარულს, რომელიც „სხეულს“ უფრო ეტრფის, ვიდრე სულს. ზეციურს კი მას, რომელიც „სულს“ უფრო ეტრფის, ვიდრე სხეულს. მიწიური სიყვარული ცვალებადია და წარმავალი, ისევე როგორც მისი ტრფობის საგანი. საკმარისია დაჭკნეს სხეული, რომელსაც იგი ეტრფოდა, რომ მყისვე მიფრინავს სიყვარული მისგან და სამარცხვინოდ ივიწყებს ყველა თავის ფიცსა და აღთქმას. ხოლო ტრფიალი მშვენიერი სულისა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი ერთგული რჩება, რადგან მარადიულისა და წარუდინებლიდანაა შექმნილი, ამგვარად, მშვენიერია სიყვარული, რომელსაც სათნოებისკენ სწრაფვა ასაზრდოებს. ეს სიყვარული „ციური აფროდიტესეული“ სიყვარულია. ყველა სხვა კი მეორე მიწიური ქალღმერთისგან მომდინარეობს. როცა ადამიანი თავის მეორე ნახევარს შეხვდება, მას თუნდაც ერთი წამითაც აღარ სურს მოწყდეს მას. თუმცა ერთად ატარებენ მთელ სიცოცხლეს, ისინი ვერ შეძლებენ თქვან, რა სურთ მაინც, რას ითხოვენ ერთმანეთისგან. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, ასე დაჟინებით მხოლოდ იმიტომ ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, რომ ვნებათა ღელვა დაიცხრონ. ცხადია, მათ სურთ რაღაც სხვა, რაც თვითონაც არ ესმით ნათლად.

ისინი მხოლოდ გულით გრძნობენ ამას და ეგრე მიგვანიშნებენ ჩვენც. მათი სურვილი მთლიანობისკენ ლტოლვაა. ხოლო სურვილს მთლიანობისას და მისკენ ლტოლვას „სიყვარული“ ჰქვია სახელად. სიყვარული (ეროსი) ყველაზე მშვენიერია, ჯერ ერთი იმით, რომ ელვის სისწრაფით გაურბის სიბერეს, რომელიც საკმაოდ სწრაფია თავადაც, რადგან უფრო ადრე გვეწვევა ხოლმე, ვიდრე ეს საჭიროა. ეროსს მთელი არსებით სძულს სიბერე და ერთ ნაბიჯზეც არ ეკარება მას. ის ნორჩია. ამიტომ ჭაბუკთა წრეში ტრიალებს მუდამ. მართალს ამბობს ძველი ანდაზა: „მსგავსი ყოველთვის მსგავსთან დგას ახლოს“.

ეროსი ის ბრძენი პოეტია, რომელიც სხვასაც პოეტად აქცევს. რადგან არ მოიძებნება ამქვეყნად კაცი, თუნდაც სრულიად უცხო მუზისათვის, რომელშიც პოეტმა არ გაიღვიძოს, როცა ეროსი შეეხება მას. ცოცხალი არსების შემოქმედება ნაყოფია ეროსის სიბრძნისა. სწორედ მან მიაღწია სახელსა და დიდებას, ვისაც ეროსი ჰყავდა მოძღვრად. ხოლო ვისაც შთაგონება ეროსისა არ მიუღია, დავიწყების ჩრდილს მიეცა სამარადისოდ. ეროსი გაველურების საფრთხეს გვაცილებს, ერთმანეთთან გვაახლოვებს, სინაზეს გვინერგავს და სისასტიკეს სდევნის.

„ნადიმის“ ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბერძენი ფილოსოფოსები ხვდებიან ერთმანეთს ნადიმზე და საუბრობენ სიყვარულზე, ეროსზე. თითოეული მათგანის სიტყვას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობის ბეჭედი აზის. თითოეული მათი სიტყვა დასრულებული, დამოუკიდებელი და თავისთავადი ჰარმონიაა ეროსისადმი და ამ ერთიანობის მიზანია ეროსის გენეალოგია, მისი არსი და მნიშვნელობა.

ადამიანებმა თანდათან დაკარგეს მითოსური ღმერთების რწმენა. სწორედ ამ გარემოებითაც იყო გამოწვეული ის წუხილი და შეშფოთება, რასაც პლატონის „ნადიმის“ პერსონაჟები გამოთქვამენ იმის

გამო, რომ მათმა თანამედროვეებმა თითქმის მთლიანად დაივიწყეს ისეთი ბრწყინვალე ღმერთი, როგორიც ეროსია.

ნაშრომის მნიშვნელობა და ორიგინალურობა ის არის, რომ იგი სიყვარულს გაიაზრებს, როგორც უდიდეს კოსმიურ ძალას, რომელსაც შეუძლია გაარღვიოს დროისა და სივრცის სამყარო და ამაღლდეს ღმერთამდე.

ლიტერატურა:

1. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, წიგნი I, ი. ჭავჭავაძის სახ. გამომცემლობა, 2006;
2. „ფილოსოფიის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962;
3. სავლე წერეთელი, „ანტიკური ფილოსოფია“, თბ., 1968;
4. „ნადიმი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964;
5. „ფედონი“, გამომცემლობა „ნაკადული“, 1964;

წინდახედულობის ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დანაშაულში

ბელა ტატურაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

წინდახედულობის (უსაფრთხოების) ნორმის დარღვევა ყოველი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის აუცილებელი ნიშანია. მოქმედი კანონმდებლობით ეს აზრი საკმაოდ ნათლად არის გამოხატული. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში ნათქვამია:

„2. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აცილება.

3. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც”.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის იმ ნაწილში, რომელიც დაუდევრობას ეხება, სიტყვები: „ამის გათვალისწინება მას ევალებოდა...” სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ პირმა დაარღვია წინდახედულების მოვალეობა ანუ ნორმა, რომელიც მართლსაწინააღმდეგო შედეგის გასათვალისწინებლად და თავიდან ასაცილებლად არის დაწესებული. რაც შეეხება მუხლის იმ ნაწილს, რომელიც თვითიმედოვნებას ეხება, იგივე აზრი აქ გამოთქმულია სიტყვებით - „უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.” ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დამნაშავის მსჯელობა ნაჩქარევი და მოუფიქრებელი არ იქნებოდა, არამედ ჯეროვნად დასაბუთებული, მაშინ მავნე შედეგიც აღარ დადგებოდა. აქაც, როგორც ვხედავთ, იგულისხმება ადამიანის აქტივობის შეუსაბამობა წინდახედულობისა და სიფრთხილის ობიექტურ მოთხოვნასთან, რაც იგივე წინდახედულობის ნორმის დარღვევაა და სხვა არაფერი.

კოდექსის კერძო ნაწილში გაუფრთხილებლობითი დანაშაულები ჩამოყალიბებულია იმაზე მითითებით, თუ უსაფრთხოების რომელი ნორმების დარღვევით გამოიხატება ესა თუ ის ქმედება. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 31-ე თავი ითვალისწინებს „სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას”. 36-ე „გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ დანაშაულებზეა” ლაპარაკი.

გაუფრთხილებლობის ცალკეული შემადგენლობანი ზოგჯერ იმგვარად არის აღწერილი კოდექსში, რომ ნახსენებიც კი არაა უსაფრთხოების ნორმის დარღვევა. გაუფრთხილებლობის ასეთი შემადგენლობაა: სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხლი 116), ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით (მუხლი 124) და სხვა. ეს არ ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ანუ წინდახედულების ნორმის დარღვევა არ არის ამ შემადგენლობათა

აუცილებელი ნიშანი. როგორც ზემოთ დავინახეთ, გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ცნებიდან გამომდინარე, წინდახედულობის ნორმის დარღვევა ყველა გაუფრთხილებლობითი დელიქტის შემადგენელი ელემენტია. მაგრამ თუ კანონი პირდაპირ არ იხსენიებს ამა თუ იმ წინდახედულობის ნორმას, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ წინდახედულობის ყოფაცხოვრებითი ნორმები, რომლებსაც, მათი სიმრავლისა და მრავალფეროვნების გამო რამე სპეციალური სახელწოდება არ გააჩნიათ. წინდახედულობის ასეთი ყოფაცხოვრებითი ნორმაა, მაგალითად: არავინ დადოს წამალი მცირეწლოვანი ბავშვისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, არავინ გაისროლოს, ქვა ან სხვა მძიმე საგანი ისეთი მიმართულებით, საითაც ადამიანები იმყოფებიან და სხვა.

ამრიგად, წინდახედულობის სპეციალური ან ყოფაცხოვრებითი ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ეს გარემოება მოვალეობას აკისრებს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს გაუფრთხილებლობის საქმეების გამოძიება-განხილვისას ზუსტად დაადგინოს, ნამდვილად დაირღვა თუ არა მოცემულ შემთხვევაში წინდახედულობის ნორმა, და თუ დაირღვა, მაშინ რაში გამოიხატა კონკრეტულად ეს დარღვევა.

გაუფრთხილებლობითის კონსტრუქციულ ნიშნად წინდახედულობის ნორმის დარღვევის აღიარება გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრაზე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. სახელდობრ, წინდახედულობის ნორმის დარღვევა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ისეთი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს, რა ფარგლებში და რა მოცულობითი უნდა გამოიკვლიოს მოსამართლემ მიზეზობრივი კავშირი.

„მატერიალური შემადგენლობის" მქონე დანაშაულებში შედეგი შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ამიტომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრივ საჭირო ხდება საგანგებო კვლევა, რამ გამოიწვია მავნე შედეგი და თავსდება თუ არა მისი გამომწვევი მიზეზი შემადგენლობის ჩარჩოში. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტისას მჟღავნდება ის სპეციფიკა, რომელიც ახლავს მიზეზობრივი კავშირი კვლევას გაუფრთხილებლობის საქმეში. სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს: გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას მხოლოდ ისეთი შედეგი მიეკუთვნება, რომელიც წინდახედულობის ნორმის დარღვევით იყო გამოწვეული.

თავის დროზე ე. ნემიროვსკი შენიშნავდა: „... გაუფრთხილებლობით დელიქტებში ქმედება ხშირად ნებადართულია, მაგალითად, მანქანის მართვა, ცეცხლის დანთება, იმ პირის მიერ იარაღის ტარება, ვისაც საამისო ნებართვა აქვს, ავადმყოფისთვის ოპერაციის გაკეთება და სხვა. მაგრამ ამით მიყენებული ზიანი კი დანაშაულებრივია".

სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლში გაუფრთხილებლობისათვის (თვითიმედოვნების) ცნება ისეთნაირადაა ჩამოყალიბებული, რომ თუ მას სათანადოდ არ განვმარტავთ, შეიძლება მართლაც ასეთი მცდარი შთაბეჭდილება შეგვექმნას. „ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას". მაგრამ, რა იგულისხმება ქმედების ცნების ქვეშ, ამის გარკვევა ძნელია.

ე. ნემიროვსკი სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ მანქანის მართვა, ცეცხლის გაჩაღება, ქირურგიული ოპერაცია და სხვა, ნებადართული სასარგებლო მოქმედებანია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ისინი სოციალურად აუცილებელი მოქმედებანია, რადგან შეუძლებელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ცხოვრება ტრანსპორტისა და ოპერაციების გარეშე. მაგრამ ცხოვრებაზე დაკვირვებისა და უბედურ შემთხვევათა მიზეზების განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეულ პირობებში ზემოთ მოხსენიებულ მოქმედებებს ზიანის მიყენების ტენდენციაც გააჩნიათ. მაგალითად, მანქანის ტარება გადაჭარბებული სიჩქარით ან გაუმართავი მუხრუჭებით საშიშია. საზოგადოება უარს ვერ იტყვის მსგავს სასარგებლო მოქმედებებზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ განსაზღვრულ პირობებში ისინი ზიანის საშიშროებას ქმნიან. ამიტომ ხდება იმ პირობების შესწავლა, რომელშიც სასარგებლო მოქმედებანი შეიძლება ზიანი გახადოს და ამის საფუძველზე შემუშავდება უსაფრთხოების შესაბამისი ნორმები. ასეთი ნორმების დანიშნულებაა გარკვეულ ჩარჩოში მოაქციოს სასარგებლო მოქმედებანი და განსაზღვროს უსაფრთხო საქმიანობის სავალდებულო ფარგლები. ადამიანები მოწოდებულნი არიან სასარგებლო მოქმედებანი მხოლოდ ამ ფარგლებში განახორციელონ. ამის შესაბამისად, იკრძალება არა სასარგებლო მოქმედებები, არამედ ამ მოქმედებათა საშიშ პირობებში და საშიში საშუალებით განხორციელება. სხვანაირად, იკრძალება სასარგებლო მოქმედებათა განხორციელება წესების დარღვევით. თუ სასარგებლო მოქმედება წესების დარღვევით არ არის განხორციელებული, მაშინ იგი სისხლის სამართალს არ აინტერესებს. ამიტომ სისხლის სამართლს არც ის შედეგები აინტერესებს, რომლებიც უსაფრთხოების წესების დარღვევით კი არ წარმოიშვა, არამედ ამისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, როდესაც ქირურგიული ოპერაცია

ავადმყოფის სიკვდილით მთავრდება, ექიმი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ოპერაცია წესების დარღვევით იყო ჩატარებული.

ამრიგად, მიზეზობრივი კავშირის საწყისი რგოლი გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მხოლოდ ისეთი მოქმედებაა, რომელიც წინდახედულების ნორმის დარღვევით იყო განხორციელებული.

სხვა საკითხია, როგორ უნდა დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი წინდახედულების ნორმის დარღვევასა და მავნე შედეგს შორის. ასეთი მიზეზობრივი კავშირი დასაბუთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინდახედულების ნორმის დარღვევა იყო ერთ-ერთი აუცილებელი პირობა მავნე შედეგისა, პირობა, რომლის გარეშე მავნე შედეგით ვერ დადგებოდა. მაშასადამე, მავნე შედეგის უბრალო თანაარსებობა წინდახედულობის ნორმის დარღვევის ფაქტთან მიზეზობრივ კავშირს ვერ დაასაბუთებს. აუცილებელია, რომ მავნე შედეგი წინდახედულობის ნორმის დარღვევის რეალიზაციას წარმოადგენს.

და ბოლოს, შეიძლება ისეთი შემთხვევაც შეგვხვდეს, როდესაც მიზეზობრივი კავშირი წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და მავნე შედეგს შორის არსებობს, მაგრამ პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის მაინც ვერ დასაბუთდება.

საქმე იმაშია, რომ წინდახედულობის ყოველი ნორმა გარკვეულ სიტუაციაზეა გაანგარიშებული და ემსახურება განსაზღვრული შედეგების თავიდან აცილებას. როდესაც კანონი პასუხისმგებლობას უკავშირებს წინდახედულების რომელიმე ნორმის დარღვევით გამოწვეულ შედეგს, ამით ასეთ სიტუაციასა და შედეგებს გულისხმობს, რომელთა უვნებელყობის ფუნქცია აკლია მოცემულ წინდახედულების ნორმას. ამიტომ ყველა სხვა სიტუაცია და შედეგი დანაშაულის შემადგენლობის მიღმა რჩება.

ზემოთ წამოყენებული დებულების ნათელსაყოფად განვიხილოთ ლიტერატურაში „აფთიაქარის შემთხვევად" წოდებული საქმე.

აფთიაქარმა გასცა წამალი, რომელზედაც დაავიწყდა ეტიკეტის მიკვრა. ავადმყოფმა წამალი წაიღო და მოათავსა წამლებისათვის განკუთვნილ პატარა კარადაში. როდესაც მან წამლის გამოყენება მოინდომა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ წამალს არ ჰქონდა ეტიკეტი. დაეჭვებულმა ავადმყოფმა წამალი დასაბრუნებლად დროებით დადო დაბალ მაგიდაზე. წამალს მიწვდა წერა-კითხვის არმცოდნე მცირეწლოვანი ბავშვი, დალია და მოიწამლა.

ამრიგად, აფთიაქარმა დაარღვია წინდახედულობის ნორმა-დაავიწყდა წამლისათვის ეტიკეტის მიკვრა. მავნე შედეგი დადგა - მოიწამლა ბავშვი. წინდახედულობის ნორმის დარღვევასა და შედეგს შორის არის მიზეზობრივი კავშირი. აფთიაქარს რომ წამლის ბოთლზე ეტიკეტი მიემაგრებინა, ავადმყოფი აღარ დადგამდა წამალს დასაბრუნებლად დაბალ მაგიდაზე და ბავშვი გადარჩებოდა. მიუხედავად ამისა, აფთიაქარმა პასუხი არ უნდა აგოს გაუფრთხილებლობისათვის, რადგან წამალზე ეტიკეტის მიმაგრების წესი წერა-კითხვის მცოდნე პირებზეა გაანგარიშებული და იმას ემსახურება, რომ ასეთ პირებს შეცდომით არ შეეცვალოთ იგი სხვა მსგავს წამალში ან ნივთიერებაში. განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა მოვლენათა ისეთ არაპირდაპირ განვითარებას, რომელიც წინდახედულების ნორმით არ იყო ნაგულისხმევი. ფორმას, რომელიც წამალზე ეტიკეტის მიკვრას მოითხოვს, არ აკისრია ისეთი სიტუაციის უვნებელყოფის ფუნქცია, როდესაც წამალთან საქმე აქვს წერა-კითხვის არამცოდნე მცირეწლოვან ბავშვებს. ამიტომ დამდგარი შედეგი ვერ თავსდება გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში.

ამრიგად, დარღვეული წინდახედულობის ნორმის კონკრეტული დანაშაულება და შინაარსი განსაზღვრავს იმ მავნე შედეგების წრეს, რომლებიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობას განეკუთვნებიან.

ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის კოდექსი, 2010;
2. მ. უგრეხელიძე, გაუფრთხილებლობითი დანაშაულები, თბ., 1971;
3. ო. გამყრელიძე, სისხლისმ სამართლის კანონის განმარტება, თბ., 2008;
4. თ. წერეთელი, დანაშაულებრივი ქმედება და შედეგი, თბ.,1961;
5. თ. წერეთელი, გ.ტყეშელია, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1968;
6. მ. ტურავა, სისიხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბ., 2005.

სამოქალაქო საზოგადოება - წარსული და დღევანდელობა

ბელა ტატურაშვილი, ნათია ლურსმანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის აზრით, ფასეულობები „..საუკეთესოდ არის გამოხატული საზოგადოების თანამედროვე გაგებაში, რომლის საფუძველშიც დევს მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი თანასწორად ღირებულია.. და რომ ჩვენ ერთობლივი პასუხისმგებლობა გვეკისრება ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ხელს უწყობს ასეთ თანასწორ ღირებულებას.“

ნებისმიერ მთავრობას აქვს მისწრაფება, დაარღვიოს ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებები ის ფარია, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდთა უსაფრთხოებას. სამოქალაქო საზოგადოება მისი ფართო გაგებით განისაზღვრება, როგორც „განსაკუთრებული სივრცე ოჯახს, სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, რომელშიც ხალხი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს.“

თანამედროვე მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აუცილებლობაზე არავინ დაობს, რადგან იგი განიხილება დემოკრატიის განუყოფელ ნაწილად.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება ჩვენში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეტყველებაში თანდათან მკვიდრდება ტერმინები: „სამოქალაქო საზოგადოება,“ „მოქალაქე,“ „სამოქალაქო უფლებები,“ „არასამთავრობო ორგანიზაცია“ და სხვა. აღნიშნული სიტყვები ადრე თითქმის არ გამოიყენებოდა, ან თუ გამოიყენებოდა, მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობით. ქართული საზოგადოება ეჩვევა სამოქალაქო საზოგადოების აღმნიშვნელ ტერმინებს მაგრამ ნათლად და ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული მათი მნიშვნელობა, მრავალ ჩვენგანს ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სამოქალაქო საზოგადოების არსზე და მისი დამკვიდრების შედეგებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ჩაისახა ანტიკურ ხანაში. ძველი ბერძნული დემოკრატია ხელს უწყობდა თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოებრივ აქტივობას. ძველ საბერძნეთში არსებობდა მრავალი ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი), რომელთაგან თავისი დემოკრატიულობით კულტურის დონით გამოირჩეოდა ათენის სახელმწიფო. ათენის დემოკრატიის არსებობაში მოქალაქენი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ათენის პოლიტიკური საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად არ იყო განსაზღვრული ხელისუფლების დიქტატით. მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისუფალ მოქალაქეთა კერძო ინიციატივაზე დამყარებული, ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი საქმიანობა. სწორედ ეს არის სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი ძველ საბერძნეთში.

აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ძველ რომში. რომაულ სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებულ მრავალ სამართლებრივ ნორმას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და თანამედროვე კანონმდებლობის ფუნდამენტურ პრინციპად ითვლება.

შუა საუკუნეებმა შეაჩერა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ეს ბუნებრივი იყო, რადგან ფეოდალური საზოგადოება თავისი კლასობრივ-წოდებრივი ბუნებითა და რელიგიური იდეოლოგიით მკაცრად განსაზღვრავდა ქვეშევრდომთა მიჯაჭულობას ხელისუფლებისა და ეკლესიის ავტორიტეტზე. ისინი მთლიანად აღშობდნენ კერძო ინიციატივას რაც გამორიცხავდა დამოუკიდებელ საქმიანობას.

ცხადია, რომ ამგვარ პირობებში არსებობა შეუძლებელი იყო. აღორძინების ეპოქაში იწყება ფეოდალიზმის რღვევის პროცესი, ხოლო მე-16 მე-17 საუკუნეებში დასაბამი ეძლევა კაპიტალიზმის განვითარებას, რამაც გამოძახილი ჰპოვა ბურჟუაზიულ რევოლუციებში. კაპიტალიზმის პირობებში ყველა ადამიანი კანონით თავისუფალია და თანასწორი ამით სახელმწიფოს ქვეშევრდომები გადაიქცნენ მოქალაქეებად, რითაც დასაბამი ეძლევა სამოქალაქო საზოგადოებას. იგი კაპიტალიზმის პირმშოა.

კაპიტალიზმსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კანონზომიერი კავშირია. ამიტომ მათი არსებობა და ფუნქციობა ერთმანეთისაგან განუყრელია. ამას განსაზღვრავს კაპიტალიზმის არსისაგან გამომდინარე ორი ფაქტორი: ეკონომიკა და დემოკრატია.

კაპიტალისტური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკაა. იგი ემყარება თავისუფლებასა და მოქალაქეთა კავშირს, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ურთიერთობა მყიდველსა და გამყიდველს შორის მყარდება ბაზარზე. აქ ხდება გარიგება, რომელსაც

განაპირობებს მხოლოდ ეკონომიკური დაინტერესება. ამ პროცესს წარმართავს არა ხელისუფლება, არამედ თვითონ ბაზრის მონაწილე. კაპიტალისტურ ეკონომიკას მართავს ბაზარი და არა ხელისუფლება. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ხელისუფლების ძალაუფლება შეიზღუდა. კაპიტალისტური დემოკრატიის თავისებურება ისაა, რომ მან, ჯერ ერთი, დააკანონა ხელისუფლების შეზღუდვა და, მეორე, ყველა მოქალაქე გაათანაბრა კანონის წინაშე, რითაც მოისპო კლასობრივ-წოდებრივი პრივილეგიები. კაპიტალისტურმა დემოკრატიამ და საბაზრო ეკონომიკამ შექმნეს ის წანამძღვრები, რომელთაც ხელი შეუწყვეს სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობას და ნორმალურ საქმიანობას.

სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოების არსი სხვადასხვაგვარად იყო გაგებული. თანამედროვე დასავლურ კონცეფციებში გატარებულია აზრი, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების შეზღუდვა კანონით. ხელისუფლება განაგებს საზოგადოების საერთო ინტერესების სფეროს. მისი ძირითადი ამოცანაა მათი დაცვა და განხორციელება. ხელისუფლების უფლებამოსილება აღარ ვრცელდება მოქალაქეთა კერძო ინტერესებზე. მართალია ხელისუფლება მოქალაქეთა კერძო ცხოვრებას აღარ მართავს, მაგრამ იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რათა მათ შეძლონ თავიანთი საკუთარი მიზნებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამრიგად სამოქალაქო საზოგადოების შექმნის გზაზე მოქალაქეთა წინაშე დგას ორი ძირითადი ამოცანა: 1) დააკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებანი; 2) დაიცვან პირადი თავისუფლება და საკუთარი უფლებები. ამ ამოცანების შესრულება ხელისუფლებას ხშირად არ შეუძლია ზოგჯერ კი ტოტალიტარული რეჟიმების დროს უპირისპირდება ამ უფლებების რეალიზაციას. ამისათვის იქმნება მოქალაქეთა ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, საზოგადოებები, ასოციაციები და გაერთიანებები ავტონომიურ პრინციპებზე, რომელთა მიზანია ხელისუფლების შეზღუდვა და მისი მუდმივი კონტროლი.

სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1) ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობა, ანუ ავტონომიურობა;

2) შეთანხმება და ხელშეკრულება. მოქალაქეები ერთიანდებიან ინტერესთა ერთობისა და დამთხვევის საფუძველზე. ისინი ეთანხმებიან მოცემული საზოგადოების მიერ შემუშავებულ პროგრამასა და წესდებას;

3) თვითმმართველობა. სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურირება თვითონ მართავენ თავიანთ თავს;

4) ცნობიერება და მიზანდასახულობა. მოქალაქეთა გაერთიანება ხდება არა სტიქიურად, არამედ ცნობიერად და მიზანდასახულად;

5) არაერთგვაროვნება და განსხვავებულობა. სამოქალაქო საზოგადოებაში იქმნება მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჯგუფი და ორგანიზაცია, რომლებიც მოიცავენ ადამიანთა საზოგადოების ფართო სპექტრს. ამასთან, ერთი და იმავე საქმიანობის სფეროში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი ორგანიზაცია, მაგალითად, მრავალი პარტია, მწერალთა კავშირის რამდენიმე ორგანიზაცია და სხვა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წესდებით და პროგრამით მათ განსხვავებული მიზნები და სტრუქტურა აქვთ;

6) დაქსაქსულობა და არაორგანიზებულობა. სამოქალაქო საზოგადოება არა არის გაერთიანებული ერთი ორგანოს მიერ, რომელსაც ყველა დანარჩენი დაექვემდებარებოდა;

7) დეიდეოლოგიზაცია. მას არ გააჩნია იდეოლოგია, რომლის საფუძველზე მოხდებოდა მისი გაერთიანება, პირიქით, სამოქალაქო საზოგადოება გამოხატავს ინდივიდების კერძო და არა საერთო ინტერესებს. კერძო ინტერესების მოქცევა ერთი იდეოლოგიის ქვეშ პრინციპულად შეუძლებელია.

არსებობს თუ არა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება? რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ საკითხი ეხება იმას, განვითარების რა დონეზეა და რა ხასიათისაა იგი. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო აქტივობა ქვეყანაში არასოდეს გამოიჩეოდა მაღალი დონით, ვინაიდან არ არსებობდა მაღალი სამოქალაქო კულტურის ხანგრძლივი ტრადიცია. ფეოდალური ტიპის ქართულ პოლიტიკურ წარმონაქმნებში, რომლებიც შუა საუკუნის მთელ მანძილზე აზიური დესპოტების წინააღმდეგ განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ, ბუნებრივია, ვერ მოხდებოდა ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება. რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობამ ასევე ვერ შექმნა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების სერიოზული მცდელობა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ეს მეტად მტკივნეული პროცესია, რომელშიც საკმაოდ ჭარბადაა რეტროგრადული რევანშის მცდელობები იმ ძალთა მხრიდან, რომლებიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებიან ღია საზოგადოების იდეას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ადგილი ჰქონდა მოქალაქეობრივი ცნობიერების და მოქმედების გამოვლენის ცალკეულ ეპიზოდურ შემთხვევებს.

გამონაკლისია მე-20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო სამი წლის განმავლობაში აშენებდა დემოკრატიულ საზოგადოებას.

ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას მიეცა მძლავრი იმპულსი, მაგრამ თავდაპირველად მას ჰქონდა ქუჩურ-მიტინგური ხასიათი, ემოციებისა და ლოზუნგების დონეზე ხდებოდა საკითხების განხილვა. იმძლავრეს კრიმინალურმა ელემენტებმა, რომელთაც შექმნეს დანაშაულებრივი ჯგუფები და ორგანიზაციები, საძმოები, რეკეტიორთა წვრილ-წვრილი გაერთიანებები და სხვა. თანამედროვე ეტაპზე ამგვარი ჯგუფების განუკითხავი თარეში აღკვეთილია. კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია, აღიარებს დემოკრატიის ძირითად ფასეულობებს, რაც აუცილებელი პირობაა სამოქალაქო საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. იქმნება არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც კანონი იცავს. ერთ-ერთ ასეთ გაერთიანებას წარმოადგენს საზოგადოება „სამართლიანი არჩევნები," რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ხელშეწყობით.

ჩვენ ვიმყოფებით სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საწყის სტადიაზე. ამიტომ, ცხადია, რომ იგი სუსტია, ჯერ არ ჩამოყალიბებულა სამოქალაქო ცნობიერება და ადამიანები არ გარდაქმნილან მოქალაქეებად. ისინი ჯერ კიდევ ძველებურად აზროვნებენ და მოქმედებენ. მათ დამოკიდებულებაში არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი იგრძნობა ეჭვი და უნდობლობა. ხელისუფლებაც ნაკლებად უწევს ანგარიშს ამგვარ გაერთიანებებს. საქართველოში ჯერ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების შესატყვისი კულტურა ტრადიციები და ჩვევები. მათი დამკვიდრება მომავლის საქმეა. ამისათვის აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების ენერგიული და მიზანსწრაფული მოღვაწეობა. მათ უნდა აღზარდონ მოქალაქეები არამარტო სამოქალაქო განათლების მეშვეობით, არამედ თავიანთი საქმიანობითაც. ისინი უნდა დაეხმარნონ ადამიანებს ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში. მათ უნდა იგრძნონ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა და მათში მონაწილეობა კერძო ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

ლიტერატურა:

1. მარინა მუსხელიშვილი, სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი, თბ., 2006;
2. საბა გვეტაძე, სალომე ალანია, ნინო ხელაია, თამარ თედიაშვილი, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში რეალისტური თეორიიდან გამომდინარე, თბ., 2009.

რენესანსის შესახებ

ირინე ტერმაკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნუგზარ აბრამიშვილი**, სრული პროფესორი

რენესანსი ფრანგული სიტყვაა და აღორძინებას ნიშნავს. აღორძინება რაღაც უკვე არსებულის განახლება-აღდგენას ნიშნავს. ბუნებრივია უკვე არსებულის აღდგენა-განახლებაში გათვალისწინებულია ახალიც, უფრო სწორად, იმ ეპოქის თავისებურებანი, რომელშიც მიმდინარეობს განახლება-აღდგენის ეს პროცესი. ბუნებრივია, როდესაც მსჯელობა ეხება რენესანსს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, საჭიროა გაირკვეს, თუ რა იგულისხმება რენესანსის ცნებაში. პირველად ცნება რენესანსი გამოიყენა დიდმა იტალიელმა ხელოვანმა ჯორჯო ვაზარიმ (1511-1574), შემდგომ კი ის დამკვიდრდა მეცნიერებაში, როგორც შუა საუკუნეებში კულტურული თვალსაზრისით მომხდარი დიდი ისტორიული შემობრუნების აღმნიშვნელი. სხვათა შორის, რენესანსის პრობლემებზე მსჯელობისას ხშირად გაუგებრობის მიზეზი გამხდარა ამ ცნების სხვადასხვანაირი გაგება. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, რენესანსი გულისხმობს ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულად გამოცხადებას, მეორე ნაწილი ამას განსაკუთრებულ რელიგიურ მოვლენას უკავშირებს, მესამე კი რენესანსის წარმოშობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ქალაქური ცხოვრების მაღალ დონეს და ამის საფუძველზე რენესანსს კაპიტალიზმის გარიჟრაჟად თვლის. არის ისეთი მოსაზრება, რომ რენესანსის წარმოშობა ამა თუ იმ ქვეყანაში დაკავშირებულია საერთოდ კულტურის განსაკუთრებულ აღმავლობასთან. რაც შეეხება ქართველ მკვლევარებს, მათი აზრით, რენესანსი ნიშნავს ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულად

გამოცხადებას და ადამიანისადმი ახლებურ დამოკიდებულებას, რაც გულისხმობს ადამიანის წინა პლანზე წამოწევას.

ამქვეყნიურის ღირებულად გამოცხადება და ადამიანისადმი ახლებური დამოკიდებულება რენესანსის ცნების ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი ნიშანია. ამგვარად გაგებული რენესანსის მსოფლმხედველობის საფუძველს კი ნეოპლატონური ფილოსოფია წარმოადგენს. ამ საკითხის გარკვევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქართველ ფილოსოფოსებს. შ. ნუცუბიძე ამ თვალსაზრისის პირველი ავტორია, ხოლო შ. ხიდაშელი ამ პოზიციის აქტიური დამცველი და განმამტკიცებელი.

შ. ნუცუბიძე ,,ევროპოცენტრიზმის'' კრიტიკისას განიხილავს ჰენინგისა და კასირერის თვალსაზრისებს, რომელთა თანახმადაც რენესანსი ევროპული მოვლენაა და ის თეორიულად შეამზადეს იოანე სკოდ ერიუგენამ და ნიკოლოზ კუზელმა. შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ როგორც ერიუგენას, ისე კუზელის მსოფლმხედველობა განსაზღვრულია არეოპაგიტული მოძღვრებით და თუ მათი მსოფლმხედველობანი რენესანსის საფუძვლად ითვლება, მაშინ რატომ არ უნდა ჩაითვალოს ამგვარად საკუთრივ არეოპაგიტიკა.

არეოპაგიტული მოძღვრება, შ. ნუცუბიძის აზრით, რენესანსის ერთ-ერთი იდეური საფუძველია. შ. ნუცუბიძე არეოპაგიტიკის წვლილს კულტურის ისტორიაში ასე წარმოადგენს: არეოპაგიტულმა მოძღვრებამ ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა ,,გადარგო ქრისტიანულ საფუძველზე'', რითაც შენარჩუნებული იქნა რენესანსისთვის აუცილებელი პრინციპები და იდეები. ეს ძირითადი იდეა ღმერთისა და სამყაროს ერთიანობას გულისხმობს, რაც შემდეგ აუცილებელ მომენტებს მოიცავს: ღმერთიდან არსებათა აუცილებლობით წარმოშობა ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობა, ღმერთთან უშუალო შეერთების დაშვება, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის აღიარება.

რენესანსზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული რასელს. მისი აზრით, ,,იტალიაში'' სამყაროზე შუასაუკუნეობრივი შეხედულებებისგან განსხვავებული ახალი დროის შეხედულების წარმოშობა განაპირობა მოძრაობამ, რომელმაც მიიღო სახელწოდება - ,,აღორძინება''.

რასელის საინტერესო და საყურადღებო შენიშვნით ,,აღორძინება არ ყოფილა ფილოსოფიის სფეროში დიდი მიღწევების პერიოდი, მაგრამ მან მოგვცა ცნობილი შედეგები, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის სიდიადის აუცილებელ წინამძღვრებს წარმოადგენდნენ.“

რასელის აზრით, აღორძინება განაპირობა ორი ფილოსოფოსის - პლატონისა და არისტოტელეს შესახებ პირველწყაროებზე დამყარებულმა ზუსტმა წარმოდგენებმა, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ნეოპლატონიკოსების განმარტებებისგან.

რასელი აღორძინების დამსახურებას იმაში ხედავს, რომ ამ ეპოქამ დაბადა ტიტანები - ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, მაკიაველი...

მან განათლებული ხალხი გაათავისუფლა შუა საუკუნეების შეზღუდვათა ტყვეობისგან და ანტიკურობის ტყვეობაში ყოფნის მიუხედავად თვალი აუხილა მათ, რომ ყოველ საკითხში განსხვავებული აზრი ჰქონოდათ.

რენესანსის საინტერესო გაგება გვხვდება ი. პუზანოსთან. პუზანოს აზრით, რენესანსი ისე, როგორც ყველა ახალი ცივილიზაცია, ხასიათდება თავისებურებებით, სიცოცხლის თავისებური გამოვლენით, თავისი განსაკუთრებული ხელოვნებით, ცოდნითა და რელიგიით.

აგრეთვე, რენესანსის საინტერესო გაგება გვხვდება ლევ კარსავინთან. კარსავინი რენესანსს კულტურის ისტორიაში შემაფერხებელ მოვლენად მიიჩნევს, რაც სწორი არ არის. თუმცა ისიც ცხადია, რომ რენესანსს, რომელიც მთლიანობაში პროგრესული მოვლენა იყო კულტურის ისტორიაში, გააჩნდა თავისი ჩრდილოვანი მხარეები. ამ მხრივ საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართველ მეცნიერს ნოდარ კაკაბაძეს.

შუა საუკუნეების ეთიკური იდეალის თანახმად, ადამიანი უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი ხორციელისგან და მასში არსებითად უნდა იქცეს სულიერი საწყისი. რენესანსმა კი კაკაბაძის შენიშვნით, თავის უფლებებში აღადგინა ხორცი, გრძნობა, ბიოლოგიური მოთხოვნილებები. რენესანსმა შექმნა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის იდეალი. მაგრამ ის, რაც ადრე პროგრესული იყო, როგორც შუა საუკუნეების ასკეტიზმისადმი რეაქცია და ადამიანის ემანსიპაციას წარმოადგენდა, თანდათანობით მეორე უკიდურესობაში გადაიზარდა. ადამიანი ინსტიქტების მონა გახდა, მასში გაიღვიძა მხეცმა. კაკაბაძის აზრით, აღნიშნული გარემოებებით უნდა იყოს განპირობებული თანამედროვე დასავლეთში შუა საუკუნეების სულის რეაბილიტაციის ცდებით, მაგალითად ნეოპლატონიზმის აღორძინება.

შუა საუკუნეების რენესანსულ მოდელსა და მეოცე საუკუნის ადამიან მომხმარებელს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება შეიძლება სადავო იყოს, რამდენადაც ადამიანის რენესანსული ტიპი არ

გულისხმობდა ხორცის რეაბილიტაციას სულის ხარჯზე და უფრო სულისა და ხორცის ჰარმონიას მოითხოვდა.

ლიტერატურა:
1. მ. მახარაძე, რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები, თბ., 2009;
2. შ. ხიდაშელი, ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2008.

მასმედია და კონფლიქტების დარეგულირება
(2008 წლის აგვისტოს მოვლენების მაგალითზე)

ციცინო ღუღუნაძე, ხატია ტეტუნაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი**, ასოცირებული პროფესორი

კაცობრიობის ისტორია მართლაც რომ სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის ისტორიაა, სისხლით გაჟღენთილი შემზარავი თავგადასავლებით, თუმცა, სად იწყება და სად მთავრდება ერთიც და მეორეც, სფინქსისეულ გამოცანად რჩება კვლავაც.

თითქოს ბანალურ მოვლენად იქცა, ძველთაგან საპატიოდ მიჩნეული წარმოდგენები თუ შეხედულებანი დროდადრო რომ ირღვევა-იწყება სასტიკი, დაუნდობელი ომები, ტერორი, რომელთაც თან სდევს ადამიანთა მასობრივი განადგურება, ქალაქებისა და სოფლების მიწასთან გასწორება, დღემდე გამოცხადებულ ღირებულებათა გადაფასება, ადამიანის მოდგმისათვის სამარცხვინო ათასგვარი საშინელებანი.

სწორედ ასეთი ფაქტებითა და მოვლენებით იყო აღსავსე რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წლის აგვისტოში. ომის დროს დიდი ყურადღება ექცევა თითოეულ დეტალს, მათ შორის, მასმედიის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტების გაშუქებისა და მათი ობიექტური ანალიზის დროს. ცნობილი კონფლიქტოლოგი იოჰან გალტუნგი ამბობს, რომ არსებობს მშვიდობის ჟურნალისტიკა, რომელიც კონფლიქტებს განიხილავს, როგორც მედიცინას, სადაც მოძიებულია კონფლიქტის მიზეზები. ეს არ უნდა ჰგავდეს სპორტულ ჟურნალისტიკას, სადაც აუცილებლად უნდა გამოავლინო გამარჯვებული და დამარცხებული. მთავარი მიზანი ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს კონფლიქტების მიზეზების ძიება.

ჩვენი აზრით, მასმედიის დანიშნულებაა, პირველ რიგში, უზრუნველყოს ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. ჟურნალისტი, რომელიც კონფლიქტზე მუშაობს, აუცილებლად უნდა ერკვეოდეს კონფლიქტის გეოგრაფიულ არეალში, ერკვეოდეს იმ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ასპექტებში, რომლებიც განაპირობებდნენ კონფლიქტს. ჟურნალისტი უნდა იყოს პროფესიონალი, მან უნდა დაიცვას ობიექტურობა, ეთიკა და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენთან ხშირია შემთხვევები, როდესაც კონფლიქტებს ცალმხრივად აშუქებენ.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს იყო ფაქტები ობიექტურობის დარღვევისა. ჩვენ გავესაუბრეთ გორის უნივერსიტეტის პროფესორ ელდარ მამისთვალაშვილს, რომელიც ომის პერიოდში ქალაქში იმყოფებოდა. მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ხშირად აცხადებდნენ, თითქოს იწვოდა გორის ფოსტა და უნივერსიტეტის I კორპუსი, თუმცა ეს არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ბატონი ელდარი ხშირად მიდიოდა უნივერსიტეტთან და ამოწმებდა, მართალი იყო თუ არა ის ინფორმაცია, რასაც ტელეკომპანიები გადმოსცემდნენ. ჩვენ როდესაც შევძელით ქალაქში დაბრუნება, ჩვენი თვალით ვიხილეთ, რომ გორის უნივერსიტეტი არ იყო დამწვარი, მხოლოდ მცირედ იყო დაზიანებული. სავალდებულოა, რომ ასეთი ისტერიის გამომწვევი მასალები ჟურნალისტების მიერ არ იყოს გამოყენებული. ჩვენ არ ვაკრიტიკებთ მასმედიას, უბრალოდ, ვაკეთებთ ანალიზს იმ რეპორტაჟებისას, რომლებიც კეთდებოდა ომის პერიოდში და ზოგჯერ იწვევდა ზედმეტ პანიკას. დაძაბულობის შეტანა ამ დროს არ არის გამართლებული.

კონფლიქტების გაშუქებისას, განსაკუთრებით, როდესაც მონაწილე მხარეები ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები არიან, აუცილებლად უნდა იყოს დაცული სრული ობიექტურობა. საომარი მდგომარეობის დროს უნდა იყოს სამხედრო ცენზურა, რათა არ მოხდეს უნებლიეთ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნება. ისევ მოვიყვანთ მაგალითს, როდესაც საზოგადოებრივმა ტელევიზიამ

გამოაცხადა, რომ გორში მობილიზებულია რეზერვისტების დიდი რაოდენობა. ეს გავიდა როგორც ინფორმაცია, თუმცა ეს იყო ინფორმაციის გადაცემა, რომელსაც დაინტერესებული მხარე გამოიყენებდა. უნდა დაიწეროს ის, რაც საქართველოს სახელმწიფოს გააძლიერებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიდეს სუბიექტური ინფორმაცია, რაც შეიძლება მტერმა გამოიყენოს.

ჟურნალისტის თუნდაც ერთი გაუაზრებელი სიტყვა შესაძლოა ქვეყნისათვის სავალალო აღმოჩნდეს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგე მხარემ ჟურნალისტის მიერ დაშვებული შეცდომა თავის საკეთილდღეოდ გამოიყენოს და დაანახოს ყველას, თუ როგორი სასტიკები არიან ქართველები.

ზემოთ აღნიშნული ომის დროს ჟურნალისტების მიერ ჩადენილი იყო ბევრი სამაგალითო ქმედება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი თამარ ურუშაძე პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს დაიჭრა ოკუპანტი სნაიპერის ტყვიით. ცხინვალთან შეტაკებისას კი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაიღუპა ორი ქართველი ჟურნალისტი. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტობა სარისკო პროფესიაა.

რუსული აგრესიის გამო შიდა ქართლის თითქმის მთელი რაიონი და მთლიანად ცხინვალის რეგიონი ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. ადგილობრივი ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებს, სანამ საშუალება იყო, პირდაპირი ჩართვები ჰქონდათ კონფლიქტის ადგილიდან, გორის დაკავების შემდეგ კი მათი საინფორმაციო მაუწყებლობა შეწყდა. რთულ პირობებში უწევდა მუშაობა ადგილობრივ მასმედიას. 10 აგვისტოს რუსულმა საოკუპაციო ჯარებმა შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა, სადაც სხვადასხვა ტელე და რადიოკომპანიის გადამცემი აპარატურა იყო დამონტაჟებული. ანძის სამი თანამშრომელი დაჭრეს, ერთი კი მანქანაში ჩაცხრილეს.

პროფესიონალური რეპორტაჟების გვერდით შეიძლება გამოვყოთ მოვლენების არაობიექტური და ხშირად მოარულ ხმებზე დაყრდნობილი ინფორმაციის გავრცელებაც. ჩვენ განვიხილავთ როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესას და ვაკეთებთ შედარებებს: ზოგჯერ უცხოური მედია უფრო ადრე გადმოსცემდა იმ ობიექტურ ინფორმაციას, რომლის ცოდნაც აუცილებელი იყო მოსახლეობისათვის, ვიდრე ქართული ტელეარხები. მაგალითისთვის მოვიყვანთ გორის მოსახლეობის ევაკუაციის აუცილებლობას, რომელიც დროზე არ იქნა მიწოდებული მასმედიის საშუალებით. სამწუხაროდ, აგრეთვე არ არსებობდა გეგმა ქალაქიდან მოსახლეობის ორგანიზებულად გაყვანისა, რამაც გამოიწვია უზარმაზარი საცობები ქალაქის გასასვლელებში. ერთ-ერთი სამხედრო ტექნიკის აფეთქების შემდეგ დაიწვა უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის მანქანა, თვითონ მგზავრები კი ბეწვზე გადაურჩნენ სიკვდილს, თუმცა თვეობით მკურნალობდნენ დამწვრობის ცენტრში.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე მსოფლიო პრესა და ელექტრონული მედია ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. დასაფასებელია ჰოლანდიელი ჟურნალისტის სტან სტორიმანსის მონდომება, რომელიც გორის დაბომბვის დროს, ჭურვის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპა ქალაქის ცენტრში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით რუს ჟურნალისტებს, რომელთათვის მთავარია ჟურნალისტური ეთიკა, აინტერესებდათ რეალური ვითარება, თუ რა ხდებოდა საქართველოში. ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი ნეკრასოვი და მისი მეუღლე სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებიან. მათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულება სწორედ ფრონტის ველზე გადაწყვიტეს, რათა რუსულ საზოგადოებას გაეგო ომის მწარე სიმართლე. იგი თბილისიდან გორისაკენ მიემართებოდა, მისი მეუღლე კი ცხინვალის რეგიონიდან მოდიოდა გორისაკენ, ისინი ერთმანეთს სოფელ კარალეთის საგუშაგოსთან შეხვდნენ. აგვისტოს ომის დროს გარდაიცვალა ნეკრასოვის მეუღლე და ამ მოვლენებს უძღვნა ჟურნალისტმა ფილმი „რუსულის გაკვეთილები“, რომელმაც მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

გარდა ამისა, საქართველოში მუშაობდა ათობით უცხოელი ჟურნალისტი, რომლებიც რუსული მედიისაგან განსხვავებით, ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ მსოფლიოს და ქმნიდნენ რუსული აგრესიის წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს.

თითქმის ყველა რუსული არხი საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომში იყო ჩართული. ისინი უარყოფდნენ ფოთისა და სენაკის დაბომბვის ფაქტს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპა. ქართულმა მხარემ რუსების ათამდე თვითმფრინავი რომ ჩამოაგდო, რუსული საინფორმაციო არხების მეშვეობით ვრცელდებოდა ინფორმაცია ორი თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ. ასევე აცხადებდნენ, თითქოს ქართველები დაჭრილ მოწინააღმდეგეებს სადაც ნახულობდნენ, იქვე ხოცავდნენ. რუსები ქართველებს იმასაც აბრალებდნენ, რომ თითქოს მათ მიერ კასპის რაიონში აფეთქებული სარკინიგზო ხიდი ქართველებმა ააფეთქეს. პარალელურად, რუსული არხები აჩვენებდნენ სიუჟეტებს და გულს უჩუყებდნენ საკუთარ ხალხს, თუ როგორ გადმოჰყავდათ კონფლიქტის ზონიდან დაჭრილი ბავშვები, როგორ არიგებდნენ რუსი სამხედროები პროდუქტს, როგორ ეხმარებოდნენ მოსახლეობას და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ მასმედია აუცილებლად უნდა იდგეს ობიექტურობის, ჟურნალისტური ეთიკის სადარაჯოზე და არ ვიზიარებთ 2010 წლის 13 მარტის ტელეკომპანია ,,იმედის“ მიერ იმიტირებული რეპორტაჟის არანაირ გამართლებას, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გადავიტანეთ ომის მთელი საშინელება, დავკარგეთ ახლობლები და საკუთარი სახლ-კარი. ჩვენთვის ომის შესახებ თითოეული სიტყვა, ფრაზა განსაკუთრებული ემოციებითაა დატვირთული და გვახსენებს იმ საშინელ დღეებს.

მსგავსი შემთხვევა გორში ადრეც მოხდა, ომიდან ერთ წელში გორის ბაზაზე დაიწყო სამხედრო წვრთნები, რომლის შესახებაც მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა. მოულოდნელად, ღამის 9 საათისთვის დაიწყო მასიური სროლები სამხედრო სწავლების მიზნით გორის უშუალო სიახლოვეს, ქალაქიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, რადგან ეგონათ, რომ კვლავ ომი იწყებოდა. ჩვენთვის ეს ფაქტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ არც ადგილობრივმა ტელევიზიამ და არც სხვა ორგანომ ეს ინფორმაცია მოსახლეობას არ მიაწოდა. მართალია, მეორე დღეს მოსახლეობას ბოდიში მოუხადეს, მაგრამ შიში და ფსიქოლოგიური ტრამვა მთელმა ქალაქმა მიიღო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ჩამოსული იყვნენ რუსი ჟურნალისტები: ვალერია ნოვოდვორსკაია, კონსტანტინ ბოროვოი და ოლეგ პანფილოვი. მათ სამი შეხვედრა ჰქონდათ დაგეგმილი და აქედან ერთ-ერთი იყო გორის უნივერსიტეტში. შეხვედრაზე განიხილეს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა წარსულში და დღეს. ისინი არიან ცნობილი დისიდენტები და ყველგან თამამად აკრიტიკებენ რუსეთის ხელისუფლებას. ჩამოვიდნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ რეალობა, რადგან ისინი არ ენდობიან რუსულ მასმედიას. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, ამიტომ აუცილებელია სახალხო დიპლომატიის ჩართვა.

ჟურნალისტების თითოეული სიტყვა განსაკუთრებით მგრძნობიარედ აღიქმება კონფლიქტის ზონასთან ახლოს მყოფ რაიონებში. მედიის როლი სწორად უნდა იყოს მიმართული კონფლიქტის მოგვარების, ადამიანების დაახლოების, ერთმანეთის მიმართ ნდობის ჩანერგვისაკენ, ვინაიდან თაობების ცვლა კიდევ უფრო ზრდის იმ გაუცხოებას, რომელიც ბუნებრივი პროცესია ადამიანების განსხვავებულ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში ცხოვრებისას. სწორედ ამის გამო უწოდებენ მასმედიას მეოთხე ხელისუფლებასაც, ვინაიდან უდიდესია მისი როლი ქვეყნის სტაბილურობასა და მოსახლეობის კონსოლიდაციაში. ჟურნალისტებმა უნდა გადმოსცენ ობიექტური ინფორმაცია, ამავე დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს რუსულ პრესაზე, რომელსაც აკლია თავისუფლება და იმყოფება სახელმწიფო წნეხის ქვეშ, თუმცა არც იმის მომხრენი ვართ, რომ მასმედიამ შექმნას მტრის ხატი რუსეთის სახით. მათ, უბრალოდ, უნდა ასახონ რეალობა და არ იყვნენ სუბიექტურები. მასმედიის როლი კონფლიქტების დარეგულირებაში ჩვენ ასე გვესახება, რომ ჟურნალისტებმა უნდა ასახონ სინამდვილე, არ უნდა გადმოსცენ ისეთი ფრაზები, რომლითაც გააღიზიანებენ მოწინააღმდეგე მხარეს და უბიძგებენ საომარი მოქმედების დაწყებისაკენ.

ჩვენი დიდი სურვილია, რუსებმა შეცვალონ დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ და მოახდინონ საქართველოს დეოკუპაცია. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი აღდგეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, თუნდაც ტკივილებითა და კოლიზიებით აღსავსე და შთამომავლობას მოგვეცეს გზა ფართო, მომავალი კეთილმეზობლობისა, მეგობრული, ცივილური ურთიერთობის დასამკვიდრებლად.

... და ბოლოს, ერთ ქართულ სიბრძნეს შეგახსენებთ - „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“.

ლიტერატურა:

1. გაზეთი ,,კვირის პალიტრა“, N32 (702), 2008;
2. გაზეთი ,,კვირის პალიტრა“, N33 (703), 2008;
3. ასმუსი რ., მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, თბ., 2010;
4. გრიგოლ კიკნაძე, ,,ჩვენი საქართველო“, თბ., 2009.

ინტერნეტ რესურსები:

1. http://www.ambebi.ge/politika
2. www.radiotavisupleba.ge
3. www.liberali.ge

შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფია
(ნიკოლო კუზანელის ფილოსოფიური აზროვნება)

მაგდა ყაჩლავაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ფეოდალური საზოგადოების ხანა შუა საუკუნეების ხანაა. V-X საუკუნეებში ხდება ფეოდალური წარმოების წესის წარმოშობა, XI-XV საუკუნეებში კი - მისი აყვავება. შემდეგ იწყება ფეოდალიზმის დაშლა და კაპიტალიზმის მომზადება, რომლის გამარჯვებაც ბურჟუაზიული რევოლუციით მთავრდება.

შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო ქრისტიანული ფილოსოფია. მაგრამ მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ებრაულმა რელიგიამ და ფილოსოფიამ, აგრეთვე არაბულმა ფილოსოფიამ. დასავლეთის ფილოსოფიური აზრი აღმოსავლეთის ფილოსოფიურმა აზრმა განსაზღვრა.

ქრისტიანულ ფილოსოფიას „ეკლესიის მამების“ ფილოსოფიამ – „პატრისტიკამ“ ჩაუყარა საფუძველი.

ქრისტიანობა პირველად იყო მონების რელიგია, დაჩაგრულთა რელიგიური პროტესტი, ხსნის სულიერი იმედი. მას ახასიათებდა შეგუება, ქედის მოხრა, შიში, დაცემა. ქრისტიანობის ელემენტები ებრაულ რელიგიაში იყო ცოდვის, მხსნელის, საიქიოს ცნებები. ქრისტიანობაზე დიდი გავლენა მოახდინა სტოიციზმმა, ნეოპლატონიზმმა (სამების, ექსტაზის ცნებები, სპირიტუალიზმი და სხვ.). ქრისტიანული ფილოსოფია არის თეოსოფია.

მეორე საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა ეკლესია ეპისკოპოსის მეთაურობით. ამან ხელი შეუწყო ქრისტიანობის გამოცხადებას სახელმწიფო რელიგიად (წარმოშობიდან 300 წლის შემდეგ კონსტანტინეს მიერ). ქრისტიანულ რელიგიის დამცველად გამოდის ქრისტიანული ფილოსოფია.

ქრისტიანულ ფილოსოფიაში ერთმანეთს ებრძოდა ორი მიმართულება - რეალიზმი და ნომინალიზმი. ნომინალიზმი მატერიალიზმის ტენდენციების მატარებელი იყო. ამ ბრძოლაში თავისებურად იყო გამოხატული მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლა.

ძირითადი საკითხი, რომლის ირგვლივაც ამ ორ მიმართულებას შორის ბრძოლა წარმოებდა, იყო ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულების საკითხი. რეალიზმი ისეთი მიმართულებაა, რომელიც აღიარებს ზოგადის (უნივერსალიების) არსებობას ერთეული საგნებისაგან დამოუკიდებლად. რეალისტურია ის მიმართულებაც, რომელიც ზოგადს ერთეული საგნების არსებად წარმოადგენს, მაგრამ იგი (ზოგადი) ღვთაებრივ აზრად მიაჩნია. ეს მიმართულება ეყრდნობოდა არსებითად, პლატონის იდეათა თეორიას. ნომინალიზმი კი უარყოფდა ზოგადის რეალურად არსებობას და ზოგადობის მნიშვნელობას მხოლოდ სახელს აწერდა.

ფეოდალიზმის ნგრევა, რომელიც მასში კაპიტალისტური ურთიერთობის წარმოშობით არის გამოწვეული, ორმაგობით ხასიათდება. ეპოქის ორმაგი ბუნება გამოიხატა ნიკოლო კუზანელის (1401-1464წწ) ფილოსოფიაში, რომელიც შუა საუკუნეების ფილოსოფიიდან აღორძინების ხანის ფილოსოფიაზე გარდამავალ მომენტს წარმოადგენს. კუზანელის ფილოსოფიაში ნათლად ჩანს შუა საუკუნეების ფილოსოფიის ზოგიერთი ძირითადი მომენტი და ის ახალიც, რომელიც ანგრევს ძველს. ეს ორი მომენტი მასში ისეა გაერთიანებული, რომ ახალი ფილოსოფიის განხილვა სწორედ მისი გარჩევით უნდა დაიწყოს.

ნიკოლო კუზანელი დაიბადა 1401 წელს სოფელ კუზაში, ტრირის ახლოს. ქ. პადუაში შეისწავლა სამართლის მეცნიერება, მათემატიკა და ფილოსოფია. შემდეგ შეისწავლა ღვთისმეტყველება და გახდა ეპისკოპოსი. მისი თხზულებებიდან მნიშვნელოვანია: „განსწავლული არცოდნა“, „გონების შესახებ“, „არსის შესაძლებლობის შესახებ“ და სხვ.

კუზანელის ფილოსოფიაში მთავარია და, ამავე დროს, ჩვენთვის საინტერესოცაა ორი პრობლემა. ეს არის შემეცნების პრობლემა და ქვეყანასთან ღმერთის დამოკიდებულების საკითხი.

შემეცნების პრობლემა კუზანელის ფილოსოფიაში ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. ის განიხილავს შემეცნებას თავისებურ განვითარებაში შემეცნების საფეხურებს, როგორც ერთიანის მომენტებს, რომლებიც საბოლოოდ დაპირისპირებულთა ერთიანობას შეადგენენ. ეს გარემოება დიალექტის ისტორიამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს. ამ მხრივ, კუზანელის გავლენა მომდევნო ხანის ფილოსოფიაზე დიდია.

შემეცნება იწყება შეგრძნებით, აღქმით. გრძნობადი შემეცნება არის პირველი საფეხური შემეცნებისა. როგორია მისი ბუნება? შემეცნება ამ პირველ საფეხურზე ისეთია, როგორიცაა მისი საგანი; საგანი განსაზღვრავს შემეცნებას. მეორე მხრივ, საგანი შემეცნებით განისაზღვრება, რადგან რაც შემეცნებას შეუძლია, რისი გაგების შესაძლებლობაც მას აქვს, ისაა მისი ობიექტი, მისი საგანი. როგორია ეს საგანი და როგორია შემეცნება დასაწყის საფეხურზე? ჩვენი შეგრძნებები, ამბობს კუზანელი, გვიჩვენებს სინამდვილის მხოლოდ ნაწყვეტებს, რომელთა შორის ჯერ არავითარი მთლიანობა არ ჩანს. სინამდვილის ნაწყვეტი მხარეები, საგნის მხარეები, როგორც ცალკეული საგნები, აი საგანი გრძნობადი შემეცნებისა. ასეთია თვითონ შემეცნებაც.

შემეცნების ამ პირველ საფეხურზე ცოდნა არც არის ცოდნა, თუკი ეს საფეხური ცალკე იქნება აღებული, თუკი ის არ იქნა გაგებული როგორც მართლაც პირველი - დასაწყისი საფეხური. ამ გარემოებას შემდეგი საფეხურების გარჩევა ნათელყოფს.

შემეცნების მეორე საფეხური, კუზანელის აზრით, არის განსჯის საფეხური. როგორი ბუნებისაა განსჯის უნარი და მის მიერ მიღებული ცოდნა?

განსჯა არის უნარი, რომელიც აკეთებს აბსტრაქციებს. ის უშუალოდ ეყრდნობა გრძნობადი შემეცნების მიერ მოპოვებულ მასალას და გამოყოფს იმ საერთოს, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილის, საგნის ნაწყვეტებში, ერთეულებში. თუ, მაგალითად, შეგრძნება ხედავს ხუთ ერთეულ საგანს, განსჯა გამოყოფს რიცხვ 5-ს, რომელიც ზოგადია. განსჯას შეუძლია ერთი სახელი დაარქვას მრავალ ერთგვარ საგანს. მაშასადამე, განსჯა ქმნის ზოგად ცნებებს რიცხვისას, დროისას, სივრცისას და ა.შ.

განსჯა იმუშავებს დროის, სივრცის, სასრულის, უსასრულოს, აუცილებლობის, თავისუფლების, კერძოს, ზოგადისა და ა.შ ცნებებს. რაც განსჯისთვის კერძოს წარმოადგენს, ის არ შეიძლება იყოს ზოგადი და პირიქით. ამიტომ განსჯის უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს წინააღმდეგობის შესაძლებლობის პრინციპი. მისთვის ამ პრინციპის დაცვა აუცილებელია, მისი დარღვევა კი შეცდომას იძლევა.

შემეცნების მესამე საფეხურს წარმოადგენს გონების საფეხური. თუ განსჯისათვის რაიმე მის საწინააღმდეგოს გამორიცხავს, თუ დაპირისპირებულნი შეუთავსებელნი არიან, წინააღმდეგობა შეუძლებელია, მაშინ გონებისათვის წინააღმდეგობა შესაძლებელია, დაპირისპირებულ უკიდურესობათა თანხვდენა შეიძლება. გონება ამჩნევს, რომ სინამდვილეში არსებობენ უკიდურესობანი, რომლებიც განსჯამ ერთიმეორისაგან გააცალკევა, ისინი, როგორც ერთი სინამდვილის უკიდურესი დაპირისპირებული მხარეები, ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებულნი.

გონება არათუ განსხვავდება განსჯისაგან, არამედ მისი საპირისპირო უნარიცაა, თუმცა მას ეყრდნობა და მასზე მაღლა დგას. თუ განსჯამ ერთი რამე მეორეს არ დაუპირისპირა, გონება ვერ შეძლებს შეამჩნიოს ის, რომ ეს დაპირისპირებულნი შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდნენ. განსჯამ იცის თუ რა არის სასრულო, ისიც იცის, თუ რა არის უსასრულო და რომ ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ, შეუთავსებელნი არიან. გონებას ესმის, რომ სასრულო და უსასრულო ერთმანეთზე არიან გადაბმულნი, რომ ისინი ერთმანეთს სადღაც ხვდებიან, რომ მათი კავშირი შეიძლება. ის უნარი კი, რომელიც უკიდურესობათა უსასრულო ერთიანობას ხედავს არის განჭვრეტის უნარი. ეს არის შემეცნების მეოთხე და თანაც უკანასკნელი საფეხური.

კუზანელის აზრით, დაპირისპირებულთა დამთხვევა ცნებებით არ გაიგება, ე.ი. გონება ვერ სწვდება მას. მისი მხოლოდ განჭვრეტა შეიძლება. განჭვრეტა სწვდება უკიდურესობათა უსასრულო ერთიანობას, ეს არის ღმერთთან შეერთება. მხოლოდ ღმერთში ერთიანდებიან უკიდურესობანი და მხოლოდ ღმერთთან შეერთება-განჭვრეტაში დაინახება იგი. დაპირისპირებულთა ერთიანობა, კუზანელის ფილოსოფიის მიხედვით, რაღაც მისტიკურშია და მისტიკურს წარმოადგენს. ასეთია შემეცნების 4 უნარი და საფეხური, რომელთაგან უფრო დაბალი უფრო მაღალში შედის, ყოველი შემდეგი საფეხური წინა საფეხურს გულისხმობს აუცილებლობით. ისინი ერთმანეთში არიან, აქ გვაქვს ერთი ძალის სისტემა. შემეცნების 4 საფეხური, ეს არის შემეცნების არსებით მომენტები.

კუზანელის აზრით, დაპირისპირებულთა ერთიანობის ცოდნა არის ღმერთის ცოდნა. ღმერთის ცოდნით უკვე მოხსნილია სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება. აზრი და არსი ღმერთში ერთი და იგივეა. სუბიექტი და ობიექტი დაპირისპირებულნი არიან, მათი დამთხვევა, იგივეობა, ღმერთია.

ღმერთის ცოდნა არის ისეთი ცოდნა, რომელიც ცნებებში მდგომარეობს. ღმერთის ცოდნა უსასრულობის ცოდნაა. ცნება კი ყოველთვის სასრულოა. ამიტომ ღმერთის ნამდვილი ცოდნა არის იმისი ცოდნა, რომ ღმერთი ადამიანის აზროვნებისათვის გაუგებარია. ღმერთის ცოდნა არის უსასრულობის გაუგებრობის ცოდნა. სოკრატე ამბობდა, რომ ვიცი ის, რომ არ ვიცი. კუზანელი ამბობს, რომ ღმერთი ვიცი, ეს ნიშნავს იმას, რომ ის არ ვიცი: ვიცი, რომ ღმერთი არ ვიცი. ღმერთის ცოდნა არის აბსოლუტური ჭეშმარიტება და ქრისტიანული რელიგიის დოგმები. ადამიანი დაუსრულებლად უახლოვდება აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ იგი ჩვენთვის მუდამ დაფარული რჩება.

ადამიანის სული რაღაც მარადიულს შეიცავს და ამიტომ შეუძლია ნაწილობრივ მაინც მიხვდეს მარადიულს. ადამიანის განსჯის მიერ იქმნება დრო და სივრცე, ამიტომ სულ მაღლა დგას და არ ექვემდებარება დრო-სივრცეს, ე.ი. უკვდავია. აქ, როგორც ვხედავთ, ერთმანეთშია არეული დიალექტის მარცვალი და მისტიკა.

დიალექტიკის მარცვალი გაყალბებულია მისტიკური მომენტით. დიალექტის მარცვალი არა მხოლოდ იმაშია, რომ ინტუიცია სწვდება დაპირისპირებულთა ერთიანობას, არამედ იმაშიც, რომ დაპირისპირებულთა ერთიანობის ცოდნა არის მისი არცოდნა, რომ არცოდნა გვამაღლებს ყოველგვარ ცოდნამდე, რომ არცოდნას აქვს ერთგვარი დადებითი აზრი და მნიშვნელობა.

მეორე პრობლემა, რომელიც არსებითია კუზანელის ფილოსოფიაში, ეს არის ღმერთისა და ქვეყნის დამოკიდებულების თავისებური გაგება.

ეს პრობლემა, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს, ღმერთი დაპირისპირებულთა ერთიანობაა, მაგრამ ეს ერთიანობა დაპირისპირებაზე უფრო მაღალია, ის არის სრული უსასრულობა, მაშინ როცა წინააღმდეგობა სასრულობაა.

ადამიანის ცნობიერების სხვადასხვა უნარი, ღმერთი და ქვეყანა ასეთ კავშირშია: ინტუიციას შეესაბამება ღმერთი - უსასრულობა - ღვთაებრივი აუცილებლობა;

გონებას - გონი - აზრი - ქვეყნის აუცილებლობა.

განსჯას - სული - ცხოვრება - ინდივიდუალური რეალობა.

გრძნობიერებას - სხეული - არსი - მატერიის შესაძლებლობა.

ღვთაებრივ სამებას შეესატყვისება: 1) სულში: შემოქმედი, ძალა, ცნება, ნება; 2) ქვეყნად: შემოქმედი, შექმნილი, სიყვარული.

ღმერთი და ქვეყანა ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც ერთიანობა და სიმრავლე, აუცილებლობა და შემთხვევითობა, რეალობა და შესაძლებლობა.

კუზანელთან ღმერთისა და ქვეყნის ქრისტიანული დუალიზმი გადავიდა პანთეიზმში. ქვეყანა არის გრძნობადი ღმერთი, ადამიანი - გაადამიანებული ღმერთი, ქვეყანა თავის არსებაში არის დაბოლოებული დაუბოლოებელი.

მსოფლიო უსასრულოა, საერთო არსებობს ურთიერთკავშირში, ქვეყანას ერთეულთა სიმდიდრე ახასიათებს. ყველაფერი ისეა დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ყველაფერი ყველაფერშია. ადამიანი არის მსოფლიოს სარკე, ის მიკროკოსმოსია. მაღალი დაბალშია, მიზეზი – შედეგში, გვარი – ინდივიდში, სული – სხეულში, გონება – გრძნობაში, და, პირიქით, არაცნობიერი – ცნობიერში.

კუზანელის თვალსაზრისი ინტელექტუალისტურია, ის იდეალისტია, მაგრამ პანთეიზმში არის იმისი შესაძლებლობა, რომ ღმერთი გაითქვიფოს ქვეყანაში და მატერიალიზმი მივიღოთ.

კუზანელი შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ნიმუშებს აერთიანებს. მასში ძველიცაა და ახალიც, თავისებური დამთავრება ძველისა და დაწყება ახალი აზროვნებისა.

ლიტერატურა:

1. ს. წერეთელი, „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“, ტ. II, თსუ, 1986;
2. არისტოტელესა და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კეტეგორიების შესახებ, თსუ-ს შრომები, თბ., 1960;
3. ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, საგანი და ამოცანები. სახელმძღვანელოში: ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962;
4. ძველი ბერძნული და რომაული ფილოსოფია, სახელმძღვანელოში: ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962;
5. ფეოდალური საზოგადოების ფილოსოფია ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. სახელმძღვანელოში: ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1962.

იმანუელ კანტი - კატეგორიული იმპერატივი

ნინო ჩიტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

1724 წლის 22 აპრილს ქალაქ კენიგსბერგში შოტლანდიიდან გადმოსახლებული ხელოსნის ჩამომავალს იოჰან გეორგ კანტს და ნიუბერგელი გერმანელის როითერის ქალიშვილს, ანა რეგინას შეეძინათ ვაჟი - იმანუელი, რომელსაც წილად ხვდა ინგლისურ ფილოსოფიაში განვითარებული ემპირიზმის და გერმანული რაციონალიზმის ათვისება და ახალი გზის გაკაფვა ევროპული ფილოსოფიისათვის.

იმანუელ კანტი მეოთხე იყო მშობლების თერთმეტი შვილიდან. კანტის მამა ღვედებისა და ქამრების დამამზადებელი ღარიბი ხელოსანი იყო. მას გულწრფელად სწამდა ღმერთი, ერთგული იყო თავისი ხელობის და არც კი უოცნებია იმაზე, რომ მან ან მისმა შვილებმა შეიძლება სხვა პროფესია აირჩიონ და მდგომარეობა გაიუმჯობესონ. კანტის დედა დიდი შინაგანი კულტურისა და ფაქიზი ბუნების ადამიანი, თავისი მდგომარეობის კვალობაზე განათლებული ქალი იყო. იგი პიეტისტური სულისკვეთებით ზრდიდა შვილებს. პიეტიზმი გერმანიაში წარმოიშვა როგორც საპროტესტო რელიგიური მიმართულება. პიეტიზმი შემდგომში მეცნიერებასა და განათლებას უარყოფდა, მაგრამ მაშინ კენიგსბერგის პიეტისტების მეთაური ფრანც ალბერტ შულცი გერმანელი განმანათლებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, რომლის ნაშრომებმა თვით ქრისტიან ვოლფის მოწონება დაიმსახურეს. კანტის დედის თხოვნით შულცმა ყურადღება მიაქცია პატარა იმანუელს, იგრძნო მისი დიდი ნიჭი და დაარწმუნა მშობლები ესწავლებინათ მისთვის. შულცი მატერიალურად ეხმარებოდა კანტის ოჯახს, ძალზე თავაზიანად, ისე რომ ოჯახის მამას შეურაცხყოფილად არ ეგრძნო თავი. კანტი მუდამ დიდი პატივისცემითა და მადლობით იხსენებდა ამ ადამიანს, თვლიდა რომ შულცის მახვილი პედაგოგიური თვალი რომ არა, მისგან შეიძლება არაფერი გამოსულიყო. მან იმ სასწავლებელში გადმოაყვანინა ბავშვი, სადაც თვითონ იყო დირექტორი. დედის თანხმობით შულცი კანტს თეოლოგიური ფაკულტეტისათვის ამზადებდა, სურდა მისგან სასულიერო პირი გამოსულიყო. შულცის გარდა სკოლაში კანტზე დიდი გავლენა ჰქონდა კლასიკური ფილოსოფიის მასწავლებელს ჰაიდენრაიხს, რომელმაც თავის მოწაფეებს განსაკუთრებით შეაყვარა რომაელი ფილოსოფოსი და პოეტი, დემოკრიტესა და ეპიკურეს ატომისტური ფილოსოფიის მიმდევარი ლუკრეციუსი.

კანტის მშობლები მართალია თეორიული მხრივ დიდ ცოდნას ვერ მისცემდნენ შვილებს, მაგრამ რაც შეეხება აღზრდის მორალურ მხარეს, ისინი მუდამ სამაგალითო დარჩნენ კანტისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული, შინაგანი პატიოსნება, ტყუილის გაუმართლებლობა და სხვა, რომელთა დაფუძნებას ცდილობდა კანტი თავის ეთიკაში, ეს ის თვისებებია, რომელთაც კანტი თავისი მშობლების მოქმედებაში ხედავდა და რასაც დედა მოითხოვდა მისგან. კანტს ხშირად უთქვამს მახლობლებისა და მოწაფეებისათვის: „არასდროს, ერთხელაც კი არ მომისმენია ჩემი მშობლებისაგან რაიმე უხამსი და არც არასდროს დამინახავს მათში რაიმე არასაკადრისი.“ ეს კანტს მიაჩნდა მორალური აღზრდის საუკეთესო ფორმად და ამიტომ ამაყობდა იგი თავისი მშობლებით, განსაკუთრებით დედით. კანტის შინაგან ბუნებაზე დედის გავლენის სიძლიერე კიდევ უფრო ნათელი გახდება თუ გავიხსენებთ, რომ როცა დედა გარდაიცვალა, კანტი ცამეტი წლისა იყო. 1740 წელს 16 წლის კანტი ამთავრებს სკოლას. მასწავლებელი და კეთლისმყოფელი შულცი მოითხოვს კანტისაგან, რომ შეასრულოს სამი წლის წინათ გარდაცვლილი დედისათვის მიცემული პირობა. კანტი შედის კენიგსბერგის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში კანტი ისმენს ლექციებს ფიზიკაში, ფილოსოფიაში, მათემატიკაში. მალე გადაწყვეტს ფილოსოფია აირჩიოს სპეციალობად. 1746 წელს კანტი ამთავრებს კენიგსბერგის უნივერსიტეტს, მაგრამ ხარისხის დაცვას ვერ ახერხებს მამის გარდაცვალების გამო. იგი ცხრა წლის განმავლობაში მასწავლებლობს კერძო ოჯახებში. 1753 წელს კანტმა კანიგსბერგის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „მეტაფიზიკური შემეცნების პირველი პრინციპების ახალი გარკვევა,'' რომლის საფუძველზეც მას მიეცა ლექციების კითხვის უფლება უნივერსიტეტში. პროფესორის წოდება კანტმა მხოლოდ 1770 წელს მიიღო.

კანტის ფილოსოფიური განვითარების გზა საკმაოდ რთული იყო. მისი მოხაზვა ზოგადად ასე შეიძლება: კანტი თავის ფილოსოფიურ მოძღვრებას იწყებს როგორც ლაიბნიც-ვოლფის

ფილოსოფიის მიმდევარი. ინგლისური ემპირიზმის გაცნობის შემდეგ გადაუდგება რაციონალისტურ მეტაფიზიკას და იუმის გავლენით სკეპტიციზმის ხაზს გაჰყვება. ლაიბნიცის „ახალი ცდების'' გამოქვეყნება საკმაოდ დიდ გავლენას მოახდენს კანტზე. ამ პერიოდიდან, 1769 წლიდან იწყება კანტის მიერ მუშაობა „მეტაფიზიკის ახალი სისტემის'' შექმნაზე, რომლის საფუძვლები ''წმინდა გონების კრიტიკის" სახით 1781 წელს გამოქვეყნდა

კანტის ფილოსოფიის განვითარებაში ორ პერიოდს განასხვავებენ: ,,წინაკრიტიკულს'' (1770 წლამდე) და ,,კრიტიკულს''. კანტის მნიშვნელობა ფილოსოფიის ისტორიაში მისი „კრიტიკული" ფილოსოფიით განისაზღვრება.

„კრიტიკული" პერიოდის ნაშრომში „ზნეობის მეტაფიზიკური საფუძვლები" იგი ზნეობის ახალი თეორიის დასაბუთებას ცდილობს.

ადამიანის მოქმედება, საქციელი, ნებელობით არის განსაზღვრული. ინსტიქტისაგან ნებელობა იმით განსხვავდება, რომ ეს უკანასკნელი ცნობიერი საქციელის, გონებით განსაზღვრული საქციელის უნარია. ნებელობა არის პრაქტიკული გონება, ამიტომ ზნეობრივი არის მხოლოდ ნებელობა. საქციელი მაშინაც კი არ არის ზნეობრივი, როდესაც ის განსაზღვრულია ბუნებრივი მიდრეკილებებით, არამედ მაშინ, როდესაც ის ვალდებულებას ეთანხმება და მას ასრულებს. ნებელობა კეთილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ ვალდებულების შესაბამისია. საქციელი შეიძლება იყოს კარგი რაიმე მიზნის მისაღწევად ანდა ის კარგია თავისთავად: პირველ შემთხვევაში ის სასარგებლოა და არა ზნეობრივი, მეორე შემთხვევაში ის ზნეობრივია. პირველ შემთხვევაში ნებელობის ფორმა ჰიპოთეტურია (თუ გინდა მიაღწიო მიზანს მოიქეცი ასე და ასე), მეორე შემთხვევაში - კატეგორიულია (ასე უნდა მოიქცე!) უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვემორჩილებით ჩვენს მიერ დადგენილ მოვალეობას, კანონის, ბრძანების სახით გამოთქმულს. ამაში მდგომარეობს ე.წ. კატეგორიული იმპერატივი: „მოიქეცი ისე, რომ შეიძლებოდეს შენი საქციელის პრინციპის (მაქსიმის) გამოცხადება საყოველთაო კანონად"

ეს ფორმალური პრინციპი გარედან კი არ არის ნაძალადევად მოხვეული, ის ჩვენი შინაგანი არსებიდან გამომდინარეობს. კანტის კატეგორიული იმპერატივის ახალმა ფორმულირებამ გაცილებით დიდი გავლენა მოიპოვა არა მხოლოდ წმინდა ეთიკურ სამყაროში, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მოძღვრებაში და მხატვრულ ლიტერატურაში. კატეგორიული იმპერატივი და მის შესაბამისად მოქმედება განპირობებულია ერთი გარემოებით, მას ჩვენი ნებელობა დაადგენს, ის არის მისი კანონმდებელი. ზნეობრივი საქციელის დროს იგი თავის საკუთარ კანონს ემორჩილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებელობა თავისუფალია.

კატეგორიული იმპერატივი შეიცავს ვალდებულებას საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების წინაშე, ღმერთის წინაშე ვალდებულება, რომელიც აუცილებელი იყო ტრადიციულ იმპერატივებში (ვოლფი, მენდელსონი), კანტთან არ გვხვდება. ეს არაა შემთხვევითი. ღმერთთან მიმართება ადამიანს საშუალებად აქცევდა იმ დროს, როცა კანტისთვის იგი რაღაცნაირად ყოველთვის მიზანია. ამიტომ კატეგორიული იმპერატივის უფრო ზუსტი ფორმულირება ასეთ სახეს მიიღებს: „იმოქმედე ისე, რომ კაცობრიობა, როგორც საკუთარი, ისე ნებისმიერი სხვა პიროვნების სახით ყოველთვის იყოს აგრეთვე მიზანი და არასოდეს გამოიყენო როგორც მხოლოდ საშუალება". აღსანიშნავია ისიც, რომ კანტისთვის მორალური პოზიცია ერთხელ და სამუდამოდ კი არ შეიძლება მოიპოვოს ადამიანმა, არამედ იგი მუდმივი ბრძოლაა გონებისა მიდრეკილებებთან, რომელიც სულ ახალ და ახალ სიძნელეს უქმნის ადამიანს წმინდა პრაქტიკული გონების მიერ მითითებული გადაწყვეტილების მიღების გზაზე. სურვილით კი ყოველთვის სურს კეთილი იყოს, მაგრამ მიდრეკილებების დაძლევას ვერ ახერხებს. ადამიანში, რომელიც ორი სამყაროს მოქალაქეა, ყოველთვის მიმდინარეობს ეს ბრძოლა.

კატეგორიული იმპერატივის არსებობისთვის აუცილებელია თავისუფლების, სულის უკვდავების და ღმერთის არსებობის დაშვება. ცდაში არც ერთი მათგანი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ვალდებულების გრძნობა რომ უეჭველად არსებობს, ეს მისი არსებობის პირობასაც უეჭველობას ანიჭებს. ეს იქნება ძველი მეტაფიზიკის ძირითადი შინაარსის გადატანა თეორიულიდან ეთიკური შემეცნების სფეროში.

1790 წლისათვის კანტი დიდების მწვერვალზეა. მისი ფილოსოფია გაბატონებულია გერმანიის უნივერსიტეტებში და გერმანიის ფარგლებსაც გასცდა. მას უკვე ახსენებენ როგორც „დიდ კანტს".

1794 წლიდან, როცა კანტს შეეკითხებოდნენ, თუ რა ხასიათის იქნებოდა მისი მომდევნო ნაშრომი, იგი პასუხობდა: „ეჰ, რა შეიძლება იყოს ბარგის შეკვრა, ახლა მე მხოლოდ ამაზე შემიძლია ვიფიქრო!“

ერთი წლის შემდეგ მარაზმის ნიშნებს შეამჩნევენ ახლო მეგობრები. სული და სხეული ერთნაირად უსუსტდებოდა, ცალ თვალში მხედველობა სულ დაკარგა, ადვილად ღიზიანდებოდა. 1798 წელს ქუჩაში დაეცა სისუსტისაგან და თავად ვერ ადგა, გამვლელი ქალები მიეშველნენ. ამის შემდეგ კანტი სტუმრად აღარ წასულა. 1800 წელს დაუხმარებლად ოთახიდან ოთახში ვერ გადიოდა, მაგრამ რაღაც ინერციის ძალით წერას განაგრძობდა. ნაშრომს - „ბუნების მეტაფიზიკიდან ფიზიკაზე გადასვლა“ - კანტი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებამდე წერდა. კანტს სიკვდილის არ ეშინოდა, რადგან სწამდა, რომ ბოროტება არასოდეს ჩაუდენია და თავისი მისიაც პირნათლად შეასრულა. ერთადერთი რასაც ნატრობდა, ის იყო, რომ ადვილი სიკვდილი რგებოდა, მაგრამ სწორედ პირიქით მოხდა. თავისი საოცრად გალეული სხეულიც ემძიმებოდა, ბოლოს სკამზედაც ვეღარ იკავებდა თავს. ყოველი დღე ტანჯვის მომტანი იყო მისთვის. ამ მდგომარეობას გამოხატავს პატარა ლექსი, რომელიც 1803 წელს დაწერა ბლოკნოტში. კანტი წერდა, რომ თვეებს შორის უმშვენიერესი თვეა თებერვალი, რადგან ყოველ დღეს ტანჯვა მოაქვს, თებერვალში კი ყველა თვეზე ნაკლებია დღეთა რიცხვი.

1803 წლის 8 ოქტომბერს კანტი პირველად გახდა ავად თავის სიცოცხლეში. ცოტა ხნით გონებაც დაკარგა, გარკვეულად ვეღარ ლაპარაკობდა, მაგრამ ის მაინც კეთილი, მორიდებული მოხუცი იყო.

1804 წლის 11 თებერვალს მას წყლიანი ღვინო მიაწოდეს. კანტმა ის რამდენჯერმე მოსვა, შეისვენა და თქვა: „ეს კარგია.“ ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო. გარდაიცვალა მეორე დღეს 12 თებერვალს დღის 11 საათზე. 22 აპრილს მას 80 წელი შეუსრულდებოდა. მისი მეგობრები დიდი მონდომებით ემზადებოდნენ ამ საიუბილეო თარიღისთვის. „მშვენიერი თებერვალი“ კი თითქოს მიუხვდა მოხუც ბრძენს, სამუდამოდ დაიხსნა მტანჯველ დღეთაგან.

კანტის დასაფლავება მოხდა 28 თებერვალს 15 საათზე. ცხედრის ასე დიდხანს გაჩერების უფლებას იძლეოდა სიცივეები და საოცრად გამხდარი, გამოფიტული სხეული. მთელი ამ ხნის განმავლობაში ოთახი, სადაც კანტი ესვენა, სავსე იყო ხალხით. კენიგსბერგი ეთხოვებოდა დიდ ფილოსოფოსს. დასაფლავებაში მთელმა ქალაქმა მიიღო მონაწილეობა. გზა, რომელიც სამგლოვიარო პროცესიას უნდა გაევლო, თოვლისაგან გაწმინდეს. რეკდა მთელი ქალაქის ზარები. ცხედარი მიჰქონდა სტუდენტობას, რომელთაც კანტისთვის არასოდეს მოესმინათ, მაგრამ კანტის მოწაფეთა მოწაფეები იყვნენ. ყველაზე უფრო მეტად პატივისცემას ალბათ, ურიცხვი ხალხის სიჩუმე გამოხატავდა. პოეტებს მიჰქონდათ კანტისადმი მიძღვნილი ლექსები, მაგრამ არ კითხულობდნენ, ჩუმად ფეხთით უდებდნენ. დაკრძალეს კენიგსბერგის ტაძრის გვერდით. საფლავის ქვას ამშვენებდა დიდებული სიტყვები „პრაქტიკული გონების კრიტიკის დასკვნიდან”: „ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებითა და მოკრძალებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვაზროვნებ მათზე, ესენია: ვარსკვლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“.

უნივერსიტეტმა კანტის სამახსოვრო დღედ დააწესა 23 აპრილი, რადგან დაბადების დღე, 22 აპრილი, კვირას ემთხვეოდა. საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ კანტის არცერთი დიდი მოწაფე არ დასწრებია მის დასაფლავებას, არც ფიხტე, არც შელინგი, არც ჰეგელი, არც რაინჰოლდი და სხვები. კანტის მიერ შექმნილი სამყარო ფილოსოფიაში და საერთოდ კულტურაში კანტის გარეშე ვითარდებოდა. ეს სამყარო ისე მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, რომ ანტიკურობის შემდეგ მსგავსი რამ არ უნახავს ისტორიას. ეს განვითარება წარმოადგენდა აზროვნების შინაგანი ბუნების გამოვლინების საუცხოო ნიმუშს. კანტის გარდაცვალების დროისათვის არა მარტო ფიხტემ, არამედ შელინგმაც არსებითად დაამთავრა თავისი ფილოსოფია. იქმნებოდა მესამე და უმაღლესი საფეხური, იწერებოდა ჰეგელის „გონის ფენომენოლოგია.“ შეიქმნა ამ მაგისტრალური ხაზის უარმყოფელი მიმართულებები, შოპენჰაუერი უკვე სარკასტული ღიმილით ისმენდა ფიხტეს ლექციებს და კალამბურებს ადგენდა მისი ძირითადი ცნებების შესახებ. ამ სულიერი სამყაროს სიდიადე, მთელი მისი შემოქმედებითი ძალა, უშუალოდ თუ შუალობით კანტის შრომებს ემყარებოდა.

მართალია დიდი ფილოსოფოსები ასე უგულოდ მოექცნენ მასწავლებლის ცხედარს, მაგრამ მოსახლეობამ გულისყური და პატივისცემა გამოამჟღავნა. კენიგსბერგის მმართველობის წინდაუხედაობის შედეგად კანტის სახლი და ნივთები საჯარო ვაჭრობით გაიყიდა. აქ გამოჩნდა კანტის საოცარი პოპულარობა. მის ნივთებს ხალხი ყიდულობდა როგორც რელიკვიებს. კანტის ჩაჩი, რომელსაც იგი 30 წელი ატარებდა და თავისთავად ცხადია გროში არ ღირდა, ერთმა ინგლისელმა

25 გულდენად იყიდა. ასევე გაიყიდა ყველაფერი, რაც კანტის სახელთან იყო დაკავშირებული. შეკვეთები საზღვარგარეთიდანაც მოდიოდა. კანტის თმებიდან, რომელიც ნიღბის გადასაღებად მოპარსეს, ბეჭდებს წნავდნენ და ყიდდნენ. მიუხედავად ამისა, კანიგსბერგში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც იზრუნებდა კანტის ნივთები შთამომავლობისთვის შეენახა. სახლი სასტუმროდ გადააკეთეს; პირველ სართულზე, სადაც კანტი ლექციებს კითხულობდა, ბილიარდი და კეგლი მოაწყვეს.

დიდ გერმანელ ფილოსოფოსს იმანუელ კანტს დიდი წვლილი მიუძღვის ევროპული ფილოსოფიის პროგრესულად განვითარებაში.

ლიტერატურა:

1. იმანუელ კანტი, „წმინდა გონების კრიტიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979;
2. კოტე ბაქრაძე, „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1969;
3. გურამ თევზაძე, „იმანუელ კანტი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1974;
4. „ფილოსოფიის ისტორია“, ავტორთა კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1962.

რენე დეკარტი – „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“

ცირა ჩიხლაძე, ნათია ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

მეცნიერული ცოდნის განვითარების პროცესში დგება ეტაპი, როდესაც ამ ცოდნის ღირებულების საკითხი წინა პლანზე წამოიწევა. კაცობრიობის მიერ სხვადასხვა დარგში დაგროვილი ცოდნა მოითხოვს მის სისტემაში მოყვანას. იმისთვის, რომ მეცნიერული ცოდნის ღირებულება გაირკვეს, საჭიროა ყურადღების ცენტრში დაისვას პრობლემა თვითონ ცოდნის შესახებ. საკითხი ეხება არა მხოლოდ საგანთა და მოვლენათა შემეცნებას, არამედ ამ შემეცნების პრინციპებს, იმას, თუ რას წარმოადგენს ადამიანური შემეცნება, რის შემეცნება არის შესაძლებელი, აქვს მეცნიერულ შემეცნებას საზღვრები თუ არა, რა გზით და რა საშუალებებით ხორციელდება მეცნიერული ცოდნა და რა აძლევს მას სისტემატურ ხასიათს.

აღორძინების ხანის, როგორც გარდამავალი პერიოდის, შემდეგ იწყება ახალი დროის ფილოსოფია. ახალი ფილოსოფიის დამწყებად, ფრენსის ბეკონთან ერთად, რენე დეკარტი ითვლება. თუ ფრენსის ბეკონი ინგლისური მატერიალიზმის მამამთავარია და ამავე დროს ინგლისური ემპირიზმის დამწყებიც, დეკარტი დამწყებია მეორე მიმართულებისა, რომელსაც რაციონალიზმი ეწოდება. რაციონალიზმი ისეთი მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც შემეცნების ერთადერთ უნარსა და წყაროს გონება წარმოადგენს და თვითონ სინამდვილეც გონების ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება.

რენე დეკარტი დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ლაეში 1596 წელს. მისი ლათინიზირებული სახელია რენატუს კარტეზიუსი. მომავალ მათემატიკოსს, ფიზიკოსსა და ფიზიოლოგს ლოგიკურად მსჯელობებისადმი სიყვარულის გამო ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეარქვეს პატარა ფილოსოფოსი. 1604-1612 წლებში სწავლობდა ლა ფლეშის სკოლაში. იგი სწრაფად და იოლად ასრულებდა საშინაო დავალებებს ყველა საგანში, განსაკუთრებით კი მათემატიკა უყვარდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქალაქ პუატიეს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

ახალგაზრდა დეკარტი გატაცებით ეუფლებოდა მეცნიერების საფუძვლებს და თანაც წარმატებით. მისი ინტერესები მხოლოდ მათემატიკით არ შემოიფარგლებოდა. აინტერესებდა მექანიკა, ოპტიკა, ბიოლოგია, ფილოსოფია. ამ დროს დეკარტი უკვე პარიზში ცხოვრობდა. ზოგჯერ საქმე პარიზის ქუჩებში დუელამდეც მიდიოდა; ეს იყო მუშკეტერების დაუვიწყარი ეპოქა, რომელსაც ასე კარგად ვიცნობთ ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერის“ წყალობით.

1618 წელს რენე დეკარტი მოხალისე მუშკეტერად ჩაეწერა ესპანეთის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში, მაგრამ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია. სანამ მოხალისე მუშკეტერების არმია ქალაქ

ბრედში იდგა, უსაქმურობისაგან გაბრაზებული ახალგაზრდა მეცნიერები იმით ერთობოდნენ, რომ თავსატეხ ამოცანებს იგონებდნენ, ქალაქის ქუჩებში აკრავდნენ და ყველას იწვევდნენ მათ ამოსახსნელად. ასეთ შეჯიბრებებში რენე დეკარტიც მონაწილეობდა და ამ გზით მალე გაეცნო ადგილობრივ მეცნიერებას. ერთხელ, ეს იყო 1619 წლის 10 ნოემბერი, შთაგონების წუთებში მეცნიერს მოეჩვენა, რომ აღმოაჩინა უნივერსალური მეთოდი – კოორდინატთა მეთოდი. ამ აღმოჩენამ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, 1621 წელს დეკარტმა არმიაში სამსახური მიატოვა და მთელი სიცოცხლე მხოლოდ მათემატიკის პრობლემებზე მუშაობას მიუძღვნა. სახელგანთქმული ფრანგი სწავლული შვედეთის დედოფალმა მიიწვია, რომელსაც სურდა მისი ხელმძღვანელობით მეცნიერებას დაუფლებოდა. გარდა ამისა, იგი შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნასაც აპირებდა და ამ საქმეში დეკარტის დახმარების იმედი ჰქონდა.

1637 წლიდან დეკარტი იწყებს თავისი შრომების გამოქვეყნებას, 1640 წლის დასაწყისში ჰოლანდიაში უკვე შეიქმნა კარტეზიანული სკოლა. როგორც ცნობილია, 1629 წელს დეკარტი სწორედ ჰოლანდიაში გადასახლდა, რომელიც ამ დროს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას წარმოადგენდა და სადაც მეცნიერული და ფილოსოფიური მუშაობისთვის შედარებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა. როგორც კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელნი, ისე პროტესტანტული თეოლოგები ილაშქრებენ დეკარტის მოძღვრების წინააღმდეგ. 1643 წელს ქ. უტრეხტში, ხოლო 1647 წელს ქ. ლაიდენში კარტეზიანული მოძღვრების პროპაგანდა აკრძალეს და გამოიტანეს დადგენილება დეკარტის შრომების დაწვის შესახებ.

ამ პირობებში დეკარტმა გადაწყვიტა მიეღო შვეციის დედოფლის, ქრისტინეს წინადადება გადასახლებულიყო სტოკჰოლმში, სადაც 1650 წელს გარდაიცვალა.

რენე დეკარტი ახალგაზრდა ბურჟუაზიის იდეოლოგია. იგი იმ პერიოდის ფილოსოფოსია, როცა ბატონობდა მექანიკისა და გონების კულტი. ბურჟუაზია სასტიკად ებრძოდა ყოველივე ძველს, ყველაფერს თავიდან იწყებდა, ჰქმნიდა ახალ წყობას, ახალ ცხოვრებას. დეკარტის ფილოსოფიაც თავისი „ეპოქის აზრი“ იყო.

რენე დეკარტი ცდილობს ჩამოაყალიბოს ფილოსოფია,როგორც მეცნიერება. მანამდე არსებული ფილოსოფია მას მეცნიერებად არ მიაჩნია. დეკარტის აზრით, მეცნიერების ნიმუშს იძლევა მათემატიკა, კერძოდ, გეომეტრია, ასე უნდა იქნეს აგებული ფილოსოფიაც, რათა ის მეცნიერება გახდეს. მეცნიერება არის სისტემა. ცოდნა, რომელიც სისტემას არ წარმოადგენს, არ არის ცოდნა. ნამდვილი მეცნიერული ცოდნა მხოლოდ სისტემის სახით არსებობს და უნდა არსებობდეს. ფილოსოფიაში, როგორც მეცნიერებაში, მყარი დასაყრდენის მონახვა უნდა მოხდეს ყველაფრის უარყოფით როგორც შეგრძნებებში, ისე აზროვნებაში. ყოველი აზრის უარყოფით უნდა მივიდეთ რაღაც დადებითამდე, რომლის უარყოფა შეუძლებელი იქნება, ფიქრობს დეკარტი. უარყოფით მონახვა დადებითისა, ეჭვით მონახვა უეჭვოსი; აი გზა, რომელსაც მისდევს დეკარტი.

დეკარტი დარწმუნებულია, რომ მთელი ცოდნა ამ გზით უნდა იყოს აგებული. თუ ეს განხორციელდა, მაშინ ფილოსოფია და მის პრინციპებზე აგებული სხვა მეცნიერული დისციპლინები უნივერსალური მათემატიკის სახეს მიიღებს.

ამოსავალი საწყისი დებულება უნდა იყოს დანახული, დანახული არა გრძნობის ორგანოების საშუალებით, არამედ აზროვნებით;

ამოსავალი დებულების დასადგენად დეკარტი „მეტაფიზიკურ ნააზრევში“ და „ფილოსოფიის პრინციპებში“ ხელახლა უბრუნდება იმ ცოდნის დახასიათებას, რომელიც მან შეიძინა სკოლაში, მოგზაურობისას. მთელი ეს შეძენილი ცოდნა აგებული იყო ისეთ არასანდო პრინციპებზე, რომ ის ალბათ საეჭვო უნდა იყოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ შეძენილ ცოდნაში ყველაფერი მცდარია. ამის დამტკიცებას დეკარტი არც ისახავს მიზნად. მას გარკვეული მიზანი აქვს: რადგან აქამდე შეძენილ ცოდნაში ზოგი რამ მცდარია, ზოგი საეჭვო, არ ვიცით ზუსტად, რომელია ჭეშმარიტი და რომელი მცდარი, უნდა განვთავისუფლდეთ მთელი არსებული ცოდნისაგან, შევიტანოთ ეჭვი ყველაფერში, არ ვაღიაროთ ჭეშმარიტად არც ერთი დებულება, თუკი რაიმე საბაბი აღმოჩნდა მათში ეჭვის შეტანისა.

ყველაფერში შეეჭვება უკვე მაჩვენებელია უეჭვო დებულებისა: უეჭვოა ის, რომ მე, რომელსაც ყველაფერში ეჭვი შემაქვს, ვარსებობ. ხომ არ შეიძლება, რომ ის, ვინც ეჭვობს, არ არსებობდეს და კიდევ: თუ არსებობს ბოროტი გენია, რომელიც მე მაცდენს, მატყუებს, მე ხომ უნდა ვარსებობდე, რომ მას შეეძლოს ჩემი მოტყუება. ის, ვინც ცდება, ვინც ეჭვობს, აზროვნებს, ხოლო ვინც აზროვნებს, ის არსებობს. ამიტომ, წერს დეკარტი, „მე ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ („კოგიტო ერგო სუმ“). აი დებულება, რომლის უარყოფა აღარ შეიძლება. ეს არის სწორედ პირველი დებულება, არქიმედეს დასაყრდენი ფილოსოფიისა. ეს დებულება უნდა იყოს დასაწყისი, სათავე ფილოსოფიური სისტემისა, ფიქრობს დეკარტი. ამ დებულების ჭეშმარიტებაში რომ ეჭვი შევიტანოთ-დაეჭვება კი ისევ აზროვნებაა – ამავე

დასკვნამდე მივალთ: რადგან მე ვაზროვნებ, არ შეიძლება, რომ მე, რომელიც ვაზროვნებ, არ ვარსებობდე. ამიტომ, ფიქრობს დეკარტი, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ დებულება „მე ვარსებობ“ ჭეშმარიტია, რამდენადაც მე მას მოვიაზრებ.

„ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ იმას ნიშნავს, რომ „მე ვარ“. ახლა საკითხავია, თუ რა ვარ მე, „მე რას წარმოადგენს?“ ამ კითხვაზე დეკარტის პასუხი შემდეგია: მე ვარ მოაზროვნე საგანი – რეს ცოგიტანს. მოაზროვნე საგანი იგივეა, რაც თვითონ აზრი; „მე“ უდრის აზრს. მე არ ვარ სხეული, რადგან მის გარეშე მე ვარსებობ; შემიძლია სხეულის უარყოფა.

დეკარტი, როგორც უდიდესი რაციონალისტი, აქ შეცდომას უშვებს. მისთვის ლოგიკურად შესაძლებელი იგივეა, რაც არსებული. რადგან მე შემიძლია თავი წარმოვიდგინო სხეულის გარეშე, ამიტომ მე ვარსებობ სხეულის გარეშე, ფიქრობს დეკარტი.

დეკარტის აზრით, მოაზროვნე საგანი არის ის, რომელიც ეჭვობს, უარყოფს, ამტკიცებს; ეს არის „მე“, მე ვარ დამოკიდებული იმ საგნებზე, რომლებიც ჩემთვის ჯერ უცნობია. აზროვნება თავის თავზეა დაფუძნებული.

დეკარტისთვის ყველაზე ცხადი და გარკვეული არის „მე“-ს არსებობა. ამიტომ ის დამტკიცებას არ საჭიროებს, „მე“ -ს არსებობის დებულება არის პირველი დებულება, აქსიომა, არქიმედის დასაყრდენი. ეს არის თავისთავად ცხადი დებულება, რომელიც სხვა დებულებებსაც ცხადყოფს, ე.ი. დაასაბუთებს. ცოდნის სისტემა სწორედ ამ გზით უნდა შეიქმნას.

„მე“-ში, ამბობს დეკარტი, მარავალი იდეაა. ამ იდეათა შორის არის ღმერთის იდეაც. ჩემში - აზროვნებაში არსებული იდეებიდან ზოგიერთი შექმნილია შეგრძნება-აღქმის საფუძველზე, ზოგიერთი კი შეუქმნელია ჩვენ მიერ, თანდაყოლილია. ამ თანდაყოლილ იდეებშიც არის ღმერთის იდეაც.

დეკარტი ღმერთის დასაბუთებას აწარმოებს ანსელმ კენტერბერიელის ონტოლოგიურ არგუმენტებზე დაყრდნობით. ანსელმის არგუმენტს იგი უერთებს კოსმოლოგიურ არგუმენტს.

ამ დასაბუთების შინაარსი ასეთია: არაფრისგან არაფერი არ წარმოიშობა, ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. მიზეზი ან უდრის, ან მეტია შედეგზე. რომ შედეგი მეტი იყოს მიზეზზე, მაშინ წამეტებული უმიზეზოდ, არაფრისგან იქნებოდა შექმნილი, ასეთ მიზეზს მასზე მეტი შედეგის შექმნა არ შეეძლებოდა. რეალობა მიზეზში ან მეტია, ან იმდენივე, რაც შედეგში, მეტად სრული ნაკლებად სრულისაგან არ წარმოდგება. ჩემში არსებობს ღმერთის იდეა, ეს არის ყოვლად სრულის იდეა. ამიტომ მე, როგორც ნაკლოვანი, არ გამოვდგები ყოვლად სრული იდეის მიზეზად. ეს ყოვლად სრულის იდეა უმიზეზოდ ვერ იარსებებს, ამიტომ აუცილებელია არსებობდეს ყოვლად სრული მიზეზი ყოვლად სრული იდეისა.

ადამიანი, აღნიშნავს დეკარტი, მოთავსებულია ღმერთისა და არარს შორის, სრულსა და არარაობას შორის, ადამიანი ნაკლოვანია. შეცდომა არის ნაკლი და არა რაღაც, რომელიც ჭეშმარიტებას გამორიცხავს. რადგან ადამიანი ნაკლოვანია, ამიტომ არის შესაძლებელი შეცდომა.

დეკარტმა შეიმუშავა გარკვეული მეთოდი, რომელიც, მისი აზრით, სინამდვილის შემეცნების სწორ გზას წარმოადგენს. არსებობს ოთხი წესი, რომლებიც დაცული უნდა იქნას მეცნიერული შემეცნების დროს. ეს წესებია: 1) ჭეშმარიტი არის ის, რაც ცხადი და გარკვეულია ჩვენი გონებისათვის. გონებისათვის გარკვეული ხდება რაიმე, თუ შესრულებულია დასაბუთება, სადაც არავითარ აჩქარებას არა აქვს ადგილი; 2) საკვლევი საგნის დანაწილება უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ; აუცილებელია ანალიზი, როგორც ერთ-ერთი გზა საგნის გამოკვლევისა: 3) საჭიროა დაწყება მარტივიდან და თანდათანობით გადასვლა რთულზე; ეს არის სინთეზის გზა; 4) საგანთა გამოკვლევისას, რომელიც მიზნად ისახავს ზოგადი კანონის აღმოჩენას, უნდა მოხდეს სრული ჩამოთვლა. რათა არაფერი იქნეს გამოტოვებული.

აქედან ჩანს, რომ დეკარტი არ უარყოფს ცდას, პირიქით, იგი აღიარებს ცდების წარმოების დიდ მნიშვნელობას. მაგრამ რაციონალისტი დეკარტისათვის ცდების მონაცემთა გაგებაში მთავარია სწორედ რაციონალისტური დედუქცია, რომელიც ძირითადი მეთოდია გონებითი (ინტელექტუალური) შემეცნებისათვის.

როგორც აღინიშნა, დეკარტისათვის „მე“-ს არსებობა უპირობო არსებობაა, მისი უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ არსებობს არა მხოლოდ „მე“, არსებობს აგრეთვე „სხვაც“. ჩემს გარდა არის ქვეყანა, რომელსაც მე, ერთი შეხედვით, შეგრძნებიბით ვუკავშირდები; მაგრამ ეს „სხვა“, რომელთანაც საქმე აქვს შეგრძნებებს, გაურკვეველია. ნამდვილად არსებობს ის, რასაც გონება შეგრძნებებით დანახულის ქვეშ მოიაზრებს; მაგალითად: ვიყურები ფანჯრიდან, ქუჩაში ვხედავ საგნებს წამოსასხამებში, მათ ქუდები ახურავთ; მე ვხედავ ქუდებს, ტანსაცმელს, მეტს ვერაფერს. მაგრამ აქედან ვასკვნი, რომ მათ ქვეშ არიან ადამიანები, ხალხი. ამას მე გონებით ვწვდები. მაშასადამე, ჩემს გარეთ არის სხეულები, რომლებიც განფენილი არიან. არსებობს აზროვნება და არსებობს მის გარეთ სხეულები, არსებობს სული და არსებობს მის გარეთ მატერია.

სული დამოუკიდებლად არსებობს, ის დამოუკიდებელია მატერიისაგან, რადგან აზროვნება მატერიისაგან დამოუკიდებლად მოიაზრება, როგორც ეს ზემოთ იყო ნათელყოფილი. მაშასადამე, სული არის სუბსტანცია. მატერიაც სუბსტანციაა, მის ცნებაში იგულისხმება განფენილობა და არა აზროვნება; მატერია არის არა სული, არამედ „სხვა“, ამიტომ ისიც სუბსტანციაა. ეს ორი სუბსტანცია თავიანთი ბუნებით ერთიმეორეს გამორიცხავს, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელია.

ორი სუბსტანციის აღიარება არის დუალიზმი. დეკარტი ტიპიური დუალისტია, სახელდობრ, სუბსტანციალური დუალისტი. სულს მეტაფიზიკა სწავლობს, მატერიას – ფიზიკა. დეკარტთან ჩვენ გვაქვს სულისა და მატერიის მეტაფიზისა და ფიზიკის დუალიზმი. სხეულები „სხვაა“ აზროვნებისათვის, მაგრამ მათი გაგების გზა მაინც აზროვნებაა. უსასრულო სუბსტანციის იდეა ჩადებულია ჩემში მისითვე და არა ჩემით. ღმერთი არის სუბსტანცია უსასრულო, მარადიული, ყოვლის მცოდნე და შემძლე. გამოდის, რომ დეკარტი სამ სუბსტანციას აღიარებს: სულს, მატერიასა და ღმერთს. სული და სხეული ღმერთზეა დამოკიდებული, ე.ი. ისინი დამოკიდებულ სუბსტანციებს წარმოადგენენ. ღმერთის ცნებით დეკარტი შეეცადა დაეძლია დუალიზმი. სასრულო, დამოკიდებულ სუბსტანციებს ერთი ძირი აქვს. კიდევ მეტი, დეკარტი იმასაც ამბობს, რომ ბუნება იგივე ღმერთია, ბუნების ამგვარი გაგება მომზადებაა სპინოზასი, რომელიც ღმერთს ბუნებაში გათქვეფს და მატერიალისტურ თვალსაზრისს ჩამოაყალიბებს. ღმერთი დეკარტთან ფილოსოფიური კატეგორიაა და არა თეოლოგიური.

დეკარტი ფიქრობს, რომ ღმერთი, როგორც უსასრულო საგანი, თავისებურად არის მოცემული ბუნებაში და „მე“-ში. ამით თითქმის მოხსნილია დუალიზმი, მაგრამ რადგან სული მატერიისაგან, როგორც განფენილი სიდიდისაგან, არსებითად განსხვავდება და, ამასთანავე, ღმერთი სულია, აზრია, ამიტომ დეკარტთან, საბოლოოდ მაინც ორი სუბსტანცია რჩება, დეკარტი, როგორც ითქვა, ტიპიური დუალისტია, სახელდობრ, სუბსტანციალური დუალისტი.

თუ ღმერთი ბუნების წესი და რიგია და ეს წესრიგი მის მიერ „მე“-შია ჩადებული, მაშინ ჩვენ სულში თანდაყოლილი იდეები ბუნების ცოდნას წარმოადგენს. ჩვენსა და სინამდვილეს შორის შემეცნებითი კავშირი შეგრძნებების, ცდის გზით კი არ ხორციელდება, არამედ ღმერთის გზით. შემმეცნებელსა და შესამეცნებელს ერთი ძირი აქვს, ეს არის ღმერთი, რომელიც სინამდვილეს იდეების სახით ათავსებს ჩვენს სულში; ჩვენი შემეცნება არის ამ იდეების გაგება (ეს პლატონის „ანამნეზისის“ თეორიის თავისებური განმეორებაა).

დეკარტი, როგორც მეტაფიზიკოსი, იდეალისტია, როგორც ფიზიკოსი კი – მატერიალისტი. დეკარტი იყო უდიდესი მეცნიერი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი. დეკარტი იყო ახალი მეცნიერების – ანალიზური გეომეტრიის შემქმნელი. მანამდე ერთიმეორეს მოწყვეტილი იყო არითმეტიკა და გეომეტრია. დეკარტმა შემოიტანა ცვლადი სიდიდის ცნება მათემატიკაში და ამით რევოლუცია მოახდინა ამ მეცნიერებაში, რადგან ცვლადი სიდიდის შეტანით მასში მოძრაობა შეიტანა; ეს იყო მომზადება დიფერენციალური აღრიცხვისა. ცვლადის ცნებამ გამოავლინა მათემატიკის დიალექტიკური ბუნება. დეკარტის სახელთან არის დაკავშირებული თანამედროვე უმაღლესი მათემატიკის დასაწყისი (დეკარტი, როგორც მათემატიკოსი, განიხილება მათემატიკის ისტორიაში).

დეკარტმა დიდი აღმოჩენა გააკეთა მექანიკაში, ოპტიკაში და სხვ. მან აღმოაჩინა სინათლის გარდატეხის კანონი (მუდმივი დამოკიდებულება სხივის დაცემის კუთხის სინუსისა მისი გადატეხის კუთხის სინუსთან), მას ეკუთვნის მოძრაობის შენახვისა და ინერციის კანონების დახასიათება. მან დაადგინა, რომ მოძრაობის ზომა უდრის მასის ნამრავლს სიჩქარესთან და სხვა მრავალი (დეკარტი, როგორც ფიზიკოსი განიხილება ფიზიკის ისტორიაში).

დეკარტის ფილოსოფიურმა სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მოაზროვნეებზე, ფილოსოფოსებზე და მეცნიერებზე; საქმე ის არის, რომ ეს ფილოსოფიური სისტემა ახალ ორიგინალურ მოძღვრებას წარმოადგენდა, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა მსოფლმხედველობის უდავო მეცნიერულ პრინციპებზე აგებისა. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის ცნება საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მის სისტემაში, დეკარტმა შუა საუკუნეების აზროვნების საწინააღმდეგოდ აზროვნების სუვერენობის პრინციპი წამოაყენა, რომელიც ამ გაუბედავი ფილოსოფოსის გაბედული სიტყვა იყო.

დეკარტის ფილოსოფია სწრაფად ვრცელდება ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიასა და ნაწილობრივ გერმანიაშიც.

როგორც კათოლიკური, ისე პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლები დეკარტის ფილოსოფიის პრინციპების წინააღმდეგ გამოდიან. დეკარტს აბრალებენ ქრისტიანული მოძღვრების დამახინჯებას, ზოგიერთი კი მას ათეიზმში სდებს ბრალს. დეკარტის ფილოსოფიის პროპაგანდა აკრძალულია პარიზში. პაპის განკარგულებით მისი წიგნები შეტანილია აკრძალულ წიგნთა ინდექსში.

გოლინქსს აინტერესებს საკითხი, რომელიც დეკარტმა ვერ გადაწყვიტა: ესაა საკითხი სულისა და სხეულის დამოკიდებულების შესახებ. მთავარი დებულება, რომელსაც გოილინქსი წამოაყენებს,

მდგომარეობს შემდგომში: სულიერი სუბსტანციიდან მხოლოდ იმის ახსნა შეიძლება, რასაც ის ქმნის ნათელი და გარკვეული ცნობიერებით, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რაც ნათლად და გარკვეულად მის მიერ არ არის ცნობიერად შექმნილი, გამოწვეულია მისგან განსხვავებული სუბსტანციით. ხომ არ არის ეს განსხვავებული სუბსტანცია მატერიალური? გოლინქსი არ ღალატობს აქ დეკარტს: მატერიალური სრულიად მოწყვეტილია სულისაგან და მასზე ვერ იმოქმედებს. ეს განსხვავებული სუბსტანცია არის ღმერთი. ღმერთი იწვევს ადამიანში როგორც სულიერ, ისე სხეულებრივ (მატერიალურ) მოვლენებს. ადამიანს ეჩვენება თითქოს მატერიალური მოვლენა იწვევს ადამიანში სულიერს – იდეებს, წარმოდგენებს, შეგრძნებებს, ხოლო სულიერი, მაგალითად ნებისყოფა – სხეულის მოქმედებას. ნამდვილად კი მდგომარეობა ასეთია: რომელიმე მატერიალური მოვლენის საფუძველზე ღმერთი იწვევს ადამიანში შესაბამის სულიერ მოვლენას და პირიქით, რაიმე სულიერი მოვლენის საფუძველზე ღმერთი იწვევს ადამიანის სხეულში შესაბამის მოქმედებას, ე.ი. მატერიალური კი არ არის უშუალო გამომწვევი მიზეზი სულიერი მოვლენისა, ის კი არ არის მოქმედი მიზეზი, არამედ იგი არის მხოლოდ საბაბი, რომელიც მოვლენას გამოიწვევს. მატერიალური, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ საბაბია, რათა ღმერთმა გამოიწვიოს შესაბამისი სულიერი.

ლიტერატურა:

1. ფილოსოფიის ისტორია, შრომათა კრებული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოცემა, 1961 წ.
2. კოტე ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, II ტომი, 1969;
3. www.wikipedia.org

ქართული სამართლის ჰუმანურობის ისტორიიდან

თამარ ხარაიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე**, სრული პროფესორი

ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი აკადემიკოსი ისიდორე დოლიძე 1963 წელს წერდა: „ქართული სამართლის წიგნებისა და, კერძოდ, ვახტანგ VI-ს კანონების შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სამართლისათვის უცხოა ბრალდებულის წამებით გამოტეხის ის საშინელი ხერხები და აგრეთვე მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის შემზარავი სახეები, რომლებიც დაკანონებული იყო შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სამართლის ძეგლებით. ამ მხრივ ქართული სამართალი გაცილებით უფრო ჰუმანურია, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების იმდროინდელი სჯულმდებლობა. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართალში რუდიმენტული სახით შემორჩენილია დრომოჭმული სამართლის ორდალების ფორმებიც.”

ასეთ ან მსგავს მოსაზრებას არც თუ იშვიათად წავაწყდებით სამეცნიერო ლიტერატურაში.

სახელმწიფო სამართლის გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფას სახელმწიფოებრივი ზემოქმედება სჭირდება. ამ ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი სახეა სასჯელი, სახელმწიფოსმიერი რეაქცია სისხლის სამართლის კანონის დარღვევისათვის, მაგრამ სასჯელი საზოგადოებაზე სახელმწიფოს ზემოქმედემის განსაკუთრებული, უკიდურესი სახეობაა. საზოგადოებაზე სახელმწიფოს ზემოქმედების უფრო ნორმალური ფორმაა საზოგადოების წევრთა მორალური, იდეოლოგიური და სამართლებრივი აღზრდა, სახელმწიფოსათვის სასურველი ქცევის წესების მორალურად და მატერიალურად წახალისება. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების წევრების იდეოლოგიური და სამართლებრივი აღზრდა ეფექტურად წარმოებს და სათანადო ნაყოფსაც იძლევა, სახელმწიფოს არ სჭირდება მასობრივი რეპრესიებისა და სასტიკი სასჯელების ხშირი გამოყენება; სასჯელი მაშინაცაა ეფექტური, როდესაც ხალხის მართლშეგნებას სამართლიანობის ბეჭედი აზის. ქართული მართლშეგნებისათვის დამახასიათებელია თქმა: „სიმართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო”. უსამართლოდ მკაცრი სასჯელები ხალხის შეგნებისათვის გარეგანი ძალაა, უცხოა, ის მისთვის მიუღებელია. მართლშეგნება მართავს ადამიანის შინაგან სამყაროს. მართლშეგნება აღიარებს

მოვალეობას, როგორც ზნეობის, მორალის მიმართ, ასევე ხალხის გონივრული ტრადიციების მიმართ. თუ სასტიკი სასჯელების სამართლიანობა ხალხის მართლშეგნებამ არ გაიზიარა, სახელმწიფო სასტიკი სასჯელებით მიზანს ვერ მიაღწევს.

როდესაც ქართული სამართლის ჰუმანურობაზე ლაპარაკობენ, უმრავლესად მხედველობაში აქვთ გარკვეული ეპოქა.

მართლაც, IX-X საუკუნეებიდან, ქართული კულტურის აღმავლობის ამ შესანიშნავი ხანიდან, შეიმჩნევა სასჯელთა სისტემის ის შედარებითი ჰუმანიზაცია, რომელიც ვლინდება XI-XII საუკუნეებში და ნაწილობრივ XIII საუკუნეშიც, ვიდრე მონღოლთა შემოსევამ არ შეაფერხა ქართული კულტურის განვითარება.

სამართლის ისტორიკოსთა მნიშვნელოვან ნაწილში დავას არ იწვევს ის დებულება, რომ რაც უფრო დესპოტურია სახელმწიფო და რაც უფრო დაქვეითებულია საზოგადოება ზნეობრივად და კულტურულად, სასჯელებიც მით უფრო მხეცური და ულმობელი ხასიათისაა.

რაც უფრო დაშორებულია ხალხს მმართველი ფენა, მით უფრო სასტიკი სასჯელების მეშვეობით ცდილობს ის ხალხის დაშინებასა და მის დამორჩილებას. დესპოტებსა და ტირანებს მხოლოდ საზარელი, მეტისმეტად მკაცრი სასჯელების, მოწინააღმდეგე ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურად მოსპობის საშუალებით შეუძლიათ ძალაუფლების შენარჩუნება. ფეოდალურ ტირანულ სახელმწიფოში სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. სიკვდილით დასჯა, როგორც წესი, ფეოდალური ხანის სახელმწიფოთა მნიშვნელოვან ნაწილში ნორმალურ, ჩვეულებრივ სასჯელად ითვლებოდა.

ფეოდალურ დასავლეთ ევროპაშიც კი დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე XVII-XVIII საუკუნემდე, სიკვდილით დასჯა და სხეულებრივი სასჯელები ასეული წლების განმავლობაში წარმოადგენდა ისეთ სასჯელთა სისტემას, რომელსაც მეთოდურად ეყრდნობოდა სისხლის სამართალი.

მეფის, შეუზღუდველი მონარქის კულტი ძველ აღმოსავლეთში წარმოიშვა, სადაც გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო ისეთ ფენომენად იქცა, რომელიც ბატონობდა საზოგადოებაზეც და თან დადებით როლსაც ასრულებდა საირიგაციო ნაგებობათა მოვლა-პატრონობის და ორგანიზაციის მხრივ.

ძველ აღმოსავლეთშივე წარმოიშვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის სასტიკი ცენტრალიზმი. მეფე, სახელმწიფოს მეთაური, იყო აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოთა უპირველესი ორგანიზატორი, ღმერთის მატერიალიზაცია სააქაოში. ძველ ეგვიპტეში ადამიანებს გული უწუხდათ იმ ფიქრით გამოწვეული მღელვარებისაგან, რომ მათ ფარაონთან შეხვედრის ან საუბრის შესაძლებლობა ექნებოდათ. ერთი კარისკაცი კი, რომელსაც მეფის ახლო ნახვის შესაძლებლობა მიეცა, სიხარულისაგან გარდაიცვალა.

შუა საუკუნეების ევროპაში მეფის ასეთ გაღმერთებას ვერ ვხვდებით.

გვიანფეოდალურ რუსეთში სხვადასხვა მიზეზის გამო სახელმწიფო ისე გაძლიერდა, რომ იგი საზოგადოებაზე აშკარად გაბატონებულ ძალად იქცა. აბსოლუტურმა მონარქიამ რუსეთში ისეთი ძლიერი დამსჯელი ხელისუფლება შექმნა, რომ შიშის ზარსა სცემდა ხალხს. შეიქმნა სახელმწიფოს კულტი, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფოს მეთაურის, მონარქის კულტის წარმოშობაც, მონარქის კულტის წარმოშობაში იმ გარემოებამაც ითამაშა როლი, რომ რუსეთის მეფეები მსხვილ ბოიარებს ებრძოდნენ და ამით ხალხის, განსაკუთრებით კი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის გულს იგებდნენ. გლეხობას მსხვილი ბოიარების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები სამართლიანად მიაჩნდა. მეფის კულტის შექმნაში დიდ როლს თამაშობდა მაშინდელი იდეოლოგია, რომელიც მოსახლეობის არაეკონომიკური იძულების სისტემაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა: სახელმწიფო იყო ყველაფერი, პიროვნება - თითქმის არაფერი. ახასიათებდა რა რუსულ აბსოლუტიზმს, ა. გენცენი 1859 წელს აღნიშნავდა: პეტრე პირველი ეპოქის ყველაზე სრულყოფილი ტიპია ანუ ცხოვრების დაბალი გენიოსი-ჯალათია, რომლისთვისაც სახელმწიფო ყველაფერი იყო, ხოლო ადამიანი არაფერი; სწორედ პეტრემ დაიწყო ჩვენი ისტორიის კატორღული სამუშაო, რომელიც საუკუნენახევარი გრძელდებოდა და კოლოსალურ შედეგებსაც მიაღწია.

„კოლოსალური შედეგები" კი მიღწეულ იქნა მძიმე მსხვერპლის ფასად, ტოტალური სასჯელების გამოყენების მეშვეობით. სახელმწიფოს კულტის დამკვიდრებას რუსეთში XV-XVI საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი და ეს ისტორიული ტრადიცია დიდხანს განაგრძობდა არსებობას.

ახლა ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში.

საქართველოში თვით გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის ხანაშიც არ ყოფილა სახელმწიფო ისე ძლიერი, როგორც ეს აბსოლუტიზმის დროს იყო დასავლეთ ევროპაში და მით უფრო რუსეთში. XII საუკუნეშიც კი, როცა საქართველოს ძლიერებამ ზენიტს მიაღწია, ქართველი მეფის ძლიერება არ იყო მანამდე არსებულ ყველა ძალაუფლებასთან შედარებით ძლიერი და ღონიერი. ამიტომ

საქართველოში სახელმწიფოს ფაქტობრივად არ შეეძლო საზოგადოებაზე გაბატონება. როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური სიძლიერით ქართული ფეოდალური მონარქია ვერ შეედრებოდა აბსოლუტური მონარქიის დონეზე აღზევებულ სახელმწიფოს, რომელიც უფრო მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისს ეყრდნობოდა და „მესამე წოდებას" და ფეოდალებს შორის წინააღმდეგობას მოხერხებულად იყენებდა სახელმწიფო ხელისუფლების სასარგებლოდ.

გარდა ამისა, ქართულ ფეოდალურ მონარქიას XII საუკუნეში სხვა უფრო რთული ამოცანები ჰქონდა გადასაჭრელი, ვიდრე ევროპულ მონარქებს XVII-XVIII საუკუნეებში.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში ქართული სახელმწიფოს დამსჯელი ხელისუფლება, სასჯელთა ქართული სისტემა ვერ იქნებოდა ისე მკაცრი, როგორც აბსოლუტური მონარქიებისათვის იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა, სერიოზული მნიშვნელობის ფაქტორი უნდა ყოფილიყო ქართული კულტურის ჰუმანური ტრადიციები, სახელმწიფოს მეთაურთა ანუ მეფეთა, აგრეთვე დიდებულთა სუბიექტური თვისებები და მონაცემები, კულტურული ბიზანტიის დიდი გავლენა.

სიკვდილით დასჯა და სხეულებრივი სასჯელების ხშირი გამოყენება რუსეთში მისივე ისტორიის, რუსული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი და გარკვეულწილად აუცილებელი პროდუქციაა.

სიკვდილით დასჯას ხშირად მიმართავდნენ აგრეთვე შუა საუკუნეების ინგლისში. ინგლისი და რუსეთი შესაბამისად ითვლებოდნენ სიკვდილით დასჯისა და სხეულებრივი სასჯელების კლასიკურ ქვეყნებად.

ფაქტია, რომ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არცერთ ზემოხსენებულ უკიდურესობას ადგილი არ ჰქონია. იმ დროსაც კი, როდესაც საქართველოში მწვავე კლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობდა, მკაცრ სასჯელებს იყენებდნენ, მაგრამ შედარებით შეზღუდულ ფარგლებში. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, მართლმსაჯულებასა და კანონმდებლობაში ჰუმანურობის, გონივრული ლმობიერების მომხრენი იყვნენ. ეფრემ მცირეს აზრით, არ არის მოსაწონი შურისძიებით ნაკარნახევი სასჯელი. ეს უკანასკნელი მართლმსაჯულებასა და სამართლიანობის განხორციელების საქმეს უნდა ემსახურებოდეს. ავტორის თქმით, სასჯელის მიზანია „მართლმსაჯულებითი მოხდა პატივისა."

მართალია, ძლიერი ქართველი მეფეები ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი და გიორგი III საჭიროების შემთხვევაში მკაცრ სასჯელებსაც მიმართავდნენ ხოლმე, მაგრამ მათ არასოდეს მიუღიათ ისეთი მასობრივი ხასიათი, როგორც ეს XVII საუკუნის რუსეთში ხდებოდა.

ცნობილია, გიორგი მთაწმინდელის მიერ ბაგრატ IV-ის დამოძღვრა: „უმეტეს ყოვლისა წყალობა შეიტკბოს. რამეთუ წყალობა და სამართალი უყვარს უფალსაო."

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე დავით აღმაშენებლის შესახებ წერს, რომ იგი „ერთგულთა შემწყნარებელი იყო და შეცოდებულთა სამართლიანად მწურთელიო".

დავითის ისტორიკოსის სიტყვით მეფეს ახასიათებდა დამნაშავეთა გამოსწორებაზე ზრუნვა. მეფემ განდგომილი ლიპარიტ ამირა დააპატიმრა: „პყრობილ ყო ჟამ რაოდენმე, რომელიც კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვინმე". რამდენადაც მოღალატე ფეოდალის გამოსწორებას საშველი არ დაადგა, მან იგი საქართველოდან გააძევა.

ცხადია, მეფეს მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით რომ ეხელმძღვანელა და მხედველობაში არ მიეღო ჰუმანურობის, გონივრული ლმობიერების პრინციპები, გამოუსწორებელ მოღალატე ამირას იგი სიკვდილით დასჯიდა. მაგრამ დამნაშავეთა წვრთნა-გამოსწორების იდეამ, სახელმწიფო უშიშროების და სახელმწიფო აუცილებლობის იდეას სძლია.

საერთოდ, შედარებით ძლიერი სამეფოს მეთაურებიც კი საქართველოში იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ სიკვდილით დასჯას. ამ მხრივ მკაცრი მეფის გიორგი III-ის მეფობის ხანაც არ იყო გამონაკლისი. მართალია, რამოდენიმე მოღალატე მან სიკვდილით დასაჯა, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო და აქ გარკვეულ გამონაკლისთან გვაქვს საქმე.

ისტორიკოსის თქმით, თამარ მეფე თავისი ზეობის წლებში არა თუ სიკვდილით სჯიდა დამნაშავეებს, არამედ „არც თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კარგადო". თამარ მეფე ისეთი ბრძენი და ამაღლებული ჭკუის პატრონი იყო, რომ თავისი „განგების" მანძილზე მისი განკარგულებით არავინ დაუსჯიათ ღირსების შეურაცმყოფელი იმგვარი სასჯელით, როგორიც მათრახით ცემაა. მისთვის უცხო იყო აგრეთვე სასჯელები: დაბრმავება და დასახიჩრება. ისტორიკოსი აქებს და იწონებს მეფის ასეთ საქციელს.

ის გარემოება, რომ თამარ მეფე სიკვდილით დასჯისა და ასოთდამაზიანებელი, დამასახიჩრებელი სასჯელების მოწინააღმდეგე იყო, შუა საუკუნეების ისტორიაში მას საპატიო ადგილს უმკვიდრებს.

ქართველი ისტორიკოსები, რომელთა თხზულებებიც შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში'' შევიდა, ერთხმად ადასტურებენ, რომ სასჯელთა სისტემის ჰუმანურობამ საქართველოში დადებითი შედეგები მოიტანა.

თამარის ისტორიკოსების ცნობების შეჯერებით ირკვევა, რომ თამარის მეფობის ხანაში ყველაზე მძიმე დამნაშავეები, პოლიტიკური დამნაშავეებიც კი, არ დაუსჯიათ სიკვდილით.

ძველი ქართული წესის თანახმად, სიკვდილით დასჯა ან ასოთდამაზიანებელ-დამასახიჩრებელ სასჯელის გამოყენება დამნაშავის მიმართ მეფის სათანადო ნებართვის გარეშე არ შეიძლებოდა. თამარის მეფობის დროს კი არავინ დაუსჯიათ სიკვდილით. გარდა ამისა, მეფე ქალს სათანადო დამსჯელი ორგანოებისათვის არასოდეს მიუცია ასოთდამზიანებელი, დამასახიჩრებელი სასჯელების გამოყენების ნება.

ისტორიკოსის თქმით სასჯელთა შემსუბუქებას დადებითი შედეგები მოუტანია ქვეყნისათვის. თამარის მეფობის დროს „ქარავანს ვერავინ ძარცვავდა ამერი და იმერი, ძველი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა; მპარავი, ავის-მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქვეშე დადვის. ოსმან, მთიულმან და ყიფჩაყმან და სუნმან ვერ იკადრიან პარვა".

როცა ლიპარიტ ერისთავის შთამომავალმა ხუნმა ძმამ ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა გამოასალმა წუთისოფელს, თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ მკვლელებს სასტიკად დასჯიდნენ, მაგრამ მკვლელები ჯერ ციხეში ჩაამწყვდიეს, ხოლო შემდეგ მაკედონიაში გააძევეს.

როგორც ჩანს, თამარ მეფის დასჯითი პოლიტიკა ხალხის მხარდაჭერას პოულობდა. ხალხმა თამარის ჰუმანიზმი იმით დააფასა, რომ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მას უკვდავი ძეგლი აუგო. არცერთ ქართველ მეფეს არ ღირსებია ხალხის იმდენი პატივისცემა, როგორიც თამარს ერგო.

ერთობლიობაში ქართული სამართალი მართლაც ჰუმანური იყო. მას არასოდეს უღალატია ამ პრინციპისათვის იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც იძლეოდა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება. იმის მიუხედავად, რომ ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის სავსებით უცხო არ იყო ბრალდებულის წამებით გამოტეხის ხერხები და მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის საშინელი სახეები, საქართველოს ისტორიის დიდ მონაკვეთზე მაინც შედარებითი ღონისძიება იგრძნობოდა.

შეიძლება ითქვას, რომ სასჯელთა ჰუმანურობა განაპირობა საქართველოს იმ სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ, რომელიც მან თავისი არსებობის ხსენებულ პერიოდში გაიარა.

ლიტერატურა:

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბ., 1963;
2. ძველი საქართველო, ტომი III, თბ., 1913-1914 წწ.;
3. ქართლის ცხოვრება, ტომი II, თბ., 1959;
4. ქართლის ცხოვრება, თბ., 1942.

თანამედროვე ყვითელი პრესა და გრამატიკული ხარვეზები

თამარ ხარაიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მარიკა შერაზადიშვილი,** სრული პროფესორი

ტერმინი „ყვითელი პრესა" გაჩნდა აშშ-ში, როდესაც საგაზეთო ბიზნესის ყველაზე მსხვილი მონოპოლისტები-პულიტცერი და ჰერსტი ბაზრისთვის იბრძოდნენ. ეს სიტყვათშეხამება ,,ყვითელი ბიჭუნას" შესახებ კომიქსიდან მომდინარეობს, რომლის ირგვლივ სასამართლო პროცესი გაიმართა ამ ორ კომპანიას შორის. 1896 წელს მესამე გაზეთის რედაქტორმა თავის ორ კონკურენტ გამოცემას ,,ყვითელი" უწოდა. ამგვარად, ,,ყვითელი პრესა" პირველად იმ პერიოდიკას ეწოდა, რომელიც ბეჭდავდა კომიქსს

კონკრეტული გმირის შესახებ. მოგვიანებით მან სხვა, უფრო ღრმა მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც დღესაც არ დაუკარგავს.

,,ყვითელი პრესის" ყველაზე დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნები:

1. ამ ფენომენის ერთ-ერთი მახასიათებელია ტაბუდადებული თემატიკის გაშუქება, რომელიც ადამიანის ყოფის ნებისმიერი სფეროს ხელუხლებლობაზე უარის თქმას გულისხმობს. ,,ყვითელი პრესა" განსაკუთრებით დიდ ინტერესს სამი ტიპის ტაბუდადებული ინფორმაციისადმი იჩენს. პირველ რიგში, ეს ინტიმური ურთიერთობებისადმი ინტერესია. ინტიმური ურთიერთობების თემის გაშუქებასთან მიმართებაში ,,ყვითელი პრესა" იგნორირებას უკეთებს კულტურის მთავარ პოსტულატს, ანუ იმ ფაქტს, რომ ტაბუს დარღვევისთვის საფუძვლიანი მიზეზების ქონაა აუცილებელი. მეორე მხრივ, ,,ყვითელი პრესა" გადამეტებულ ინტერესს იმ ადამიანების პირადი ცხოვრების მიმართ იჩენს, რომლებიც საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ხარისხიანი პრესა პირად ცხოვრებაში შეღწევის სიღრმეს ეთიკური საზღვრებით ზღუდავს, ,,ყვითელი პრესა" ამ საზღვრებს თავისუფლად არღვევს. ასეთ შემთხვევაში ხშირია კონფლიქტი პუბლიკის ინფორმაციის უფლებასა და ადამიანის პირად ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე უფლებას შორის. მესამე მხრივ, ,,ყვითელ პრესაში" ხშირია არაჯანსაღი ინტერესი სიკვდილის თემის მიმართ: მოცემულ თემაზე ბევრ სენსაციურ ინფორმაციას ,,ყვითელ" გამოცემებს კრიმინალური სფერო აძლევს. მსგავს მასალებში აშკარად შეიმჩნევა არა მომხდარის მიზეზებში გარკვევის მცდელობა, არამედ მკითხველის შეშინების ტენდენცია.''ყვითელი პრესა''შეუხამებლის შეხამების მეთოდს იყენებს. ერთ ნომერში, ერთ გაშლაზე შეიძლება იუმორისტული და კრიმინალური მასალები ეხამებოდეს ერთმანეთს და მეტიც, ერთ მასალაში-ტრაგიკული და კომიკური ნიშნები.

2. სენსაციურობა ,,ყვითელი პრესის" არანაკლებ მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ის ვლინდება იმის წინასწარ განსაზღვრაში, თუ რამდენად სკანდალურია ესა თუ ის მოვლენა, რომელიც შემდგომში დაარღვევს მკითხველის ემოციურ წონასწორობას როგორც დადებითის,ისე უარყოფითის მხრივ. ნამდვილი სენსაციებისა და სკანდალების ძიება პრესის ნებისმიერი ტიპის განუყოფელი ამოცანაა. სენსაციებს უფრო ხშირად იყენებენ და, როგორც წესი, მხოლოდ ყურადღების მოხვეჭის მიზნით. ,,ყვითელი" გამოცემები თითქმის არასოდეს მოუწოდებენ მკითხველს თანაგააზრებისკენ, მაგრამ ყოველთვის - თანაგანცდისკენ. თუმცა,''ყვითელი პრესის'' სენსაციურობა ხშირად სიცრუეა.

3. ''ყვითელი პრესის'' შემდეგი ტიპოლოგიური თვისებაა თემატური ეკლექტიზმი. ''ყვითელი'' გაზეთებისგან განსხვავებით, ხარისხიან გაზეთებში ნარჩუნდება თემის იერარქია, რომელიც ინფორმაციული ფასეულობის თვალსაზრისით მათი გაშუქების მიმდევრობას განსაზღვრავს. არ დაიშვება პირველ ხაზზე წმინდად გასართობი ინფორმაციის გამოტანა. ''ყვითელ პრესაში'' კი თემები მკითხველის ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობის მიხედვითაა გადანაწილებული. არ არსებობს არცერთი კონკრეტული სფერო, რომლის გაშუქებასაც ''ყვითელი პრესა'' რეგულარულად მიმართავს. მას სხვადასხვა დონის მოვლენების ყველაზე ფართო სპექტრი აინტერესებს, ოღონდ ერთი პირობით- ინფორმაციის არასტანდარტულობით. გამოყოფენ ''ყვითელ პრესაში'' ეკლექტიზმის გამოვლინების ორ ხერხს:

ნიველირება. ის მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი მოვლენების გათანაბრებისკენ სწრაფვას გულისხმობს. მოვლენებს გარკვეული სოციალური სტრუქტურის მიხედვით არჩევენ. ფაქტობრივად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები თვითონვე განსაზღვრავენ ამა თუ იმ ფაქტის „მნიშვნელოვნებას".

გადამეტება. თემატური ეკლექტურობის ამ გამოვლინების საშუალებაში უფრო მძაფრად გამოიხატება სერიოზული და უფრო გასართობი ხასიათის მასალების დაპირისპირება. ამის გამო იქმნება განსაკუთრებული მდგომარეობა, როცა დაბალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციებს ავიწროებს და ისინი მეორე ან მესამე ადგილზე გადააქვს.

4. ,,ყვითელი პრესის" სისტემის ერთ-ერთი „ბირთვული" ელემენტი ვიზუალური შემადგენლობაა. ვიზუალიზაცია მსოფლიოს ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალების საერთო ტენდენციაა . ''ყვითელ პრესაში'' ხშირია ''კაშკაშა'' გასაფორმებელი ელემენტების ექსპანსია : ფერის, ილუსტრაციის, სათაურების. სწორედ რომ ''ყვითელი'' გამოცემები იყვნენ პირველები, ვინც ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად ამგვარ ასპექტებთან ექსპერიმენტირება დაიწყეს და პირველ რიგში ფერთან, რომელიც ორ ფუნქციას ასრულებს: ერთი მხრივ, კონკრეტული მასალის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელიც ნომრის გასაყიდადაა დათვლილი, მეორე მხრივ, ვიზუალურად გამოყოფს გაზეთს მის მსგავსებს შორის. რაც შეეხება ილუსტრაციებს, ,,ყვითელ" გამოცემებში მათ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, რადგან მათ გარეშე ასევე შეუძლებელია მთავარი ამოცანის შესრულება-აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა.''ყვითელი'' გაზეთის უმრავლესობისთვის მასალების "კომიქსური'' მიწოდება უკვე ჩვეული

გახდა. ის სამი ელემენტის გაერთიანებაში ვლინდება: ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა და გასართობი ხასიათი.

თანამედროვე ,,ყვითელ პრესაში“ დაშვებულია უამრავი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. გთავაზობთ ჩვენ მიერ ქართულ ,,ყვითელ პრესაში“ დაფიქსირებული გრამატიკული შეცდომების მაგალითებს.

მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები :
ადამიანები უმნიშვნელო რაღაცეებზე კამათობენ (გზა №31);
ასე ვამბობდით : ლამაზია ეს პატარა თბილისი-თქო (გზა №14);
ორ ადამიანის ურთიერთობა გაურკვეველია (სარკე № 20);
წარმომადგენლობით პალატის სენატორმა განაცხადა (presa.ge 14/I-2011);
დეტალური ინფორმაციას აწვდიან (presa.ge 17/ I-2011);
ებრაელები ბიზნესმენები 2010 წლის ოქტომბერში დააკავეს (presa.ge 17/I-2011);
ეს საკითხი ძირითადი თემად იქცა (თბილისელები № 19);
დასკვნა უნდა გაკეთდეს რომელიმე ერთი მოსაზრებების საფუძველზე (presa.ge);
შენს მიერ დაწერილი წერილი (თბილისელები №38);
ეს კარადა წიგნებითაა სავსეა (სარკე №19);
ბევრი მათთაგანი დაფიქრდა (გზა №17).

სტილისტური ხარვეზები :
ამით ბევრის გაღიზიანებას ვიწვევდი (გზა №14);
ეს ამბავი ძალიან ნორმალურია (თბილიბელები №37);
აქტიურად დაიწყო ჩართვა პროცესებში (სარკე № 32);
ეს გოგო ძალიან მშვენიერია (თბილისელები №29);
დანაშაულის ჩადენა ერთობლივად განახორციელეს (presa.ge);
დიდად ძნელი მოსაგვარებელი საქმეა (presa.ge).

სინტაქსური ხარვეზები :
რძალ-დედამთილი არიან დაკავებული (presa.ge 15/I-2011);
მაშინ დააკავეს, რაც მდინარე ფსოუში ფონი გადალახეს (presa.ge 17/I-2011);
მადლობა ყველა მას,რომელთაც არ დაიზარეს (presa.ge).

ასევე ხშირია პრესაში **ჟარგონების** გამოყენება :
აზრზე ხარ რას ვაკეთებდი? (გზა №34);
მაგარი ''ბანძი'' ტიპია (თბილისელები №12);
'' პიარს'' უწევდა (სარკე №14);
ძალიან მაგარი ''პრიკოლი'' იყო (გზა №25);
დიდი ''ახმახი'' ვინმეა (სარკე № 27);
მაგარი ''party''იყო (თბილისელები №24);
უმუშევართა ''ბირჟა'' (სარკე №13);
ეს იყო მთავარი ''მესიჯი'' (presa.ge);
მარშუტკით გაემგზავრა (გზა № 12);
მაგრად ''ბლატაობდა'' (თბილისელები № 16);
ღადაობდა (სარკე № 20);
დიდი ხანი ვგულაობდით (გზა № 16);
ძვირფასი ბრასლეტი ეკეთა (presa.ge) .

სამწუხაროა ასეთი გრამატიკული შეცდომების არსებობა თანამედროვე ყვითელ პრესაში. ამის მიზეზი კი უმთავრესად ის არის, რომ ''ყვითელი პრესის'' მიზანია მოიზიდოს მკითხველი გასართობი სტატიებით, გაასაღოს საკუთარი ნაშრომი და არა ის, რომ იზრუნოს ადამიანების კულტურულ დონეზე. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მკითხველთა უმრავლესობაზე, რადგან ისინი სიტყვებსა თუ წინადადებებს იმახსოვრებენ იმ ფორმით, რომლითაც ''ყვითელ პრესაშია'' მოცემული.

ვფიქრობთ, ეს მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, მკითხველის მიზიდვასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს სალიტერატურო ქართულის ნორმებს, რადგან, როგორც კონსტანტინე გამსახურდია

ამბობდა: ''ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო მოვალეობაა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი.“

ლიტერატურა:
ჟურნალი ,,გზა“ - #12, 14, 16, 17, 25, 31, 34 ;
ჟურნალი ,,თბილისელები“ - #12, 16, 19, 24, 29, 37, 38 ;
ჟურნალი ,,სარკე“ - #13, 14, 16, 19, 20, 27, 32;
www. Presa.ge – 14-17 იანვარი, 2011.

სულის უკვდავების პრობლემა პლატონის ნაშრომის „ფედონის“ მიხედვით

მირანდა ხმალაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კლარა ელჩიბეგაშვილი,** სრული პროფესორი

ობიექტური იდეალიზმის მამამთავარი – პლატონი ბერძნული მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგია. ,,პლატონის ხაზი“ ფილოსოფიაში უპირისპირდება ,,დემოკრატეს ხაზს.“ იდეალიზმისა და მატერიალიზმის ამ ორი ხაზის ბრძოლა არის გამოხატულება კლასთა ბრძოლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძველ საბერძნეთში. ფილოსოფიის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ხაზის ბრძოლის ისტორია.

პლატონის ნამდვილი სახელი იყო არისტოკლე, გადმოგვცემენ, რომ მას პლატონი დაარქვა ტანვარჯიშის მასწავლებელმა ფართო შუბლის გამო. პლატონის მამა - არისტონი იყო კოდრიტთა გვარიდან, დედა - პერიქტიონი კი სოლონის სახლიდან. მისი ბიძა კრიტიასი ტირანი იყო. პლატონი ეკუთვნოდა მონათმფლობელური არისტოკრატიის მაღალ ფენას. იგი დაიბადა პელოპონესის ომის პირველ წლებში. მას სურდა, რომ გამოსულიყო სახელმწიფო მოღვაწე. მამამ 20 წლის პლატონი მიიყვანა სოკრატესთან, რომელთანაც 8 წელი დაყო. იგი სწავლობდა ჰერაკლიტეს მოძღვრებას კრატილთან. კარგად იცოდა პარმენიდეს, პითაგორას, ანაქსაგორას მოძღვრებები, უსმენდა სოფისტებს. მან მონაწილეობა მიიღო სამ სამხედრო ლაშქრობაში. 339 წელს სოკრატეს სიკვდილთან დაკავშირებით გაიქცა მეგარაში ევკლიდესთან. 390 წელს გაემგზავრა სიცილიაში პითაგორელებთან. 363 წელს იმოგზაურა სიცილიაში, სადაც მონად გაყიდეს, მაგრამ მეგობრებმა დაიხსნეს. ის იყო არისტოტელეს მასწავლებელი. პლატონის ახალგაზრდულ თხზულებებს სოკრატული თხზულებები ეწოდა.

პლატონმა ჰერაკლიტეს მოძღვრება კრატილთან შეისწავლა და იგი დამახინჯებულად გაიგო. პლატონი სასტიკად ილაშქრებდა სოფისტების წინააღმდეგ. თუ სოფისტები ერთეულების პრინციპზე იდგნენ, პლატონი ზოგადობას იცავდა. იგი უშუალოდ ეყრდნობოდა სოკრატეს მოძღვრებას ცნების შესახებ, რომლის განვითარებასაც ის ცდილობს. პლატონის თვალსაზრისი ისტორიის შემდგომ პერიოდებში გამოყენებული იქნა სხვადასხვა რეაქციული კლასების მიერ.

პლატონისთვის ფილოსოფია არის შემეცნებითი სიყვარული არსისადმი, ეს არის მისწრაფება სისრულისაკენ. დიალექტისა და ლოგიკის ისტორიის თვალსაზრისით, ბევრი რამ არის საინტერესო პლატონთან. მისთვის დიალექტიკა არის ხელოვნება აზროვნებაში წინააღმდეგობის გზით არაწინააღმდეგობის მიწვდომისა. იგი არის ხელოვნება ცნებამდე მისვლისა, ცნებათა ,,დაბადებისა“. დიალექტიკა, როგორც კამათის ხელოვნება, მიზნად ისახავს ჭეშმარიტების მიღებას, იდეების მიწვდომასა და მისტიკურ სფეროში გადასვლას.

ჩვენამდე პლატონის მრავალმა შრომამ მოაღწია, მაგრამ მას არ აქვს ისეთი ნაშრომები, რომლებიც მისი სისტემა არ იყოს გადმოცემული. მისი ნაშრომები დიალოგის ფორმით არის დაწერილი, რომლებიც ძლიერია ფორმითაც და შინაარსითაც. შემდგომ ბევრმა სცადა დაეწერა მხატვრული და ამავე დროს ღრმა ფილოსოფიური ნაშრომები, მაგრამ ამ ორი ელემენტის შეხამება ისე, როგორც ეს პლატონს ჰქონდა, ვერავინ მოახერხა. ამ მხრივ პლატონი განუმეორებელი დარჩა. დიალოგის ბოლოს იგი საკითხს თითქოს გადაუჭრელად ტოვებს, რადგან პლატონს ფილოსოფია მიაჩნდა ძიებად და არა დასრულებული რეზულტატების მომცემ მეცნიერებად.

პლატონის არგუმენტები და მიგნებები სულის უკვდავების, სიკეთის იდეის, როგორც ყოველივეს გამფორმებლის და საბოლოო მიზნის, ერთეულისა და ზოგადის არსებობის, წესთა განსხვავების და სხვათა შესახებ ყოველ ეპოქაში განსხვავებულ და ინტერპრეტაციათა წყაროს და ახლის ძიების სოლიდურ საყრდენს წარმოადგენს.

მოგახსენებთ პლატონის ერთ-ერთი დიალოგის ,,ფედონის" ძირითად პრობლემას სულის უკვდავების შესახებ. ეს ნაშრომი შეიქმნა სოკრატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ. ,,ფედონში" პლატონს თავმოყრილი ჰყავს სიმია, კებესი, ეხეკრატე, რომლებიც თავიანთ აზრს გამოთქვავენ სულის შესახებ. პლატონი თავისი პერსონაჟების მეშვეობით ცდილობს გადმოგვცეს სულის უკვდავების მტკიცება.

,,ფედონის" პრობლემატიკის შესავლად შეიძლება მივიჩნიოთ პლატონის მიერ ზოგიერთი ზოგადი საკითხის გარჩევა, როგორიცაა, მაგალითად, ფილოსოფიის დანიშნულების გარკვევა, სულის სხეულისაგან განსხვავებისა და იდეასთან მსგავსების დახასიათება.

სულის ბუნების, შემეცნების ბუნებისა და მოვლენათა არსებითი თავისებურების გარკვევის გზით პლატონი მიდის იდეებამდე და იძლევა მათ დახასიათებას.

,,თეეტეტს", ,,სოფისტებსა" და ,,პარმენიდეს" მივყავართ ჭეშმარიტი ცოდნისა და მისი ჭეშმარიტი საგნის - იდეების აღიარებამდე. ,,ფედონი" კი აზუსტებს და აკონკრეტებს ამ გზას, რომელსაც ნამდვილ ცოდნამდე და იდეებამდე მივყავართ და, რაც მთავარია, ძირითადად ის დიალოგი იძლევა პლატონის იდეას და თეორიას.

პლატონი ორი სამყაროს არსებობას უშვებს. სამყაროს პირველსაწყისი სუბსტანცია, ძველბერძნულად ,,არხე" მისთვის არის იდეა და სამყარო.

პლატონი იზიარებს და შესაბამისად ასაბუთებს კიდეც სულის უკვდავებას და ინკარნაციას. მისი მტკიცებით, ამ სამყაროში გაჩენამდე ყველა ადამიანის სული იდეათა სამყაროს მკვიდრი იყო, სადაც ის წმინდა სახით ჭვრეტდა იდეებსა და მათ შორის ადამიანის სრულყოფილ იდეასაც, რომლის სრულყოფილებას უზრუნველყოფს ის, რომ ის იდეათა შორის უმაღლესის - სიკეთის იდეის შუქითაა განათებული.

ადამიანობის იდეამ, ერთმა მთელმა იდეალმა წარმოქმნა სიმრავლე. ადამიანები ადამიანობის იდეის აჩრდილები ანუ ანარეკლები არიან. ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ მიილტვიან ადამიანობის იდეისკენ, რათა დაუახლოვდნენ მას, როგორც იდეალს. ყველაზე ახლოს, პლატონის თქმით, ადამიანობის იდეისკენ მივიდა მისი მასწავლებელი სოკრატე, თუმცა ადამიანი ვერასოდეს ვერ დაემთხვევა იდეას, რადგან მას ბიოლოგიური არსებობა გააჩნია. ამიტომ პლატონი ამბობს, რომ „გრძნობად სინამდვილეში" იდეალური ადამიანი ვერ იქნება, რადგან ადამიანი ადამიანობის იდეის ნაწილია და, აქედან გამომდინარე, ნაკლოვანიც, რადგან იდეა არის მთელი, სრულქმნილი და უნაკლო.

პლატონის ფილოსოფია – ესაა ფიქრი, ძიება პასუხებისა ისეთ კითხვებზე, მარადიულად რომ დგანან ადამიანის წინაშე, აღელვებენ მას და ითხოვენ პასუხს, ესაა კითხვები სიცოცხლესა და სიკვდილზე, სხეულსა და სულზე, სხეულისა და სულის ბედზე, სიყვარულზე. სამართლიანობასა თუ მამაცობაზე, ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, ან რა გზა უნდა აირჩიოს, რომ ღირსეულად გალიოს წუთისოფელი.

პლატონის აზრით, ფილოსოფიის მიზანი არ არის, მაგალითად, ძვირფასი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის თუ სხვა რამე ასეთის შეძენა. ყველაფერ იმისა, რაც სხეულს ამშვენებს, ფილოსოფოსი გულგრილად უყურებს, ფილოსოფოსის მოქმედება სხეულისკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ სულისკენ.

პლატონი სვამს ასეთ კითხვას ,,რა არის ადამიანი"? სული, სხეული თუ ორივე მათგანი ერთად? მაგრამ სხეული თვითონ კი არ მართვას თავისთავს, არამედ სულის მიერ წარიმართება, მაგრამ თუ სხეულს წილი არ უდევს მართვაში, მაშინ ვერცერთს მივიჩნევთ წარმმართველად. ადამიანი, პლატონის მიხედვით, სულია, მაგრამ სული თავის მხრივ რთულ არსს წარმოადგენს.

სხეული ბოროტებაა, რომელშიც მოთავსებულია სული. სული სხეულში არის, როგორც წარუვალი - წარმავალში, უკვდავი - მოკვდავში, ნათელი - ბნელში, სიცოცხლეს რომ ანიჭებს უსულო, უსახო და უსოცოცხლო მატერიას.

სულისა და სხეულის კავშირი ორგანული კი არ არის, არამედ მექანიკურია. სული შეძლებისდაგვარად ცდილობს თავი შეიზღუდოს ვნებათაღელვისას გრძნობების მძვინვარებისა და, საერთოდ, მთელი იმ მანკიერებისაგან, რაც მატერიალური საწყისის მეშვეობით აღიძვრის სულისა და ხორცის ნაერთში, ანუ ცოცხალ სხეულში. სული უნდა გათავისუფლდეს სხეულისაგან და მას ამის მხოლოდ ერთი საშუალება აქვს, ეს არის აზროვნების უნარი. აზროვნების დამოუკიდებლობის განვითარება, აი ეს საშუალება, რომლითაც სული გათავისუფლდება და ფილოსოფოსი სიკვდილს მიაღწევს.

,,სიკვდილი“ აქ უმთავრესად იმას აღნიშნავს, რომ დაძლეული იქნება ის განსაზღვრულობანი, რომლებიც მოვლენებსა და წარმოდგენებს ახასიათებს. ჭეშმარიტება და ნამდვილად არსებული, რომლისკენაც სული მიისწრაფვის, სრულიადაც არ არის ასეთი. სული ნამდვილად არსებულს სწვდება მაშინ, როცა ის არ არის აღელვებული გრძნობებით, როცა ის არც წუხს, არც რაიმე უხარია, როცა არ არის სხეულის გავლენის ქვეშ და არის თავისთავად. სული ჭეშმარიტებას ვერ მიაღწევს, როცა ამ ბოროტების ზეგავლენას განიცდის, როცა ჩვენ მივდევთ ფულს, ომს, ვნებებს, სურვილებს. სხეულის გავლენით სულს არასოდეს არ შეუძლია შემეცნება წმინდა სახით, ვერ მისწვდება ჭეშმარიტებას. რაიმეს წმინდა სახით შემეცნება შეიძლება მაშინ, თუ სული თვითონ არის აღებული წმინდა სახით და პირდაპირ ხედავს მის საგანს. სიცოცხლეში ჩვენ შეგვიძლია მივუახლოვდეთ ჭეშმარიტებას, სულის სრული გათავისუფლების შემდეგ კი უშუალოდ მივწვდებით მას. წმინდა სახით აღებული არსის შემეცნება, დამოუკიდებელი სულისგან, გვაძლევს ჭეშმარიტებას, – აღნიშნავს მისტიკოსი პლატონი. სულის დაცემას კი განაპირობებს, მატერიის წიაღში ჩანთქმა, სადაც სულის კუთვნილ ადგილს იკავებს მატერია, აიძულებს მას ერთგვარად შეიკუმშოს, სულის მიერ გამოსხივებულ ნათელს კი თითქოს იპარავს და ბოროტების გარსში აქცევს, ვიდრე ნათელი არ მოიპოვებს საამისო ძალას, რომ კვლავაც თავის წყაროს მიუბრუნდეს. თუ სული ეთვისება და ეზიარება მატერიას, რის შედეგადაც ქმნადობის წყაროდ და ბიწიერების მტვირთველად იქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეში მას განუყრელად თან ახლავს მატერია. როგორც ვხედავთ, სხეულთან შერწყმული სული უკვე აღარ არის ის, რაც შერწყმამდე იყო: მისი დასაბამიერი სიწმინდე სხეულებრივი ბუნებითაა ამღვრეული და გარკვეულწილად ამავე ბუნებასთან შენივთებული, თუმცა მთელ სულზე ვერ ვიტყვით ამას: კერძოდ არის სულში ერთგვარი ღვთაებრივი საწყისი, რომელსაც ახასიათებს რაციონალური აზროვნების უნარი.

სხეული სიცოცხლეს რომ ეზიარება, სიცოცხლესთან ერთად შეგრძნებების უნარს იძენს, შეგრძნებები კი თავის მხრივ დასაბამს აძლევენ ვნებებს. სხეულში აღიძვრის სურვილები, რადგან სწორედ სხეულს აძრწუნებს ის, რომ ადრე თუ გვიან ვეღარ შეძლებს ამქვეყნიურ სიამტკბილობას და თვითონაც გაქრება. მხოლოდ ადამიანის გონივრული სული თუ ახერხებს თავი დააღწიოს მატერიის ტყვეობას: სრულქმნილი და უზენაესი გონების მიმართ მიდრეკილი სული ყოველთვის წმინდაა.

პლატონი პირდაპირ ამბობს, რომ იდეები: მშვენიერება, სიკეთე და სხვა ამათი მსგავსნი არსებობენ გრძნობადზე ადრე. მათი არსებობა გრძნობადის არსებობაზე სრულია. მისი თქმით, ის, რასაც ვიგონებთ, ოდესღაც უნდა გვცოდნოდა. აქედან პლატონს გამოაქვს დასკვნა, რადგან მოგონება არის ფაქტი და იდეები ადრე არსებობენ – წინ უსწრებენ გრძნობადს, ამიტომ სული, რომელიც იდეების ცოდნას ადრევე შეიცავს, ადრე არსებულა, ადამიანის დაბადებამდე სადღაც, ამ მხრივ სული უკვდავია – არ დაბადებულა სხეულთან ერთად.

პლატონის თანახმად, რადგანაც მკვდართაგან იბადება ყველა ცოცხალი, რადგან, თუ ჩვენი სული ჩვენს დაბადებამდეც არსებობდა და თუ ზეგარდმო გადმოსული ამქვეყნიური სიცოცხლისთვის სხვა რამისაგან კი არა, კვდომისა და სიკვდილისაგან იბადება მხოლოდ, ცხადია ჩვენი სიკვდილის შემდეგაც იარსებებს სული. როცა სული შეგრძნებებს მისდევს, ის არასოდეს არ რჩება ერთი და იგივე, იგი მერყეობს, როგორც ,,მთვრალი“. როცა სული არ მისდევს შეგრძნებებს, თავისთავთან იგივეობრივი რჩება, მაშინ ის იმყოფება უცვლელობის, მარადიულობის, სიწმინდის სფეროში.

პლატონის აზრით, სხეული სულს ექვემდებარება ისე, როგორც მონა – ბატონს, ღვთაებრივი სული მოკვდავ სხეულზე ბატონობს, სხეული მონობაშია, სულსაა დამორჩილებული.

დამოუკიდებელი, სუბსტანციური მხოლოდ ის შეიძლება იყოს, – ამბობს პლატონი, რაც ნაწილებისაგან არ შედგება, რაც განუყოფელი, დაუშლელია, ანუ როგორიცაა იდეა. სულის იდეასთან მსგავსება სულს უკვდავს ხდის.

პლატონი აღნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც იბადება, თავის მოპირისპირესაგან იბადება, ისევე, როგორც ძილი უპირისპირდება ღვიძილს, ასევე ხდება სიკვდილ–სიცოცხლის დაპირისპირებაც.

როცა სული შერყვნილი და შებილწულია სიმძიმის გავლენით უკან სამყაროსკენ მიისწრაფვის და, როგორც ამბობენ, სამარის ქვათა ირგვლივ იწყებს ბორიალს, ესენი ბოროტი სულები არიან და სასჯელად ასე ბორიალი ერგოთ, ადამიანთა სულები მათი საქციელისდა მიხედვით გარდასხეულდებიან სხვადასხვა ცხოველებსა თუ მცენარეებში. სულები, რომელთაც წმინდად და შეურყვნელად განვლეს წუთისოფელი, თავს აღწევენ ქვესკნელის ტყვეობას, ზესკნელის წმინდა სივრცისკენ ისწრაფვიან და იქ ივანებენ. რადგანაც სული უკვდავია, ის ზრუნვას მოითხოვს ყველასაგან, მთელი სიცოცხლის მანძილზე და თუ ვინმე აგდებულად ეპყრობა სულს, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს მისთვის.

სული ყველაზე მეტად წააგავს ღვთაებრივს, უკვდავს, გონით საცნაურს, სხეული კი მოკვდავს, მრავალსახოვანს, გრძნობით–საცნაურს. სხეულს დაშლა უწერია, ხოლო სულს უშლელობა. სული

წმინდად და შეურყვნელად ეყრება სხეულს, მისივე მსგავს სამყაროში გადადის, ღვთაებრივ, უხილავ და ბრძნულ სამყაროში და ნეტარებას ეზიარება.

ქართულმა ნეოპლატონურმა სკოლამ ფრიად შეიყვარა პლატონი, რომლის ფილოსოფიაზეც მოხდა ქართველ პოეტთა თუ მწერალთა აღზრდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის სიყვარული პლატონის ფილოსოფიისადმი, რომელმაც ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიაში მოღვაწეობის პერიოდში თარგმნა პლატონის ნაშრომი და შემდეგ ჩამოიტანა გელათის მონასტერში. კერძოდ, ვაჟა–ფშაველას შემოქმედებაში არეკლილი არის პლატონისეული დიალექტიკური პროცესი სიკვდილ–სიცოცხლის ურთიერთობისას.

,,კიდევაც ვნახავ გაზაფხულს, ყელ–მოღერებულ იასა,
სიკვდილის–სიცოცხლედ მქცეველს იმის სიტურფეს ღვთიანსა.“

შოთა რუსთაველს კი თავის უკვდავ პოემაში ,,ვეფხისტყაოსანი“ მოჰყავს პლატონის ციტატები ,,ფედონიდან“, რომ ადამიანი სულისა და სხეულისაგან შედგება, რადგან, სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცს და მერე სულს: ,,მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა–თქმულსა; სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

პლატონის იდეათა შორის უმაღლესი სიკეთის იდეაა და შარავანდედის შუქითაა განათებული. სიკეთე იხსნის კაცობრიობას, – ამბობს შოთა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

„ფედონის“ წაკითხვისას ჩვენ ვეცნობით, თუ რაოდენ მშვენიერია სული და რომ სული არის სხეულის მეუფე.

ლიტერატურა:

1. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, წიგნი I, ი. ჭავჭავაძის სახ. გამომცემლობა, 2006;
2. ფილოსოფიის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962;
3. სავლე წერეთელი, ,,ანტიკური ფილოსოფია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1968;
4. ,,ნადიმი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964;
5. ,,ფედონი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1966;
6. მიხეილ მახარაძე, არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები, თბ., 2003;
7. შოთა რუსთაველი, ,,ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1983;
8. ვაჯა–ფშაველა, ,,კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბ., 1986;
9. ნუგზარ აბრამიშვილი, პლატონი სულის შესახებ, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, მესამე საერთაშორისო კონფერენცია, 2010.

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

სახელზმნის ისტორიისათვის

თინათინ აზალაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

სახელზმნის შესწავლას ძველ და ახალ ქართულში რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. იგი მეცნიერულად შეისწავლა აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1930 წელს ,,ქართულ გრამატიკაში“ საწყისი და მიმღეობა განსაზღვრულია ფორმობრივ–სემანტიკურად.

არნოლდ ჩიქობავა ზანურისა და ქართულის ანალიზის საკითხებზე ასკვნის, რომ ისტორიულად მასდარი და მიმღეობა ერთი ოდენობა იყო, იწარმოებოდა ერთნაირი პრეფიქს–სუფიქსებით.

მასდარი აწარმოებდა ა, ლ, ს–ა, ლ–ო სუფიქსებს და ს–ა, ს–ლ კონფიქსებს ტირილი, ს–ვლ–ა, ს–იც–ილი ბ. ცხადაძემ შეისწავლა მასდარის და აბსტრაქტულ სახელთა ერთიერთობა და აღნიშნა, რომ ამ

ჯგუფის სახელები ახლოს დგანან ფუნქციისა და საწარმოებელ აფიქსთა თვალსაზრისად. –ებ –ობ სუფიქსები (შენება, ცხობა ერთი წარმომავლობის არიან და წარმოშობით თემის ნიშნები იყვნენ.

საწყისი

1. <u>საწყისის რაობა, საწყისის კატეგორიები.</u> საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად, ე.ი. საწყისს აქვს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, მაგრამ არ მოეპოვება უღლების კატეგორიები. საწყისი, როგორც მეტყველების ნაწილი, არსებითი სახელია, ამიტომ სხვაგვარად მას უწოდებენ ნაზმნარ სახელს. სინტაქსურად საწყისი შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, გარემოება. საწყისს სახელის კატეგორიებიდან აქვს ბრუნვა, მაგრამ ვერ აწარმოებს მრ. რიცხვს. ა. შანიძის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ,,საწყისს რიცხვი არ გააჩნია, საწყისის მრავლობითი მოჩვენებითია". თუმცა ი. იმნაიშვილი ძველი და ახალი ქართულის მიხედვით შენიშნავს: ,,არ შეიძლება საწყისს მრავლობითი არ გააჩნდეს".

მართლაც იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს საწყისის ნარიანი მრავლობითის ფორმები: ცქერანი, მზერანი... ებიანი მრავლობითი საწყისს არ ეწარმოება, მაგრამ, თუ კი საწყისი მთლიანად არსებითი სახელის რიგში ჩადგება, მაშინ მას ებიანი მრავლობით ექნება. განცხადება–განცხადებები, კითხვა–კითხვები...

საწყისი უფრო მდიდარია ზმნური კატეგორიებით, მას შეუძლია გამოხატოს გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად – გვარიც.

გზავნა (უსრ. ასპექტი), გაგზავნა (სრ. ას) გაგზავნა (საიქეთო), გამოგზავნა (სააქეთო), გზავნა (უშუალო კონტაქტი), გზავნინება (შუალობითი).

რამდენიმე ზმნასთან საწყისი გვარის მიხედვითაც განსხვავებულია. მოქმედებითია ტეხა, წყვეტა, ხეთქა... ვნებითი – წყდომა, სკდომა...

მიუხედავად ამ გამონაკლისისა, საზოგადოდ, საწყისი არის ზიარი კატეგორია მოქმედებითისა და ვნებითისათვის.

2. <u>საწყისის წარმოება.</u> საწყისი იწარმოება ზმნის აწმყო–მყოფადის გაუვრცელებელ ფუძეზე ა სუფიქსის დართვით. ე.ი. ზმნის ფორმას უნდა ჩამოვაშოროთ პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები და სავრცობი, ქცევის, გვარის მაწარმოებელი აფიქსები და შემდეგ დავუმატოთ ა სუფიქსი: ა–შენებ–ს — შენება.

საწყისის ა მაწარმოებლის დართვისას იკვეთება ი თემის ნიშანი, აგრეთვე იკარგება ავ, ამ თემატური სუფიქსების ა ხმოვანი.

თუ ავ თემის ნიშნიან ზმნებში ფუძე თავდება ნ, რ, ლ ბგერებით, საწყისის წარმოებისას ვ გადაინაცვლებს ფუძეში. კლავს–კვლა.

ახალი ქართულისათვის ნორმაა საწყისის წარმოება ა სუფიქსით. იგი ახასიათებს ზმნათა დიდ უმრავლესობას. ამის გარდა გვხვდება ე.წ. ომიანი, ოლიანი, ნარიანი წარმოების საწყისები.

ა) ომიანი საწყისი მიიღება მაშინ, როცა ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის საწყისში ა სუფიქსის წინ თავს იჩენს ომ ინფიქსი; ჯდ–ომ–ა.

ბ) ოლიანი საწყისი მიიღება, როცა გარდაუვალი ზმნის საწყისის ფორმას ა მაწარმოებლის წინ ჩაერთვის ოლ ინფიქსი ბრძ–ოლ–ა.

გ) ნარიანი საწყისი მიიღება საწყისის ა მაწარმოებლის წინ ნ სუფიქსის ჩართვის შედეგად: თხოვ–ნ–ა.

ახალ ქართულში შემორჩენილია საწყისის ძველი წარმოების ნიშნები, სადაც საწყისის მაწარმოებლად გამოყენებულია ილ, ს–ა, სი–ილ. ილ, სი–ულ.

ილ: ტირ–ილ–ი; ს–ა: ს–ვლ–ა; სი–ილ: სი–რბ–ილ–ი; სი–ულ: სი–ხარ–ულ–ი

მოიპოვება რიგი ნასახლარი ზმნებისა, რომლებსაც არ აქვთ საწყისი. საჭიროების შემთხვევაში საწყისის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ზმნის პირიანი ფორმა არის ნაწარმოები: ლაპარაკი, ბაასი, საუბარი.

სი–ილ, ილ, სი–ულ აფიქსებით წარმოქმნილი სახელები დღეს უკვე არის. სახელთა რიგებში დგანან, მიუხედავად ამისა, რომ მათ მრ. რ. არ ეწარმოებათ (ა. შანიძე).

მეტყველების ნაწილთა სისტემაში სახელზმნათ ადგილის შესახებ – ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ა. შანიძე სახელზმნას აკუთვნებს ზმნებს და მათ განიხილავს ზმნის სისტემით. აკ. დავითიანი თვლის, რომ სახელზმნა ისეთივე დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, როგორიც სახელი და ზმნა. ამიტომ სახელზმნა უნდა გამოეყოს ცალკე მეტყველების ნაწილად და მისი ანალიზის დროს აღინიშნოს როგორც ზმნური, ისე სახელური კატეგორიები. შ. კეკელიას მიაჩნია, რომ სახელზმნის სწავლება სკოლაში მეტისმეტად რთულია, რადგან ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმეა დასახელებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან: ამიტომ მისი აზრით, პროგრამიდან და სასკოლო სახელმძღვანელოდან

სახელზმნა ცაკლე თემად უნდა ამოვიღოთ და საწყისი განვიხილოთ არსებით სახელში, მიმღეობა კი – ზედსართავ სახელში.

შ. ყორღანაშვილის მიხედვით, სასურველია საწყისისა და მიმღეობის სწავლებისას მოხდეს მათი დიფერენცირება, მეორე მხრივ, სახელზმნური ამოვიღოთ არ. სახელის შინაარსეული ჯგუფებიდან და განვიხილოთ თემა ,,საწყისში", ხოლო სი–ილ, სი–ულ აფიქსიანები – აბსტრაქტულ სახელებში. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ ,,სახელზმნის" დამკვიდრება ანტონ კათალიკოსის სახელს უკავშირდება. იგი იყო პირველი ფუნდამენტური გრამატიკის შემქმნელი და, ამდენად, ქართული გრამატიკული აზრის ფუძემდებელი. საყურადრებოა, რომ სიტყვა სახელზმნა ნასესხებია ზურაბ შანშოვანის გრამატიკაშიც, თუმცა ავტორს ის, როგორც ტერმინი, არ გამოუყენებია. მეტიც, თავის ნაშრომში საერთოდ არ განიხილავს სახელზმნას ანუ მასდარს. ანტონ პირველი სახელზმნას დღევანდელი საწყისის მნიშვნელობით იყენებდა. თავდაპირველად მას ნაზმნარი არსებითი სახელის აღსანიშნავად ,,ნაკლ–ზმნარი" უხმარია. შემდეგ კი ,,სახელ–ზმნად" გადაუკეთებია. ,,სწორება კარგად ჩანს თვით ხელნაწერებშიც, ზოგან კი ძველი ტერმინია დარჩენილი". ე. ბაბუნაშვილის აზრით ,,ანტონის ნაკლზმნარი მხრით არის უსწორო თარგმნარია, რაც შეეხება სახელზმნას, ანტონმა ამ მეორე ტერმინში ,,სახელ" სიტყვით, როგორც ეტყობა, საწყისის სახელური თვისებები გახაზა.

ანტონის მსჯელობიდან გამომდინარე, ტერმინ ,,სახელზმნ"–ის საფუძველია თვით ცნებაში ნაგულისხმევი მოვლენების თავისებურებანი და, ამდენად, იგი ამართლებს გადმოსაცემ შინაარსს: სახელზმნას აქვს უნარი, ,,შეიწყნაროს" სახელის კატეგორიები, გარდა ნათესავისა (ე.ი. სქესისა) და ზოგი ზმნური კატეგორიას (გვარი, ნაკვეთი და რიცხვი).

უ. ყორანაშვილს მიაჩნია, რომ ტერმინის ,,სახელზმნის" შემოღება ავტორა დასჭირდა, ჯერ ერთი, ამგვარი სიტყვების ორმაგი ბუნების ნათელსაყოფად და, მეორეც, ჩვეულებრივი საწყისისა და ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის გამიჯვნის მიზნით. ეს უკანასკნელი კი მასთან და ბევრ მის შემდეგდროინდელ ქართველ გრამატიკოსთან კვალიფიცირებულია, როგორც ზმნის ,,განუსაზღვრებული ანუ უჩინო სქესი".

ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში სახელზმნაზე მსჯელობა ყოველთვის ნათელი არ არის, რადგან როგორც ჩანს, ანტონს ტვითონ არ ჰქონია გარკვეული, რა მიმართება იყო ე.წ. ,,უჩინო ანუ განუსაზღვრელ სქესსა" და სახელზმნას შორის. როგორც ჩანს, სახელზმნა და განუსაღვრელი სქესი სხვადასხვა ცნებად არ მიაჩნდა ანტონს და ამ უკანასკნელს სომხური ენის გავლენით იყენებდა. მეორე გამოცემაში მას გამოუსწრებია სათანადო მსჯელობაც და მაგალითებიც და ერთგვარ ბოდიშსაც კი იხდის ადრე დაშვებული შეცდომების გამო. აქ საგანგებო თავი ეძღვნება განუსაზღვრელი სქესის და სახელზმნის ურთიერთობას, სადაც ნათქვამია, რომ განუსაზღვრელი სქესი იწარმოება სახელზმნისაგან –ად ნიშნით აწმყოში, ხოლო მყოფადში იგი იცვლება –იდ ნიშნით. ეს ფორმები შემდგომ შეიძლება იბრუნოს კიდეც: ,,განუსაზღვრელი წარმოებს სახელზმნისაგან და გვაჩვენებს ანუ ქმნასა აწმყოსა და შინა ამით, რომელთა –ად .... ხოლო მყოფადის დროს შინა ნიადაგ ვნებითად წარმოდგენის ნიშნითაა ამით –იდ." ანტონი ერთმანეთისაგან განასხვავებს წერა და წერად ფორმებს. პირველი მისთვის სახელზმნაა, მეორე– განუსაზღვრებელი სქესი.

ანტონი სახელზმნას ასე გამარტავს: სახეზლმნა სახელწოდეით განარჩევს მოქმედებას ან ვნებას. მოეპოვება სახელის ყველა კატეგორია, გარდა ნათესავუსა და ზოგი ზმნური კატეგორიაც.

ავტორი მსჯელობს საანალიზო სიტყვათა სინტაქსის ფუნქციაზეც: სახელზმნა წინადადებაში შეიძლება ასრულებდეს ქვემდებარის და დამატების ფუნქციას. მაგალითებრ: კდომა შეემთხვევა იერუსალიმსა ქალაქსა ... და ოდესმე საძიებოდ.

მაგალითები: ამცნო ყუფალმა ღმერთმან არა ჭამა ხისა ცნობადისა ადამს".

სახელზმნა ძისა ზმნისა, მისგან იწარმოება ზმნის ყველა ფორმა ,,მაუღლებელ, მაპიროვნე და მამრავლე" ნიშანთა დართვით.

ანტონ I-ის გრამატიკიდან მოყოლებული, ძველ ქართულ გრამატიკებში ტერმინი ,,სახელზმნა" ყველგან დღევანდელი საწყისისი მნიშვნელობით იყო გამოყენებული. გრამატიკოსები მიანიშნებდნენ მის როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებზე და შესაბამისად, მკვლევართა ერთი ჯგუფი მას ზმნის სისტემას მიეკუთვნებოდა, მეორე კი – არსებით სახელებს.

გაიოზი ანტონ კათალიკოსის მოწაფე იყო და ცხადია, მისი გრამატიკა ვერ ასცდებოდა ანტონის გრამატიკის გავლენას, მაგრამ ამასთანავე, გამოირჩევა საინტერესო დაკვირვებებით და ზოგ საკითხთა ორიგინალური გაშუქებით. მას თავის ,,ქართულ გრამატიკაში" (1789 წ) არა აქვს საგანგებო მსჯელობა სახელზმნაზე, მხოლოდ მიუთითებს, რომ სახელზმნის ფორმით წარმოდგენილი ზმნის ძიება ,,შეიძლება იდგეს შემასმენლობითში ან ნათესაობითში. ანტონისაგან განსხვავებით, ფორმები

ქმნადი, ხუნადი, სწავლადი და მისთ... გაიოზის აზრით, მყოფადი დროის მიმღეობა –ადი ნიშნით ნაწარმოები და არა განუსაზღვრელი კილოს მყოფადი.

დავით და იოანე ბაგრატიონების გრამატიკებში სახელზმნის შესახებ ახალი არაფერია ნათქვამი. მათთან ეს პარაგრაფი ანტონის გავლენით ცაკლეა გამოყოფილი და თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება მას.

სოლომონ დოდაშვილმა ,,შემოკლებულ ქართულ გრამატიკაში". საგანგებო თავი მიუძღვნა სახელზმნის განხილვას, თუმცა მას მეტად მცირე ადგილი დაუთმო. ,,სახელზმნა არის ლექსი ზმნისაგან წარმოებული, რომელიც აჩვენებს თვით თავით თვისათ მოქმედებასა ანუ მოძრაობასა საგნისასა: ქება, წერა, წარსვლა ანუ განვლა, შენება .... შეიწუხებს ყოველსა თვისებასა არსებითისა სახელისასა და იბრუნვიან დაბოლოებისამებრ მათისა, ესენი არ არიან საკუთრებანი წანილნი სიტყვისანი, არამედ შეადგენენ სახელთა არსებითთა". ე.ი. სახელზმნა ს. დოდაშვილს სახელად მიაჩნდა. იგი, ანტონისაგან განსხვავებით, არაფერს ამბობს სახელზმნის ზმნურ ნიშნებზე.

დიმიტრი ყიფიანის ,,ახალ ქართულ გრამატიკაში" (1882 წ) განსაკუთრებით საინტერესოა მსჯელობა ძველ ევროპულ ენებში (მათ შორის ლათინურში) არსებულ ისეთ ტერმინებზე, როგორებიცაა: ,,გერუნდი, რომელსაც ეთანხმება ქართული სახელზმნა: წერა, კეთება, შენება. გერუნდივი, რომელსაც ეთანხმება ქართული სახელზმნა მყოფადი, დასაწერი, ასაშენებელი, გასაკეთებელი... და სუპინი, რომელსაც ეთანხმება ძველი უჩინო დახრა და ახლანდელი ზმნისზედა: დასაწერას, ასაშენებლად, გასაკეთებლად: დ. ჩუბინიშვილის მასგავსად, ისიც უარყოფს ქართულში განუსაზღვრელი კილოს არსებითობას.

თ. ჟორდანია ძალიან მოკლედ ეხება სახელზმნის მსგავსი წარმოების სიტყვებს მას ადგილი მიუჩინა არის ერთ–ერთ შინაარსეობრივ ჯგუფში – განყენებით სახელებში.

ანდრია ბენაშვილი 1894 წ. გამოცემულ ,,მოკლე ქართულ გრამატიკაში" სახელზმნასა და მიმღეობას ერთმანეთთან ურთიერთაკვშირში ახასიათებს: ყოველ ზმნისაგან კეთდება არსებითი სახელი და ჰქვია სახელზმნა. ყოველი ზმნისაგან კეთდება ზედშესრული სახელი და ჰქვია მიმღეობა .... ისნი იბრუნვიან ისე, როგორც არსებითი სახელები.

მასდარის შესახებ ვრცელი მსჯელობაა მოცემული მ. ჯანაშვილის გრამატიკაში. იგი წინამორბედ გრამატიკოსთაგან განსხვავებით, ზმნის ხუთ კილოს განიხილავს. მეხუთეა განუსაზღვრელი, რომელშიც მ. ჯანაშვილმა ახალი შინაარსი ჩასდო, ამ ტერმინს იგი სახელზმნას უწოდებს. განუსაზღვრელი დახრის ზმნას ჰქვია აგრეთვე სახელზმნა, რომელიც იბრუნვის, როგორც ყოველი სახელი არსებითი.

ი. ნიკოლაიშვილი სახელზმნის მხოლოდ განსაზღვრით არ კმაყოფილდება და მის მაწარმოებელზეც მიუთითებს: ,,არის ზმნის ერთგვარი ფორმა, რომელიც არც დროს აჩვენებს, არც რიცხვს, არც პირს, არც კილოს. ზმნის ამგვარ ფორმას გრამატიკაში სახელზმნა ეწოდება, რადგენაც ის ერთსადა იმავე დროს სახელიც არის და ზმნაც. როგორც განყენებითი სახელი, ის იბრუნვის მხოლოდ მხ. რ–ში და, როგორც ზმნა, იუღლება.

დავით კარიჭაშვილი სახელზმნას ზმნის ჯგუფში განიხილავს, თუმცა უყურადღებოდ არ ტოვებს მის მორფოლოგიურ და სინტაქსურ მსგავსებს სახელებთან: ზმნას აქვს სამი განსხეულება: სახელზმნა, ზმნახრილი და ზმნისართი. სახელზმნა არის მოქმედების ან ყოფა-მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელი.

ამდენად, ზემოთ განხილულ მკვლევართა მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: ძველ ქართულ გრამატიკოსთა უმეტესობა იძლევა სახელზმნის დახასიათებას, ისინი მიანიჭებენ მის როგორც სახელურ, ისე ზმნურ ნიშნებზე და შესაბამისად, ერთი ჯგუფი მას ზმნის სისტემას მიაკუთვნებს, მეორე კი – არ. სახელს. ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებული გრამატიკოსები უფრო მეტად ყურადღებას აქცევენ სახელზმნის სინტაქსურ ფუნქციას და ნაკლებად ინტერესდებიან წარმოშობით, საწარმოებელი საშუალებებით. ცხადია, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ მიერ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას დღეს მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს, თუმცა არის დღევანდელი თვალსაზრისით ფასეული დაკვირვებებიც.

ანტონ I–ის გრამატიკიდან მოყოლებული, ძველ ქართულ გრამატიკებში ტერმინი ,,სახელზმნა" ყველგან დღევანდელი საწყისის მნიშვნელობით იყო გამოყენებული. უდავოა, რომ სწორედ ანტონის მიერ მინიშნებული დებულებები გახდა ერთგვარი საფუძველი და იმპულსი მომდევნო ხანის გრამატიკოსებისათვის. მე–20 საუკუნის I ნახევარის ქართული გრამატიკული ლიტერატურაც ძირითადად სწორედ ამ პრინციპებით საზრდოობდა და ასე შემზადდა ნიადაგი ახალი ქართული გრამატიკული მოძღვრებისათვის, რომელსაც საფუძველი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა.

ლიტერატურა:
1. ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, I, 1950;
2. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საკითხები, თბ., 1973;
3. აკ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, 1981;
4. ა. დავითიანი, სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში, 1975;
5. ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979;
6. ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული გრამატიკა, თხზულებანი, 1961.

ინგილოური დიალექტი

სოფიო განჯელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, ასოცირებული პროფესორი

ინგილოური ქართული ენის მეტად თავისებური და საინტერესო დიალექტია. იგი ყურადღებას იქცევს როგორც არქაიზმებით, ისე ნეოლოგიზმებით. მასში განსაკუთრებით ხელშესახებია უცხო ენის ძლიერი გავლენა. ისტორიულად მოექცა რა უცხო ენობრივ გარემოცვაში, იგი არსებითად მოსწყდა სალიტერატურო ქართული ენის გავლენას და ფერეიდნულისა და იმერხეულის მსგავსად თავისებური გზით განვითარდა.

საინგილო მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთით, მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ინგილოებით დასახლებული ეს კუთხე ამჟამად მდებარეობს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან და აერთიანებს თხუთმეტიოდე სოფელს: კაკი (კახ ,,ინგილო''), ალატემური, მუშამბაში, ქოთუქლუ, თასმალლუ, ზაგანი, ყორაღანი, ყიმურრო, ქეშხუთანი, ხარაბთალა, ბახთალა, ალიაბატი, მოსული.....

ინგილოურ კილოზე მოლაპარაკე სოფელთა რიცხვი წინათ გაცილებით მეტი ყოფილა, ვიდრე ახლა. დროთა ვითარებაში, საუკუნეების მანძილზე, ინგილოური კილო თანდათანობით გამქრალა რიგ სოფლებში: ქანდარი, ენგიანი, კაპანაჩხი, ვერხიანი, ლალაფაში, მარსანი, სოსკანი, ქოროღანი, შოთავარი, გულუგი და სხვ..

ტერიტორიულად მოიცავს 3497,5 კვ. კილომეტრს. მისი ახლანდელი საზღვრებია: დასავლეთით და სამხრეთით დღევანდელი კახეთი (მდ. ბაზიმ-ჩაი და მდ. ალაზანი), სამხრეთით მდ. ჩაი, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნუხის რაიონი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთაგრეხილი.

XVII – XVIII საუკუნეებში კახეთის არაერთგზისმა დარბევამ დიდად დააზარალა საქართველოს ეს უხვი და ღონიერი კუთხე. განსაკუთრებით სავალალო შედეგები მოჰყვა ლეკთა დაუსრულებელ თარეშსა და შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობებს. შაჰ-აბასმა უმოწყალოდ დაარბია კახეთი, მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაბუდიანად აჰყარა და ირანის სხვადასხვა პროვინციაში დაასახლა. მე-18 საუკუნიდან დაიწყო ქართველების (კახელების) მასობრივი ძალდატანებითი გამაჰმადიანება. საინგილო თანდათანობით ჩამოაცილეს საქართველოს (გ. ჩანგაშვილი).

გამაჰმადიანებულ ქართველს „ინგილო'' ერქვა, რაც თურქულად ნიშნავს „ახალი'' – „ახლადმორჯულებული'', აქედან „ინგილო'', ხოლო კუთხის სახელწოდებად -„საინგილო''.

ქართველები სარწმუნოებით ქრისტიანებიც არიან და მუსულმანებიც. მათ შორის ზოგი სხვაობაც იჩენს თავს. მაგ.: ქრისტიანი ინგილოს კარმიდამოში აუცილებლად ხარობს ვაზი. გარდა ამისა, ადათ-წესები (ქორწილი, ნათლობა, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები, ჭამა-სმა...) მათ მუსულმანთაგან განსხვავებული აქვთ. ქრისტიან ინგილოებს გვარებიც ძირითადად ქართული აქვთ (ჯანაშვილი, ტარტარაშვილი, როსტიაშვილი, ხუციშვილი, პაპიაშვილი...).

ინგილოური დიალექტი იყოფა ორ კილოკავად: კაკური და ალიაბათური. სახელწოდება შერქმეულია სოფლების კაკისა და ალიაბათის მიხედვით. კაკურში გამოიყოფა ალიბეგლოური თქმა.

კილოკავებსა და თქმებს შორის დიდი განსხვავება, ხშირად ურთიერთგაგებაც კი უჭირთ. განსხვავება ნათლად ჩანს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში.

ინგილოურის ფონემატური სტრუქტურა საკმაოდ განსხვავებულია სალიტერატურო ენისა და ქართული კილოებისაგან. ინგილოურში დაცულია: სახნავი... ზოგჯერ ხ -> ყ: ფეყ „ფეხი'', დანაყოცი „დანახოცი''.

დასტურდება **უ** (უმარცვლო) ბგერაც, რომელიც უმეტეს წილ მიიღება სრულ-ხმოვანი უ-სგან ა, ე, ო ხმოვანთა მომდევნოდ: დაუჭერია >დაუჭერია, შეუჭამია ->შეუჭამია, მოუკლავს->მაუკლავს... ამგვარი ცვლილების საფუძველზე წარმოიქმნება დიფთონგები: **აუ** (წა**უ**და), **აჲ**: მამაჲ - მამა, **ეჲ**: ზეჲ - ზევით. **ოჲ**: კალოჲ - კალო.

ხმოვანთა დასუსტებით მიიღება გ (გემინირებული), რომელიც იკარგვის მახვილიანი ხმოვნის წინა პოზიციაში: ჩამოდით > ჩ**გ**მოჲთ; კარში >კარშ**გ**.

ინგილოურისათვის დამახასიათებელია როგორც სრული რეგრესული ასიმილაცია, ისე სრული რეგრესული დისიმილაცია: აო->ოო: მუშაობა-მუშოოფა. ეე->იე: ტყეები->ტყიები. ეა->ია: შეაყოლა->შიაყოლა.

მრავლობითობის -ებ ფორმანტი, აგრეთვე -ებ და -ობ თემის ნიშნები ინგილოურში იძლევა -ევ და -ოვ ფონეტიკურ ნაირსახეობებს. კილოკავების მიხედვით ვითარება ასეთია:

ა) კაკურში ჩვეულებრივია -ევ და -ოვ : აკეთ-ევ-დნენ; შიპრ-ოვ-ენ.

ბ) ალიაბათურში -ევ,-ოვ შეგვხვდება თანხმოვნის წინა პოზიციაში: პატრონ-ევ-ს აგრუ-ოვ-დნენ (ბ.ჯორბენაძე, 342-343).

ინგილოურში ხშირია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები. დავასახელებთ ტიპობრივ ნიმუშებს: იმასაც->იმააც; სპარსეთი->პარსეთი. ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცება -ყე,-მე,-ვე ნაწილაკებს: ცხოვაყ - ცხვება ხოლმე; რაჲმ - რაიმე; ორივ - ორივე.

ალიაბათურში თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს სახელობითი ბრუნვის ი-ნიშანი შენარჩუნებული აქვს: დედაკაცი, შვილი...

ხმოვანზე ფუძედაბოლოებულები კი -ი ->ჲ ფორმანტს დაირთავენ: დედაკაც, შვილ...

მავრცობ ხმოვნად დასტურდება -ა და -ი. უპირატესად გვხვდება -ა, მიცემითი ბრუნვის ფორმასთან: „აჲღევს ქათამსაც, ღუნი კუჭულასაც ხელში''.

-თვინ ყოველთვის იძლევა -თუნ ნაირსახეობას: მაგისთუნ, გადითუნ...

-კენ თანდებული წარმოდგენილია როგორც -ყენ//-ყ: კარევისყე, შინაყ ეშურევის...

-ში თანდებულის პარალელურად შეინიშნება -შიდა: ეზოშიდა...

სახელის მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ჩვეულებრივ, გამოყენებულია -ებ//-ევ ფორმანტი: კაცები-კაცევი...

-ყე//-ყ ნაწილაკ-მორფემოიდით გამოიხატება:

ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობა: „ჟერ პური აჭამე-ყე"; „გზაზე უღამდება-ყე..."

ბ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა: „ბებერმა დახოცა-ყე ქათმები..."

-ყე უპირატესად ალიაბათურში გვხვდება, -ყ -- კაკურში.

სხვათა სიტყვის გამომხატველად ალიაბათურში უპირატესად გვაქვს -ო (უნდა-ო), ხოლო კაკურში - ვ (უნდა-ვ).

უარყოფისა ფორმაბი შეიძლება გაძლიერებული იყოს აზერბაიჯანულიდან ნასესხები ჰეჩ ფორმით: „ჰეჩ რამ არ იქნების'' - არაფერი არ იქნება.

თანხმოვანზე ფუძე დაბოლოებული მსაზღვრელი კაკურში წარმოდგენილია ფუძის სახით (დიდ ვაჟკაც, დიდ ვაჟკაცმა...), ალიაბათურში სახელობითი ბრუნვის ფორმითაც (დიდი ვაჟკაცი, დიდი ვაჟკაცმა...).

ინგილოურში საგრძნობია აზერბაიჯანულიდან ნასესხები ლექსიკის სიუხვე. ნასესხობათაგან ზოგი ისეთი სიტყვაა, რომლის ფარდი სახელი ქართულში არა გვაქვს: ბოშყავ - სპილენძის თეფში, დოუღა-შეჭამანდის ერთ-ერთი სახეობა, ჩაფაჟარი - ხორცის საკეპი დიდი დანა... მაგრამ უმეტეს წილ ნასესხებმა სიტყვებმა შეცვალეს ქარათული ეკვივალენტები: ავღუჲ -შხამი, ალაყანდ-ჭივჭავი, ათაღარ-ჯაგრცხილა, აჲაზ-სუსხი, ასლან-ლომი, აღიზ - სენი, აშუყ-კოჭი, ბარუჲ-კედელი, ბიზ-სადგისი, ბოლ-უხვი, ბუჩხახ-კუთხე, დემურჩიჲ-მჭედელი, ზანგ-ზარი, ეშაქ-ვირი, თექაჲ-ჯიხვი, თორ-ბადე, მეთლევ-ნატვრა, სანაათ-ხელობა, ტაღარ-გუდა, ტაყინყაჲ-წუთი, ტიპლაყ-ტიტველი, ყარანყუშ-მერცხალი, ყირღი-ქორი, ჰამამ-აბანო...

ზოგჯერ ქართული და აზერბაიჯანული სიტყვები ერთმანეთის პარალელურადაა დადასტურებული: ბახტავარ//ბედნიარ-ბედნიერი; თულქაჲ//მელაჲ-მელა; ქომაგ//ბედნიერი; ყორღაჲ//ყოვ-ყვავი...

ამრიგად, ინგილოური დიალექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია ქართული ენისა, რომელშიც დაცულია ფონეტიკური, მორფოლოგიური სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები.

ლიტერატურა:
1. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961;
2. გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966;
3. ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978;
4. გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბ., 1970;
5. ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989;

სუფიქსებით ნაწარმოები სახელები ფრონის ხეობის ტოპონიმიაში

თამარ გელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ხეობის სოფლების ტოპონიმია სტრუქტურულად მრავალფეროვანია. ამ მხრივ იგი საერთო ქართველურ ყალიბში თავსდება და ძირითადად ორი - იმერულისა და ქართლურის ენობრივ საშუალებებს ეყრდნობა. ეს იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში ლიხის, პერანგას, კორტოხის გადასასვლელები კომუნიკაციურ როლს ასრულებენ ორი მხრის – ქართლისა და იმერეთის დაკავშირებაში. გეოგრაფიულ ერთეულთა გაფორმება ხდება სიტყვათშეერთებითა და აფიქსაციით. განსაკუთრებით მრავალფეროვანია სუფიქსური წარმოება. დერივატებად გამოყენებულია –ეთ, –ა, –ებ, –იან, ან და სხვა სუფიქსები, რომლებიც სახელებს ანიჭებენ სხვადასხვა მნიშვნელობას. ზოგი რამდენიმე ფუნქციის მქონეა, ზოგი კი ერთი მნიშვნელობის გამომხატველი.

–ეთ სუფიქსი პროფ. ზ.ჭუმბურიძის დაკვირვებით თავდაპირველი ფუნქციით მრავლობითობის გამომხატველია (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 415).

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ –ეთ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელწოდებას, მცენარეთა, ცხოველთა სახელებსა და საკუთარ სახელთაგან აწარმოებს. ა. ჩიქობავას აზრით –ეთ წარმოება ძველია და ამჟამად იგი ყველაზე პროდუქტიულია (ჩიქობავა, 1974, გვ).

ცნობილია, რომ –ეთ სუფიქსი ძირითადად ტერიტორიების აღმნიშვნელ ტოპონიმებში გვხვდება. ამავე დროს ეს ფორმატი ვისიმე ან რისიმე ერთადმყოფობაზე, გავრცებულობაზე მიუთითებს.

–ეთ ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში". ესენია: ზემო ძვიმლეთი, ქვემო ძვიმლეთი, ამჟამად ძვილეთი, ერკნეთი, როდინეთი, ღვერთეთი, წირეთი, ფათქინეთი ქალნეთი (თაყაიშვილი, 1907).

–ეთ–ის ვარიანტებით მიკროგეოგრაფიული სახელებიც აღინიშნება ხეობაში: გოლათი, გელიათი, წიფლითი, სილითი, არკნითი და სხვა.

–ა სუფიქსი ქართულში ერთ–ერთი პროდუქტიული მაწარმოებელია და მის თავდაპირველ ფუნქციად მიჩნეულია კნინობითობის აღნიშვნა (შანიძე, 1980, გვ. 190).

თ. ზურაბიშვილის აზრით, „–ა სუფიქსი საზოგადო სახელებთან კნინობითობის ფუნქცია აქვს, მაგრამ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას იგი ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობას იძენს" (თ. ზურაბიშვილი, 1961; გვ. 151).

ცნობილი ტოპონიმისტის ფ. მაკალათიას დაკვირვებით „–ა სუფიქსი არ არის კნინობით ან ქონება – თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი, არამედ ის – ზედსართავ სახელს ან მიმღეობას აარსებითებს (ვთქვათ რომელიმე შავა–შავი ცხენი). ეს –ა სწორედ ზედსართავად გადმოიცემა, არსებით სახელს – სუბსტანტივს მიეწერება, ახასიათებს: ა – ხმოვნით შემოდის გაარსებითება ზედსართავში" (ფ. მაკალათია, 1976, გვ. 44).

გ. ბედოშვილი აღნიშნავს, რომ –ა სუფიქსისათვის გაძნელდებოდა მასუბსტანტივებელი ხმოვანი გვეწოდებინა ისეთ ტოპონიმებში, რომელებშიც სახელის ზედსართაობა გამორიცხულია: გუბა, შუბლა, გორა, ველა და სხვა. უეჭველია რომ ამ ტიპის სახელებში მაკნინებელი –ა ტოპონიმიკური სადირივაციო აფიქსია –ა. სუფიქსის გეოგრაფიულ სახელებში აუცილებლად აქვს ქონების, თვისების, მეორე ობიექტთან მსგავსების აღნიშვნის უნარი (გ. ბედოშვილი, 1980, გვ. 17).

ფ. მაკალათია კვლავ აღნიშნავს, რომ –ა სუფიქსის მაკონკრეტებელი ფუნქცია ნიშანდობლივი ჩანს სწორედ ტოპონიმებში, სადაც საზოგადო მიერ განვლილი გზა ტოპონიმად ქცევამდე –ა სუფიქსის შემწეობით ასეა წარმოდგენილი: აბსტრაქტული სახელი (ველ–ა) (ფ. მაკალათია, 1982, გვ. 107).

–ა სუფიქსის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი, რომლებიც საერთოდ მთლიანობაში, დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით აზუსტებენ აღნიშნული სუფიქსის ფუნქციას, მის მრავალმხრივობას, თვისებას, მსგავსებას, განსაზღვრავს ოიკონიმთა მიღების გზას და გამოყენების კონკრეტულ შემთხვევას: სწორედ ამის გამო გრძელდება ზუსტი ფუნქციის დადგენა.

ფრონეს ხეობის ტოპონიმიაში –ა სუფიქსი საკმაოდ მრავალფეროვანია ფორმობრივ-სემანტიკურად და გამოყენებულია სხვადასხვა პოზიციაში.

იგი დაერთვის მარტივფუძიან ტოპონიმებს: პერანგა, მავდა, ხტანა, ბრეძა.

რთულფუძიან ტოპონიმებს: ქვენატკოცა, წყვედელისა, არამგამა წარმოქმნილ ფუძეებს: ოჟორა, გომართა, ძაღინა, შინდარა, ამათ გარდა გვხვდება: ჯაყა, ბალთა, ტკოცა, თიღვა და სხვები.

ამასთან ფუნქციურად მიუთითებს ობიექტის სიმცირეზე: ჭურა (ხევი), ეკობანა (მინდორი), ზურგა (პატარა სერი) გამოხატავს ობიექტის, ამ შემთხვევაში სოფლის მიხედვით: ღრუბელა (პატარა დასახლება), გვერდა, კუნჭელა...

ჩანს, რომ ფრონეს ხეობის მიკრო და მაკრო ტოპონიმების საწარმოებლად –ა სუფიქსი საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული და წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი დერივატი.

-ებ სუფიქსის ძირითადი ფუნქცია ქართულში მრავლობითობის გამოხატვაა, მაგრამ „თავს იჩენს გვიანდელი ხანის ტოპონიმიაში და აწარმოებს მრავლობითობას (თ. ზურაბიშვილი, 1961; გვ. 133).

თხილები, შინდიანები, ორგორები (სოფ. მეღრისი). ნაღოშები, თარაელები, ჩალფაქანები, კუდაროსები (სოფ. ხუნდისუბანი), კაპრები (ჯონჯლიანი), ნაშოვები, ლიპები, ქვაკუნცხები (სოფ. ბზისხევი), გოგალაძეები, ტეფნაძეები, კუციანები, მაჭარაშვილები (სოფ. ლოპანი).

გვაქვს ასეთი ფორმებიც: ჭალები, ტყისთავები, ფრონისპირები, რომელთა მრავლობითობა სემანტიკურად გამორიცხულია. აქ –ებ სუფიქსი, მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის სიდიდეზე მიუთითებს. ამგვარი ფორმები რომ მრავლობითობის მაჩვენებელი არ არის, ნათლად ჩანს პარალელურ ფორმათა შეპირისპირებით: თავება–თავი, ჭალება–ჭალა. აქ –ებ სუფიქსი გვიანდელი ჩანს და მაშინ გაჩნდა, როცა –ებ სუფიქსი გამოყენებულ იქნა სიდიდის აღსანიშნავად. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ –ებ –ის ახლებური ფუნქცია ფრონეს ხეობაში ზემო იმერეთის ზეგავლენით უნდა ვივარაუდოთ, რადგან ის უფრო ფართოდ არის გამოყენებული დასავლეთ ფრონეს ხეობის სოფლებში, რომლებიც ზემო იმერეთის სოფლებს ემიჯნება და ბუნებრივია საუკუნეების განმავლობაში გავლენა განხორციელდა აღმოსავლეთის სოფლებზე.

ხეობაში რამდენიმე ტოპონიმი ნაწარმოებია –ის სუფიქსით: მუღრისი, ქვათეთრისი, ჭვრინისი, სურნისი, წორბისი, ყორნისი, აბისი და სხვები. ასეთი წარმოება გვხვდება მიკროფონდშიაც. –ის სუფიქსი საერთო ქართველური ფორმებია და წარმოშობით არის ნათესაობითი ბრუნვის ძველი ფლექსია და –ეთ–ის შემდეგ მეორე-მესამე ადგილს იჭერს.

გასაზაირებელია სამეცნიერო ლიტერატუაში გამოთქმული აზრი, რომ სიტყვა ფრონეს არქეტიპი ფე ან ფონ დაცულია ლექსიკაში ფრეს სახის (ჭმის წყლის მნიშვნელობით).

სულხან-საბა აღნიშნვს, რომ ,,ფრე არის წყარო დისაო''. ამ განმარტებით არის იგი გადასული ნიკო და დავით ჩუბინიშვილების ლექსიკონში და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეშვიდე ტომში.

ამ ჰიდრონიმის ძირი უეჭველ ძიებას მოითხოვს, მაგრამ მიგვაჩნია, რეომ მაინც საზოგადო სიტყვაა, რომელიც ლიხის ქედის აღმოსავლეთით და დასავლეთით არის ოცგან მაინც გავრცელებული.

ლიტერატურა:

1. ზ. ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბ., 1987;
2. არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, XIX თბ., 1 974
3. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907;
4. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., III, თბ., 1973;
5. თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქესს, ტ. II, თბ; 1961.
6. ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმიკა, ტოპონიმიკა, II, თბ., 1976
7. გ. ბედოშვილი, ერწო–თიანეთის ტოპონიმიკა, 1980.
8. ფ. მაკალათია, –ა ხმოვნის მასუბსტანტივებელი–მატოპონიმებელი ფუნქციისათვის,

თანამედროვე ქართულ ენობრივ სიტუაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ჟანა გოგინაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი**, სრული პროფესორი

ქართული ერთ-ერთი უძველესი და თვითმყოფადი ხალხის ენაა. ჩვ.წ. აღ-მდე მესამე საუკუნეში ფარნავაზ მეფემ ქართულს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. ამაზე მიგვანიშნებს ის სიტყვები, რასაც ,,ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ.

სალიტერატურო ენა მკაცრად ნორმირებულია, ცოცხალი ენა კი საკმაოდ სწრაფად იცვლება, და ამის გამო არა ერთი ხალხის ისტორიაში მოხდა მათი ერთმანეთისაგან დაცილება. ქსე-ს აღმოაჩნდა საოცარი უნარი შეჰგუებოდა ცოცხალ მეტყველებას და მისი ნორმები სწორად მასთან შესაბამისობაში შეცვლილიყო, თანაც ისეთი ზომიერებით, რომ უფრო დახვეწილიყო და მეტი ექსპრესიულობა შეეძინა. ამითაა სწორედ განპირობებული ის, რომ იგი მეხუთე საუკუნიდან დღემდე ერთიანია და ამასთან, ძველი ქართული ადვილად გასაგებია თანამედროვეთათვისაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ენის სიწმინდის შესახებ საკითხი უძველესი დროიდანვე დაისვა, ჯერ კიდევ ეფრემ მცირე ეკიდებოდა უდიდესი ყურადღებით სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრების საქმეს და აბსოლუტურად მართებული პოზიციაც ეკავა: უცხო სიტყვების სესხებას მხოლოდ მაშინ თვლიდა იგი მისაღებად, როცა ქართულში მისი შესატყვისი ერთეული არ არსებობდა.

მეცხრამეტე საუკუნეში ქსე-ს არნახული საფრთხე შეექმნა ბარბარიზმების, რუსიზმების, დიალექტიზმების მოძალებით. განგებამ ენას ჭირისუფლად ილია და მისი თანამოაზრეები – აკაკი, ვაჟა, იაკობი და სხვები მოუვლინა, რომელთაც ხალხს ,,ღვიძლი სიტყვა" უთხრეს მისთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე. რა ვითარებაა დღეს? ოდითგანვე შემკული და კურთხეული ქართული ენა დღეს სავალალო დღეშია, მას ძალუმად შეერია უცხო ენათა მღვრიე ნაკადი და წალეკვას უპირებს, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს კი სურვილიც არ გააჩნია სალიტერატურო ენის საფუძვლიანად შესწავლის, მოვლისა და დაცვისა.

თვალდათვალ ირღვევა მშობლიური ენის სტრუქტურა, ღარიბდება უმდიდრესი ლექსიკური ფონდი, ზოგიერთის თვალში წიგნიერება აღარ არის მისაბაძი და საამაყო. ამიტომაც, კარგ ქართულს იშვიათადღა ვისმენთ! _ ქართველთა უმრავლესობა სწორად ვერ წერს და ვერ მეტყველებს! უფრო მეტიც, ახალგაზრდები დღეს ხშირად ენისა და ერის სულის შეურაცხმყოფელი დედის გინებით იწონებენ თავს! ენის შინაგანი არსის ასე გაუკუღმართება ყოვლად დაუშვებელია. ამით ენას ჭეშმარიტი ქრისტიანული საფუძველი ეცლება, რაც მომაკვდინებლად მოქმედებს მასზე და ყველაზე სავალალო კი ალბათ ის არის, რომ დაიკარგა ამ ყველაფრის შეგრძნებაც კი. საბედნიეროდ, დღესაც არიან ადამიანები, ვინც ებრძვიან უმართებლად მოზღვავებულ ინოვაციებს, ენისათვის უცხო სინტაქსურ თუ ფრაზეოლოგიურ კალკებს, სკაბრეზულობის გამოვლინებებს, მაგრამ ერთეულებს ამ საქმეში ბევრი ვერაფრის შეცვლა ძალუძთ, საჭიროა ერთიანი ძალისხმევა პრობლემის დასაძლევად.

ენა ერის არსებობის საფუძველია. მასში გაცხადებულია ერის ისტორიული წარსული, ერის კულტურა და, ამდენად, რაც უფრო მდიდარია ერის მატერიალური და სულიერი საგანძური, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ენა. ქართველ ერს უდიდესი წარსულისა და მნიშვნელობის ენა გააჩნია, ის უმდიდრესია თავისი ბუნებით. ქართული ენით შესაძლებელია გამოიხატოს აზრის ყოველი უმცირესი ნიუანსი. დღეს კი, ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ენისადმი ნაკლებად იგრძნობა ქართველთა პატივისცემა. მავანთ ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა!

ქართული ენა უეკლო გზით არ მოსულა ჩვენამდე. მან თავისი განვითარების გზაზე დევნა და შევიწროება განიცადა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა დღემდე მოიტანა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენა და თავისი დამოკიდებულება ენისადმი იმითაც გამოხატა, რომ მას ,,დედა ენა" უწოდა.

უცხოური, უპირატესად ინგლისური, ზოგჯერ კი რუსული ლექსიკის უფუნქციო, უადგილო და ყოვლად გაუმართლებელი შემოჭრა მხოლოდ მის დამნერგავ ,,ინტელექტუალთა" თუ ,,ევროპულ-ამერიკულად" მოაზროვნეთა უგემოვნობასა და სიზარმაცეს, უვიცობასა და თავის გამოჩენის სნობურ სურვილს არ უნდა მიეწეროს, სამწუხაროდ, ეს უფრო გავრცელებული, გლობალური სენია და ამასთან, ქუჩური ჟარგონის და დიალექტიზმის არნახულ მოძალებასაც თუ გავითვალისწინებთ, ფრიად სავალალო, ენის სადღეისო ვითარების ასე თუ ისე სრული სურათი წარმოგვიდგება.

ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად ენაც იცვლება, ახალ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც ერის ცნობიერებაში შემოდის, თავისი სახელდება სჭირდება და თავისი სიტყვაც მოაქვს. პურიზმი გაუმართლებელია. საერთაშორისოდ მიღებული და ხმარებული სიტყვები ბევრი შემოსულა, დამკვიდრებულა და მომავალშიც შემოვა. იქნება ადგილობრივი ნეოლოგიზმებიც. საქმე მათი შემოტანის აუცილებლობას შეეხება: რატომ უნდა შემოვიტანოთ ისეთი უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომელთა შესატყვისი ენაში უკვე გვაქვს? განა ქართული სათვისტომო და უცხოური დიასპორა, რამაც დღეს, თითქმის საბოლოოდ განდევნა სიტყვათხმარებიდან ეს მშვენიერი კომპოზიტი, ერთი და იგივე არ არის? ვფიქრობთ, გზა უნდა გადავუღობოთ იმ ახალ ,,ნეოლოგიზმებს", რომლებიც ენას არ სჭირდება.

დაუდევარი დამოკიდებულება ქართული ენისადმი დღენიადაგ წარმოჩნდება ნებისმიერ სატელევიზიო არხზე. ახალგაზრდა თაობა უფუნქციო და, თავისი არსით – ღრმად პროვინციალურ ლექსიკას სწორედ ტელევიზიიდან ისმენს, პრესაში კითხულობს და შემდეგ ამგვარად მეტყველება უკვე წესად მიაჩნია. დაუდევარი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, გაღარიბებული ლექსიკა და უბრალოდ, მიუტევებელი შეცდომები ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ ტელეეკრანიდან ,,ფიქსირდება". პრესა, რადიო და ტელევიზია – მასის მეტყველებაზე უზომო გავლენის მქონენი, ხშირად, თავად არიან ,,დედაენის წინაშე ცოდვილნი".

სერიალებში ხშირად შეხვდებით შემდეგ სიტყვებს – ,,მოდუნდი" ან ,,დაძაბული ნუ ხარ". მეცნიერულ ენაზე ამას რელაქსაცია ეწოდება. თურმე სწორედ რელაქსაციისადმი მოწოდებაა ,,აკუნა მატატა", რომელიც ერთ-ერთი საბავშვო გადაცემის სახელწოდება იყო და სუაჰილი ენაზე ,,მოდუნდი", ,,ყველაფერი კარგად იქნება''-ს ნიშნავს. (სუაჰილი ენა აფრიკის რამოდენიმე ქვეყანაშია გავრცელებული.) ნუთუ , საბავშვო გადაცემის სახელწოდებისთვის უკეთესი სიტყვა ვერ მოიძებნა ქართული ენის მდიდარ სიტყვიერ სალაროში? იგივე კითხვა ჩნდება სხვადასხვა დროს არსებული გადაცემების სახელწოდებებთან დაკავშირებით: ,,პრესზონა", ,,მედია მოდა", ,,არტექსპრესი", ,,მელომანია", ,,ფაილი", ,,ანტრე", ,,ეკოდაიჯესტი", ,,მეტრონომი", ,,მუნდაილი", ,,ოქტაგონი", ,,ტიტანიკი", ,,კომუნიკატორი", ,,გალა", ,,ინტერპანორამა", ,,სტუდია რე", ,,ფორტუნა", ,,მაესტრო", ,,თბილისი ლაიფ" და ა.შ.

ტელევიზიამ უდიდესი ძალა შეიძინა, ამიტომ აქ გამართული ლიტერატურული ქართულით მეტყველება წესად უნდა დამკვიდრდეს და არა იშვიათობად; არადა, ზოგჯერ პირუკუ ხდება: ,,ვინები ისხდნენ მავანი პოლიტიკოსის მანქანაში, ვერ გავარკვიეთ," _ წუხს ერთ-ერთი წამყვანი ტელევიზიის ჟურნალისტი, ,,რამდენად რეალიზებადია ჩვენი შოუბიზნესის აუდიოპროდუქცია?" _ ასეთი ,,ქართულით" მეტყველებს მეორე. ,,ბავშვები განათლებით უნდა დაკავდნენ" – გვმოძღვრავს მაღალჩინოსანი მოხელე, ,,ჩვენი მიზანია ოპტიმალური კონფიგურაცია პერსონალიებთან დაკავშირებით", – ამას განათლების სისტემის რეფორმით „დაკავებული" სხვა მოხელე ამბობს, ,,ეს წიგნი ანტურაჟითაც საინტერესოა, ძალიან ლამაზია", – გვესაუბრება ახალი წიგნების მიმომხილველი და სულ არ ადარდებს, რომ ,,ანტურაჟი" ,,გარემოა" ან ,,გარემოცვა" და წიგნის ლამაზად გაფორმებასთან არაფერი აქვს საერთო. თითქოს ტელევიზიის ,,ექსკლუზიური პრიორიტეტი" გახდა უცხო სიტყვების უფუნქციო ხმარება: კონსენსუსი და კონკრეტიკა, მუსირება და პრევალირება, მენტალიკა და დეტალიკა, ლაითბოქსები და მეილბოქსები, ჰედლაინები... ერთ-ერთი პრეზიდენტის ვიზიტის დროს, საშინელი მოსამენი იყო ,,პირველი ლედები", ,,პირველი ქალბატონების" ნაცვლად. როგორი ლექსიკა არ იფრქვევა ჩვენს ტელეეთერში: ,,ამპულა" - ,,ამპლუის" ნაცვლად, ერთმა ტელეჟურნალისტმა ,,ჰამლეტის" ნაცვლად ,,გამლეტი", ხოლო ,,ჰამბურგის" ნაცვლად ,,გამბურგი" წარმოსთქვა, მანვე ,,გერბის" გაქართულება მოინდომა და ,,ჰერბად'' გადააკეთა. ერთ-ერთი პარტიის მოთავემ ,,მენტალიკა", ,,დეტალიკა" და ,,კონკრეტიკა" ერთ ფრაზაში მოაქცია. ქართული კულტურისდამი მიძღვნილ გადაცემაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ არც წამყვანი და არც სტუმარი: ,,გალერისტი", ,,არტელიტა", ,,არტპროცესი", ,,არტდილერი"... ხშირად ხდება არაქართული სიტყვების არადანიშნულებისამებრ გამოყენება: მაგალითად, ერთმა წამყვანმა ,,პლაგიატორის" ნაცვლად ,,პლაგიატი" იხმარა, თითქმის დაკანონდა ,,ცივილიზებულის" ნაცვლად ,,ცივილური", ხშირად ურევენ ერთმანეთში ,,მენეჯერსა" და ,,მენეჯმენტს", ,,მარკეტსა" და ,,მარკეტინგს", ,,ნოტსა" და ,,ნოტას", ,,აპოკალიფსურს'' და ,,აპოფლექსიურს''... რა არს ეს? – გლობალიზაცია, ევროპული ინტეგრაცია, დასავლური ორიენტაცია, კულტურათა დიალოგი, თუ პროვინციალიზმი, არასრულფასოვნების კომპლექსი და მშობლიური ენის უპატივისმცემლობა? ასეთი ტენდენცია აშკარად შეინიშნება არა მარტო მასმედიაში, ზეპირმეტყველებასა და საჯარო გამოსვლებში, არამედ მეცნიერებაშიც, მათ შორის – ,,სიტყვის ხელოვნებაში" – ლიტერატურათმცოდნეობასა და მწერლობაშიც კი.

ჩვენ სწორედ ასეთ უფუნქციო სიტყვების უსამანო მოზღვავებას ვებრძვით, თორემ კარგად გვაქვს გაცნობიერებული ის, რომ კულტურული ინტეგრაცია ბევრ ახალ ცნებას ამკვიდრებს და ახალი უცხო სიტყვების დამკვიდრება საჭიროცაა და აუცილებელიც. ქართულმა ენამ დასაბამიდან დღემდე მრავალი

ასეთი სიტყვა ბუნებრივად შეისისხლხორცა, მაგრამ სიფხიზლეა საჭირო, რომ უფუნქციოდ ხმარებულმა უცხოურმა ლექსიკამ შესატყვისი ქართული სიტყვები არ განდევნოს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქართული ენა ძალზე მდიდარია სინონიმებით, მაშ რატომ ხდება, რომ ზოგიერთ ქართველს არ ჰყოფნის სიტყვის მარაგი და სხვა ერის ენას, ჟარგონს ან ბარბარიზმს იყენებს?

რამდენიმე მაგალითი სინონიმების სიმრავლესთან დაკავშირებით: скряга – ძუნწი, წუწურაქი, კრიჟანკი, დამწვარი, ქვაწვია, ხელმოჭერილი, პურაძვირი, მკვახერეკია. здаровый – ახოვანი, ზორბა, ტანადი, მოსული, ვეება, ზორზოხი, წარმოსადეგი, ტანმაღალი, ახმახი, ბრგე. трипач – ლაქლაქა, ყბედი, მოლაყბე, ენაჭარტალა, ენადაუბმელი, ენატარტარა, ტრაბახა, ენამსწარა, ენამაკრატელა. противный – საზიზღარი, მყრალი, საძაგელი, საშინელი, უხამსი, ამაზრზენი, აუტანელი, უმსგავსი, გულისამრევი. საკვირველია იმ ქართველის საქციელი, რომელიც საკუთარ ენაში, ამდენი სინონიმებიდან ერთს ვერ ამოარჩევს და აზრის გამოსათქმელად არაქართულ სიტყვებს მიაშურებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ჟარგონმაც ძლიერ დაგვიზარალა სამეტყველო კულტურა. ჟარგონული სიტყვები ენაში სამუდამოდ არ მკვიდრდება. შესაბამისად, ჟარგონი მარად ცვალებადია, აქაოდა დემოკრატიააო, ყოველ ნაბიჯზე ყურს გვჭრის ჟარგონები: ,,რა პონტია", ,,მევასება", ,,შარაფი", ,,კაიფი", ,,ვარიანტი არ არის", ,,გაჩითა", ,,დაბრიდა", ,,მასტი", ,,მაყუთი", ,,გაუტყდა", ,,გაუსწორდა", ,,ბარიგა" და ა.შ. ყოველივე ეს რა თქმა უნდა მძიმე მოსასმენია.

სკაბრეზულობაც მუდამ არსებობდა და იარსებებს ლიტერატურაში, მაგრამ თუ ის თვითმიზნად იქცა, ეს უკვე მხატვრული ლიტერატურა კი არა, გაურკვეველი დანიშნულების პორნოტექსტია. სწორედ წრეგადასულმა სკაბრეზულობამ, ენობრივმა ნატურალიზმმა – ე.წ. არანორმატული ლექსიკით გატაცებამ, მწერალთა ერთი გუნდი გაუგონარ მკრეხელობამდე მიიყვანა. მათი ვითომდა კონცეპტუალური ნატურალისტურ-პორნოგრაფიული, სადისტურ-მაზოხისტული ტექსტები არნახული აგრესიით, ბოღმითა და ბრაზით არის დაყურსული. ბილწსიტყვაობა არ არის პირველადი, ის ავადობის თანმხლები მეორადი მოვლენაა; საფუძველი კი ურწმუნოება, სულის სიტლანქე, ტრადიციული ქართული ცნობიერების რღვევაა.

ქართული სალაპარაკო ენა აუცილებლად საჭიროებს უაღრესად ეფექტურ ფილტრს სწორი მეტყველების სახით, ვინაიდან უხვადაა აჭრელებული ბარბარიზმებით. იგი სენივით მოედო ჩვენს მეტყველებას, სოფლადაც და ქალაქადაც, და უმოწყალოდ ნაგვიანდება ენა.

ჩვენი სალაპარაკო კულტურის დაბალი დონე ბევრი ფაქტორითაა განპირობებული, ერთ-ერთი კი უყურადღებობა და დაუდევრობაა. ხომ ყველამ ვიცით, რომ ,,პერერივი" – შესვენებაა, ,,პაზორნი" – სამარცხვინო, ,,კაროჩე" – მოკლედ, ,,იტოგში" – შემდეგ, ,,ვაფშე" – საერთოდ... ზეპირმეტყველების დროს კი ბევრი ანგარიშს არ უწევს სათქმელს და რაც პირზე მოადგება, იმას ამბობს, ამიტომ ამ ადამიანებს, ყურს ისეთი სიტყვები ჭრის, როგორიცაა სუნამო (,,დუხი"), ფაქიზი (,,ტონკი"), მუშამბა (,,კლიონკა"), პირშუშხა (,,ხალადეცი"), ოხრახუში (,,პეტრუშკა"), რუხი (,,სერი"), მდოგვი (,,გარჩიცა"), კოტოშები (,,ბანკები"), საქაღალდე (,,პაპკა"), სწრაფჩამკერი (,,სკორიშივატელი"), ბარდა (,,გაროხი"), შაქრის ფხვნილი (,,პესოკი"), ზუთხი (,,ასეტრინა"), საბარგული (,,ბაგაჟნიკი"), საბურავი (,,პაკრიშკა"), ხარაზი (,,საპოჟნიკი"), შედუღება (,,სვარკა"), სახრახნისი (,,ატვიორკა"), ბრტყელტუჩა (,,პლოსკოგუბცი") და ა.შ. საჭიროა ქართულად აზროვნება. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,მეტყველების ნიჭს ისეთი ვარჯიში უნდა, როგორც ყველაფერს სხვას."

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ნიკო მარის, ჩვენში ათასჯერ გამეორებული სიტყვები: ,,ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას, რა გინდა რა ენით", მაშ რაღა საჭიროა ის ტერმინოლოგია, რომელიც ფეხს იკიდებს ენაში?

ქართული ენა, რომლის ფესვები მრავალ ათასწლეულთა სიღრმეშია, თავისი ისტორიის მანძილზე თანდათან იხვეწებოდა, ყალიბდებოდა და ბიბლიის ქართულ თარგმანამდე, იოანე ზოსიმესა და ,,ვეფხისტყაოსნამდე" თავისი უნიკალური სახით მოვიდა.

,,დედაენა სულია ეროვნული არსებობისა," წერდა არჩილ ჯორჯაძე. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სწორედ ,,ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობის და მთლიანობისა".

ლიტერატურა:

1. ავალიანი ლალი, დედაენის წინაშე ცოდვილნ, ჟურნალი ,,კრიტიკა", №3, 2005;
2. არაბული ავთანდილ, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2002;
3. აფრიდონიძე შუქია, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002;
4. ტაბიძე მანანა, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი, თბ., 2005;
5. ხოჯევანიშვილი ელენე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, ტომი I, გორი, 2001.

კნინობითი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები და სოფელ ტინისხიდის მეტსახელები

ეკა იორამაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

გამოხატვის სიმცირის, ალერსის, დამცირების, სემანტიკის, სიტყვა წარმოების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით კნინობითობა სიტყვას ემოციურ–გამომსახველობით იერს აძლევს, ძირითადი ობიექტური მნიშვნელობა კი უცვლელი რჩება.

ძველსა და ახალ ქართულში კნინობითი სახელები ნაკლებად არის გავრცელებული. ის უფრო ცოცხალი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და ძირითადად გვხვდება დიალექტებში.

ყველაზე გავრცელებულია მისი გამოხატვის მარტივი საშუალებები: –ა, აკ, იკ, ოკ, ან, ინ, ალ, ილ, ტ, იტ, ოტ, იც, იკ, უჭ, იჩ, უჩ და სხვანი. შეერთებით მიღებული სიტყვებით – ოკინა.

მოფერებით–კნინობითი ჰქვია ისეთ წარმოქნილ სიტყვებს, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ. ძირეული სიტყვისაგან დედა მიღებულია მოფერებითი საალერსო ფორმა დედილო, ხოლო კაცისაგან–დამცირებითი ფორმა კაცუნა: დედილო მოფერებითი სახელია. კაცუნა–დამცირებითი.

სალიტერატურო ენაში მოფერებით–კნინობითი სიტყვები მცირეა, დიალექტებში მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. სალიტერატურო ენაში მათ საწარმოებლად იხმარება – ილ, იკ ||იკო, – უკ–ა, –უნ–ა -ა სუფიქსები.

–ილ–ო იშვიათად იხმარება და ვპოულობთ ორად–ორ ფუძესთან: დედა –დედილო, მამა–მამილო. ქართ. –ილ. ა. შენიძის დაკვირვებით უკავშირდება სვანურ მაკნინებელ –ილ–ს და მისი ფონეტიკური ვარიანტია –ელ–ა. –ელ–ა საკუთარ სახელთა დამცირების ფორმებს აწარმოებს: კაცი–კაციელა, გიორგი–გიორგელა.

–იკ–ო სუფიქსი წარმოშობით წოდებით ბრუნვაში ყოფილა, მაგრამ ამჟამად მკაფიოდ გამოკვეთილი დერივაცია მაწარმოებელი საალერსო ფორმებისა ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: თამარ–თამრიკო, ვერა–ვერიკო, გული–გულიკო, დათა–დათიკო, შალვა–შალ(ვ)იკო. ბ) საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან: და–დაიკო, ძმა (ძამა)–ძამიკო, ბიძა–ბიძიკო, ბებია–ბებიკო, შვილი-შვილიკო, დედა-დედიკო, მამა - მამიკო.

–უკ–ა წარმოებით რთული მაკნინებელი სუფიქსია (–უკ) და სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება. გვხვდება ასეთ შემთხვევებში: გლახა–გლახუკა, ბეჟია–ბეჟუკა. სახლი–სახლუკა...

–უნ–ა მოფერებით–დამცირებითს ფორმებს აწარმოებს სახელთ გარკვეული ფუძეებისაგან: ბიჭი–ბიჭუნა, დათვი–დათ(ვ)უნა, წალდი–წალდუნა. მჟავე–მჟა(კ)უნა. ჩიტი–ჩიტუნა, გვრიტი–გვრიტუნა.

–ა დერივიტი დამცირებით (კნინობით) ფორმებს აწარმოებს:

ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: ბაგრატ–ბაგრატა, კაცი–კაცია, დავით–დავითა, ფატი–ფატია, ლევან–ლევანა, ნიკოლოზ–ნიკოლოზა, ვახუშტი–ვახუშტა.

ბ) საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან: ვაჟი–ვაჟა, დედოფალი–დედოფალა და მისთ. (ქართული ლექსიკოლოგია, ალ. ღლონტი, გვ. 95-96).

–უნა ერთ–ერთი გავრცელებული სუფიქსია ქართლში. იგი გამოიყენება, როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელების საწარმოებლად. იგი მნიშვნელობით იგივე რაც –უკა.

რთული მაწარმოებელი –უნა, რამდენიმე სახელში გვხვდება. მაგ.: კაც–უნა, გოგო–ნა, გოგო–უნა (ა. შანიძე 1955 გვ. 73).

ა.შანიძეს შენიშნული აქვს უნას და –უკას პარალელურად ხმარების შემთხვევები ანთროპონომებში. მაგ.: გლახ–უნა, –გლახუკა.

ა. ღლონტი თვლის, რომ –ენა ფუნქციურად –უკას ელემენტის ტოლფარდია. ისინი უპირატესად ერთ ვარიანტადაა რეალიზებული: ბაბუნა თაკუნა (ალ. ღლონტი. 1966 გვ. 27)

ალ. კობახიძე აღნიშნავს, რომ –უნა სუფიქსის გამოყენება რამდენადმე შეზღუდულია, ვიდრე –უკა სუფიქსის, კერძოდ –უნა რთულ დიალექტებში იხმარება (ლ, მ, ნ, რ) შემდეგ. ზოგჯერ მის ადგილს –უკა სუფიქსი იჭერს და სხვა. შემთხვევაში რაიმე კანონზომიერება არა ჩანს მათ გამოყენებაში, ერთსა და იმავე თანხმოვნის შემდეგ ერთიც იხმარება და მეორეც.

მაგ. კატა–კატუნა, ბიჭი – ბიჭუნა (ა. კობახიძე. 1962. გვ. 159).

წყაროების მიხევით –ალ სიტყვათმწარმოებელი სუფიქსი აღდგება საერთო ქართველურ დონეზე (ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 82).

–ილა – დედილა, კიკილა –გვარებში –კიკვილაშვილი, სუხილაშვილი.

–ელა– ძამელაშვილი, ფალელაშვილი, ჭეჭელაშვილი.

ანთროპონოემები, ისევე როგორც ტოპონიმი, ენის ლექსიკური ფონდის განყენებული ნაწილია და მის სიმდიდრეს წარმოადგენს. ანთროპონიმიაში გამოიოყოფა ერთი მხრივ, პიროვნული სახელები (საკუთრივ ანთროპონომები), მეორე მხრივ კი – მეტსახელები (თიკუნები). ჩვენ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ამ მეორე ქვეჯგუფზე ე.ი. მეტსახელებზე.

როგორც პროფ. ალ. ღლონტი აღნიშნავს მეტსახელი ანუ ,,თიკუნი“ საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი. ზოგჯერ ადამიანს მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე ნამდვილი სახელით.

გორის რაიონის სოფ. ტინისხიდში ფართოდაა გავრცელებული მეტსახელების ხმარება. როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, მეტსახელის დარქმევას ხელსუწყობდა გარკვეული ცრურწმენასაც. როცა მამაზეციერი სულთამხუთავს გამოგიგზავნის ვისიმე სულის ზეცაში წასაყვანად, სულთამხუთავი მას იოლად ვერ მიაგნებს და სულს ვერ ამოართმევს. რაკი რამდენიმე სახელი ჰქვია. პროფ. ვ. ბარდაველიძეს დადგენილი აქვს, რომ ქართველთა წინაპრებს რამდენიმე სახელი ერქვათ და შესაბამისად იმავე რაოდენობის შესაფერისი სული გააჩნდათ. მან ეს პირობა განიხილა ხევსურეთის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რომელიც ქართული ყოფით ელემენტებს დიდი კონსერვატიულობით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ხევსურეთში ადამიანს რამდენიმე სახელი ერქვა. ამათგან ერთი იყო ე.წ. ჯვრის სახელი, მეორე სულთა სახელი, შემდეგ ე.წ. თიკუნი, შერქმეული სახელი, რომელიც ზოგს ორი, სამი და ოთხიც კი ჰქონდა და ბოლოს, ნათლობის სახელი, რომელიც უეჭველია ქრისტიანულ ნათლობასთან ერთად გააჩნდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში და კერძოდ, გორის რაიონის სოფ. ტინისხიდში კანონიზებული ქრისტიანული სახეების გვერდით ყოფაში იყო ქართული სახელები, რომლებიც ქარისტიანობის გავრცელების შემდეგ ზედმეტსახელებად იქცნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტიანობამ ქართული სახელები მთლად ვერ გამოდევნა. ქართულმა სახელებმა მეტსახელების კატეგორიაში გადაინაცვლა.

დღესდღეობით მეტსახელების დარქმევის ტრადიცია კი გრძელდება და ესა თუ ის პიროვნება, ქალი თუ კაცი, ოფიციალურ სახელთან ერთად ხშირად ატარებს ზედმეტ სახელსაც, რომელიც მას შერქმეული აქვს რომელიმე ფიზიკური ნიშნის მიხედვით ან სულაც რაიმე შემთხვევის გამო.

წარმოების მიხედვით მეტსახელები ნაირფეროვანია. ყველაზე ხშირად მეტსახელთა საწარმოებლად გამოიყენება ა სუფიქსი, რომელიც დაერქვა როგორც არსებით სახელებს, ისე ზედსართავებს, მიმღეობებს, საწყისებს. მაგ. ბალკა. ბათუმა, ბოტა, კამპოტა, ნაჯახა, რაჭა, შამფურა, შუშხუნა, ყვინჩილა. იშვიათად ა სუფიქსის წინ –ან, –ინ, –უნ სუფიქსებიც იჩენენ ხოლმე თავს. მაგ. შუშხ–უნ–ა, ჭიჭყ–ინ–ა, ჭყივ–ან–ა.

საკმაოდ ცნობილია ო სუფიქსიანი მეტსახელები: ბებერო, დოხო, მოხუცო, ტრანგო, შაო.

ჩვენი აზრით მეტსახელთა მაწარმოებლად შეიძლება გამოიყენოს ე სუფიქსიც, თუმცა ძირეული სიტყვის მნიშვნელობა ყოველთვის ნათელი არ არის. ტიგრ–ე, ჩელ–ე, იპოლიტ–ე. სოფ. ტინისხიდში ფიქსირებულ ადამიანთა მეტსახელები შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ. აშკარაა, რომ სახელების ერთი ნაწილის დარქმევას საუკუნეების ისტორია აქვს. სახელთა მეორე ნაწილი კი გვიან პერიოდშია წარმოქმნილი. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ხალხის მიერ ახალი სახელების შემოქმედებით შექმნა მუდმივად ხდებოდა.

მაგალითად, აშკარაა, რომ ისტორიული სიღრმიდან მოდის ბევრი სახელი, როგორიცაა ხაბა (შდრ. გვარი ხაბაშვილი), კლიმე (აქედანაა გვარი კლიმიაშვილი).

საქართველოში მეტსახელები მამაკაცისა უფრო მეტია დაფიქსირებული, ვიდრე ქალისა. იგივე შეიძლება ითქვას ტინისხიდში გავრცელებული მეტსახელების შესახებაც.

ბალკა – მუშაობდა რკინის ქარხანაში ყიდდა რკინას.

ბებერო

ბესტი

ბოტა –მოუპარავს ცხვარი და სახელიც აქედან მომდინარეობს

დოხო – ბავშვობაში სიმსუქნის გამო დაურქმევია მამიდას.

იპოლიტე – რომელ სახლშიც დღესდღეობით ცხოვრობს, სახლის უფროსს ჰქრმევია ეს სახელი

კიჭა – ავარიის დროს კბილები ჩამტვრევია და დაერქვა ეს სახელი.

კრეჭია

კუკულავა

მოწნული

მოხუცო

ნაჯახა
ნემსა – სიმაღლისა და სისუსტის გამო შეურქმევიათ.
რაჭა – რაჭველია, რაჭიდან არის წარმოშობით.
ტიგრე
ტრანგო – ბავშვობაში „ტრანგალეტკით“ სირბილი ჰყვარებია.
ფეჩი
ფუსე
ყვინჩილა – ხმამაღალი ლაპარაკის გამო შეარქვეს.
შაო – შავი ფერის გამო შეარქვეს.
შუშხუნა – ღვინის სიყვარულის გამო შეარქვეს
ჩელე – სიმღერა ჰყვარებია და აიგივებდნენ ჩელენტანოსთან.
ჩურჩხელა
წუე
ჭუტალა – მოჭუტული თვალების გამო დაურქმევიათ.
ჯღამია.

სახელებთან ერთად ვხვდებით გვარებსაც, რომელთაც გააჩნიათ ასევე ზედმეტი სახელები. ერთი და იგივე გვარს შეიძლება რამოდენიმე ზედმეტი სახელიც კი ჰქონდეს. მაგალითისათვის ავიღოთ გვარი იორამაშვილი. იგივე პანჭროლიანი წინაპარს ჰქრმევიათ პანჭროლე და გვარიც აქედან მომდინარეობს. იმავე გვარის წარმომადგენლებს ეძახიან ტვლეპიაანთს – ეს სახელწოდება გამომდინარეობს იქიდან, რომ წინაპარს ყვარებია ქვაბის ტვლეპა.

ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები გვარის წარმომადგენლებს უწოდებენ ასევე ნიჭყიტაანთს, ტატოაანთს.

ვანცეტაანი იგივე ფალელაშვილები – წინაპარს მეტსახელად ერქვა ვანცეტა.

ყაზარაშვილი – ნაქუჩაანი, თუნიაანი

ანიაშვილი – პეტოაანი, დიდ პაპას რქმევია პეტო.

ბურძენაშვილი – ბებეროაანი

ავაზნელები – ქაცაანი, კუწმაანი

სწორედ ასეთი სახით ვხვდებით სოფ. ტინისხიდში მცხოვრები ხალხის გვარებისაგან წარმოქმნილ სხვადასხვა სახელებს. რომლებიც ზოგი პიროვნების მეტსახელიდან მომდინარეობს, ზოგს კი გარკვეული ისტორია აქვს.

ლიტერატურა:

1. ვ. თოფურია, შრომები III თბ. 1979;
2. ალ. კობახიძე 1962 კნინობითის წარმოება რაჭულში იკე ტ. XIII ბ. 1962;
3. აკ. ღლონტი ქართული საკუთარი სახელები თბ. 1986;
4. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობა ონომასტიკა, 2002;
5. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1955;
6. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

ოთარ ჩხეიძის ენის ზოგიერთი თავისებურება რომან „2001 წლის“ მიხედვით

მალვინა კეჩხუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე საუბარი წარმოუდგენელია მისი ენის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. მწერლის ენის თავისებურებათა გამოსავლენად მრავალ ფაქტორს ენიჭება ყურადღება და მისი შეცნობა დღესაც ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემად რჩება. არსებობს მკვლევართა განსხვავებული მოსაზრებანი მწერლის ენის შესასწავლად სხვადასხვა პრინციპის და მეთოდების გამოყენების შესახებ. ჩვენ იმ პოზიციას ვუჭერთ მხარს, რომლის მიხედვითაც მწერლის ენაზე დაკვირვება უპირველესად მისი სტილის, წერის მანერის შესწავლას გულისხმობს, ანუ იმას, თუ ენობრივი გამოხატვის რა ფორმები და რა მხატვრულ-ექსპრესიული საშუალებებია გამოყენებული ამა თუ იმ შინაარსის, იდეის ხორცშესასხმელად, რა მიზანს ემსახურება მრავალფეროვან საშუალებათაგან მის მიერ შერჩეული კონკრეტული ფორმების გამოყენება და რა შედეგს იძლევა მათი ხმარება იდეურ-შინაარსობრივი თუ მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთ მიდგომას შეუძლია გამოავლინოს მწერლის ენის ღირებულებანი მთლიანობაში და შემოქმედის ენის განსაკუთრებული საშუალებებით იქმნება მისი ინდივიდუალური სტილი.

კრიტიკოსი მაია ჯალიაშვილი აღნიშნავს: „2001 წელი”- ეს არის მოზაიკური ნახატი ცხოვრებისა, სადაც უთვალავი ფერია, ჭახჭახაცა და მშვიდიც და ამ გრანდიოზულ ტილოზე მწერალს 2001 წლის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა დაუტევია. ასე რომ, არა მხოლოდ ქართველ მკითხველს, არამედ ნებისმიერი ერისას, შეუძლია ჩაიხედოს ამ რომანის სარკეში და თავისი თავი დაინახოს“. ამჟამად ჩვენს მიზანს მხოლოდ რომანის ზოგიერთ ენობრივ თავისებურებაზე მსჯელობა წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში უმთავრეს როლს მწერლები ასრულებენ, ამიტომაც ენიჭება მწერლის ენის თავისებურებათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენათმეცნიერთა შორის და ამიტომაც იწვევს მკვლევართა ინტერესს ინდივიდუალობით გამორჩეული მწერლის ენასა და სტილზე დაკვირვება. ,,ქართული ენის სიმდიდრე და სილამაზე, მისი მთავარქართულობა, ჩვენს დროში ყველაზე მეტად (გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ) ორმა მწერალმა დაიცვა: პოეტმა ანა კალანდაძემ და პროზაიკოსმა ოთარ ჩხეიძემ'', - წერს კრიტიკოსი იოსებ ჭუმბურიძე. ოთარ ჩხეიძე, როგორც ყველა ჭეშმარიტი მწერალი, თვით ქმნის თავის ენობრივ სტილს და, აქედან გამომდინარე, მისი წერის მანერაც და ლექსიკაც სწორედ რომ მისეულია. ჩვენ შევეცადეთ გამოგვევლინა ზოგიერთი ლექსიკური და გრამატიკული თავისებურება და მათი სტილისტური ფუნქციები ოთარ ჩხეიძის რომანში „2001 წელი“.

ოთარ ჩხეიძის რომანებიდან ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ სიტყვის ფუნქცია მწერლის ხელში, არამედ თავად მწერლის დამოკიდებულება სიტყვისადმი, ენისადმი. კრიტიკოსები წერენ, რომ ოთარ ჩხეიძემ ქართული ენა ლიტერატურულ პერსონაჟად აქცია და მეტად ორიგინალურად წარმოგვიდგინა ხალხისა და ენის ურთიერთობა. შთამბეჭდავად ასახავს მწერალი, თუ როგორ კნინდება ენის დაკარგვით ჩვენი სულიერება. მწერლის ინდივიდუალური ენისა და სტილის შესაცნობად მნიშვნელოვანია თვითონ მწერლის შეხედულებანი ენის როგორც ზოგადთეორიულ, ისე კონკრეტულ საკითხებზე. ეს შეხედულებანი ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებებშივე არის ჩაქსოვილი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდებს ,,არტისტული გადატრიალებიდან” და ,,თეთრი დათვიდან”: ,,ენაც მოქარგულა, აშვებულა მოქარგული ენაი, ეშმაკის ენაი, ეშმაკის ენაი აშვებულა, ქარგავს სიავესა, სიმახინჯესა ქარგავს” (,,არტისტული გადატრიალება”, 3); ,,ხალხმა რა გაიგოს, თუ არ მიაჩვია ყური, თუ არ გაიმეორა, თუ დაივიწყა სიტყვარი თავისი, თავისი გამოთქმანი, შინაარსიანი გამოთქმანი, გულში ჩამწვდომნი, სულში ჩაწნულნი - რაღა გაიგოს?!” (,,თეთრი დათვი”, 372); ,,ენა!... ენაი! სხვა სახელმწიფო სხვისი იქნება” (,,თეთრი დათვი“, 374); სწორედ ასეთი გაგება უდევს საფუძვლად მწერლის დამოკიდებულებას ენისადმი, ამიტომ უფრთხილდება თითოეულ სიტყვას, ათასჯერ ზომავს და წონის, მისეულ ჯარდაკში გამოატარებს, მრავალნაირად შეაბრუნ-შემოაბრუნებს და მხოლოდ მას მერე გამოიყენებს.

,,ოთარ ჩხეიძის სტილი ერთგვარი მედიუმია, გამტარია მზესა და მიწას შორის, ცასავითაა, მზის ენერგიას რომ ფილტრავს და აკავებს. რომ არა ცა, მზის მხურვალება გადაბუგავდა დედამიწას. ოთარ

ჩხეიძის შემოქმედებაშიც ასეა. იმდენი საიდუმლო, ისეთი პროცესები და მოვლენები იმალება და კავდება მისი სტილისტიკით, რომ არა ეს ხელწერა, მათი ნიაღვრები წამლეკავი აღმოჩნდებოდა გონებისათვის"_ ასე აფასებს ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას მწერალი მაკა ჯოხაძე.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შოთა რუსთველის სტრიქონი, რომელიც თვითმხილებაზე მიანიშნებს :

"ვინც თუ რამან შეაწუხოს, მოუაროს ყველამ თვისსა".

სწორედ აღნიშნული ეპიგრაფი ამზადებს მკითხველს ნაწარმოების სწორად, ადეკვატურად აღქმა-გაგებისათვის, რაც ერთგვარი სტილისტური ხერხია.

ემფატიკური ა ხმოვნის ხშირი გამოყენების გამო კრიტიკოსთა ერთმა ნაწილმა ძველმოდურად და ძნელად საკითხავად მიიჩნია ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები. ემფატიკურ ა-ს საკმაოდ ჭარბად ხმარობს მწერალი ჩვენ მიერ განსახილველ რომანში: „ენდეთ მეგობარსა გაჭირვებისა, ეს ჩემგან იცოდეთ, მეგობარი დალხინებისა თქვენთვის მომინდვია"(„2001 წელი", 345); ,,განაგებდა საქმესა თავისასა რა სიდინჯითა, მონდომებითა, ცოდნითა, რა გონივრულადა." („2001 წელი" ,367).

მწერლის ენას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს არქაული ფორმების ხმარება. მაგ.: „მზე ცარგვალზეა, სიბნელე განქრა"(„2001 წელი",12); ,,იქ მიეღოთ წოდებანი, უმაღლესი წოდებანი ჩამოეტანათ და იფხორებოდნენ, ვითარცა განსწავლულნი უცხოეთშია"(„2001 წელი", 31); ,,მოსწონდა ხელისუფლებასა საძრახისადა ვიეთათვისა" („2001 წელი", 230); ,,მომთხოვნი იგი მათხოვრებად გარდიქმნებოდნენ, მყისვე, უცბადვე" („2001 წელი", 300). რა თქმა უნდა, ავტორი არქაიზმებს შეგნებულად მიმართავს, რათა მკითხველს ამაღლებული განწყობა შეუქმნას, ისტორიული რეალობა შეაგრძნობინოს, სიძველის განცდა აღუძრას.

მწერალი მიმართავს გამეორებას, როგორც პოეტური ფიგურის სახეობას და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით იმეორებს სიტყვებსა და გამოთქმებს. მიმართავს გამეორების სხვადასხვა შემთხვევას: გვხვდება, როგორც ა) ცალკეულ ბგერათა, ისე ბ) ცალკეულ სიტყვათა გამეორება:

ა) ,,თავმოყვარეობა თუ დაკარგულა – თავი ყველას უყვარს, უყვარს, უყვარს მომეტებულადაცა" („2001 წელი", 288); ,,მხსნელი ბრძანდებოდა თუ გამტაცებელი ისეთივეი, ანთუ ერთგვარად განსხვავებული – გატაცებულთა გამტაცებელი" („2001 წელი", 10).

ბ) „რამდენჯერ მითქვამს, ვიმეორებ და ვიმეორებ, ვიმეორებ და ვიმეორებ ვის რას შეასმენ, მგელი მგელია" („2001 წელი", 289); ,,მიჰყვა, მიჰყვა და მიჰყვა, იმატა, იმატა და იმატა ხმამა" („2001 წელი", 316).

თხრობას მეტ ექსპრესიულობას მატებს მსგავსი შინაარსის ზმნათა ერთმანეთზე მიჯრით გამოყენება: „სპორტი გადაარჩენს საქართველოსაო, ჩაიმსხვრა, ჩაილეწა, ჩაიფშხვნა, ვითომცა ყოფილიყო, ვითომცა არაო" („2001 წელი", 30); ,,ეს წვიმა უშველის?! თქრიალებს, ჩხრიალებს, შხაპუნობს, გუბდება, მალევე გადაიღებს, შხაპუნა იმის შხაპუნაა" („2001 წელი", 81). ასეთი ფორმები ერთბაშად ყოვლისმომცველ ინფორმაციას აწვდის მკითხველს და ერთგვარად ძლიერი შთაბეჭდილების და გავლენის ქვეშ აქცევს მას. მწერალი მიმართავს წერის ორიგინალურ მანერას, ერთგვარ სტილურ წრებრუნვას, აზრის წრიულ ტრიალს, რომლითაც იგი თითქოს ერთგვარ სტილისტურ ბარიერს ქმნის, რათა უამრავი განმეორება-დაზუსტებით, თემატური გადახვევ-გადმოხვევებით გზა აუბნიოს შემთხვევით მკითხველს და მწერლის ჭეშმარიტ სათქმელამდე მხოლოდ ჭეშმარიტმა მკითხველმა მიაღწიოს.

რომანში ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ გამოყენებული, ჯერ კიდევ ძველი ქართულიდან ცნობილი პარონომაზიული გამოთქმები, მაგ.: „იქ რად დაუძახეს - თუ იეჭვებდა, თორემ დასკვნით ბევრს ვერაფერს დაასკვნიდა" („2001 წელი", 7); ,,მაგრამ ფული რო!.. იმედოვნებდნენ იმედოვნებითა, იმედოვნებდნენ და იმედოვნებდნენ" („2001 წელი", 28); ,,აყოლითაც აყვა, დაუწუნა დაწუნებითაცა" („2001 წელი", 97).

რომანში გამოყენებული ხალხური თქმები, იდიომები და ანდაზები განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენს ნაწარმოების ენას. ბევრი მათგანი ცნობილია: „არ მოაკლებდნენ მუქარასა, თითი მაინც ვერ დაეკარებინათ" („2001 წელი", 4); ,,გაიტაცებდნენ და დაალევინებდნენ ჩაილურის წყალსა" („2001 წელი", 8); ,,ჯერ ყბაში არ ჩავარდნოდა ჟურნალისტებსა" („2001 წელი", 18); ,,კაცი რო ჩირადაც აღარა ჰღირდა" („2001 წელი", 231).

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმობნეული ხალხური სიტყვიერებიდან ცნობილი ანდაზები და აფორიზმები მძლავრი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. მათი ჩართვით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და, რაც მთავარია, ეს მასალა ბუნებრივადაა ჩაქსოვილი თხრობაში და ძნელად გამოირჩევა მწერლის ენისაგან: „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო" („2001 წელი", 35); ,,გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო" („2001 წელი", 138); ,,ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია" („2001 წელი", 197).

მწერალი ხშირად იყენებს გამონათქვამებს რუსთაველის, აკაკის და სხვა ცნობილ მწერალთა სტრიქონებიდან და მათი მთავარი ფუნქცია ის არის, რომ ისინი საკუთარი აზრის განსამტკიცებლად მოიშველიოს, რათა უფრო დამაჯერებლად მიიტანოს იგი მკითხველამდე: „ვისაც ბედმან რაცა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს" („2001 წელი'', 230); ,,განა დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?!" („2001 წელი", 286).

მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში მხატვრულ ხერხთა მთელი წყება მონაწილეობს. ხშირად შეუძლებელიცაა იმისი ცხადყოფა, თუ რა ფუნქციას ასრულებს რომელიმე მათგანი საკუთრივ. მსაზღვრელ–საზღვრულთა მონაწილეობით მიღებული სიტყვათა შეთანხმებანი სხადასხვაგვარ, მკაფიო, შთამბეჭდავ „მხატვრულ ხატებს" ქმნიან. აღქმის თვალსაზრისით კი შეიძლება იყოს „გრძნობადი სიტყვები", რომლებიც სხვადასხვაგვარ შეგრძნებებსა და განცდებს გამოხატავენ, მაგ.: „არ მოეწონა მზერაი ესე ჩაციებული" („2001 წელი", 303); ,,მტრის ფარად იდგა"(„2001 წელი", 304); ,,გელოდება უფსკრული ღორმუცელაი, მოუპირავი, ხახადაფჩენილი" („2001 წელი", 317). მხოლოდ მწერალს შეუძლია შეიცნოს "თვალის ენაი", ან ეძინოს ღამესთან ერთად ,,მკვდრულის ძილითა," ამდაგვარი მხატვრული სახეები სხვადასხვა ენობრივი საშუალებით ხორციელდება და სწორედ ამ საშუალებათა მიგნებაში ვლინდება მწერლის ინდივიდუალურობაც.

რომანში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მწერლის მიერ გამოყენებულ ფერებს: „მთის წყალში ვერ ეცნოთ, კრიალა წყალში, ბრჭყვიალა წყალში, წყალში მზისა და ფოთლისფერშია, მზეფოთლისფერშია" („2001 წელი", 148); ,,ფერი ედო ბინდბუნდისაი" („2001 წელი",246); „სხვა ფერს მისცემდა მზეი გომბორისაი ძოწისფერსა" („2001 წელი", 188).

ოთარ ჩხეიძის პოეტური ენის ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა: „ბღაოდა ქუჩები" („2001 წელი",201); ,,მორღვეული საზღვრები ჰკიოდა, სისხლი ჰკიოდა, მიწა ჰკიოდა" („2001 წელი", 297). ამგვარი მხატვრული ხერხების გამოყენებით შეძლო მწერალმა მკითხველის შთაბეჭდილების გაძლიერება და ინტერესის კიდევ უფრო გაღრმავება.

მწერალი სხვა მხატვრულ ხერხებთან ერთად ხშირად მიმართავს გაპიროვნებას, როგორც შთამბეჭდავ მხატვრულ ხერხს, მაგ.: ,,ქათქათებდა მზეი გომბორისაი, დილიდანვე ქათქათებდა, ტორავდა ცასა გომბორისასა" („2001 წელი", 96); ,,იცინოდა ბალახი, ყვავილი იცინოდა, ხარობდა, ღაღანებდა, მოშანდაკებულ ველს იქითა აზუზულიყო სატვირთო მანქანები" („2001 წელი", 80).

ვხვდებით ზმნისწინთა ხმარების უჩვეულო შემთხვევებს: „წააკეცებდნენ ბრალდებასა თუ მოინებებდნენ" („2001 წელი",1); ,,უხუცესები გამოიცქირებოდნენ ჩამქრალი თვალებითა" („2001 წელი", 113); ,,დაჯიბრებულიყვნენ რო მთვრალი მაყრები"(„2001 წელი", 236).

სიტყვასა და ოთარ ჩხეიძეს შორის განსაკუთრებული შინაგანი კავშირია. იგი გამოირჩევა სიტყვის ქმნადობით, მაგ.: ,,თაობებში იხლაკნებოდნენ ნათლიმირონობისა თუ სისხლისნათესაობისა'' („2001 წელი", 51); ,,ოდნავ მოხედა, გაუღიმა, აუკვირილდა დარბაისულადა, ანიშნა დაბრძანდითო" („2001 წელი", 72).

მწერალი სიტყვის ორიგინალური ქვეტექსტით ახდენს გმირთა გამოწვევას და შეფარული სტილით ამჟღავნებს ენასთან მწერლის თამაშის ამოუწურავ სურვილს. თითქოს იშლება ზღვარი პაროდიასა და ტრაგედიას, თვითირონიასა და დაფარულ სევდას შორის. მაგ.: ,,შევარდნაძემ მერე იტრაბახოს: ბერლინის კედელი მე დავანგრიეო, აიშვიროს იქაური ქვის ნატეხიცა. ჯიბით წამოუღია, იტრაბახოს, აიშვიროს, ჩანავლდება, ჩაიბუგება" („2001 წელი", 285); ,,დაფხაკუნებდნენ თაგვები სახელმწიფო ხაზინაში" („2001 წელი", 479).

უნდა აღინიშნოს, რომ ემფატიკური ა-ს ხშირი გამოყენება, სიტყვათა გამეორება, პარონომაზიული გამოთქმების ხმარება, ერთი შეხედვით, არქაიზაციით შეფერილად წარმოგვიდგენს მწერლის სტილს, სინამდვილეში კი იგი უაღრესად თანამედროვეა.

ოთარ ჩხეიძემ თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის გაუცხოებული ბევრი სიტყვის გაცოცხლება შეძლო: ,,არ დაჭირვებია რო ბევრი ქიმუნჯი" („2001 წელი" ,10); ,,ყველას რო თავისი მზირი ჰყავდა" („2001 წელი", 10); „აზამბარიო, შეუძახა თამადამა" („2001 წელი", 74); „ვერცერთი რო ვერ იეჭვებდა, თუნდა ქრთილისოდენა პატივი მომაკლოო" („2001 წელი", 93); ,,ახალი თალია იწყებოდა" („2001 წელი", 132); ,,ბრანწს გამოუყოფდნენ საგუშაგოსა" („2001 წელი", 138); ,,შიგ ჩაიკარგნენ ცქიფა ასულნი" („2001 წელი", 141).

ეს ოთარ ჩხეიძის ენის თავისებურებების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია. იმედია, მისი ენის შემდგომი შესწავლა კვლავაც უამრავ საინტერესო და საყურადღებო ფორმას გამოავლენს.

ლიტერატურა:
1. კოშორიძე ე., მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005;
2. ღლონტ ა., ფილოლოგის ჩანაწერები, თბ., 1980;
3. ონიანი ა., ქართული იდიომები, თბ., 1966;
4. ინჯია თ., კ. გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენის'' ენა და სტილი, თბ., 2005;
5. ძიძიგური შ., ლიტერატურულ–ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974;
6. კოშორიძე ე., რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბ., 1991;
7. აფრიდონიძე შ., ილიას სტილისათვის, ქსკს, 1979;
8 . ჩხეიძე ო., ,,თეთრი დათვი", თბ., 1999;
9. ჩხეიძე ო., ,,არტისტული გადატრიალება", თბ., 2002;
10. ჩხეიძე ო., ,,2001 წელი", თბ., 2003;
11. ჟურნალი ,,ჩვენი მწერლობა", თბ., № 8, 2008.

გურამ დოჩანაშვილის ენის ზოგიერთი თავისებურება „სამოსელი პირველისა" და „არის და იყოც უცნაური, ადამიანიც, წუთისოფელიც" მიხედვით

ლიკა ლომიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ელენე ხოჯევანიშვილი,** სრული პროფესორი

ენა მწერლისა, თუ ეს მწერალი ეპოქის ქარტეხილების მწვერვალზე დგას და მისი არა უბრალოდ მჭვრეტელი, არამედ ამ ქარტეხილების აქტიური მონაწილეა, ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის თანამედროვე დონესა და ვითარებას ასახავს, მეორე მხრივ, ენის განვითარების შინაგან ტენდენციებს გვიჩვენებს. ამიტომ აქტუალობა მწერლის ენის შესწავლის პრობლემისა დასაბუთებას არ საჭიროებს. მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ჩვენი დროის დიდ მწერალსა და თანამედროვე კლასიკოსს, გურამ დოჩანაშვილს ეხება. მის მხატვრულ ნაწარმოებთა ენა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. მკითხველთა ინტერესს იწვევს ავტორის მახვილი თვალი, სათქმელის ალეგორიულ-იგავური გამოხატვა, სტილის თავისებურება და გამოკვეთილობა.

ჩვენ შევეცადეთ, ზოგიერთი ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების სტილისტური ფუნქციები გამოგვევლინა გურამ დოჩანაშვილის ,,სამოსელი პირველისა" და „არის და იყოც უცნაური ადამიანიც, წუთისოფელიც" მიხედვით.

დასახელებულ რომანებში მწერალმა სცადა ავტორისეული მეტყველების დაფუძნება არასალიტერატურო ფორმებზე. მან აიღო ქართული დიალექტისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება და მოიწადინა ამ ნიადაგზე აეგო საკუთარი მხატვრული სტილი. სახელდობრ, ასეთია ემფატიკური "ა"-ს და „ც" ნაწილაკის უჩვეულოდ ხშირი ხმარება. მაგ.: ,,ჰსჰსთქვეს დუეტურად რო არ დავესხმებით ურთიერთას." (,,არის და იყოც…", გვ.61), ,,მოვიშველიოთ ის ნიანგი, ერთი სინამდვილე შეგვრჩესა'', „წითელი ხის ქოშებსაცა ჰყიდდნენ ვაჭრები." (,,არის და იყოც…", გვ.61), „სხვა რაღაცა, კიდევ-კიდეცა კიდითკიდემდე ძაან აწუხებდა", ,,აისე მძაფრად გწყურია, რომე ხმელზე დარჩენილ ზვიგენივითა". (,,არის და იყოც…" გვ.42), ,,ჰაივ - დუდუკე სუ თეთრი ლექსით ვერლიბრულათაც გეიძახოდა რას უბნობ ბოშო".(„არის და იყოც..." გვ.66), „ცხელსა ხაჭაპურ - ხაჭაპურიკოს რა ჯოფს".(„არის და იყოც...",გვ.66) , ,,ერთი მოქნევა ჟლეთსც, ალბათ ძაანც ცხად, გინდაც ცივი იარაღითა".

ემფატიკური ,,ა"-ს ხმარება უცხო არ არის დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის, მაგრამ არა ასეთი სიუხვით, როგორც მას მწერალი მიმართავს.

გურამ დოჩანაშვილის პროზის ინდივიდუალობა სიტყვათ წყობაზე, ხმოვანებაზეც აისახება. რომანებში ბევრი ადგილი თეთრ ლექსადაა დაწერილი, მარცვლები დათვლილია და ლექსივით იკითხება. მაგ.: ,,მოკვდება კაცი, მტვრად იქცევა და გაცამტვერდება სხეული მისი, უკვალოდ წავა და ერთ დროს მისი ახლობლებიც მთლად დასტოვებენ ამა ქვეყანას და მასაც, მწერალს, როგორც ეულს." (,,არის და იყოც…", გვ.57), „დე იყოს ფარაონი მზით ჯანმრთელი და პირიმზისა გულიკო-მაყვალა ვით ცეცხლი

ანკარა.'' (,,არის და იყოც…", გვ.13), „მე ფერად ამბებს თქვენთა ფეხთა ქვეშ ნოხივით გავშლი." („სამოსელი პირველი".გვ.432)

სიტყვათშეთანხმებანი, რომელსაც მწერალი იყენებს, მეტაფორულად გადმოგვცემენ მოქმედ პირთა სულიერ მდგომარეობას, ზოგჯერ გარეგნულ იერსაც და ამით სათქმელი უფრო ნათლად, მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოიხატება. მაგ.: „რაფეს არ აკლდა შრომა, თუნდაც ფიქრობრივი" (,,არის და იყოც…", გვ. 49), „პეტეისიე კი კითხულობდა და კითხულობდა ჭრელ ფერად ამბებს'' (,,არის და იყოც…", გვ. 52), „პეტეისიე მზარდი მკითხველი ბევრს კითხულობდა რაღაცნაირად მუნჯურის თხრობით და ამასთანავე გასაფხიზლებლად'' (,,არის და იყოც…", გვ. 53), ,,ეგვიპტეში თოფი კი არა, სახჩობელებიც არ იყო, საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს პრიმიტიული ხელებით ახჩობდნენ'' („არის და იყოც..''), ,,ეუბნებოდა პეტეისიეს გულშეშვერილს პაპირუსი''(„არის და იყოც...''), ,,ბინდებდაკრული და თან ჭახჭახა დაკადაკები ატყდა'' (,,არის და იყოც…", გვ. 65).

მეტაფორული მსაზღვრებლების უხვად გამოყენებით დოჩანაშვილი ამდიდრებს, ამრავალფეროვანებს საკუთარ ენას და ამით ახერხებს იმას, რომ მკითხველს უჩნდება სურვილი მწერლის თვალით შეხედოს სამყაროს.

ნაწარმოებებში ხალხურ სიტყვებთან და გამოთქმებთან ერთად ოსტატურადაა გამოყენებული მრავალი ანდაზა.

ანდაზების ხმარებასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, უმრავლეს შემთხვევაში ესა თუ ის ანდაზა პირდაპირ, უცვლელი სახით კი არ არის წარმოდგენილი, პერიფრაზირებულია და ორიგინალურადაა ჩაქსოვილი თხრობაში. თავისი ლექსიკური და გრამატიკული ფორმით შეგუებულია იმ ამბავთან, რასთან დაკავშირებითაც არის იგი მოშველიებული. მაგ.: ,,თუ გული გულობს, ყოველ ცისმარე ქადა ორივე ხელით და ფეხებითაც კი პირით იჭმევაო'' (,,არის და იყოც…", გვ.12), ,,შიგნიდან ტყდებაო, მარტო ციხესა კი არა შვენის, არამედ ზოგი ჰავტორიც შიგნიდან გატყდებაო.'' (,,არის და იყოც…", გვ. 41).

პერსონაჟთა მეტყველებაში მიმობნეული ხალხური თქმები, იდიომები, წყევლის ფორმულები ამდიდრებენ და განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენენ ნაწარმოებების ენას. მაგ.: ,,ჰაი-დუდუკემ ერთ ყურში შეუშვა და პირველი ყურის კოლეგიალურ მეორე ყურის ბარაბანში გამოუშვა.'' (,,არის და იყოც…", გვ.13), ,,ხმაში სუსხი დაეტყო.''(„სამოსელი პირველი"), „თვალებში სიმწრის ცრემლები ჩაუდგა.''(„სამოსელი პირველი"), ,,რამდენიმე მოქალაქეს თავი ქუდში ქონდა'', ,,პოლკოვნიკს ცივმა ოფლმა დაასხა''... გამონათქვამების გარკვეული ნაწილი ავტორისეული ჩანს: ,,ყურება ფული არ ღირს.''(,,სამოსელი პირველი", გვ.66), ,,ორმა იცისო, ღორმაც იცისო''(„სამოსელი პირველი", გვ.501).

ხალხური სიტყვიერებიდან ცნობილი ანდაზები და აფორისტული გამონათქვამები მძლავრი საშუალებაა ენის ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. ანდაზურ - აფორისტული თქმების ჩათვლით მწერალი სათქმელს გარკვეულ მიმართულებას აძლევს და სენტენციების გამოყენებით ზნეობრივ დარიგებას აწვდის მკითხველს: ,,ნუ იამაყებ შენი ცოდნით'' (,,არის და იყოც...", გვ.57), ,,არასოდეს გაიმეორო სხვისი ცილისწამება''(,,არის და იყოც...", გვ.58), ,,დახელოვნებას არ აქვს საზღვარი, არავის მიუღწევია სრულყოფილებისათვის'' (,,არის და იყოც...", გვ.58), ,,დახვეწილი მეტყველების საიდუმლო გამოუცნობია. ხანდახან იგი მსახურ გოგოში შეიძლება დაინახო'' (,,არის და იყოც...", გვ.58), ,,თუ დაეჭვდები მეგობარში, ნუ დაიწყებ გამოძიებას, მიდი მასთან, მოწმის გარეშე დაელაპარაკე'' (,,არის და იყოც...", გვ.58).

მწერალმა ამგვარი მასალის თხრობაში ჩართვით გვიჩვენა ხალხური მეტყველების ხატოვანება, მოქნილობა და სიბრძნე.

მხატვრული ხერხებიდან რიტმის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად გამეორება ითვლება. მწერალი მიმართავს გამეორებას, როგორც პოეტური ფიგურის სახეობას და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით იმეორებს ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

გურამ დოჩანაშვილის ენაში ენობრივი გამეორების თითქმის ყველა შემთხვევა დასტურდება:

ა) ბგერების გამეორება: ,,პეტეისე ტანსაცმელიანაც გადიოდა იოლას, იოლად იოლასებურ ფონს''(„არის და იყოც...", გვ.21), ,,იკბინა თავის იდაყვზე რაფემ და გრგვინვითა გრგვინვისა გრგვინვად გაძლიერებულად იქცა''(„არის და იყოც...", გვ.5).

ბ) ცალკეული სიტყვების გამეორება: ,,დე იფრინოს, იფრინოს სიხარულში, ქანდაკებასავით. დე იფრინოს'' (,,არის და იყოც…", გვ.9), ,,ცოლი კია არა, მეუღლეა, ჯერ ეს ეგ ერთი და იმის გამოცნობას არაფერი უნდა. - მოახლოვებულთაგან ჩაცმულობით გამოირჩევა, ნათესავთაგან - ახალგაზრდობით'' (,,სამოსელი პირველი", გვ. 426.) ,,ტერეზა მიდიოდა, ტერეზა თავით ფეხებამდე - ქალი, ლაღი, თავნება'' (,,სამოსელო პირველი", გვ.218).

წინადადებათა გამეორება მახლობელ და ერთმანეთთან დაშორებულ აბზაცებში: მაგ.: ,,დილა იყო, დილა იყო, მშვენიერი. ტლანქი სიზმრის შემორჩენილი ნაფლეთები მაინც ისევ მძიმედ ექიჩავებოდა სადღაც მზეს.“ (,,სამოსელი პირველი”, გვ.505), ,,მაინც რა იყო ეს მიწა-ტრიალი ხრამად ჩაქცეული, უფსკერო, სარეველათა და ვაზის დედა. ყოველთვის ამტანი, ნაჯიჯგნი, შერყვნილი და მაინც მარად შეურყვნელი. ერთგული, დალოცვილი. მაინც რა იყო ეს მიწა-მორჩილებაში მყოფი ხისა და გამოზოგილი ელის მადლით დაპურებული.“ (,,სამოსელი პირველი”, გვ.222).

მწერლის მიერ გამოყენებულ ფერებს განსაკუთრებულ სტილურ-შინაარსობრივი და ემოციონალური დატვირთვა აქვს. მაგ.: ,,დომენიკო თეთრი ტბის ფსკერზე დაიარებოდა’’(,,სამოსელი პირველი”, გვ.201), ,,ნაპირთან უზრმაზარი ყავისფრად აჩონჩხლილი კლდე იდგა’’, ,,მზე გვენატრებოდა გინდა თეთრი აალებული, გინდა წითელი, ზღვაში ჩასვლისას როა ხოლმე’’ (,,სამოელი პირველი“, გვ.73), ,,ლურჯ-წითლად შეღებილი მტვრის ნამცეცები მძიმედ დაცურავდნენ ფარფატა სვეტში’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.103), ,,იისფერ ველზე ორნი მოდიოდნენ’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.287), ,,მე ფერად ამბებს თქვენთა ფეხთა ქვეშ ნოხივით გავშლი’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.,432), ,,პოლკოვნიკმა ძვირფასი თვლებით მოჭედილ ჭიქაში ალისფერი სითხე ჩაასხა’’ („სამოსელი პირველი“, გვ.574), ,,პაპირუსი იყო მოშავ - მონაცრისფერ - მუქთაფლისფერი’’ (,,არის და იყოც...”, გვ.3), ,,შავი ალუჩა“ (,,არის და იყოც...” ,გვ.46).

საყოველთაოდ ცნობილი ფერები, განსაკუთრებულ კონტექსტში გამოყენებული, იქცევს ყურადღებას. ნეტავ როგორია თეთრი აალებული მზე, ან ლურჯ წითლად შეღებილი მტვრის ნამცეცები და იისფერი ველი, ანდა შავი ალუჩა? ამის დანახვა, ალბათ, მხოლოდ დოჩანაშვილს თუ შეუძლია ისევე, როგორც გალაკტიონი ხედავდა ,,იისფერ თოვლს!’’

მწერლის ფანტაზია, მასალის შერჩევა და მოულოდნელობა განსაზღვრავს შედარების შემეცნებით ემოციურ სიძლიერესა და შთაბეჭდილებას. ეს მხატვრული ხერხი პოეტური ლოგიკის პრინციპით აკავშირებს ერთმანეთთან რეალურად დაუკავშირებელ საგნებსა და მოვლენებს. მაგ.: ,,თათაკრეფით მომპარავი ნიანგივით მაინც გავასაინტერესოეთ თხრობის საქმე’’ (,,არის და იყოც...”, გვ.25), ,,აისე მძაფრად გწყურია, პირდაპირ ხმელზე დარჩენილ ზვიგენივითა’’ (,,არის და იყოც...”, გვ. 42), ,,გვალვისაგან დამსკდარ მიწას მიუგავდა გლეხს მოყავისფერო დანაოჭებული კისერი’’(„სამოსელი პირველი“), ,,ზაფხულის სიცხით გამწარებული ღრჯუ კატინგა მოწყურებულ კაციჭამიას გავდა’’(„სამოსელი პირველი“), „სანტოსი ლოდივით გლეხი იყო“ (,,სამოსელი პირველი”, გვ.388), ,,თაფლივით სქლად გადმოღვარა დაბალი საამო ხმა’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.136), ,,მე ფერად ამბებს თქვენთა ფეხთა ქვეშ ნოხივით გავშლი’’ (,,სამოსელი პირველი” , გვ. 432).

გურამ დოჩანაშვილის პოეტური მეტყველების ერთ-ერთი სტილური ნიშანია სიტყვათა საყოველთაოდ ცნობილი სემანტიკური კავშირის მოშლა და მეტაფორული გააზრების საფუძველზე განსაკუთრებული ემოციური მუხტით დატვირთული ფრაზების შექმნა, რაც სემანტიკური სპექტრისათვის მიუწვდომელ ნიუანსთა გათვალსაჩინოებას ემსახურება: ,,უტყვ მოლოდინად გადაქცეული კაატინგა’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.480), ,,მდინარის მადლიანი ნამცეცი’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.533), ,,უხმოდ აბღავლებული ვედრებით გამომზირალი მსხვერპლი’’(,,სამოსელი პირველი”, გვ.558), ,,სვენებ-სვენებით ჩაშოშმინებული ატივტივებული სითხე’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.517), ,,უჩვეულო, მახედქცეული თითების გაშეშებული ელდა’’ (,,სამოსელი პირველი ”, გვ.408). სტილის ამგვარი ხერხის გამოყენებით დოჩანაშვილმა შეძლო მკითხველის შთაბეჭდილებებით დახუნძვლა და ინტერესის კიდევ უფრო გაღრმავება მისი ენის ზოგადი თავისებურებისადმი.

მწერალი სხვა მეტაფორულ ხერხებთან ერთად ხშირად მიმართავს გაპიროვნებას, როგორც შთამბეჭდავ მხატვრულ ხერხს. მაგ.: ,,მზესაც წყუროდა, ყოველ ნასვრეტში ჩაებჯინა სხივები და ციცქნა სინედლეს შებინდებამდე წუწნიდა’’ (,,სამოსელი პირველი”), ,,კარი იღება, ზღურბლზე უმწეოდ ფართხალებს სინათლე’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.124), ,,კიდევ კარგი, რომ ჯერ არ გადაშენებულა ბასრი სამართალი.’’(,,სამოსელი პირველი”), ,,ნაკვერჩხლები დროდადრო იშმუშნებოდნენ ალში’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.266), ,,ჩასაფრებული ტკივილიც თითქოს ღონეს იკრებდა’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.287).

ლექსიკურ ერთეულთა ექსპრესიულობის გამოვლენა სტილისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დიდია ემოციური დატვირთვა იმ მსაზღვრელებისა, რომლებიც კონკრეტულ არსებით სახელებს ეხამებიან და მხატვრულ ღირებულებას იძენენ ეგრეთ წოდებულ აბსტრაქტულ სახელებთან. მაგ.: ,,აკაწკაწებული სული’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.370), ,,ბასრი სამართალი’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.240), ,,პირქუში რწმენა’’ (,,სამოსელი პირველი”, გვ.472), ,,ამაყი ტანჯვა’’ (,,სამოსელი პირველი”), ,,გამღვალი სინათლე’’ („სამოსელი პირველი“, გვ.124).

გურამ დოჩანაშვილის წერის მანერა რეალისტურია, ფრაზა ბუნებრივი და მოქნილი, სტილი ლაკონური. ამ ლიტერატურული მიზნებისათვის მწერალს მრავალფეროვანი ლექსიკა სჭირდება,

რომელსაც იგი ქართული ენის წიაღში ეძებს და ამის შესახებ მწერალი თვითონაც აღნიშნავს: ჩემი სიტყვის მთავარი წყარო ხალხის მეტყველებაა. იმედია, მისი ნაწარმოებების შემდგომი კვლევა კიდევ უამრავ გასაოცარ ფორმას წარმოაჩენს.

ლიტერატურა:
1. დოჩანაშვილი გურამ, ,,სამოსელი პირველი", თბ., 1990;
2. დოჩანაშვილი გურამ, ,,არის და იყოც უცნაური ადამიანიც წუთისოფელიც", თბ., 2009;
3. კოშორიძე ელენე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 2005;
4. ჟღენტი დიანა, ქართველ მწერალთა ენის საკითხები, თბ., 2004.

ონომასტიკის რაობა და ტერმინოლოგია

მარიკა ლომიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ონომასტიკა ენათმეცნიერების დარგია და ბუნებრივია, რომ ენათმეცნიერებაში მოქმედი პრინციპი ონომასტიკაში იმავე პრინციპად რჩება. მთელის ნაწილი იმ მთელს მიეკუთვნება, რომლის ნაწილაკიცაა, თუმცა თითოეულ კერძო დარგში კიდევ უფრო მეტად ნაწევრდება ის ობიექტი, რომელიც მისი საგანგებო შესწავლის საგანია.

ენათმეცნიერებაში სახელი და გვარი - ორივე სახელია. კერძოდ, ორივე არსებითი სახელია. ასევეა ონომასტიკაშიც. ონომასტიკა სწავლობს საკუთარ სახელებს. სახელი და გვარი - საკუთარი სახელებია, რომელთაც ატარებს ადამიანი.

გვარი, ისევე როგორც სახელი, გრამატიკულადაა საკუთარი სახელი ან, უფრო ზოგადად, სახელი, ისევე როგორც სახელებია აპელატივები: მაგიდა, სკამი …, მაგრამ ონომასტიკური თვალსაზრისით, გვარი არ არის პიროვნული სახელი. გვარი გვარია.

ადამიანის სახელი და გვარი, უპირველესად, საყოფაცხოვრებო ტერმინებია და ამასთან, სხვადასხვა ცნების გამომხატველი. ეს სხვაობა აისახება სახელისა და გვარის შემსწავლელ მეცნიერებაშიც. საყოფაცხოვრებო სივრცეში გვარს შეუძლებელია ეწოდოს სახელი და, პირიქით, სახელს (პიროვნულ სახელს) - გვარი. დავიმოწმებთ ამ სიტყვების შემცველ ფრაზებს, რომლებიც აშკარა მეტყველებენ, რომ სახელი სხვაა და გვარი სხვა. მაგალითად: ,,მის გვარს ბედნიერება ხვდა წილად'' (არ ვიტყვით ,,მის სახელს ბედნიერება ხვდა წილად''); ,,ადამიანი იბადება ამა თუ იმ გვარში'' (და არა ,,სახელში'').

ერთმანეთს შევუდაროთ ორი ერთგვარი წინადადება, ერთგვარი იმ თვალსაზრისით, რომ ორივეში პიდაპირი ობიექტი მიემართება ზმნის პირით ნაგულისხმებ სუბიექტს.

გვარი ლექსიკურად პოლისემიური მნიშვნელობის ბგერათთანმიმდევრობაა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩამოთვლილია გვარის რამდენიმე მნიშვნელობა ლიტერატურაში მოძიებული წინადადების დამოწმებით. ძირითადად ესენია:

1. გვარი - საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისაგან.
   ა) გვარი, ანუ ჩამომავლობა;
   ბ) გვარი - ადამიანის ჯგუფი (გვარს არცხვენს, გვარში ზოგს თითო სულელი არ დაელევა).

პოლისემია (თუმცა ომონიმია) არ ქმნის ენაში ანარქიას. პოლისემიური სიტყვის, ისე როგორც ომონიმის, კერძო მნიშვნელობა ვლინდება მხოლოდ კონტექსტით.

მიუხედავად იმისა, არის საჭირო თუ არა, ერთი ტერმინის პარალელურად ხშირია მეორე ტერმინიც, რომელიც ზოგჯერ უფრო აკონკრეტებს აღნიშნული ტერმინის ვარიანტს, ანუ ჩვეულებრივია სინონიმ-ტერმინების არსებობა. ამ რიგს განეკუთვნება ტერმინები: გვარი და გვარსახელი. ტერმინ გვარის პოლისემიურობამ ქართულ სინამდვილეში, კერძოდ ონომასტიკურ ლიტერატურაში, სიზუსტისათვის გზა გაუხსნა ტერმინს - გვარსახელი, რაც ადამიანის გვარს აღნიშნავს. ამ სემანტიკით ტერმინი გვარსახელი შემოიჭრა ონომასტიკურ მეცნიერებაში. ბუნებრივია, ჩვენი მსჯელობის საგანი, ბვარსახელი, ადამიანის გვარად არის მიჩნეული, თუმცა ცალკე აღებული ადამიანის გვარი გვარია და არა სახელი.

გვარი ერთვის პიროვნულ სახელს დასახელებული პირის დასაკონკრეტებლად. ამას დავუმატოთ, რომ დაკონკრეტება სხვა შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო ხაზით მოხდეს - მოცემული გვარი დაკონკრეტდეს სახელით. ,,გვარი" და ,,სახელი" ერთმანეთს ავსებენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ცვლიან. სახელი არ არის გვარი, არც გვარია სახელი, რომელიც ტრიალებს გვარში. სხვადასხვა ცნების შერწყმით ერთ სიტყვად შეიძლება მივიღოთ სულ სხვა სემანტიკის მქონე ერთეული, ან ორივე ცნების სემანტიკით გაჯერებული ერთეული, მაგრამ არა ისეთი კიმპოზიტი, რომლის სემანტიკა დაიყვანება მისი მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურული კომპონენტის სენამტიკამდე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ გვარის სინონიმად გამოყენებული ტერმინ ,,გვარსახელის" მეორე კომპონენტი სემანტიკურად ზედმეტია. ,,გვარსახელი" სტრექტურულად წარმოადგენს მსაზღვრელ-საზღვრულს. რადგან ამ კომპოზიტში მოიაზრება ერთი ცნება, კონკრეტულად გვარი და სახელი, ამიტომ იგი წარმოადგენს კომპოზიტად ქცეულ სინტაგმას, რომლის სრული ფორმაა გვარიც სეხელი. გვარის სახელი სემატიკურსდ არ არის გვარი. გვარის სახელი არის სახელი, რომელიც დომინირებს ამა თუ იმ გვარში. ტერმინი გვარსახელი გამოიწვია ტერმინ გვარია პოლისემიამ, მაგრამ გვარსახელი თავად გახდა პოლისემიური ტერმინი, რომლის კონკრეტული ტიპი ვერ ვლინდება მეტყველებაში, რადგან ზეპირ მეტყველებაში არ ჩანს, რა არის ნაგულისხმები გვარსახელში - გვარი და სახელი, რაც დეფისით გამოიხატება, თუ გვარი.

ონომასტიკური ტერმინოლოგია

ქართული ონომასტიკური მეცნიერება რაკი ახალია, ამიტომ მისი ტერმინოლოგიაც ჩამოყალიბების პროცესშია. მეცნიერებასთან ერთად ყალიბდება მისი ტერმინებიც. ტერმინთა ჩამოყალიბება-განვითარებაზე დაკვირვება, მათი ცვლილებები გვიჩვენებს თვით მეცნიერების განვითარების გზას. ტერმინი ონომასტიკა ძველია, ბერძნულია და სახელის შერქმევის ხელოვნებას ნიშნავს, სახელთა ერთობლიობას. მას უძველესი დროიდან ხმარობენ, მაგრამ ისეთი ძირითადი ტერმინი ონომასტიკისა, როგორიც არის ტიპონომიკა, ჩვენში პირველად XX საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. ადრე მის ნაცვლად ხმარობდნენ ტერმინს ,,ტოპონომასტიკა", ზოგი ახლაც ხმარობს. ტერმინები, მათი სიზუსტე ყველა მეცნიერებაში დიდ როლს ასრულებს. ისინი თხოულობენ შემოწმებას, დაზუსტებას. ასეთი დაზუსტება საერთოდ ტერმინოლოგიისა ჩვენში დაიწყო ოციანი წლებიდან, რაც უმთავრესად დაკავშირებული იყო სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნასთან, ამის გამო სხვადასხვა დარგობრივი ინსიტუტები ენათმეცნიერების ინსიტუტებთან ერთობლივად ამუშავებდნენ, ქმნიდნენ ტერმინებს. იქმნებოდა ტერმინები ყველა დარგის, გამოდიოდა ლნგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები, რომლებშიც თითქმის არ ჩანდა ონომასტიკური ტერმინები. ონომასტიკას ცალკე დამოუკიდებელ დარგად არ მიიჩნევდნენ. მარტო ტერმინები კი არა, ონომასტიკას დღეს აქვს უკვე საკუთარ ტერმინთა სისტემა, ბაზა ტერმინთა შექნმისას, პრინციპები და კრიტერიუმები. ამჟამად ბევრი ტერმინი იქნება, მაგრამ ქაოსურად, სტიქიურად კი არა, არამედ შეგნებულად, გააზრებულად მეცნიერულად აზროვნების შედეგად მწიფდება ტერმინი. ძალზე მიახლოებითი სიტყვიერი ასახვა ყალიბდება და მერე ტერმინიც გამოინახება. იგი შემუშავდება ნაციონალური ენის ბაზაზე ანდა სესხების გზით უმთავრესად ბერძნულ-ლათინური ენებიდან, რადგან ტერმინის იდეალურობას განსაზღვრავს მისი ინტერნაციონალურობაც. უმჯობესია ინტერნაციონალური ტერმინები, მაგრამ მათ გვერდით არსებობენ, თანაბარი უფლებით სარგებლობენ ნაციონალური ტერმინებიც. ასე, მაგალითად, საერთაშორისო ტერმინის (ბერძნულიდან მიღებულის) ტიპონომის გვერდით ყველა თავის ტერმინსაც ხმარობს, რომლის ზუსტი კალკია ჩვენი ,,გეოგრაფიული სახელი". ამას გარდა, შემუშავებულია ერთგვარი მოთხობები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ახალი ტერმინის შემუშავებისას. ასე, მაგალითად, ტერმინი უნდა იყოს ლაკონიური, უმჯობესია ერთსიტყვიანი (თუმცა ონომასტიკაში გვაქვს ორ და სამსიტყვიანი ტერმინიბიც), ერთცნებიანი, ზუსტი ასახვა. ბევრი ტერმინი კი მხოლოდ ერთეულ მკვლევართან გვხვდება. ისინი სხვა სპეციალისტებმა გაიზიარეს, მიიღეს, შემდეგ გავრცელდება, თუ არა და - გამოვა მწყობრიდან, უარყოფა. რაც უფრო ღრმავდება ონომასტიკური მეცნიერება, მით უფრო ბევრი ქვეგანშტოება გამოიყო და თავისი სახელების ტერმინებიც გაჩნდა. ასე თანდათანობით გაჩნდა ტერმინები: ჰიდრონომიკა, ორონიმიკა, კოსმონიმიკა და ა.შ. სიღრმისეული ჩაყოლა ონომასტიკურ კვლევა-ძიებაში ბადებს ახალ წვრილ-წვრილ ტერმინებს. გეოგრაფიული ტერმინი - გარკვეული გეოგრაფიული რეალიის აღმნიშვნელი სიტყვა. შეძლება იყოს გვარობითი ან სახელობითი მაგ. გორი, მთა, მდინარე, წყარო, ზღვა, ტბა, ხევი, ჭაობი, ღელე, ქედი, კლდე, სოფელი, ქალაქი და სხვა. ეთნონიმი - ეთნიკურ ერთეულთა (ხალხთა) სახელები. მაგ: ქართველი, ჩეჩენი, მეგრელი და სხვა. ეთნონიმიკა ონომასტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ეთნონიმებს. კოსმონიმიკა - ონომასტიკის ქვედარგი, რომელიც შესწავლის კოსმონიმებს, ციურ სხეულთა (პლანეტების, ვარსკვლავთა და სხვა.)

სახელებს. კრიპტონიმი - გასაიდუმლოებული საკუთარი სახელი. ხალხური ეტიმოლოგია - ხალხში გავრცელებული თავისებური ახსნა-განმარტება, მნიშვნელობა დაბნელებული ტოპონიმისა. ემყარება მხოლოდ ბგერათა შემთხვევით მსგავსებას და არ ითვალისწინებს ფონეტიკურ გადასვლათა კანონზომიერებებს, მორფოლოგიურ სტრუქტურას, ისტორიულ-გეოგრაფიულ რეალიებს. მაგ. რაჭა - რა ჭაა, ჭიათურა - ჭიაა თუ რა? ვარძია - აქა ვარ ძია! და ა.შ.) ხალხურმა ეტიმოლოგიამ შეიძლება გამოიწვიოს ონიმის სრული გადააზრიანება და მისი ფორმის შეცვლა. ჰიბრიდული საკუთარი სახელი, რომელიც შედგება ორი ან მეტი ენის ლექსიკური და მორფოლოგიური ელემენტისაგან. ჩვენი მთავარი მდინარეების თითქმის ყველა სახელი ძველისძველი და უცნობია. რაც უფრო დიდია ობიექტი, მით უფრო მყარია მისი სახელწოდება. ამიტომ საჭიროა მათი ზუსტი აღწერა. ეს კი შეუძლებელია ზუსტი ტერმინოლოგიის გარეშე. გეოგრაფიული ვითარების, მისი ტექნოლოგიის შესწავლას დიდ და უპირველეს როლს აკუთვნებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით იძლევა იქ მოხსენებული ზოგიერთი გეოგრაფიული ტერმინის განმარტებას. მაგალითად, ,,სოფელი" ტერმინის შესახებ ასე მსჯელობს: ძველს ქართულს მწერლობაში ქვეყანას ,,სოფელი" ეწოდებოდა, სოფელს ,,დაბაი", დაახლოებით მერვე საუკუნეთგან მოყოლებული შემოდის ,,ქვეყანა" იმ მნიშვნელობით, რაც ამ სიტყვას ეხლაც შემორჩენილი აქვს. ასევე ახსნილია ტერმინები ,,გარეშემო ქვეყანანი" ,,უშინაგანესი", ,,სანახები", ,,არე", ,,მთა", ,,ბარი", ,,ველი", ,,აღმართი", ,,ქარაფი", ,,ნადირობა". და სხვა. ერთი ტერმინის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს ,,ძნელი გამოსაცნობია, თუ რა იყო ,,ღირღალნი" (ისტ-რნი და აზ-მნი) და ,,ღირღლოვანი (ც-გგია ლხანძთ-სი). როგორც ეტყობა, არც საბა ორბელიანს არ სცოდნია ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა: ,,ღლე-ღულა ადგილიო", ამბობს იგი ბუნდოვნად (ლექსიკონში). მაგრამ ქვემოთ მოყვანილი (მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს განმარტება გამოუსადეგარია: გრიგოლ ხანძთელი უამბობს აფხაზთა მეფეს, ხაბთაში სახნავი და სათიბი მიწები სრულებით არ არის და ,,არც იქნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადითაისა"-ო). მაშასადამე ღირღლოვანი მწვერვალზე ყოფილა, მწვერვალის დამახასიათებელი იყო და არა ღელე - ღულესი. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიც ამას ადასტურებს. როდესაც ქართველთა ძლევამოსილი მხედრობა ქ. მარანდს მივიდა, მარანდელი ,,შელტოლვილ იყუნეს ღორღთა და კლდეთა მაღალთა, (მ) რომელ არს ზედა კერძო თავისა მისისა მარანდისასა"-ო. ტოპონიმი ღორღოვანი, მაგ. ხევსურეთში ღერღლიანა, სადაც ქვა-ღორღიანი ადგილებია. ჩვენი აზრით, ეს ,,ღორღლიანეც" იგივე უნდა ოყოს, რაც ძველ ქართულ წყაროებშია დადასტურებული.

ტერმინოლოგია

აზროვნების განვითარებისა და მეტყველების დაუფლების კვალდაკვალ ადამიანს დასჭირდა გარემომცველი სამყაროს საგნების არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტული აღნიშვნაც. ამგვარი ფუნქცია თავდაპირველად ისევ და ისევ საზოგადო სახელს ან კიდევ ადგილისა თუ ადამიანის აღწერა - დახასიათების შემცველ ენობრივ კონსტრუქციებს ენიჭებოდა. ასე გაჩნდა პირველად ტოპონიმი და ანთროპონიმი.

საერთოდ, ადამიანის სახელდების სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურის ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, ხალხის ფსიქოლოგიურ თვისებებთან, რელიგიასთან, ტრადიციასთან და სხვა მრავალ გარემოებასთა.

ანთროპონიმი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელია და გულისხმობს პირსახელსაც, გვარსახელსაც, მამისსახელობასაც, ფსევდონიმსაც და ა.შ. შესაბამისად, ანთროპონიმთა ერთობლიობას ანთროპონიმია ეწოდება.

ანთროპონიმის წარმოქმნის ერთ-ერთი გზაა აპელატივის გადაქცევა ადამიანის საკუთარ სახელად, რასაც ანთროპონიმიზაცია ეწოდება. ეს შეეხება პირსახელსაც, მეტსახელსაც და გვარსახელსაც.

ანთროპოტოპონიმი - ადამიანთა სახელ - გვარისაგან მომდინარე ტოპონიმი.

ანთროპონიმული მოდელი არის ანთროპონიმის ამა თუ იმ სახეობის სქემა, კერძოდ, მის შიგნით ძირეულ თუ წარმომქმნელ მორფემანთა გარკვეული განლაგება, მისი მორფოლოგიური სტრუქტურის ტიპი, მოტივების სპეციფიკა.

ანთროპონიმიკული კვლევა ონომასტიკური კვლევის კერძო შემთხვევაა, ანთროპინიმთა მეცნიერული ანალიზია. ამა თუ იმ რეგიონისათვის ნიშანდობრივი ნებისმიერი ანთროპონიმული მოვლენა ან ელემენტი შეიძლება გადატანილ იქნეს გეოგრაფიულ რუკებზე. ამგვარ რუკებს ანთროპონიმული ატლასი ეწოდება. ჯგუფური ანთროპონიმი არის რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი, რომელიცაა: გვაროვნული სახელი, საგვარეული სახელი, სამეფო დინასტიის სახელი, ჯგუფური მეტ სახელი, ჯგუფური ფსევდონიმი, შტოგვარსახელი. ოფიციალური პირსახელი არის ადამიანის დაბადებისას მისთვის შერჩეული და პირადობის მოწმობითა თუ პასპორტით დაკანონებული, მაშასადამე, იურედიული სტატუსის მქონე ინდივიდუალური სახელი.

არაოფიციალური პირსახელიც ინდივიდუალური, პერსონალური პირსახელია, ოღონდ არასადოკუმენტაციო და, მაშასადამე, იურიდიულ სტატუსს მოკლებული. ოფიციალური პირსახელების არაოფიციალური ვარიანტები სხვადასხვაგვარია წარმოქმნის გზების, მათში ნაგულისხმევი სუბიექტური შეფასებისა და სუფიქსაციის თვალსაზრისით. მათგან ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან დემინუტივები. დენიმუტივი ანუ დენიმუტივი პირსახელი, ოფოციალური პირსახელის კნინობით-მოფერებითი ვარიანტია, წარმოქმნილი დემინუტიური სუფიქსებით. ქართულში კნინობით სახელებს როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს, აწარმოებენ სუფიქსები ა,-აკ (ო) იკ-(ო), ან(ა), -ინ(ა) -ელ (ა) და სხვა. ჰიპოკორისტიკული პირსახელი არის პიროვნული სახელი, წარმოქმნილი ანთროპონიმის სრული ფუძის შემოკლებით ან ორფუძიანი სახელის ერთი ფუძის მოკვეცით. სიგნიფიკაციური მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ანთროპონიმში მაქსიმალურად არის გამოხატული ნიშანდობა და არ მოეპოვება აპელატიური ომონიმი. საერთოდ ყოველგვარი საკუთარი სახელიც უმთავრესი და უძირითადები ფუნქციაა. კინოტაცია, როგორც ცნობილია, არის საზოგადო სახელის თვისება, ობიექტთან ერთად გადმოსცეს დამატებითი ინფორმაცია ამ ობიექტზე, რაიმე კუთხით დაახასიათოს იგი. ონომატოლოგთან საერთო დასკვნით, საზოგადო სახელისაგან, რომელიც, როგორც წესი, დემოტავიურია პოლიონიმია, ანუ მრავალსახელიანობა, დასტურდება ანთრიპონიმიაშიც და ტოპომინიაშიც. ხატის სახელიც აპოტროპეული სახელის სახეობაა, კერძოდ ამა თუ იმ ხატის სახელია, რომელსაც ბავშვს შეარქმევდნენ, ისევე როგორც სულის სახელა, გარკვეული რელიგიური მოსაზრებით. ფშავ-ხევსურეთში ყველაზე გავრცელებული ხატის სახელებია: აშეძალი, მზეძალი, გიორგი და სხვა. გადაბმული სახელები ეწოდებათ ფორმობრივი ან აზრობრივი ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ პირსახელს ერთ ოჯახში. გადაბმულ სახელთა ნაირსახეობაა ე.წ. თანაბგერადი, ანუ ევფონიური პირსახელები.

ლიტერატურა:

1. თ. ზურაბაშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, ქესტ, II, თბ., 1961;
2. ა. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971;
3. ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986;
4. ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საკითხები, თბ., 1988;
5. ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004;
6. ქართველური ონომასტიკა, II თბ., 2010;
7. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2003.

ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ტოპონიმიკური მეცნიერების ფუძემდებელი

მარიამ ოქროპირიძე, ეველინა თარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ვახუშტი ბაგრატიონი დაიბადა 1696 წელს და იზრდებოდა ძირითადად თბილისში, თავისი მამის ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის სამეფო კარზე.

ვახუშტის ბავშვობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. მისი უშუალო აღმზრდელი დეკანოზი იესე გარსევანიშვილი ყოფილა. იმ პირებს შორის, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მომავალი მეცნიერის აღზრდაში, უნდა დასახელებულ იქნენ მამამისი, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთელი რიგი დარგების გამოჩენილი მოღვაწე მეფე ვახტანგ VI და ასეთივე სახელგანთქმული მწერალი, დიპლომატი და მოგზაური სულხან–საბა ორბელიანი.

ვახუშტი სიჭაბუკიდანვე ჩაება ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაახლოებით 1717-19 წლებიდან მოკიდებული, ის არის მთელ რიგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ხელმძღვანელად და მონაწილედ. იგი მდივანბეგ გივი თუმანიშვილთან ერთად ატარებს ქვემო ქართლის სტატისტიკურ აღწერას, თაოსნობს ქსნის ერისთავის საწინააღმდეგოდ გაგზავნილ დამსჯელ ექსპეტიციას და სხვა სამხედრო ლაშქრობებს; ერთხანს იგი დროებით მეფის მოვალეობასაც ასრულებს, ნაცვლად ირანის საწინააღმდეგო ლაშქრობაში გამგზავრებული ვახტანგისა.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ფრიად მძიმე და მოუსვენარ პერიოდს წარმოადგენდა. წვრილ სამეფო–სამთავროებად დანაწილებული საქართველო აუტანელ შევიწროებას განიცდიდა მრავალრიცხოვანი მტრებისაგან.

ვახუშტი გარდაიცვალა 1772 წელს და დასაფლავებულ იქნა დონის მონასტერში (რუსეთში), რომელიც კერ კიდევ არჩილ მეფის დროიდან წარმოადგენდა ბაგრატიონთა გვარის რუსეთში შეხიზნულ წარმომადგენელთა ტრადიციულ სამარხს.

ვახუშტის ძირითადი თხზულების (,,საქართველოს ცხოვრების“) გეოგრაფიული ნაწილი წარმოადგენს 6 თავის ერთობლიობას.

1) ,,აღწერა აწინდელისა ქართლისა“ – ქართლის სამეფოს ტერიტორიის აღწერილობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედის პოლიტიკურ საზღვრებში.

2) ,,აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვლავ თუშეთისა და დიდოეთისა“ – კახეთის სამეფოს აღწერილობა.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ვახუშტის თხზულებაში აღწერილი სივრცის საერთო შემოსაზღვრულობა და აღწერილობითი მასალის დანაწილება ძირითად თავებად ექვემდებარება პოლიტიკურ პრინციპებს. ცალკეული თავების ანუ რეგიონული აღწერილობების შიგნით მასალა დანაწილებულია, უწინარეს ყოვლისა, საადმინისტრაციო ერთეულების მიხედვით, ხოლო ამ უკანასკნელთა ფარგლებში გამოყოფილია ორთოგრაფიულად მკვეთრად შეზღუდული ბუნებრივი რაიონები – მთის მდინარეთა აუზები, რომლებიც აღწერილია ადგილთა ტოპოგრაფიული თანამიმდევრობის ზუსტად დაცვით, მთავარი მდინარის დინების აყოლებით ან დაყოლებით.

ყველაზე დაწვრილებით აღწერილია ქართლის მდინარეთა სისტემა. მდინარეთა დახასიათებისას ვახუშტი, როგორც წესი, საკითხთა შემდეგ მინიმალურ ჯგუფს განიხილავს:

1. მდინარის შესართავის მდებარეობა და მდინარის დამოკიდებულება მთავარ მდინარესთან ან წყალსატევთან;
2. მდინარის სათავის მდებარეობა;
3. მდინარის საერთო მიმართულება და ზოგჯერ მისი ცალკეული მონაკვეთების მიმართულებანიც;
4. შედინარენი. ამ სავალდებულო ცნობებთან ერთად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მდინარისათვის მოცემულია აგრეთვე ნაოსნობის პირობები, სარწყველი მნიშვნელობა, წყლის თვისებები და ა.შ.

ვახუშტი აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოში იმგვარი მდინარეების არსებობას, რომლებიც ვერ აღწევენ სხვა მდინარეებამდე ან წყალსატევებამდე ნიადაგში ჩაჟონვისა და აორთქლების გამო.

სხვა ჰიდროგრაფიული ობიექტებიდან ჩვენი გეოგრაფის ყურადღებას იპყრობს მტკვარი და მინერალური წყაროები, რომლებიც მას უმთავრესად მათი პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით აინტერესებს. ვახუშტი აღნიშნავს იმგვარი მდინარეების არსებობას ქართლში, რომლებიც ვერ აღწევენ სხვა მდინარეებამდე. ასეთია ქართლში თიხრევის ხევი, რომელიც დღეს ტბეთურად იწოდება.

დვალეთის აღწერისას ავტორი გვაცნობებს პერიოდული მოქმედების წყაროს სოფ. ქალაქთან. საყინულეები აღწერილია აგრეთვე სოფ. საბაწმინდის მიდამოებში.

ვახუშტის შეხედულებებს მცენარეთა ვერტიკალურ–ზონალურ გავრცელებაზე საფუძვლად ქართველი ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილება უდევს. ვახუშტის დამსახურებას შეადგენს ხალხური დაკვირვებების განზოგადება და ვერტიკალური ზონალობის კანონის თანმიმდევრული მიყენება საქართველოს მცენარეულობის დახასიათებისადმი. ეს ყოველივე უფლებას იძლევა მივაკუთვნოთ ვახუშტი იმ მკვლევართა რიცხვს, რომლებიც გვევლინებიან ალ. ჰუმბოლდტის წინამორბედებად მცენარეთა ვერტიკალური ზონალობის კანონის ჩამოყალიბების საქმეში.

ქართლის სამეფო მოიცავდა შიდა ქართლს, რომელიც ჰიდროგრაფიულად მტკვრის აუზშია მოქცეული; ქვემო ქართლს (ეხლანდელი სომხეთის სსრ ფარგლებში მდებარე ბამბაკით, ტაშირთა და აბოცითურთ) და აგრეთვე ზემო იმერეთის ნაწილს (ე.წ. ხეფინის–ხევს მდ. ძირულას აუზში და მდ. ჩხერიმელას ხეობას სოფ. ქვაბს ზემოთ), რომელიც ქართლის მეფეებს, ბერი ეგნატაშვილის მოწმობით, უკვე XV ს. ბოლოსვე, მეფე დავით კონსტანტინეს ძის დროსვე ეპყრათ.

მეცნიერებმა შემოგვინახეს მრავალი გეოგრაფიული სახელი და ისინი უკვე აღარ გამოიყენება, ესენია: ზემო და შიდა ქართლში: სავახტანგო, ყურია, ყვავის საყდარი, თავთის წყარო, კოლონკეთი, ლეგბაშენი, საშვები, ტყურეთი, ბენისი, ხანდოეთი, ჩამართა, სასახლე და მრავალი სხვა, რომელთაც ჩვენი მხრიდან გამოვლენა, შესწავლა და სამეცნიერო პოტენციაში ჩართვა სჭირდება.

ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი აღწერაში და რუკაზე ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი არ ემთხვევა ან სახეშეცვლილია. ასეთებია:

1. კარალეთი – ორივეგან არის დატანილი
2. ძევერა – ორივეგან დატანილია
3. შერთული – ნაშრომში არის და რუკაზეც
4. ტყვიავი – ნაშრომშიც არის და რუკაზეც
5. მარანა – რუკაზე არის, ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არ არის.
6. ტირძნისი – რუკაზე არის დატანილი, ხოლო ნაშრომში არა
7. თერგვისი – ორივეგან დატანილია
8. დიცი – რუკაზეც არის და ნაშრომშიც
9. ერედვი – რუკაზეც არის და ნაშრომშიც
10. არგვიცი – რუკაზეც არის და ნაშრომშიც
11. სარაბუკი – ორივეგანაა
12. ვანათი –ორივეგანაა
13. საცხენეთი – რუკაზეა, ნაშრომში არ არის
14. არბო – ორივეგანაა
15. ქორდი არ არის დატანილი არც რუკაზე და არც ნაშრომში
16. მერეთი – რუკაზე დატანილია და ჰქვია მერე, ნაშრომში ეს სოფელი არ არის.
17. ქერე – ორივეგანაა
18. კოშკა –არც ნაშრომშია დატანილი და არც რუკაზე
19. დისევი – ეს სოფელი ნაშრომშიც და რუკაზეც დატანილია დიცევის სახელწოდებით.
20. კულბითი – ორივეგანაა დატანილი
21. ქიწნისი – რუკაზე არის, ნაშრომში არა
22. ჯარიაშენი – რუკაზე არის, ნაშრომში არა
    შატათ გორი ამჟამად ნასოფლარია სოფელ ჯარიაშენის ჩრდილოეთით.
23. ლაფაჩი – არის გვერდისძირზე და დღეს ეწოდება ჭარები. ჭარები ეწოდება იმიტომ, რომ მოსახლეობა მოსულია ისტორიულ ტაოდან სოფ. ჭვარებიდან.

კარტოგრაფიულ მასალას ,,საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ შედგენისას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა, რამდენადაც რუკების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სრული, ადგილთა ბუნებრივი თანამიმდევრობის ზუსტი დაცვით შედგენილი ტოპოგრაფიული აღწერილობის აგება.

მართლაც, თხზულების ტექსტიდან ბევრგან აშკარად მოჩანს, რომ იგი რუკის მონაცემებს მიჰყვება. საქართველოსა და მასთან მოსაზღვრე მხარეების ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის აღწერილობა ვახუშტის თხზულებაში თითქმის მხოლოდ კარტოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა, მათ წერილობით თხრობას წარმოადგენს.

ტოპონიმთა ნაწილმა ქართლში დინამიკაში გარკვეული ფონეტიკური ცვლილება განიცადა: არბო წმინდა დღეს სოფელი არბოა, აშატურთ კარი დღეს ნასოფლარი აშატურია, ბერშოეთი დღეს ბერშუეთია, ბეყჩოს ციხე დღეს ბეხუშეა, მათი აღდგენა მაინც შეიძლება. ასეთებია; ტყვიურეთი სოფ. ძევერასთან, კოლონკეთი სოფ. ღრომთან, ქვამთა სოფ. ერედვთან, თვალთ უბანი სოფელ შინდისთან, სალთვისი სოფ. ხვთთან, თირხევი სოფელ ნიქოზთან, ბოციჯვარი იქვე ახლოს, ბარი სოფელ ტბეთთან ლელის უბანი ლიახვის ხეობაში და სხვა.

XVIII საუკუნის I ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა იმ დროის ცივილიზებული სამყაროს მეცნიერების განვითარების დონეზე გეოგრაფიულ–კარტოგრაფიული ნაწარმოებები, რომელთა მნიშვნელობა განუზომლად დიდია. არც მანამდე და არც მას შემდეგ, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, არ შექმნილა ვახუშტი ბაგრატიონის სადარი გეოგრაფიულ–კარტოგრაფიული ნაშრომები. ამიტომაცაა, რომ ქართული კულტურისა და მეცნიერების საგანძურში ვახუშტი ბაგრატიონს განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი უკავია.

ახლა, როცა ვახუშტი ბაგრატიონის რუკების შედგენიდან თითქმის 300 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, განსაკუთრებით რუკებზე მითითებული ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელწოდებები ფასდაუდებელია აღნიშნული კარტოგრაფიული გამოსახულებები. ეს ძირითადად ეხება ტოპონიმების შეცვლას, მოსპობას, ხოლო ძველი ტოპონიმების ლოკალიზაციისათვის ხშირად ვახუშტის რუკებს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

საქართველოს ძველი ტოპონიმები სრულყოფილად მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნამუშევრებზე. მეცნიერებმა საკმაოდ სრულად და დეტალურად ასახა და შემოგვინახა საქართველოს ათასობით გეოგრაფიული სახელწოდება, მოგვცა მათი კლასიფიკაცია და ლოკალიზაცია.

მართალია, მის შრომაში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოცემულია ძველი ტოპონიმიის მნიშვნელოვანი ფონდი, მაგრამ გაცილებით მეტი რაოდენობით არის ისინი აღნუსხული კარტოგრაფიულ ნაშრომებში.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები უმეტესად გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილებებს ან გაქრობას იწვევდა ხალხურ მეტყველებაში. ასეთ სახელწოდებებს კი ხშირად წერილობითი ძეგლები ინახავდნენ, იქნებოდა ეს მატიანე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ სხვა. მართალია ასეთი ტოპონიმები მითითებულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ მათი სრულყოფილი ნუსხა არსად არ არის მოცემული. ამ მხრივ, ვახუშტი ბაგრატიონის შრომები და, განსაკუთრებით, კარტოგრაფიული ნაწარმოებები სრულყოფილად მოიცავს იმდროინდელი საქართველოს ტოპონიმებს.

მნიშვნელობა ენიჭება ყველა მხარეს ტოპონიმთა ლოკალიზაციას, რამდენადაც ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობის შემდეგ ნასოფლარების რიცხვმა კოლოსალურად იმატა.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში მოცემული ტოპონიმიკური მასალა წარმოადგენს:

1. გეოგრაფიული სახელწოდებების რეალური სურათის ჩვენებას. დასახელებული პუნქტის, მთის, მდინარის, ტბის და სხვა;
2. სახელწოდების ქრონოლოგიურად ცვალებადობას – წინა საუკუნეებში შერქმეული, ვახუშტისდრონდელი და შემდგომში გაუქმებული სახელწოდებები;
3. ამა თუ იმ ენიდან შემოსული უცხო სახელწოდებები;
4. სტრუქტურაშეცვლილი ფონდი;
5. გავრცელების არეალი – რეგიონი;
6. გადაადგილებული ტოპონიმები;
7. ნასოფლართა ფონდი და სხვა.

ყოველივე ამის გამო, რუკების ტოპონიმიკური მასალა მრავალმხრივ არის საყურადღებო და დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს.

აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები ბევრად უფრო სრულად არის წარმოდგენილი რუკებზე, შედარებით მკრთალად სამცხე–საათაბაგო (იმ დროს ეს მხარე თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი). დასავლეთ საქართველოსთან საკმაოდ დეტალურად არის იმერეთი და რაჭა აღნუსხული. დანარჩენი მხარეები ძალზე ზოგადად, სქემატურად არის მოცემული. ამის მიზეზი იმ დროის საზოგადოებრივ–პოლიტიკური მდგომარეობა იყო. როგორც ჩანს, მეცნიერმა ვერ შეძლო ყველა ამ მხარეში ერთნაირი სისრულით კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მით უმეტეს 28 წლის ასაკიდან იგი ემიგრაციაში წავიდა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ცხადია, ეს მხარეებიც დეტალურად რომ იყოს იმ დროს აღწერილი, მაშინ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. მიუხედავად ამისა ვახუშტი ბაგრატიონმა დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა, რითაც მან გაუსწრო არა მარტო წინამორბედებს, არამედ თანამედროვეებსაც. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდება გაქრა, მათი ლოკალიზაციის საქმეში ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები ფასდაუდებელია.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში არც ერთი მსხვილი დასახლებული პუნქტი არ არის გამოტოვებული, ცხადია, არც საეპისკოპოსოს ცენტრი და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეა გამორჩენილი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა რეგიონი ერთნაირი სისრულით არ არის განხილული. ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომების მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ სწორედ მის მიერ დაწვრილებით აღნიშნულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, ჯავახეთი) მოხდა გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძლიერი გარდაქმნა და შეცვლა. მით უმეტეს ამ 300 წლის განმავლობაში მთლიანად საქართველოში ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება რამდენადმე შეიცვალა, ან სრულიად გაუქმდა. ამ მხრივ, ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები საშუალებას იძლევა ბევრ თანამედროვე ტოპონიმს ადრინდელი შესატყვისი მოვუძებნოთ. ასეთი ტოპონიმები ყველა რეგიონშია, მაგრამ ისინი განსაკუთრებით უხვადაა სამხრეთ საქართველოში. ყოველივე ეს იმ განუწყვეტელი და მძიმე ბრძოლების შედეგია, რასაც ეს მხარე განიცდიდა, დროთა განმავლობაში ნადგურდებოდა არა მარტო მოსახლეობა და მეურნეობა, არამედ გეოგრაფიული სახელწოდებებიც.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომების შექმნის შემდეგ, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შედეგად მოხდა ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელთა გადაადგილება ნასოფლარებზე ან დასახლებულ ადგილებზე. ამან გამოიწვია ზოგი ძველი დასახლებული პუნქტის სალეწოდების ადგილმდებარეობის შეცვლა. ამიტომ საჭიროა ტოპონიმების თავდაპირველი ადგილმდებარეობის

გარკვევა, რათა მცდარ დასკვნამდე არ მივიდეთ. მაგალითად, დღევანდელი რაიონული ცენტრის ზნაურის რაიონის – ალმაზი იყო ქართული ტოპონიმი ტყისუბანი, რომელიც ისტორიული სოფლის თიღვის უბანი იყო. სეპარატისტებმა მას ყაჩაღის ზნაურის სახელი უწოდეს და დღესაც ასეა ჯერჯერობით დამკვიდრებული.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში ტოპონიმიკური მასალიდან არანაკლები ადგილი უკავია ჰიდრონიმებს (ჰიდროგრაფიული ობიექტების სახელწოდებებს). ეს გასაგებიცაა, რამდენადაც მდინარეების გასწვრივაა განლაგებული უმთავრესი და უმეტესი დასახლებული პუნქტები. ჰიდროგრაფიული ობიექტების საკმაო ნაწილია დატანილი ვახუშტის რუკებზე. გარდა ამისა, ბევრი მათგანი უსახელოდაა, თუმცა მათი ადგილმდებარეობა ზუსტად არის მინიშნებული, რაც ლოკალიზაციის საშუალებას იძლევა.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომების ღირსება არის ის, რომ მათში მოცემული მდიდარი ტოპონიმიკური მასალა საქართველოს ძველი ტოპონიმების სანდო და მრავალფეროვან ნუსხას წარმოადგენს. რუკებზე მოცემულია ტოპონიმთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, რომელთა ნაწილი დღეისათვის შეცვლილი ან გაუქმებულია. ყოველთვის ეს საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ტოპონიმთა ქრონოლოგიურ ცვალებადობას და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები.

რაც შეეხება მსოფლიო ქვეყნების 27 რუკას, რომლებიც გადმოღებულია სხვა ატლასებიდან, წარმოადგენს გეოგრაფიული სახელწოდებების ქართულად გადმოცემის ცდას. ძირითადად ეს რუკები გადმოღებულია 1737 წლის ატლასიდან. რუკების ტოპონიმიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მათი უმეტესობა იმეორებს ქართულ სინამდვილეში გავრცელებულ სახელწოდებებს. ქართული შესატყვისები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. სახელწოდებები თარგმანის გზით მიღებული;
2. სახელწოებები პირდაპირ ქართული ტრანსკრიფციით გადმოტანილი;
3. სახელწოდებები ქართული ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი.

გარდა ამისა, დამატებით არის ტოპონიმები, რომლებიც უცხოურ გადმოცემებში არ გვხვდება.

ამრიგად, ვახუშტის მიერ გადმოქართულებული და შედგენილი მსოფლიო ქვეყნების რუკები წარმოადგენს ქართულად მსოფლიო ატლასის შედგენის პირველ ცდას, რაც დღემდე ერთადერთი ხელნაწერის სახით დარჩა.

ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება XVIII საუკუნის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების წინსვლისა და განვითარების საქმეში ძალზე დიდია. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნამუშევრები თავისი მეცნიერული ღირსებებით ევროპული კარტოგრაფიის დონეზე იდგა, ხოლო რუკების ტექნიკური გაფორმება მეტყველებს მის მაღალ გემოვნებასა და საქმის ცოდნაზე. მეცნიერმა შემოგვინახა იმდროინდელი საქართველოს ტოპონიმიის ფონდი, რაც ერის სიმდიდრეა. ტოპონიმების ცვალებადობის ქრონოლოგიური ზღვრების დადგენას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

ტოპონიმთა განხილვა საყურადღებოა ხალხური წარმომავლობის გამო. მას განხილული აქვს ტოპონიმები: თუხარისი, არტანუჯი, კლარჯეთი, ლეჩხუმი, მაშვერი, მესხი, ოდიში, გორი, ყვირილა და სხვა.

გიორგი – ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსული არის მუნ დიდი ლიახვის მდინარის კიდესა ზედა.

ლიტერატურა:

1. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, მეცნიერება, თბ., 1957;
2. ვახუშტი ბაგრატიონი, რუკები, 1745;
3. ვახუშტი ბაგრატიონი, გეოგრაფია, ქართლი, II წიგნი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1995;
4. ი. ბაგრატიონი, ქართლ–კახეთის აღწერა, ტოპონიმიკა II, 1980;
5. ჯ. გვასალია, ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის სკითხები, ს.ი.გ.კ. VI, თბ., 1982;
6. ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ისტორიული გეოგრაფიის ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, №43-44, 1976, 1977;
7. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955;
8. კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 2003.

თეორიები ბასკური და ქართული ენის ნათესაობის შესახებ

სოფიო ხორგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარიამ კობერიძე**, ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, ბასკური ენა გავრცელებულია ჩრდილოეთ ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის პროვინციებში, რომლებიც ესაზღვრება პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროს, ბისკაის ყურეს. მკვლევართა მონაცემებით, მთელ მსოფლიოში 2,9 მილიონი ბასკი ცხოვრობს, რომელთაგან ბასკურ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 1.063 ათასი ადამიანი, მათ შორის ესპანეთში – 660 000 ადამიანი, ხოლო საფრანგეთში ბინადრობს ბასკურ ენაზე მოლაპარაკე 80 000 ადამიანი.

ბასკური ენა ენათმეცნიერული კლასიფიკაციის არც ერთ სისტემაში არაა და დღესდღეობით ცალკე მდგომი და უნათესაო ენობრივი ერთეულია.

ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბასკებმა შეძლეს მრავალრიცხოვანი დამპყრობლებისაგან თავის დაცვა და ფაქტობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ბასკური ენის ყველაზე უფრო დიდ გამოცანას წარმოადგენს – არა მისი წარმოშობა, არამედ მისი გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა. საუკუნეთა განმავლობაში იგი იძულებული იყო, კონკურენცია გაეწია ისეთი ძლიერი მეზობელი ენებისათვის, როგორიცაა ესპანური და ფრანგული, რომლებმაც ბევრი სხვა ენები გააქრეს ევროპის რუკიდან.

ბასკური ენის წარმოშობასთან დაკავშირებით მრავალი თეორია შემუშავდა. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბასკური ენა „იზოლირებული ენაა“, რომელსაც არანაირი ნათესაური კავშირები არ აქვს არც მეზობელ, არც შორეულ ენებთან. ბასკური ენა არ განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ამის გამო ბევრი მკვლევარი ბასკური ენის „მონათესავე“ ენებს არაინდოევროპულ ენებში ეძებს, მაგალითად, სემიტური (არაბული, ებრაული), ბერბერული, კავკასიური ენები.

ბასკურ ენასთან მონათესავე ენებს შორის მკვლევართათვის ყველაზე უფრო მისაღებს წარმოადგენდა იბერიულ-კავკასიური ენები, ჰიპოთეზა ბასკებისა და ქართველების გენეტიკური კავშირის შესახებ ემყარება ამ ორი ხალხის ყოფაში დამოწმებულ ეთნოგრაფიულ პარალელებსა და ენათმეცნიერთა გამოკვლევებს (შ. ძიძიგური, 1988, გვ. 191).

საინტერესოა, რომ ძველ საქართველოში სჯეროდათ ევროპის იბერიელებთან ნათესაობის ამბავი და თარგმანებში ქართველებადაც მოიხსენიებდნენ. მაგ. „ქართველნი დასავლეთისანი“. ბასკების შესახებ ქართულ წყაროებში პირველი ცნობა ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელის დროს, XI საუკუნეში ჩნდება.

ნ. მარმა ჩაუყარა საფუძველი ბასკებისა და ქართველების პრეისტორიული ნათესაობის თეორიას. ზვიად გამსახურდიას აზრით, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისია, რომ ბასკი ხალხი არის ნაშთი ევროპის უძველესი იბერიული რასისა და ცივილიზაციისა, ბასკური პროტოიბერიული ენაა, როგორც ქართული, მაგრამ იმდენად დიდი ეპოქები აშორებს მათ ურთიერთისაგან, იმდენად დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდნენ ისინი ცალ-ცალკე, რომ დღეს გენეტიკური ნათესაობის დადგენა ძნელდება.

ბასკურ ანბანში 23 თანხმოვანია და 5 ხმოვანი, ეს ხმოვნები ზუსტად ქართული თანმიმდევრობით არიან დალაგებულნი - ა, ე, ი, ო, უ. ბასკური ზმნა ძალიან ჰგავს ქართულ ზმნას, მათი წარმოების ფორმები, გვარი, კილო, პირი იდენტურია, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ისეა, როგორც ქართულში...

საერთო კავკასიური ლექსიკიდან ბასკურში ახლაც ცოცხალია სიტყვა ბატუა, რაც ნიშნავს „ენას.“

ბასკურ ენაში გვაქვს იბარ „ჭალა“ და მასთან დაკავშირებული იბაი „მდინარე“, იბონ „მთის ტბა“, იბი „ნაკადული“, იბი, იბასო „ფონი“.

იბერ-ში ზოგიერთმა გამოყო ბასკური იბ მდინარე, წყალი. ამრიგად ევროპული ეთნონიმი (იბერ) გადაჯაჭვულია მდინარის, წყლის სახელწოდებასთან და მასთან დაკავშირებით დასმულია პირენეის ნახევარკუნძულზე წყლის კულტის არსებობის შესახებ (შ. ძიძიგური, 1988. გვ. 220-1988).

ბასკური ენისა და ქართველურ-კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემისადმი დიდ ინტერესს იჩენენ X1Xს მიწურულისა XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერები-ბასკოლოგები, ქართველოლოგები, ძველი აღმოსავლეთის ენების სპეციალისტები. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰუგო შუხარდტს. მან ყურადღება მიაქცია ქართული და ბასკური ზმნის თავისებურებათა ერთიანობას, კერძოდ, გარდამავალი ზმნის სტრუქტურას. ბასკურში გარდამავალ ზმნას რეალური სუბიექტი ერგატივში დაესმის, მსგავსად ქართულისა. სუბიექტის ბრუნვა განსხვავებულია იმის მიხედვით, გარდამავალია ზმნა

თუ გარდაუვალია. გარდაუვალ ზმნას სახელობითში მოუდის სუბიექტი, გარდამავალს-სპეციფიკური ბრუნვაში.

შუხარდტი დაწვრილებით ჩერდება მახვილის საკითხებზე და აღნიშნავს, რომ მახვილიანი მარცვალი ქართულში სუსტად გამოირჩევა, ისევე როგორც ბასკური ენის დიალექტში.

ბასკური ენისა და ქართველურ-კავკასიური ენების ურთიერთობის შესწავლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიკო მარს. იგი ამტკიცებდა, რომ ბასკური ენა იაფეტურია. იაფეტურად აიხსნება არა მარტოოდენ გრამატიკის ტიპოლოგიური კატეგორიების მიხედვით, არამედ ამ კატეგორიების შემსწავლელი მასალებითაც – მისი ფონეტიკა, მისი მორფოლოგია. კერძოდ, რთული ზმნურ წარმოებათა სისტემა.

ნიკო მარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბასკურის გენეტიკური დაკავშირება ქართველურ-კავკასიურ ენებთან დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ბასკური ენა ისტორიული განვითარების შედეგად გადასხვაფერებულია და საგრძნობლად დაცილებულია მის პირვანდელ აგებულებას. ნიკო მარის ყურადღება მიიპყრო რიცხვითი სახელების აგებულებამ, განსაკუთრებით საინტერესოა ბასკური ენის რიცხვითი სახელები, - აღნიშნავს მარი, - თვლის საერთო სისტემა ბასკურში ისევე, როგორც კავკასიის იაფეტურ ენებში, ოცობითია და არა ათობითი. (შ. ძიძიგური გვ.105, 1988).

დღეისათვის ბასკების და ქართველების კავშირზე როცა ვსაუბრობთ, ძირითადად ენათმეცნიერთა დასკვნების საფუძველზე ვმსჯელობთ. უკანასკნელ წლებში მკვლევრებმა ამ ორ ენას შორის დაახლოებით სამასზე მეტი ლექსიკური პარალელები გამოავლინეს. მაგალითად, ბასკური პინპირინი/პინპილინი – ქართულად პეპელა. გორა ბასკურადაც გორას ნიშნავს, ბასკურში გვხვდება აგრეთვე ქართული სიტყვა „შვილიც“...

ვარაუდობენ, რომ ბასკური ენა ნარჩენია ოდესღაც მრავალრიცხოვანი ენათა ოჯახისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიაში, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. ამ ენათა უმრავლესობა მკვდარია, მაგრამ მათ ჩაუყარეს საფუძველი ძველ ბერძნულსა და რომაულ ცივილიზაციას (ლ. გეგუჩაძე გვ. 6, 1997).

ბასკებისა და ქართველების ნათესაობას ენის სიღრმეებში ეძებენ. ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის კვლევა მრავალ სიძნელესთან და არცთუ ადვილად გადასალახავ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული. აქ ღრმად დაფარულ ნათესაობასთან გვაქვს საქმე და მხოლოდ ფაქიზი ანალიზი გამოავლენს ამ საკმაოდ დაშორებული ენობრივი ჯგუფების შესაძლო თავდაპირველ ერთიანობას (ბ. ჯორბენაძე, 1988, გვ. 221).

2006 წლის 8 თებერვალს ბასკეთის პრეზიდენტი ხუან ხოსე იბარეჩე იმყოფებოდა საქართველოში. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იბარეჩეს მიანიჭა საპატიო დოქტორის წოდება მისი ძალისხმევისათვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და თბილისსა და ბასკეთის ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებისათვის.

ვფიქრობთ, ბასკური და ქართული ენის ნათესაობის შესახებ არსებული თეორიები საშუალებას გვაძლევს დავძებნოთ კვლევა-ძიებისათვის ლექსიკურად და გრამატიკულად მსგავსი მოვლენები.

ლიტერატურა:

1. ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, თბ., 1997;
2. შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., 1998;
3. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952;
4. https://burusi.wordpress.com/2009/06/05/euskara/.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ნოდარ დუმბაძე - „მზიანი გულის“ შემოქმედი

თინა ბაწაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** სრული პროფესორი

ჰუმანიზმი ადამიანთა ზნეობის ის კატეგორიაა, რომელიც ხშირად დამოუკიდებლად, ბუნებაში არსებულ კანონებთან არის უხილავი ძაფით დაკავშირებული. ამიტომ ჰუმანიზმი ის ზნეობრივი კატეგორიაა, რომლის თავზე დამოკლეს მახვილით ჰკიდია ჰარმონია, აუცილებლობა და სამართლიანობა. ამის გარეშე არაფერს ფასი არ აქვს. გარდა იმისა, რომ ბევრი თვით ადამიანის ფსიქიკაზეა დამოკიდებული, უფრო ბევრი რამ ბუნებაში არსებული აუცილებლობით არის განპირობებული. ჰუმანიზმი თავის მხრივ უზარმაზარი ძალაა, რომელიც ბოროტებას უპირისპირდება და სძლევს კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრესი არ იქნებოდა ქვეყნად საკაცობრიო მასშტაბით ჰუმანიზმი უფრო გლობალური ძალის იარაღითაა აღჭურვილი, ვიდრე ბოროტება. ასე ფიქრობდა ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე ჰუმანიზმზე.

ქართული ლიტერატურის ყოველი გულწრფელი მოყვარულისთვის არ შეიძლება სასიამოვნო არ იყოს ის ფაქტი, რომ ქართველი მწერლის - ნოდარ დუმბაძის სახელი შორს გავარდა და გახმაურდა. ამ მწერალმა ქართულ ლიტერატურაში უეჭველად მოიტანა რაღაც განუმეორებლად თავისებური, მოიტანა გულიდან სიცილში გადამავალი კეთილი ღიმილი, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის თავისებური განცდაც და, თუ გნებავთ დიდი ტკივილის განსხვავებული გრძნობაც. მწერალმა კეთილი და უშხამო იუმორით წამოიწყო ჩვენი საუკუნის შუახნის ახალგაზრდა ქართველი კაცის ისტორია. ეს ახალგაზრდა კაცი თავისი დროის ერთი ნაწარმოებიდან გადადის მეორეში, მესამეში და ასე შემდეგ. ამ ყმაწვილის ბავშვობის წლები თითქმის ყოველთვის დასუსხულია რაღაც მწარე ხვედრით, მწარე თავგადასავალით. თუ „მე, ბებია ილიკო და ილარიონში“ იგი ზღვის პირიდან გადავარდნილი ზურიკელა ვარშალომიძეა, „მე ვხედავ მზეში“ ენაკვიმატი სოსოია მამალაძეა, „მზიან ღამეში“ - თემურ ბარამიძე, „ნუ გეშინია დედაში“ -ავთო ჯაყელი და ა. შ. ეს ახალგაზრდები როგორც ხასიათები, როგორც სოციალური ტიპები, არსებითად თითქმის ერთმანეთის ორეულებია თუ ერთმანეთის გაგრძელება.

ნოდარ დუმბაძეს უყვარდა თავისი გმირები. როგორც ცოცხლებს, ახლობლებს, მეგობრებს, ისე ეპყრობოდა მათ, თანაუგრძნობდა, ეცოდებოდა ისინი, მათთან ერთად ხარობდა და დარდობდა. მაშინ კი, როცა რომელიმე მათგანს კიცხავდა, ამას ბოღმის გარეშე აკეთებდა. სიკეთით გამთბარია მისი წიგნები.

ნოდარ დუმბაძე არის მრავალმხრივი შემოქმედი. მის კალამს ეკუთვნის ლექსები, პოემები, საბავშვო ნაწარმოებები, პიესები, მოთხრობები, რომანები, პუბლიცისტური სტატიები, სამოგზაურო წერილები და ასე შემდეგ. ძნელია მრავალფეროვნებიდან რომელიმე ჟანრს მივაკუთნოთ უპირატესობა, რადგან ყოველი მათგანი მაღალიდეურობითა და ოსტატობით არის შესრულებული. მაგრამ მაინც ალბათ სწორი იქნება თუ ვიტყვით რომ სახელი და დიდება მწერალს მაინც მისმა რომანებმა და მოთხრობებმა მოუტანა. სიკეთესა და ჰუმანიზმს ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში ერწყმის და ბუნებრივად უკავშირდება მზიურობა, ჰელეოტროპიზმი, რაც სინათლითა და სითბოთი ავსებს მწერლის მოთხრობებსაც და რომანებსაც. მზეს და მის სიმბოლიკას მწერალი მიმართავს არა მხოლოდ ნაწარმოებთა სათაურში („მე ვხედავ მზეს”, „მზიანი ღამე”, „მზე”), არამედ მწერლის თვით პოზიცია, ნაწარმოებთა სულისკვეთება, მთავარი პერსონაჟების ბუნება და სული არის მზიური - მზით, სინათლითა და სითბოთი სავსე.

„რუსთაველის პოემით არ ამოიწურება მზისადმი დამოკიდებულება ქართული ლიტერატურაში. გენეალურმა შოთა რუსთაველმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ ხატებას და მის მრავალწახნაგოვან გააზრება-სიმბოლიკას. ამ ნიადაგზე მომდევნო საუკუნეების ქართულმა მწერალმა მზისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა კუთხით და მასშტაბით გამოხატოს. ეს ტრადიცია თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამაც გააგრძელა“.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება კი ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა. მისი მოთხრობები გამსჭვალულია ადამიანთა შორის სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით. ისიც უნდა ითქვას, რომ სიკეთისა

და ბოროტების მუდმივ ბრძოლაში, წინააღმდეგობათა დაძლევისა და რთული ზიგზაგების გადალახვის შემდეგ. მის მოთხრობებში სიკეთე ყოველთვის სძლევს ბოროტებას, თუმცა იოლი ბრძოლა არასოდეს არ გვხვდება ამ გზაზე.

მოთხრობების კრებულს ნოდარ დუმბაძემ უწოდა „მზე“ - მარტო იმიტომ კი არა, რომ აქ დაბეჭდილი მოთხრობებიდან ერთს ეს სათაური აქვს, არც სხვა მოთხრობებს აკლიათ მზის კულტი. მოხუცი გუდულიც „უმადურიდან“ წამდაუწუმ მზეს გასცქერის სიმშვიდით, სინათლით ასავსებად. ყოველი ჩვეულებრივი ყოფითი საქმის შემდეგ მზეს გახედავს ხოლმე იგი, თუნდაც მაშინ, როცა პატარა უჩას რძის ქოთანს ჩამოართმევს. და რა გასაკვირია, როცა სიკვდილის მოახლოვებას იგრძნობს გუდული და ამ ქვეყნას ემშვიდობება უპირველესად მზეს მიმართავს, მდაბლად თავს დაუკრავს „მშვიდობით მზეო, ბატონო დიდი, უზენაესი და უმაღლესი მადლობა შენ.“ „მე მზე მიყვარს ძალიან, მაგრამ მზე მიწაში ვერ აღწევს, ამიტომ, ბუნებრივია, სიკვდილის შემდეგ მიწას კი არა ცას მივაშურო - ცაში წავიდეო“ – ამბობდა თავად მწერალი. ან კიდევ ”მე მგონი, მზე ზეცის ვეება ტრამალზე ანთებული კოცონია, ხოლო მის გარშემო მბრუნავი პლანეტები- ცდომილები (შვიდი ცდომილი, ალბათ თავისი თანამგზავრებით) ცის ის ბინადარნი, რომლებიც ხელს და სულს ითბობენ ამ მაცოცხლებელი ცეცხლის გარშემო. დროდადრო შორდებიან, მერე კვლავ უახლოვდებიან და ასე შემდეგ... ვაი, იმ ცდომილს, რომელიც ამ კოცონს საერთოდ გაშორდება”. ასე ფიქრობდა მწერალი მზეზე ანუ სიკეთესა და ჰუმანიზმზე. ასეც იცხოვრა ამქვეყნად მზის, მისი სახით კი სიკეთის, სათნოების, სიყვარულის სადიდებლად. ნოდარ დუმბაძემ ასე შექმნა და დატოვა მზით სავსე შემოქმედება. იგი გუდულივით, ოღონდ ამ მოხუცთან შედარებით ბევრად ახალგაზრდა დაემშვიდობა მზეს და ალბათ მანაც ასე უთხრა ”მშვიდობით მზეო ბატონო” . ” . . . თქვენ ხელოვნური გული არ გამოგადგებათ, ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ- „[ნ. დუმბაძე, ტ. 4, თბ., 2005, გვ. 258] - ეტყვის პროფესორი ბაჩანა რამიშვილს, ნოდარ დუმბაძის რომანის ”მარადისობის კანონის” გმირს, პროფესიით მწერალს.

თავად ნოდარ დუმბაძემ, სამჯერ ინფარქტგადატანილმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე კატეგორიული უარი განუცხადა მკურნალ პროფესორებს ხელოვნური სტიმულატორების ჩადგმაზე, ამ გზითა და საშუალებით არავითარ შემთხვევაში არ ისურვა არსებობის გახანგრძლივება. ალეწილ-აფორიაქებული, თითქოს შეურაცხყოფილიც ჩანდა ამ თემაზე ექიმებთან საუბრის შემდეგ, რადგან ხელოვნური გულით ცხოვრება წარმოუდგენელი იყო. ამის შემდეგ სულ მალე რამდენიმე დღეში დაემშვიდობა კიდეც ამ ქვეყანას.

„ხელოვნური გულით თქვენ ვერ იცოცხლებთ“ - ეს სიტყვები გამოხატავენ ყველაზე უბრალო და ყველაზე დიდ აღიარებას, რაც კი მწერალმა შეიძლება დაიმსახუროს და განა მარტო მწერალმა? ყოველი ადამიანისთვის, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი, ამდაგვარი სიტყვები მისი არსებობის გამართლება იქნება. ასე განვლილი ხანმოკლე ცხოვრებაც კი ბევრად უფრო ლამაზია და სიკეთის კვალის დამმჩნევი, ვიდრე ხანგრძლივი, თუნდაც დაუსრულებელი სიცოცხლე, უფრო ზუსტად, ფიზიკური არსებობა ზოგიერთებისა. ვთქვათ, ისეთი პირებისა, როგორიც არის რედაქტორის მოადგილე იმავე რომანში, ვისაც ადამიანობა არც ეთქმის.

ჰუმანიზმის ქადაგება უნაყოფოა, თუ მწერლის სათქმელი მისი ცხელი გულის გავლით არ მოდის მკითხველამდე, თუ მისი სიხარული სულის ყიჟინი არ არის, თუ მისი მწუხარება ტკივილით დაფლეთილი ნერვებიდან არ გადმოეცემა. აუთრთოლებელი მშვიდი; რიტმული აი, ასეთი გულით ნათქვამი სიტყვა, რასაც მკურნალი სანიმუშოდ მიიჩნევს, თუნდაც უკეთილშობილეს გრძნობებსა და აზრებზე იყოს დახარჯული, მკითხველისთვის იგივეა, რაც კედელს შეყრილი ცერცვი. ნოდარ დუმბაძეს უბრალოდ თბილი, კეთილი, თანამგრძნობი, მოსიყვარულე გული კი არ ქონდა, არამედ მისი გული სავსე იყო მზის სიმხურვალით და სინათლით. იგი მზიანი გულით დაიბადა და მოკვდა. და ბოლოს, ნოდარ დუმბაძის გარეშე ჩვენი ლიტერატურული ყოფა საგრძნობლად დაკარგავდა სითბოსა და ეშხს. არავის, არც ერთ ჩვენთაგანს არ ხელეწიფება ამჟამად მკითხველთან ქართველი ადამიანის გულთან ასეთი მიმნდობი, ასეთი გულითადი საუბარი, არავის არ უპყრია ხელთ ასე ოსტატურად მისი გულის გასაღები. გურამ ასათიანი ამბობს: - „ ისეთი პიროვნებები, როგორიც ნოდარ დუმბაძეა, სულიან ხორციანად ხალხს ეკუთვნიან, მშობელს ხალხს ეკუთვნის მათი გული და შთაგონება. მხოლოდ მშობელი ხალხია მათი ბედისა და გულისთქმის გამგებელი, მათი ფიქრისა და წადილის ნამდვილი მოკარნახე. ხალხი კიდევ ბევრს მოელის და მოითხოვს თავისი რჩეული შვილებისაგან.“ [ნ. დუმბაძე, ტ. 5, თბ., 2005, გვ. 10].

ნოდარ დუმბაძე რომ ნამდვილად რჩეული შვილი იყო თავისი ქვეყნის, ამაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის წერილიც ადასტურებს, რომელიც 1982 წელს მოუწერია მწერლისათვის. წერილი შემდეგნაირია:

ბატონო ნოდარ!

არიან ადამიანები, რომელნიც ცხოვრობენ სხვათათვის, სხვის კეთილდღეობისთვის. ალბათ ჭეშმარიტი ბედნიერებაც სწორედ ამაშია. ზოგიერთი ჩქარობს აკეთოს სიკეთე და ასეთი ადამიანებისთვის სასუფეველი ღვთისა იწყება აქ, დედამიწაზე. დიდი ბუნების ადამიანებს ღმერთი აძლევს დიდ ჯვარს, მაგრამ ამ ჯვრის ტარება მათ არ უმძიმთ, რადგან მათთანაა ღმერთი. როგორც ამბობს უფალი: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე 11, 30).

თქვენ, ბატონო ნოდარ, ეკუთვნით სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც იტვირთეს სხვათა ტკივილნი! ამით ბრძანდებით ბედნიერი.

ღმერთმა მოგცეთ ძალა და დიდი სიცოცხლე.

ღრმა პატივისცემით

ილია II

ლიტერატურა:

1. ტარიელ კვანჭილაშვილი, „ათი მწერალი“, თბ., 1989;
2. რევაზ მიშველაძე, „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბ., 1998;.
3. გურამ ასათიანი, „თანამდევი სულები“, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1983;
4. გურამ გვერდწითელი, „მზიანი გული“, „ნოდარ დუმბაძის თხზულებანი ოთხ ტომად“, თბ., 1988;
5. ნოდარ დუმბაძე, „თხზულებანი ხუთ წიგნად“, თბ., 2005.

კონსტანტინე გამსახურდია ექსპრესიონიზმის შესახებ და ექსპრესიონიზმის ნიშნები რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“

ნინო გომარელი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

XX საუკუნის I მეოთხედის ლიტერატურულ მიმდინარეობათა სიმრავლეში კონსტანტინე გამსახურდიასათვის ყველაზე ახლო და მისაღები ექსპრესიონიზმი აღმოჩნდა. იგი გახდა საფუძველი მისი მსოფლმხედველობისა, განაპირობა ლიტერატურული თვითმყოფადობა, აავსო ახალი სასიცოცხლო ენერგიით. ასე განხორციელდა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისა და ევროპული სიახლეების სინთეზი მის შემოქმედებაში, შედეგად კი მივიღეთ კულტურული გლობალიზაციის დადებითი შედეგი – ხალხისა და საზოგადოების გამდიდრება სხვათა მიერ შექმნილი სულიერი ღირებულებით.

კონსტანტინე გამსახურდია ექსპრესიონიზმზე მსჯელობს თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, ნათელს ხდის მის არსს, არკვევს მისი წარმოშობის მიზეზებს. ექსპრესიონიზმის დამკვიდრების მიზეზად მას მიაჩნია საზოგადოებაში ადამიანის გაუცხოება, მათი დეჰუმანიზაცია, უღმერთოდ ყოფნა, რეალობასთან შეჯახებისას შიში და ძრწოლა. ყოველივე ეს განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომით, რაც განცდილია საბედისწერო მიჯნად.

ქართული ექსპრესიონიზმის გასაგებად პროგრამული ხასიათი აქვს კონსტანტინე გამსახურდიას ესეებს: „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი“, „თეატრი და ექსპრესიონიზმი“, „ახალი ევროპა და ლიტერატურული პარიზი,“ რომლებიც დაწერილია მაღალი ერუდიციით და ცხადყოფს, რომ ჩვენს წინაშეა ქართული პროზის განმაახლებელი შემოქმედი.

წერილში „თეატრი და ექსპრესიონიზმი“ კონსტანტინე გამსახურდია წერს: „იდეოლოგიური საფუძველი ამ მოძრაობის 1900 წლიდან მზადდება ევროპაში, მაგრამ ექსპრესიონიზმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა, მსოფლიო ომიდან იწყებს თავისი არსებობის ანალებს... მისი ფონია ორმოცდაერთგრადუსიანი კაპიტალიზმი თავისი ასფალტის ქალაქებით, მუდამ გაღებული საპყრობილეებით, ბანკებით, ქარხნების საყვირების სირენებით. ამ ფონის აპოთეოზია ევროპული ბირჟა რომელიც ისეთივე საზიზღარ პანორამას იძლევა, როგორც ანტიური მონების ბაზარი.“ [2; 644].

კონსტანტინე გამსახურდია აღიარებს ექსპრესიონიზმის კავშირს ძველ კულტურასთან: შექსპირთან, გოეთესთან, შილერთან...

კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ყველა დროში ყოფილა ექსპრესიონიზმი (როკოკო, რენესანსი, გოტიკა...), რადგანაც ის ღვთაებრივი სულის ემანაციაა. ექსპრესიონიზმი ცოცხლობდა წინაპართა არსებაში, როდესაც ყრმისებური ტიტინით ქმნიდნენ მითებს, ექსპრესიონიზმი ამოძრავებდა შექსპირსა და ყველა დიდ ხელოვანს. ამჟამად ეს მოძღვრება ევროპის უახლეს თაობას, კონსტანტინე გამსახურდიას თანამედროვეებს იპყრობს რაღაც სტიქიური ძალით.

„ევროპულ ლიტერატურაში მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში, ერთ-ერთი ავანგარდისტული ლიტერატურული სკოლა გახდა ექსპრესიონიზმი. პირველმა მსოფლიო ომმა კატასტროფის განცდა წარმოშვა, კრიზისული მსოფლგანცდა დამკვიდრდა. ნიადაგი სათანადო აღმოჩნდა ამ მიმდინარეობის წარმოშობა–გავრცელებისათვის."

ჩვენ დღეს ღირებულებათა მკვეთრი გადაფასების ატმოსფეროში ვცხოვრობთ, რაც მარადიულ ღირებულებად ითვლებოდა, ქანაობს, ირყევა და იმსხვრევა. რასაც თხუთმეტიოდე წლის წინ დიად რაობად მიიჩნევდნენ, გახუნდა, გაუფერულდა, დავიწყებას მიეცა. რაც ჩრდილში იყო, ახალი შუქით იმოსება. ასეთივე დროებაში მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა კონსტანტინე გამსახურდიას, ცვლილებებისა და გარდაქმნების ეპოქაში, გრიგალებისა და ქარიშხლების ეპოქაში. ამგვარ ატმოსფეროში ყოველთვის მძაფრი ყოფიერება დუღს.

1923 წელს დაიწერა წერილი „თეატრი და ექსპრესიონიზმი." აქ ავტორი გვეუბნება, რომ თეატრი სამი უმთავრესი ელემენტისაგან შედგება: დრამატურგი, მსახიობი და მაყურებელი. მსახიობი ქმნის, როცა მას უყურებენ. მისი ხელოვნება მიმეტურია. სცენაზე დიონისე, შვებისა და თრობის ღმერთი, აფუძნებს დღესასწაულს. კონსტანტინე გამსახურდიასთვის უპირატესია დიონისური საწყისი. გენიალურ ავტორს კონგენიალური მსახიობი თუ განასახიერებს. შემოქმედებით სტიქიონებს შორის რეჟისორი ამკვიდრებს ჰარმონიას.

კონსტანტინე გამსახურდიას თვალთახედვით, დასავლეთში თეატრის კრიზისზე მაშინ იწყეს საუბარი, როდესაც დაწინაურებული ტექნიკის წყალობით თეატრალურმა ხელოვნებამ ყურადღება მიაქცია გარეგნულ ეფექტებს. უსულო მექანიზაციის მონა არ უნდა გახდეს თეატრი, მანქანა-დანადგარები არის საშუალება და არა – მიზანი. სული უნდა ჩაიდოს ამ მექანიზაციაში, სულიერი გაბატონდეს. თეატრი უნდა გახდეს მაღალი სულის ტრიბუნა, ამას კი დიდი ძალისხმევა სჭირდება. „ომამდის არსებული კრიზის ნიადაგზე წარმოიშვა ის დიდი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ექსპრესიონიზმის ანუ აქტივიზმის პაროლით გამოვიდა. ექსპრესიონიზმი არც ლიტერატურული მოდაა, არც ესთეტიკური პოზა. იგი ახალი რელიგიაა ევროპის უახლესი თაობისა. მისი წარმოშობის ფონია კაპიტალიზმის თავბრუდამსხმელი კარუსელი," – წერს კონსტანტინე გამსახურდია. ავტორი იმდენად გაიტაცა ევროპული აზროვნების თავისებურებამ, ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ-ეთიკურმა ასპექტებმა, რომ თანამედროვე რელიგიად ჩათვალა. რასაკვირველია, აქ სიტყვა „რელიგია" ტრადიციული გაგებით არ უნდა ვიგულისხმოთ.

არანაკლებ საინტერესოა ესე „იმპრესიონიზმი და ექსპრესიონიზმი", რომელიც 1922 წელს დაიწერა. აქ ნათქვამია, რომ სხვადასხვა დროს ქართული ლიტერატურა სხვადასხვა გავლენას განიცდიდა. იყო არაბული, სპარსული, ბიზანტიური ეპოქები ჩვენს მწერლობაში. ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაასრულა სპარსული და მანვე დაიწყო რუსული ციკლი ქართულ მწერლობაში, რომელიც ამოწურა დიდმა ილიამ. მეოცე საუკუნის პირველ ათეულში ევროპიდან დაქროლა იმრესიონისტულ-სიმბოლისტურმა ნიავმა. ევროპიდანვე მოდის ექსპრესიონისტული ტენდენციები. ნიცშეს მოწაფე – ანრი ბერგსონი ხდება ახალი თაობის იდეური დირიჟორი. მათ გერმანიაში აქტივისტებს ანუ ექსპრესიონისტებს უწოდებდნენ. ექსპრესიონიზმი, კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, მოძრავი ყოფის ტრფიალია, რომელმაც გასდო ხიდი კოსმიურსა და ინდივიდუალურს შორის. ექსპრესიონისტებისთვის სამყარო უზარმაზარი და ვრცელი ლანდშაფტია, ერთი დიდი მისტიური გამოცხადებაა. მათი რწმენით, რეალობა კი არ უნდა უარვყოთ, არამედ უნდა შევქმნათ სინამდვილეზე ჭეშმარიტი რეალობა.

1924 წელს დაწერა ესე „ლიტერატურული პარიზი". აქაც, კონსტანტინე გამსახურდიას ექსპრესიონიზმი გააზრებული აქვს როგორც გლობალური რაობა. ამას მოწმობს ამონარიდი: „ექსპრესიონიზმი ბევრს ნაციონალური გერმანული მოძრაობა ჰგონია. ეს დიდი შეცდომაა. უკანასკნელ ათეულ წლებში მთელს ევროპაში საგრძნობი გახდა მისტიურ-რელიგიური გრძნობის რენესანსი. საფრანგეთში ანრი ბერგსონმა დაამსხვრია რაციონალიზმის ციტადელი. გერმანიაში მოაზროვნეთა ლეგიონები იბრძოდნენ ამ მიმართულებით. გერმანია მისტიკის სამშობლოა" [2; 467].

ექსპრესიონისტები სასოწარკვეთილნი მოთქვამენ ომით განადგურებულ ევროპაზე. მათ პოლიტიკურ კრედოდ კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნია ლოზუნგი: ძირს მსოფლიო ომი, ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი!

ომმა წარმოშვა ახალი დროის მდიდარი კაცი, ავტორის თქმით, „გათახსირებული კლასი“, რომელიც არსებითად განსხვავდება თავისი წინაპრისაგან, განათლებული ბურჟუისაგან. ის უკულტურაა.

ძნელია გარდატეხის დროებაში ცხოვრება. უღელტეხილებზე გადასვლას სიძნელე ახლავს თან. თანამედროვე ევროპა ახალი სულიერებით უნდა აივსოს.

დასახელებული ესე დაიბეჭდა ჟურნალში „კავკასია“. ჟურნალი საბჭოთა ცენზურამ მიიჩნია ნაციონალისტურ და კონტრრევოლუციურ გამომცემად. ამ ბრალდებით იგი დახურეს. აი, რა ძნელად იკაფავდა გზას ახალი იდეა.

კონსტანტინე გამსახურდიას ზემოთაღნიშნული ლიტერატურულ-კრიტიკული ესეები საპროგრამო ხასიათისაა, წარმოგვიდგენს ქართული ექსპრესიონიზმის თავისებურებებს. მწერალს ნაჩვენები აქვს ექსპრესიონიზმის კავშირი ძველ კულტურასთან, მისი სუბიექტივიზმი. ექსპრესიონისტი საგნებს ობიექტურად კი არ გვიჩვენებს, არამედ ობიექტში არსებულ სუბიექტს წარმოაჩენს.

როდესაც იწერებოდა „დიდოსტატის მარჯვენა“, არსებობდა სხვა რეჟიმი /სოციალიზმი/, რომელიც თავისი ავტოკრატული ბერკეტებით ანტიქართულ პოლიტიკას ახორციელებდა. „ქართული აზროვნება, პირველ რიგში, ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებს, რის გარეშეც ადამიანი, ალბათ, ვერ ჩაითვლება სრულყოფილ არსებად.“ რაკი ამგვარი რამ, ე.ი. ეროვნული თვალთახედვის გამომჟღავნება სახიფათო საქმე იყო, ავტორმა ისტორიას შეაფარა თავი, გვიჩვენა რა ხდებოდა ჩვენგან დროის დიდი დისტანციით დაშორებულ ეპოქაში.

სრულიად განსხვავებულია ზეინაბ სარიას აზრი „დიდოსტატის მარჯვენის“ შესახებ, როცა ის დღემდე სულ სხვა ასპექტში განხილულ რომანში ეძებს და იკვლევს ექსპრესიონიზმის ნიშნებს.

პირველი შემზარავი ფაქტი – ეს ჭიაბერის სიკვდილია. მელქისედეკ კათალიკოსი გამოიყენეს მეფემ და ზვიად სპასალარმა და მოწამლული ძელიცხოველის ჯვარი გაუგზავნეს ჭიაბერს საამბორებლად, რამაც იმსხვერპლა მამამზეს ვაჟი.

შემდეგი პერსონაჟის, გირშელის აღსასრული: როცა შორენა დილეგში მოათავსეს, მისი ხოხბისყელისფერი საწმერთული თავადიციხის ზეთავზე დაჰკიდა ტოხაისძემ.

ახლა ის გავიხსენოთ, როგორ დაუშრიტა თვალთა ნათელი მეფემ თალაგვას, მერე კი – როგორ გაუსწორდა მამამზესა და შავლეგს: ჯერ პიპას მოასყიდვინა ციხისთავი, მერე პატრონის ღალატისთვის თავის მოჭრით დასაჯა და ძღვნად მიართვა მამამზეს, მისგან მადლობა მიიღო მოღალატის დასჯისათვის, მერე კი თავად მას წააცალეს მეფის ბრძანებით თავი, ციხის ზეთავიდან ჩამოხსნეს შორენას საწმერთული, მამამზეს თავი აღმართეს ზედ, ტოხაისძეს საბელი მოახვიეს ყელზე, ორ ცხენს მოაბეს და ასე წააწყვიტეს თავი. მკითხველის თვალწინ ორიოდე გვერდზე ამგვარად იხოცებიან გირშელი, მამამზე, შავლეგი.

ნაწარმოებში შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი კარივით ნელა იღება კარები ფარსმანის ქართული წარმოშობის შესაცნობად. მოულოდნელია მკითხველისთვის, რომ ის ქართველია, რომელიც გარემოებებმა კოსმოპოლიტად აქცია. ბერძენთა ტყვეობა, ანტიოქიაში ლტოლვილობა, ანატოლიაში გადასვლა, კაპადოკიაში ყოფნა, ჰალებში ალ-ჰაქიმთან დაახლოება, ქაიროში ხუროთმოძღვრების შესწავლა, ალქიმიის დაუფლება, სუფისტობა, შემდეგ – ფაკირობა... ამდენი სიავის გამოვლა, ამდენი ავბედობა მას ბოროტებისკენ უბიძგებს.

გულბოროტმა ფარსმანმა, შურით ატანილმა, საშინელი ვერაგობა ჩაიფიქრა: მოჭორა შორენასა და არსაკიძის ხორციელი კავშირი და ჩააწვეთა ეს გესლი მეფეს, ხოლო ვარდისახარს ხოხბისყელისფერი საწმერთული მოაპარვინა და ქურდულად ამოადებინა სიცხიანი არსაკიძის სასთუმალქვეშ. მეფის მსტოვარმა ერთ დღეს შორენაც დალანდა რატისეულ სასახლეში და საწმერთულიც მიართვა მეფეს. გაცოფდა გიორგი, სვეტიცხოველის „ცუდად ამგებელს“ მკლავის მოჭრა მიუსაჯა. შურით აღძრულმა ოსტატმა ასე შეიწირა ნიჭიერი ხელოვანი, ხოლო მეფე-ტირანმა - მორიგი მეტოქე. მორიელებისაგან დაგესლილი გარდაიცვალა ხუროთმოძღვარი. არც სატრფო იყო მის გვერდით და არც დედა. ფხოვიდან ჩამოსულმა უბედურმა დედამ რომ იხილა ვაჟი ამ დღეში, გაქვავდა, გვარწმუნებს ავტორი. მცხეთაში უნახავს კიდეც ადამიანის სიმაღლე ლოდი, რომელზეც ამბობდნენ, არსაკიძის დედაო გაქვავებული. „აქ მითისქმნადობა შვილმკვდარი დედის მწუხარების გადმოსაცემად მიგნებული ხერხია. ძნელი იყო სხვა უფრო შთამბეჭდავი საშუალების მოფიქრება“ [5; 53].

შორენას ბედი როგორ წარიმართა? ბაგინეთის მონასტერში აღკვეცილმა, ენაჭარტალა მონაზვნის მოყოლილი საკუთარი ისტორია მოისმინა. მაშინ გაიგო, რომ არსაკიძეს მკლავი მოაჭრეს, მას კი გარყვნილებას აბრალებდნენ, ქარაფისაკენ წაბარბაცდა და უფსკრულში გადაეშვა.

ფარსმანს რა ბედი ეწია? უფლისწულ ბაგრატს მიმინო გაუხდა ავად. ფარსმანმა ოყნა გაუკეთა და მოკვდა ფრინველი. განრისხდა ბაგრატი, დილეგში ჩააგდო. გაიპარა ფარსმანი, მაგრამ სამეფოს ჯარმა შეიპყრო, აწამეს, ფრჩხილები დააძრეს. ჯავარდენების წრთობის საიდუმლო არ გათქვა. წამებაში შემოაკვდათ ფარსმანი.

გიორგი? ეს პიროვნება „ბოროტიცაა და კეთილიც“.

თრიალეთის ტყეებში დაეხეტებოდნენ გლახუნა და პიპა. მეჯოგის კარავში მწოლარე, დილით, ირმის ბღავილმა გამოაღვიძა, პიპასთან და ყურშაისთან ერთად მიჰყვა ხმას. როდესაც იხილა დაჭრილი, უმწეო ირემი, სატევარი ქარქაშში ჩააგო, ხელში აიყვანა, ტარებით დაიღალა და დაეცა. სწორედ მაშინ გადაესკვნა ნაწლავები. მიუსწრო პიპამ და ხელში აიყვანა მომაკვდავი მეფე, ძლივს მიიყვანა ირწოში. სამოსი რომ გახადა, ნაიარევი და დაჩეხილი სხეული ნახა. პირად ცხოვრებაში გაუხარელი მეფე უიღბლო გამოდგა სიკვდილშიც. მისი აღსარება გვირგვინოსნის ძნელ ცხოვრებას ათვალსაჩინოებს.

არამც და არამც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ამდენი ადამიანის ასეთი ტრაგიკული აღსასრული. საფიქრებელია, რომ აქ ავტორის მსოფლხედვა ვლინდება: ცვალებადია ცისქვეშეთში ყოველივე და არაფერია მყარი ქვეყნად.

ამქვეყნიურ სიამეს დიონისურ შვებაში პოულობს გიორგი მეფე. საერთოდ, როგორც ლიტერატურისმცოდნენი ამტკიცებენ, კონსტანტინე გამსახურდია დიონისოს კულტის ერთგულია. ზვიად გამსახურდიას მსჯელობით, კონსტანტინე გამსახურდიას პირველ რომანში აისახა „გმირის გაორება ქრისტე-დიონისოს შორის“. სოსო სიგუას თვალსაზრისით, „დიონისო და წმინდა გიორგი მწერლის პროზაში მშვიდად თანაარსებობენ“. დიონისოს თაყვანისმცემელი ავტორი ბედისწერის გამძვინვარებას ათვალსაჩინოებს პერსონაჟთა ცხოვრებაში. ამას ყურადღება მიაქცია ნანა ხაბულიანმა: „დიონისოს აკუწვის, წამებისა და გაზაფხულზე მკვდრეთით აღდგენის მისტერია პერსონაჟთა ცხოვრებაშიც მეორდება, როგორც ყოფიერების აბსურდულობის იდეა, რომელიც „დიონისოს ღიმილში“ წარმმართველია, არც „დიდოსტატის მარჯვენისათვის“ არის უცხო. ამ ნაწარმოებშიც ადამიანის ყოფა კოშმარულ სიზმარს ჰგავს“.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონსტანტინე სავარსამიძე ავტორის ბიოგრაფიის სხვადასხვა პერიოდის სინთეზური სახეა, (თუმცა, რასაკვირველია, არა ზუსტად ის, არამედ პროტოტიპი), იოლი დასაჯერებელი ხდება, რომ ამგვარი ექსპრესიონისტული ხედვა ზოგადად დამახასიათებელია მწერლისათვის: გაუცხოება, მარტოობა, საკუთარი თავის ანაბარა დარჩენა, ადამიანის გამოუვალი მდგომარეობის ჩვენება, დაბნეულობისა და აღსასრულის მოლოდინში ცხოვრების გაცნობიერება, მარტოობის მელანქოლია, პერსონაჟის ცხოვრება, როგორც იმედგაცრუებების მთელი სერიალი...

მართალია, პერსონაჟთა ცხოვრების დასასრული ბედნიერი არ არის, მაგრამ ჩვენს, და თვით ავტორის ცნობიერებაში, იგი ბედნიერი დასასრულის ნატვრას წარმოშობს. კარგი, საამო ფინალი რომ შესაძლებელი ყოფილიყო, განა ავტორი უფრო ხალისით არ დაამთავრებდა? მართლაც რომ არ არსებობს ავტორი, უბედური დასასრულის გამო გახარებული იყოს და თავს ბედნიერად გრძნობდეს. ,,უბედური დასასრულით მისი შეთხზული ამბავი მთავრდება ვითარებათა გამოისობით.“ [5;56]

ლიტერატურა:

1. გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, ტ.VI, თბ., 1963;
2. გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII. თბ., 1963;
3. გამსახურდია კ, რჩეული თხზულებანი, ტ. VIII. 1967;
4. გამსახურდია ზ, წერილები, ესეები, თბ., 1991;
5. სარია ზ, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება და ექსპრესიონიზმი, „უნივერსალი“, 2009;
6. სიგუა ს, მოდერნიზმი, ათტომეული, თბ., 1985;
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბ., 1979;
8. http://ka.wikipedia.org/wiki/ექსპრესიონიზმი

ОСОБЕННОСТИ РУССКОГО РОМАНТИЗМА

Гиулиета Грдзелишвили
Нино Самадалашвили
ст. 3 к. спец. англ. яз и лит. гуманит. фак
рук. проф.**Н. Хинчагашвили**

Если заглянуть в толковый словарь русского языка, то можно найти несколько значений слова “романтизм”: 1. Направление в литературе и искусстве первой четверти XIX века, характеризующееся идеализацией прошлого, оторванностью от действительности, культом личности и человека. 2. Направление в литературе и искусстве, проникнутое оптимизмом и стремлением показать в ярких образах высокое назначение человека. 3. Умонастроение, проникнутое идеализацией действительности, мечтательной созерцательностью. (1,4)

Как видно из определения, романтизм – это явление, которое проявляется не только в искусстве, но и в поведении, одежде, образе жизни, психологии людей и возникает в переломные моменты жизни, поэтому тема романтизма актуальна и в наши дни. Мы живем в новом веке, находимся на переходном этапе развития общества. В связи с этим часто наблюдается неверие в будущее, разуверение в идеалах, возникает желание уйти от окружающей действительности в мир собственных переживаний и в то же время осмыслить ее. Именно эти черты характерны для романтического искусства. Поэтому исследование на тему “Особенности русского романтизма» представляются нам актуальным.

Цель нашей работы – проследить условия зарождения и причины возникновения романтизма в русской литературе.

Главная задача исследования - выделить особенности русского романтизма как литературного направления.

Как известно, каждое новое художественное направление возникает накануне и после решительных сдвигов в истории. Такими мировыми событиями, породившими новое литературное направление - романтизм, явилась Великая французская революция всколыхнула всю Европу: казнь короля, ниспровержение монархии, провозглашение республики – вспышка надежд, уверенность в скором приходе «свободы, равенства и братства». Но революция вскоре обернулась якобинской диктатурой, террором и закончилась переворотом, совершённым крупной буржуазией, установлением империи Наполеона.

Откликом мировой культуры на все эти катаклизмы явился романтизм, оставивший в мировой цивилизации поистине неоценимые шедевры, особенно в литературе.

Поскольку объектом нашего исследования не является романтизм как мировоззрение в целом, ограничимся лишь графическим представлением этого явления.

Романтизм – творческий метод

Романтизм – художественная система

романтизм (направление)

символизм (направление)

неоромантизм (направление)

фэнтези (направление)

немецкий (течение)

английский (течение)

французский (течение)

русский (течение)

романтизм США (течение)

английский неоромантизм (течение)

английский эстетизм (течение)

французский символизм (течение)

русский символизм (течение)

фэнтези США (течение)

В октябре прошлого года в Санкт-Петербургском государственном университете состоялась Международная научно-практическая конференция на тему «Актуальные проблемы изучения и преподавания русской литературы. Русский романтизм», где был представлен ряд интересных докладов на интересующую нас тему. В частности, доктор филологических наук Нижегородского государственного университета Т.А. Шарыпина в своем докладе подчеркнула следующие признаки романтизма как направления:

- Доминанта субъективного над объективным;
- Стремление переделать действительность;
- Выдвижение на первый план исключительного сложного, глубокого героя в образе, характере, обстоятельствах.
- Взгляд на жизнь «сквозь призму сердца»;
- Склонность отражать «ночную» сторону движений души;
- Тяга к интуитивному, бессознательному;
- Интерес к экзотическому, сильному, яркому, возвышенному;
- Отказ от обыденного;
- Условность форм, смешение высокого и низкого, комического и трагического, обыденного и необыкновенного;
- Мучительное переживание разлада с действительностью, понимание несовершенства мира;
- Стремление к абсолютной свободе, к духовному совершенству, к идеалу;
- Выдвижение на первый план исключительного сложного, глубокого героя в образе, характере, обстоятельствах. (4)

Русский романтизм вобрал в себя все эти черты. Всколыхнувшая страну Отечественная война 1812 года, обещания реформ императора Александра I, убежденность лучших умов и сердец России в том, что «придёт желанная пора» свободы как эхом отозвались на политические процессы Запада. Но –

обещанные царём преобразования всё не осуществлялись, крестьяне – недавние победители в войне – опять оказались в крепостном ярме. В России крепнет движение декабристов как отклик на страстное желание свободы. Но в 1825 году эти мечты разрушились на Сенатской площади. Надежда – и разочарование!

Обычно считается, что в России романтизм появляется в поэзии В.А Жуковского, Но уже к 1790—1800-х годам в русском романтизме появляется свобода от классических рамок, создается баллада, романтическая драма, утверждается новое представление о сущности и значении поэзии: прежний взгляд, по которому поэзия представлялась пустой забавой, оказывается уже невозможным. Всего за неполных 30 лет романтизм стал ведущим направлением в русской классической литературе. Условно можно выделить 4 этапа его развития:

1. Художественная система русского романтизма зародилась в творчестве В.Жуковского и К.Батюшкова получила название психологического романтизма (В.Жуков-ский, К.Батюшков);
2. Этап так называемого гражданского (героического) романтизма (К.Рылеев, декаб-ристы);
3. Ранняя поэзия А. С. Пушкина;
4. Вершиной русского романтизма можно назвать поэзию М. Ю. Лермонтова, «русского Байрона», как называли его современники;
5. Философская лирика Ф. И. Тютчева является одновременно и завершением, и преодолением романтизма в России в 19 веке;
6. Далее следует отметить специфику художественного мироощущения в творчестве Н. Гоголя;

Нельзя не отметить ещё одну особенность русского романтизма этого периода – огромное влияние личности и творчества Байрона. Диалог русской литературы с английским поэтом датируется 1815 годом (журнал «Русский музеум»), он очень конкретен и хронологичен. Можно выделить следующие основные этапы рецепции Байрона в русскую литературу.

1815 – 1820-е годы - начальный этап знакомства с личностью и творчеством Байрона. Творчество Байрона широко обсуждается на страницах русских журналов в салонах и кружках, делаются переводы стихотворений и поэм. Активно осваивается Пушкиным А.С.Пушкиным достижения английского поэта (например, «Восточные поэмы» Байрона и «Южные поэмы « Пушкина).

1820-е годы – посмертный этап осмысления романтизма Байрона и его роли в становлении русской литературы. Творчество и личность поэта – вновь материал для общественных споров особенно накануне декабристского восстания (К.Ф.Рылеев, В.К.Кюхельбекер, Д.В.Веневитинов и др.). Соотношение в сознании русских Байрона с образом моря. Увлечение М.Ю.Лермонтова Байроном.

1830-е годы - временное угасаний интереса к английскому романтику в связи с увлечением немецкими и французскими авторами. Формирование целостной концепции творчества Байрона в статьях В.Г.Белинского. Массовое увлечение Байроном в провинции. Превращение байронизма в литературную и поведенческую моду. И.И.Козлов – «русский Байрон». (3,69)

Диалог-полемика между английским романтиком и русскими писателями (особенно В.А.Жуковским, А.С.Пушкиным, М.Ю.Лермонтовым), имело исключительное значение в развитии национальной русской литературы.

7. Неоромантизм М.Горького в конце 19- начале 20 века..

Неоромантизм конца 19-начала 20 века внёс свою корректуру в поэтику романтизма как направления. К её особенностям можно отнести:

- Ощущение кризиса реализма как художественной системы ;
- Стремление переделать действительность;
- Проблематика «отверженных»;
- Проблематика «сильной личности» и «естественного человека»;
- Пафос свободолюбия;
- Стремление «создать иллюзию мира». (2,62)

На протяжении эволюции русский романтизм ставил в центре художественной системы ставил романтическую – прежде всего страстную – личность. Вот как схематично мы предлагаем рассмотреть классификацию романтического героя в русской литературе.

Базовый критерий – разочарование

Герои

↓

– нравственные

– совестливые

↓

Разлад между действительностью и мечтой

Стремление уйти от действительности

– герои – мечтатели
– илея покорности судьбе
– идея возмездия (не народного, не социального, а божьего)

Выражение протеста (активные атеисты)

– герои – бунтари
– идея борьбы человека
– антиклерикальные мотивы
– развенчание романтического героя
– элементы реализма

Эстетика

– исключительный герой
– исключительная обстановка
– усиление лирического начала
– исповедальность

Исходя из всего сказанного выше можно сделать следующие выводы:

- На возникновение русского романтизма повлияло три главных мировых события: Великая французская революция, наполеоновские войны, подъем национально-освободи-тельного движения в Европе;
- Романтизм как метод и направление в русской художественной культуре был явлением сложным и противоречивым. При всём этом он сохранил устойчивые черты европейского романтизма;
- Интерес к национальному прошлому;
- Интерес к сильной личности, которая противопоставляет себя всему окружающему миру и опирается только сама на себя;
- Внимание к внутреннему миру человека.

Однако романтизм в России отличался от западноевропейского по причине другой исторической обстановки и иной культурной традиции. У русского романтизма были особенности, присущие только ему: :

- Романтизм не противостоял Просвещению. Просветительская идеология ослабла, но не потерпела краха, как в Европе. Идеал просвещенного монарха не исчерпал себя;
- Романтизм развивался параллельно с классицизмом, нередко переплетаясь с ним;
- Романтизм в России в разных видах искусства проявил себя по-разному. В архитектуре он не проявился вообще, в музыке – частично, в живописи угас к середине XIX века, и лишь в литературе романтизм проявился последовательно.
- Романтизм в России как мироощущение существовал в своей первой волне с конца XVIII столетия и по 1850-е годы. Линия романтического в русском искусстве не прервалась на 1850-х годах. Открытые романтиками для искусства темы развивалась позднее у художников "Голубой розы".

Прямыми наследниками романтиков, несомненно, были символисты. Романти-ческие темы, мотивы, выразительные приемы вошли в искусство разных стилей, направлений, творческих объединений.

- Русские романтики открыли и развили новые жанры, обратили пристальное внимание к судьбам человеческой личности, раскрыли диалектику добра и зла, мастерски раскрыли человеческие страсти.

ЛИТЕРАТУРА:

1. Гуревич А. Романтизм в русской литературе. М., 1995;
2. Сахаров В.И. Романтизм в России: эпоха, школы, стили. - М., 2004;
3. Byron's political and cultural influence in nineteenth-century Europe: London.2000;
4. http:// www. philarts.spbu.ru/konferences
5. http://www.unn.ru/rus/persons/090308.htm

სენტიმენტალიზმი ინგლისურად

მაკა ვარდანაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო დავითაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ინგლისი შესანიშნავი რომანტიკოსების ქვეყანაა და ეს სახელი მან უკვე განმანათლებლობის ეპოქაში, მეთვრამეტე საუკუნეში დაიმკვიდრა. ამ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ინგლისური რომანის მდიდარი ტრადიციების შემქმნელნი: დანიელ დეფო, ჯონათან სვიფტი, სამუელ რიჩარდსონი, ჰენრი ფილდინგი, ტობაის სმოლეტი, ოლივერ გოლდსმითი და მათ შორის მახვილი აზროვნებით, ღრმა შინაარსით, დახვეწილი სტილითა და იუმორით გამორჩეული ლორენს სტერნი.

სტერნის შემოქმედება დაკავშირებულია სენტიმენტალიზმთან, რომელიც განმანათლებლობის წიაღში წარმოიშვა, მის ბოლო ეტაპს წარმოადგენს და მრავალ მხრივ გამოხატავს განმანათლებლური იდეალების კრიზისს. სენტიმენტალიზმის ამოსავალი წერტილია რაციონალიზმის, პრაქტიციზმის, მორალიზაციის, მათი გავლენის შედეგად ადამიანურ ღირებულებათა გაუფასურების უარყოფა და გრძნობის უპირატესობის აღიარება–მტკიცება.

სენტიმენტალისტების ყურადღების ცენტრში დგას ადამიანის რაობა, მისი სულიერი ცხოვრება, შინაგანი სამყარო, გრძნობები და განცდები, მაგრამ გრძნობის კულტი სენტიმენტალისტებთან არ უნდა იქნეს გაგებული ვიწროდ, როგორც ობიექტური გარემოდან მოწყვეტა და სუბიექტურ განცდებში ჩაკეტვა, სენტიმენტალიზმი ფართო იდეურ–ფილოსოფიური მიმდინარეობაა, რომელსაც ადამიანი და მისი გრძნობათა სამყარო აინტერესებს თავის თავადაც და გარე სამყაროსთანაც, ბუნებასა და საზოგადოებასთან, რეალურ, ობიექტურ გარემოცვასთან კავშირშიც. ხოლო გულწრფელობა, უშუალობა, სიკეთე და თანაგრძნობის იდეალი სენტიმენტალისტების ჭეშმარიტი დემოკრატიულობის გამომხატველია.

სენტიმენტალისტების მრწამსი ადამიანის ბუნებრიობა, პიროვნების თავისუფალი განვითარება, უარყოფს ცხოვრების იმგვარ ნორმებს, წოდებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცენზს, იმგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც უპირისპირდებიან და ზღუდავენ ყველაფერს ადამიანურს, თრგუნავენ ადამიანურ გრძნობათა სამყაროს, აქედან გამომდინარე, სენტიმენტალისტები მათი თანადროული სინამდვილის ულმობელი კრიტიკოსებიც იყვნენ. ისინი გრძნობით შეპყრობილნიც არიან და ამავე დროს მახვილ ირონიასაც მიმართავენ, იდილიასაც ეძიებენ და თანადროულობის წინააღმდეგ მწვავე, ღვარძლიანი სატირაც აქვთ მომარჯვებული. ყველაფერი ეს ნიშანდობლივია სტერნის შემოქმედებისთვის.

სუბიექტური სამყაროსადმი ინტერესმა განაპირობა სენტიმენტალისტების პოეტიკის თავისებურება, რაც კლასიციზმის ლიტერატურული ნორმატივების, საერთოდ ლიტერატურულ ფორმათა რეგლამენტაციის კატეგორიული რღვევის გზით წარიმართა ამის საუკეთესო ნიმუშია სტერნის განუმეორებელი, მეტად ორიგინალური, მაღალოსტატური მხატრული პროზა.

სტერნმა თავისი დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიიღო, თუმცა საამისო პირობებსაც მოკლებული იყო და ბევრი გაჭირვებაც გამოიარა. მამამისი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, მაგრამ არც დიდი ჩინი ჰქონდა და არც სამყოფი შემოსავალი. ლორენს სტერნი დაიბადა კლომლენში, სამხრეთ ირლანდიაში. სტერნებს, როგორც სამხედრო პირის ოჯახს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ. 1723 წელს პატარა სტერნი მიაბარეს ინგლისში, იორკშირში, ჰალიფაქსის სკოლაში, სადაც მან დაჰყო 1731 წლამდე. ამ წელს მამამისი დაიღუპა იამაიკაზე. 1733 წელს გავლენიანი ახლო ნათესავების შემწეობით ლორენს სტერნი ჩარიცხეს კემბრიჯის უნივერსიტეტში, იესოს კოლეჯში და როგორც ღარიბ სტუდენტს, სტიპენდიაც დაუნიშნეს. უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაუმეგობრდა ჯონ ჰოლ სტივენსონს, მდიდარ მემამულეს, ფრიად განსწავლულ და თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებას, რომელმაც სტერნის გარდაცვალების შემდეგ დაწერა "სენტიმენტალური მოგზაურობის" გაგრძელება და 1769 წელს გამოაქვეყნა კიდეც.

უნივერსიტეტის დამთავრების, ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ სტერნს სასულიერო წოდება მიენიჭა და მღვდლად დაინიშნა იორკის მახლობლად სატონ–ონ–დე–ფორესტში. 1740 წელს მაგისტრის ხარისხი დაიცვა. მომდევნო წელს ოჯახსაც მოეკიდა თითქმის ოცი წელი ამ მყუდრო პროვინციალურ ადგილას მუშაობა დიდად სასიკეთო აღმოჩნდა მომავალი მწერლისთვის, თავისუფალ დროს კითხვას ანდომებდა. სამწერლო ასპარეზზე სტერნი ძალიან გვიან გამოვიდა. ორმოცდახუთი წლის ასაკს გადაცილებულმა დამწყებმა მწერალმა თავისი პირველი სერიოზული ნაწარმოები სატირული პამფლეტი "პოლიტიკური რომანი" 1759 წელს სტამბაში ააწყობინა, მაგრამ პამპლეტი არ გამოქვეყნებულა, მკითხველმა მწერლის სიკვდილის შემდეგ მიიღო, ისიც შემოკლებული სახით. ტექსტი მთლიანად მხოლოდ ჩვენს საუკუნეში გამოქვეყნდა. პამფლეტი იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხებს მოიცავს და მასში უკვე თავს იჩენს მწერლის თავისებური ხელწერა. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ალეგორიულობის პაროდიასაც. თავის სადებიუტო თხზულებაში სტერნი უკვე ცდილობს ყურადღების ცენტრში მოაქციოს ლიტერატურის თეორიის საკითხები.

"პოლიტიკური რომანის" დაბეჭდვიდან ერთი წელიც არ იყო გასული, როცა 1759 წლის მიწურულში სტერნმა გამოაქვეყნა თავისი მხატვრულად მეტად თავისებური ნაწარმოების პირველი ორი ტომი. ეს ნაწარმოები გახლდათ "ჯელტმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი", რომელმაც მწერალს იმთავითვე გაუთქვა სახელი. ლონდონის საზოგადოებამ დიდი ამბით აღიარა და მიიღო სტერნი. ამიერიდან მკვეთრად იცვლება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების რიტმი. თუმცა პირადი ცხოვრება იღბლიანად ვერ წარიმართა, ცოლი სულით დაუავადმყოფდა, თავადაც ჭლექმა დარია ხელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, 1761 წელს გამოაქვეყნა "ტრისტრამ შენდის" მომდევნო ოთხი წიგნი. ამჯერად ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. იმდროინდერლი ისეთი ავტორიტეტული მოაზროვნეები და მწერლები, როგორებიც იყვნენ დოქტორი ს. ჯონსონი, ს. რიჩარდსონი, ჰ. უოლპოლი, ო. გოლდსმითი და სხვანი უწუნებდნენ გემოვნებას, სტილს ჰკიცხავდნენ მორალის თვალსაზრისითაც. მაგრამ სტერნს თავისი გარკვეული ლიტერატურული პოზიცია ჰქონდა ჩამოყალიბებული და იოლად ვერ დათმობდა, პირიქით მეტი გზნებით ცდილობდა ამ პოზიციის მტკიცედ შენარჩუნებას შემდგომ ნაწარმოებებშიც.

სუსტი ჯანმრთელობის გამო სტერნმა საფრანგეთში ორი წელი დაჰყო. ინგლისში დაბრუნებისთანავე 1765 წელს „ტრისტრამ შენდის" გაგრძელება მე–7 და მე–8 წიგნები. მეორედ გაემგზავრა საფრანგეთში, იყო იტალიაშიც. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნა „ქადაგებათა" მესამე და მეოთხე ტომები. (პირველი და მეორე ადრე იყო გამოსული, 1759 წელს), 1767 წელს – „შენდის" ბოლო, მეცხრე წიგნი.

მომდევნო წელს მას მოჰყვა „მისტერ იორკის სენტიმენტალური მოგზაურობა საფრანგეთსა და იტალიაში", რომელშიც მხოლოდ საფრანგეთში მოგზაურობაა გადმოცემული. მწერალს ჩაფიქრებული ჰქონდა იტალიური ეპიზოდების აღწერაც, მაგრამ აღარ დასცალდა, გარდაიცვალა.

სტერნის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მის "ქადაგებათა" კიდევ ორი ტომი, აგრეთვე პირადი წერილები, მემუარები, ჩანაწერები, რომლებიც გამოსაცემად მოამზადა მწერლის ქალიშვილმა. სტერნის წერილები ელიზაბეთ დრეიპერისადმი 1773 წელს გამოაქვეყნა ლონდონში ვიღაც უცნობმა პირმა. ეს წერილები და "დღიური ელიზასათვის" საგულისხმოა არა მარტო როგორც ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც მოწმობენ, რომ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ხანდაზმულ მწერალს 22 წლის ქალი შეჰყვარებია, არამედ უმეტესად როგორც ლიტერატურული ქმნილებანი, რომლებშიც დაცულია მხატვრული პირობითობის კანონზომიერება.

ამ მანერას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. მეტიც, მათ მიერ "ტრისტრამ შენდის" გაგრძელება" და "სენტიმენტალური მოგზაურობის" იტალიური ნაწილი ისე სტერნისებურად ოსტატურადაა შესრულებული, რომ გამოუცდელ მკითხველს ადვილად შეიყვანს შეცდომაში, შეიძლება ისიც სტერნის კალამს მიაკუთვნოს.

დღეს უკვე საბოლოოდ დადგენილია საკუთრივ სტერნის ავტორისეული ტექსტი და ისიც, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებებია "ტრისტრამ შენდი" და "სენტიმენტალური მოგზაურობა".

"ტრისტრამ შენდი" და "სენტიმენტალური მოგზაურობა" უსიუჟეტო ნაწარმოებებია. მე–18 საუკუნის რომანისათვის ეს სრულიად უჩვეულო მოვლენაა. სათავგადასავლო ჟანრს პირველ რიგში დეფოს და სვიფტის სახელებს უკავშირებენ; რიჩარდსონი და გოლსმითი, – თუ აღარაფერს ვიტყვით ფილდინგზე, სმოლეტზე, უოლპოლზე, სიუჟეტური ხლართების, კვანძის შეკვრისა და გახსნის შესანიშნავი ოსტატები არიან, სტერნი კი პირიქით, უსიუჟეტო რომანის ოსტატია.

ლორენს სტერნის ყველაზე უფრო დიდი მოცულობის წიგნის სათაური შემდეგია: "ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი", რომელიც მკითხველს ბევრს პირდება. სათაური ხომ ნაწარმოების დედააზრის ლაკონური გამოხატულებაა. მაგრამ სტერნი, რომელიც ყოველგვარი ლიტერატურული ნორმების დარღვევის გზით მიდის, აქაც არღვევს სათაურის დანიშნულების პრინციპს. ცხადია, განზრახ მიმართავს ამ ხერხს, რითაც თავიდანვე აძლიერებს თავის პაროდიულ პოზიციას. ამ შემთხვევაში მას მიზანში ამოღებული აქვს სათავგადასავლო აღმზრდელობით–დიდაქტიკური რომანის სახეობა.

რომანის მოქმედი გმირი შეიძლება ეწოდოს ყველა პერსონაჟს, რომელსაც ტრისტრამ–მთხრობელი იგონებს და ასახელებს, გარდა თვით ტრისტრამისა. ნაწარმოების მთავარი გმირები ეკუთვნიან იმ მყუდრო ოჯახსა და გარემოს, რომელშიც აღიზარდა ტრისტრამი და ახლა მკითხველს მოუთხრობს თავისი ბავშვობის უფრო ზუსტად თავისი ოჯახის წევრებისა და მათ ახლობელთა ამბებს; ამბებზე მეტად მათ ხასიათებს აცნობს. ისინი არიან ძირითადად ორი მთავარი მოქმედი პირი, ტრისტრამის მამა – უოლტერ შენდი და მისი ძმა ტრისტრამის ბიძა ტობი, აგრეთვე მისი ერთგული მსახური, ყოფილი კაპრალი ტრიმი, მღვდელი იორიკი, ექიმი სლოპი, ქვრივი უოდმენი. მათ შორის შეიძლება მოვიხსენიოთ ტრისტრამის დედა, ბებიაქალი, მოსამსახურე სიუზენი.

სტერნის პერსონაჟთა სისტემა უაღრესად თავისებურია და უჩვეულოც, მაგრამ ცხოვრებისეული და დამაჯერებელიც. სტერნის მხატვრული სამყაროსათვის უცხოა მძაფრი დრამატული სიტუაციები, ძლიერი ვნებები, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი, დაძაბული კონფლიქტები. მისი ხასიათები არ ნაწილდებიან მკვეთრად დადებით და უარყოფით გმირებად. სტერნის ყოველი ხასიათი სიცოცხლის დიდი სიყვარულით გამოირჩევა წვრილმანი ადამიანური ნაკლოვანებანი მათ ხელს არ უშლის შეინარჩუნონ ადამიანური სიკეთე და თანაგრძნობა. სტერნის პერსონაჟთა შორის ძნელად მოიძებნება უარყოფითი და ბოროტებით აღსავსე გმირი, მაგრამ ამავე დროს სტერნის ხასიათები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ყოველი მათგანი გამორჩეული, გამოკვეთილი ინდივიდია, სტერნი მრავალფეროვან ხასიათთა მდიდარ გალერეას ქმნის.

დიდი ფსიქოლოგი მწერლის აზრით ყოველ ადამიანს აქვს თავისი განსაკუთრებული განცდის სამყარო, რაც განსაზღვრავს მის საქციელსა და ხასიათის თავისებურებას. ინდივიდუალიზმს ქმნის გარკვეული მისწრაფება, ახირება, გატაცება. "ტრისტრამ შენდში" ავტორი ვრცლად მსჯელობს იმის თაობაზე, რომ ყოველი კაცი თავისებურად დააჭენებს თავის ბედაურს. სტერნისებური "ბედაურის ფილოსოფია" რთულ და მრავალნიშნა კონცეფციაა, რომელიც მწერალს საშუალებას აძლევს შექმნას სინამდვილის ცოცხალი სურათი. ახირებულობა უცნაური სინამდვილისაგან გაქცევის გზაა და ერთგვარი თავშესაფარია ადამიანისათვის. იგივე ახირება მას აქცევს შეზღუდულ თავის გრძნობათა სამყაროსა და მისწრაფებათა საზღვრებში ჩაკეტილ პიროვნებად. მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაკლოვანებანი ფაქტიურად ზიანს არავის აყენებს, თავისთავად უფრო ამაღლებული და კეთილშობილურია, ვიდრე გარე ყოველდღიური სინამდვილის სოციალური სისასტიკე, პიროვნების დამთრგუნველი ცივი პრაქტიკული ანგარიშიანობა. ამიტომ გასაგებია, რომ სტერნის ახირებული, უცნაური ხასიათები თავისთავად სოციალურ უკუღმართობათა, ნაციონალურ და აღებ–მიცემობით მოცული უსულგულო სინამდვილის უარყოფის გამომხატველნი არიან.

სტერნის გმირები გროტესკულ–კომიკური ხასიათებია. უოლტერ შენდი ჭირვეული და ბუზღუნა კაცია, მაგრამ უაღრესად კეთილი და გულმართალიც. მისი „ბედაურია" განსწავლულობა და ინტელექტუალურობის პრეტენზია. ბევრი აკვიატებული უცნაური აზრი უტრიალებს თავში, ტრევიალურ აზრებზე დაბალი, მაგრამ თავად დარწმუნებულია, ფრიად ბრძნულ აზრებს ავითარებს. განსაკუთრებით დიდ სიამოვნებას ჰგვრის ამ აზრების ქადაგება, მათ ირგვლივ გაუთავებელი მსჯელობა, მათი არგუმენტაცია, რისთვისაც დიდ მწიგნობრულ მასალას იშველიებს.

ასევე კომიკურ–გროტესკულია შენდი – ჰოლის მეორე მკვიდრი, ტრისტრამის ბიძა – ტომი. იგი უწყინარი, თავმდაბალი და გულუბრყვილო კაცია. ომში მიღებული ჭრილობის შემდეგ ის თავის პატარა ადგილ–მამულში დაბრუნებულა, მყოდროდ ცხოვრობს და დიდი სიამოვნებით თამაშობს ომობანას

თავის კაპრალთან ერთად. ძია ტობის სახით მწერალი დასცინის და გმობს სისხლის მღვრელ ომებსა და ყოველგვარ აგრესიას.

"ბედაურების ფილოსოფია" სტერნთან განუყოფელია მისი იუმორისგან. ახირებულობა, უცნაურობა გადმოცემულია ფაქიზი იუმორით. სტერნი უბრალოდ კი არ დასცინის ადამიანის აჩემებულობას, უმიზნობას, არამედ ახირებულობას მოქნილად, მარჯვედ იყენებს მთელი სოციალური გარემოსა და სულიერი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების გამოსააშკარავებლად.

თავისებურ კომიკურ ატმოსფეროს სტერნი ქმნის უმნიშვნელო, არსებითი საგნის ირგვლივ გაზვიადებული მსჯელობით, მისი მნიშვნელობის ჰიპერბოლიზაციით, განზრახ შერჩეულ მეტად კონკრეტულ და ტრივიალურ საგანზე. მთელ ფილოსოფიურ ტრიადებსა და რიტორიკას ავითარებს. ეს ხერხი, ისევე როგორც ამას ვხედავთ რაბლესთან და ერაზმ როტერდამელთან, სვიფტთან და ფილდინგთან, სტერნს საშუალებას აძლევს ყოველი სახე ღრმა ალეგორიული მნიშვნელობით დატვირთოს. ამით სტერნი მარტო ფსევდოფილოსოფოსების წინააღმდეგ როდი ილაშქრებს, არამედ საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს, რომ ცრუმეცნიერება ყოველმხრივ სახიფათოა, მან ადვილად შეიძლება უსამართლობას ერთგული სამსახური გაუწიოს.

"სენტიმენტალური მოგზაურობა", "ტრისტრამ შენდის" ყველაზე მეტად იუმორის თავისებურებით ენათესავება. შენდისეული კომიზმი "სენტიმენტალურ მოგზაურობაშიც" არ ნელდება, პირიქით, უფრო მოქნილი ხდება და ახალ–ახალი მხატვრული მიგნებებით მდიდრდება. "სენტიმენტალური მოგზაურობა" სტრუქტურითაც ენათესავება "ტრისტრამ შენდის", აქაც მოქმედი გმირის პირითაა წარმართული თხრობა. ნაწარმოების ეს მთავარი გმირია მღვდელი იორიკი, რომელსაც მკითხველი უკვე იცნობს "ტრისტრამ შენდიდან".

"სენტიმენტალური მოგზაურობა" უფრო ესეისტური ჟანრისკენ იხრება, იგი რაღაც შუალედურია რომანსა და ესეისტურ ნაწარმოებებს შორის. მოგზაურობის ცნებას მწერალი განსაკუთრებული აზრით ტვირთავს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრული ფორმის თავისებურებას.

სტერნის გმირის თავგადასავალი უფათერაკო, მხოლოდ საკუთარი გრძნობების სამყაროში მოგზაურობაა, რომელშიც მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, ფათერაკებისა და თავგადასავლების ადგილს იკავებს შთაბეჭდილებები და განცდები. ამის შემდეგ გასაგებია, რატომ კარგავს სიუჟეტურობა მნიშვნელობას და თავად უსიუჟეტობა იტვირთება ახალი მნიშვნელობით.

"სენტიმენტალურ მოგზაურობაში" გადმოცემულია იორკის "სენტიმენტები". იორკი მიმართავს თვითანალიზს, საიდანაც ირკვევა, რომ სხვების გაგება–აღქმა, გარემოს მოვლენების განცდა, რთული, ცვალებადი და უზომოდ მრავალფეროვანია. იორკი ხვდება, რომ ზოგჯერ თავადაც სცოდავს საკუთარ ფიქრებსა და განცდებში, ხშირად წინააღმდეგობებში ვარდება, ერთი და იმავე მოვლენისა თუ პიროვნების მიმართ განსხვავებული, ხშირად საპირისპირო გრძნობა და შთაბეჭდილება ექმნება. განცდის უპირატესობის განდიდებისადმი მიძღვნილ ამ ნაწარმოებში სტერნი თვითონვე უცხადებს უნდობლობას გრძნობას.

გულუბრყვილობითა და მოვლენათა ბოლომდე განჭვრეტის უუნარობით იორკი ერთგვარად დონკიხოტური ხასიათიცაა. არცთუ იშვიათად აღმოჩნდება სენტიმენტალური გმირი იმ ფაქტის წინაშე, რომ ერთია მისი გულუბრყვილო წარმოდგენა სხვებსა და გარე სამყაროზე და სულ სხვაა სინამდვილე. ნაწარმოებში კომიკურ სიტუაციებს, კომიკურ ატმოსფეროს ქმნის რთული, მოულოდნელი წინააღმდეგობა იორკის ფანტაზიასა და რეალობას შორის.

მართალია, "სენტიმენტალურ მოგზაურობაში" მახვილი გადატანილია გრძნობათა სამყაროს ჩვენებაზე, მაგრამ ობიექტური, რეალური გარემოს დასურათებასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, ოღონდ ის გარდატანილია დაკვირვებების, შთაბეჭდილებების, სუბიექტური განცდების პრიზმაში და მაინც, ამ ნაწარმოების მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ფსიქოლოგიური, სუბიექტური მხარის წინა პლანზე წამოწევა, რითაც სტერნმა გზა გაუკვალა ფსიქოლოგიური რომანის შემდგომ განვითარებას. მე–20 საუკუნის ცნობილი ინგლისელი მწერალი, "ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურის ერთ–ერთი ფუძემდებელი – ვირჯინია ვულფი "სენტიმენტალური მოგზაურობის" წინასიტყვაობაში წერს, რომ სტერნმა რომანის ფორმისა და სტილის საკითხში რევოლუცია მოახდინა, თავდაყირა დააყენა რომანის თემათა იერარქია, გარეგნულის ნაცვლად ინტერესი შინაგანზე გადაიტანა, ხოლო ადამიანის ცნობიერებაში წიაღსვლებით, ვულფის აზრით, სტერნი საოცრად ახლოს დგას ჩვენი საუკუნის მწერლობასთან.

თანამედროვე მხატვრულ პროზაში აშკარად წამყვანი ადგილი დაიკავა თხრობის სუბიექტივიზაციამ, უავტორო თხრობამ. ყოვლისმცოდნე, ყოვლისმომცველი ავტორი მთხრობელმა გმირმა შეცვალა. თხრობის ეს მეთოდი წარსული საუკუნეების ლიტერატურისთვისაც არ იყო უცხო. ის განსაკუთრებით განვითარდა რომანის ჟანრის განვითარებასთან ერთად. რომანისთვის ნიშანდობლივი

სუბიექტური საწყისის გაძლიერებამ ობიექტური ასახვის მეთოდის პარალელურად სუბიექტური თხრობის სისტემასაც გზა გაუხსნა. ეს მეთოდი ინგლისურ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური, საყოფაცხოვრებო, ინტიმური ხასიათის რომანის შემქმნელმა რიჩარდსონმა შემოიტანა. სტერნმა რიჩარდსონისეული წერის მანერა მაქსიმალურად განავრცო და დაუკავშირა ასოციაციურ თხრობას. ასოციაციურობამ სტერნის პროზაში ფართო გასაქანი ჰპოვა სწორედ მთხრობელის შემოყვანით ნაწარმოებში, მისი ფუნქციის გაზრდით და თხრობის სუბიექტივიზაციის გაძლიერებით.

თხრობის სუბიექტივიზაციას ბევრი მხატვრული სიახლე მოჰყვა. გაჩნდა მხატვრული დროის შრეები. მაგალითად, "ტრისტრამ შენდში" ძირითადად ორი მხატვრული დრო მოქმედებს და ისინი ხშირად ერთმანეთს ჰკვეთენ. ერთი – მთხრობელის დრო, მისი თანადროულობა, მეორე თვით მოქმედების დრო, რომელიც თავის მხრივ შეიცავს დროთა სხვადასხვა შრეებს: შორეულ წარსულს, ახლო წარსულს, ზოგჯერ აწმყოსაც. მთხრობელის ნაამბობში ხშირად ჩართულია სხვათა ნაამბობიც და ა.შ. მხატვრულ დროთა ამგვარი შრეები, დროის არა თანმიმდევრობა, არასწორხაზოვანება, ართულებს ნაწარმოების ათვისებას. მკითხველს უხდება ერთდროულად აღიქვას წარსულიცა და აწმყოც.

სტერნი ჯონ ლოკის ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრად ითვლება, მისი ასოციაციური თხრობის მანერა, უდავოდ ლოკის ასოციაციის თეორიის ზეგავლენით ჩამოყალიბდა. მკვლევართა შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ლოკის ასოციაციის თეორია საფუძვლად დაედო როგორც სტერნის, ისე თანამედროვე "ცნობიერების ნაკადის" ბევრ ნაწარმოებს. მოდერნისტი მწერალი, "ცნობიერების ნაკადის" ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი ჯეიმზ ჯოისი თავად აცხადებს, რომ მისი მეთოდი შორეულად დაკავშირებულია სტერნისებურ ასოციაციური თხრობის სისტემასთან. მაგრამ სტერნს მე–20 საუკუნის მოდერნისტებიდან, "ცნობიერების ნაკადის" მწერლებისგან განასხვავებს ის, რომ სტერნი მაინც განმანათლებლობის ეპოქის პირუთვნელი შვილია, იმ ეპოქისა, რომელიც იკვებებოდა აღორძინების ეპოქის ჯანსაღი სიცოცხლის სიყვარულით და ამავე დროს გზას უკაფავდა და ამზადებდა მე–19 საუკუნის კლასიკურ რეალიზმს. სტერნი წერს რთულად, მაგრამ ცდილობს იყოს ბოლომდე ნათელი. მისთვის მიუღებელია ავტორის პოზიციის სრული გაუქმება, ავტორის სრული იმპერსონალიზაცია, იგი თავის მთხრობელს ამოფარებული ცდილობს მკითხველს მიაწოდოს მაქსიმალური ინფორმაცია ყოველი მოვლენის, ყოველი დეტალის ირგვლივ, თანაც ეს დეტალები უმეტესად ეხება გმირთა შინაგან ხასიათებს, განცდებს, ფსიქოლოგიურ სიღრმეებს.

სტერნის ასოციაციური წერის მეთოდი ერთი შეხედვით ქმნის ქაოსის, აღრეულობის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს მოჩვენებითი ქაოსია, რომელიც საბოლოოდ ლაგდება მკითხველის წარმოდგენაში და იქმნება მოვლენათა და ნააზრევთა უწყვეტი ჯაჭვი.

ასოციაციური თხრობა სტერნს დაბრკოლებას არ უქმნის მოვლენის ამომწურავი ნათალი სურათის წარმოდგენაში.

სტერნი – სენტიმენტალისტი, ამავე დროს "ინგლისელი რაბლე", როგორც მას უწოდებდნენ ვოლტერი და დიდრო, ჩვენი თანადროულობისთვისაც უაღრესად ახლობელი მწერალია." ტრისტრამ შენდისა" და "სენტიმენტალური მოგზაურობის" ავტორის გავლენა აშკარად ჩანს ლესინგის, გოეთეს და ჰაინეს შემოქმედებაში, საერთოდ სტერნის შემდგომ მწერლობაში. ხოლო მე-20 საუკუნეში ვ. ვულფისა და ჯ. ჯოისის შთაგონებით დიდად გაიზარდა სტერნის პოპულარობა, მისმა ქმნილებებმა თითქოს ხელახლა დაიწყეს არსებობა, ნათელი შეიქმნა, რომ სტერნის რომანის პოეტიკა მრავალმხრივ პასუხობს თანამედროვე ლიტერატურის რთულ მხატვრულ ძიებებს.

ლორენ სტერნი იმ გამონაკლის მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნაწარმოებები მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს კითხვის პროცესში და ორმაგად მეტს წაკითხვის შემდეგ.

ლიტერატურა:

1. სტერნი ლ. თხზულებანი, თბ., 1990;
2. ურუშაძე ნ. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, თბ., 1968;
3. ხავთასი გ. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია, თბ., 1986.

БАСНЯ КАК ЭПИЧЕСКИЙ ЖАНР

Этер Вардишвили
ст. 3 курса . спец. рус. язык
и литература. гуманит. фак.
рук. проф**. Н. Хинчагашвили**

Басня - жанр, не только тесно связанный с народным творчеством, но и рожденный народом. В ней всегда звучал голос демократических, угнетенных масс, прибегавших к иносказательному, эзоповскому языку, чтобы высказать правду о своей жизни. До сих пор этот жанр живуч, несмотря на многие века своего существования. Развиваясь как жанр, басня видоизменялась. Мы попытались проследить эволюцию жанра и выделить её специфические черты.

Таким образом, объектом нашего исследования является басня как эпический жанр.

Цель исследования: сформулировать общее определение жанра «басня» на основе нескольких определений; Исходя из цели исследования, нами ставились следующие задачи:

- знакомство с понятиями “мораль”, “дидактика” аллегория, олицетворение;
- выделение основных характерных жанровых особенностей басни после наблюдения над языковым и иллюстративным материалом;
- установление общей черты и формулирование выводов по результатам сопоставления сходных объектов и установление черт различия басен Эзопа, Лафонтена, Крылова

Басня - жанр, не только тесно связанный с народным творчеством, но и рожденный народом. В ней всегда звучал голос демократических, угнетенных масс, прибегавших к иносказательному, эзоповскому языку, чтобы высказать правду о своей жизни.

История жанра насчитывает много веков. Учитывая ограниченные возможности объема статьи, остановимся на основных этапах его становления.

Басня – один из наиболее распространенных во всей мировой литературе жанров, имеющий древние и прочные корни не только в литературах западноевропейских народов, но и на Востоке, в Китае, Индии, арабских странах. Еще в самом начале нашей эры в Индии был создан замечательный сборник басен «Панчатантра», высмеивающий пороки и недостатки людей, зло обличающий царей и жрецов. Народное, демократическое начало басни явилось причиной ее широкой популярности у всех народов.

В античном мире сложилась биография Эзопа - скорее всего легендарного лица ,раба знатного господина, который вынужден был пользоваться иносказанием, создавая свои басни и которому приписывали народные басни, относящиеся к 6 в. до н. э. и явившиеся тем богатейшим фондом, из которого черпали свои сюжеты последующие баснописцы, по-своему применяя их. В античной басне, однако, дано лишь аллегорическое изображение сюжета, отсутствует раскрытие характеров. По словам Федра, басня - жанр, служивший для того, чтобы угнетенные могли говорить о своем положении, выражать свои мнения.

Наивысшего расцвета этот жанр достиг в творчестве великого французского баснописца Лафонтена, который придал условно-аллегорической античной басенной традиции жизненный и глубоко национальный характер, наполнил басню тонким и острым галльским юмором.

Особое место в мировой басенной традиции занимают басни Лессинга, который вернулся к античной лаконичности и простоте рассказа, превратив басню в философскую аллегорию.

В России жанр басни стал широко известен в начале 18 века. Первый перевод басен Эзопа на русский язык Копиевского вышел в 1700 году Амстердаме и дважды переиздавался (в 1712 и 1717 гг.). В 1762 году появился перевод (с французского) басен «индейского мудреца» Пильпая.

Басни Лафонтена неоднократно переводились на русский язык в 18 веке – Сумароковым, Хемницером, Херасковым, Дмитриевым и другими русскими баснописцами.

Широкую известность в эти же годы получили и басни датского баснописца и комедиографа Гольдберга в прозаическом переводе Д. Фонвизина. Их сатирическая острота и повествовательная занимательность привлекали русского читателя.

Подлинного расцвета жанр басни достигает в творчестве Ивана Андреевича Крылова. Он создает реалистические образы, отличные от аллегорий античной и классической басни, образы настолько конкретные, что персонажи крыловских басен существуют как реальные, типические характеры. В этом отношении Крылов пошел значительно дальше своих предшественников, в том числе и Лафонтена.

В чем же секрет такой живучести жанра, ведь многие другие на протяжении лет просто – напросто исчезли. Литературовед М.Л. Гаспаров в своём труде «Басни Эзопа» так объясняет назначение басни. «Когда первобытный человек почувствовал себя человеком, он оглянулся вокруг себя и впервые задумался о мире и о себе. По существу, это были два вопроса: как устроен мир? И как должен вести себя в этом мире человек? На первый вопрос он ответил мифом. На второй вопрос – басней». (3. 45)

Каждая эпоха развития мировой литературы по-своему отвечала на поставленные вопросы. Значит, каждое литературное направление и течение давало свою трактовку определению жанра басни. Остановимся коротко на этом.

Жанр басни привлёк внимание русских профессиональных литераторов в 18 веке. Однако по своей сути жанр был для русского фольклора не новым. Об этом говорит этимология слова: « баять» в древнерусском означало «говорить», соответственно «баснь» - «рассказанное», а «бахарь» - «рассказчик».

Школьная поэтика и риторика 18 века в России, например, определяла басню не только по традиционным правилам классицизма, установленным еще в «Риторике» Ломоносова, но и находили в ней прежде всего «вымышленное действие», отказывая басне в ее праве на сатиру, видя в ней прежде всего моралистический род литературы. Так, в популярном руководстве Я. Толмачева говорится о басне как роде «иносказательном» «нравственного действия». «Баснь есть иносказательная повесть нравственного действия; она родилась от воображения, а поэтому более прилична стихотворцу, нежели оратору или философу». Развивая далее свою мысль, Я. Толмачев выдвигает именно нравственный, моральный момент в басне, как ее основу и цель: Способ повествования в баснях есть иносказательный. Истина или вообще нравственность бывает предметом оного. Посему должно стараться, чтобы завеса, скрывающая истину, была тонка и можно было видеть, о чем идет дело. Цель повествования есть нравоучение, которое или показывается ясными словами, или умалчивается, если повесть бывает довольно ясна и истинную цель удобно видеть можно». (5.27)

Далее, « Литературный словарь»., составленный в начале 19 века так определял жанр: « Басня - краткий рассказ, чаще всего в стихах, главным образом сатирического характера.» (5.29)

«Словарь литературоведческих терминов». дал такую формулировку: «Басня – это малый эпический жанр дидактической литературы: короткий рассказ в стихотворной или прозаической формы с прямо сформулированной моралью. как правило, нравоучительного характера. Басня изображает героев и события, используя олицетворение: действующими лицами выступают не только люди, но и животные, птицы, рыбы, насекомые, растения, вещи » (5, 35)

Наконец, в «Большой литературной энциклопедии» дается уже исчерпывающее определение жанра: «басня – эпический жанр, в котором художественная образность основывается на приеме аллегории, иносказания. Поэтому персонажами басен бывают не только люди, но и животные, а также неодушевленные предметы. Существенной установкой басни является установка на поучение, которое часто выражается в «морали» - обобщении художественной идеи в виде поучения или афоризма («У сильного всегда бессильный виноват» Басня может быть прозаической (у Эзопа, у Л.Толстого) и стихотворной (у Лафонтена, Сулхан – Саба, Крылова, Михалкова, Демьяна Бедного). (2,98)

Исходя из вышесказанного, можно выделить следующие жанрообразующие приз-наки басни:

- Форма - краткое стихотворное или прозаическое повествование, в основном, от 3 лица (чем похоже на рассказ) о каком-либо событии, случае;
- Объём, обусловленный добавлением художественных подробностей в повествование и прямую речь (в этом заключается сходство со сказкой);
- Образность. Традиционный круг образов, мотивов; изображает героев, события, реже группу лиц или общественное явление. Основным признаком басенного жанра, определяющим внутреннюю структуру басни, является изображение частного, единичного случая как широко обобщенного, типического. Однако типизация басенных образов во многом отличается от принципов реалистичной типизации. Басенные персонажи в басне классицизма, у Эзопа, Федра, Лессинга, пороки или нравственные качества людей. Аллегория исключает частное, жизненно-конкретное, она подчеркнуто рационалистична, основана на логическом умозаключении.
- Двухчастная композиция - основное повествование и мораль (нравоучение);
- Аллегорическая форма (иносказание). Аллегория (в переводе с греческого – иносказание) – изображение человека или иного предмета через другого человека или другой предмет: лиса – хитрый, заяц, – беззащитный , волк – злой, бессердечный человек.

Аллегория является одним из видов тропов – иносказательное изображение понятия или явления действительности, отвлеченная идея или понятие, воплощенные в конкретном образе.

В мировой литературе многие аллегорические образы взяты из фольклора, сказок о животных: например, ягнёнок выражает беззащитность, голубь – невинность, волк – жадность, лиса – хитрость, змея – коварство, муравей – трудолюбие, крест – страдание и т.д. Черты и при-знаки этого образа вызывают то представление о нём, которое хочет создать писатель.

Лишь Ланфонтену удалось выйти за пределы этого аллегоризма. Но полностью превратил этот условно-дидактический жанр в социальную сатиру, придал басенным образам реальность и типичность великий русский баснописец Крылов.

С жанром басни связано и словосочетание эзопов язык. Под ним подразумевается речь, которая изобилует иносказаниями, недомолвками и другими приёмами для сокрытия прямого смысла. Умение баснописцев сказать всё, что они хотели, замаскировав самую суть своих острых высказываний, уже в древности называли эзоповым языком, по имени древнего баснописца Эзопа;

- Диалогичность;
- Лаконизм, использование просторечной лексики;
- Дидактичность, морализаторство (слово мораль в басне иногда в русской литературе заменяют нравоучением, поучением, выводом, наставлением, рассуждением). Мораль (лат.) - логический, поучительный вывод из чего-нибудь. В широком смысле слова мораль – нравственные правила, которым следуют в обществе и домашней жизни (логический, поучительный вывод из чего-нибудь).

Басня в мировой басенной традиции являлась преимущественно моральной аллегорией. Мораль в басне- открывающее или закрывающее её нравоучение, художественной иллюстрацией которой является сама басня. Например, в басне Сергея Михалкова «Две подруги»:

Мы знаем, есть ещё семейки,
Где наше хают и бранят,
Где с умилением глядят
На заграничные наклейки…
А сало…русское едят! (4.13)

Басня обычно изображает событие, которое имеет поучительный смысл. Поступки животных, изображенных в ней, напоминают поступки людей, которые в басне высмеиваются людские пороки. Лесть, зависть, глупость, непрофессионализм, присвоение чужих достоинств, лень, неумелая и неловкая услуга, приносящая вместо помощи вред, неприятность;

- Комизм сатирического характера. в остроумной форме высмеивающее что-либо;
- Олицетворение – присвоение предметам неживой природы свойств живых существ. Автор использует образы зверей, чтобы выразить какое-либо человеческое качество, т.е. в этом “зашифрована” одна из характерных особенностей басни. Олице-творение главными действующими лицами выступают не только люди, но и животные, птицы, рыбы, насекомые, растения, вещи…(этим басня похожа на сказку);
- Афористичность языка. Афоризмы – это закрепившиеся в речи краткие выражения, взятые из литературного источника. В русской литературе они зачастую называются крылатыми выражениями. Например, широко известны таки выражения из басен И.А.Крылова, как «у сильного всегда бессильный виноват», «сильнее кошки зверя нет», «да только воз и ныне там», «а ларчик просто открывался», «а Васька слушает да ест», «мартышкин труд» и многие другие.
- Особенный басенный стих (строчки разной длины), передающий разговорную речь.

В заключение можно отметить следующее. Басня является широко демократичным литературным жанром в силу доступности языка, лаконичности изложения, конкретности образов, актуальностью тематики. Как общими жанровыми признаками можно назвать:

- форма - краткое стихотворное или прозаическое повествование;
- сочетание повествования с диалогической речью;
- традиционный круг образов, мотивов;
- двухчастная композиция
- аллегорическая форма
- диалогичность;
- лаконизм, использование просторечной лексики;
- дидактичность, морализаторство
- комизм ситуаций, сатирический характер, остроумная форма высмеивания чего-либо;
- олицетворение – присвоение предметам неживой природы свойств живых существ
- афористичность языка.
- особенный басенный стих

ЛИТЕРАТУРА:

1. Басни И. А. Крылова. М., 1998
2. Большая литературная энциклопедия. М., 1985
3. Гаспаров Л.М. Басни Эзопа. М., 1987
4. Михалков С. Басни. М., 1976
5. Степанов Л.С. Басененное творчество И.А.Крылова. М., 1988
6. hhh //www. openweb. Ru /windows /stepanov / library.htm

СМЫСЛОВАЯ И КОМПОЗИЦИОННАЯ РОЛЬ СОНАТЫ БЕТХОВЕНА В РАССКАЗЕ А. КУПРИНА «ГРАНАТОВЫЙ БРАСЛЕТ»

Нино Маркарова
ст. 2 курса . спец. англ. язык
и литература. гуманит. фак.
рук. преп. **Е. Хирсели**

Есть у А. И. Куприна одна заветная тема. Это тема любви. Один из самых благоуханных и томительных рассказов о любви — и, пожалуй, самых печальных — это купринский «Грана-товый браслет».

Писатель воспевает возвышенную любовь, противопоставляя ее ненависти, вражде, недоверию, антипатии, равнодушию. Устами генерала Аносова он говорит, что это чувство не должно быть ни легкомысленным, ни примитивным, ни, тем более, основываться на выгоде и корысти: "Любовь должна быть трагедией. Величайшей тайной в мире! Никакие жизненные удобства, расчеты и компромиссы не должны ее касаться"».

Объектом нашего исследования явился рассказ А.Куприна «Гранатовый браслет», предметом исследования - роль сонаты Бетховена в данном произведении.

Была выдвинута следующая гипотеза: выбор в качестве завершения рассказа сонаты Бетховена №21 Largo Appassionato вызвал необходимость перестраивания всего рассказа и уточнения его идеи.

Цель нашего исследования - изучение смысловой и композиционной роли сонаты Бетховена в рассказе И.А.Куприна «Гранатовый браслет».

Для реализации данной цели были выдвинуты следующие задачи:

1. Познакомиться с содержанием рассказа А.Куприна «Гранатовый браслет»;
2. Изучить историю создания рассказа и отношение Куприна к произведениям Бетховена;
3. Определить смысловую и композиционную роль сонаты Бетховена в рассказе И.Куприна «Гранатовый браслет».
4. На первый взгляд нет ничего более противоположного, чем идея и масштаб творчества и личности Бетховена и Куприна. В первом воплотился ярко выраженный героизм и трагизм, олицетворение воли и преодоления в построении собственной жизни и своего творчества, полной устраненности от всего заземленного и бытового. Куприн — писатель, «обожающий и боготворящий быт», и его герои — мягкие, безвольные, сильные только в инфантильных мечтах, чего-то хотящие, но не имеющие воли и характера воплотить, слишком зависящие от мнения окружающих и часто подпадающие под их влияние.

Для менее деликатного, слабого и отказывающегося от борьбы с жизненными обстоятельствами Г.С.Желткова из рассказа «Гранатовый браслет» в качестве лейтмотива его жизни писатель избирает вторую часть второй сонаты для фортепиано Бетховена, опус 2, Largo Appassionato. Известно, что к выбору этого произведения Куприн пришел не сразу. Напомним историю этого выбора, так как, по нашему мнению, соната Бетховена повлияла если не на изменение смысла и композиции рассказа, то уж во всяком случае, на смысловые и композиционные акценты.

«Гранатовый браслет» писался в Одессе в 1910 году. Первоначально Куприн рассчитывал быстро его закончить, так как, по-видимому, сюжет, фабула, идея и действующие лица уже были ясны. Но работа над рассказом неожиданно для него самого затягивалась, о чем мы знаем по переписке с Ф.Д.Батюшковым. «Главная причина, — указывает сам автор, — мое невежество в музыке... Да и светский тон!» Из этой же переписки мы узнаем, что писатель не хотел бы комкать рассказ, эту «очень милую» для него вещь, «очень, очень нежную»; и то, что эпиграф — отрывок из сонаты Бетховена — появился чуть ли не раньше самого рассказа. Собственно, первотолчков для создания шедевра и было всего два: реальная история с маленьким телеграфистом, влюбленным в жену высокопоставленного чиновника, и вторая часть второй сонаты опуса второго Бетховена: «Есть Ор. № 2, № 2 Largo Appassionato у Бетховена: оттуда и вся соль моей повести, а у меня слух деревянный; пришлось запрягать нескольких людей, пока не зазубрил». Таким образом, музыкальный фрагмент определял всю дальнейшую работу над «Гранатовым браслетом».

Во время работы над «Гранатовым браслетом» в Одессе Куприн просит жену своего знакомого фабрично-заводского врача Л.Я. Майзельса, пианистку, «поиграть сонату Бетховена "Аппассионата". Творческое содружество привело к выбору другой сонаты. Позднее писатель прислал матери, — вспоминает актриса Н.Инсарова, ее дочь, — книгу с надписью: "За то, что Вы, Раиса Исааковна, растолковали мне шесть тактов Бетховена..."». Но и после написания «Гранатового браслета», в 1914 году, Куприн признавался: «В музыке я ровно ничего не понимаю... Обожаю Бетховена, но судить о том, в чем я не компетентен, не берусь».

При анализе рассказа традиционно очень много места уделяется прототипам. Между тем Л.Д.Любимов, сын прототипа княгини Веры, точно обозначил роль и значение конкретного семейного случая в рассказе: «Вся суть купринского рассказа в его трагическом конце. В жизни же имел место курьезный случай скорей всего анекдотичного характера». Такой сменой регистра, мы полагаем, писатель обязан музыке Бетховена.

В ходе работы над рассказом Куприн остановился на ранней сонате № 2 опус 2 Бетховена, написанной в 1795 году, заменив ею ранее слышанную «Аппассионату», сонату № 23, опус 57 (1804-1806). Вторая соната написана в Вене, в пору славы Бетховена пианиста-виртуоза, всеобщей любви и поклонения ему музыкальной столицы мира, светских успехов, многочисленных скоропреходящих любовных приключений. Но именно во второй ее части, Largo Appassionato, слышны первые звуки истинно трагедийного Бетховена (1;14).

По нашему мнению, влияние второй сонаты Бетховена сказывается не только в общем настроении рассказа, в усилении и углублении психологизма при описании любовного чувства. Смена сонаты повлияла и на композицию «Гранатового браслета», возможно, на систему действующих лиц. Напомним композиционную канву сонаты.

Блеск и сияние светской жизни выражено в первой части сонаты — allegro vivace. Жизнь манит своими обольщениями, сердце отзывается мечтой о счастье, но контрапунктом проходит тревожная мелодия, предупреждающая о недолговечности мечты. Таково и начало рассказа Куприна. Контрапунктом к описанию богатой дачи Шеиных в начале рассказа проходит изображение осеннего пейзажа, он нагнетает тревожное настроение, что-то значительное должно произойти. По меткому замечанию А.А.Волкова, описание характера и внешности Анны, сестры княгини Веры, имеет вспомогательное значение, призванное оттенить облик героини. Так и в сонате вторая вспомогательная тема оттеняет главную. Экспозиция рассказа разворачивается неспешно. Такова же умеренно быстрая и блестящая первая часть сонаты. Мы видим здесь прямое влияние неоднократно послушанной второй сонаты, с ее блестящей «светскими» первой и финальной частями.. Вторая часть, именно та, которую использует Куприн, — шедевр раннего Бетховена. Главная тема, переданная в мерных, сдержанных, но неумолимых, неотступных, как, судьба, скорбных аккордах, является стержнем всей части, вокруг которой обвивается звучная, насыщенная теплотой и сдержанной трагедией напевная мелодия, ассоциирующаяся то с ласковой речью, то с трагическим монологом.

Вспомним внутренний монолог княгини Веры в самом конце рассказа и последнее письмо к ней Желткова. Однако эта готовая прорваться трагедия не получает дальнейшего развития в сонате. Третья часть, блестящее и виртуозное скерцо allegretto, является разительным контрастом ко второй. В финале Бетховен, показав в первой и второй частях богатство и требовательность своего эмоционального мира, своих этических идей, как бы прячет все это под покровом светского блеска, салонного изящества. Не случайно Куприным выбрана драматическая вторая часть второй сонаты. В ней нет выхода. И в «Гранатовом браслете» любовь Желткова, действительно, проходит мимо главной героини, ничем не заканчиваясь, никуда не развиваясь и не преобразуясь. Она смутно почувствовала эту трагедию, но все опять вернулось к светским обязанностям, к милому приятному Василию Шеину.

Для нас, очевидно, что в определенной степени анализируемые сонаты противоположны друг другу. Куприн, приступив к тщательной работе над рассказом, понимает, что «Аппассионата» — не та музыка, она никак не может быть выражением внутренней сути главного героя и его чувства. Характерно, что в письме Ф.Д.Батюшкову от 15 октября 1910 года Куприн пишет: «Сейчас занят тем, что полирую рассказ "Гранатовый браслет"». Важно, что использован глагол полирую, а не просто «пишу» или «заканчиваю». А вот в более позднем письме от 21 ноября употреблен уже глагол пишу. «Теперь я пишу "Браслет", но плохо дается. Главная причина — мое невежество в музыке. Есть Op. № 2, № 2 Largo Appassionato у Бетховена; оттуда и вся соль моей повести». Таким образом, мы полагаем, что именно замена бетховенской сонаты вызвала необходимость переделки всего рассказа и уточнения его идеи (2;34).

Любовь в «Гранатовом браслете» не просто сильна, а движитель жизни и прогресса, несмотря на трагическую развязку рассказа. Эта любовь возвышает человека, поднимает его надо всем суетным, мелочным, своекорыстным. Достаточно сравнить тон недалекого, самонадеянного, полуграмотного мелкого чиновника, изливающего в пошлых посланиях свои чувства красивой светской женщине, и последнее, полное благородной недосказанности, скорбной сдержанности письмо Желткова к княгине Вере, лейтмотивом которого и становится бетховенское Largo Appassionato. Прощаясь с ней перед смертью, он боится ее испугать своим поступком, всячески смягчая удар. Вот в чем истинная сила любви, вот где она сильнее смерти. Не в интенсивности, способности к сильному чувству (забыв или преодолев все условности), а в направленности (бескорыстии: не на себя, а на любимого человека), то есть, опять-таки, в этической проблеме, способе отношения человека к себе и миру.

Исходя из вышеизложенного, мы можем сделать следующие выводы:

1. Влияние второй сонаты Бетховена сказывается не только в общем настроении рассказа, в углублении настроения психологизма при описании любовного чувства, но и на композиции произведения;

2. Первоначальная идея любви, «которая сильнее смерти», стала выглядеть как любовь — созидающая сила, заставляющая бескорыстно самосовершенствоваться, сила, поднимающая человека над своим уровнем, одухотворяющая его. Именно такое чувство, не сметающее на своем пути все понятия о

нравственности, не опьяняющее силой страсти, а созидающее, преобразующее душу человека, описывает Куприн в «Гранатовом браслете».

ЛИТЕРАТУРА:
1. Куприн А.И. Гранатовый браслет. М., 1994.
2. Рассказова Л.В. Смысловая и композиционная роль сонаты Бетховена в рассказе А.И.Куприна «Гранатовый браслет» / Литература в школе. 2007. №7.
3. http://www. kuprin.org.ru
4. http://www. itra.ru/composition
5. http://www.lib.csu.ru

ТАЙНЫ СМЕРТИ СЕРГЕЯ ЕСЕНИНА

Мариам Меквабишвили
ст. 3 к. спец. рус. яз и лит. гуманит. фак.
рук. проф.**Н. Хинчагашвили**

Жизнь Есенина, особенно после революции была полна тайн и загадок. Дискуссии вокруг его смерти крутятся до сих пор, начиная с 1925 года. По официальной версии Сергей Есенин покончил с собой. Подобной версии доверять нельзя, поскольку неопровержимых доказательств ее подтверждения нет до сих пор. С самых первых часов, после того, как Сергея Есенина нашли мертвым, показания свидетелей были весьма противоречивыми.

Материалом для нашего исследования послужили новые материалы о жизни и смерти Есенина (книги, документальные и художественные фильмы, Интернет сайты), заключения судебной медицины, которые послужили в качестве дополнительных доказательств к обстоятельствам кончины Есенина и материала для их сравнительной оценки, в частности травм, нанесенных поэту. На основе этого мы сделали попытку сделать самостоятельный вывод о несостоятельности версии самоубийства.

Таким образом, объект нашей работы - загадочная смерть Сергея Есенина. Гипотеза – смерть Есенина не самоубийство, а убийство. Цель – исследование обстоятельств гибели Есенина. Задача – систематизировать новые материалы по версии смерти С.Есенина.

Самоубийство Есенина у его современников не вызывало никаких сомнений. Все, кто близко знал поэта, были убеждены, что он добровольно покинул этот мир. Однако, по прошествии 60 лет, на первый план вышла совсем другая версия — поэт Есенин был зверски убит чекистами

Версия о самоубийстве утвердилась уже тогда, как только поэт был обнаружен мертвым в 5-ом номере гостиницы «Англетер». Основой всему послужил составленный участковым надзирателем 2-ого отделения милиции г. Ленинграда Николаем Горбовым «Акт о самоубийстве». Если тщательно изучить этот документ, то возникнут сомнения в правильности его составления в соответствии с официальной версией. Горбов указал следующие детали: «шея была затянута не мертвой петлей, а только правой стороной шеи»; синяк под левым глазом, а также порез на правой руке выше локтя. Подобные факты вызывают очень много предположений и догадок, и особенно порез выше локтя на правой руке. Многие исследователи-есенинисты расценивают это как неудавшуюся попытку самоубийства. С порезанной рукой он не мог завязать петлю, подняться на высоту 1,5 метра, и осуществить повешение. И к тому же из «Акта…» Горбова можно вынести еще одну деталь-петля была предназначена не для повешения, особенно на такой большой высоте от пола до ног Есенина-1,5 метра [1, с.3]**.**

Утром, 28 декабря 1925 года, как только весть о кончине поэта облетела весь Ленинград, в «Англетер» приезжал агент уголовного розыска 1-й бригады по расследованию убийств Ф.Иванов. Данный факт является наиболее странным, возникает сразу же вопрос, если известно, что это обычный суицид, какой смысл имеет появление в гостинице человека, который занимался расследованием только убийств? Это говорит о том, что уже тогда появилось подозрение в насильственной смерти Есенина, то есть в убийстве.

Все значимые обстоятельства произошедшего ярко отражены в воспоминаниях очевидцев тех событий 1925 г. и газетные сообщениях «Известий» от 28 декабря. Пример одной из них: «В комнате стоял полнейший разгром, вещи были вынуты из чемодана, на полу разбросаны окурки и клочья разорванных рукописей». [2, с.112]**.** По этой записке можно сделать вывод, что в номере гостиницы, где остановился поэт, царил полный беспорядок. Появляется предположение, что Есенин либо сам его устроил, либо проводился обыск. Про этот случай (имеется ввиду беспорядок) воспоминает и В.Рождественский, также рассказывая о вываленных на пол вещах. Но наиболее интересное свидетельство дает санитар Казимир Маркович Дубровский. Он прямо указывал, что в номере проводился обыск, шла страшная борьба, а после того, как

Есенина вытащили из петли, на его теле были обнаружены следы ссадин, побоев, насилия [3, с.125]. Подобные увечья человек сам себе нанести не может. Не доверять показаниям санитара нет смысла.

Сгруппировав все перечисленные выше факты, можно прийти к выводу о том, что нет никаких признаков самоубийства. Замечание Горбова о неудавной петле в «Акте…..» показывает, что странгуляционная полоса на шее погибшего проходит не по всей длине, а по правую сторону, что абсолютно не характерно для самоубийц.

Из дневниковой записи от 29.12.1925. Иннокентия Оксенова:

«Правая рука Есенина была приподнята вверх над животом и согнута в кисти, рот полуоткрыт, на лбу виднелась багровая полоса, а волосы страшным нимбом вокруг головы, развившиеся». Это отрывки. Но и их достаточно, чтобы сделать определенный вывод. Для висельников не характерна согнутая в локте и кисти рука, так как при повешении человек сразу же теряет сознание, рука должна была повиснуть. Он не успел бы ухватиться за трубу, во время повешения наступает потеря сознание, а далее удушье. Далее идет речь о том, что незадолго до отправления тела в Обуховскую больницу пропал пиджак Есенина, висевший на спинке стула в номере. Об этой детали упоминает и В.Эрлих в своих воспоминаниях, когда он видел поэта 27 декабря незадолго до смерти, буквально за несколько часов. Из личных вещей пропал также револьвер, который Есенин приобрел на Кавказе в целях самозащиты в сентябре 1925г, и литературные произведения «Пармен Крямин», «Гуляй-поле», и повесть «Когда я был мальчишкой…». Но самое интересное, что Оксенов записал в своем дневнике - это визит к Есенину его питерского приятеля Лазаря Бермана 27 декабря 1925 года в 10 часов вечера, который был весьма подозрительной личностью, с 1918 года, после революции он становится сотрудником ВЧК-ОГПУ. Подобное обстоятельство очень сильно настораживает. Еще более интересная деталь сам Оксенов являлся секретным агентом ОГПУ, а позже - НКВД. Таковым был и друг Есенина Михаил Борисоглебский, тоже оказавшийся свидетелем утра 28 декабря 1925г. [3, с.146].

Гостиница «Англетер» (тогда «Интернационал») находилась под строгим надзором Ленинградского ОГПУ - вся администрация состояла из ее работников. Пример тому - управляющий В.Назаров являлся сотрудником ГПУ. Он и вызвал милицию с момента обнаружения тела Есенина (номер он вскрыл отмычкой). Находясь под контролем вышестоящих органов, служащие гостиницы обязаны были зарегистрировать всех лиц, в нее заселившиеся. Лишь только двое человек не были зарегистрированы- это Есенин и партийный работник Г.Устинов, по инициативе которого поэта заселили без регистрации. Из этого один вывод- заселение было произведено намеренно, с какой-то определенной целью. К этому добавляется очень интересный факт- свидетельство супруги управляющего Антонины Львовны Назаровой. Она вспоминала, что вечером, 27 декабря 1925г. ее мужа вызвали в гостиницу в 11 часов вечера два его начальника - работники ГПУ Пипия и Цкирия, которые сообщили прибывшему управляющему, что с Есениным- «несчастье». Самое странное - они конкретно не сообщили Назарову, что произошло на самом деле [1, с.120].

Последние, кто видел Есенина за несколько часов до гибели - это В.Эрлих и Л.Берман, который кстати являлся агентом ВЧК-ОГПУ. В.Эрлих по просьбе Есенина должен был снять ему в Ленинграде квартиру. Эту просьбу он не выполнил[4, с.200]. По рассказу бывшего чекиста И. Ханеса, 28 декабря 1925 года, еще до прибытия милиции, утром в «Англетер» выехала группа сотрудников ОГПУ. Небрежный осмотр места происшествия, а также присутствие тем утром секретных агентов Оксенова и Борисоглебского, вскрытый управляющим Назаровым отмычкой номер Есенина, а также присутствие в гостинице его двух начальников и работников ГПУ Пипия и Цкирия все это указывает на то, что к убийству причастны чекисты.

29 декабря 1925 года в Ленинградской Обуховской больнице был составлен акт судебной медицинской экспертизы судмедэкспертом А.Гиляревским. В данном акте было ясно указано, что Есенину «был нанесен удар в лоб тяжелым узким предметом, в результате чего образовалась над переносицей вдавленная борозда длиной 4 см и шириной 1,5 см». эти данные были опубликованы в интервью доктора медицинских наук, профессора Ф.А.Морохова «Самоубийство или…» 30 апреля 1989 года в газете «Труд», а также в статье полковника милиции, заслуженного работника МВД СССР, следователя Э.Хлысталова «Тайна гостиницы «Англетер», вышедшая в свет в 1989 году, в журнале «Москва» № 7 [5, с.10].

Если сгруппировать все вышеназванные факты об обстоятельствах смерти Есенина: побои, ссадины на теле, синяк под левым глазом, вышеназванная черепно-мозговая травма, приподнятая и согнутая в локте и кисти правая рука, неудавная петля, указанная в «Акте…» Н.Горбова, и многие другие, которые могут стать ярким опровержением версии самоубийства Есенина. Воспоминания многих очевидцев последних дней его жизни, и событий после смерти тоже опровергают официальную версию. Это можно заметить, если их тщательнейшим образом изучить, и сделать соответствующий вывод. Увечья, нанесенные Есенину - побои, ссадины, борозда вдоль лба над переносицей, порез на правой руке и другие, не могут быть нанесены самим погибшим. Эти и другие факты подтверждают лишь то, что это было УБИЙСТВО.

Незадолго до своего отъезда в Ленинград Есенин встретился со своим приятелем А.Тарасовым-Родионовым. Этот человек был весьма темной личностью, таил в себе огромную опасность для поэта - являлся осведомителем в руках органов ГПУ. В беседе Есенин проговорился об имеющейся у него телеграмме, адресованная Л.Б.Каменевым великому князю Михаилу Романову с благодарностью и поздравлением за отречение от престола. Тарасов-Родионов просил Есенина показать ему эту телеграмму, но тот, пообещав, уехал в Ленинград [2, с.110].

В 1925 году состоялся 14-й съезд ВКП(б), где шла борьба за власть между И.В.Сталиным и оппозицией Г.Е.Зиновьева и Л.Б.Каменева, где они проиграли. Эту поддержал Л.Д.Троцкий, который питал неприязнь к Есенину [6, с.150]**.** Самое интересное - под его крылом стояли Я.Блюмкин, Л.Берман и В.Эрлих - последние посетители поэта. В таком случае для Троцкого каменевская телеграмма, имевшаяся на руках у Есенина, таила такую же опасность, как и для всех остальных членов оппозиции потеря мест в Политбюро и партии. Из всего этого вывод, что распорядитель убийства Есенина- Л.Троцкий, Г.Зиновьев и Л.Каменев по литературно-политическому мотив(телеграмма и литературный альманах, который Есенин собирался издавать под руководством Г.Е.Зиновьева во время обыска пропали те литературные произведения, которые поэт собирался включить в свой альманах) [2, с.110]**.** Из исполнителей заговора можно выделить следующих лиц- Л.Берман, В.Эрлих, Г.Устинов, И.Пипия и И.Цкирия, вызвавшие Назарова в 11 часов вечера 27-го числа в «Англетер». Но это уже не важно. Важно другое – что это убийство.

Сравнительно недавно племянница С. Есенина С. П. Есенина и актер Сергей Безруков, сыгравший в телесериале «Есенин» главную роль, написали письмо президенту РФ В.Путину с просьбой возобновить дело о гибели поэта с целью получить согласие на эксгумацию останков Есенина. Реакция была неоднородной. Ведущие судмедэксперты страны только развели руками, назвав эту идею глумлением над останками поэта. Но, писала пресса, если все же удастся добиться возобновления расследования по факту гибели Есенина и будет принято решение об эксгумации его тела на Ваганьковском кладбище, скорее всего проводить повторную судмедэкспертизу придется Евгению Степановичу Мишину, профессору, доктору медицинских наук, заведующему кафедрой судебной медицины Медицинской академии им. И И. Мечникова. Он считается лучшим экспертом в нашей стране по повешениям и удушениям, и расследование ни одного запутанного дела не обходится без его участия.

Вездесущие газетчики взяли интервью у Мишина. Вот его мнение по поводу новой эксгумации. «В начале 90-х годов было выполнено несколько судебно-медицинских экспертиз экспертами высокой квалификации и доказано, что имело место самоубийство. Поэтому дознание было прекращено. Я абсолютно согласен с заключением судебного медика Гиляревского, который проводил исследование трупа поэта в Обуховской больнице и причиной смерти назвал асфиксию — смерть в результате сдавления шеи петлей при повешении. Я сделал то же заключение исходя из изучения фотографий мертвого поэта, посмертной маски и акта исследования трупа. По борозде на шее поэта мне удалось реконструировать повешение. У поэта с большей силой производилось сдавление передней справа и правой боковой областей шеи. То есть натяжение петли шло спереди назад и справа налево и вверх. А теперь реконструируем. При таком натяжении петли голова отклоняется в противоположную сторону, то есть к паровой трубе отопления гостиницы «Англетер», от которой в переносье трупа образовалась «вмятина», которую многие приняли за проломленный череп. При таком положении головы эта «вмятина» приобретает вертикальное направление. Люди, которые настаивают на эксгумации, думают найти в могиле череп с дыркой или остатки кожи, на которых видно несколько борозд от удушения. Но в могиле давно кроме останков костей ничего нет. Дело в том, что Ваганьковское кладбище расположено на возвышенности, в сухом месте. Вот если бы Есенина хоронили в низине, в заболоченном месте, труп поэта мог бы «законсервироваться» и по результатам его исследования можно было бы дать заключение по некоторым вопросам».

Таким образом, смерть поэта до сих пор квалифицируется как смерть при невыясненных обстоятельствах. Ни одна из версий не является доподлинной.

В заключении можно сказать, что великий русский поэт Сергей Есенин не был самоубийцей. Данная работа рассчитана показать большую важность того, что не кто убил Есенина, а важность того, что поэт действительно погиб не по своей воле, т.е. попытаться восстанавливать не только историческую, но и историко-литературную справедливость. В современное время люди просто обязаны знать всю правду об этой смерти. Пусть хотя бы то, что он был убит. Нужно, чтобы отношение к факту и к поэту было иное.

ЛИТЕРАТУРА:

1. Кузнецов В. Тайна гибели Сергея Есенина. М., 2009
2. Сорокин В. Крест поэта. М.,2009
3. Скороходов М.В. Убийство Сергея Есенина . М., 2010
4. Хлысталов Э. Неизвестное уголовное дело Сергея Есенина.М., 2010
5. http://etvnet.com/tv/dokumentalnyie-filmyi-online/
6. http://escsoft.ru/films/5892-delo-temnoe-tajna-smerti-esenina-2010-satrip.html
7. http://nnm.ru/blogs/bobi111/kripto_-_tayny_smerti_esenina_2010_iptvrip
8. http: /www.rusinst.ru

ჯადოსნური ზღაპრის ზოგიერთი თავისებურება

ნინო სოზიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ქეთევან ბარბაქაძე**, ასოცირებული პროფესორი

ზღაპარი ზეპირი მოთხრობაა, დაფუძნებული შეგნებულ მხატვრულ გამონაგონზე. ფოლკლორულ ეპოსში ზღაპრის სამ სახეობას გამოყოფენ. ესენია: ზღაპრები ცხოველების შესახებ, ჯადოსნური ანუ ფანტასტიკური ზღაპრები და საყოფაცხოვრებო ზღაპრები და ნოველები (ანეგდოტები). ზღაპარი ეპოსის ყოველ სახეობას თავის სპეციფიკური თავისებურება აქვს.

ჯადოსნურ (ამბები) ზღაპარში რეალურ სინამდვილესთან ძნელად შესათვისებელი ამბებია გადმოცემული. მასში გამოხატულია ადამიანთა წარსული ცხოვრება, სოციალური ურთიერთობა და რელიგიური შეხედულებები, უკეთეს მერმისზე მშრომელთა ოცნებით. ზღაპარში დახატულია არაჩვეულებრივი სამყარო, მოქმედებენ სასწაულებრივი პერსონაჟები, ხდება ადამიანთა და ბუნების სახეცვლილება, გამოხატულია ცხოვრებაში სიკეთისა და ბედნიერების დამკვიდრების მისწრაფება.

პირველყოფილი საზოგადოების მსოფლმხედველობის კვალი ჯადოსნურ ზღაპრებში დღეს სრულიად სახეშეცვლილია. არქაული ზღაპრის ძირითადი თემა ადამიანის ბუნებისა და მის ბინადრებთან ბრძოლა ყოფილა.

ბუნების სტიქიურ ძალებთან ბრძოლაში უძლური ადამიანი შრომითი შესაძლებლობების პრიმიტიული დონის დროს, ცდილობს კეთილად განაწყოს ეს ძალები თავის მიმართ. ამ მიზნით ადამიანი მათ „პირობით ეკვრება". ზღაპრებშივეა შემორჩენილი ტოტემიზმისა და ფეტიშიზმის რწმენათა ნაშთები.

სიუჟეტური რეპერტუარის დადგენა მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრის მთელი მარაგის აღრიცხვის შედეგად გახდა შესაძლებელი. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ფოლკლორში მიღებულ შვიდ თემატურ ბუდეში საქართველოში 135 სიუჟეტური ტიპია დაფიქსირებული, რომელთა შორის 100 ტიპოლოგიური სიუჟეტია, 35 ორიგინალური.

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ზღაპრები, რომლებშიც გადმოცემულია გმირის ბრძოლა სასწაულებრივ მოწინააღმდეგესთან (დევი, ეშმაკი და სხვა).

საგმირო ხასიათისაა ზღაპრები „მადლიერი მკვდარი", „ლურჯი თევზი". ჯადოსნურ ზღაპარში პერსონაჟთა რამდენიმე ტიპი მოქმედებს, თუმცა ერთი შეხვედით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ყველა ცალკეულ ზღაპარში ახალი პერსონაჟია გამოყვანილი. გმირთა სიმრავლის ილუზია ქმნის ზღაპრის თემათა სხვადასხვაგვარობას, თორემ პერსონაჟთა ტიპების რაოდენობა კონკრეტული რიცხვით განისაზღვრება.

ვლ. პროპმა დაადგნა, რომ ჯადოსნურ ზღაპარში მთავარ მოქმედ პირთა რიცხვი შვიდია: ანაგონისტი (მავნე), მჩუქებელი (მომმარაგებელი), შემწე, მეფის ასული (საძებარი ობიექტი და მისი მამა, გამგზავნი, გმირი, ცრუ გმირი.) ევროპასა და ამერიკაში ვლ. პროპის მიერ დადგენილი რიცხვის შემცირების შემთხვევები დაფიქსირდა. ე. მელეტინსკი და თანაავტორები შეჩერდნენ ექვსზე: გმირი, მავნებელი, მზეთუნახავი, მჩუქებელი, რომელიც თავის სასიკეთოდ უნდა განაწყოს გმირმა, რათა მისგან მიიღოს ჯადოსნური საგანი (უნარი), შემწე (დამხმარე: ცრუ გმირი) რომელიც ცდილობს მიითვისოს გმირის მონაპოვარი, მაგრამ გმირი მას გამოააშკარავებს.

გმირად ზღაპარში უმეტესად უმცროსი ძმა გვევლინება. იგი სასწაულებრივად არის დაბადებული და განსაკუთრებული ღონით აოცებს ქვეყანას, ან „უხეიროდ" სახელდებული ყმაწვილია და ხშირად თავშიც წამოარტყამენ ხოლმე.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში გმირის მოწინააღმდეგეთა შორის ვხვდებით როგორც მითურ-ფანტასტიკურ არსებებს (დედაბერი, დევი, ეშმაკი), ისე ადამიანებს.

ბოროტი დედაბერი მითიური ნიშნებით ხასიათდება და გარეგნობაც ფანტასტიკური სამყაროსთვის შესაფერისი აქვს.

დევის სიძლიერის გამომხატველია მისი თავების რაოდენობა.

გველეშაპი ქვესკნელის ბინადარია. ეს მითიური არსება იქიდან მოევლინება ზესკნელს, რათა წყლის საფასურად გადასანსლოს მზეთუნახავი.

ადამიან-მავნებელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ხელმწიფე, მასთან დაპირისპირებული გმირი, უპირატესად მზეთუნახავის ხელის მაძიებელი, ყოველთვის იმარჯვებს.

ზღაპრების დიდ ნაწილში მზეთუნახავი გმირის მოწინააღმდეგეთა შორისაა. მისი მოპოვება გმირის ვაჟკაცობასა და მოხერხებაში გამოცდა ითვალისწინებს.

ზღაპარში მჩუქებლის როლში გამოდიან: დედაბერი, მოხუცი კაცი და სხვ. მჩუქებელი გამოცდას უტარებს გმირს და შემდეგ აჯილდოებს მას ძალით. დამხმარე ვაჟი (პერსონაჟი დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ძლიერი და მოხერხებული ყმაწვილი კაცია, არა იშვიათად სასწაულებრივი თვისებებით იგი ერთგულებითა და მოსაზრებებით ხასიათდება).

ჯადოსნური საგნებიდან გმირს ეხმარებიან მფრინავი ხალიჩა, სუფრა, ხანჯალი და სხვ.

ფრინველებიდან - ფასკუნჯი ან არწივი.

ცხოველებიდან - ხარი, კატა, ძაღლი და სხვ.

ცრუ გმირებიდან ზღაპრებში გამოყვანილი არიან გმირის ძმები ან ქვისლები. ზღაპრის ფინალში ცრუ გმირები ისჯებიან, რადგან ისინი გმირის მონაპოვარს იჩემებენ. ზღაპრის თითოეულ ტიპში წარმოდგენილ პერსონაჟთა მხატვრული სახეები სიუჟეტიდან სიუჟეტში უცვლელად მეორდება. განსხვავებით ლიტერატურული თხზულებისგან, ზღაპრის გმირთა მხატვრული სახეები განვითარებას არ ექვემდებარება.

ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს საზღაპრო ეპოსში დაფუძნებული სიმდიდრე - მზამზარეული წარმონაქმნები, რომლებსაც თანამედროვე მეცნიერებაში მოიხსენიებენ ტერმინით უნივერსალები. ჯადოსნურ ზღაპრებში ასეთი უნივერსალური მასალიდან უნდა გამოვყოთ სიტყვიერი ფორმულები, სასწაულებრივ საგანთა თვისებები და ერთმანეთთან სემანტიკურად დაკავშირებულ მოტივთა კომპლექსები. ზღაპარში მრავალი მოქმედება–აქტი თამაშდება. მათ აქვთ შინაარსობრივ აზრობრივი დასრულებულობა და დინამიურობა. მოქმედება-აქტის თემა ვითარდება ხოლმე ერთი „ღერძის" გარშემო. აღწერილ ამბავს აუცილებლად აქვს დასაწყისი, განვითარება და დასასრული.

დასაწყისი და დასასრული ფორმულები წარმოადგენენ სიუჟეტის ჩარჩოს, შინაგანი ფორმულები ერთმანეთთან აკავშირებენ ეპიზოდებს ან გამოიყენება პერსონაჟთა გადაადგილების საჩვენებლად.

პერსონაჟთა გადაადგილების გადმოსაცემად გამოყენებულია დადასტურებითი ხასიათის ფორმულა: „იარა, იარა ცხრა მთა გადაიარა და მივიდა" (1,162) ხან სვლის ხანგრძლივობაა ხაზგასმული.

დასასრულ ფორმულებში გამჟღავნებულია ხოლმე დამოკიდებულება მონათხრობისადმი: „გადაიხადეს დიდი ქორწილი, გუშინწინ იყო, დაპატიჟებული ვიყავი, მაგრამ ვერ მივედი." (1,162) დასასრულ ფორმულებს ზოგჯერ იუმორისტული შეფერილობა ეძლევათ.

ქართულ ფანტასტიკურ ზღაპრებს მრავალგვარი თავი თუ დასაწყისი და დასასრული ფორმულა გააჩნია. ზღაპრის თავს, როგორც ეს აღნიშნულია ლიტერატურაში, მთქმელს და მსმენელს შორის ურთიერთობის დამყარების ფუნქცია გააჩნია. ამავე დროს იგი არის ჯადოსნური ზღაპრის რაობის, მისი ბუნების აღმნიშვნელიც. „იყო და არა იყო რა" იწყებს მეზღაპრე და მსმენელიც მოელის ნამდვილ ამბავსაც და მხატვრულ გამონაგონსაც. ილია ჭავჭავაძემ ეს ზღაპრის თავი ხელოვნების სასწაულის ნიმუშად მიიჩნია. წერილში ჩვენი ეხლანდელი „სიბრძნე სიცრუე" ჩვენი ზღაპარი „იყო და არა იყო რა-თი" „იყო" შიგ ჩასახული აზრია და აზრში ხომ ყოველთვის ყოფილა არის და იქნება. „არა კი იყო რა" ეკუთვნის თვით ამბავს, არც ყოფილა და არც არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც კი მართალი გგონია და სულ გავიწყებთ მოგონილ ამბავს. ამ სასწაულს ჩადის ხელოვნება, ამგავრი ზღაპრის თავი მხოლოდ ქართული არ არის. იგი საერთაშორისოა.

საერთოდ ზღაპრის თავი თითქმის ყოველთვის ნაკარნახევია იმ ოპტიმიზმით რაც ასე დამახასიათებელია ხალხისათვის.

ტრადიციული მზა ფორმულები საერთოდ განყენებული აზროვნების შედეგია. ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ „იყო და არა იყო რა" ჯადოსნური ზღაპრის ხასიათს გამოხატავს. მისი გამოყენება ნოველებზე ჯადოსნური ზღაპრის გავლენის შედეგია. განსაკუთრებულ მრავალფეროვნებას იჩენენ ქართული ზღაპრები დასასრული მზა ფორმულების გამოყენებით. როგორც ელენე ვირსალაძე მართებულად აღნიშნავს „ეს დაბოლოებანი ნათლად გვიჩვენებენ თავისი შექმნის ეპოქას." მათი შემქმნელია ოსტატი მთქმელი, რომელიც ამ დაბოლოებით ერთი მხრივ მხატვრულად ასრულებს ზღაპრის მოქმედებას და მეორე მხრივ კი ზოგჯერ რაიმე სახის გასამრჯელოს მოლოდინშიც არის".

ყველა ზღაპრის ღერძი - ბრძოლა კეთილთა და ბოროტთა დათრგუნვა უკანასკნელის ქართველ მთქმელებს წყევლის და დალოცვის შეპირისპირებით აქვთ მოცემული დაბოლოების ყველაზე გავრცელებული ფორმულით: „ჭირი იქა, ლხინა აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა". დაკვირვებანი ზღაპრის თავის და დაბოლოების ფორმულებზე უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისინი მოსდევენ ხალხურ პროზას, მისი მხატვრულ ძეგლად ჩამოყალიბების დღიდან, ეს კი რა თქმა უნდა ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესია.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში გმირი მიზანს ხშირად ცხრა მთის გადავლით აღწევს.

ქართულ ზღაპრებში გმირის გზა, როგორც ითქვა მზისკენაც კი მიდის. მოგზაურობის ფორმულა წარმოგვიდგენს ამ გზის სიძნელეს და გმირის რთულ თავგადასავალს.

გმირის მოგზაურობის ფორმულა „იარა, იარა, ბევრია იარა თუ ცოტა იარა" (1,162) საერთაშორისო ხასიათისაა.

ჯადოსნური საშუალებები სულიერად არიან წარმოდგენილნი და მათ მიერ შესრულებული მოქმედებები (მოკვლა, გაცოცხლება, გამთელება) გათანაბრებულია ადამიანისასთან.

სივრცეთა მრავალფეროვნება ჯადოსნურ ზღაპარს გამოარჩევს ზღაპრის სხვა სახეობებისაგან. ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკა ვერ ეგუება ლოკალურ სივრცეს და თავისი ბუნებით ისწრაფვის მრავალფეროვნებისაკენ.

მოქმედების განვითარების პროცესში, კონფლიქტის გადაჭრამდე, გმირმა უნდა გაიაროს სხვადასხვა სახის გამოცდა. ჯადოსნური ზღაპრის კლასიკური ფორმისათვის წერს - ე. მელეტინსკი - „სპეციფიკურია წინასწარი ძირითადი გამოცდების ორმაგი ოპოზიცია". (1,167)

წინასწარ გამოცდაში იგულისხმება გმირის გამოცდა მჩუქებლის მიერ, რომლის წინადადებაზე გმირის სწორი რეაქცია გადამწყვეტ როლს თამაშობს.

მჩუქებლისაგან მიგებული ჯადოსნური საშუალების წყალობით გმირი მოხვდება იმ სამეფოში, სადაც იმყოფება საძიებო ობიექტი.

ჯადოსნური საშუალების მოპოვების შემდეგ იწყება გმირის ძირითადი გამოცდა. იგი ან უშუალოდ მავნებელთან ბრძოლაში ებმება და იმარჯვებს, ან მავნებლისაგან რთულ დავალებას მიიღებს, რომლის შესრულების შემდეგ მოიპოვებს საძიებო ობიექტს.

ტრადიციულ ჯადოსნურ ზღაპარში მთქმელი მიმართავს რეტარდაციის (მოქმედების განგებ გაჭიანურების) ხერხს, რათა გაამრავალფეროვნოს გმირის თავგადასავალი.

ჯადოსნური ზღაპრის მოქმედება მთავარი გმირის გარშემო ტრიალებს, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ნაწარმოების კომპოზიციის ერთ მთელად შეკვრის საქმეში.

ჯადოსნური ზღაპრის სტილის განმსაზღვრელი კომპონენტებია: ჟანრი, რომელშიც გამოვლენილია ნაწარმოებთა ხასიათი და ბუნება; მხატვრული მეტყველება, რომელიც აერთიანებს თხრობის რითმს, ტემპს, ტონს და ინტონაციას; კომპოზიცია, საგნობრივი გამომსახველობა.

ჟადოსნური ზღაპრის ენობრივი სტილის დახასიათების გზა „ენობრივ გამონათქვამთა თავისებურებისა" და მასთან გაერთიანებული საგნობრივი გამომსახველობის ანალიზზე გადის.

ჯადოსნურ ზღაპარში მხატვრული გამოსახვის ენობრივი საშუალებებიდან ვხვდებით როგორც მუდმივ ეპითეტებს, ისე ინდივიდუალურ განსაზღვრებებს.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპარში გავრცელებულია, როგორც მარტივი შედარებები, ისე რთული. გვხვდება ანტონიმებით გაწყობილი შედარებებიც. გაპიროვნებისა და ჰიპერბოლა-ლიტოტესის გამოყენების სიხშირე თავად ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკით არის განპირობებული.

ჯადოსნური ზღაპრის ენობრივი სტილის ერთ ტიპობრიობა ხალხის ცხოვრებისა და მათი წარმოდგენების ერთგვარობისა და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გამოძახილია.

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში შესულია ლამაზი ქალისა და მზის შეჯიბრის ამსახველი, სასაუბრო ენაში დამკვიდრებული ფორმულა: „იყო ერთი მზეთუნახავი ქალი, რომელიც მზეს ეუბნეოდა შენ ჩამოდი მე ამოვალო". (1,170)

ამ და სხვა შემთხვევებში იგი ბუნებრივად უკავშირდება ჯადოსნური ზღაპრის ერთ ყველაზე მეტად პოპულარულ პერსონაჟს - მზეთუნახავს.

ჯადოსნურ ზღაპარში ძნელი დავალების შემსრულებელი ან საერთოდ ბედის მაძებარი გმირი ხიფათიან გზაზე მიდის. იგი გადალახავს ბოროტი თუ საშიში სამფლობელოს საზღვარს. მისთვის იგი ნაკრძალის მფლობელის განრისხებას იმსახურებს. ამ შემთხვევაში მეზღაპრე იყენებს მზა ფორმულას: „ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემი შიშით ზეცას ფრინველი ვერ გაივლის, მიწაზე ჭიანჭველაო".

ზღაპრის ამ ფორმულას ყოყოჩობისა თუ თავდაჯერების დათრგუნვის ფუნქცია დააკისრა ილია ჭავჭავაძემ.

ჯადოსნური ზღაპრის მზა ფორმულებისა და საერთო ადგილების ჩვენს ძიებას ვამყარებთ ბოროტზე კეთილის გამარჯვების გამომხატველი ეპიზოდის, ხალხის დიდი სიძულვილი ცბიერებისა და ვერაგობისადმი და საერთოდ, ბოროტისადმი გამოხატულია ზღაპრის ფინალში გამოყენებული მტრის დასჯის საერთო ადგილით. იგი შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს ბოროტ ძალაზე კეთილის გამარჯვებას. დასჯის ამგვარი წესის ამსახველი საერთო ადგილი ჯადოსნური ზღაპრისა საერთაშორისო ხასიათისაა.

მსოფლიოს ხალხთა ჯადოსნური ზღაპრების მზა ფორმულებისა და საერთო ადგილების მსგავსება, როგორც ნარკვევის დასაწყისში ითქვა, მეტად დამაფიქრებელია. ეს მსგავსება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ყოველთვის ტიპოლოგიური იყვეს. ამ შემთხვევაში უდაოდ მნიშვნელოვანია როლი მსოფლიოს ხალხთა ეპოსის გენეტიკური კავშირისა.

ლიტერატურა:

1. თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, თბ., 2001;
2. თ. ქურდოვანიძე, ფოლკლორი და ქართული მწერლობა, თბ., 2004.

XX საუკუნის საქართველო ოთარ ჩხეიძის რომანში „ლაზერშოუ“

თეონა ქურთაული
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ოთარ ჩხეიძის შემოქმედება დაპყრობილ საქართველოში იქმნებოდა, გაუსაძლის სინამდვილეში, რომელსაც იგი არასოდეს გაქცევია. ვის შეუძლია უარყოს, რაც უკვე არსებობს. ის შეიძლება გძულდეს ან ეთაყვანებოდე. მოგწონდეს ან არ გეპიტნავებოდეს. უარყოფა თვალთა დახუჭვაა, ამიტომაც არიან მწერლის ნაწარმოებთა გმირები თავისი დროის ქართველები, ბედის უკუღმართობის კოლმეურნეები, ყველაზე მოწინავე - მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ფენის წარმომადგენლები, ერთად კი გაუგებარი - ,,საბჭოთა ხალხი” რომ უწოდებია.

მისაღები თუ მიუღებელი, საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, მტკიცდებოდა და მთელი თავისი ,,ღირებულებებით” ფრთებს შლიდა. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის კვალს პრესიდან, ლიტერატურიდან, ფილმებიდან გამოზრდილი საბჭოთა ადამიანების სიხარულით გაბრწყინებული სახეებით ფარავდა, რომელთა საზოგადოებისათვის ცხოვრების ამოსავალ პრინციპად ვითომ ,,ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის ექცია. სინამდვილეში კი აღნიშნულ საზოგადოებაში ,,არ იყო არც სხვანი შენთვისა, არც სხვათათვის და არც შენ შენთვისა”. ასეთად ხედავდა მას ოთარ ჩხეიძე, რომლის მწერლური თვალი სწვდებოდა თავისი ხალხის გულისგულს.

აბა სხვა რა ეთქმის იმ მდგომარეობას, „რაც ავი ჰგონიათ ავი არ არის, რაც კარგი ჰგონიათ კარგი არ არის. რაც უყვართ სიყვარული არ არის და რაც სძულთ სიძულვილი არ არის. რასაც იჯერებენ დასაჯერებელი არ არის, რაც სწამთ სარწმუნო არ არის და რაც არ სწამთ, იმაშიც მართლები არიან”. ამიტომ გამოიყურებიან მაშინ მიღებული სტერეოტიპებისაგან განსხვავებით ასე უჩვეულოდ მწერლის ნაწარმოებთა გმირები, ნიშნად მოგონილი საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებული სულიერი წყობის სიყალბის გამოსამჟღავნებლად და დასტურად იმისა, მიუხედავად საზღვარგარეთის სისტემისა და ადამიანთა ფსიქიკის შესაცვლელად მათზე ჩატარებული ექსპერიმენტებისა: ,,რაც არ უნდა იყოს ადამიანი ადამიანია: კეთილია, ავია, უყვარს, სძულს, ღონიერია, უღონოა, მდაბალია, ანთუ ამაღლებულია სუფთა, სხვანაირი ადამიანი არ იცის კლასიკურმა ლიტერატურამ”.[1;129]

,,მე მარტოსულ ადამიანებს ვხატავდი... უბედურ ადამიანებს ვხატავდი, დროისაგან გაუბედურებულსაო.” ვინ აპატიებდა მწერალს ასეთ რამეს კოლექტიური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისა და ადამიანთა არსებობის მანძილზე მისთვის ყველაზე ,,ბედნიერი” დროის ხანაში, ამიტომაც მისცეს მას მკაცრი შეფასება სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე. საბჭოთა ლიტერატურულმა კრიტიკამ დააფიქსირა საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის ანგარიშის არგამწევი და ,,მცდარ” გზაზე სიარულის ჯიუტად გამგრძელებელი ახალგაზრდა მწერლის ყველა ,,ღირსება”, იმ განსხვავებით, რომ იგი სწორედ

საბჭოთა სინამდვილის ტიპიურ მოვლენებს აღწერდა, თანამედროვეობის ძირითად თემებზე წერდა. აჩვენებდა ,,ფსიქოლოგიურ ჭიდილს ადამიანის შეგნებაში, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, ამ ჭიდილის გამოსამჟღავნებელი ,,ჭეშმარიტი ლიტერატურისათვის აუცილებელი მხატვრული კონფლიქტი" მის ნაწარმოებებში ნამდვილი იყო და არა ხელოვნური.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას თავიდანვე განსაზღვრავდა ერთი მრწამსი: მამული-თავისუფლება.

ის იყო წინაპართა სისხლითა და ოფლით ნასაზრდოები ფესვების შემნახავი, ერის მომავლისა და უკვდავების საფუძველი, რომლიდანაც მწერალი, როგორც ანთეოსი, ღებულობდა იმ ძალას, რაც იმ გაუსაძლის პირობებში აძლებინებდა თავად და ჯანსაღი სულისკვეთებით აღავსებდა მის მკითხველს. ოთარ ჩხეიძის შემოქმედება რაც არ უნდა ეძაგებინათ, ეკრიტიკებინათ და მკითხველამდე მისასვლელი გზები გადაეკეტათ, ვერაფერს დააკლებდნენ ,,უმადლონი" და ,,უმირონონი" და ვერც დააკლეს.

,,ხალხია და ხალხი ორგანული მასალა ერის ორგანიზმის შესაქმნელად", რომელშიც ერის სულმა უნდა დაივანოს. ამ უკანასკნელის მდგომარეობა კი დიდადაა დამოკიდებული ერის ორგანიზმის სიჯანსაღეზე, რომლისთვისაც ოთარ ჩხეიძე, როგორც სულიერი მემკვიდრე ილიასი, მუდამ იღვწოდა, რომ თავისი შემოქმედებით, კოლექტივის გაფეტიშებისა და უზენაესობის პერიოდში, ეხსნა მოზღვავებულ ბრბოში ჩაკარგული ადამიანი, პიროვნება გადაერჩინა, არსებული რეალობის დანახვა-გააზრებით მის უარყოფამდე მიეყვანა და ღრმად ჩაფიქრებულს განმტკიცებოდა რწმენა თვისი ღირსებისა და იმისა, ,,ვინც მოავლინა ამა ქვეყნადა სულ მცირე ხნითა ამა უსაზღვროსა და უკიდეგანო დროშია - უდროო დროშია, სადაც რო არავინ არ მეორდება, ყველა რო ერთია და შეუცნობელი". მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეეძლო მიმხვდარიყო დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად წოდებული, თავისი უფლებააყრილი, დამონებული ქვეყნის უბედურებას. მკითხველის სწორედ ამ დასკვნამდე მისაყვანად იქმნებოდა ოთარ ჩხეიძის რომანების ციკლი - სახელმწიფეობრიობაწართმეული ქვეყნის უბედურება, მისივე საზოგადოების სახით გამოხატული. თავგადასავალი, საზოგადოებად წოდებული შეშინებული, მორჩილი საბჭოთა ხალხისა, ცხვირსახოცივით რომ ხმარობდნენ.

მას შემდეგ, რაც მოხდა ,,გონების აღრევაი ხალხისა, ილია რომ მოჰკლეს და საქართველოც ზედ მიაყოლეს", ქართული საზოგადოების ფსიქიკისა და ზნეობის გაუარესების ყველა მიზეზი თითქოს სახეზე იყო. წამოსული ,,ნგრევის ქვეყნიდან, მსოფლიო წარღვნის მოხდენა რო ძალუძს. მეორედ მოსვლა იქიდან რომ იწყება", მაგრამ ოთარ ჩხეიძისათვის, როგორც მისი დიდი წინამორბედისათვის, ერის თავზე დატრიალებული უბედურების მიზეზი, პირველ რიგში, გარე მოვლენებისაგან დამძიმებულ - გამწვავებული საკუთარი ნაკლია, რომელსაც ხელისუფლებამ შესაფერი ,,მორალური ტემპერატურა" შეუქმნა გასაფურჩქნ - გასამრავლებლად, ღმერთისაგან თავისუფალი, პიროვნების მოძულე, კერპთაყვანისმცემელი საზოგადოების სახით, რომლის ტრაგედიის მიზეზთა მიზეზი ისაა, რაც ყველა დროში დიდ ქართველს თავიდან უნდა აღმოეჩინა და თავის თანამედროვეთათვის ეთქვა, ამაოდ ეთქვა, რადგან ნატვრა ,,,მოჰმადლე ქართველს ქართვლის ნდობა და სიყვარული", აუხდენლობის გამო, მუდამ ერის ცხოვრების მთავარ პრობლემად რჩებოდა და უკვე გენსა თუ მენტალიტეტში გადასული, თავისმჭამელი მორიელის თვისებად ქცეული ანგრევს და ანგრევდა საქართველოს: ,,მაშინაც რო დაქუცმაცებულიყო. . . როცა გამთლიანებულიყო და ერთს, ურყევს, უძლიერესს სახელმწიფოს წარმოადგენდა. იმა ერთიანობაში განუყოფელიყო იმად, ვინც ანგრევდა და იმად, ვინც აშენებდა. იმად, ვისაც პატივმოყვარეობა უხვევდა თვალთა და იმად, ვისაც სათნოება მოსდევდა. იმად, ვისაც ჰყიდდა და იმად, ვინც იცავდა თავგადადებული. იმად, ვინც მოიხვეჭდა და იმად, ვინც ეწირებოდა. იმად, ვისაც გაეგებოდა და იმად, ვინც რო ვერას შეიგნებდა, იმად, ვისაც სწამდა და იმად, ვისაც არ შესწევდა ღონე რწმენისა"... [5; 532] ამიტომაც იდგა მუდამ ცხოვრების ამაოების სცენაზე, ერის საუბედუროდ, ერთმანეთს თავიანთი პრინციპების გამო სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული, სიკეთისა და ბოროტების სახემიღებული ორი ქართველი და გრძელდებოდა ,,ლეწვა" ქართველებისა ქართველებით, ,,შურისძიება ერთმანეთზე იდეების სახელით", ტრაგედია ქვეყნისა, ბოლო ათწლეულში გამძაფრებული ომით; ,,ნამდვილი დამოუკიდებლობა რახან მოვინდომეთ, ნამდვილი და არა ისეთი როგორც რო გვქონდა, როგორშიც რო უნდა დაგვაბრუნონ, თუ ჯერ კიდევ არ დავბრუნებივართ''.

,,ლაზერშოუც", მწერლის მთელ მხატვრულ ნააზრევთან ერთად, გამხელაა უარყოფითი სათქმელისა, რასაც იგი დიდი ხანია ამბობს, თუმცა ეს თხზულება, თუნდაც ქართლის მატიანის ციკლის სხვა რომანებთან შედარებით, უფრო სატირულია, უფრო სარკასტული, სადაც დაუნდობლადაა ნაჩვენები ქათველთა შებღალული სულიერ-გონიერი ყოფა, დაცემული და გადაგვარებული სინამდვილე.

საერთოდ, ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედება ჩვენებაა ქართველთა დაცემული ყოფიერებისა, იმ აუტანელი, დამფუტკნელი სინამდვილისა, რაც არსებობს. მათი წაკითხვისა და გააზრების მერე იქნებ შიშიც ჩაუსახლდეს მკითხველს გონებაში, შიში იმისა, თუ ეგოდენ გადაგვარებულვართ, რაღა გვეშველება, რა ძალა ამოგვათრევს ამ ჭაობიდან, მაგრამ ფუჭი და ამაოა შიში ესე, რამეთუ სწორედ ასეთ

მაღალმხატვრულ წარმოსახვას ჩვენი უბედურებისა, ძალუძს გადაგვარჩინოს, შეგვანჯღრიოს, დაგვაფიქროს... ასეთია ოთარ ჩხეიძის, როგორც მწერლის, შემოქმედებითი პრინციპი – აჩვენოს უარყოფითი, აჩვენოს ხაზგასმულად, პირუთვნელად და ამით გაგრძნობინოს იმედი, მოგგვაროს შვება, გაგინათოს ბნელით დახშული გონება.

,,ლაზერშოუ" ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დატრიალებული ამბების სატირული ანარეკლია. მართალია, მთავარი პერსონაჟიც ჰყავს ამ თხზულებას, მომდევნონიც, მაგრამ უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ დროა მისი მთავარი გმირი, დრო ბოლოდროინდელი - ლაზერშოუებით და ფასადშოუებით გამორჩეული გენიალური კალმით იხატება ლექი, დუნდგო, ყლარტი, ხავსი ჩვენი სინამდვილისა, პანორამა ბეჩავ ადამიანსა და დროზე, ბოლომდე გაურკვეველ, შეუცნობელ, სიბეცით აყალყულ ხალხზე.

იმთავითვეა გამჟღავნებული მწერლის პოზიცია, აშკარაა, რას უნდა ველოდოთ ბევრი საეშმაკო საქმისგან, რევოლუციის ახალ გამომგონებელთაგან, შერყვნილი სინამდვილის უფრო შერყვნასა და შებღალვას რევოლუციით რომ აპირებენ. არადა, ვინც გამოიგონა, იმან უარყო, მიხვდა მისი უბედურების ხარისხს, ჩვენ კიდევ იმით აღვტაცებულვართ და გავხარებულვართ, რაც მათ ჩვენზე უკეთ იციან, იციან და როგორ, ისე ღრმად და საფუძვლიანად, უარყვეს კიდეც, საზოგადოებას ანგრევს, მისი მოხდენა არავინ გაბედოთ, ქვეყანას ღუპავს, თქვენც დაიღუპებითო.

ოთარ ჩხეიძის ძარღვიანად, მადლიანად ნათქვამ-დაწერილს სხვა ფასი აქვს, შნო, ლაზათი, ხიბლი. იგი ხომ ამ სიმართლეს მაშინაც გაჰყვიროდა, როცა სხვები ე.წ. საბჭოთა სინამდვილეს დითირამბებს უმღეროდნენ, არ ერიდებოდა რეპრესიებს, დამოკლეს მახვილივით დაკიდებულ შიშს, ძრწოლას გადასახლებისას. ამბობდა და წერდა იმას, რაც სიმართლედ მიაჩნდა.

განა პატიმარი არ იყო, პატიმარი ციხის გარეშე, საკუთარ სახლში, როგორც საკანში, გამომწყვდეული. ათას ხერხსა და ხრიკს იგონებდნენ, როგორმე დაემცირებინათ, მისი ოქრო ბამბად მიეჩნიათ, საკუთარი ბამბა კი აეჩხრიალებინათ.

უკეთესი ხატოვანი აღწერა რაღაა. მასში სატირაცაა, სარკაზმიც, უპირველეს კი - სინამდვილე, სიმართლე, რომლის მარადიულ მსახურადაც ჭეშმარიტ მკითხველს ოთარ ჩხეიძე ეგულებოდა და ეგულება.

ესეც საგანგაშოა, როცა ადამიანს ადამიანობა დაუკარგავს, სახე ისე გაჰქვავებია, სწყინს თუ უხარია, ვერ შეიტყობ. მართლაც სახის ფორმა ხომ არ იქნება ამ გაუთავებელ და უაზრო რეფორმათა დასასრული, როცა ცხოველსა და ადამიანს შორის ტოლობის ნიშანი დაისმება და ამით დამთავრდება ყოველივე.

,,ესეც დიდი მოწყალებაა, წყალი რო ჩვენი შეგვრჩენია. ჰაერი ვინ უწყის თუ სადაურიო, მიწა, ჰო რაო დგახარ ნაგლეჯებზე უკანასკნელზე - გაცლიან, ფეხქვეშ გაცლიან - ამასაც ალბათ გამოგაცლიან– ჭკუა თუ არ გეყო, მაგრამ სად არის ანთუ ჭკუაო, თუ არის, არც იმას არ გარგუნებენ. არაო, არაო, აღარ არის ადგილი განცალკევებისა დედამიწაზეო. ერთია პლანეტა. ერთიანია კაცობრიობაცა. ერთიანი და ერთნაირიო. ანუ თუ ესეიგი, როგორც, რომ გენებოს - ჩვენგვარი და ჩვენნაირიო".[2;138]

ოთარ ჩხეიძე ხატავს იმ სავალალო ყოფას, როცა ქვეყანაში ყველაფერი იყიდება, იყიდება იმიტომ, რომ ერთნი გამდიდრდნენ, მეორენი გაღარიბდნენ. ოთარ ჩხეიძეს მაგალითად მოჰყავს ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი წერილი ,,იყიდება საქართველო" და უფრო მძაფრად გვაგრძნობინებს უბედურებას და გაუსაძლის ყოფიერებას.

,,ისე ეგეც კარგი ვინმეა - პორტფელში ჩაუდვია მთლად საქართველო, დადის და დააქვს. დააქვს და გამოჰფენს. მოსკოვიაო თუ ვაშინგტონიო თუ სტამბულიო. აჰაა აბა ვის რა გნებავთო. რა ენაღვლება. მამამ დაუტოვა თუ პაპამ დაუტოვა. თუ საქართველო რამედ მიაჩნია?! რუსეთს გადავარდა ტიტლიკანა ბიჭი. მილიონები იქ იშოვა ტიტლიკანა ბიჭმა. აქ ისევ ისე ტიტლიკანა იქნებოდა. მთლად საქართველო რო ტიტლიკანაა. ფლასი მოიფარიოს. არ მოეპოვება. ჰოდა გაჰყიდოს, გაჰყიდოს მიწა, გაჰყიდოს ჰაერი, გაჰყიდოს წყალი. გაჰყიდოს მთები, ტყეები, ვენახები, გაჰყიდოს ქალები, ბავშვები გაჰყიდოს - ამას უიმისოდაც აგვარებდნენ - გაჰყიდოს ისტორია, საფლავები გაჰყიდოს, მაინც ვიღას რაღაში არგია. სამაგიეროდ ფლასი მიიფაროს. ეზიაროს ცივილიზაციასა დასავლეთისა. დემოკრატიას ეზიაროს, თავისუფლებასა სულითხორცამდისა, სულითხორცამდისა. ეს ამ საქმისათვის მორგებული კაცი იშოვეს. სხვას სამშობლოსი მოერიდებოდა. ამას სამშობლო აღარც გაეგება. უბედურებაა სამშობლო დაკარგული კაცი, უბედურია სამშობლო კაცთაგან გაძრცვილი."[1;95]

ასეთი საგანგებო და დამაფიქრებელი ნოტი ხმიანობს ამ რომანის თითოეულ ფრაზაში, სიტყვაში, რომელი ერთი გინდა გაიხსენო...

,,ლაზერშოუ" ოთარ ჩხეიძის ოცდამეორე რომანია. მწერლის ნააზრევი პირუთვნელობით, სიმართლით ხომაა გამორჩეული, სიუხვეც დააბერტყა განგებამ.

მისი რომანები გზამკვლევია XX საუკუნის ტრაგიზმის შესაცნობად და უკეთესი გზების მოსასინჯად.

ლიტერატურა:
1. დვალიშვილი ლ., ,,ფიქრები ოთარ ჩხეიძის რომანზე", „ჩვენი მწერლობა", №3, 2002;
2. კუხიანიძე ლ., ,,საქართველო არის ესე, ანუ მომავალი ჩვენია?!", „ჩვენი მწერლობა", №19, 2003;
3. კუხიანიძე ლ., მწერალი და საზოგადოება, ქუთაისი, 2005;
4. კუხიანიძე ლ., ,,2001 წელი" ანუ ჩვენ უნდა ვსდიოთ ისევ იმ ვარსკვლავს, „ჩვენი მწერლობა", № 13, 2003;
5. სიგუა ს., ,,ტრაგიკული ათწლეული", „ჩვენი მწერლობა", №10, 2001;
6. ჩხეიძე ო., ,,რომანი გაზეთში", „ჩვენი მწერლობა", № 35, 2002;
7. ჩხეიძე ო., ,,რა გადაარჩენს საქართველოს", „ჩვენი მწერლობა", № 19, 2001;
8. ჩხეიძე ო., ,,ლაზერშოუ", ქუთაისი, 2005;
9. ჩხეიძე რ., ,,აგვისტოს შვილები", თბ., 2008.

ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა"

მარიამი შატაკიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე**, სრული პროფესორი

ოთარ ჩხეიძემ წიგნში „იტალიური დღიურები ბაირონისა" მხატვრულად გადმოგვცა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი მეტად მღელვარე, ეგრეთწოდებული, იტალიური პერიოდი. ავტორს საკუთარი პოზიცია გამყარებული აქვს ბაირონის დღიურებით და ჩანაწერებით.

თავიდან წიგნს რომ ვკითხულობდი, ჩემდაუნებურად გავიფიქრე იქნებ ოთარ ჩხეიძეს რომელიმე ქართველი პოეტის დაკავშირება უნდა ბაირონთან მეთქი, მაგრამ გონების თვალსაწიერმა ბაირონის ანალოგი ერთბაშად ვერ მონახა, თუმცა წიგნში თანდათანობით გამოიკვეთა ანალოგი ბაირონისა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით ღრიალით, მიწას მომაყრის"-ო

ეს სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილისაა, ამ სტრიქონებში მან თავისი ბედი იწინასწარმეტყველა. ბაირონსაც ეს ერგო ბედად, მისი ხვედრიც იგივე აღმოჩნდა, მაგრამ იგი მაინც მიისწრაფოდა იარაღაუსხმელი იქ, სადაც ბრძოლა იყო, საბერძნეთისკენ მიექანებოდა. ეს თავისთავად საინტერესო საკითხია, მაგრამ თემიდან გამომდინარე ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ბაირონის ცხოვრების იმ მონაკვეთზე, რომელიც იტალიაში გაატარა.

საინტერესოა, რისი თქმა უნდოდა ოთარ ჩხეიძეს ამ მემუარული ხასიათის წიგნით. შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოსდა იცავდა ბაირონს. იცავდა - მერედა ვისგან? იქნებ კეთილმა გულმა ვალდებულება მოიხადა მკითხველის წინაშე, იმ მკითხველისა, რომელსაც მცდარი აზრი ჰქონდა ბაირონზე?! - ახლა ისიც ვთქვათ ვინ იყო ამაში დამნაშავე - თავად ბაირონი, იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილება თუ მისი თანამედროვენი, აგრერიგად რომ გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს თუ რომელი უფრო მძაფრად იტყოდა და დაწერდა ცუდს ბაირონზე.

რაში ადანაშაულებდნენ ბაირონს? იმაში, რომ მის ცხოვრებას ყოველთვის ფონად გასდევდნენ ქალბატონები და არც თუ ისე მქრალ ფონად. იქნებ იმაში სდებდნენ ბრალს ინგლისი რომ დატოვა. ოთარ ჩხეიძეს გარკვეულწილად მისი დამცველის როლი უკისრია და მიაჩნია, რომ მისი დანაშაული, ყოველ შემთხვევაში დანაშაულად უთვლიდა ამას საზოგადოება ნიჭი იყო. განუსაზღვრელი ნიჭი და უნარი, რომელმაც მძაფრად იჩინა თავი მის შემოქმედებაში.

არა, წარმოდგენაც შეუძლებელი იქნებოდა იმ საზოგადოებისათვის, ასე რომ გაჯიბრებოდნენ ერთურთს ბაირონის კრიტიკასა და ლანძღვაში, რომ საქართველოში ბაირონს გულშემატკივარი გამოუჩნდებოდა, რომელიც დალაგებულად, გააზრებულად შეეცდებოდა მის გამართლებას. ვერ

წარმოიდგენდენ ამას კრიტიკოსნი იმა სოფლისანი, რადგან თავისი კრიტიკის სისწორეში დარწმუნებულნი იყვნენ. მათ თავისი სიმართლე ჰქონდათ, რომელიც არავითარ ახსნა-განმარტებას არ მოითხოვდა. პირველიც, მეორეც და მესამე მიზეზიც მათი უკმაყოფილებისა ბაირონის ნიჭი იყო, არ აღიარებდნენ, არ სჭირდებოდათ და მორჩა! როგორ ფიქრობთ, ახლა, ეს ცოტა საბუთია ბაირონის დასაწუნებლად და გასაკრიტიკებლად? მაგრამ ამას ესე ხმამაღლა ხომ ვერ იტყოდნენ, ეგეც არ იყოს მერე ერთგვარი აღიარება გამოუვიდოდათ მაინც ბაირონის იდუმალებისა და სიძლიერისა, ამიტომ მიზეზი სხვადასხვა ჰქონდათ. მაგალითად, ბაირონის დასაკნინებლად მშვენიერი მიზეზი იყო მისი ყოფილი ქალბატონების თანადგომა და ნუგეშისცემა და სწორედ აქ გამოსცრა ამ საკითხთან მიმართებაში საზოგადოებამ „საძაგელი ბაორონი!“ და საწყალი კაროლინა, კლერი, ანა იზაბელა და სხვანი და სხვანი!

მაგრამ ბაირონის სულის გატეხვა ასე ადვილი არ იყო, ამიტომაა, რომ ილია ჭავჭავაძეს თერგი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს აგონებდა. თერგის ხსენებაზედ ერთი ასეთი ფრაზა მომაგონდა:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

ბაირონს კი, თერგთან რომ გაუიგივებია ილია ჭავჭავაძეს, ბანს არავინ აძლევდა, ან თუ აძლევდა მხოლოდ წერილების სახით. თვით დი-ბრემეს ლოჟაც კი, მაგრამ უკეთეს ადგილსაც ვერ მიაგნებდა პოეტი, ხელოვანი, მოაზროვნე ადამიანი. ხშირი სტუმარი გახლდათ ლა-სკალასი და კერძოდ, დი-ბრემეს ლოჟისა. ისინიც მიეჩვივნენ თანდათანობით, ბაირონს კი სულაც არ ეუცნაურებოდა ეს სიტუაცია, დიდი ხანია შეამჩნია, თუ როგორ იბნეოდნენ ადამიანები მისი დანახვისას. ეს განა მერე, დიდება რომ მოიხვეჭა, სიავის ხმებიც რომ დაუყარეს, არა მანამდეცა, ჯერ რომ არავინ იცნობდა, ჯერ რომ არავის გაეგო მისი სახელი - გვამცნობს ოთარ ჩხეიძე.

ბევრი სხვაც წამდგარიყო, სხვა უცხოელი, სხვა სტუმარი მილანისა, სხვა დიდებით თუ სახელით დი-ბრემეს ლოჟაში, მაგრამ ასე არ შებოჭილან, თუმცა არავის მისჩვეოდნენ ასე მალე, როგორც ბაირონს. პოეზიას აეტანა ბაირონი, პოეზიას აეტანა ლა-სკალას ამ ლოჟის წარმომადგენელნიც, ბედისწერას აეტანა ბაირონი, ბედისწერას აეტანა ისინიცა, მაგრამ არ იცოდნენ თუ ვის, როდის რა უსწრებდა, როგორი ეწერა აღსასრული. იმ იტალიაში, სადაც კომედია აკრძალული იყო. აკრძალული იყო თვით სიცილი და ყველაფერი სიცილის გამომწვევი, საეჭვო პიროვნებად გამხდარიყო ყველა სიცილის მოყვარული ადამიანი და მაშინ, როცა დიდი ფრანგი კომედიოგრაფი მოლიერი ხელფეხშეკრული იჯდა ბაირონს შეეძლო გაეღიმა, თუნდაც გულიანად გაეცინა, როგორ? იტალიელები ქართულ ანდაზას ამართლებდნენ: „ხერხი სჯობია ღონესა“-ო. ამგვარ ხერხის მიმართავდნენ ისინი, ეპიზოდებად ანაწევრებდნენ კომედიურ თქმულებებს და სატირულ ეპიზოდებად აქვეყნებდნენ. ამისათვის, რა თქმა უნდა, პასუხს აგებინებდა ვენეციის გუბერნატორი, ნახევარი წლით ყოველ წელს ციხეში ამწყვდევდა ბურატს, მაგრამ შედეგი ვერაფერი. მოიხდიდა სასჯელს, წყნარად, უშფოთველად გამოვიდოდა და იგივეს აგრძელებდა. სატირულ ლექსებს გაავრცელებდა, შეთხზავდა, გასტაცებდნენ, გაავრცელებდნენ და გააცინებდნენ დაღვრემილ ხალხს. ბურატი ვენეციაში ცხოვრობდა და გუბერნატორიც ვენეციისა გულმოდგინედ დარაჯობდა მას. მისი მცდელობის მიუხედავად მაინც არსებობდა იტალიაში კომედია. ბაირონს დიდად არ გასჭირვებია დი-ბრემეს ლოჟაში შოვნა ბურატის წიგნისა, რომელიც ძალიან ძნელი საშოვნელი იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდად შეწუხება არ მოუწია ბაირონს, ვინაიდან მას ინკოგნიტოდ გადასცეს ეს წიგნი. გატაცებით კითხულობდა ბაირონი ამ წიგნს ლექსებისას და რა თქმა უნდა მას ღიმილის უფლებაც ჰქონდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ლოჟას ერთი განსაკუთრებული თავისებურება ჰონდა, მისი წარმომადგენლები მარტო მამაკაცები იყვნენ, არც ერთი ქალი, მაგრამ მილანელი ქალბატონების ყურადღება არ აკლდა ამ ლოჟას. ქალბატონების ხსენებაზე მივადექით იმ თემას, რის გამოც აგრერიგად იკიცხებოდა ბაირონი. ეს სწორედ ის საკითხი მგონია, სადაც „საძაგელი ბაირონი“ ოთარ ჩხეიძის დაცვის ობიექტი გამხდარა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს: „მე უბრალოდ სიმართლეს ვყვები, სიმართლეს ბაირონისეულს“ -ო.

ახალი რომანის გამოჩენამ, რომელსაც „გლენარვონიცა“ ეწოდებოდა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ყველას პირზედ ეკერა ლონდონის სალონებში წიგნის სახელი ხელმოუწერლად რომ გამოსულიყო, მაგრამ ყველასთვის ცხადი და ნაცნობი იყო, რომ იგი ბაირონზე შურის საძიებლად გამოსულიყო, და აი „საწყალი კაროლინა“ და „საძაგელი ბაირონი“. შხამი ახლდა სიბრალულს კაროლინასი, ბედისაგან განებივრებული ქალი იმდენად არ ეცოდებოდათ ინგლისელთ, რამდენადაც ბაირონის გაკილვა სიამოვნებდათ. ყველა ეცოდებოდათ, ყველა საბრალო იყო, ვინც ბაირონს გადაეყრებოდა, მხოლოდ ბაირონი არ იმსახურებდა სიბრალულს და შეცოდებას.

ოთარ ჩხეიძემ პოეტისადმი ინგლისელთა ამ დამოკიდებულებას კაროლინა ლემის თავაშვებული ხასიათი დაუპირისპირა. რა შესაცოდი და შესაბრალისი იყო ქალი, იგივე კაროლინა ლემი, თავადვე რომ

შეუჩნდა ბაირონს, მის სიყვარულს რომ ჟინიანობდა და თვითმკვლელობით რომ იმუქრებოდა. მიუხედავად კაროლინას მონდომებისა ეს ურთიერთობა დროებითი აღმოჩნდა და მას მოჰყვა კლერი, მშობიარობა რომ უახლოვდებოდა და სულით რომ ეცემოდა. კლერს ანა იზაბელა მოჰყვა და სწორედ ეს ქალი იყო ბაირონს რომ გემოვნება დაუწუნეს, რადგან ის სილამაზით ვერ სჭარბობდა სხვა დანარჩენებს, მაგრამ სჭარბობდა თავდაჭერილობითო - თავად ბაირონი წერდა თავის წერილებში. „უარმა შეურაცხმყო და აღარ მოვეშვიო, ჯიბრის გამო აღარ მოვეშვიო“ - იგონებდა იგი.

აქაც საოცარი სიზუსტით აკეთებს კომენტარს ოთარ ჩხეიძე. „ვინ უწყის იყო ჯიბრიცა, შურისძიებაცა ამპარტავნობისა, მაგრამ იმდენი სიხარულია ბაირონის ბარათებში თანხმობის შემდეგ რომ მისწერა ანა იზაბელას, იმდენი სიხარული, რომ ნატამალიც არ იგრძნობა შურისა, ჯიბრისა, შურისძიებისა“. მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყვეს ერთი წელიც ვერ გასტანა მათმა ურთიერთობამ, ერთ წელზე მეტხანს რომ გაგრძელებულიყო მათი ქორწინება ეს უფრო გასაოცარი იქნებოდაო - აღნიშნავდნენ ინგლისელნი.

ერთი ზარალი კაცს ვერ მოკლავდა, მაგრამ ბევრი დაუგროვდა ბაირონს, მას ერთიანად განუდგა ოჯახი და საზოგადოება. აქეთ დარჩა ბაირონი მარტო, იქით ყველანი, აქეთ ტიტანი, იქით ბრბო, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული. დაე, ტიტანი ყოფილიყო ბაირონი, ვერას დააჯერებდა დაუჯერებელს და გაუგონარს, ურწმუნოსა და გაუტანელს, უმადურსა და აუბორკავს, ამიტომ იძულებული შეიქმნა გასცლოდა, შორიდან შემოევლო.

ოთარ ჩხეიძეს ბაირონის დადებითი თვისებებისათვის რომ გაესვა ხაზი, ამიტომ ამახვილებს ყურადღებას ჟან-ჟაკ რუსოსა და ბაირონთან შედარებაზე, რომელსაც თურმე ძალიან აღიზიანებდა ეს შედარება.

„ჩვენს შორის საერთოს ვერაფერს ვხედავო, ის პროზადა წერდა, მე - ლექსადა, ის მდაბიოთაგან წარმოიშვა,მე- დიდებულთაგან, ის ფილოსოფოსი ბრძანდებოდა, მე - არა, იმან ორმოცი წლისამ გამოსცა თავისი პირველი ნაწარმოები, მე - თვრამეტისამ, საერთო მოწონება დაიმსახურა მისმა პირველმა ნაწარმოებმა, ჩემმა - არა ...!“ და მრავალი სხვა განსხვავება მოჰყავს ბაირონს. ვფიქრობ ოთარ ჩხეიძეს კარგის ქნა რომ უნდოდა, სიმართლის თქმა რომ სურდა იმიტომ გაამახვილა ყურადღება ამ ეპიზოდზე. ბაირონის კრიტიკის მოყვარულ საზოგადოებას კი იგი თავის სასარგებლოდ შეუძლია გამოიყენოს და პატივმოყვარეობაში, ამპარტავნობაში ჩაუთვალოს მას ესოდენ გულახდილი მოსაზრება. მაგრამ ვგონებ ბაირონს ეს აღარაფერს დააკლებდა, ვინაიდან იგი უკვე მიჩვეული იყო სამართლიან თუ არასამართლიან ბრალდებებს.

ოთარ ჩხეიძის სიმპატიის დამსახურება ბაირონს როდი გაუჭირდებოდა, მასში ხომ მუდამ მოძრაობდა ფიქრი სამშობლოსაკენ, ინგლისისკენ მიმართული, ოღონდ ბაირონს გაყოყოჩებული, თავისუფლებისათვის აჯანყებული ინგლისი ენატრებოდა. ენატრებოდა და სწუხდა, სწუხდა და თავპირი ჩამოსტიროდა. ისევ შინ უნდოდა. ენატრებოდა არათუ საიმედო დამორჩილებულთა, არამედ ვატერლოზე გამარჯვებული, ამბოხებული ინგლისი.

„და თვითონვე უკვირდა უცებ რომ მოიწყინა, ვერ გამოტეხილიყო ხმამაღლა სევდა რომ იყო სამშობლოსი, მაინც სამშობლოსი და მეტი არაფრის და არავისი“.

ოთარ ჩხეიძემ გარკვეულწილად ერთმანეთს შეუპირისპირა ბაირონის ცხოვრებაში ქალებით და სამშობლოთი გატაცება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არცერთხელ არ დაუწუწუნია ბაირონს ქალის, თუნდაც დაკარგული ქალის გამო, სამშობლოზე კი გული სწყდებოდა, ინგლისი მაინც მისი ფიქრის საგნად შექმნილიყო. არ იყო მონატრება არც ერთი ქალის, მაგრამ იყო სამშობლოსი, თავადვე უჭირდა საკუთარ თავს, რომ ამაში გამოსტყდომოდა, მაგრამ ქართველი კაცისათვის იმდენად ახლობელი შექმნილიყო სამშობლოს სიყვარული და მასზედ დარდი, რომ საერთოდ არ გაძნელებია ოთარ ჩხეიძეს ბაირონის ფიქრების, ოცნებებისა და სურვილების ამოკითხვა მისი დღიურებიდან.

ლიტერატურა:

1. ოთარ ჩხეიძე, იტალიური დღიურები ბაირონისა, 1996.

ОБРАЗ ЛЕСТНИЦЫ В ПОВЕСТИ Н. ГОГОЛЯ «ШИНЕЛЬ»

Теона Цицикашвили
ст. 3 к. спец. рус. яз и лит. гуманит. фак.
Тамар Цицикашвили
ст. 2 к. спец. англ. яз и лит. гуманит. фак.
рук. **Н. Хинчагашвили**

Среди замечательных деятелей русской и мировой культуры почетное место принадлежит Николаю Васильевичу Гоголю. Гениальный мастер поэтического слова, он создал великие произведения, покоряющие глубиной и правдивостью своих образов, силой творческого обобщения жизни, художественным совершенством.

Изображение жизненной судьбы героев у Гоголя неразрывно сливается с раскрытием постоянного общественного гнета, который обрекает «маленького» человека на страдания, безжалостно уродует его, стирая живую человеческую индивидуальность. Важное место в творчестве Гоголя занимает цикл «Петербургские повести». Особое значение в нем имеет повесть «Шинель» (1841 год), в которой он выражает протест против социальной несправедливости и защищает «маленького человека», резко сатирически изображает чиновничество.

Объектом нашего исследования явилась повесть Н.В. Гоголя «Шинель», предметом исследования – значение образа лестницы в повести Н.В. Гоголя «Шинель»

Была выдвинута следующая гипотеза: образ лестницы, как художественная деталь повести, способствует раскрытию основного ее конфликта – человек и античеловеческие условия его общественного бытия.

Цель нашего исследования – изучения значения образа лестницы в повести Н.В. Гоголя «Шинель».

Для реализации данной цели были выдвинуты следующие задачи:

1. Проанализировать особенности изображения образа лестницы как художественной детали в повести;
2. Определить значение образа лестницы в повести Н.В. Гоголя «Шинель».

С большим сочувствием Гоголь показывает забитого «маленького человека», униженного мелкого чиновника. Акакий Акакиевич Башмачкин стоит на низшей социальной ступени социальной лестницы, лишен самых простых человеческих радостей. Над ним зло насмешничают сослуживцы, но он отвечает им «проникающими» словами с просьбой отстать от него. У него нет понимания ничтожности собственного положения. Бессмысленная канцелярская служба – переписывание бумаг – убила в нем всякую живую мысль и всякие человеческие стремления. Наслаждение доставляет ему лишь то, что лишает его нормальной человеческой жизни – переписывание бумаг; это становится поэзией его жизни. Лишь когда появилась единственная цель в его жизни – новая шинель – он «… Сделался как-то живее, даже тверже характером, как человек, который уже определил и поставил себе цель. С лица и поступков его исчезло само собой сомнение, нерешительность …» [3, с.13].

В повести Н.В. Гоголя «Шинель» среди изображений подробностей петербургской жизни наиболее часто повторяется, проходя через всё произведение и составляя в итоге сквозной образ, - художественная деталь «лестница».

«Взбираясь по лестнице, ведшей к Петровичу, которая, надобно отдать справедливость, была вся умащена водой, помоями и проникнута насквозь тем спиртуозным запахом, который ест глаза и, как известно, присутствует неотлучно на всех черных лестницах петербургских домов, - взбираясь по лестнице, Акакий Акакиевич уже подумывал о том, сколько запросит Петрович, и мысленно положил не давать больше двух рублей» [2,с.8], или «Помощник столоначальника жил на большую ногу: на лестнице светил фонарь, квартира была на втором этаже» [2, с.9].

Образ лестницы встречается в самых ранних гоголевских повестях: «Майской ночи», «Сорочинской ярмарке», «Страшной мести», в «Главе из исторического романа». О предстоящей борьбе со «страстями» и восхождении «по скользким ступеням» лестницы Гоголь упоминает в письме к матери от 24 июля 1829 года [3, с.19].

«Лестница» символизирует служебный табель о рангах и жизненную дорогу.

В одном департаменте служил ничем не приметный чиновник, воспринимавшийся окружающими как некая безгласная и безличная копировальная машина, которую при случае можно ради непритязательного развлечения использовать в качестве пепельницы или плевательницы. Но Акакий Акакиевич не был копировальной машиной, он был человеком со своей, пусть не заметной для других, но все-таки не механической, а живой индивидуальностью. Об этом свидетельствовали его проникновенные слова: «Оставьте меня, зачем вы меня обижаете», в которых слышалось: «Я брат твой», - и то, что он служил, не просто ревностно, а с любовью.

Башмачкин находился вне «лестницы», на которой люди замечают друг друга и высказывают почтительность соответственно чину и рангу. Вицмундир и так называемый капот Акакия Акакиевича не позволил ему попасть на эту «лестницу», более того, его униформа, как и он сам, являли около «лестницы» подобие своеобразного мусорного ящика, некой урны. «И всегда что-нибудь да прилипало к его вицмундиру: или сенца кусочек, или какая-нибудь ниточка, к тому же он имел особенное искусство, ходя по улице, поспевать под окно именно в то самое время, когда из него выбрасывали всякую дрянь, и оттого вечно уносил на своей шляпе арбузные и дынные корки и тому подобный вздор» [4,с.6]. Но «серое небо» его беспросветного существования вдруг осветилось «вечной идеей будущей шинели». Акакий Акакиевич, поднимаясь по черной лестнице к портному, сам того не ведая, вступает на «лестницу» видимого мира петербургской светской жизни, а когда впервые надевает сшитую Петровичем новую шинель, из человека-невидимки с очертаниями копировальной машины и мусорной урны превращается в пусть мелкого, но видимого чиновника.

Не успев еще насладиться в полной мере вкусом неожиданных новых ощущений Башмачкин, оказывается в «страшной пустыне». Новая шинель сделала его видимым не только для сослуживцев, но и для грабителей, бесцеремонно отнявших у него его маленькое счастье: «Акакий Акакиевич хотел, было уже закричать «караул», как другой приставил ему к самому рту кулак величиною с чиновничью голову, промолвив: «А вот только крикни!» [3,с.18]. С него сняли шинель, дали пинка коленом, он упал навзничь в снег и уже ничего не чувствовал. Башмачкин снова очутился вне «лестницы» и стал опять невидимым и ненужным.

Подобно тому, как его новая шинель в соответствии с ранжиром лежала на именинах у столоначальника в передней на полу, он сам чуть не упал на пол после разноса «значительного лица», к которому дерзнул обратиться за помощью, забыв просто, что лишился права ступать на «лестницу», по которой ходят генералы. И «бедный Акакий Акакиевич испустил дух», заслужив за свою горемычную жизнь единственную награду в виде соснового гроба, не дослужившись даже до дубового.

В финале повести Гоголь расширяет границы пресловутой служебной лестницы градоустройства до просторов вселенской жизненной дороги, на которой значительность лица определяется не чином или банковским счетом, а каждому воздаётся по его человечности. И тот, чьё высокомерное чванство довело отчаяние бедного Акакия Акакиевича до уничтожившей его катастрофы, сам на миг сходит с привычной для него земной «лестницы» и испытывает пережитое ограбленным чиновником состояние. В таком же положении оказываются и другие завсегдатаи петербургской светской «лестницы».

Тот глубокий драматизм, которым проникнута «Шинель», выявляется, с одной стороны, в обрисовке обыденного, и с другой - в показе «потрясений» героя. На этом внутреннем столкновении и строится, прежде всего, развитие сюжета в повести. Рассказ о приобретении шинели – это повседневность, раскрытая в ее драматическом напряжении. Обыкновенное, заурядное явление предстает в виде «бедствия»; незначительное событие, как в фокусе, концентрирует в себе отражение существенных сторон действительности. Напряженность и драматизм этих столкновений делают ограниченным финал повести, в который автор вводит фантастику. Фантастика в «Шинели» является необходимым элементом раскрытия основной идеи повести.

Земная лестница как средоточие несправедливости противостоит в мировосприятии Гоголя лестнице, увиденной во сне библейским Иаковом и символизирующей исполнение желания просветленной человеческой души встать на путь к Вышей справедливости. В «Выбранных местах из переписки с друзьями» (глава XXXII «Светлое Воскресение») Гоголь писал: «Бог весть, может быть, за одно это желанье уже готова сброситься с небес нам лестница и протянуться рука, помогающая возлететь по ней» [2,с.20].

Гоголь сочувствует судьбе «маленького человека». Он призывает нас быть внимательными друг к другу, и как бы предупреждает, что человеку придется отвечать за нанесенные ближнему обиды. Недаром один из сослуживцев Башмачкина услышал за его словами: «Оставьте меня, зачем вы меня обижаете?» другие слова: «Я брат твой».

Небесная лестница – мечта и тайна великого писателя – недоступная тем, кто прикрывает своё бездушие дорогими мехами и кожами, горделиво вышагивая к верхним ступеням земной служебной лестницы по головам и судьбам страждущих и бедствующих братьев своих, безапелляционно попирая их и без того униженное достоинство. Предчувствие небесной лестницы в земной жизни даёт о себе знать, появляясь среди маскарада тщеславия с открытым, строгим и справедливым лицом Совести.

Исходя из вышеизложенного мы можем сделать следующие выводы:

1. Образ лестницы, как художественная деталь повести, способствует раскрытию основного ее конфликта – человек и античеловеческие условия его общественного бытия.

2. Духовная лестница, возводящая на небо, согласно вере, выраженной в художест-венном идеале писателя, - то Божья милость для тех, кто не прятался под мехами и кожа-ми чинов и званий, а естественно просто жил и трудился в поте не прикрытого маской лица своего, пусть даже по меркам земной служебной лестницы совсем не значительного.

3. Несмотря на достаточно хорошую изученность темы, последняя точка в ее осмыслении еще не поставлена.

ЛИТЕРАТУРА:
1. Гоголь Н.В. Шинель. М., 1989.
2. Базанова А.Е. Тема маленького человека в творчестве Н.Г. Гоголя и Ф.М. Достоевского. М., 1994
3. Шафранская, Э.Ф. «Маленький человек» в контексте русской литературы XI – в начала XX вв. М., 2001
4. http: *www.* //nauka.relis.ru.
5. http://www.nkj.ru
6. http://www. Liveinternet.ru.

ეროვნული ზეპირსიტყვიერების ნიმუში გორის რაიონის ს. ქერეს მაგალითზე

ელენე ჯირკველიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე**, სრული პროფესორი

ეროვნული ზეპირსიტყვიერება უშრეტი განძია, რომლის თითოეული ნიმუში აღნუსხვა-შენარჩუნებას ელოდება. ხალხური სიტყვიერება სულიერი კულტურის თვალსაჩინო ნაწილია. ხალხური სიტყვიერება მასების პოეტური შემოქმედებაა, რომელიც ზეპირად იქმნება და თაობიდან თაობას გადაეცემა დაუწერელი სახით.

„ლიტერატურული ნაწარმოები ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფია. ზეპირსიტყვიერებაში საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ხალხური შემოქმედების ნიმუში არასოდეს არ არის მხოლოდ ერთი პირის შემოქმედების ნაყოფი.“ [1, გვ.5] ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის ყველა კუთხის ეროვნული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შეკრება.

სოფელი ქერე გორის რაიონში მდებარეობს. გორიდან ჩრდილოეთით 25 კმ-ზე, ცხინვალიდან აღმოსავლეთით 10 კმ. სოფელი განლაგებულია კავკასიონის ქედის ძირში. მოსახლეობის რაოდენობა არის 200 კომლი. მათი შემადგენლობა მრავალფეროვანია: ქართველი, ოსი, სომეხი, რუსი.

სოფლის სახელწოდება „ქერე“ გვიანდელი უნდა იყოს, როგორც 45 წლის მალხაზ ჯირკველიშვილი და 59 წლის ცისანა კოლოტაშვილი გადმოგვცემენ, სოფელს უწინ თურმე ,,ბერმუხა” რქმევია. მართლაც, სოფლის ცენტრში იდგა საუკუნის მუხა, რომელიც ამჟამად გვერდზეა წამოქცეული. შემდგომში სოფელს დაერქვა „ქერე“, რადგან ბევრი ქერი მოდიოდა თურმე.

სოფელში ჩამოედინება მდინარე ჭარებულა, რომლის სახელწოდებაც სოფელ ჭარებიდან უნდა მომდინარეობდეს, აგრეთვე ჩამოუდის სარწყავი არხი, რომელიც დიდი ლიახვიდან იღებს სათავეს და ამ ხელოვნურ არხს ტირიფონის ველის პატივსაცემად დაარქვეს „ტირიფონის არხი“
სოფელ ქერეში კლიმატი ზომიერია.

სოფელში არის რამდენიმე საკულტო ნაგებობა ეკლესიის სახით. სოფლის ცენტრში არის ციხეა, რომელშიც ლეკიანობის დროს თავს აფარებდნენ სოფლის მცხოვრებნი. სოფელშია ოთხი ეკლესია, მაგრამ ქართული ძეგლების აღწერილობაში არცერთი მათგანი არ არის შეტანილი.

სოფლის ცენტრში არის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მასზე არის წარწერა:

,,მომიხსენე უფალო ელიკან
სოლომანას მეუღლე
მელანია მხილვნო შენდობას
ვთხოვ ჩყჯზ.”

სავარაუდოდ ქერეს ზეპირსიტყვიერება, მის მცხოვრებთა ადგილმონაცვლეობის წყალობით, ალბათ, სხვა კუთხეში უნდა იყოს აღწერილი, მაგრამ წინამდებარე შემკრებლობითი საქმიანობა, ვგონებ, არ უნდა იყოს საერთოდ ჩაწერილი. (სოფელში ვერ ვნახეთ პიროვნება, რომელიც მოგვითხრობდა ამის შესახებ). თუმცა იქნებ თავად ანტონ ფურცელაძესთან არის რაღაცით დაკავშირებული ჩვენი სოფლის ისტორია, რომელიც ,,ქერელ ბექას” ფსევდონიმით თანამშრომლობდა ჟურნალ ,,ცისკარში” XIX საუკუნის 70-80-იან წლებში (ანტონის მშობლიური სოფელი მერეთი სოფელ ქერესთან ახლოს მდებარეობს.)

შემკრებლობითი საქმიანობა სოფელში ვაწარმოეთ ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ივლის-სექტემბერში.

ჩვენ შევისწავლეთ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები მთქმელებთან და ავტორმთქმელებთან. ჩავიწერეთ ხალხური ლექსები(შრომის, სატრფიალო), შელოცვები, გაბაასება, ,,ალილოს", ჭონაობის, თამაშობის გათვლები, ხალხური სამზარეულო, ეპიტაფიები. აღნიშნული ზოგიერთი ნიმუში, გარდა ეპიტაფიებისა, შევუდარეთ ქართულ ხალხურ პოეზიაში დაცულ ნიმუშებს. წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილს.

შრომის ლექსი ისეთ პოეტურ ნაწარმოებს ეწოდება, რომელიც ადამიანის სამეურნეო მოქმედების დროს წარმოიშობა და მასვე ასახავს. ასეთ ლექსში დახასიათებულია შრომის ყველა დარგი და მომუშავის ფსიქოლოგია. ჩვენს მიერ ჩაწერილი ლექსი შევუდარეთ საყოველთაოდ ცნობილ ვარიანტს. აქ საქმე გვაქვს სავენახო ლექსის კალოურით ჩანაცვლებასთან. ქერეში ჩაწერილ ტექსტში ჩანაცვლებულია ,,რთველის" მაგიერ ,,ქერი":

,,ჰერი, ბიჭო, ჰერიო,
ჰერი, ჰერი, ჰერიო.
სხვა საქმე შევაჩეროთ
რთველს მოვკიდო თ ხელიო."[1,გვ.246]

,,ჰერი ბიჭო, ჰერიო,
ჰერი, ჰერი, ჰერიო.
სხვა საქმენი შევაჩეროთ
დროზედ მოვიმკოთ ,,ქერიო."

(შ. კოლოტაშვილი,1920)

ამ სიმღერას კალოობის დროს კევრზე მდგომი ხალხი ამბობდა. ყანას მოთიბავდნენ, შემდეგ მიწას პატარაზე და განივრად ამოთხრიდნენ და შიგ ყრიდნენ მოთიბულ, თავთავიან ყანას. ხარებს შეაბამდნენ უღელში, რომელსაც ხის კევრი ჰქონდა მობმული. ხარები გარშემო დადიოდნენ. კევრზე ხალხი უნდა დამდგარიყო, რაც უფრო მძიმე იქნებოდა, მით უფრო კარგად დაილეწებოდა თავთავი.

შრომის ძველ ქართულ სიმღერებში პირველი ადგილი გუთნურს უჭირავს, ე.ი. ისეთ სიმღერას, რომელიც ასახავს მიწის დამუშავების მიმდინარეობას, ხვნას და მხვნელ-მთესველთა ცხოვრებას. ასეთი ლექსია ,,გუთნური". საყოველთაოდ ცნობილი არის ,,გუთნურის" მოკლე ვარიანტი. პირველი ნაწილი გუთნურისა ,,არალი, არალო", აშკარაა შეერთებულია უძველეს ვარიანტთან, რომელიც ჩაუწერიათ კახეთში, სოფელ ატენში, თ. მამალაძისაგან.

,,ეხლა შევაბათ გუთანი,
ხვნისა და თესვის დრო არის,
არალი, არალე,
არი არალო, ვარხალალო და." [გვ.12.2,12]
,,არალი, ჰარუ არალო ო!
არალი არალი არუ არალო
არალი, ჰარუარალო!
გადი, გამოდი, გუთანო
ღირღიტავ, ბანი უთხარო.
სახნისსა კვეთი გაუსვი,
რომ კაჭაჭს ძირი უთხარო ო! ჰო!" (ი. ძაბახიძე, 1967)

,,ალილოს" სიმღერის ტექსტში ხშირად ჩნდება დასაჩუქრების თხოვნა, თუმცა ტრადიცია ამას ისედაც ითვალისწინებდა:

,,ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაყავ კალათასა
ბები ერთი კვერცხი მომეც, ღმერთი მოგცემს ბარაქასა".

საგაზაფხულო გუნდური სიმღერა ,,ჭონა'' აღდგომამდელ დამოუკიდებელ სიმღერადაა მიჩნეული. იგი შემდეგ დაკავშირებია აღდგომას. ასრულებდნენ აღდგომის წინა კვირაში, უფრო ხშირად, დიდმარხვის უკანასკნელ დღეს. მეჭონეების გუნდის წევრებს კვახის, ანუ ხაპის, ნიღბები უკეთიათ, სიმღერით დადიან ეზო-ეზო და აგროვებენ სანოვაგეს, რომელშიც კვერცხი, ნაყოფიერების სიმბოლო, აუცილებლად უნდა ერიოს. აღნიშნული ლექსი წარმოადგენს, რამდენიმე საჭონაო ლექსის კომპილაციას:

„კიჭებიო, კიჭებიო,
დაგეზრდება ბიჭებიო!
ალანთასა, ბალანთასა, ჩამოვკიდავ კალათასა.
მთაში გოდრები დავწანი, წამოვიდა გორებით."

ეს წარმოადგენს სრულიად ახალ ვარიანტს:

,,აი კიჭები, კიჭები, კვერცხებზე დავიკრიჭები,
ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავკარ კალათასა,
ბები ორი კვერცხი მომეც, ღმერთი მოგცემს ბარაქასა,
თუ ორი კვერცხი არ იქნა, ერთი მაინც ჩქარა იყვეს.
არიელი, მარიელი, ნუ გამიშვებ ცარიელი,

თუ ცარიელი გამიშვი არ ვიქნები მადლიერი,
მთაში გოდრები დავწანი, წამოვიდა გორებით,
შენი ოჯახი აივსო, ფულითა და ქონებით.” (ნ. გაბრიჭიძე,1967)
,,წისქვილს წყალი დავაყარე, წამოვიდა ხრიალითა,
ბები ერთი კვერცხი მომეც, თორემ გავსკდი ღრიალითა.“
(ი. კოლოტაშვილი, 1940)

,,ნანინა“ დედათა სიმღერაა, მას ,,აკვნის სიმღერად“ მოიხსენიებენ. ,,ნანინას“ დანიშნულებაა რწევამ ძილი მოჰგვაროს და დაამშვიდოს ასე ბავშვი.

,,იავ ნანა,
ვარდო ნანა,
იავ ნანი ნაო,
მაგრე ტკბილად, უდარდელად
რამ დაგაძინაო.
იავ ნანა,
ვარდო, ნანა, იავ ნა ნინაო!“(ი. ძაბახიძე, 1967)

აღნიშნული ლექსი ცნობილი ლექსის ,,იავ ნანის“გამეორებაა.

ქართულმა პოეზიამ მრავალი ლექსი შექმნა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის შესახებ, ამათგან ერთ-ერთია კახეთზე. მაგ:

,,საქართველოს ერთი კუთხე,
სამშობლო ქართლი კახისა,
ალიზნის ველებს დავყვბით,
დამას ვეძახით კახეთსა.
იქვე კახელი ამღერდა,
გული ხალისით ხმიანობს,
ივსება მარნის ბარაქა,
მაჭარი გადმოჩხრიალობს.“ (მ. კოლოტაშვილი,1944)

ეს ლექსი კი სრულიად ახალი სახოტბო ჟანრის ნაწარმოებია, რომლის ვარიანტიც ვერ აღმოვაჩინეთ.

შელოცვა სიტყვიერი ფორმულაა, რომელსაც სამისნო დანიშნულება აქვს. ეს ჟანრი უხსოვარ დროში ჩამოყალიბდა და ფართოდ იყო ცნობილი ყველა ხალხში, მათგან ქართველთა შორისაც.

სამკურნალო შელოცვა მრავალგვარია, თითქმის ყველა ავადმყოფს თავისი ლოცვა ჰქონდა. [1, გვ. 228]

შემლოცველს სჭირდება ჭიქა წყალი, ნახშირი და შავტარიანი დანა. შელოცვებში უპირატესად შავი, წითელი და თეთრი ფერებია გამოყენებული. „თვალის აღების“ დროს ამბობდნენ ამ ლოცვას:

,,ალისასა, მალისასა, შეგილოცავ თვალისასა,
გზაზე მიდის შავი ქალი,
მას მიჰქონდა შავი გველი,
მიჰკიდა ღობეზე,
ვაყარე შავი მარილი,
მარილი დნებოდა,
გველი კვდებოდა,
ავი თვალით შემხედვარეს თვალი ევსებოდა,
ავი გულით შემხედვარეს გული ეღუპებოდა,
გადიარა მთასა, თავი არტყა ქვასა,
მუცელი დანასა,
ისისირი, მისისირი, მას სიკვდილი პაპასკირი,
კერია ადუღებული, შანთი გახურებული,
გასკდა შანთი, მოხვდა თვალში,
ფუი, ღმერთო შენ დაუვსე,
მისი მავნე, მაწყინარი თვალები.”(მ. ქუთათელაძე,1969)

არსებობდა ბატონები ,,ღორთა ღორველა“ და, ვისაც ეს ბატონები შეხვდებოდა, საღორეში გადააგორებდნენ იმ ადამიანს. ისეთი რწმენა ჰქონდათ, რომ ამ რიტუალის შემდეგ მოურჩებოდათ.(ნ. გაბრიჭიძე,1967).

საინტერესოა, აგრეთვე ძველი ქართული თამაშობებისდროინდელი გათვლები.

1. ,,კეკე, კეკე, მალულა, ტყიდან გამოპარულა,
დაიჭირა ღამურა, შეწვა შეახრამუნა,
რომ გაეგო მწყერსა, შეხტა მუხის ხესა.
დედაჩემი შინ არ არის,
მე რა მინდა შენსა.”(ნ. კოლოტაშვილი,1946)

2. ,,ქალი მივიდა ქალთანო,
ცხრილი მათხოვე ქალოვო.
ოცი შვილი არ მომიკვდეს,
მე ცხრილი არა მქონდესო.
ესარიონ, კესარიონ, ირაკლი და ილარიონ,
აფნა, დაირა, როსტომ, გაირა,
ჭიპიტონი, ჭაპიტონი, გულქვა, გულპიტონი,
ინადარი, ბინადარი, ქუცია და მარო,
იპოლიტე, პოლიკარტე, სევასტი და ვანო.”(ნუნუ გაბრიჭიძე,1967)

სამშობლოს, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს ეძღვნება მრავალი ლექსი.

„ლალე, ლალე, დივლი დალალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლო,
შენ კი გენაცვალე.
ლალე, ლალე, დივლი დალალალე,
ჩემო ლამაზო სამშობლო მსხვერპლად წამიყვანე!“ (ა. რუსიშვილი,1938)

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გალექსება–გაბაასების მრავალი ნიმუში გვაქვს. გალექსების მიზანი ნაკლის მხილებაა, მაგრამ გააჩნია, რა კატეგორიისაა ეს ნაკლი და როგორი ფორმით აისახება ლექსში. ერთ-ერთია ქალ-ვაჟის გაბაასება:

ვაჟი:
– მოდი, ქალო, შემოგხედო,
მშვენიერო, ეშხიანო.
ქალი:
_გასწი, ბიჭო, გამეცალე,
მუქთახორა ცოდვიანო.
ვაჟი:
– ქალო, ეგ რა მითხარი,
ეგ რა ცილისწამებაა.
ქალი:
– დიახ, დიახ, მართალია,
რა დროის ზარმაცობაა...
ვაჟი:
– ქალო, ძილში მესიზმრება
შენი ჟუჟუნა თვალები.
ქალი:
– აქ შრომას ნუ მაცდენინებ,
წადი, ნუ მეკინწლანები.
ვაჟი:
– ქალო, ვერ ჩამოგშორდები,
რაც უნდა დამიჯდეს ძვირი.
ქალი:
– ეგებ მაშინ შემიყვარდე,
შრომის თუ გახდები გმირი.
ვაჟი:
– ქალო, აწი მე შენი ვარ,
შენ თუ ჩემი იქნები.
ქალი:
– შრომის გმირები გავხდებით,
ბედნიერები ვიქნებით.”[1,გვ.156]

ვაჟი:
– მოდი, ქალოვ, შემოგხედო,
მშვენიერო, ეშხიანო.
ქალი:
– გასწი, ბიჭო, გამეცალე,
მუქთახორა ცოდვიანო.
ვაჟი:
– გოგოვ, ეგ რა მითხარი,
ეგ რა ცილისწამებაა.
ქალი:
– დიახ, დიახ, მართალია,,
რა დროის არშიყობაა...
ვაჟი:
– გოგოვ, ძილში მესიზმრება
შენი ჟუჟუნა თვალები.
ქალი:
– აქ საქმეს ნუ მაცდენინებ,
წადი, ნუ მეკინწლავები.
ვაჟი:
– გოგოვ, ვერ ჩამოგშორდები,
რაც უნდა დამიჯდეს ძვირი.
ქალი:
– ეგებ მაშინ შემიყვარდე,
ქვეყნისა თუ იქნები გმირი.
ვაჟი:
– გოგოვ, აწი მე შენი ვარ,
შენ თუ ჩემი იქნები.
ქალი:
– ქვეყნის გმირები გავხდებით,
ბედნიერები ვიქნებით.”(ნ. კოლოტაშვილი, 1969)

აღნიშნული ლექსი წარმოადგენს თითქმის ახალ ვარიანტს გაბაასებისას.

როგორც შეკრებილი მასალების შეგროვებამ საყოველთაოდ ცნობილ და გამოქვეყნებულ ვარიანტებთან გვიჩვენა ქერეს ზეპირსიტყვიერება ძირითად ცნობილთან ერთად გვაწვდის ახალ ვარიანტებს. ,,გუთნურის", ,,ჭონაობის", ,,ალილოს", ,,სატრფიალოს", ,,თამაშობის გათვლების", ,,სახოტბოს" და სხვა სახით.

აშკარაა მთქმელებსა თუ ავტორ-მთქმელებში მოხდა კოლექტიურობის ელემენტის მეტად შეტანა, რაც იქნა საბაბად ახალი ვარიანტების წარმოშობისა. ქერელი მთქმელები არიან: ნუნუ გაბრიჭიძე, იოსებ კოლოტაშვილი, ილარიონ კოლოტაშვილი, შალვა კოლოტაშვილი, მურაზი კოლოტაშვილი, ნოდარ კოლოტაშვილი, ცისანა კოლოტაშვილი, ნინო კოლოტაშვილი, ლანა რუსიშვილი, ავტანდილ რუსიშვილი, არკადი რუსიშვილი, ფენია თვაური, ნანი ჩილინგარაშვილი, მარინე ქუთათელაძე, ია ძაბახიძე.

ლიტერატურა:
1. მიხეილ ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, სამეცნიერო მეთოდიკური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი,1956.
2. თეიმურაზ ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, გამომცემლობა „მერანი", თბილისი, 2001.
3. ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეთორმეტე, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1980.
4. ქართული ხალხური პოეზია, ტომი მეათე, „მეცნიერება", თბილისი, 1983.

ი ს ტ ო რ ი ა

შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან

ნინო ამბრიაშვილი
ჰუანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი სოსიაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

შინაარსი

ხიდისთავი შიდა ქართლში გორის რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია საინტერესო ისტორიით. სოფლის შესახებ ცნობები სხვადასხვა ისტორიულ წყაროებშია გაფანტული. საინტერესო და უძველესი ისტორიის მიუხედავად, სოფელზე ცნობები მაინც არ არის ერთ წიგნად გამოცემული.

შესაძლებელია ნაშრომში იყოს უზუსტობები, მაგრამ ჩემი სურვილია მცირედი წვლილი შევიტანო სოფლის ისტორიის ძიებასა და ზოგად მიმოხილვაში, რათა გარკვეული წარმოდგენა შევუქმნა იმ ადამიანებს, ვისაც ამ სოფლის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვს.

სოფლის მდებარეობა

ხიდისთავი მდებარეობს შიდა ქართლში, გორიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით, მდინარეების: მტკვრის და ტანის შესართავთან. სამხრეთით ესაზღვრება სოფელი ატენი, აღმოსავლეთით - ზედაველას, დასავლეთით - ერეთას, ხოლო ჩრდილოეთით - კვერნაქის ქედები.

სოფლის ისტორია

სავარაუდოდ, ხიდისთავი სოფელს იმ ხიდის გამო დაერქვა, რომელიც მას გორთან აკავშირებდა. მდინარე ტანისა და მტკვრის შესართავთან დღესაც შემორჩენილია ხიდის ნახევრად დანგრეული ბურჯები, რაც იმას მოწმობს, რომ ძველად ამ ადგილას ხიდი იყო გადებული. საუბარია 5 ბურჯზე, აქედან 3 - დიდია, 2 - პატარა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილ ,,გორის ხიდში", ჩვენი აზრით, სწორედ ხიდისთავ-გორის დამაკავშირებელი ხიდი უნდა მოვიაზროთ. ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა იმ კუთხით, რომ სოფლის სახელწოდება აქედან არის წარმომდგარი. ფორმით ხიდი ოთხკუთხედის მოყვანილობისაა, სადაც გადადიოდნენ მგზავრები, ქარავნები. ხიდისთავი წარმოადგენდა საბაჟო

სადგურს, რომელიც ებარა ერისთავს, მისი ნებართვის გარეშე ხიდზე ვერ გაივლიდნენ.

წარსულში, საქართველოში ფართოდ განვითარებულ სოფლის მეურნეობაზე მატერიალური და არქეოლოგიური ნაშთების გარდა, მოგვითხრობენ, როგორც ქართული, ისე უცხოური წერილობითი წყაროები. ყველაზე ადრეული ცნობა, რომელიც ეხება ხიდების მშენებლობის ტრადიციას, დაცულია ძველ ბერძენ ისტორიკოსთა: აპიანეს (I-II სს) და დონ კასიოსის (II-III სს) ნაწარმოებებში. ხიდები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფოს ცხოვრებაში. მათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და წარმოადგენდნენ სიმაგრეებს, რომელთა გარშემო იქმნებოდა სოფლები, შემდეგ კი ქალაქები.

უძველესი ცნობა, რომელიც ხიდისთავის შესახებ ჩვენთვისაა ცნობილი, XIV საუკუნის 80-იან წლებს განეკუთვნება. ეს არის 1382 წლის 30 ივნისით დათარიღებული დავით მეფის სიგელი ოქონის ეკლესიისადმი. ეს დოკუმენტი ინახება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

არსებობს რამდენიმე ვერსია თუ რატომ ეწოდა სოფელს ხიდისთავი. გავრცელებული თქმულების თანახმად, 1609 წელს ყირიმის მფლობელი თათარხანი 30 000 მეომრის თანხლებით ბაღდათის ომიდან ყირიმში ბრუნდებოდა. გზის შესამოკლებლად მან აირჩია მოკლე გზა საქართველოზე გავლით. XVII საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწე და პოეტი იოსებ სააკაძე (თბილელი) თავის პოემაში ,,დიდმოურავიანი“, გადმოგვცემს: ,,მტერს უცხო ქვეყანაში გზა აერია, ის მანგლისის მიდამოებში აღმოჩნდა. აქ სოფ. კველთაში შეხვდა მღვდელ თევდორეს, რომელმაც მტერს გზა აუბნია, რასაც შეეწირა კიდეც. დიდი ხეტიალის შემდეგ მტერმა მიაღწია მტკვრის ხეობას. როდესაც ის მარჯვენა ნაპირზე დოესის მხრიდან მოდიოდა, შეეჯახა გორელ სომეხ მღვდელს (ტერტერას), ის მაშინვე უკან გაიქცა და „გორთან გადებული ხიდის ფიცრები მან გადაყარა წყალზედ“, გორი კი აკლებას გადაურჩა. სწორედ ამ შემოსევის დროს ტერტერას მიერ გაფრთხილებული გორელები იძახდნენ: – „ხიდის თავთან მტერიაო“ და თითქოს სოფელსაც აქედან ეწოდა ხიდისთავი. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ზეპირი გადმოცემაა, მასში სიმართლის მარცვალი უნდა იყოს.

გორის ხიდით და მდ. ტანის ხეობით გორი თრიალეთსა და ჯავახეთს უკავშირდებოდა, ამ გზამ გარკვეული როლი ითამაშა ქალაქის გამოცოცხლებასა და განვითარებაში. თუმცა, ამავე ტერიტორიაზე ცნობილია ტრაგიკული მოვლენებიც, რომლებიც ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობილია როგორც ,,ზედაველას ბრძოლები”.

ხიდისთავისათვის განსაკუთრებით სისხლისმღვრელი აღმოჩნდა 1724 წლის ბრძოლა. იგი კახეთის მეფე კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანსა და ქართლის მეფე იესე-მუსტაფას შორის შედგა და ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. ეს ომი ქართლში „ოსმალობის“ დაწყებას უკავშირდება.

რუსეთთან კავშირის გამო, ირანის შაჰისაგან შევიწროვებული ვახტანგ VI 1724 წლის 15 ივნისს რუსეთში გაემგზავრა დიდი ამალით. მანამდე კახეთის მეფე კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანმა 17 000 დაქირავებული ლეკით 1723 წლის 4 მაისს თბილისი აიღო და გაძარცვა. ამით ისარგებლეს ოსმალებმა და ქალაქი უბრძოლველად დაიკავეს. 1723 წლის 10 ივლისს თურქეთის სულთანს აჰმედ III-ს მიართვეს თბილისისა და გორის ციხეების კლიტენი. დაიწყო ე.წ. ,,ოსმალობა“. ოსმალებმა ქართლის სათავეში ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა, იესე დანიშნეს. ამ ფაქტით განაწყენებული კონსტანტინე ოსმალებს განუდგა, კვლავ ქრისტიანად მოინათლა და იესეს წინააღმდეგ წამოვიდა. იესემ და ოსმალებმა თავი გორის ციხეს შეაფარეს. კონსტანტინე ჯერ ხელთუბანში დაბანაკდა, აქ მან ჯარი ორ ნაწილად გაყო. ნაწილმა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სცადა გორზე შეტევა, ხოლო მეორე ნაწილმა - სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, სახელდობრ, ზედაველას მხრიდან. ისინი ქალაქს დაეუფლნენ, მაგრამ ციხე ვერ აიღეს. ზედაველაზე დაბანაკებულ ჯარში განხეთქილებამ იჩინა თავი, ოთარ არაგვის ერისთავმა თუშ-ფშავ-ხევსურთა ჯარით, გაურკვეველი მიზეზით, ატენის ხეობაში დაიხია და სოფლის ბოლოს საარწივეს ქედთან გაუმართა ბრძოლა ოსმალებს. თავდაპირველად, ქართველებმა იმარჯვეს. მტერი აირია და გაიქცა, მაგრამ იესემ გუფთასთან დამარცხებული გაქცეული თურქების უკან მობრუნება მოახერხა, მან ოსმალებისგან დამატებითი ძალაც მიიღო, ამას ოთარ არაგვის ერისთავის ღალატიც დაერთო. კონსტანტინეს ჯარი აირია და გაიქცა. გორის ციხეში მყოფმა იესემ და ოსმალებმა როგორც კი გაქცეული ქართველთა ჯარი დაინახეს, ციხის კარები გააღეს და ცხენოსანი ჯარი გამოუსიეს. ქართველები ალყაში მოექცნენ, დატრიალდა საშინელი ტრაგედია. თურქი ისტორიკოსი ქუჩუკი ზადე ბრძოლის დასკვნით ნაწილს შემდეგნაირად გადმოგცემს: „მთებში მხედრები დაბინავდნენ და მთის ძირს ფერდობზე კი ქვეითები, გასასვლელებში, როგორც წინ, ასევე უკან, მეთოფეები ჩააყენეს მოედნის შუა გულში დარჩენილ ქართველთაგან ვის ხმლით ჩაუნგრიეს მკერდი, ვინ მტკვარში ჩაყარეს და მტკვარმა დაახრჩო“. გივი ამილახვარმა, რომელიც კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, როგორც სჩანს, ალყა გაარღვია და გაიქცა. მას კონსტანტინეც მიჰყვა. უმეთაუროდ დარჩენილ ქართველთა უმრავლესობა ოსმალებმა ამოწყვიტეს. მათ დაღუპული ქართველების მოჭრილი თავები გორის მოედანზე დაყარეს, მოსახლეობის თანდასწრებით ურმებზე დატვირთეს და თბილისში მჯდომ ფაშას, საჩუქრის იმედად წაუღეს.

არანაკლებ დააზიანა ხიდისთავი ,,ლეკიანობამ“. პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1754 წლის 13 ივნისს – 1000-მდე ლეკი სოფელს დაეცა და აიკლო, ხოლო ციხეში გამაგრებული 10 კაცი გამოწვეს.

დაღესტნელთა მტაცებლური თავდასხმები რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არ შეწყვეტილა. მაგალითად, 1803 წელს ლეკები კვლავ დასცემიან ხიდისთავს და მტკვრის მარჯვენა ნაპირის სოფლებს.

როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ „ლეკიანობის“ წინააღმდეგ სერიოზული თავდაცვითი ღონისძიებები გაატარა. ერთ-ერთი ასეთი იყო ,,სამდევროების“ ჩამოყალიბება. 1784 წლის 16 ივნისს, ერეკლე II-ის მიერ თეიმურაზ ჯავახიშვილის და ნინია გლურჯიძისადმი გაცემული საბუთიდან ვიგებთ, რომ ხიდისთავიდან მოყოლებული თეძამს გაღმა სოფლების სამდევროს უფროსობა ნინია გლურჯიძეს ევალებოდა. მათივე ფუნქციას შეადგენდა ამავე ტერიტორიაზე „ლეკის ჩამოსასვლელ გზებზე“ ყარაულების დაყენება. ხიდისთავის საყარაულოების დაცვა გორელებისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, 1799 წლის 11 ივნისს გიორგი XII-მ ოთარ ამილახვარს უბრძანა გორელები ხიდისთავის საყარაულოში გადაეყვანა.

იმდროინდელი მოსახლეობისათვის არანაკლებ პრობლემას წარმოადგენდა ხშირად გავრცელებული ეპიდემიები. ამ უკანასკნელისა თუ ,,ლეკიანობის“ მიზეზით ხიდისთავში მოსახლეობა მკვეთრად შემცირებულა და მისი ხელახალი დასახლება XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის მომხდარა. ამ ფაქტს გვაუწყებს ქაიხოსრო სააკაძის მიერ ერეკლესადმი გაგზავნილი არზა: – ,,ქ. ღთმან ყოველად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მიწას სააკაძეს ქაიხოსროს, ამას მოგახსენებ: დღეს თქვენი წყალობა დაგვემართა, ხიდის-თავს შენდება. თქვენი სწყალობის მოიმედენი ვართ, რომ დავსდგეთ. აქამდის ამას ვნაღვლობდით, სადაც ჩემი ყმა იყოს ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, ამიყაროს და მომეცეს, რომ ხიდის-თავს დავდგე და დავასახლო“.

მეფის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი კარგად ჩანს მის გადაწყვეტილებაში: ,,ჩვენი ბრძანება არის იასაულო ლაზარე: _ ესე კაცი აუყარე და მოაბარე, ხიდის-თავს უნდა დაასახლოს, თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე მოგახსენონ, თუ არა თავისი ყმა ყველამ მოსცენო, მაგრამ ეს კი არ იქნება, მივიდეს, გაძარცოს, გამოართვას რამე და ის გლეხები ისე გაუშვას. იცოდე იასაულო, შენცა და ქაიხოსრო სააკაძესაც დიდად ავად მოგეპყრობით, თუ ამ ოქმს იმაზედ აიღებ, რომ გამოართო რაიმე და გაუშო.“ 1774 წლის 23 იანვარს გაცემული სხვა საბუთით ტყვეობიდან გამოხსნილი კარალეთელი გლეხები ასევე ხიდისთავში დაუსახლებია.

XIX საუკუნეში ხიდისთავი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გორის მაზრაში ერთ-ერთი წამყვანი სოფელი გახდა. როდესაც ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მაზრების მიხედვით დაყოფა მოხდა, გორის მაზრაში სულ 5 უბანი შეიქმნა, რომელთაგან ერთ-ერთის ცენტრი ხიდისთავი იყო. 1857 წელს ხდება გორის მაზრის რეორგანიზაცია და უბნების საზღვრების ხელახალი დადგენა, 5-ის ნაცვლად შეიქმნა 3 უბანი: გორის, სურამის და ხიდისთავის.

ხიდისთავში გავრცელებული ტოპონიმები

ხიდისთავში არაერთი საინტერესო ტოპონიმია. სოფელი დაყოფილია უბნებად: ოხერა, ჩინეთი, ქვაშავი... ყველა უბანს აქვს მასთან დაკავშირებული ამბავი, თუ რატომ დაერქვა ესა თუ ის სახელი.

„ოხერა“ - დაერქვა, იმის გამო, რომ ზედაველაზე მოიპოვებოდა ყვითელი მიწა „ოხრა“. არსებობს მეორე ვერსიაც, მის თანახმად ბატონს ჩაუვლია და გადასახადი არავინ გადაიხადა, ამის გამო ბატონს უთქვამს: – „ეს რა ოხერი ხალხი ყოფილაო“. მესამე ვერსიით მტერი ამ მიდამოში ხშირად შემოდიოდა და აოხრებდა, ამის გამო „ოხერა“ ეწოდა.

„***ქვაშავი“-*** მდებარეობს მდ. მტკვარსა და მდ. ტანის შესართავთან. გადმოცემის თანახმად, როდესაც გლეხები მიწას ამუშავებდნენ შავი ქვა ამოდიოდა მიწიდან და ამის გამო ეწოდა „ქვაშავი“.

„ჩინეთი“ უბანს ეწოდა იმის გამო, რომ სოფლის ცენტრიდან მოშორებით იყო და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობდა.

ერეთას მთა მდებარეობს ხიდისთავის დასავლეთით, ერეთა ნიშნავს დაუსახლებელ, მიუვალ ადგილს.

აზნეთი _ დასახლებაა ხიდისთავის ტერიტორიაზე, წინათ აქ შემოდიოდა აზერბაიჯანის ნავთობი და სახელწოდება, „აზნეთი“ აქედან მიიღო. 1955 წელს გაიხსნა პროფესიული სასწავლებელი, რომელიც ახლაც ფუნქციონირებს.

სოფლის მოსახლეობა

ხიდისთავში 1250 კომლი მოსახლეა. გავრცელებული გვარებია: ტლაშაძე, ნონიკაშვილი, ლუკაშვილი, კარიჭაშვილი, კოვზიაშვილი, ლაშქარაშვილი, ალიმბარაშვილი და ა.შ.

ხიდისთავი დაყოფილია უბნებად, სწორედ ერთ-ერთ უბანს, ,,ოხერას" უკავშირდება ტლაშაძეების გვარი. ლეკიანობის დროს სოფ. ატენიდან ეს გვარი გადმოსახლდა ხიდისთავში, ძირითადად ოხერაში. ტლაშაძეების გვარს ბატონი არ ჰყოლია, ციციშვილები ცდილობდნენ, ისინი ყმებად ექციათ, მაგრამ მათ მეფესთან უჩივლიათ, მეფეს კი მოუწერია: ,,ტლაშაანთ კარზე მზისა და წვიმის გარდა არაფერმა გაიაროს, თორემ რისხვა არ ასცდება ხელმწიფისგანო".

ტლაშაძეების გვარის წარმომადგენელი იყო მღვდელი იესე ტლაშაძე, რომელსაც დაუწერია პოემა „ბაქარიანი", სადაც აღწერა ქართლ-კახეთის მდგომარეობა XVIII საუკუნის დასაწყისში. აღნიშნული პოემა 1859 წელს „კათალიკოზ ბაქარიანი"-ს, სახელწოდებით გამოიცა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

ამ გვარის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელია სასულიერო პირი დეკანოზი ლევან ალექსის ძე ტლაშაძე, რომელიც მსახურობდა XIX საუკუნის დასაწყისში.

კიდევ ერთი გავრცელებულია გვარია კოვზიაშვილი. ეს გვარი წამოსულა სოფელ დოესიდან. მათი ნამდვილია გვარია მინაძე, გადმოცემით ისინი ბატონს გამოჰპარვიან, მაგრამ დაასმინეს, ბატონმა თვალთვალი დაუწყო. მათ ეშმაკობა იხმარეს, მეორე დღეს უნდა ემუშავათ, ხორბალი დაეთესათ, მაგრამ წინა დღეს თადარიგი დაიჭირეს და ტომრები ქვიშით დაავსეს, ვითომ ხორბალი იყო, მინდორში გაზიდეს, და დაალაგეს დღისით, ღამით კი გამოიპარნენ ხიდისთავში, მიიღეს ახალი გვარი და დღესაც აქ ცხოვრობენ.

სოფელში ასევე ცხოვრობენ სამადაშვილები, რომელთა წინაპარი გადმოსახლდა გომარეთიდან. მათი წინაპარი ვაჭრობდა ზეთით, ამ დროს მას შეუყვარდა და შეირთო კარიჭაშვილის ქალი, ხიდისთავში იყიდა მიწები და დასახლდა, დღესაც არსებობს ამ ნასყიდობის ამსახველი დოკუმენტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ვერსიით ამ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმების დროს მოხდა შეცდომა, რუსი ნოტარიუსის გადამწერის მიერ და გვარი შეცდომით სამადალაშვილად იქნა ჩაწერილი.

ლიტერატურა:

1. ე. მამისთვალაშვილი, გორის ისტორია, ტ. I, თბ., 1994;
2. ი. ალიმბარაშვილი, ზედაველას ომები, ჟურნ. ,,განთიადი", ქუთაისი, N 5-6, 2008;
3. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ., 1981;
4. ი. ალიმბარაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 2008;
5. ქართულის სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ., ტ. II, თბ., 1965;
6. ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ III, ტფ., 1910;
7. ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში, თბ., 1957;
8. ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957.

სოფელ ნიქოზის ისტორიიდან

ნინო კორაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიორგი სოსიაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ნიქოზი უძველესი ქართული სოფელია, რომელიც შიდა ქართლში მდ. ლიახვის აუზში მდებარეობს. იგი გორიდან 25 კმ-ით, ხოლო ცხინვალიდან 500 მ-ით არის დაშორებული. სწორედ ამიტომ, სოფელი წითელ ზონადაა მიჩნეული. სოფლის წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ერთ-ერთი ვერსიით, სოფელს სახელი კვიპროსის დედაქალაქ ,,ნიქოზიის" გავლენით ან წაბაძვით დარქმევია: ,,არიან სახელი ადგილთაგანი, საბერძნეთიდან შემოღებული საქართველოს შინა, ვითა ნიქოზი". სოფელი იყოფა ორ ნაწილად: ქვემო და ზემო ნიქოზად. მიუხედავად სიძველისა, მას მეფე ან თავადი არასოდეს ჰყოლია.

ზემო ნიქოზის ძირძველი მოსახლეები არიან: ლომსაძეები, გვარაძეები, მჭედლიძეები, მეტრევლები, მაზანაშვილები. თუმცა არსებობენ სხვა გვარებიც, რომლებიც დღეისათვის გადაშენებულია და სოფელში მხოლოდ მათი ნამოსახლარებია შემორჩენილი. ქვემო ნიქოზში კი სახლობენ: ფავლენიშვილები,

ტატიშვილები, საძაგლიშვილები და შერვაშიძეები.

იყო დრო, როცა სოფლის მოსახლეობა ძირითადად ცხინვალით სარგებლობდა. იქ ასაღებდნენ ნიქოზელები მოწეულ ჭირნახულს, სამაგიეროდ, ცხინვალიდან მოჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი და სამრეწველო პროდუქტი.

ცხინვალი ნიქოზისათვის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. აქ არის V საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ღვთაების ტაძარი. ვახუშტი, მატიანეზე დაყრდნობით, წერს: ,,ლიახვს გაღმა არს ნიქოზს ეკლესია ღვთაებისა დიდი, გუმბათიანი; აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოსოდ და დასვა ეპისკოპოსი“.

ღვთაების ტაძარს შემოსაზღვრული აქვს ქვის გალავანი. ეზოში შესვლა დასავლეთის მხრიდან, სამრეკლოს ქვეშ გავლითაა შესაძლებელი. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში საეპისკოპოსოა. მას ზოგჯერ ოთხსართულიან კოშკსაც უწოდებენ. შენობას ქვეშ გასასვლელი გვირაბი ჰქონდა, რომელიც მტრისგან სამალავს წარმოადგენდა. აღნიშნული ძეგლი, საეპისკოპოსო, სამრეკლო და ტაძრის ეზოს გალავანი ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საყურადღებო და ჯერ კიდევ სათანადოდ შეუსწავლელი კომპლექსია. ტაძარი დიდი, მძიმეგუმბათიანი შენობაა. რაც შეეხება სამრეკლოს, ის მომაღლო სახურავში მრავალწახნაგოვანი კონუსისებრი ნაგებობაა, თაღისებრ ქვეგასავლელსა და სახურავს შორის ოთახით.

გადმოცემა გვეუბნება, რომ ზემო ნიქოზის ღვთაებაში მეფე ერეკლე II მოვიდა თავისი ამალით, ტაძარში მოთავსებულ წმ. რაჟდენის ხატს სანთელი დაუნთო და მუხლებზე დაეშვა.

სოფლის სამხრეთ ნაწილში, ღვთაების ტაძრიდან 100-150 მეტრში აღმართულია უნიკალური კულტურული ძეგლი, მთავარანგელოზის ტაძარი. საყდარი ჯვრის ფორმისაა. შენობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის პირვანდელი ფორმითაა შემორჩენილი. ეკლესია მცირე ზომის შენობაა, მაგრამ გეგმითა და შექმნილი სივრცით გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების რამდენიმე თემის რთულ კომბინაციას იძლევა. მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ძეგლის აგების თარიღი X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედია.

8 ნოემბერს ნიქოზელები მთავარანგელოზობას ზეიმობენ. სოფლის რელიგიური დღესასწაულია ამაღლება. 16 აგვისტოს ნიქოზის მოსახლეობა აღნიშნავს წმ. რაჟდენის ხსენების დღეს. ზემო და ქვემო ნიქოზის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე სალოცავი. ესენია: მოციჯვარი-რომელიც წარმოადგენს მჭედლიძეებისა და გვარაძეების საგვარეულო სალოცავს; შემდეგ გახლავთ ნაცარგორა და ყვავის საყდარა. არის ვერსია, რომ ნაცარგორას მიმდებარე ტერიტორიაზე ეძებდნენ თამარ მეფის საფლავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიქოზი მიქოზადაც იხსენიება 1791 წლის სიგელში. აქ ეპისკოპოსი ათანასე მიქოზელს უწოდებს თავს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ნიქოზში განვითარებულია: მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა. მოსახლეობას მოჰყავს თითქმის ყველანაირი მარცვლეული. კარგად ხარობს ყურძნის ჯიშები - ჩინური და გორული მწვანე. 1930-1945 წლებში გაიყვანეს სალთვისის არხი, რითაც მარაგდება მიმდებარე ტერიტორიები. აქ მრავალადაა ხოდაბუნები-ანუ ყველაზე ნაყოფიერი მიწები. მოსახლეობა არ ღალატობს ისეთ ტრადიციებს, როგორიცაა: ,,თაგო-თაგოობა“, ,,ჩიტი-ფაფობა“, ,,ქათმის ხუთშაბათი“, ,,ელიაობის დღესასწაული“, ,,გზაჯვარედინობა“.

ნიქოზთანაა დაკავშირებული საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის, კირიონ II საძაგლიშვილის ბავშვობისა და ყრმობის წლები. მღვდელმოწამე კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი), დაიბადა 1855 წელს, სასულიერო პირის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგი საძაგლიშვილმა სწავლა გააგრძელა გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1880 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია და დაინიშნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ.

1883-1897 წლებში წმიდა კირიონი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გორში, თელავში, ქუთაისში, თბილისში; ამავე დროს ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ივერიელის, საძაგელოვის, ლიახველის, ბერის ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ეკლესიის ისტორიაზე, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე, ქართულ ლიტერატურაზე. 1897 წელს იგი მონაზვნად აღიკვეცა კირიონის სახელით და ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. ამ პერიოდში, ღვთისმსახურების პარალელურად, კირიონი მეცნიერულ მოღვაწეობასაც აგრძელებს: კრებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, სწავლობს ხალხის ზნე-ჩვეულებებს, მუშაობს ეკლესია-მონასტრების სიძველეების შესწავლაზე.

1898 წლის აგვისტოში არქიმანდრიტი კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, რასაც ქართული საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. წმიდა კირიონმა საკუთარი საფასით დაიწყო განადგურების პირას მისული ალავერდის ტაძრის შეკეთება. მან საქართველოს საეკლესიო მუზეუმს სხვა

ხელნაწერებთან ერთად გადასცა ბაგრატ IV-ის დროინდელი, 1089 წელს გადაწერილი სახარება, რომლის შესახებაც ქართულმა მეცნიერებამ მანამდე არაფერი იცოდა.

1901 წლიდან კირიონი გორის ეპისკოპოსია. ამ დროისათვის საქართველოს საეგზარქოსომ შენიშნა, რომ წმიდა მღვდელმთავრის ირგვლივ თავს იყრიდა განათლებული სამღვდელოება, რომელიც აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების გამო. მთავრობა ეპისკოპოსს ხშირად უცვლიდა ეპარქიებს: 1903 წელს იგი გაამწესეს ხერსონში, 1904 წელს - ორიოლში, 1906 წელს - სოხუმში. სოხუმში წმიდა კირიონმა ბევრი იღვაწა საქართველოს ეკლესია-მონასტრების აღდგენისათვის. მალე იგი კოვნოს ეპარქიაში გადაიყვანეს. წმიდანი უდიდესი ქველმოქმედი იყო. მისი მატერიალური დახმარებით რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სამასამდე ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება.

1917 წელს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით 1917 წლის ზაფხულში ეპისკოპოსი კირიონი სამშობლოსკენ გამოემგზავრა. არაგვის ხეობაში მას შეეგება ასოცამდე ცხენოსანი, რომელთაც დიდი პატივით მიაცილეს დედაქალაქამდე. თბილისშიც ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყვეს მომავალ პატრიარქს.

1917 წლის სექტემბერში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც საზეიმოდ ეკურთხა იმავე წლის 1 ოქტომბერს.

სვეტიცხოველში აღსაყდრების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ბრძანა: „სამშობლო საყვარელო, ღვთისმშობლის წილხვედრო, ბრძმედსა შინა ტანჯვა-ვაებასა განწმედილო! შენთვის დაწული, შენგან განშორებული, შენთვის მტირალი, მუდამ შენკენ ლტოლვილი, დღეს განვისვენებ ტკბილსა შინა წიაღსა შენსა არა ვითარცა შვილი უძღები, არამედ ვითარცა მესაიდუმლე და სინდისი ეკლესიისა შენისა... ვიცი, შენი გულისყური ამჟამად ჩემკენაა მოქცეული და მეკითხები: რა მომიტანე, რა მალამოსა მცხებ იარებსა ჩემსა, რით მანუგეშებ სევდა მოსილსა? ყური მომაპყარ: „არა მოველ, რათა გიმსახურო, არამედ მსახურებად შენდა და მიცემად სული სახსრად შენდა“ (მათე. 20,28). მოვედი არა ვითარცა მნე სასყიდით დადგინებული, არამედ ვითარცა მნე ერთგული და მარად მორჩილი“.

საქართველოში სარწმუნოებრივი და ეროვნული პრინციპების დამკვიდრებისა და აღორძინებისათვის დაუცხრომლად მებრძოლი წმიდა პატრიარქის მოღვაწეობა ზღუდავდა ეკლესიის და ქვეყნის წინააღმდეგ შეკრებილი ბოროტი ძალების მოქმედებას, რომელთა გამოსვლები თანდათან უფრო და უფრო საშიშ და ცინიკურ სახეს იღებდა. ამ დროს მრავალი საეკლესიო და საერო მოღვაწე შეეწირა. ბოროტების უპირველესი სამიზნე ის წმიდა ადამიანები იყვნენ, რომელთა ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო ხალხში. საქართველოს წმიდა ეკლესიის სამოციქულო ტახტზე მჯდომი საჭეთმპყრობელის, წმიდა კირიონის სარწმუნოებრივ-ეროვნული მოღვაწეობა მოსვენებას არ აძლევდა ეკლესიისა და ქვეყნის მტრებს, დაიწყო დაუსრულებელი ცილისწამებები, პროვოკაციები, შანტაჟები, მუქარები და...

1918 წლის 26 ივნისს წმიდა კირიონ კათალიკოსი მოკლული იპოვეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში. ეს მკვლელობა დღესაც ბურუსითაა მოცული.

წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე მოწამეობრივად აღსრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II წმიდანთა დასში შეირაცხა.

ლიტერატურა:

1. იოსებ მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1986;
2. ჟურნალი ,,კარიბჭე“, 16. 10. N 21, 2008;
3. www.orthodoxy.ge

მოდის ტენდენციები

ნინო ყაზარაშვილი, მზია ფოცხვერაშვილი, ნინო ხეტაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტანსაცმელი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისტორიის მანძილზე თითოეული ქვეყანა და ერი, განვითარების სხვადასხვა პერიოდში, სამოსზე განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენდა. დროსთან ერთად იცვლებოდა შეხედულებები, გემოვნება, ჩაცმის სტილი. მოდის ისტორია ისეთივე ძველია როგორც ჩაცმულობის. ტანსაცმელი ბუნებისგან თავდასაცავად ჯერ კიდევ, პირველყოფილმა ადამიანმა გამოიგონა. დროთა განმავლობაში კი კაცობრიობამ სამოსის ესთეტიურ ფორმებზე ზრუნვაც დაიწყო. მოდა, ყველა შემადგენელი ნაწილით, იქნება ეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ აქსესუარი თვითგამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ის ვიზუალზე ასახული, შინაგანი მე-ს ერთგვარი გამოვლინებაა.

მოდა (ფრანგ. mode, ლათ. modus — ზომა, სახე, საშუალება, წესი) — ტერმინი, რომელიც გამომსახველობის (ექსპრესიის) გაბატონებულ მიმდინარეობას მიუთითებს, თუმცა ხშირად ასევე ასახავს გამოსახვის კერძო მანერას, სტილს, რომელიც ყველასთვის დამახასიათებელი არ არის. მასში ასევე ჩაქსოვილია იდეა, რომ მოდა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე კულტურა ზოგადად. ტერმინები "მოდური" ან "მოდიდან გასული" გამოიყენება ვინმეზე ან რაიმეზე, რომელიც ექსპრესიის თანამედროვე პოპულარული მოდის ფარგლებში ჯდება. ტერმინს ხშირად დადებითი მნიშვნელობა ენიჭება და სტილისა და მომხიბვლელობის სინონიმია. თუმცა ხანდახან მოდას ნეგატიური მნიშვნელობაც აქვს, როგორც ყოფიერების და მატერიალიზმის სინონიმს.

მოდის წარმოშობის ისტორიაზე ბევრს დაობენ და ბევრი კითხვაც ჩნდება.

სად იყო და სად არის მოდის ცენტრი?

– ალბათ, პარიზში – გვიპასუხებთ. თუმცა მოდა სენის ნაპირზე ნამდვილად არ დაბადებულა. იქ მოხვედრამდე მან იტალია, ესპანეთი, მოგვიანებით კი ინგლისი გადასერა. რენესანსის მოდა პირველ რიგში იტალიაში ჩაისახა – აღორძინების ეპოქის აკვანში. განახლებისა და აღორძინების ყველაზე ძლიერი რწმენა ამ დაუვიწყარი პერიოდისა, სავარაუდოა, რომ ფლორენციაში არსებობდა, რომელიც იყო არა მარტო კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი იტალიაში, არამედ განთქმული იყო ეკონომიური გაფურჩქვნით, რაც დაკავშირებული იყო ქსოვილებისა და მოდური ნაწარმის წარმოებასთან. XIII საუკუნიდან მოყოლებული, იტალიაში, უკვე ძვირფას აბრეშუმის ნაჭერს ამზადებდნენ, მილანში კი ხავერდის წარმოება ვითარდებოდა. მოდის ცენტრად, როგორც წესი, იმ ქალაქსა თუ ქვეყანას თვლიდნენ, სადაც ძვირფასი ქსოვილი იწარმოებოდა. ბურგუნდიაც, განსაკუთრებული ქსოვილის წარმოების მეოხებით, ათასწლეულების განმავლობაში, იძლეოდა ტონს ევროპულ მოდაში. თუმცა მალე ეს ეპოქაც დასრულდა და ბურგუნდია ესპანეთმა ჩაანაცვლა. მოდის წინააღმდეგ განწყობილი ესპანეთის კონსერვატული წრეები კი ცვლილებებს მოდაში გასაქანს არ აძლევდნენ და მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდათ სიახლისადმი. 1600 წლის შემდეგ, ესპანეთის პოლიტიკური ჰეგემონია შეირყა. სიმძიმის ცენტრმა საფრანგეთში გადაინაცვლა და მოდაშიც, სიცოცხლით სავსე პარიზი გამეფდა. მაღალი მოდის ნამდვილი მამა, ინგლისელი ჩარლზ ფრედერიკ ვორტი იყო, რომელმაც 20 წლის ასაკში გადაწყვიტა დაეპყრო ქალბატონების გულები. 1858 წელს გახსნა საკუთარი სახელოსნო. ბიზნესში ცოლი ეხმარებოდა. ის მოდის სამყაროში პირველ მოდელად იქცა. არასტანდარტული მოდელებითა და ტანსაცმლის სტილით ვორტმა მალე გაითქვა სახელი. ის საფრანგეთის საიმპერატორო კარის მთავარ დიზაინერად იქცა. იმპერატრიცა, ნაპოლეონ მესამის მეუღლე, მხოლოდ მის შეკერილ ტანსაცმლებს იცვამდა. მალე მოდის მიმდევარი ყველა ფრანგი ქალი ოცნებობდა ვორტთან ჩაეცვა. ვორტი პირველი იყო, ვინც კოლექციების შექმნა დაიწყო. თანაც პირველმა დაყო ის სეზონების მიხედვით. 1868 წელს ვორტმა დააარსა პირველი სინდიკატი „მაღალი მოდის სახლების პალატა“, რომელიც დღემდე არსებობს. XIII საუკუნიდან მოყოლებული, პარიზისთვის მოდის სფეროში ახალი კონკურენტი – ლონდონი, გაჩნდა. ინგლისური მოდის ტენდენციები მთელ ევროპასაც მოედო. თუმცა, პარიზი მაინც მოდის ცენტრია. XX საუკუნის ორი ყველაზე ცნობილი მოდელიორი - მადამ სკაპარელი და ნინა რიჩი, იყვნენ იტალიელები, მაგრამ იტალიელები პარიზში. XIX საუკუნის ორი წარმატებული ინგლისელი მოდელიერი ვორტ და რედფერიც, იყვნენ ინგლისელები პარიზში. პარიზის გეოგრაფიული მდებარეობა, ტექსტილის წარმოების განვითარებული ტექნიკა და გამოცდილი მკერავების პროფესიონალიზმი, მოდის ცენტრის სიძლიერეს

და წარმატების საიდუმლოს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, ის ფაქტიც, რომ ქვეყნებს შორის ხანმოკლე ბრძოლაც გაიმართა. ფრანგების წარმატება მოსვენებას არ აძლევდა ინგლისელებს. პარიზის მოდის სახლის რაოდენობა 47 იყო ხოლო ლონდონში მხოლოდ 12-ს შეადგენდა. ბრიტანელები იძულებულნი გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. ასე იქცა თავისუფალი და მსუბუქი პარიზი მსოფლიო მოდის ცენტრად, ცენტრად, სადაც დღემდე არა ერთი სიახლე თუ ექსცენტრიული იდეა იბადება. ამ იდეებს კი მსოფლიო იტაცებს. მოდის ტენდენციები ხშირად ერთმანეთის მიბაძვის სურვილიდან ყალიბდება. ფსიქოლოგები მიბაძვას ბიოლოგიური თვითდაცვის ინსტიქტად და ჯოგებად მცხოვრები ცხოველების ბუნებრივ რეფლექსად მიიჩნევენ. ამ გარემოებას ადამიანის საზოგადოებასთანაც თუ შევადარებთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ მიბაძვა მოდის სამყაროში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს არის ის, რასაც მოდის განვითარების პროცესს უწოდებენ.

რა არის დღეს-დღეობით მოდაში? ადამიანები, რომლებსაც ინდივიდუალიზმი ახასიათებთ, ყოველთვის ცდილობენ ჯერ საკუთარი სტილი შექმნან და შემდეგ შეინარჩუნონ. მსოფლიო ტენდენციაც ამას გვკარნახობს – ვიყოთ ინდივიდუალურები ჩაცმულობაში, ვიყოთ სტილურები, ყოველივე ეს, კი ტანსაცმლის სწორი შეხამებითა და აქსესუარების არჩევანში გამოიხატება. მოდურად რომ გამოვიყურებოდეთ, ყოველ სეზონზე მთელი გარდერობის შეცვლა არ არის საჭირო. საკმარისია რამდენიმე ახალი ნივთის შეძენა. გარდა ამისა, ცოტაოდენი ფანტაზია და ძველმანიც კი შეიძლება ახლებურად წარმოვაჩინოთ. მოდა ადამიანს თავს არ ახვევს განსაზღვრულ იმიჯს, პირიქით, გვეხმარება ვიპოვოთ საკუთარი სტილი და ტანსაცმლის საშუალებით თავი უკეთ წარმოვაჩინოთ. არადა ხომ ყველას გვაქვს საკუთარი ხედვა და უნდა გვახსოვდეს, რომ განუმეორებელი სტილის შერჩევა მოდური ტენდენციებისა და საკუთარი გემოვნების გათვალისწინებით ხდება. მთავარია არ მოვექცეთ ჩარჩოებში, გასაქანი მივცეთ საკუთარ ფატნაზიას, ეს კი საშუალებას მოგვცემს მასისგან გამორჩეულად და განსხვავებულად გამოვიყურებოდეთ. მოდა თამაშივითაა, ამ თამაშს კი იგებს ის, ვისაც საკუთარი სტილი აქვს. „მოდა ხუნდება, რჩება მხოლოდ სტილი“ – ეს ისტორიული ფრაზა კოკო შანელს ეკუთვნის.

მოდის სამყაროში ფერების ფსიქოლოგია ძალიან ხშირად გამოიყენება და ძირითადად ამას ვხედავთ ამა თუ იმ დიზაინერის მიერ შეკერილ კოლექციებში. მართალია, დღეს ყველა ისე იცვამს როგორც მოესურვება, თუმცა მაინც არსებობს ფერთა კომბინაციის უკვდავი წესები. საერთოდ ცნობილია, რომ, რაც უფრო ღია, გამომწვევი ფერის ტანისამოსი გაცვია ადამიანს, მით უფრო დაბალია შენი სოციალური მაჩვენებელი, მეორე მხრივ, შენს ტანსაცმელში, რაც უფრო მეტი ნაცრისფერი ან შავი ფერი დომინირებს, მით უფრო მაღალ სოციალურ ფენას განეკუთვნები. ასეთი ხალხი ძირითადად არიან ბიზნესმენები, ინტელიგენტები და ა.შ., რომლებსაც უმეტესად აცვიათ კოსტუმი და უკეთიათ ჰალსტუხი.

ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვით მსოფლიოს წამყვან დიზაინერებსაც შევეხოთ, რომელთა მეშვეობითაც ვითარდებოდა მოდის ტენდენციები.

გაბრიელ ბონოღ „კოკო“ შანელი (Gabrielle Bonheur “Coco” Chanel) დაიბადა 1883 წ. 19 აგვისტოს სომიურში, სამხრეთ საფრანგეთში. შანელმა პირველი მაღაზია 1910 წ. გახსნა საფრანგეთში. 75 წლის წინ, შანელმა ქალის და მამაკაცის ტანსაცმლის ელემენტები გააერთიანა და შექმნა განსხვავებული სტილი ქალისთვის.1920–იან წლებში შანელის პატარა შავი კაბა იყო რევოლუციური დიზაინი. ის პოპულარული გახდა პრაქტიკული ტანსაცმლით და საფირმო კოსტიუმით. შანელი ყოველთვის ამბობდა: „მოდა არ არის უბრალოდ ტანსაცმელი. მოდა ჰაერშია, ქარს მოაქვს. მას ინტუიციით ხვდებიან. ის არის ცაში და გზაზე.“

მარი ადენალდ ნიელი, რომელიც მსოფლიომ ნინა რიჩის სახელით გაიცნო დაიბადა 1883 წელს იტალიაში. 1908 წელს ის შეუერთდა რაფინის სახლს როგორც დიზაინერი. სწორედ აქედან დაიწყო მან მოღვაწეობა მოდის სფეროში. ნინა რიჩი მალე გახდა ცნობილი თავისი დახვეწილი, რომანტიკული და ქალური სტილით, რომელიც მიანიჭა მან თავის ყველა კოლექციას.

გუჩიო გუჩი 1921 წელს დაიბადა ფლორენციაში. მან 1921 წელს დაიწყო თავისი კარიერა სახელოსნოს გახსნით. შემდეგ უკვე ეს სახელოსნო ფაბრიკად იქცა, რომელიც ქალის ხელთათმანებს, ხელჩანთებსა და ჩემოდნებს ამზადებდა. მისი ინიციატივით დაიწყო ოჯახურმა ფირმამ ჰალსტუხებისა და საათების წარმოება. სწორედ ამით გაითქვა მან სახელი. გუჩის საათები დღემდე პოპულარულია მსოფლიოში.

თუ მსოფლიოში ვულგარულობის ეტალონი არსებობს, მაშინ ეს ქალბატონი ამ ეტალონთან ყველაზე ახლოსაა. ესაა დონატელა ვერსაჩე, რომელმაც თავისი ძმის ჯანი ვერსაჩეს საქმიანობა გააგრძელა. დონატელა კალაბრიაში უბრალო მკერავის ოჯახში დაიბადა 1956 წელს. მისი კოლექციები ყოველთვის იყო საზოგადოების განხილვის საგანი. მისი ხაზი ელეგანტურობით, დახვეწილობით და ფუფუნებით გამოირჩევა.

დღესდღეობით Fashion Week–ებზე დიდი დრო, ფული და ენერგია იხარჯება. თითოეული couture ცდილობს ყოველ წელს ახალი, ორიგინალური და საინტერესო სამოსი შესთავაზოს საზოგადოებას, ამისათვის რამდენიმე თვით ადრე იწყება მზადება. დიზაინერები საუკეთესო მოდელებს არჩევენ თავიანთი სამოსის წარსადგენად. მოდის კვირეულს ესწრებიან მოდის კრიტიკოსები, ჟურნალისტები და ბაერები. სწორედ მათთვის და შემდეგ საზოგადოებისთვის იმართება Fashion Week–ები. დიზაინერები ელიან შემოთავაზებებს, რომლითაც უფრო პოპულარულები ხდებიან. მრავალი დიზაინერი იღებს მონაწილეობას მოდის კვირეულში.

2011 წლის გაზაფხული–ზაფხულის მოდის ტენდენციები შემოგვთავაზეს ცნობილმა მოდის მსოფლიო ბრენდებმა. დიზაინერებმა წარმოადგინეს სხვადასხვა სტილის ელეგანტური, ფერადი კომბინიზონები. 2011 წელს დიზაინერები განსაკუთრებით გვირჩევენ ფორთოხლისფერი, ცისფერი, ვარდისფერი, თეთრი ან ჭრელი ტანისამოსის ტარებას.

ცნობილმა მოდელიერმა დონა კარანმა სპეციალურად ახალგაზრდებისთვის შექმნა ახალი ხაზი DKNY (Donna Karan New York), რომელიც უშვებს მოდური ტანსაცმლის, აქსესუარების და პარფიუმერიის მთელ სპექტრს. DKNY გაზაფხულის კოლექციაში გოგონებისთვის - საქმიანი ნიუ-იორკის შენიღბული სექსუალურობა გამოხატულია ქვედაბოლოების ჭრილებსა და ღია ტოპებში. ძირითადი მასალაა თხელი ბამბა, შიფონი და პოპლინი. მცირეოდენი ასიმეტრია, ბევრი მზე.

Moschino–მ მხიარული გოგონებისთვის ბევრი საცდური მოამზადა. კოლექციაში მრავლად არის თეთრის, წითელის და შავის კაშკაშა კომბინაცია. კლასიკური ფერები ახალ კომბინაციაში მოულოდნელობის ეფექტს ქმნიან. გრაფიკული ხაზები და დაქარგული, დიდი გულები, მოდური კოპლები, გინტები და აპლიკაციები. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს აბრეშუმის ნაჭრის კომბინიზონებს, გამჭვირვალე საზაფხულო ნაჭრის კომბინიზონებს, სპორტული სტილის და მოკლე, შორტის ტიპის კომბინიზონებს.

ახლა მოდით ახლა მოდით ცოტაოდენი ქართულ მოდაზეც ვისაუბროთ.

საქართველოში იგი, სავარაუდოდ, მაშინ გაჩნდა, როცა მზიამ ზეზვას პირველად გამოუცხადა, მომბეზრდა ეს მგლის ბეწვი, უკვე აღარავის აცვია, წადი და სიასამური მოინადირეო. ისე, ხუმრობა იქით იყოს, და, მოდას ჩვენთან მართლაც დიდი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ევროპელი მოგზაურები საქართველოში სტუმრობისას გაოცებას ვერ მალავდნენ - პარიზული მოდა თბილისში სულ რაღაც ორი კვირის დაგვიანებით ვრცელდებაო.

XX საუკუნეში, ცოტა არ იყოს, ჩამოვრჩით მსოფლიო მოდის სამყაროს: საბჭოთა კავშირში „დასავლური ბურჟუაზიის“ ყოველგვარი გადმონაშთი სახელმწიფოს მტრად ითვლებოდა. სამაგიეროდ, არსებობდა საბჭოთა მოდა, თავისი „კარაკულის შუბებითა“ და წითელი ყელსახვევებით. პრინციპში, მოდაც ეგ იყო, თუ იყო, დიდ-პატარას ზუსტად ერთნაირად ეცვა ერთ ყაიდაზე შეკერილი „კოსტიუმ-შარვლები“. „მუშათა და ჯარისკაცთა“ ქვეყანაში ხომ ასე მნიშვნელოვანი იყო საქმიანი ქალისა და მამაკაცის იმიჯი, რაც ჩაცმულობით, ვარცხნილობითა და, ზოგადად, ცხოვრების სტილით გამოიხატებოდა. თუმცა, 70-იანი წლებიდან როცა „ბითლომანია“, ათასგვარი აკრძალვის მიუხედავად, მაინც რაღაცნაირად შემოძვრა რკინის ფარდის ქვეშ და ნელ-ნელა დამკვიდრდა საბჭოთა მიწისქვეშეთში, მოდამ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ტრანსფორმაცია განიცადა. უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდნენ გრძელთმიანი ბიჭები. ტრადიციულ ნაჭრის შარვლებს ნელ-ნელა დაუვიწროვდა ზედა ნაწილი, ხოლო ქვედა - გაეშალა, შედეგად კი შლაქსი მივიღეთ. თუმცა ეს მაინც არ იყო ის, რაზეც მაშინდელი ახალგაზრდები ოცნებობდნენ. ჯინსი, საბჭოთა თინეიჯერებისა და არა მარტო თინეიჯერების ფარული ოცნება, ჯერ კიდევ რკინის ფარდის მიღმა რჩებოდა. აქ ჯინსი მხოლოდ ერთეულებს თუ ჰქონდათ. ნელ-ნელა ავუჩქარეთ ნაბიჯს, რომ ჩვენსა და მოდას შორის გაჩენილი დისტანცია როგორმე შეგვემცირებინა. ჯინსი დღეს უკვე აღარავის უკვირს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენში მოდა ისეთი ტემპით ვითარდება, რომ ყოველგვარ საზღვარს გავცდით. საქართველოში ეს გასაკვირი არცაა: ქართველებს ხომ ყველაზე მეტად გვიყვარს (და კარგადაც გვეხერხება) სხვისი საქციელის, ჩაცმულობის ან, თუნდაც, ლაპარაკის მანერის მიბაძვა. ყოველთვის ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ მათ, ვინც გაბედავს და რამე ახალს შემოგვთავაზებს. ამიტომ ჩვენში ყველაფერი ორიგინალური რეკორდულად მოკლე ხანში ბანალური ხდება. რაც გუშინ იყო მოდაში, დღეს აღარ ახსოვთ, ისევე როგორც გუშინ არ ახსოვდათ გუშინწინდელი. ხვალ კი დღევანდელისგან სრულიად განსხვავებულ რამეს შემოგვთავაზებენ.

დღესდღეობით საქმე ისე მიდის, მგონი, მსოფლიო მოდას კი არ ვეწევით, გავასწარით. ჩვენი თანამემამულე დიზაინერები ჩვენებას ჩვენებაზე მართავენ და გული სიხარულით გვევსება, რომ მოდა ჩვენში ისევ ცოცხლობს.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მისდევენ საქართველოში მოდას. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოდას მისდევს მოსახლეობის 6.15%, არ მისდევს - 26.15%,

შეძლებისდაგვარად, ცდილობს, რომ აუწყოს ფეხი მოდის ტენდენციებს - 29.23% და ისინი, ვინც თვლიან, რომ მოდა არის ის, რაც თავად უხდებათ – 38.46%.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმეტესობა იზიარებს იმ აზრს, რასაც მსოფლიოს წამყვანი დიზაინერები. ისინიც თვლიან, რომ მთავარი ადამიანის ინდივიდუალიზმი და ფანტაზიაა. არ არის აუცილებელი გეცვას მდიდრული სამოსი, შეიძლება უბრალო სამოსითაც გეცვას გემოვნებიანად. მთავარია, გიხდებოდეს იგი. ერთადერთი, რასაც დღეს მოდა გვირჩევს, ეს არის დროსთან ფეხის აწყობა, სხვა შემთხვევაში ის წარმოუდგენლად დიდ თავისუფლებას იძლევა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სრულ თავისუფლებას ანიჭებს ყველას, მთავარი ხდება სწორი არჩევნის გაკეთება. და მაინც, როგორ უნდა მოძებნოს ადამიანმა თავისი სტილი? გახსოვდეთ, მისი ძებნა თქვენს გარშემო კი არა, თქვენში უნდა დაიწყოთ.

ლიტერატურა:

www.wikipedia.org
www.eva.ge

დემნა ბატონიშვილი

მაგდა ყაჩლავაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი**, ასოცირებული პროფესორი

XII საუკუნის 30-70-იანი წლების საქართველოში ფრიად გამწვავებული იყო შინაკლასობრივი ბრძოლა.

ბაგრატ III-დან მოყოლებული მძიმე და რთული შიდაკლასობრივი ბრძოლა ართულებდა ცენტრალური ხელისუფლების მდგომარეობას. იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ფეოდალური საზოგადოების გარეშე მყოფი ძალების არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავდა: ქართული საზოგადოება მთლიანად ფეოდალიზირებული იყო. მეფის ხელისუფლება იმ წინააღმდეგობებით სარგებლობდა, რომელიც ფეოდალური არისტოკრატიის შიგნით არსებობდა და განსაკუთრებით გაძლიერებული დიდებულების წინააღმდეგ ისევ დიდებულთა დაჯგუფებებს ეყრდნობოდა. შინაფეოდალური ბრძოლა ფეოდალური საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ის განმასხვავებელი სახითა და ინტენსივობით ვლინდებოდა.

1125 წელს გარდაიცვალა მეფე დავით IV და ტახტზე მისი შვილი დემეტრე ავიდა.

მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალები დემეტრეს გამეფებიდანვე იწყებენ მის წინააღმდეგ გამოსვლებს. ისინი იყენებდნენ იმ გარემოებას, რომ დემეტრე უპირატესობას ანიჭებდა უმცროს ძეს, გიორგის, ტახტის კანონიერი მემკვიდრესთან, დავითთან შედარებით.

დემეტრესთან უთანხმოების ერთი საკითხი ანისის პრობლემასთან იყო დაკავშირებული. როგორც ვიცით, მეფე დავითმა ანისის გამგებლად აბულეთი და მისი ვაჟი, ივანე დანიშნა. როდესაც აბულასვარ შედადიანი ქალაქს მოადგა, აბულეთმა გადასცა მას ანისი. წინააღმდეგობა დემეტრესა და აბულეთს შორის გაღრმავდა, რაც კარგ ნიადაგს უქმნიდა დემეტრეს უმცროსი ძმის, ვახტანგის პრეტენზიებს ტახტზე.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდან დიდის ცნობის თანახმად, დაახლოებით 1130 წელს, უფლისწულსა და ივანე აბულეთის ძეს დემეტრეს მოკვლა ჰქონდათ განზრახული, მაგრამ ეს საქმე აბულეთმა ჩაშალა. ტახტის მაძიებელ უფლისწულს თვალები დასთხარეს, ხოლო აბულეთი შვილთან ერთად, დმანისის ციხეში დაამწყვდიეს და მალე სიკვდილით დასაჯეს.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ტახტისათვის ბრძოლამ დემეტრესა და მის უფროს ვაჟს, დავითს შორის. როგორც ცნობილია, დემეტრე მეფე უპირატესობას ანიჭებდა თავის უმცროს ვაჟს, გიორგის. ჩვენ არ ვიცით, რითი ვერ დაიმსახურა დავითმა მამის ნდობა, მაგრამ ის კი ეჭვმიუტანელია, რომ გიორგიმ გაამართლა დემეტრეს იმედები. ამ დადებით თვისებებს მამა ადრევე ამჩნევდა უმცროს

ვაჟს. როგორც მოსალოდნელი იყო, დავით უფლისწულს ფეოდალთა გარკვეული დაჯგუფება უჭერდა მხარს.

მეფის ცენტრალური პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულების მხარდაჭერით 1150 წელს უფლისწული დავითი მამას აუჯანყდა. დემეტრემ გაიმარჯვა და ურჩნი დასაჯა. ჩანს, შვილი ვერ გაიმეტა დასასჯელად, მაგრამ აჯანყება 1155 წელს განმეორდა. ამჯერად, დავითმა გაიმარჯვა, მან დაიკავა ტახტი, მეფე-მამა მონასტერში გაამწესა, დასაჯა თავის მოწინააღმდეგენი, გაათავისუფლა აბულეთის ძე თირქაში და ამირსპასალარად დანიშნა. დავით V-მ მხოლოდ 6 თვე იმეფა და, როგორც სომხური წყაროებიდანაა ცნობილი, ის მოწამლეს მამის და ძმის მომხრეებმა - სუმბატ და ივანე ორბელებმა, რის საფასურადაც გიორგიმ გამეფების შემდეგ ივანე ორბელს ამირსპასალარობა უწყალობა. ქართული წყაროს ცნობით, („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) ტახტზე დაბრუნებულმა დემეტრემ თავისი უმცროსი ვაჟი, გიორგი თვით აკურთხა მეფედ და ისევ მონასტერში წავიდა. ეს შემთხვევით არ მომხდარა, დავითს დარჩა ვაჟი დემეტრე (დემნა), რომელსაც შეიძლება ჰქონოდა პრეტენზია ტახტზე, როგორც დემეტრეს უფროსი ვაჟის მემკვიდრეს. ეს გარემოება ქმნიდა საბაბს შეთქმულებისათვის.

რატომ დაუბრუნდა დემეტრე ტახტს, ანდა რატომ დაარღვია ტახტის მემკვიდრეობის წესი და მეფობა დავითის ვაჟს, დემეტრეს კი არ უანდერძა, არამედ მეფედ გიორგი აკურთხა, ამაზე წყარო არაფერს ამბობს. დემეტრეს ეტყობა, გარკვეული მოტივები ამოძრავებდა, თუმცა შეიძლება ამ მოვლენის სხვაგვარი ახსნაც. დავით მეფე გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, მართალია ტახტი ნამდვილად მის შვილს დემნას ეკუთვნოდა, მაგრამ დავითის შემდეგ ტახტი ისევ დემეტრეს შვილმა, გიორგიმ დაიკავა და არა შვილიშვილმა დემნამ. სომხური წყარო, სახელდობრ, სტეფანოზ ორბელიანი, ვითარებას სხვაგვარად გადმოგვცემს. ამ ისტორიკოსის თანახმად, მეფე დემეტრე გარდაიცვალა და გამეფდა მისი ძე დავითი. დავითმა სიკვდილის წინ მოუხმო დიდებულებს და მცირეწლოვანი დემნა მათ ჩააბარა, დავითის ძმა გიორგი მეფის მეურვედ დანიშნა დემნას სრულწლოვანებამდე. ივანე ჯავახიშვილს ეჭვი ეპარება სტეფანოზ ორბელიანის ამ ცნობის სისწორეში, რადგან დავითსა და გიორგის შორის არსებული მტრული ურთიერთობის პირობებში არ არის მოსალოდნელი, რომ მომაკვდავ დავითს თავისი მცირეწლოვანი შვილის მეურვედ გიორგი დაენიშნა.

არსებული წყაროებიდან თითქოს უფრო მართებული ჩანს ვარდანის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა დავითი, რომელმაც, პირველ რიგში, მამამისის მიერ დატყვევებული თირქაში გაათავისუფლა, მაგრამ თვითონ დავითი გიორგიმ ორბელებს მოაკვლევინა. თუმცა სანდოა ”ისტორიათა და აზმათა” ავტორი, რომელიც გვაუწყებს, რომ ბერად აღკვეცილი დემეტრე დაუბრუნდა მეფობას დავითის გარდაცვალების შემდეგ და მანვე აკურთხა მეფედ გიორგი. მაგრამ ვარდანი იმაში ჩანს მართალი, რომ დავითი გიორგის მომხრეებმა მოკლეს და არ ჰქონია ადგილი დავითის მიერ არავითარი ანდერძის დატოვებას. ეს ანდერძი, სტეფანოზ ორბელიანის შეთხზული უნდა იყოს ორბელთა შეთქმულების გასამართლებლად. როგორც ჩანს, ორბელნი, რომელნიც თავიდან გიორგის მომსწრენი იყვნენ და რომელთაგანაც მიიღეს ამირსპასალარობა, გიორგისაგან დახმარების საფასურად უფრო მეტს ელოდნენ და რადგან არ გაუმართლდათ, ახლა მის წინააღმდეგ დემნას კანდიდატურა წამოაყენეს.

დემეტრესა და გიორგის მეფობაში სამეფო კარზე რამდენიმე შეთქმულება-აჯანყება მოეწყო. დემეტრე ძლიერი ხელისუფალი ჩანს, რადგან არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დიდებულმა ფეოდალებმა ის მათი ნებასურვილის ამსრულებლად აქციონ. ამიტომ ეს უკმაყოფილო ფეოდალები ტახტის მემკვიდრის, დავითის გარშემო ჯგუფდებიან. სადავო იმ დროის საქართველოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში ბევრია. ერთ-ერთი რთული საკითხი იმდროინდელი პოლიტიკისა ანისის პრობლემა იყო. დავითის შემდეგ ეს ქალაქი და მისი ოლქი გაუთავებელი ბრძოლის ობექტად იქცა. გიორგიმ ანისი ივანე ორბელს ჩააბარა, რომელმაც დავითისა და გიორგის მეტოქეობაში გიორგის მხარე დაიჭირა, რისთვისაც ამირსპასალარობა მიიღო. მაგრამ დავითის ძე დემნა ივანე ორბელის ოჯახში იზრდებოდა და შემდეგ მისი სიძე გახდა. პატივმოყვარე ორბელს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ამირსპასალარობა. მან ანისში გამთავრება მოინდომა. 1174 წელ მან გიორგი მეფეს ანისს ლაშქრობა შესთავაზა, იმ იმედით, რომ სამმართველოდ ანისს თვითონ მიიღებდა. ანისი მეფემ მას ჩააბარა სამმრთველოდ, მეფის მოხელეობას ორბელი არ სჯერდებოდა და მან ანისი მაჰმადიან მფლობელს შესთავაზა ვასალური დამოკიდებულების პირობით, მაგრამ მოქალაქეებმა არ მისცეს ივანე ორბელს ქალაქის გადაცემის უფლება, მეფე გიორგიმ მოიგერია მტერი. ამის შემდეგ ივანე ორბელი აღარ არის ანისის გამგებელი, მაგრამ ამირსპასალარად ის მაინც რჩება.

ანისის მოვლენებს მოსდევს უფლისწულ დემნასა და ივანე ორბელის შეთქმულება. ახლა უკვე ივანე ორბელმა თავისი ნათესაური ურთიერთობა დემნასთან გიორგის წინააღმდეგ გამოიყენა.

დემნა-ორბელთა გამოსვლის მომთხრობი ქართული და სომხური წყაროები უაღრესად ტენდენციურნი არიან. ქართული წყაროები ცდილობენ გიორგი III-ის გამეფებას კანონიერი საფუძველი მოუძებნონ, ხოლო სომხური წყაროები განსაკუთრებით სტეფანოზ ორბელიანი დემნა-ორბელთა აჯანყებას მხოლოდ დემნას კანონიერი უფლებების აღდგენის სურვილით ხსნის. სინამდვილეში ეს ლეგიტიმისტური მოტივი ორბელთა მომხრეების მიერ იყო შეთხზული. გიორგი III-მ (ქართული წყაროების თანახმად) ტახტი მიიღო არა თავისი ძმის, დავით V-ის შემდეგ, არამედ დავითის გარდაცვალებისა და მამის-დემეტრე I-ის შემდეგ, რომელმაც ის თანამოსაყდრეთაც აკურთხა. ქართული წყაროს ცნობით, უფროსი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ მამა-დემეტრე ბრუნდება ტახტზე და ამის შემდეგ ტახტის მემკვიდრე უმცროსი ვაჟია. მაგრამ გიორგი მეფის წინააღმდეგ რომ გამოყენებული იქნებოდა დემნას ფაქტორი, სრულიად გასაგებია.

გიორგისთან ბრძოლა ძნელი იყო და ამიტომ აჯანყება დიდხანს და ფრთხილად მზადდებოდა. იგი 1177 წელს დაიწყო და 1178 წელს დამთავრდა. სათავეში დიდგვაროვანი ფეოდალები - ორბელები იდგნენ, რომლებიც დემნას უფლებების დაცვის საბაბით მოქმედებდნენ. აჯანყების ყველაზე აქტიური ხელმძღვანელი იყო ივანე ორბელი. მის მხარეზე იყო რამდენიმე დიდებული აზნაური.

შეთქმულთ ხელსაყრელი დრო შეურჩევიათ, როდესაც მეფე სახატეს მდგარა და მოულოდნელად მისი შეპყრობა განუზრახავთ, მარამ ვიღაც მეფის სანდო კაცს გაუგია ეს და გიორგისათვის შეუტყობინებია. შეთქმულნი კოჯორს იდგნენ. გიორგის მოუსწრია თბილისს მისვლა და გამაგრება. მეფეს დიდად უერთგულა ყივჩაღთა ლაშქრის მეთაურმა ყუბასარმა, რომელიც 500 მეომრით მოუვიდა. მეფის მოულოდნელად შეპყრობის გეგმის ჩაშლამ შეთქმულთა შორის ყოყმანი გამოიწვია. გიორგიმ აჯანყებულები კოჯრიდან გააქცია და სამშვილდის ციხეც დაიკავა. დემნა უფლისწული და მისი მომხრენი ლორეს ციხეში გამაგრდნენ. აჯანყებულთა რიგებში მერყეობა შეიქმნა. გიორგის გაძლიერებამ ბევრი მეამბოხე შეაფიქრიანა და მათ აჯანყებას უღალატეს.

აჯანყებულებმა გარეშე ძალის მოწვევით სცადეს თავიანთი პოზიციის გამაგრება, მათ შაჰ-არმენს, აზერბაიჯანის ათაბაგს მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები ლორეს ციხეში რამდენიმე თვეს ისხდნენ ალყაშემორტყმულნი, დახმარებამ მაინც ვერ მოუსწრო.

შეთქმულთა ლაშქარი 30 000-მდა აღწევდა, მათ სურდათ გიორგის შეპყრობა და დემნას გამეფება. მაგრამ მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, ივანე ორბელი სამეფოს გაყოფას მოითხოვდა დემნასა და გიორგის შორის. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, მეფემ გაიმარჯვა. უფლისწული მასთან გამოცხადდა და დაისაჯა. მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. დემნამ ვერ გაუძლო სასჯელს და გარდაიცვალა. გიორგი III-მ შეიპყრო და თვალები დასთხარა ივანე ორბელს, სიკვდილით დაისაჯნენ ივანეს უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი და მისი შვილი სუმბატი. დამნაშავეთა ნაწილი გააძევეს. ეს სასჯელი მეფემ დარბაზის გადაწყვეტილებით მიიღო და საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა. ეკლესიის მიერ შეჩვენებულნი კი ლაშქარში არ შეიშვებოდა და მამულიც ერთმეოდა. მეამბოხეთათვის ჩამორთმეული მამულები მეფემ თავის ერთგულთ დაუნაწილა და მოღალატეთა მაღალი თანამდებობანიც გადასცა.

ორბელთა აჯანყების საბაბის გარკვევა საკმაოდ რთულია. ამ მოვლენის შესახებ ჩვენ გვაქვს ერთი ქართული, თამარის ისტორიკოსის და ერთი სომხური, სტეფანოზ ორბელიანის თხზულება, რომლის ერთი ნაწილი მთლიანად ამ ამბოხებას და მისი გამართლების ცდას ეძღვნება. თამარის ისტორიკოსის თხრობა ლოგიკურად გამართულია. მონასტერში მამის განმწესებელი მეფე დავითი გარდაიცვალა, მეფე-ყოფილი ტახტზე ბრუნდება და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარდაცვლილი უფროსი ვაჟის შვილი, თითქოს გასაგებია, რომ ტახტის მემკვიდრე უკვე ის კი აღარ არის, არამედ მეფის ერთადერთი ვაჟი გიორგი, რომელიც მამამ აკურთხა მეფედ.

სტეფანოზ ორბელიანი არაფერს ამბობს დემეტრეს ტახტზე დაბრუნების შესახებ. მისი თხრობის თანახმად, სიკვდილის წინ დავითმა თავისი მცირეწლოვანი შვილი ივანე ორბელს ჩააბარა. აქვეა მისი ძმა გიორგიც, რომელსაც დავითი ეუბნება, რომ მას მეფობაზე პრეტენზიის განცხადების პრობლემა არ აქვს. დავითი გარდაიცვალა. დემნას მცირეწლოვანების გამო სახელმწიფოს მისი სრულწლოვნებამდე გიორგი მართავს, რომელმაც დადო პირობა, რომ დემნას სრულწლოვნებისთანავე მას დაუთმობდა ტახტს. მთელი ეს მონათხრობი ეჭვს ბადებს, გიორგი რომ ტახტის დამთმობი არაა, ეს თითქოს ეჭვგარეშეა, მაგრამ დემნა სრულწლოვანი გახდა. 1156 წელს, როდესაც მამისი გარდაიცვალა, 16 წლის 1172 წელს მაინც გახდებოდა. რატომ მაშინვე არ ატეხეს ორბელებმა განგაში და გიორგის პირობის შესრულება არ მოსთხოვეს, მათ ხომ ფიცი მისცეს მამამისს, რომ დემნას უფლებებს დაიცავდნენ. ამდენად, სტეფანოზ ორბელიანის მონათხრობი კრიტიკას ვერ უძლებს. რაც შეეხება იმ უმკაცრეს სასჯელს, რაც ამბოხებულებმა მიიღეს, გამართლებული იყო სახელმწიფოებრივი ინტერესებით. იქნებ ეს ამბოხი რომ არა, გიორგის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დემნას მიეღო? საეჭვოა, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ ქალის

გამეფების საკითხი დამდგარიყო. მაგრამ მეფის მკაცრი ცენტრალისტური პოლიტიკით უკმაყოფილო დიდაზნაურებს მოთმინება არ ეყოთ.

გიორგი III-ს წინაშე მწვავედ იდგა ტახტის მემკვიდრის საკითხი. მართალია, გზიდან ჩამოიცილა მეტოქე, მაგრამ მას თვითონ ძე არ ჰყავდა, ამიტომ თავისი ასულის სიცოცხლეშივე გამეფება გადაწყვიტა, რათა მისი სიკვდილის შემდეგ თამარის უფლება არავის ხელეყო. 1178 წელს გიორგიმ თამარი ყოველგვარი ფორმალობის დაცვით მეფედ აკურთხა. თამარი საერო და სასულიერო დიდებულთა დასტურით გამეფდა. მას ტახტი მამამ გადასცა, რითაც ხაზი გაესვა მეფობის უშუალოდ მამისაგან მიღებას. ამის მიზანი იყო მოკვეთილიყო გიორგის შემდეგ ამ საკითხზე მსჯელობის უფლება და, აგრეთვე, რეალურად მოღებოდა ბოლო დიდებულთა მონაწილეობის მცდელობას ტატის გადაცემისა და გამეფების საქმეში.

არ ვიცით, როგორ წარიმართებოდა ქვეყნის ისტორია, გიორგის უფროს ძმას, დავითს (და შემდეგ მის ძეს დემნას) რომ დაეკავებინა ტახტი, მაგრამ არსებული მემკვიდრეობითი წესის მიხედვით დემნა ნამდვილად იყო სამეფო ტახტის ღირსი. თითქოს საეჭვო არ უნდა ყოფილიყო მისი გამეფება, მაგრამ ასე არ მოხდა, ის სასტიკად დაისაჯა, ბიძამ ძმისშვილი საგვარეულო სამარხის ღირსიც კი არ გახადა. არა-და ვინ იცის, შესაძლოა ის კარგი მმართველიც ყოფილიყო და თამარზე მეტის გაკეთების შესაძლებლობაც ჰქონოდა. დემნა ბატონიშვილის ტრაგიკული ისტორია საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი სევდიანი ფურცელია. შუასაუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოს მმართველთა მისწრაფება, ნებისმიერი გზით მოეხდინათ სამეფო ხელისუფლების კანონიერი უზურპაცია, თითქოსდა თავისებურ გამართლებას პოულობს.

ახლაც ამდენი ხნის შემდეგ სინანულით ფურცლავ ისტორიის ამ პირქუშ ფურცლებს.

ლიტერატურა:

1. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ., 1941;
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979;
3. საქართველოს ისტორია, თსუ, ტ.I, თბ., 2003;
4. ქართლის ცხოვრება, ტ.II, თბ., 1959;
5. ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ.II, თბ., 1965;
6. ანთელავა ი., დავითისა და თამარის სახელმწიფო, თბ., 1991;
7. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958.

დასავლეთი - ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი

ამირან ხაბაზიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ისტორიაში ბევრი ისეთი თარიღია, შემდგომი საუკუნეები სულ სხვა შინაარსით, ბრძოლის ჟინით, ენერგიით, ოპტიმიზმითა თუ იმედგაცრუებით რომ აღუვსია და წარუმართავს. ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიაში ყოველთვის ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ათეული და ზოგჯერ ასეული წლების განმავლობაში განაპირობებდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოს, ერისა და ხალხის ბედს, ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია დიდი ხანია დასავლეთისკენ იხრება. საქართველო ისწრაფვის ევრო-აპლანტიკური სტრუქტურებისაკენ, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში - ნატოში ინტეგრაციისაკენ.

საქართველომ ევროპისაკენ მზერა დიდი ხნის წინ დაიწყო. ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყნის დასავლეთისაკენ სწრაფვას. საზოგადოების ეს პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი მხარს უჭერდა ყოველ დასავლურ წამოწყებას მხოლოდ ერთი პირობით: ის უნდა ყოფილიყო ქართულ რეალობასთან მისადაგებული და სასიკეთო შედეგები მოეტანა ქვეყნისთვის.

რატომ არის დასავლეთი ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი? რატომ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ მზერა მაინცდამიანც დასავლეთისკენ, ევროპისაკენ?

თავდაპირველად მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვმარტოთ, თუ რა იგულისხმება ტერმინში „დასავლეთი". ჩვენს შემთხვევაში ტერმინში „დასავლეთი" არ იგულისხმება გეოგრაფიული სივრცე, ევროპის კონტინენტის დასავლეთი ნაწილი, არამედ იგულისხმება ის ფასეულობები (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა და სხვ.), რასაც ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, აგრეთვე სამენციერო-ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომელიც დამახასიათებელია ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებისათვის.

საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ არ დაწყებულა არც მიმდინარე და არც გასულ საუკუნეში. ჩვენმა წინაპრებმა დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარება და განვითარება ათასწლეულების წინ დაიწყეს.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის აუცილებლობას ძველთაგანვე ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორები განაპირობებდა, როგორიცაა საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდებარეობა და მოსახლეობის მცირერიცხოვნება.

ისტორიულად საქართველო, როგორც ორი დიდი კონტინენტის - ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე ქვეყანა, არჩევანს ძირითადად მაინც დასავლეთზე აკეთებდა, რასაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა დასავლეთთან ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები. იყო დრო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ევროპულ ოჯახში საპატიო ადგილს იკავებდა. ამის ნათელი დადასტურებაა მითი არგონავტების შესახებ. ამ მითში ლეგენდარულ ამბებთან ერთად ისტორიული სინამდვილეცაა ასახული. კოლხეთის სამეფოს აღწერისას აქ აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება. მაგალითად, ბერძნებმა ამ თქმულებაში გადმოსცეს იმდროინდელი კოლხეთის მაღალი მეტალურგიული და სამიწათმოქმედო კულტურა, ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე, მედიცინის მაღალი დონე და სხვ. ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის ბოლოდან საქართველოში უკვე იცნობდნენ რკინას, რომლის დანერგვასა და ათვისებაში ქართველ ტომებს, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებ ხალიბებს, გარკვეული დამსახურება მიუძღვით. მითი არგონავტების შესახებ ნათლად ასახავს იმდროინდელ დასავლურ-ქართულ ურთიერთობებს, რომელიც ქართულ-დასავლურ გზათა პირველ მნიშვნელოვან გადაკვეთად შეიძლება მივიჩნიოთ.

ქართველ ტომთა უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხის, კოლხას და სხვ.) და შემდეგ ეგრისისა და ქართლის სამეფოებს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ როგორც წინა აზიის ქვეყნებთან, ასევე საბერძნეთთანა და რომთან. ეს ურთიერთობები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზეც აისახებოდა. ქართველ ხალხს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი მაღალი თვითმყოფადი კულტურა ჰქონდა, მაგრამ იგი კარჩაკეტილი და გარესამყაროსგან მოწყვეტილი არ ყოფილა, პირიქით, ქართული კულტურა ითვისებდა ყველაფერ საუკეთესოს, რაც მის ახლო, თუ შორეულ ქვეყნებში იქმნებოდა. საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, წარმოადგენდა ბუნებრივ ხიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომ აქ ხდებოდა აღმოსავლეთიდანა და დასავლეთიდან მომდინარე ტრადიციების საინტერესო შერწყმა. ეს გარემოება ძალზე თავისებურ იერს აძლევდა ქართულ კულტურას მთელი მისი არსებობის მანძილზე.

ქართულ-დასავლური ურთიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა IV საუკუნეში, კერძოდ 337 წელს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ. ქრისტიანობამ ერთმორწმუნე სახელმწიფოები გააერთიანა არა მხოლოდ სარწმუნოებით, არამედ კულტურით, ხელოვნებით, ცხოვრების წესითა და აზროვნებით. იგი იქცა დასავლური კულტურის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხს ნათლად გასცა პასუხი, ამასთან წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, შემდეგ კი - ისლამს. ამის ნათელი მაგალითია ვახტანგ გორგასლის პოლიტიკა, რომელიც ებრძოდა სპარსელთა ბატონობასა და ძალადობასა. სიძნელეების მიუხედავად, ვახტანგ გორგასალი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ქვეყანა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია.

საგულისხმოა VI საუკუნეში ეგრისში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. 542 წელს ირანელებმა დიდი ლაშქარი შეიყვანეს ეგრისში და ამით დაარღვიეს „საუკუნო ზავი" ბიზანტიასთან. ასე დაიწყო „დიდი ომიანობა" ეგრისში, რომელიც თითქმის 20 წელი გაგრძელდა. აღმოსავლურ-დასავლური მსხვილი მოთამაშეების - ირანისა და ბიზანტიის ინტერესები დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა. ეგრისელები ხან ბიზანტიელებთან დაკავშირებას ამჯობინებდნენ, ხან კი - ირანელებთან. თუმცა, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის ღალატით მკვლელობისა, როდესაც ეგრისელთა მიერ

ქვეყნის ორიენტაციის საკითხი დადგა, ლაზ წარჩინებულთა სახალხო კრებაზე მათ დიდი მსჯელობის შემდგომ დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა. გუბაზ მეფის მოკვლით აღელვებული ეგრისელები, რომელთა აზრს წარჩინებული აიეტი გამოხატავდა, სპარსელების დახმარებით რომაელების განდევნას მოითხოვდნენ, მაგრამ მეორე ლაზმა დიდებულმა ფარტაძემ ბიზანტიელებთან კავშირის შენარჩუნებას დაუჭირა მხარი მხოლოდ იმ პირობით, რომ კეისრისაგან გუბაზის მკვლელთა დასჯა მოეთხოვათ. კრების მონაწილეთა უმრავლესობამ ეს აზრი გაიზიარა და აქ განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანობა აღმოჩნდა.

IX-XI საუკუნეებში საფუძველი ეყრება ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნას. დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების საკითხი. აქედან გამომდინარე ქვეყანა ცდილობს ნელ-ნელა წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზანტიას და შემდეგ კი მის საპირწონედ იქცეს. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა.

XIII საუკუნის I ნახევრიდან გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო პირებთან. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის მეფობისას ეს ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა. ამის მიზეზი კი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება. გიორგი ბრწყინვალემ დიდი წარმატებები მოიპოვა საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. მან ურთიერთობები დაამყარა ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სასულთნოსთან. ეს სახელმწიფოებიც თავის მხრივ დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით. ამიტომ იყო, რომ ეგვიპტის სულთანმა მთელი რიგი შეღავათები მიანიჭა იქ ჩასულ ქართველ ვაჭრებსა თუ მლოცველ-მოგზაურებს, საქართველოს დაუბრუნა მიტაცებული ეკლესია-მონასტრები. გიორგი ბრწყინვალემ კვლავ აღადგინა გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე და ბიზანტიის მიმართაც აქტიური პოზიცია დაიკავა. საქართველოს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან: ვენეციასა და გენუასთან. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის ფაქტიც, რომ კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი ქალაქ სმირნადან თბილისში იქნა გადმოტანილი.

1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებითა და დასავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზის ჩაკეტვით, საქართველო აგრესიული მუსულმანური ქვეყნების - ირანისა და ოსმალეთის რკალში მოექცა. რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცგამოლეულ საქართველოში ვითარება უარესობისკენ მიდიოდა. მიუხედავად ამ სავალალო შედეგებისა, ქართველი მეფე-მთავრები მაინც იმედის თვალით შეჰყურებდნენ ევროპას, თუმცა ამაოდ. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მათ მიერ გაწეული დახმარება მხოლოდ მორალური თვალსაზრისით შემოიფარგლებოდა. ამის დასტურია სიმონ I-ის მიმოწერა პაპ კლიმენტი VIII-სა და ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა იტალიასა და საფრანგეთში.

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ დაწყებული სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. საერთაშორისო ასპარეზზე ქართული სამეფო-სამთავროების თამაში არც თუ წარმატებული აღმოჩნდა. საჭირო იყო ძირეული რეფორმების გატარება, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გამოეწვია ეკონომიკის აღმავლობა, აუცილებელი იყო სახელმწიფო აპარატის ახლებურად გარდაქმნა, ჯარის რეფორმირება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღება და სხვ. ეს მიზნები ჰქონდა ერეკლე II-საც, როდესაც საქართველოს ბედი რუსეთს მიანდო.

დღესაც საკამათოდ რჩება საკითხი იმის შესახებ, იხსნა თუ გაწირა ამ ნაბიჯით პატარა კახმა ქართლ-კახეთის სამეფო. 1783 წელს გადაწყვიტა ერეკლე II-მ „ბედი ქართლისა“ და ხელი მოაწერა რუსეთთან მფარველობით ტრაქტატს. ამ ნაბიჯმა ძირეულად შეცვალა საქართველოს მომავალი. ნიშანდობლივია, რომ 1783 წელს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით სრულდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც შემდგომში სათავე დაუდო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას.

ერეკლეს კარგად ესმოდა ევროპის მნიშვნელობაც და საერთაშორისო პოლიტიკაც. მორიგე ჯარის შექმნა, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა, ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვა ევროპეიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები გახლდათ, მაგრამ ამასთან ერთად რეგიონში სამი უზარმაზარი ქვეყნის - რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის ინტერესებიც იკვეთებოდა. ერეკლე II ამაოდ ცდილობდა დაეინტერესებინა დასავლეთი, თუმცაღა ისეც ფაქტია, რომ საქართველოსადმი რეალური დახმარების სურვილი არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ გამოუთქვამს. ქართლ-კახეთის რუსეთზე ორიენტირება ბევრი მწარე გამოცდილებით რომ იყო სავსე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის I ნახევრიდან მოყოლებული, ეს თავად ერეკლე II-მაც კარგად იცოდა, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის პოლიტიკიდან გამომდინარე, მაგრამ მიუხედავად ამისა, პატარა კახი მაინც ერთმორწმუნე რუსეთის დიდი მოიმედე იყო. თვითონ რუსეთიც ევროპეიზაციის გზაზე იდგა. აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს: „თანდათან ირკვეოდა ქართველი

ხალხის მომავალი განვითარების გეზი: რუსეთის გზით ევროპასთან. ასე რომ წარსულიცა და აწმყოც თანხმობით უკარნახებდა ერეკლეს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მან მიიღო“[19]

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს II-ის ჩანაფიქრი არ გამართლდა და საქართველო რუსეთმა დაიპყრო, უარყოფითის გარდა ამას ზოგიერთი დადებითი მოვლენაც მოჰყვა. საქართველომ მაინც შეძლო არაპირდაპირი გზით, რუსეთის გავლით დაკავშირებოდა ევროპას და შეძლო მაღალი კულტურული განვითარებისთვის მიეღწია. ჩვენამდეც მოაღწია ევროპულმა ცხოვრების წესმა, განათლებამ, კულტურამ.

დასავლეთის უპირატესობაზე, ოღონდ ნაკლებად პოლიტიკურ ჭრილში, აქტიურად წერდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე და სხვები. ისინი მხარს უჭერდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას ოღონდ ერთი პირობით: უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო, რასაც ადასტურებს იმ პერიოდში გატარებული რეფორმებიც. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო კონსტიტუციაზე. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის პერიოდი ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. 1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო და ჩვენი ქვეყნისთვის მომდევნო 70 წლით დასავლეთისკენ მიმავალი გზა კვლავ გადაიკეტა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა იმპერიის დაშლასა და ცივი ომის დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. საქართველომ დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას შეუდგა. თუმცა ეს პროცესი საკმაოდ რთული აღმოჩნდა და ქვეყანაში მნიშვნელოვანმა პრობლემებმა იჩინა თავი 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ქვეყანაში გაჩაღებული სამოქალაქო დაპირისპირებით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით. ამ პროცესებიდან სარგებელი მისმა მთავარმა ორგანიზატორმა - რუსეთმა - ნახა. რუსეთმა განახორციელა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია. ამას დაემატა ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები, ინფლაცია და სხვ., რაც, საბოლოო ჯამში, მძიმედ აისახა ქვეყნის მომავალი განვითარების ტენდენციებზე.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ კვლავ გააძლიერა ჩვენი ქვეყნის სწრაფვა დასავლეთისაკენ. XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისიდან იწყება თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან, ქვეყანა ჩაება საერთაშორისო თუ რეგიონული მასშტაბის სხვადასხვა პროექტებში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის დატვირთვა ჰქონდა ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტებში ჩართვას. ამასთან ერთად განსაკუთრებით გააქტიურდა აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში.

პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღებისას პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვები: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე მე ვარ ევროპელი“. ეს ფრაზა გამოხატავდა ქართველი ერის სურვილს ყოფილიყო ევროპის ხალხისა და კულტურის ნაწილი.

ეს სურვილი განსაკუთრებით მკვეთრად გაჟღერდა 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ და ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა სურვილი დასავლეთისკენ სწრაფვის ტემპების გაზრდისა. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა. რაც არ უნდა სამწუხარო იყოს დღეს ჩვენი მდგომარეობა, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის მიერ არჩეული კურსიდან გადახვევა დაუშვებელია. საქართველომ გააკეთა მტკიცე არჩევანი - გზა დასავლეთისკენ, გზა ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობისკენ. დღეს საქართველო დასავლური კურსის მიმართულებით მნიშვნელოვან რეფორმების ატარებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთისკენ სწრაფვის პროცესში გასათვალისწინებელია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებიც. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსათვის. საქართველოს კვლავ ეძლევა შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და პოტენციალით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით. დასასრულს, შეუძლებელია არ დავეთანხმოთ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

[19] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, 1965, გვ. 229-230

სიტყვებს: „საქართველო მხოლოდ მაშინ გადარჩება და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოში, თუ ის თავის ტრადიციებზე დაყრდნობით შექმნის თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოს...

ერის თვითმყოფადობის უმთავრეს ფაქტორად დღეს კულტურული არეალიღა რჩება, რადგან მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას...

გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციას და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა...

ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენს წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. ეს დღესაც უნდა შევძლოთ“[20].

ლიტერატურა:

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965;
2. საქართველოს ისტორია, შედგენილი აკად. ს. ჯანაშიასა და აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით, შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი, თბ., 1990;
3. ნ. ასათიანი, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1995;
4. ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1993;
5. ვ. გურული, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1483-1801, თბ., 2009;
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე), თბ., 1973;
7. ახალი ქართული გაზეთი, #6, 1998;
8. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, გაზეთი „კვირის პალიტრა“, #17, 2006;
9. http://lib.ge/body_text.php?8254

[20] სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე გაზეთში „კვირის პალიტრა“, №17, 2006.